

1/2
საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტრო

გაზეთი

114/2
2004/2

80

2004

1/2

განმომცემის 1924 წლიდან

ენათობი

ნაწილი 80-80

№1-2

2004 წელი

მწერლობა, ავტორიტეტიკა, ხელოვნება, მეცნიერება

დამფუძნებლები:

საქართველოს მწერალთა კავშირი
და ჟურნალ „ენათობის“ რედაქცია

შინაარსი

22

1-43

„ენათობი“ -80

პროზა, პოეზია, დრამატურგია

ზაირა არსენიშვილი - შიშინანობის დროსაო... მოთხრობა	4
ემზარ კვიციანიშვილი - უსფურცელიანი რვეულიდან. ლექსები	85
ლია მოლარიშვილი - გეგნიერი ღამე. პიესა	92
ქანა ოთხვანი - ლექსები	101
დიმიტრი ლოგანიძე - ბიჭი, მგლები და ხარები. მოთხრობა	106

კრიტიკა, ავტორიტეტიკა

ანდრო ბუაჩიძე - გერონტი ქიქოძის „თანამედროვეის ჩანაწერები“ ...	129
მანანა კვიციანი - ლეგენდა დონ შუანზე	134
მერი ფოფხაძე - XIX საუკუნის ცნობილი ქართველი ქალები	147
მერაბ რობაქიძე - „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ცნებისა და ადგილის გაგებისათვის	151

ხელოვნება

რაზო ადამია - ხუან მირო	178
ვანო ივარლიშვილი - მიხაი ზიჩის მოღვაწეობა საქართველოში	182



შინაარსი

(გავრცელება)

სარკმელი

ლევ ზესტოვი – შექსპირის „იულიუს კეისარი“.

თარგმნა მანანა შიქელაძემ 199

როჟა ბაროდი – სენ-ჟონ პერსი, თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ 211

გიგლიოგრაფია

ბაბა ლომიძე – „ბალაკტიონოლოგია“ – II 214

მთავარი რედაქტორი

თამაზ ქილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ანდრო ბუაჩიძე



გამომცემლობა „სანი“

თბილისი 0105, შავთელის ქ. №26

ტელ: (995 32) 98 65 92 e-mail: zazaberishvili@yahoo.com

„მნათობი“-80

უცნაურია და პარადოქსულიც კი ჟურნალ „მნათობის“ დაარსების თარიღი – 1924 წელი. საქართველოსთვის, მართლაც, იმ უმძიმეს დროში იშვა ჩვენი ზნეობის და სულიერების ეს ოაზისი, რომელიც მთელი XX საუკუნის მანძილზე გამოხატავდა ქართველი ერის სიხარულს და მწუხარებას, თითქოს ცდილობდა, დაკარგული თავისუფლების სანაცვლოდ, ერის თვითმყოფადობა შეენარჩუნებინა.

„მნათობის“ ფურცლებზე დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ტიცვიან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, ირაკლი აბაშიძის ლექსები; მიხეილ ჯავახიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის, სერგო კლდიაშვილის, დემნა შენგელაიას პროზაული ნაწარმოებები; გერონტი ქიქოძის თარგმანები და ესეები, შალვა ნუცუბიძის და მოსე გოგიბერიძის წერილები და კიდევ მრავალი სხვა ქმნილება, რომელმაც საბოლოოდ ქართული სულიერების საგანძურში დაიმკვიდრა ადგილი. 1941 წლის მეორე მსოფლიო ომის დროსაც არ შეწყვეტილა „მნათობის“ მაჯისცემა, ის არსებობდა და თავისი გაყვითლებული ფურცლებიდან ასხივებდა ნუგეშს და სიკეთეს, რწმენას და იმედს.

„მნათობმა“ აქტიურად დაუჭირა მხარი სამოციანი წლების შესანიშნავ თაობას და მერეც გამუდმებით ზრუნავდა მათზე. ასევეა დღესაც, „მნათობის“ კარი ღიაა ახალგაზრდა მწერლებისათვის.

ჟურნალი, უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, შეეცდება ქმედითად იზრუნოს ჩვენი მწერლობის მომავალზე.

საქართველოს
ენციკლოპედის
მთავარი
ბიბლიოთეკა



ზაირა არსენიშვილი

ეუძღვნი დედაჩემის ხსოვნას

შიზიანოვის დროსაო...

მოთხრობა

(ძ-ნი თამარის სიზმარი და ცხადი)

„37 წელს, დიდი ტერორის დროს, თვალის დახუჭვას ვერ მოვასწრებდი, შემზარავი კოშმარები მაფხიზლებდა; სინამდვილეც კოშმარული იყო და ხშირად ერთმანეთში მერეოდა ცხადი და სიზმარი.“

დედაჩემის ბარათიდან.

ქალბატონი თამარი ბიბლიოთეკის კარტოთეკიან გრძელ მაგიდასთან იჯდა, გარს ლექსიკონები შემოენყო, ვაჟა-ფშაველას საყმანვილო მოთხრობები გადაეშალა და ფიქრად არ მოსდიოდა და გუმანითაც ვერ ხედებოდა, ბედისწერა რა ზიფათს უმზადებდა. ზიფათის ძიებას კი არა, ახლა ის სავსე მთვარეს ალენდა თავის საბრძოლო ისრებს. „ამოდის, ნათდება!“ – საკვირველია, ერთი შეხედვით ასეთი უბრალო და სადა სიტყვათა წყელი, ასეთი ჩვეულებრივი ორი სიტყვა როგორ ხატოვანსა და ექსპრესიულ მთელს ქმნიდა, როგორ იყო ზღერამდე გაჯერებული ძირეული სათქმელით. უამრავი რუსული ვარიანტი დაახვავა და ვერცერთი ვერ შეარჩია, წვალობდა, თავს იმტვრევდა და ჯერ ვერაფერი გაენყო... და რაც უფრო მეტად იმეორებდა ამ საოცარ სათაურს, რაც უფრო უღრმავებოდა და უკვირდებოდა, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ეს იყო გენიოსის სიტყვა, სიტყვა ქმნისა, ნათელი რომ ახლდა თან, ის ნათელი რომელი იგი ბნელსა შინა ჩანდა. და

თამარს ძველებური ფინი ეუფლებოდა, ძველებური სურვილი, მისწევდომოდა ამ ნათელს, და განა საკვირველია, რომ თავჩარგული ამ ძალისხმევაში ვერ ამჩნევდა ირგვლივ რა ხდებოდა. მარტო იყო, სრულიად მარტო, იანერის მზით სავსე მყუდრო დარბაზში. მარო საოლიმპიადე რეპეტიციაზე იყო წასული და იმ გივლა-ნიბლას შემდეგ შემოსვლითაც აღარავინ შემოსულა, არცერთი სტუდენტი, ოთარის მოლოდინიც არ ჰქონდა, ის ახლა, გამოცდების მომთაერების შემდეგ, აღმადამა დაჰქროდა, თანაც სალამოს დაბადების დღეზე იყო დაპატიჟებული და თამარი ფიქრობდა, გვიანობამდე დაერჩები და ვიმუშავებო. დღეს დილით მოვიდნენ თუ არა, თამარმა და მარომ ჯერ საამკინძაოსთვის გამზადებული ნიგნები შეკრეს და ჩაიტანეს. არდადეგები ახლოვდებოდა, ბიბლიოთეკაში ჩვეულებრივ ელოდნენ ინვენტარიზაციასა და შემონახვას, ხმარებისაგან შელახული ნიგნებიდან ზოგს ასაკინძად არჩევდნენ, ზოგსაც, თითო-ოროლა ფურცელი თუ ჰქონდა



ამოვარდნილი, თვითონვე უვლიდნენ და აწესრიგებდნენ. გარდა მოვალეობისა, მაროსაც და თამარსაც ძალიან უყვარდათ ნიგნების მოვლა, ნიგნებთან ლოლიაობა. საწყალი თამარი თავის გულში დაქადნებითაც კი ამბობდა: მოვიდნენ ერთი, შემამონმონ და დარწმუნდნენ ხალხის მტრებსა და მავნებლებს, – ის თავის თავს თავისი დაუუნიყარი შალვასგან არასოდეს გამოჰყოფდა, – ნიგნების როგორი მოვლა და სიყვარული შეგვიძლიაო. ჰოდა, ამ დილით ბოლო ორი შეკრულა ჩაიტანეს საამკინძაოში; იქიდანაც ბევრი აღარ იყო წამოსაღები, თამარიც თავისუფლად მოერეოდა, ამიტომ მარომ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შეუხვია ინვენტარიზაციის საქმეზე, მერე კი პირდაპირ გუნდის მესაძინებთან უნდა წასულიყო. თამარი კი, დაბრუნდა თუ არა და გაახლებული ნიგნები დააბინავა, დარბაზისკენ არც გაუხედავს, თავის მაგიდას მოუჯდა და ვაჟას საყმანვილო მოთხრობები გადაშალა, ერთი სული ჰქონდა მშვიერი მგლებისა და სავსე მთვარის ამბავს შესდგომოდა. მუშაობის ხალისით იყო სავსე, ლამის ძველებურად სავსე. გიგლა ნიბლაძესთან ურთიერთობაშია და იმ ვაი-დისერტაციის სწორებამ კიდევ უფრო მოაწყურა ნამდვილი მუშაობა, ხალას სიტყვასთან ურთიერთობა. მთელი ერთი კვირა იმ სისულელეში იყო ჩაფლული, აბა, „ვიდეოტექნიკა“ და იდეოლოგიის მსახურს მტკირა მოეთხოვებოდა?! „თანამედროვე მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა ყველაზე უფრო ავტორიტეტულია მთელ მსოფლიოში, ხოლო სოციალისტურ ქვეყნებში იგი წარმოადგენს კულტურის შენებისა და მასების ესთეტიკური აღზრდის რთული პროცესების თეორიულ საფუძველსო. იგი ეფუძნება დიალექტიკური და ისტორიული მა-

ტერიალიზმის ფილოსოფიურ საძირკველსო და სოციალისტური რეალიზმის თეორიულ პლატფორმას წარმოადგენსო...“ მიუხედავად ამ ტრაფარეტული სისულელისა, დასაწყისში მაინც კმაყოფილებას გრძნობდა, სიწყარეს და კმაყოფილებას, ერთგვარ ჩუმ სიამაყესაც კი, რომ ხალხის მტრის ცოლს შრომა ანდეს, ესე იგი საჭირო ადამიანად სცნეს და ზედმეტად არ ჩათვალეს მისი აქყოფნა. თანაც ვინა, მარქსისტული ესთეტიკის კაბინეტის გამგემ გიგლა ნიბლაძემ, გიგლა ნიბლაძემ, ანუ როგორც სტუდენტები ჩუმჩუმად და დაცინვით ეძახდნენ, გიგლა-ნიბლამ. სწორედ ერთი კვირის წინ, დღის ბოლოს, როცა დარბაზში არავინ იყო და თამარი ვაჟა-ფშაველას „ფესვებს“ ამთავრებდა, გიგლა ნიბლაძემ შემოიხედა, დარბაზი მოათვალიერა, მერე ფრთხილად შემოვიდა, კარი ჩარაზა და თამარისკენ თავისებური კეკლუცი ყვლეყვლაობით წამოვიდა, – იგი არასოდეს იფიქრებდა, რომ მოსაწონი მამაკაცის სახელი ჰქონდა დეარდნილი და უნდოდა პლასტიკაც შესაფერისი ჰქონოდა.

„ქალბატონო თამარი! თქვენ ხართ ადამიანი, ვისაც თავისი ყურით გაუგონია დიდი ლენინის დაუუნიყარი, ისტორიული შეძახილი „არის ასეთი პარტია!“ – პათეტიკური კილოთი წარმოთქვა გიგლამ და დატალღულ თმებზე ხელი მოხდენილად გადაისვა. თამარმა კი მხრები აიწურა და თვლები სწრაფად აახამხამა. „ამიტომ გამოცემლობაში ჩაბარებამდე მინდა, ჩემი სადოქტორო შრომა „ლენინი ხელოვნების შესახებ“ თქვენ წაგაკითხოთ, და თუ საჭიროება მოითხოვს, გენდოთ და გაგაჩარხინოთ“, – და ისე მომზიბლავად გაიღიმა, ცხადია, ესმოდა თავისი წყალობის მნიშვნელობა.

შალვას შემდეგ თავში ჩარტყმულ-

სა და დაშინებულ თამარს ფეხქვეშ თითქოს ნიადაგი გაუმყარდა, ესიამოვნა, ოჰ, როგორ ესიამოვნა; დიახ, დიახ, თავისი ყურით გაუგონია და თავისი თვალით უნახავს დიდი ლენინი... რა თქმა უნდა, გაუჩარხავს, თუკი ამისი საჭიროება არსებობს და თამარს ენდობიან... განა ახლა, ამ ვითარებაში სხვა რაიმეს მნიშვნელობა ჰქონდა?! თუნდაც გიგლას უმეცრებას; ძალიან კარგად ხედავდა თამარი და ტარჭრელი კოვზები არ ჭირდებოდა იმის ამოცნობას, რომ გიგლას კეკლუცობა, „მოსანონი მამაკაცის“ ამპლუა, სიმჩატე და მომლიმარე საღმინობა შესანიშნავად ერწყმოდა თუ უშუალოდ იყო ამოზრდილი მისი პრიმიტიული ვირემშაკობისა და უტიფარი პატივმოყვარეობისაგან, არც მაღავედა, პირიქით, თავმომწონედაც კი უყვებოდა თავის სტუდენტებს, როგორ შეჰფიცა სამშობლოს სიყვარულით გულანთებულმა მუშფაკელმა ბიჭმა, სწორედ მაშინ, გამოთხოვებისას, უნივერსიტეტში გამოგ ზავნის წინ, – ავიდა და შეჰფიცა ბავრატის ტაძრის ნანგრევებს, რომ ქუთაისს მხოლოდ და მხოლოდ პროფესორად დაუბრუნდებოდა, თამარსაც, ერთ-ერთი შეხვედრისას თავისი ყველაზე სანუკვარი ოცნება გაანდო: დღეს-ხვალ საქართველოში მეცნიერებათა აკადემია უნდა გაიხსნას და თავი ცოცხალი არ მიწადა, აკადემიკოსი რომ არ გავხდეო, ამიტომ ვასწორებ დღე-ღამეს და თუ თქვენ ამ დიდ, პატრიოტულ საქმეში ნვლილს შეიტანთ, იცოდეთ, არ დაგივინყებთ სიკეთესო.

დღე-ღამეს მართლაც ასწორებდა, „პრომებიც“ ბევრი ჰქონდა, იკვებნიდა: ის ღამე ღამედ არ მიმარჩნია, ერთი ოციოდე გვერდი თუ არ დავწერეო, პოდა, წერდა და წერდა, ხშირად სხვებისაგანაც ინერდა, და ეს ყველამ იცო-

და, მაგრამ კონფუზს არასოდეს ჩირადაც არ ავდებდა, მაშინაც კი არ შეუხრია წარბი, მისი ერთ-ერთი შრომის განხილვისას ამქარა პლაგიატორობაში რომ ამხილეს. იმ წუთს და იმ მომენტში რას იზამდა, იყო კაკანათში გაბმული ჩიტივით, მაგრამ დამთავრდა თუ არა ის საზიზღარი განხილვა, მაშინვე ფრთები შეარხია, აშლილი ბუმბული დაიწმინდა და მოჰყვა ძველებურად ჭრიახს: დიდი რამეცო, კაცს აი, ამ მარჯვენით ორიათასი გვერდი მაქვს დაწერილი და ოციოდე გვერდი თუ გადავინერე, დიდი რამეცო, შურითა და ბოღმით ლამის ვასკენნო. ყოველგვარ ვითარებაში მას ყველაზე უტყუარ და უღალატო საყრდენად შეუპოვრობა მიაჩნდა და შეუპოვრობა კი იმდენი ჰქონდა, მთელ ბატალიონს ეყოფოდა, და გარდა ამისა, ეშინოდათ მისი ჭრიახის, ბევრს ძალიანაც ეშინოდა...

თამარს გაგონებით კი გაეგონა, მაგრამ არაფერი გიგლასი არასოდეს არ წაეკითხა და სახტად დარჩა, ასეთ უბადრუკობას მაინც არ მოელოდა, უბრალოდ, უბადრუკობას კი არა, – აღვირახსნილ უმეცრებას. დისერტაცია სავსე იყო ფაქტობრივი შეცდომებით, პლაგიატით და უცხო სიტყვების უადგილო, ხშირ შემთხვევაში ანეგდოტური გამოყენებით. სიყვარული ბრმა და გიგლა სწორედ ბრმად იყო შეყვარებული უცხო-უცხო სიტყვებზე და თამარის ფიქრით, ძველ ლექსიკონებში მოძიებულ ამ სიტყვებს იგი უფრო კეთილზმონების მიხედვით არჩევდა და იმდენად უადგილო ადგილას ხმარობდა, რომ საარაკოდ იხდიდა თავს. შეცდომებიც რალაც უცნაური ჰქონდა, თამარი იმ დასკვნამდეც კი მიდიოდა, რომ გიგლას, ეტყობა, ტვინი ნალმა-უკულმა აქვს მონყობილი და ნაკითხულის სწორი გაგებაც არ შეუძლიაო. ერთ ადგილას, მაგალი-



თად, წერდა: ლენინი თვით სტრადივარის უსმენდა დიდი გატაცებითო. და ასეთი ლაფსუსები არც თუ იშვიათად შეგვხვდებოდათ მის ნაშრომში. უბედურება კიდეც ის იყო, რომ გიგლა ფაქტის თავშეკავებული გადმოცემით არასდროს კმაყოფილდებოდა, - აქაოდა არ მინდა ჩემს ნაშრომებს მშრალი აკადემიზმის სუნი დაჰკრავდესო, - არამედ მიელტვოდა ხუჭუჭა ფერადოვნებას, რაიცა მას კიდეც უფრო საჩოთირო მდგომარეობაში აყენებდა, მითუმეტეს, როცა საქმე მცდარ ფაქტებს ეხებოდა. „სტრადივარის“ შემთხვევაშიც ასე იყო: ავტორი ემოციური აღტყინებით წერილად აღწერდა, როგორი გატაცებითა და ჩაღრმავებით მოუსმენდა ბეთჰოვენის მუსიკაზე შეყვარებული ბელადი სტრადივარის, რადგან იგი თურმე სწორედ ბეთჰოვენის კვარტეტს უკრავდა, და ამ დიდებული დაკრით შთაგონებული ბელადი, ადვილი წარმოსადგენია, რა ძალუმად მიეცემოდა ფიქრებს მსოფლიო პროლეტარიატის ბედობაზე... ხოლო დიდი სტრადივარი თავისი ხანგრძლივი არტისტული მოღვაწეობის მანძილზე, ცხადია, ასეთ შთაგონებას ვერც ლენინამდე და ვერც ლენინის შემდეგ ვერ იგრძნობდა, მილიონობით აღფრთოვანებული მსმენელი ვერა, ვერა, ვერ გადანაონდა დიდი ლენინის თავანკარა განცდას. ან კი როგორ! ან კი როგორ?! შეძახილებით ამთავრებდა პროლეტარიატის ბელადისა და სტრადივარის პასაჟს გიგლა.

თამარს შერცხვა, შერცხვა იმ კმაყოფილებისა და სიამოვნებისა, მაშინ გიგლას რომ შეეგება და მისი ნაშრომი გულში ჩაიკრა, შერცხვა თავისი უნებლიე მლიქვნელობისა. „მაპატიე, შალვა, მაპატიე“, მიმართავდა თავის დაკარგულ ქმარს, „ხედავ, როგორ დავეწინდი, შალვა, როგორ დავგლა-

ხაკდი, მაგრამ რა მექნა, შალვა, ვინ შეიძლება ყველაზე უკეთ გამოიყენონ, თუ არ რეპრესირებული და შემინებული, თან განათლებული და ნიგნიერი?!“ პოდა, წარმოიდგინეთ, გაბრაზდა თამარი და თავისდა გასაოცრად რევანში აიღო, შალვას დაპატიმრების შემდეგ, იმ უბედურების შემდეგ დღეს პირველად იგრძნო თავი ადამიანად, როცა მკაცრად და პირუთვნელად ყველაფერი მოახსენა გიგლას და არც აბუზულა, არც შემკრთალა, არც უკან დაუხევიდა. ჯერ პლაგიატზე მიუთითა, - თან მაინცდამაინც რუსი დემოკრატებიდან პქონდა ჩიქორთული თარგმანით გადმონერლი, - სჯობს ახლავე გაითვალისწინოთ, თორემ შრომის განხილვისას შეიძლება უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდეთო. მაგრამ გიგლას წარბიც არ შეუხრია, მეო, ქნო თამარ, ჩემი შრომები რომ შევკრიბო, ორიათასი გვერდი გამოვა და ამხელა ნაწერში კიდევაც რომ იყოს ვილაცის ორიოდე სიტყვა, ამას რა ისეთი მნიშვნელობა შეიძლება პქონდეს, წერილმანობაა ეს და მეტი არაფერიო. მერე იყო და უცხო სიტყვების გამო შეეკამათა: „რა არის ეს ანტრაშა და „გრიუერი“, პატივცემულო გიორგი, ან ეს გრიფა და ინგრედიენტი?“ აი, რა გინერიათ და გაშაგებინეთ რა შუაშია, რომ „ლენინის ეს სტატია ხელოვნების პარტიულობის შესახებ ბრწყინვალე ანტრაშააო?“ მე აედექი და ყველა ასეთი საჩოთირო ადგილები შევიცვალეთ...“ „ძალიან ტყუილად, თამარ, ძალიან ტყუილად“, - თქვა გიგლამ გაყინული ხმით, - „ამ სიტყვებზე მე იმდენი მიფიქრია, იმდენი, და თქვენ ერთი ხელის მოსმით გადახაზეთ?! მე პრინციპული კაცი ვარ, ქნო თამარ!“ „ან თუნდაც აი, ეს!“ განაგრძო ლამის ძველებური რიხით თამარმა, „ვერავითარ შემთხვევაში ლენინი

სტრადივარიუსს ვერ მოუსმენდა, ამიტომ გადავხაზე ეს თქვენი შეცდომა! თანაც აქ რამდენი ლაფსუსია, ქართულად სტრადივარიუსი უნდა იყოს და არა სტრადივარი.“

„ვითომ რატომ ვერ მოუსმენდა!“ – ახლა უკვე აპილპილდა გიგლა, და თამარმა გაიფიქრა: გიგლა-ნიბლას უმეცრება განსაკუთრებით ხმის მიმოქცევაში მცლავნდებო. მართლაც, ყოყლოჩინა კილო და ყალბი ჩაცინება თითქოს გაჯერებული იყო მდაბიორის უმეცრებით, – „ლენინი, ვისაც გნებავთ, იმას მოუსმენდა, გაგების უნარი დაუშლიდა თუ პიროვნების მასშტაბურობა?“ გიგლამ ცალი წარბი წყრომით ატყორცნა და თამარს ყელმოღერებით გადმოხედა.

„ჯერ ერთი იმით ვერ მოუსმენდა, რომ სტრადივარიუსი მუსიკოსი არ იყო...“

„ამას კი ვერ დაგითმობთ, თამარ!“ – გაიცინა გახარებულმა გიგლამ და თამარს ფამილარულად მხარზე ხელი მოუთათუნა, „სახელგანთქმული სტრადივარიუსის (დამითმია თქვენთვის, დამითმია), მუსიკოსობა მსოფლიოს პირზე აკურია, ამას თქვენგან არ მოველოდი, რაც მართალია, მართალია!“

„ჩემგან თუ სტრადივარიუსისაგან?“ – იხუმრა თამარმა, იქამდეც კი მივიდა, რომ იხუმრა და გაიცინა კიდევ. ლამის ძველებურად ჩაიკისკისა, თუმცა მყისვე შეკრთა და გაჩერდა.

გიგლა წამოჭარხლდა, მუყაოს ფარხმალი კი არაფრით დაყარა: „მოგტანთ ნიგნს და გაჩვენებთ, სადაც ეს სწერია, სადაც სწერია, რომ ლენინი განსაკუთრებული აღმაფრენით უსმენდა თქვენს მიერ უარყოფილ სტრადივარიუსს!“ – რალაც უცნაური შეუვალლობით წარმოთქვა გიორგიმ და თამარს ვითომ გოროზად თითი დაუქნია.

„აა, მივხვდი!“ – აღმოხდა შვებით თამარს, – „თქვენ შეგეძლოთ ნაგეკითხათ, რომ ლენინი უსმენდა სტრადივარიუსის სახელობის კვარტეტს, ანუ სტრადივარიუსის კვარტეტს, და ალბათ, ამ კვარტეტის მოსმენა უყვარდა ლენინს“.

„აი, ხომ ხედავთ!“ – მართლაც გიჟური შეუპოვრობით წამოიძახა გიგლამ.

„რა თქმა უნდა, ვხედავ, გიორგი, სტრადივარიუსი მეჩვიდმეტე საუკუნეში გარდაიცვალა და მუსიკალური ინსტრუმენტების სახელგანთქმული ოსტატი იყო“.

ახლა კი მართლა გაბრაზდა გიგლანიბლა: „მე, ქ-ნო თამარ, ზოგიერთებივით კაკაოებზე და გოგლიმოგლებზე კი არ ვარ გაზრდილი, მეე სამტრედია-ბათუმის მიმართულებით მატარებელში ტყეშალს ვყიდდი და რომ მომაგონდება ის პატარა, ფეხშიშველა ბიჭი, ვამაყობ, რომ დღეს-ხვალ დოქტორი უნდა გავხდეთ, აბაა!“ და თავისი გულისწყრომა რომ შეერბილებინა, ცალყბად გაიცინა და საგანგებოდ ტალღებად დალაგებულ ქოჩორზე ცერი და საჩვენებელი თითი მოხდენილად გადაისვა.

„ოჰ, შე იდიოტო, შენო, თავის გუნებაში შესძახა თამარმა, თქმით კი შემრიგებლურად უთხრა: „ახლა, ალბათ, უმჯობესი იქნება, თქვენ თვითონ ჩაულრმავდეთ ჩასწორებულ გვერდებს და რაც ეჭვს აღგიძრავთ და არ დაგაკმაყოფილებთ, ჩაინიშნოთ და გადმომცეთ, კარგი?“

„ოო, აუცილებლად, აუცილებლად!“ – შესძახა გიგლამ ხალისიანად და თამარიც გახალისდა, კარგ გუნებაზეც დადგა, პატიოსნად და პირნათლად მოიშორა ეს დისერტაცია და თავი ადამიანად იგრძნო. წინა რიგების პატარა მაგიდიდან, სადაც ისინი ისხ-



დნენ, მაღალ მოაჯირს იქით, გრძელ კარტოთეკიან მაგიდასთან გადაჯდა და მაშინვე ვაჭას საყმანვილო მოთბრობები გადაშალა, გიგლა ნიბლაძესთან ურთიერთობამ კიდევ უფრო მონაყურა ნამდვილი მუშაობა, რაკი იმ ქაობიდან ამოვედი, ახლა ხელს აღარაფერი შემიშლისო.

დღევანდელი დღე მართლაც კარგად იწყებოდა. რაც მთავარია, ნუხელ კარგად ეძინა, უებარი გამოდგა ლილის წვეთები, ამშვიდებდა კიდევ, კოშმარებიც მოუხსნა, უკვე რამდენი ხანია სვამდა და თანდათან გამოუკეთდა მდგომარეობა, გამოლევძებაც აღარ აშინებდა, ის კი არა, ამ დილით, სანამ საბოლოოდ გამოფხიზლდებოდა, ძილ-ღვიძილში, თავის დაუვიწყარ შალვაზე სიზმრისეული ფიქრის დროს, მიხვდა, ვისიც უნდა ყოფილიყო ის გერმანული ლექსი, ორიოდ დღის წინ, ანტიკური პოეზიის ანთოლოგიაში რომ იპოვნა და ნუხელ, ოთარის მოლოდინში, თარგმნა კიდევ. ეტყობა, საგანგებოდ ამოეღოთ რომელიღაც კრებულიდან და მერე კი ანთოლოგიაში ჩარჩენოდათ. თვალი ჩაავლო და მაშინვე ხელშეორედ მიუბრუნდა. ბოლო დროს ასე არაფერი მოხვედრია გულზე. ეს პატარა ლექსი, – შემცირებული სონეტი (ოთხი, სამი და სამი), – ხედმინეწვით გამოხატავდა აქაურ განწყობილებას, აქაურ განწირულებას, აი, სწორედ თამარის მიუსაფრობას. ჯერ სათაური რად ღირდა, „ველტენდე“ ერქვა. ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს ერთ ბედში მყოფი შორეული მეგობარი უწვდიდა ხელს, და ეს უცნობი მეგობარი აუცილებლად ქალი უნდა ყოფილიყო... ეული ქალი... თამარივით ეული და უპატრონო... განსაკუთრებით ერთი ფრაზა, რომელსაც სწორედ „ქალურ ფრაზად“ თვლიდა, ცრემლებამდე აღელვებდა:

„Du! wir wollen uns tief küssen“. ანტიკურ ანთოლოგიაში ჩასაკრავ თავფურცელს პაპიროსის ქალაღდს ანებებდა, თან ცალი თვალთ ისევ ლექსის სტრიქონებს დაჰყურებდა და ერთი სული ჰქონდა ამ გულსაკლავი გერმანული სიტყვებისთვის ქართული შესატყვისი მოენახა. ეგონა მაშინ კი მიხედებოდა, ვინ იყო ეს გერმანელი პოეტი ქალი. გარდა ინტერესისა, ცოტა არ იყოს თაკილობდა კიდევ, რას ჰქვია ვერ ვხედებო. ამ დილით კი, ძილ-ღვიძილში, შალვაზე ფიქრის დროს, მიხვდა ვინც უნდა ყოფილიყო ის ეული ქალი, ისევ წარსულის გახსენებამ და შალვაზე ფიქრმა ამოაცნობინა, უფრო სწორად, მოაგონა... ფეხშიშველა გარბოდა მცხეთის ბაქანზე... გული ამოვარდნაზე ჰქონდა... და უხაროდა... ეს არ იყო ის საშინელი სირბილი, კოშმარების დროს რომ დარბოდა ხოლმე და შალვას ეძებდა, არა, პირიქით, შალვას შესახვედრად გარბოდა... როგორ არ არწმუნებდნენ რა სისულელეაო, რა გაგიჟებააო, ერთი საათის შემდეგ მატარებელი აქიქნებოა, ამდენი ხანი მოგიცდია და ერთ საათს ველარ მოიცდიო?! ვერა, ვერა, ვერ მოიცდიდა ვერც ერთ წუთს, მარტო უნდა შეხვედროდა, ამდენი ხნის უნახაობის შემდეგ, ყველასაგან განცალკევებით უნდა შეხვედროდა! პატარა ოთარიც კი არ წამოიყვანა! მხოლოდ თვითონ უნდა ყოფილიყვნენ! არავის, არავის არ უნდა შეეშალა ხელი მათი შეხვედრისთვის! ახალი კაბა ჩაიცვა, უნახისფერი აბრეშუმისა, საგანგებოდ შეკერილი, შალვას გერმანიიდან დაბრუნებისთვის, და ახალი ფეხსაცმელები. თითქოს სულ არ უჭერდა ეს ფეხსაცმელები, სრულებით არ უჭერდა, ერთი-ორჯერ იქამდე უკვე ეცვა კიდევ. მაგრამ მატარებელმა ძალიან დაიგვიანა, მცხეთის სადგურზე შე-

მოსვლისას შორს გაჩერდა, გაჩერების ვადა სამჯერ შეამცირეს და თუ თავპირის მტვრევით არ გაიქცეოდა, არა თუ შალევას ველარ შეხედებოდა, არამედ მეორე დილამდე აქ მოუხდებოდა ჩარჩენა. ჯერ ძლივს მიიკლაკნებოდა, იხტიბარს არ იტეხდა, მერე კი იძრო ფეხსაცმელები და მიუხედავად ფეხების ტკივილისა, ლამის თავქუდმოვლევით გაიქცა. მერე კი იდგნენ ვაგონის გასასვლელში, გადახვეულები და ერთმანეთს კოცნიდნენ... აი, ისე ლექსში რომ იყო ნათქვამი.

კუპეში, მაგიდაზე გერმანული ფურნალი იდო, გადაშლილი, გერმანიიდან ჩამოყოლილი. გზაში კითხულობდა თურმე, რომ იცოდნო, უთხრა, შესანიშნავი პოეტი ქალის ბალადებია ამ ფურნალშიო. საკარნავალო კოსტუმში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი სანოტო პულტთან იდგა და ფლეიტაზე უკრავდა, ფოტოს ქვეშ კი ორი ებრაული ბალადა იყო დაბეჭდილი. რა საოცარია, მას შემდეგ ის გერმანული ლიტერატურული ფურნალი აღარ უნახავს, კუპეში დარჩათ თუ გზაში დაკარგეს არ ახსოვს, და აი, ამ ძილვიძილში ამოუტივტივდა მაშინ ნაკითხული ერთ-ერთი ბალადის სიტყვები: „O Gott, schließ um mich deinen Mantel fest...“ ჩურჩულით იმეორებდა და დახუჭული თვალები ცრემლებით ევსებოდა, მაგრამ გაღვიძების მაინც აღარ ეძინოდა. სანამ წვეთები გამთავებია, ლილის რეცეპტი უნდა განვაახლებინოვო, გაიფიქრა. არა, მარტო ლილის წვეთებში არ იყო საქმე, წყალნალებულს და ხავსჩაჭიდებულს როგორც კი საშველად ჩამოაწოდეს ხელი, როგორც მისცეს საშუალება სული მოეთქვა და იძულებით შეწყვეტილი საქმეც გაეგრძელებინა, – კვლავ ვკითხა და კვლავ ენერა, კვლავ ეგრძნო თუ რა ბუნებრივია მისთვის მხატ-

ვრულ სიტყვასთან ურთიერთობა, – მაშინვე იმედიც დაუბრუნდა, ცხრა მთას იქით გადაკარგული, ტყვეობიდან გამოქცეული ძალღივით, ყელზე შერჩენილ, გაგლეჯილ საბელს რომ მოათრევს. მანამდე კი, მთელი ნახევარი წელი ცხვირწინ უჯახუნებდნენ კარებს, მავნებლისა და ხალხის მტრის ცოლი ხარო! თურმე შალეა იყო მავნებელი, თითოთ საჩვენებელი მეცნიერი, რომელსაც ამ ეგრეთწოდებული მავნებლობისთვის თვითონ ხომ საკუთარი სიცოცხლით უნდა ეგო პასუხი და ოჯახის წევრებსაც არ უნდა დადგომოდათ კარგი დღე.

ქმრის დაპატიმრების შემდეგ ფურნალიდანაც დაითხოვეს და ნიგინც ამოუგდეს. ბინიდან ხომ მაშინვე გამოასახლეს და თავის ჩვიდმეტი წლის ოთართან ერთად მთანმინდის უბნის ბნელ ფურლმულში შეასახლეს. მკვლელები! დაელაზე მოთარეშე შარავ ზის ყაჩაღები! ლილი კიდევ სერიოზულად არწმუნებდა: უფალს მადლი უნდა შევნიროთ, რომ ჩვენც არ გვიკრეს თავი და ჩვენი შვილები სულ არ დააობლესო.

რატომ, რატომო!! რისთვის, რა დავაშავეთო!! ასჯერ, ათასჯერ, უთვალავჯერ იმეორებდა, გონებას უბურღავდა და სულს უხუთავდა ეს კითხვები.

გაუმწარდათ ცხოვრება, გაუჯახირდათ, ჯერ იყო და რაც შემორჩა ყველაფერს ყიდდა, ციხის ამანათებისთვის, ბიჭის სარჩენად. ეცოდებოდა შვილი, ზოგავდა ოთარს და თვითონ მთელ დღეებს რიგებში ატარებდა, უგრძეს, უხანგრძლივებს, ვარამითა და კვნესით სავსე რიგებში. მოდიოდნენ ლამის ქვეშაგებით და მზად იყვნენ სულის ამოხდომამდე ყოფილიყვნენ, ოღონდ კი ამანათი შეეგზავნათ, ოღონდ კი ამბავი გაეგოთ, ხან ზევით, დიდ, ყვითელ სახლთან, რომლის ბნელ



თაღებქვეშ, ბნელ ჯურღმულებში, ვინ მოთელის, რამდენი ადამიანი გმინავდა; ხან ქვევით, ორთაჭალის ციხესთან, რომლის მკვიდრად ნაგებ, სქელ კედლებზე ამბობდნენ: ალბათ, რეზინისაა, თორემ ამდენ პატიმარს როგორ დაიტევდაო; ხან კი აქოთებულ მალაზიებთან იდგა ჩამონყვეტამდე და ჯერ იმის გამო იხეთქავდა გულს, შემხვედებოდა თუ არ შემხვედებოდა, და მერე, თუ შეხვედებოდა, ცხრაჯერ უნდა აენონდა ენონა და კაპიკები გულდასმით, ბეჯითად გადაეთვალა: ასი გრამით მეტი ეყიდა, თუ ასი გრამით ნაკლები. ქუჩაში სიარული ხომ შესჯავრდა და შესჯავრდა, ბევრს ისე ეჭირა თავი, ვითომ ვერ სცნობდნენ, ბევრიც ამკარად არიდებდა თვალს, ზოგს კი თვითონ თამარი ველარ იტანდა. იმ საშინელი ამბის შემდეგ კი, მირიან ლალიძეს რომ შეხვდნენ, რუსთაველზე აღარ გაუვლია, ერთი გაჩერებით ადრე ჩამოდიოდა, გრიბოედოვის აღმართს აივლიდა, შუკებითა და კიბეებით ავიდოდა სასამართლოს ქუჩაზე და ისე გასწევდა თავის ახალი სადგომისაკენ. ოთარის გამო უფრო დაეტანჯა გული, ბიჭმა ადამიანის რწმენა მთლად არ დაკარგოსო. ვერ მიხვდა ოთარი, სრულიად ვერ მიხვდა, მისდევდა და ეძახდა „ძია მირიან, ძია მირიან!“ მირიანი კი გარბოდა. ცნობილი პოეტი, შალვასი და თამარის ამხანაგი, ლილის დის, მარიკოს, ქმარი – მირიან ლალიძე, სადღეგრძელოს რომ ვერავინ იტყოდა ისე... ესთეტი... საგანგებოდ რომ იცვამდა და საგანგებო თმავარცხნილობას იყენებდა... გულსაკლავი იყო... აგვისტოს ბოლოს, ოთარი იმ დღეს დაბრუნდა კახეთიდან, ახმეტაში სახერხზე მუშაობდა მთელი თვე. სადგურიდან ბრუნდებოდნენ სწორედ. ცოტა ფეხით გავიაროთო, ისე მომენატრა რუსთაველზე გავლაო. ოპერის პირ-

დაპირ სადალაქოდან გამოდიოდა, ახლად გაპარსული, კობტად შეკვერცხილი თმით. „დედა, ძია მირიანი! ძია მირიანი! ძია მირიანი!“ ძია მირიანი კი გარბოდა და ოთარს არ სჯეროდა, რომ მათ გაექცა. გაცოცხლებული უყურებდა, როგორ გარბოდა... ყველაფერი აოცებს, ბავშვივით... „რა საოცარია, არა, დედა?! ჩემო მამულო, შენზე ვფიქრობ მე დღედაღამე! როგორ ფიქრობ, დედა, ჩვენ არ შევდევართ მამულის ცნებაში?! თუ მხოლოდ სოფლის ფშა და შორეული სახე თამარ მეფისა?!“

ყველაზე საცოდაობა თითქოს მაინც ის იყო, რომ მთვარესავით გაბადრული სახე ჰქონდა, წმინდად გაპარსული მსუქანი ლოყები, თეთრყირმიზი და სალუქი, ხელში კი ახლად გაშლილი გრძელღეროიანი ვარდი ეჭირა, ნითელი ხავერდის ვარდი, პიონერული პანია ალამივით გმირულად მთარბენინა უშიშროების ზონამდე, სადაც ველარ მისწვდებოდა ოთარის ძახილი. ცნობილი პოეტი. ერთი პირლია ვინმე მაინც შეხედავდა ალტაცებით: როგორ უბრალოდ გამოვრბოდაო... ტრამეისის პატარა ბიჭივით შეახტაო... უბრალო ვილაცასავითო... ახალგაზრდული სილალით და სიხალისითო.

არ არსებობს უშიშარი ზონები არა, არა! ვერ უშველა სირბილმა, იმის შემდეგ შეიძლება სამიოდ გარბენალა მოასწრო. თამარი კი იმის შემდეგ სულ თავჩალუნული დაიარებოდა, ქუჩამ საბოლოოდ დაკარგა მისთვის მიმზიდველობა. განსაკუთრებით რუსთაველი... რა ანდამატი ჰქონდა... როგორ უყვარდათ თამარსა და შალვას რუსთაველზე გავლა... ოპერის შემდეგ დაპატიყვებდნენ ლილისა და ირაკლის ორიანტში და მერე აუცილებლად ფეხით გამოუყვებოდნენ სახლისკენ... რამდენი ნაცნობი ხვდებოდათ, რამდენი ახლობელი... ყოველ ნუთს სა-

ლამ-ქალამი, შეჩერება, მოკითხვა, სიტყვის გაზიარება... ირაკლიმ ბორისი რომ იმღერა ისე დიდებულად. ტაში არა და არ წყდებოდა, ზუთჯერ გამოიყვანეს თავის დაკვრისთვის, ულოცავდნენ და ულოცავდნენ... ტანმომცრო ლილი ყვავილებში იყო ჩაძირული. ირაკლის საპირფარეშოში დატოვეს ყვავილები, წყლიან ვედროში, ხვალ წამოვიღებო; ლილიმ ერთი თავი იგული, დიდებული გიორგინებისა, თამარს გადასცა, თვითონაც თავმომწონედ მიიხუტა გულზე ვარდების კონა და ვახშმად წავიდნენ. შალვა ეხუმრებოდა ირაკლის: ამოდენა ბორისის შემდეგ, ახლა შენ ერთი ინდაური არ გეყოფაო. ინდაური არა, მაგრამ კიევურ კატელეტებზე კი უარს არ ვიტყვდიო და მართლაც, ორი პორცია შეჭამა, ლილის პროტესტის მიუხედავად. იმ ღამეს მაინც რამდენი ისეირნეს... ლილიმ მოითხოვა: ამხელა სპექტაკლისა და ასეთი ვახშმის შემდეგ აუცილებლად გზა უნდა გავიგვრძელოთო და ორიანტიდან მოედანზე გავიდნენ და იქიდან მთელი რუსთაველი ფეხით გამოიარეს... რა შესანიშნავი იყო რუსთაველი... ისეთი მშობლიური... ისეთი ინტიმური... თითქოს ყველაფერი, ქუჩაც, სახლებიც, ხეებიც, აღერსიანად გელამუნებოდა... ახლა კი... ახლა... თვითონ დარბეულსა და აკლებულს, რუსთაველიც და მთელი ქვეყანაც გვერანებული და მოუსაფარი უჩვენებოდა, სისხლის ცრემლებით მტირალი... სწორედ ასეც უთხრა მარიკომ, არა, კი არ უთხრა, შესტირა, უმწეოდ, სასოწარკვეთით, ხელების მტვრევით: სისხლის ცრემლებით ტიროდა მირიანო.

თამარს და ლილის კი არ დასცალდათ გულის მოხება, მოირბინა ქეთინომ და ორივეს სიტყვა პირზე შეაპრა, დამცინავი, გასაბიბრუებელი, სულის მოსათქმელი სიტყვები; გამტკნარე-

ბულები შეაჩერდნენ ერთმანეთს, მერე მოწყდნენ ადგილს და მარიკოსთან გაიქცნენ, ჩანთაში კი ვალერიანის შუშებს ჩხარაჩხური გაუდიოდა. „კარგად ყოფილა შენი საქმე, იმ კომპარებისა და სიზმრების შემდეგ ვალერიანი თუ გშეელისო“, ლილიმ უთხრა, „მე გამოგინერ შესანიშნავ შემადგენლობას, დაგაძინებს, დაგამშვიდებს და კომპარებსაც მოგიხსნისო, მე თვითონ ამით მიდგას სული, ბ-მა პეტრემ მასწავლაო“. მართლაც, ძალიან ჭირდებოდა ასეთი წამალი, თუნდაც იმისთვის, რომ ოთარი აღარ დაეფეთიანებინა თავისი განწირული ძახილით. წამოვარდებოდა მაშინვე შეშინებული ბიჭი, დაადგებოდა თავზე, დააღევიწებდა ვალერიანის წვეთებს, ჩამოუფდებოდა საწოლზე...

ლილი წამდელი გაჭირვების ტალკეესია. ის იყო აფთიაქიდან უნდა გამოსულიყო, ლილის მოპკრა თვალი, პალმის ძირას სოკოსავით შეყუჟულიყო, აღარც მშვენიერი ქალის ყელმოღერება, აღარც კარგი პროფესიონალის დამოუკიდებლობა, აღარც ცნობილი მომღერლის ცოლის თავმონობა, იდგარაღაც საცოდავად აბუზული და აფთიაქის შემინულ კედელს მიშტერებოდა... ცხადია, ოპერისკენ აღმაცერად იყურებოდა, სამოთხიდან გამოდევნილი ვეგასავით. თამარს კი ნინალამით ცუდი სიზმარი ენახა, მთელი დღე მონამლული დაიარებოდა და ლილის მაშინვე ის უთხრა: რამე ხომ არ გაგიგია ჩვენი პატიმრებისო, სიზმარი ენახე ცუდიო. ოჰ, შენა და შენი სიზმრებიო, სწორედ ოთარივით უთხრა ლილიმაც, იცოდე, თუ სიკვდილი ნახე ვინმესი, ეს ძალიან კარგია და შებრუნებით ასრულდებო. გააჩნია სიკვდილსო, ღამის ამოიკენესა თამარმა და მაშინვე თავისი სიზმრის მოყოლას შეუდგა... ვითომ ცარიელი იყო



რუსთაველის პროსპექტი, არც ტრამ-
ვაი, არც მანქანა, არც ეტლი... და ჩა-
მაველი მზის შუქით განათებული, უც-
ნაური, გაცრიატებული შუქით... ტრო-
ტუარებზე აქეთ-იქით ხალხი იყო ჩამ-
ნკრეივებული, მაგრამ სიჩუმე იყო ჩა-
მონოლილი, არავინ ხმას არ იღებდა,
გვგონებოდათ, ძალად მოყვანილი
ხალხიაო. არადა, ვითომ ვილაც ცნო-
ბილ ჟონგლიორს დიდი ატრაქციონი
უნდა გაემართა. თამარს კი ეშინოდა,
ოპ, როგორ ეშინოდა, ეხვეწებოდა
შალვას, ნავიდეოთ, ლილისა და ირაქ-
ლისაც სთხოვდა, არ გვინდა ეს ატრაქ-
ციონიო, არ გვინდაო, გული ცუდს
მითქვამსო. „რა არის თამარ“, უკმაყო-
ფილოდ ამბობს შალვა. „შენ ბოლო
დროს გული სულ ცუდს გითქვამს“.
„მართლა, თამარ, თუ რამე საშიში იქ-
ნება და აი, ოპერა, შევალთ და ეგ იქ-
ნება.“ ამშვიდებს ირაკლიც. აგერ ჟონ-
გლიორიცო, დიძახა ლილიმ და მარ-
თლაც, შორს, შუა პროსპექტზე, თით-
ქოს მიწიდან ამოიზარდაო, ისე აისვე-
ტა შეე ფრაკში გამოწყობილი, შეე ცი-
ლინდრიანი ელვგანტური კაცი, მან
ხელში ჯოხი აღმართა და შუა ხაზზე
გამოსრიალდა... სხარტად მოსრია-
ლებდა, მოცეკვავდა, პირუტებს აკე-
თებდა, ჯოხს ათამაშებდა... ანაზდად
ჯოხი დაგრძელდებოდა, დაგრძელე-
ბოდა, ნითელ ბაფთად იქცეოდა, რკა-
ლებად გაიკლაკნებოდა ჰაერში,
თვალნარმტაც ფიგურებს მოხაზავდა,
მერე ისევ დაპატარავდებოდა, დამოკ-
ლდებოდა, ისევ ჯოხად გადაიქცეო-
და... „ღმერთმანი, შალვა, ასე ჩაცმუ-
ლი რომ არ იყოს, ნამდვილად ქაჯი მე-
გონებოდა...“ ამბობს თამარი. „ქაჯი
რასაც გინდა, იმას ჩაიცვამს, თამარ.“
„რას ამბობ, შალვა, ვეფხისტყაოს-
ნის“ ქაჯს შეიძლება ფრაკი სცმოდა?“
„ოოპ, რა შუაშია „ვეფხისტყაოსანი“,
როცა ეს ჩვენი, საბჭოთა ქაჯია...“

„ნავიდეოთ, შალვა, გეხვეწები ნავი-
დეოთ“. „მთავარი ატრაქციონი უხლა
ინყება, თამარ“

„მთავარი ატრაქციონი მთავარი
ატრაქციონი“ ისმის ხალხში. ჟონგ-
ლიორი უკვე მოუახლოვდა ხალხს და
ჯოხი შემართა. თამარი შალვას ეკვ-
რის და თან თვალი ვერ მოუცილებია
ჟონგლიორისთვის, რა საოცარია, მკა-
ფიოდ, მკაფიოდ ხედავს ჯადოქრუ-
ლად აელვარებულ ყვითელ თვალებს
და ამ სიყვითლეში შავად ამონვერილ
გუგებს. ჟონგლიორი თვალებს აქეთ-
იქით ატრიალებს და ხალხს ჩაცვივით
ათვალიერებს... ხალხი კი დგას გამტ-
კნარებული და შეკყურებს, რა მოხდე-
ბა... აგერ ჯოხი ისევ დაგრძელდა და
უსაშველოდ გრძელ ბუზების სახო-
ცად იქცა. დატრიალდა ჟონგლიორი
და ხან აქეთ გამოაშხუილა ბუზების
სახოცი, ხან იქით, ხან აქეთ, ხან იქით,
თან გახარებული თუ ალტყინებული
მალაყებს გადადიოდა, ბუქნაში ამო-
დიოდა, მერე კი ისევ ინყება თავის
წმინდა საქმეს. ვისაც მოხედებოდა
ბუზების სახოცი, ავილზე შემდებოდა
და სულ მალე, რუსთაველზე მკვდრე-
ბის ტყე აღიმართა, ფეხზე მდგომი
მკვდრებისა. „მე უქიმი ვარ და დამიჯე-
რე“, ეუბნება ლილი ჩვეულებრივი კი-
ლოზი, ვითომც აქ არაფერიო,
„მკვდრებს არაფერი ეშველებათ, ხომ
ხედავ, შალვაც, ირაკლიც მკვდრები
არიან...“ „შალვა, შალვა, შალვა!“ მაგ-
რამ შალვა აღარც ხმას იღებს და შუ-
შის თვალებითაც ველარაფერს ხე-
დავს. „ნავიდეოთ, თამარ, ნავიდეო! ლი-
ლი ხელს ჰკიდებს თამარს, მკვდრებს
გამოარიდებს, მერე კი ისევ ისეთი გა-
ნურჩეველი კილოთი ამბობს: „ირაკ-
ლისაც თვალები ღია დარჩა, ანუ რო-
გორც პოეტი იტყოდა: მათ ვახელილი
დარჩათ თვალები“. „გაჩერდი, ლილი,
გეხვეწები გაჩერდი...“ გუუბნებოდი,

ლილი, და ისე ვტიროდი, ისე ვტიროდი, ასე მეგონა გული გამისკდება...“ დაამთავრა თამარმა თავისი სიზმრის მოყოლა. „აი, ხომ გეუბნებოდი, თამარ, ძალიან კარგი სიზმარი გინახავს, ვისაც გინდა ჰკითხე, თუ სიზმარში სიკვდილი სიცოცხლეს და ბედნიერებას არ ნიშნავდეს, ის ყოველივე კიდეც, ოპერის მეფისტოფელი გინახავს და ეგ არის, ირაკლის ხომ სწორედ მასე ეცვა, მეფისტოფელს რომ მღეროდა, ისე რომ გული შიგნით და თავი მაღლა!“ „ლილი, ჩემო ლილი“, გული მოიცა თამარმა, რა კარგია რომ სწორედ დღეს შევხვდით ერთმანეთს“.

ლილი კი თურმე ქეთინოს უცდიდა. „მირიანს მე რომ დავეხახე, ალბათ, ფანჯრიდან გადახტებოდა და ქეთინო მაინც ბავშვია, რა ვქნა, აიჩემა ბელა მომენატრაო, ხომ იცი, როგორ უყვართ ერთმანეთი, დებივით შეზრდილი არიან და ნამოვიყვანე, იქ არის ახლა, მათთან... მარიკო გიყვება, მაგრამ ვერაფერი გაუნყვია...“ ეუბნებოდა ლილი. „საწყალი კაცი“, დამცინავად გაიღიმა თამარმა, „ვერც გაამტკუნებ, გამსჭვალულია შეგნებით, რომ პოეტის სიცოცხლე ხალხს ეკუთვნის, ამიტომ მთელი არსებით ცდილობს ერსა და სამშობლოს როგორმე თავი გადაურჩინოს...“

ლილიც ნამოყვლეულავდა, თავი ადამიანად იგრძნო, ძველებურად დააკვესა მშვენიერი იისფერი თვალები: „შავისი პოეტობა აქ აღარსად ეტყევაო, თავის ლექსებიანად ირაკლის ფრჩხილად არ ღირსო და რაც ირაკლი დაიჭირეს, ერთხელ არ მოსულა ჩვეთან, ერთხელ არ ვუკითხივართო...“ „მეც ახლა გამეხილა თვალებიო“, ბანი მისცა ლილის თამარმა, „თუმცა ყოველთვის ვიცოდი, რომ ხუთი თითიც მეტია შავისი შედარებით ხეირიანი ლექსების ჩამოსათვლელადო, მაგრამ

თვითგანდიდების ნამდვილი ოსტატია და პირლებს კიდეც რა გამოლევს ქვეყანაზეო...“ ლილი ლამის ჩაკუჭკუჭდა: „მარიკოს თავისი ქმარი მეორე პეტრარკა ჰგონიაო, და სხვას რაღა უნდა მოვთხოვოვო...“ პირი პირს ჩააბეს, გახალისდნენ, გული მოიხიეს, ერთმანეთი მოასულდგმულეს... მაგრამ არ დასცალდათ და არც შეერგოთ, შემინული ვიტრინიდან ქეთინო დაინახეს, თავქუდმოგლეჯილი მორბოდა, განვნილ თმებს მოაფრიალებდა, განვნილ ხელში კი ბაფთა ეჭირა... აფთიაქის კარს ჯახანი გაადენინა: – „ძია მირიანი დაიჭირესო, დეიდა მარიკომ მე და ბელა ძია ილიკოსთან გაგვგზავნაო, შენთან დამაბარა, ჩქარა ნამოდიო. ძია ილიკო სახლში არ დაგვხვდა და ნეტავ იმასაც ხო არ დაიჭირდნენო, იმიტომ, რომ არავინ არ იყო სახლშიო... დეიდა მარიკო კიდეც ტირის, ტირის, ტირისო“.

თამარი და ლილი ერთმანეთს შეაჩერდნენ... მერე კი მოსწყდნენ ადგილს და მარიკოსთან გაიქცნენ. აი, სწორედ მაშინ შესტირა მარიკომ: თქვენთან შეხვედრის შემდეგ გულის შეტევა დამართა მირიანსო. ყველაზე მეტად რამ შეაძრწუნა თამარი და ლილიმ აიჩემა, ბარემ რეცეპტს გამოეწერო, ჩემს შემადგენლობას გამოეწერო და მირიანის საწერ მაგიდაზე ბროლის დიდი სამელნეც და პატარა სამელნეებიც დამშრალი იყო, სრულიად დამშრალი... მელნის ნასახი არ ამოყვია კალმის ნვერს. იდგა და ენაჩავარდნილი დაჰყურებდა დამშრალ სამელნეებს... სხვა არაფერი გაჰკვირვებია, არაფერს შეუძრწუნებია... რა თქმა უნდა, ანეწილი ბინა, გაჩხრეკილი და გაუპატიურებული, მძიმე დასანახი იყო, მაგრამ ეს ყველაფერი მომხვედრების ნამოქმედარი იყო, მომხვედრების აკლებული და ძირს დაცემული...



მარიკო გაუბრაზდა თავის დას: რა დროს რეცეპტის გამოწერაა, ვერ ხედავ რა ხდებაო, მაგრამ ლილიც არ შეეპუა, აგერ თამარს კომპარები სტანჯავს და თურმე ვალერიანის ანაბარად არისო. მარიკოს ისევე გადმოსკდა ცრემლები: ოთხი თვეა უბრალოდაც არ მიპკარებია საწერ მაგიდასო, ერთი სიტყვა არ დაუნერიაო... ათი წლის ბელამ ამოათრია წიგნების ქვეშ მოყოლილი თავისი ჩანთა, ამოიღო მოქსოვილებუდიანი მონაფის სამელნე და ლილიმ მაინც გამოუნერა თამარს ის თავის შემადგენლობა.

... ბოლოს მაინც გამოუნოდეს ხელი, აღარ მიუჯახუნეს კარები.

უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი თარგამაძემ, ივაჟკაცა, არც სპეცგანყოფილების ფხიზელ თვალს მოერიდა, არც პარტიისა და კომკავშირის კომიტეტებს შეეპუა, გაისარჯა, გადადო თავი და უნუგეშოდ დარჩენილი მთარგმნელი ქალი, თავიანთი რეპრესირებული პროფესორის ცოლი, უნივერსიტეტში მიიღო სამუშაოდ. მართალია, გიორგი თამარისთვის უბრალოდ გოგი იყო, შალვას კარგი ახლობელი, ისინი ერთად იყვნენ მიუღიანებული გერმანიაში, უნივერსიტეტშიც ერთად მოღვაწეობდნენ, გოგომ შესანიშნავად იცოდა შალვას ფასი და მის დალუპვას აუნახლაურებულ დანაკლისადაც თვლიდა ჩვენი მეცნიერებისათვისაც და უნივერსიტეტისთვისაც, მაგრამ ამ გაგანია რეპრესიების დროს, ამ ფაშინობაში ნამდვილგმირობას უდრიდა მავნებლისა და ხალხის მტრის ცოლის სამუშაოზე მიღება; თანაც სადა, იმავე დანესებულებაში, მომავალი თაობის ერთ-ერთ დიდ სამჭედლოში, სტუდენტთა ბიბლიოთეკა-სამკითხველში.

თამარისათვის გაიღო სწორედ ის კარი, რომელიც შალვასთვის საბო-

ლოოდ დაიხურა. ერთ დროს წარმატებული მეცნიერი კინისკერით გამოდევნეს უნივერსიტეტიდან, და მაშინ გოგომ ვერაფერი გაანყო. ვერც აბსურდული ბრალდებებისაგან დაიცვა, ვერც ლანძღვა-გინებისაგან დაიფარა. ახლანდელი თავგამოდებაცო, მწარედ ფიქრობდა თამარი, ალბათ, სწორედ იმ ამბებმა განაპირობაო. და როგორი მძიმე არ უნდა ყოფილიყო აქ მოსვლა, მაინც ნამდვილი ხსნა იყო მუშაობის დაწყება და დაკარგული სოციალური სტატუსის აღდგენა, ნაწილობრივ მაინც.

პირველად რომ შემოვიდა მზითა და სინათლით სავსე, რაც მთავარია, უამრავი წიგნით სავსე იმ დიდ დარბაზში, მღელვარებისაგან სული შეუგუბდა, შემკრთალი და აწურული გაჩერდა კარებთან... ყველაფერი წაართვეს, მაგრამ ყველაზე მწარედ წიგნების წართმევას განიცდიდა. სხვა აღარაფერი ადარდებდა, სურათებიც კი აღარ, მხოლოდ წიგნებს მიაშტკვნებდა გულს და ასე ეგონა, როგორც შალვას დალუპვას ვერასოდეს ვერ მოინელებდა, ისე თავიანთი ბიბლიოთეკის წაგლეჯასაც ვერა და ვერ შეეგუებოდა. შეუპოვრები გამოდგნენ ის ბიჭები, ბინის დასალუქად რომ მოვიდნენ; სამნი იყვნენ, ახალგაზრდები და შროიანები, ახალ ფორმებში გამოწყობილები, თვითონაც ახალბედები ჩანდნენ, სოფლელი აქტიური კომკავშირელები, დარწმუნებულები, რომ მტრის ბუნაგში მოხვდნენ და განუბრელად უნდა შეასრულონ ყველა უღმობელი მითითება, თან ერთმანეთის წინაშეც თავი გამოიღონ. მიუხედავად თავისი გაჭირვებისა, თამარს მათ გამო მაინც დასწყდა გული, ორასი წლის წინ ოთარი და ეს ბიჭები ერთად წავიდოდნენ მტერთან საბრძოლველად, ახლა კი მათ შორის ენკავედეს გამოთიშველი კე-

ქრონოსში
ნიმფები

დელი აღმართულაო... ოთარი ახალი მოსული იყო სკოლიდან, კვერცხებს თქვეფდა თამარი, ერბოკვერცხი უნდა გაეკეთებინა და იმ ერბოკვერცხის შეჭმაც არ დააცადეს ბიჭს, ისე აჩქარებდნენ, თქვენისთანებთან დღეს ბარემ თხუთმეტთან უნდა მივიდეთ და თუ ყველამ ერბოკვერცხების ჭამა დაინყო, კარგი დახლიც დაგვიდგებაო.

პირველი რა გააკეთეს და მოსვლისთანავე დაკეტეს კედლებთან მიჯრით ჩამწკრივებული ნიგნების კარადები და გასაღებები ჯიბეში ჩაიდეს. გადირია თამარი, ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა ყოფილიყო უამნიგნებოდ, როგორ უნდა ემუშაე, როგორ უნდა ეარსება... მაინც სამართლიანობას ეჭიდავებოდა: შალვა იმდენად სპეტაკი და უდანაშაულოა, იმდენად საჭირო ადამიანია, აუცილებლად გარკვევენ ყველაფერს და გამოუშვებენო, ამასობაში კი ჩვენი ბიბლიოთეკა რომ გაიფანტოს, შალვას ნიგნები გაწენ-გამოინენოს, რალა ექნა მერე და შალვას რა პასუხი გავცეო. იმ ფორმიან ყმანვილებსაც ეს უთხრა, თან გულუბრყვილოდ გააფრთხილა: იცოდეთ, მერე თქვენთვისე უარესი არ იყოსო. სიცილადაც არ ეყოთ, მადლობა თქვით, რომ, როგორც მავნებლის ცოლი, ვერ არ მიუბრძანებხართო, თქვენისთანა მეტმეცნიერები არიან სწორედ კაპიტალიზმის დაქირავებული აგენტებიო...

თამარს ენა მუცელში ჩაუვარდა, აღარც არაფერი უთქვამს. უჭუმარი პირით შეუდგა პირადი ნივთების შეგროვებას... ამასობაში ოთარი სარდაფში ჩასულიყო მაფრაშების ამოსატანად...

ფორმიანი ბიჭები ფხიზლად ადევნებდნენ თვალს დედა-შვილს, არიქა და ხელს ისეთი არაფერი გააყოლონ, რისი უფლებაც არა აქვთო. კაცმა რომ

თქვას, არც არაფრის უფლება არ ჰქონდათ, ლოგინისა და პირადი ნივთების გარდა, შოდა ისინიც, იატაკზე ჩაჩოქილები, მაფრაშაში ალაგებდნენ ქვეშაგებსა და საცვლებს...

თამარს ბოლმისაგან ხელები უჩერდებოდა, ყოველ წუთს მზად იყო ცრემლები წასკდომოდა... სასონარკვეთილი გახედავდა ხოლმე ნიგნებს, შალვასი და თავისი ხელით კობტად ჩარიგებულს კაკლის ხის მოჩუქურთმებულ, ოქროსფერ კარადებში, ცხადია, ვიღაცას ჰქონდა დადგმული, თვალი ჩვენს ბიბლიოთეკაზეო, გაიფიქრა და ერთბაშად ტყეისათვის შემოეჯარა ეს ნიგნები... ყოველი მხრიდან... სხვა ველარაფერს ხედავდა და აღარაფერი უნდოდა ამ ნიგნების მეტი... რომელი ერთი ეჩივლა, რომელი ერთი... ლექსიკონები და ენციკლოპედიები, მთელი ორი კარადა, ლამის ყოველდღიურად რომ სჭირდებოდა? თუ შალვას ძვირფასი ბიბლიოთეკა ეკონომიკასა და ფილოსოფიაში, პეტერბურგიდანა და გერმანიიდან გამოგზავნილი და ჩამოტანილი? და პოეზია და ბელეტრისტიკა? რა უნდა ექნა, რა ნყალში გადავარდნილიყო?! ისინი ხომ ადრე სიყმანეილიდან ნიგნების გაუთავებელ ჩუქებაში იყვნენ. გაფოთილი, რომანტიკული წარწერებით, ძახილის ნიშნებით და მრავალწრივებით, სანუკვარი მოგონებების ქარაგმული მინიშნებითა და დაშიფრვით... თანდათან ეს წარწერები სადა, უბრალო და ლაკონური ხდებოდა და როდენ ბევრის მომცველი იყო, ბევრის კი არა, მთელი სიცოცხლის და მთელი მათი ურთიერთობის, სწორედ ეს ორი სიტყვა „ჩემს შალვას“ და „ჩემს თამაროს“, ბოლოდროინდელ საჩუქრებს სახელდახელოდ რომ მიანერდნენ ხოლმე...

ეს ყველაფერი უნდა დაეტოვებინა...



რისთვის... ან ვისთვის...
ვის უნდა ენენა მათი ნიგნები, ვის...
თურმე რა ამაოდ ფიქრობდნენ ორი-
ვენი, რომ მათი ნიგნები, სწორედ წარ-
წერებრივი ნიგნები მათ შვილიშვი-
ლებს უნდა დარჩენოდათ, ანცი ღიმი-
ლით ჩაეყოლებინათ თვალი ამ გა-
ფურჩქნული წარწერებისთვის, უყუ-
რე, პაპას და ბებუას როგორი აღმაფ-
რენით ყვარებით ერთმანეთიო!? დაე,
გაცივინათ, თუნდაც, გულიანად გას-
ცივებოდით, მათ შორის ვინმე მაინც
აღმოჩნდებოდა იმისთანა (შალვას და
თამარის გულისთქმა არ დაიკარგებო-
და, არა), ვინც სხვაგვარი გულისყუ-
რით მოექცეოდა ამ ნიგნებს, სხვაგვა-
რი სასოებით, სხვაგვარი ჩაღრმავე-
ბით წაიკითხავდა როგორც თვითონ
თამარი ექცეოდა გამზრდელი მამიდა
თამაროსი და მისი ფინელი ქმრის, ძია
კიპის ნიგნებს, მოფენილს ირმებოიანი
გქსლიბრივებით, როგორც თამარი
დაპკანკალებდა პაპა ოთარის ვახტან-
გისეულ „ვეფხისტყაოსანს“, გამორჩე-
ულად, საგანგებოდ დაპკანკალებდა,
აგერ, შუა კარადის თაროზე ცალკე
პქონდა გამოფენილი და მის წინ ვერ-
ცხლის პანია, ჯერებიანი სასანთლე
ედგა. მაინც რა გარეწრები გამოდგნენ
ის ბიჭები, რა ღვთის პირიდან გადა-
ვარდნილები, არაფრით არ დაანებეს.
არაფრით ახლოს არ მიაკარეს... ოთა-
რი გაბრაზდა, აენტო, იცით, ეს რა ნიგ-
ნიაო, აღელვებული ეუბნებოდა ფორ-
მიან ბიჭებს, ეს ჩვენი ოჯახის რელიქ-
ვიაო! თამარს შეეშინდა ხათაბალაში
არ გაგზავნო ბიჭიო, თვითონვე ეხვეწე-
ბოდა ახლა, რაც არის არის და მერე
ვიდაოთ და ვიზრუნოთ დაბრუნების-
თვისო. „გაიგეთ და შეიტყეთ, ნიგნებს
თქვენგნივ ხელი არ ეხლებო“, იმ სა-
მიდან ერთ-ერთმა უთხრა, ყველაზე
ნორჩმა და ახალგაზრდამ, ვარდისფ-
რად რომ უღუოდა ლოყები და ხელებ-

გაშლილი აეყუდა კარადის
ბური ფორმა „თქვენგნივ“ ახლა უსია-
მოვნოდ გაეჩხირა ყურში, ალბათ, ახ-
ლომახლო სოფლიდან იქნებიანო, გა-
იფიქრა, რადგან სამივეს ერთ სახედ
და ერთ არსებად აღიქვამდა. სამივე
ერთ კილოზე იყო მომართული, ამათ-
თან ლაპარაკსა და შეგონებას აზრი არ
პქონდა, - და მუსტიკრივზე ხომ ვერ
გადავიდოდნენი ოპ, როგორ ნანობდა,
შარშან თელავის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმიდან რომ იყვნენ ჩამოსულე-
ბი და ამ „ვეფხისტყაოსანს“ სთხოვე-
დნენ, ვერ გაიმეტა, სანამ ცოცხალი ვარ,
არ შემიძლია შეველიო... ამ ნიგნთან
მთელი თავის არსებით იყო დაკავში-
რებული და შესისხლხორცებული. სა-
უკუნენახვერის წინ თამარის შორეულ
წინაპარს, კისისხვეულ ზურაბა ქობუ-
ლაშვილს ეთქვა თავისი თოთხმეტი
წლის ვაჟისთვის, თელავის სემინარი-
ის შეგირდისთვის: „ბიჭო ოთარო, შენს
წერა-კითხვას მაშინ დავიჯერებ,
„ვეფხისტყაოსანს“ თუ გადამინერო,
ჩვენი ნიგნი, აგე, უკვე დაიხა და დაი-
ფურცლა და „უვეფხისტყაოსნოდ“
ხომ ვერ ვიქნებითო? თანაცა, ვახტან-
გისეულ „ვეფხისტყაოსანზედა“ მა-
აქვს გული შეგარდნილიო; რაც იმ ცინ-
გლიან თურქესტანიშვილთანა ვნახე,
სულ ის ნიგნი მიდგას თვალწინო. პო-
და, შენ კიდევა სთხოვე ბატონიშვი-
ლებსა, კარგა ჩაკვირვებითა ნახე, ნი-
მუშები აიღე ასოებისა და ყველაფერი
იმისებურად გააწყეო“. ქალაღდისთ-
ვისაც კი საღირალი გამოელო ზურა-
ბას, კი მსუქანი დეკეულის ნაფასუ-
რი, და მშვენიერი ქალაღდიც შეეძინა.
ყრმა ოთარიც შესდგომოდა წერას. ახ-
ლა ლექციებიც ხომ პქონდა იმ თავის
ფილოსოფიურ სემინარიაში და წელი-
წადნახვევარი მოსდომნოდა. ყოველი-
ვე ამის შესახებ ბოლო ფურცლის მი-
წანწერში იყო ნათქვამი: „ათხოთმეტი

23435

საბავშვო საზოგადოებრივი ცენტრი

ეროვნული

მემორიალი

თუე არცა ჩილიკას გამოვეკიდებოვარ, არცა ბურთსაო" ... „არცა მიჯირითია, არცა მილახტავია და არცა სანადიროდ ნაუპყოლივარ ბატონიშვილებსა და მამარქმს ზურაბასაო". აკი შალვა ხუმრობით ეუბნებოდა ხოლმე თამარს: „როცა ჩემი წინაპრები ხინკლის წვენსა ხვრეპავდნენ და ხბორებს დასდევდნენ, შენი მამა-პაპა „ვეფხისტყაოსანს" ასე დიდებულად ინერდა და ასე მუყაითად კითხულობდაო". დიხაც რომ ასე იყო! იმ შორეული ყრმა ოთარის ბადიში, თამარის საყვარელი პაპა ოთარი წიგნს გვერდიდან არ იცილებდა. მთელი საუკუნის ხმარებით შელახული, ახალ, ძვირფას ყდაში ჩაესმევიწებინა ცნობილი თელაველი მყუდუ ფირუზასათვის, ხბოს მოჭერეთილი ტყავი ვერცხლით გაეწყო და სათაური კი წერილი ფირუზით მოეკირწყლა. სწორედ ამ „ვეფხისტყაოსანს" კითხულობდა აივნის ტაბატზე მუთაქებზე დაყრდნობილი, მეზობელ მემამულეს, ესტატე ჩიჯავაძეს რომ ამოვევლო და ორღობიდანვე შემოვაძახა: „ოთაროო, კაცო, რას აკეთებ, რა ცუდუბრალოდ ირჯებიო!" ითაკილა თურმე პაპა ოთარმა, გადადგა აივანზე წიგნით ხელში. ცისფრად ააციმციმა ფირუზებით მოკირწყლული „ვეფხისტყაოსანი". „ცუდუბრალოდ კი არ ვირჯები, აი, რასა ვკითხულობო". „რა ამბავია, კაცო, ეგრე ხელიდან გაუგდებლივ წიგნის კითხვაო", შემოსძახა თურმე გაგულსებულმა ჩიჯავაძემ, „აგე, თელავიდან მოვდივარ და ცუდი მხარობელი ვარო, უნდა გამოსცხადებულყო თურმე და რო არ გამოსცხადდი, გრძელი მინდვრის ვენახს გიყიდიან და მღვდელი შიუკოვი ყიდულობსო".

არ დაიმჩნია თურმე აღელვება, თუმცა არხეინიც ძალიან იყო, და რაც მამინ იმ ჩიჯავაძეს აივნიდან ომახია-

ნად გადმოსძახა, მერე კისისხვევში ყველა იმეორებდა, – პაპა ოთარის ბედოვლათობისა და მნიგნობრობის აღსანიშნავად, თამრიკოსთვის კი სიყვარულით მოსაგონი იყო ის სიტყვები: „ვენახს თუ მიყიდიან, ვეფხისტყაოსანი" ხო მრჩება და მე ესეც მეყოფაო!"

თამარს, ცხადია, შინაურებმა ბავშვობიდანვე შეაყვარებს „ვეფხისტყაოსანი", ჯერ იყო და სულ პანიას პაპა ოთარი დაისვამდა ხოლმე ცალ მუხლზე და ხან ზღაპარვით უამბობდა, ხან აფორიზმებს ასწავლიდა, მერე კი, თავისი ობოლი ძმისწული მამიდა თამრომ პეტერბურგში რომ წაიყვანა, იქ „ვეფხისტყაოსნის" კითხვარიტუალის ხარისხში აპყავდათ. საქართველოს გარეთ ცხოვრება და არაქართველი ქმარი, მამიდა თამროს სამშობლოს სიყვარულს უასკეცებდა და უკიდურესად, ლამის აგრესიულად უღვივებდა, იგი ყოველივე ქართულის გადაბრჯნილი და შეუპოვარი დამცველი იყო. ჯვარისწერის წინ ხნიერი საქმროსთვის, – მამიდა თამრო მთელი ათიწელი კისისხვევის, გავაზისა და საცხენის სკოლებში მშობლიურ ენას ასწავლიდა და მასწავლებლობას თავის მონოდებადაც თვლიდა. მითუმეტეს, უკვე ოცდაათს მიტანებული, გათხოვებაზე აღარც ფიქრობდა. მაგრამ ბედად, საცხენის სკოლის დირექტორს, ხნიერ გავრილა ნიკიტჩის, სტუმრად თავისი პეტერბურგელი მეგობარი ჩამოუვიდა, სამართლის პროფესორი, გარუსებული ფინელი, ქვრივი და მარტოხელა კიმ ბუმბერგი, – გაგულსებითა და ძერასავით თვალების გაელვებით ეთქვა: „ქართულს თუ არ ისწავლით, ჩვენი ერთად ცხოვრება წყლის ნაყვა იქნებაო". ბუნებით რბილი და ინტერესებით სავსე საქმრო, თან საცოლეზე თხოთმეტი წლით უფროსი, ხნიერი კაცის გატაცებით დათანხმე-

ბოდა და, მართლაც, ქართულიც ეს-
 ნავლა და საქართველოს კულტური-
 თაც დიდად დაინტერესებულყო.

„აბა, ჩემო გოგო“, ეტყოდა მამიდა
 თამრო პატარა თამარს, „ხომ არ და-
 გავინყდა დღეს რას ვაკეთებთო?“ და-
 ვინყებულებო რომ ჰქონოდა, კილოზე
 მაშინვე მიხედებოდა, რაც უნდა გაე-
 კეთებინათ, უნდა აენთოთ ორი ვერც-
 ხლის შანდალი ნმინდა კელაპტრებით,
 პატარა თამარს ძირს, ხალიჩაზე ფეხი
 მოერთხა, სანდალოზის ხის ლამაზად
 დაჭრელებულ დაბალ დასადგარზე
 „ვეფხისტყაოსანი“ გადაეშალა (სწო-
 რედ პაპა ოთარისეული, რომელიც მა-
 მიდა თამროს გათხოვების შემდეგ მა-
 მისაგან საჩუქრად მიეღო) და მკაფიო
 გამოთქმით და „გულითადი კილოთი“
 კითხვას შედგომოდა. მამიდა თამრო
 და ძია კიმი იქვე სავარძლებში ისხდ-
 ნენ და სასოებით უსმენდნენ.

ერთ დღეს ძია კიმი თავისი „უნი-
 ჭიერესი ქართველი სტუდენტი“ მოიყ-
 ვანა, თამარი მაშინ ცამეტი წლის იყო.
 მამიდა თამრომ თვალეხი ტყეცხა: ამ
 მშვენიერმა ყმანვილმა, რომლის
 ონაერულსა თუ დამცინავ გამოხედ-
 ვას ყალყზე შემდგარი, ნამჯისფერი
 ქოჩორი გზნებასა და მღელვარებას
 მატებდა, „პალტო გავიხადეო“-ს მა-
 გიერად „პალტო ჩავიხადეო“ – თქვა.
 თამარი აკისკისდა და ისე აკისკისდა,
 ველარ ჩერდებოდა. მამიდა თამრო კი
 განყრა, ტაში შემოჰკრა, ახალგაცნო-
 ბილ ყმანვილკაცს თავზე კაკალი ამ-
 ტკრია, ეს რა ქართულს ლაპარაკობ-
 თო. თურმე კადეტთა კორპუსი ჰქონ-
 და დამთავრებული და ნახევრად გა-
 დარუსებული იყო. მერე ოჯახში ვერ
 გასწავლესო!? ნარბები შეყარა დაუც-
 ხრომელმა მასპინძელმა, ოჯახში
 მშობლიური ენის შემნახავი, როცა
 ჩვენი საცოდავი მამული ასეა დაკნი-
 ნებული და დაბეჩავებულიო. საქმე ის

არისო, თავი იმართლა რუსულად ძია
 კიმის „უნიჭიერესმა სტუდენტმა“
 შალვა ბეჭაურმა, მამაჩემი პატარა ბი-
 ჭობაში თურმე არაჩვეულებრივად
 ცეკვავდაო, ხელმწიფე რომ ჩამობრ-
 ძანდა საქართველოში და ხევე ჩამო-
 იარა, თურმე თოთხმეტი წლის მამაჩე-
 მიც ნაიყვანეს, რომ შეხვედრის დროს
 ალექსანდრე მეორის წინ ეცეკვაო. ძა-
 ლიან მოსწონებოდა ხელმწიფეს და
 სწორედ ამან განაპირობა მამას შემ-
 დგომი ბედო, სულ ცოტა ხანში თბი-
 ლისის კადეტთა კორპუსში გაამწესეს
 და ყოფილი მწყემსი ბიჭი სრულიად
 სხვა გარემოში აღმოჩნდაო...

აი, ხედავთო, გოროზად შესძახა
 მამიდა თამრომ, პეტერბურგში ქართ-
 ველები გვწახეთ და თქვენს ამბავს
 რუსულად გვიამბობთო, იმიტომ რომ
 გაბმით ქართული ლაპარაკი არ შეგიძ-
 ლიათო! ცხადია, თქვენ არც იღია გე-
 ცოდინებათ, არც მშობლიური ლიტე-
 რატურა, და დარწმუნებული ვარ
 „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სიტყვაც არ
 გექნებათ ნაკითხულიო. შალვა, ბუ-
 ნებრივია, მაშინვე დაეთანხმა. მამიდა
 თამრომ თვალთაგან ნაპერწკლები
 აფრქვია: ეს იმას ნიშნავს, რომ მშობ-
 ლიური ენის გარეშე, სრულყოფილი
 არ იქნება თქვენი მოღვაწეობა. და ასე
 კი, საითაც ტალღა გაგტყორცნით,
 იქით გაიტყორცნებითო, კეთილი ინე-
 ბეთ და იარეთ ჩვენთან „ვეფხისტყა-
 ოსნის“ კითხვაზეო, თან შემდეგი მოს-
 ვლისთვის „ტყემ მოისხა ფოთოლი“
 ზეპირად უნდა ჩამაბაროთო. შალვა
 მაშინვე ღიმილით დაეთანხმა, თან დი-
 დი მადლობაც გადაუხადა.

ცამეტი წლის თამარი კი კისკისებ-
 და და კისკისებდა...

იატაკიდან ჭერამდე აღმართული
 თაროები და იქვე კარტოთეკებიანი
 გრძელი მაგიდა აბონენტთა იდაყვე-

ბით გაპრიალებული მაღალი მოაჯირით იყო გამოყოფილი დარბაზიდან, სადაც მწკრივებად ჩარიგებულ პატარა მაგიდებთან სტუდენტები მეცადინეობდნენ... წიგნებთან თავდახრილი, მშვიდი სახეების დანახვაზე ცოტა დანყნარდა; დიდი ხანია ასეთი სახეები აღარ დაენახა, შინსახკომისა და ციხის რიგებში, მაღაზიებთან თავპირის მტკრევასა და გაძეძგილ ტრამვაიში სულ სხვა სახეებს ხედავდა... ახლა კი ისე უყურებდა ამ მშვიდ სახეებს, თითქოს წუმ მუსიკას ისმენსო... სტალინის უზარმაზარმა ქანდაკებამაც, ყველაზე გამოსაჩენ ადგილას, მაღალ, ვიწრო სარკმლებთან დაბალ დასადგამზე რომ იდგა, მის განწყობილებას ნირიცი ვერ შეუცვალა, პირიქით, დიდი ბელადის ჩაჟანგული სახის დანახვაც ესიამოვნა, ლამის გაუხარდა კიდევ და მაშინვე მიხვდა, რატომაც: აქამდე თითქოს ეჭვი ეპარებოდა, თითქოს ბოლომდე არ სჯეროდა, რომ სამუშაოზე მართლა მიიღეს, და ამ უზარმაზარი ბიუსტის დანახვაზე, ფანჯარასთან აღმართული გლუ თვალებით რომ გამოჰყურებდა დარბაზს, რაღაც უცნაური სიმკვიდრე და სიმყარე იგრძნო, ასე ეგონა „ნაქანდაკარი ბელადის“ უმაღლესი სანქცია ადასტურებდა ახალი თანამშრომლის მოსვლას ამ დარბაზში. და თამარმა დაიჯერა, რომ მართლა გამოუწოდეს ხელი, მართლა გაულიმა ბედმა... ბედმაც და ბიბლიოთეკის თანამშრომელმა მარომაც, მნიგნობარმა და მომლერალმა, შალვას და თამარის ძველმა ნაცნობმა, რომელიც კარებთან ატუზული თამარის დანახვაზე, მყისვე წამოდგა და ლიმილით მისკენ გამოემართა. მაროს წილიც ფრია თამარის მიღებაში...

დიდებული ხმა პქონდა მაროს და საუკეთესო მცოდნეც იყო ხალხური სიმღერებისა, ჩვენს ოჯახში ქათამიც

მღეროდაო, ასე ამბობდა ხოლმე ხან ამოოხვრით, ხანაც თავმოძვონე ლიმილით.

თამარმა კარგად იცოდა მათი სიმღერის ამბავი. მამიდა თამროსთან, პეტერბურგში, განსაკორებით დღესასწაულებზე, ლამის მთელი ქართული სათვისტომო იყრიდა ხოლმე თავს. მამიდა თამრო გაანყობდა ქართულ სუფრას და ქართულად ილხენდნენ. მთავარი მომღერლები კი სწორედ მარო და მაროს ძმა გიორგი იყვნენ. მარო ბესტუფევის კურსებზე სწავლობდა, გიორგი კი უნივერსიტეტში. მამიდა თამრო პურს არ გატეხავდა მათ გარეშე. ის სუფრა რა სუფრაა, სადაც მარო და გიორგი არ მღერიანო. მარო კი დანანებით იტყოდა: აფსუს, ჩვენი პატარა ძმა სიკო აქ რომ არა გვეყავსო! სიმღერა თქვენ მაშინ გენახათო. მარომ კურსებზე სიმღერის მოყვარულთა პატარა ქართული ქოროც კი შეადგინა.

მეორი სიყვარული მაქვს ამ ქვეყნად, წიგნის და სიმღერისო – ამბობდა და მაროს ეს ნათქვამი ლიტონი განცხადება არ იყო. მართლაც, უნიგნოდ და უსიმღეროდ გაძლევა არ შეეძლო. სიონის გუნდშიც გალობდა. ერთ დროს, თარხნიშვილებთანაც მღეროდა. მაგრამ მერე და მერე შეთავსება ვეღარ შესძლო თურმე და უდროობის გამო თავი გაენებებინა. შარშან თერთონ მარო თარხნიშვილს ეთხოვა: დეკადისტის გუნდის გასაძლიერებლად ნაგვეხმარე და ჩვენთან იმღერეო. პოდა, მარო მათთან ერთად მოსკოვშიც იყო და დიპლომიც დაიმსახურა. სწორედ დეკადისტის შემდეგ მიანდეს რევოლუციის ოცი წლისთავის საიუბილეოდ სტუდენტთა გუნდის ხელმძღვანელობა, საზოგადოებრივ საწყისებზე. მარო გუნდს კვირაში სამჯერ, შუადღისას, პირველი წყების შემდეგ ამეცადინებდა. თურმე მაროსთან ერთად

მომუშავე მოხუცი ბიბლიოთეკარი ქალი გარდაიცვალა. ბიბლიოთეკა-სამკითხველო კი, სტუდენტების ყოველდღიური მეცადინეობის ადგილი, კვირაში სამჯერ, შუადღისას ვერ დაიკეტებოდა. მწვავედ დადგა მეორე თანამშრომლის მიღების საკითხი. დაიწყო მართომ რექტორთან სირბილი... ასე და ამრიგად, მაროსი და გიორგი თარგამაძის თავგამოდების ნყალობით, თამარი ბიბლიოთეკაში მოვიდა სამუშაოდ და მალე დამკვიდრდა კიდეც, თავის შვილსაც აქ დაუდო ბინა. უმამოდ დარჩენამ, დარბევამა და სიდუხჭირემ ისინი კიდე უფრო დააკეწილა. ოთარმა შარშან სკოლაც კარგად დაამთავრა, ინდუსტრიულ ინსტიტუტშიც ჩაირიცხა საალმშენებლოზე, ზაფხულში მთელი თენახევარი სახერხქარხანაშიც იმუშავა.

თამარი მოუთმენლად ელოდა ხოლმე ოთარს, შალვას შემდეგ დიდხანს ვერ სძლებდა უოთაროდ. ჯერ ისაუზმებდნენ, ბუფეტი იქვე, ბიბლიოთეკის გვერდით, მესამე სართულის ფართე დერეფანში იყო გამართული და შორს წასვლა არ ჭირდებოდათ. მერე, თუ სამეცადინო ჰქონდა ოთარს, დაჯდებოდა მზითა და სინათლით სავესე დარბაზში და დაინყებდა მეცადინეობას. თამარს სახაზავი დაფაც აქ ჰქონდა ოთარისთვის შენახული, მაგიდასა და მოაჯირს შუა ჩაყუდებული; და მართლაც, ამაზე კარგ ადგილს სამეცადინოდაც, საკითხავადაც და დასახაზადაც სად იპოვიდა? მთანმინდის იმ ჯურღმულში შუქს თუ არ ჩართავდი, ისე ბნელოდა, თვალში თითს ვერ მიიტანდი. გათბობაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, თუ ნავთი ჰქონდათ, ნავთქურით უნდა გაეთბოთ იქაურობა. ოთახი თან ნოტიო იყო, უკანა კედელი მინაში ჰქონდა და ნავთქურისაგან საშინელი სუნი დგებოდა, ორივეს

თავი სტიკედებოდა. ეს კიდეც რა, საერთო დერეფნის მეზობლები, ოფიკა, ფენიკა და აიდა ერთი მხრივ, რომლებიც მთელი დღე უზარმაზარ თუჯის ტაფაზე გასაყოფად მხესუმზირას ხალავდნენ, და ქურთი ფარამაზასი და სარნაზას ოჯახი მეორე მხრივ (სარნაზა მრეცხავი იყო, უამინდობის დროს ეზოში ცეცხლს ვერ ანთებდა და საერთო დერეფანში, პრიმუსზე ხარშავდა სარეცხს) თამარსა და ოთარს, დასაწყისში მაინც ლამის შარავ ზის ყაჩაღებით უყურებდნენ. მაგრამ ყველაზე საშინელება მაინც საერთო საპირფარეშო იყო, რომელსაც თამარი დაუცხრომლად და თავდადებით წყლით რეცხავდა და ასუფთავებდა, რეცხავდა და ასუფთავებდა დაუსრულებლად...

ცხადია, სახლში წასასვლელად სულ ფეხს ითრევდნენ, იქ მათ არაფერი ეჩემებოდათ, თან ნავთი და სინათლე ეზოგებოდათ. მადლობა ღმერთს, ოთარსაც უყვარდა კითხვა, თამარი კი უმარჯვებდა და უმარჯვებდა ნიგნებს... აქ მან ამხანაგიც ბევრი გაიჩინა, გულლია და კარგის დამნახავი იყო, ადამიანი აინტერესებდა და ადვილადც გამონახავდა ხოლმე საერთოს.

ქმრის დაპატიმრების შემდეგ შიშობდა თამარი, ბიჭი ხელიდან არ წასვლოდა, თავსდატეხილი უბედურება, რა იცი, სათუთად გაზრდილ, ჯერ ნელგაუმარებელ, უმნიფარ ყმანვილს საით გატყორცნის და როგორ მირეგვ-მორეგვავს; გული საგულეს დაიდო, თავისი ოთარი დღენიადაც თვალქვეშ ჰყავდა. და თუმცა დიდი ხნით ადრე აქ მოსვლამდე ძალიან კარგად იცოდა, რომ მშვიდობის კუნძული არსად არ არსებობდა და არც შეიძლება არსებულებოდა, და ამ დაწესებულებაშიც ისევე, როგორც ყველგან, ჯოჯოხეთის ცეცხლი ტრიალებდა, რომ-

ლის უწყალო მზურვალედა საკუთარი კანით ჰქონდა ნაგრძნობი და განცდილი; აქაც ისევე აბეზლებდნენ და ასმენდნენ ერთმანეთს, აქაც ისევე გამოდნენ, ლანძღავდნენ და ათრევდნენ თვალში ამოღებულებსა და რეპრესირებულებს, აქაც ისევე ამათრახებდნენ და ემიჯნებოდნენ საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს, როგორც სხვაგან და როგორც ყველგან. და რექტორიც, გიორგი თარგამაძე, თამარის ქომაგი და ხელის გამომწვედელი, ისევე უბრალოდ ჩასვებს, როგორც შარშან შალვა, როგორც ვინ მოთელის რამდენი სხვა... მაგრამ მოუხედავად ყველაფრისა, მოუხედავად იმისა, რომ ახლა, ამ ახალგაზრდების დანახვაზე ხშირად შეშფოთება იპყრობდა, შიშით და სიბრალულით ეკუმშებოდა გული, მაინც არაფერი გერიდა ისეთ შვებას, როგორც მათი, ნიგზე თავდახრილი სახეების დანახვა; გააკურება ხოლმე დარბაზს მოაჯირის რიკულებს შორის და უნდოდა თავი დაერწმუნებინა, რომ აქ, სწორედ აქ, ამათში იყვნენ ისინი, ვინც ღვარძლისა და შალაფის მაგივრად ხორბალს დათესავდნენ და პურის მთხოვნელს გამოწვდილ ხელში ქვას არ ჩაუღებდნენ.

მგლები კი იკრიბებოდნენ „კურუმ გორაზე“ და თამარს მთელი ყურადღება ამ საყრდენი სიტყვისკენ ჰქონდა მიმართული... კურუმი... კურუმი... ადგილო კურუმ-კურუმო, ლელიანჩალიანაო... არცერთ ლექსიკონში არ იყო შეტანილი ეს ჩინებული სიტყვა, ხალხური ელფერით რომ გამოირჩეოდა და კონტექსტის მიხედვით და თამარის ფიქრით, „განმარტოებულს“, „მიუვალს“, „უდაბურს“, და „ჩაბნელებულს“ ნიშნავდა და სანუკვარი მოგონების მღელვარე განცდას აღუძრავდა... იდგა ოსკარ ფრიდი ბორჯომის

ბაღში და დირიჟორობდა მუსორგსკის „ღამეს ქაჩალ გორაზე“... შალვა და თამარი კი ისხდნენ და უსმენდნენ...

პირველ განყოფილებაში ირაკლი მღეროდა მუსორგსკის რომანსებს, ბორისის არიასა და სცენას, მეორე განყოფილებაში კი საორკესტრო ნაწარმოებებს უკრავდნენ, „ხოვანშინას“ უვერტოურას, „გამოფენის სურათებს“ და „ღამეს ქაჩალ გორაზე“.

რა ჰქვია... ნეტავ რა ჰქვია ამას? ჩუმი და მღელვარე თანხმობა? თუ ბედნიერება... რაღაც სხვაგვარი... სულ სხვაგვარი განცდა... უფრო ტამბრისეული... მუსიკის ერთად მოსმენა... ცხელ, მტანჯველ დღეს რომ აქარევებს... ვარსკვლავებიდან მონაბერი ნიავეით!

წყალი! წყალი! წყალი! იძახდნენ პატარა ბიჭები და ვაგონში სველ კოკებს დაარბენინებდნენ... თამარი კი გათანგული შეჰყურებდა შალვას, რომელსაც თურმე მხოლოდ იმიტომ კი არ წამოეყვანა სამიოდე დღით ბორჯომში, რომ მომქანცველი სახელმწიფო გამოცდების შემდეგ თავისუფლად ამოესუნთქათ და ირაკლის კონცერტს დასწრებოდნენ, არამედ იმისთვისაც, რომ გზაში გამოსტეხოდა: სპეცგანყოფილებამ უკვე რამდენჯერმე გამომიძახა და სრულიად აბსურდული ბრალდებები წამომიყენაო. ასე ეგონა, შალვას ერთბაშად სინათლის ძლიერი ნაკადი მიაშუქეს და მკაფიოდ გაანათეს... თვალი რომ ველარ მოეცილებინა და ახალი ძალით, გულსაკლავად, მწვავედ ეგრძნო, რა ძვირფასი იყო მისთვის, და არა მარტო მისთვის, ყველასთვის, სტუდენტებისთვის, მეცნიერებისთვის, ჩვენი საზოგადოებისთვის, და იქნებ მთელი ქვეყნისთვისაც, თუ ეს ქვეყანა მიხვდებოდა, რომ ამ კაცს, ახლა შეწუხებული და დარცხვენილი, თავის აღელვებულ

ცოლს რომ ამშვიდებდა, ალერსიანად ხელზე ხელს უჭერდა, აი, სწორედ ამ კაცს, უკვე სამიზნედ ქცეულს, ქვეყნის აყვავება შეეძლო. რა უნდა ექნათ... რა გზას დადგომოდნენ... ვინ იყო მშველელი...

შალვას მიმტყვევებლობას ხომ საზღვარი არ ჰქონდა, არც ამტყუნებდა სპეცგანყოფილებას, მაგან რა ქნასო, ისეთი მოჯადოებული წრეა შეკრული, რალა ამ წერილფეხა კარიერისტს უნდა მოვთხოვო გმირთგმირობა და ეშმაკეული წრის გარღვევა, რალა ასეთი უბირი კაცისაგან უნდა მოვითხოვდე ჩვენი დროის უკულმართობაში გარკვევასა და თავგანწირვას, როცა აგერ ჩვენ ვერაფერი გვიღონიათ, ვართ ასე დადამბლავებულები და დადუმებულებიო. მაგრამ თამარი სულ არ ეთანხმებოდა, სულ არა, იგი ქალური ამოჩემებით ხან პუმანისტებს მოუხმობდა, ხან ლათინურ აფორიზმს იშველიებდა, ადამიანისაგან მხოლოდ ადამიანურს უნდა მოითხოვდეთ, ხან თავიანთ მწარე გამოცდილებას მიმართავდა და გადაბრუნით იმეორებდა: რაც გვჭირს, სწორედ ასეთი უბირებისაგან გვჭირსო... პირი გაუშრა... ენას ველარ ამოძრავებდა... ცხელოდა კიდევ... სუნთქვაც ჭირდა... თუნდ აფრიკაში წაიღოდა, ტროპიკებში... ქვეყნის დასასრულს...

წყალი! წყალი! წყალი! იძახდნენ პატარა ბიჭები.

სვენებ-სვენებით წრუჰავდა წყალს და ეს ერთი ბენვა ყლუპებიც ყელზე ადგებოდა... თქვენ! თქვენ! თქვენ! არ იცით, არა? რა არის უპატივებელი და მიუტყვევებელი... მეგობრის დავიწყებასაც შეგინდობთ უფალი და მგოსნის დაცინვასაც, და იმასაც, თუ უღრმესი გონი მცირე ნატამალად მიიჩნეით... მაგრამ შიშობდეთ, ო, შიშობდეთ, მოყვარულთა ერთობა არ დაარღვიოთ...

სადგურზე ირაკლი და ლილი შეხედნენ და ერთბაშად სულ სხვა ატმოსფეროში აღმოჩნდნენ... კონცერტების... ვახშმების... მეგობრების... ფიჭვის სურნელის... დრო კი ეწურებოდათ... უღმობლად, დაუნდობლად ეწურებოდათ... განშორების წინ რამდენიმე ამოსუნთქვალა ჰქონდათ დარჩენილი... ის კონცერტიც ერთი ასეთი ამოსუნთქვა იყო... გძელ სკამზე მჭიდროდ ისხდნენ, ერთმანეთთან მიკრულები, შალვას ჩვეულებრივ თამარის ხელი ეჭირა და ერთად ისმენდნენ, როგორ უსტვენდა ქაჩალ გორაზე ქარი და ბნელ ღამეში იკრიბებოდნენ ქაჯები, ჭინკები და კუდიანები... როგორც კურუმ გორაზე მშვიერი მგლები... ქაჯებს მარულა უნდა გაემართათ, მშვიერ მგლებს კი თავისი მოძმე ტოტია გაეგლიჯათ და ისე გადაესანსლათ, ბენვიც აღარსად დაეტოვებინათ... კონცერტის შემდეგ შალვა ეუბნებოდა, „კიდევ რისთვის მიყვარს მუსორგსკი და მასშტაბურობით და ხალხის სულში წედომის უნარით ეაჟა-ფშაველას მაგონებსო, დღევანდელი სიმფონიური სურათიც „დევეების ქორნილის“ მუსიკალური გარდასახვა მგონიაო“... ეს ერთი სიტყვა... ერთი სიტყვა... „კურუმის“ ექვივალენტი, შალვას სახსოვრად უნდა ჩაენერა... შალვას მოსაგონებლად... რაც შეეხება ტოტიას, ეს დიდებული სახელი, ნამდვილი მხატვრული მიგნება, სხარტი, მარჯვედ გამოსათქმელი, მგლური ხვაშიადის გამომხატველი, რუსულად არაფერსაც არ ნიშნავდა და არანაირადაც არ ეღერდა, და ამას ვერაფერს უშველიდა სქოლიოში ჩამოტანა და „ტოტის“ განმარტება. ესე იგი საჭირო იყო სახელის გადარუსულება: როგორც არ უნდა სამწუხარო ყოფილიყო, სახელიც უნდა „თარგმნილიყო“. და თამარმაც შესაძლო ვარიანტებს დაუნყო

ძებნა. ოცი წელი იყო, რაც თარგმნიდა, მაგრამ ქართულიდან პირველად თარგმნიდა... გერონტი ქიქოძემ მოუხერხა ინკოგნიტოდ ეს მოთხრობები და ახლა, ამ უბედურებაში, განსაკუთრებით ეჭიდებოდა გულზე ვაჟას პროზის რუსულად თარგმნა. დიახაც, უნდოდა დაემტკიცებინა, როგორი გენიოსი ჰყავდათ ასე უმონყოლოდ დასჯილ ქართველ ხალხს და პირადად მას, თამარს, რომელიც ამ დასჯას მიუხედავად, თუ სწორედ ამ დასჯის გამო, თავს არ იზოგავდა, რომ ხმა სიკეთისა და სიმართლისა, დიდი პოეტის უზადო ხმა, სხვებისთვისაც მიეწვდინა, სხვა დასჯილებისთვის, ერთ ბედში მყოფი სხვა ტომის ხალხისთვის... ამასთანავე, ქართული ენის ღრმა წიაღი, განდობის კილო, და გულიდან ამოხეთქილი წრფელი აღსარება ვაჟას პროზის უთვალთმაცყო, გულუბრყვილო პერსონაჟებისა მხნეობას მატებდა და გზას უკვლევდა ფუჭსიტყვაობის კორიანტელში. სამუშაო ყოველთვის აღელვებდა, მაგრამ ასეთი დიდი ინტერვალის შემდეგ „საყმაწვილო მოთხრობები“ რომ გადაშალა, სულ სხვაგვარად აღელდა და ამფოთდა... შალვა მის გვერდით აღარ იყო, და ველარაფერს ველარ გაუზიარებდა... ველარ ჰკითხავდა... ველარ შეამონმებდა... ამიტომაც, დაიწყოთ თუ არა პირველი სათარგმნი მოთხრობის კითხვა („სვავი“ იყო ეს მოთხრობა), და ჩაათავა თუ არა პირველი აბზაცი: „ფარფაშობდნენ უზარმაზარი სვავეები, ყაჯირები, ორბები, ყვაე-ყორნები, დამაძღრები, ღვთისათვის მთავრები, იქვე ახლო-მახლო კლდეებზეც სხდებოდნენ ფეხებით, ფრთით თან მიჰქონდათ სისხლი და ასისხლიანებდნენ კლდის დეკას, ქუჩას, ურძინიანებს...“, ცრემლები წასკდა... თან სიტყვა „გათოშილი“ აფიქრებდა, რომელიც ფშაურ დიალექტში

ეტყობა გამაძღარს, მეტისმეტად გამაძღარს ნიშნავდა და ალბათ, აჯობებდა „გალეშილის“ ნიუანსით მეთარგმნაო; „სისხლით გალეშილები“ „სისხლით გალეშილები“ აკვიტებულად იმეორებდა გრძელ მაგიდასთან თავჩარგული, მალალ მოაჯირის საგანგებოდ მოფარებული და ცრემლები ღაპალუპით ჩამოსდიოდა, წიგნის ფურცელს უსველებდა. შეეშინდა, ქვიითინი არ წამსკედესო, ადგა სწრაფად, ვინრო წიგნსაცავში გავიდა, თაროებს მიეყრდნო: „შალვა, შალვა, შალვა, სადა ხარ, კაცო... სადა ხარ, ადამიანო, სადა...“ გულამოსკვნით ჩურჩულებდა. ისე იყო ქმართან შეთვისებული და გაერთსულებული, ნაბიჯი არ გადაუდგამს და ჩხირი არ გადაუბრუნებია უიმისოდ. ბიბლიოთეკაში რომ მიიღეს, მყისვე იმ ფიქრმა გაუელვა: გავიქცევი და შალვას ვახარებო, შალვა კი ამ დროს, სხვა დახვრეტილებთან ერთად, ნაუცბათევად გათხრილ ორმოში ეგდო სოღანლულთან. სიტყვები და ფრაზები ცხრაჯერ უნდა მოესმენინებინა შალვასთვის, რომლის უტყუარ აღლოსა და გემოვნებას ყოველთვის ენდობოდა, და ამის გამოც იყო, რომ მათთვის, ორივესთვის თამარის სამუშაო მათი მეგობრობისა და სიყვარულის, მათი სათუთი ურთიერთობის სარბიელიც იყო: განა პირველი ლექსებიც, გერმანული და ფრანგული პოეზიიდან, შალვას შთაგონებით არ თარგმნა? იმ ზაფხულს, იმ კურთხეულ ზაფხულს, როცა ყოველი ნუთი, ყოველი წამი და ჩქამი სიხარულით და დამაბული მოლოდინით იყო სავსე, პირამდე სავსე, ნვეთი რომ ველარ დაეცემა - ისე სავსე... ყველანი პაპა ოთართან და ძალო წინოსთან იყვნენ კისისხევეში, ახლად დანიშნულები თამარი და შალვა, მამიდა თამრო და ძია კიმი. მალე შალვა გერმანიაში უნდა

ნასულიყო, ფრაიბურგში საპროფესოროდ მოსამზადებლად და შემდგომში ახლად გახსნილ ქართულ უნივერსიტეტში სამოღვაწეოდ. თამარს კი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი ზეუნდა დაეწყო სწავლა...

ქართულ უნივერსიტეტში ქართულ ენაზე!

დამოუკიდებელ საქართველოში! კარგი ნიშანიაო, ამბობდა პაპაოთარი, ჩემი თამარისა და შალვას ბედნიერება ჩვენი მამულის დამოუკიდებლობას დაემთხვია...

შალვა მოგვიანებით ჩამოვიდა კისისხევში. წინანდლის სადგურზე დახვდნენ ყველანი, პაპაოთარმაც კი მოინადინა ნამოსვლა. მატარებელმა ჩვეულებრივ დააგვიანა... მთვარე კიდევაც ამოვიდა... ეტლში მამოდა თამრო, ძია კიმი და პაპაოთარი ჩასხდნენ, შალვა, თამარი და პატარა ქრისტინე კი, რომელიც არასგზით არ გაჰყვა უფროსებს, ფეხით ნამოვიდნენ... ის დღე იყო და ქრისტინე მათ ერთი ნაბიჯით აღარ მოსცილებია, ჯერ თავის უფროს ბიძაშვილს ქომავლობდა და ჩასაფრებული ადევნებდა თვალს მის დანიშნულს, ეჭვიანობდა და ყველგან კვიცივით უკან დასდევდა... სულ მალე ბავშვური გატაცებით შეუყვარდა შალვა და ახლა სულ აღარ მოსცილდა, უნდოდა სასიძოსთვის ყველაფერი ეწვევებინა და მოენოვნებინა, ეკლესიაც, ხეიც, რიყიც, ტყეცა და ველიც, უნდოდა მავალზეც ერთად წასულიყვნენ, რიყეში საბანაოდ წყალიც დაეგუბებინათ, წინანდალში ნათლიასთანაც გადასულიყვნენ და თან „უდელიც“ დაეთვალერებინათ. ათი წლის ქრისტინემ მათ მოუსპო განმარტოების საშუალება. სახლში კი, პაპაოთარი გვერდიდან არ იცილებდა შალვას და თავის ქალთანა და სიძესთან ერთად საქართველოს ანწყოსა და მომავალ-

ზე ქონდა და დაუსრულებელი სჯა-ბაასი. სადილ-ვახშობისას კი, სუფრასთან, ოპოპოპო, რა სადღეგრძელოებს წარმოთქვამდა, რა გულმზურვალედ მოუნოდებდა გარშემომყოფთ განთავისუფლებული საქართველოსთვის გარჯილიყვნენ: „პაპა და, დაპკრა ჭამმა საუკუნოვანი მონობის ქაობიდან თავი წამოვნიოთ, კირთების დახამმულ საფლობს ტანჯვა-წვალებითა და ვაი-ვაგლახით თავი დავაღწიოთო, და დავადგეთ ძნელად სავალ გზასა, სულის ამოსასვლელ ციცაბო ბილიკსა, გასაკაფსა და ქვა-ლორლიანსა, თავისუფლების ბობოქარი სტიქიონისკენაო, მონობის შმორისა და ქუჭყის ჩამოსარეცხადაო, მორჩილებით დამლიერებული, ჩამკვდარი სულის აღსადგენად და განსანმენდააო...“

პაპაოთარი გადახედავდა თავის მეინახეებს, ყველას სათითაოდ თვალს თვალში გაუყრიდა, განსაკუთრებით კი შალვას ჩაამტერებოდა, ვერცხლის პატარა თასს უფრო მალლა შემართავდა, ჩაახველებდა და წყრომით, შეურიგებლად დაიძახებდა: „შევძლებთ კია!? გაგვენდება კია საგზლად ძალონე და მოთმინებაო!? ჩვენ, ბეღშაგებსა, და უბადრუკებს, გაუთავებელი თმენით დაკინებულლებსაო!? და ჩაგერის ამპარტავენებით დარბულ ჩენს გულეებში გაიხარებს კია ერთობისა და სიყვარულის დიადი ნერვიო!?“

თვრამეტი წლის თამარს კი მთელი თავისი არსებით სჯეროდა, რომ იმედის, სასოებისა და სიყვარულის ყველა ნერვი და ამონაყარი გაიხარებდა და კეთილ ნაყოფსაც გამოიღებდა... ისე იყო ირგვლივ ყველაფერი დამუხტული და გაჯერებული შეგუბებული ვნებით, მოლოდინით, სიყვარულისა და თავისუფლების წყურვილით ცაც, მთაც, ველიც, მათ ეზოში აღმართული

ეროვნული
სამკვლევო ცენტრი

დიდებული კაკალიც, რომლის კენწე-
როდან მოლალური ბიჭო-გოგის მოს-
ძახოდა... ფრანგული და გერმანული
ლექსები პირველად მაშინ თარგმნა:
პოეზიაზე გიჟდებოდნენ, მათ ცხოვ-
რებაში პოეზიას უპირველესი ადგილი
ეკავა, პოეზია იყო ის, რაც მათ ყოფას
ნიადაგ თან ახლდა. იმ ზაფხულსაც
შალვამ ჩამოუტანა ცნობილი პოეტე-
ბის პანია რვეულებად გამოცემული
ლექსები. ჯიბეებით თან დაჰქონდათ
და ქრისტიანთან ერთად ტყე-ღრეში
ხეტიალის დროს, თუ საღამოობით რი-
ყისპირა ბექზე ჩამომსხდრები სულ
ლექსებს კითხულობდნენ. პატარა
ქრისტიანე თვალდაცეცებული შეჰყუ-
რებდა ამ მოლექსე დანიშნულებს.

შალვას და ძია კიმს დიდ აივანზე
ეძინათ, მამიდა თამროს და თამარს კი
სახლის მეორე მხარეს, პაპა ოთარის
საწოლის გვერდით. თამარს თითქმის
სულ არ ეძინა. გარიჟრაჟზე თუ ჩაეძი-
ნებოდა... მერე, როცა უკვე იქორწინ-
ეს, შალვას ხუმრობით ეუბნებოდა:
მამიდა თამრო და პაპა ოთარი ისე
თავგამოდებით იცავდნენ ჩემს ხელ-
შეუხებლობას, რომ ძილგამკრთალს
მეტი გზა არ მქონდა, მადანი უნდა მე-
ძებნაო, და პანია მადანს კიდევაც მი-
ვაკვლიყო. მამიდა რომ არ გაეღვიძე-
ბინა, ფეხაკრებით გავიდოდა პატარა
აივანზე და მთვარის შუქზე საგანგე-
ბოდ შერჩეულ ლექსებს თარგმნიდა,
არაჩვეულებრივ შევებას გერიდა სიტყ-
ვების ძიება და რიტმის ჩარხში გა-
მოყვანა, თითქოს გუმანით გრძნობდა,
რომ მის მომავალ საქმიანობას ედე-
ბოდა სათავე, თითქოს ესმოდა კიდევ,
შორიდან, ჯერ ძალიან შორიდან, იმ
მონანქკარე ნაკადულის ხმა, ქართუ-
ლი უნის წყალზე მდინარებას რომ
უნდა შერთვოდა. ახლა აღარც ახსოვ-
და ის თარგმანები, გაუნაფავი და ნა-
უცბათევი, გარდა ვერლენის ერთი

ლექსისა და ისიც იმიტომ კი არ ჩაახ-
სომდა, რომ სხვებზე უკეთ გამოუვი-
და, არამედ ვერლენის ტრიოლებით
დანერვილი ის ლექსი, მონანიების სინ-
რფელითა და რელიგიური სასოვებით,
გულში ღრმად ჩაეჭრა და აღბათ ამის
გამო თავისი საქმიანობის დასაბამს
სწორედ ამ ლექსს უკავშირებდა.

რიყე-რიყე მიდიონენ წინანდალ-
ში... ნიავე უბერაედა, მაგრამ მაინც ძა-
ლიან ცხელოდა, ქავლს დაებურა
ალაზნის ველი, და მკრთალი ცისფე-
რი კავკასიონიც მირაჟივით ილანდე-
ბოდა... თაკარა მზე მისდგომოდა წი-
ნანდლის კლდეებს... ქრისტიანე თქვა,
მე ბილიკი ვიცი და პირდაპირ კლდი-
დან ავიდეთ „უდელშიო“, ამიტომ მი-
დიოდნენ მზის გულზე რიყე-რიყე.
ქრისტიანე დანიშნაურდა იმ ბილიკის
მოსაძებნად და გასაკვალაედა, შალ-
ვამ კი ჯიბიდან ვერლენის პანია კრე-
ბული ამოიღო და რაზეც გადაიშლება,
იმას ნავეკითხავო, თქვა, ვერლენის
მონანიებაზე გადაიშალა. თამარს
სცხელოდა, ის სიტყვებიც თითქოს
რიყის აღმურში იყო გახვეული...
ქვებს შორის პანია კუნძულებივით
დარჩენილ სველ, გალიკულ თიხაზე
იგრილებდა ფეხის გულებს... და უს-
მენდა... დამაბული და აღელვებული...
ამ რიყეში, სადაც ბავშვობა და სიყმან-
ვილე გაეტარებინა, საიდანაც ვინ
მოთვლის, ყინულლიან ამინდში, შე-
მოდგომაზე რამდენჯერ გაეგონა ჭინ-
კების ჭყვილი და მოძახილი, ვინ მოთ-
ვლის რამდენჯერ დაენახა თუ წარმო-
ედგინა გაზაფხულის აქოჩრილ ზვირ-
თებზე ქვე-ქვე მიმავალი წმინდანები,
უფლის მიერ სიყვარულით დაკოდილი
ვერლენის ლოცვამ გულის სიღრმე-
დე შესძრა. მოუნდა იქვე ქართულად
გაემოკრებინა, შალვას ისევე და ისევე
აკითხებდა ტრიოლებსა და თვითონ
ლამის ფეხდაფეხ ქართულ შესატყვი-



სებს აწყობდა: „შენ მე დამჭერი სიყვარულით, მაღალო ღმერთო, ჭრილო-ბა მითრთის და მიცახცახებს... შენ მე დამჭერი სიყვარულით, მაღალო ღმერთო... აი, ხელები, გარჯას, შრომას გადაჩვეული, დე ამ ხელებში ნაკვერჩხლები ღვიოდეს და იკმეოდეს წმინდა საკმელი... აი, ხელები, გარჯას, შრომას გადაჩვეული... აი, თვალები, ცოდვის ცეცხლით მოგიზგიზენი, ცრემლმა ლოცვისამ დე ჩაშრიტოს ურცხვი აღმური... აი, თვალები; ცოდვის ცეცხლით მოგიზგიზენი...“

ქრისტინეს ძახილი გაისმა: ბილიკს მივაგენიო... „იცი, თამარ“, უთხრა შალვამ, „აღბათ, მინც ყველაზე სწორი იქნება, სერიოზულად მოჰკიდო ხელი თარმანსო“. ხელი მოხვია და კლდის ბილიკისკენ გაემართნენ...

ორი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ და ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე წინააღმდეგობა გამოხატა კიდეც, გერმანული რომანტიკული ზღაპრები, გოეთეს ადრული ლირიკა, ფრანგი პოეტების კრებული... სხვათა შორის, დიდი შთაბეჭდილება დატოვა და ლიტერატურულ წრეებშიც მოწონება დაიმსახურა ლოტრეამონის „მადლორორის სიმღერების“ თარგმანმა. შალვას შემდეგ კი ყველაფერზე უარი ეთქვა, ესეების კრებულიც ამოუგდეს. მადლობა ღმერთს, გერონტი ქიქოძემ მოუხერხა ვაჟას თარგმანები, ჩუმად, ინკოგნიტოდ... თამარი ადრე ახალგაზრდობიდან ქმრის გვარს ატარებდა, ამ თარგმანებს კი ქალიშვილობის გვარს მოაწერდა, რომელიც არც არავინ იცოდა, ჰოდა, ვითომ სხვა იყო... ასე უთხრა გერონტიმ, ასე ურჩია... ოჰ, რა სიამოვნებით მუშაობდა, რა ხალისით თარგმნიდა, თუ ასე ნავიდოდა საქმე და თამარი დარწმუნებული იყო, რომ ნავიდოდა, დათქმულ დროზე ადრეც მოამთავრებდა სამუშაოს. დღევანდე-

ლი „ამოდის, ნათდება“ უკვე მეათე მოთხრობა იყო და დღის ბოლომდე იქნებ კიდევაც დაესრულებინა.

აი, მაგიდას მზეც მოადგა, გააშუქა გადაშლილი წიგნი, ფანქრით აჭრელებული ქაღალდები და მოაჯირის რიკულების ჩრდილებიც ირიბად ჩარიგდა თამარის წინ მაგიდაზე... მოშიგდა კიდეც... ეკუთვნოდა ერთი ქიქა ჩაის დალევაც; გავიდოდა, შემოიტანდა ბუფეტიდან და აქვე ისაუბრებდა, ძირითადად ხომ ჩაი იყო მისი საკვები, შესატანებლად სამი კაკალიც ჰქონდა, ღმერთი უშველის ქრისტინეს, ჩამოვიდა კისისხვევიდან, ჩამოუტანა საახალწლოდ კაკალიც, მთელი ლიტრა, ერბოც, კილოინი თიხის ქილით, პურებიც, დედალიც, ტკბილეული... მართალია, დიდი ამაგი აქვთ ქრისტინეზე, შალვამ გაუკაფა ზა და სტუდენტობის დროსაც გვერდიდან არ მოუცილებიათ, მაგრამ ამ შებენელ დროს, ბიძაშვილს კი არა, ლამის დას და ძმას ვერ მოსთხოვ ვერაფერს. აგერ, პოეტი არ იყო მირიან ლაღიძე, ცოლისდა რომ ვერ მიდიოდა მასთან სახლში?

ქრისტინე კი უღალატოა, „თქვენი ჭირიშეთო, თქვენ გენაცვალეთო, ვერ შევეგუები თქვენს ამ დღეში ჩაყრასაო, არა ნახოს კარგი და კეთილი თქვენმა დამილუპაემო, არ გაუთენდეს მშვიდობის დილა და არ დაულამდეს მშვიდობის ღამეო...“ მოთქვამდა ქრისტინე და თან დიდი კალათიდან სანოვაგეს იღებდა. მაგრამ თამარს არ ემეტება თავისთვის არაფერი, უშინია, ოთარს არაფერი მოაკლდეს და ყველაფერს მას უზოგავს... ზოგჯერ აი, ასე სამ კაკალს თუ აიღებს ჩაისთან შესატანებლად. სამი კაკალი, რომ იცოდეთ, ექვსი ლებანია, გუნებაში ვილაცას გამოეპასუხება, ვინც მცირე ულუფას დაუნუნებდა, ლილიმ უთხრა

ორი-სამი კაკალიც კი შესანიშნავი საკვებია ტვინისთვისო, ჰოდა, ლილი კიდევ საუცხოო ნევროპათოლოგია. თამარმა ჩანთიდან თავისი სამი კაკალი ამოიღო და სამივე ერთი ხელის მოჭერით გატეხა, თხელნაჭუჭა, მსხვილი, მშვენიერი კაკლები იყო, კისისხევის კაკლისა, გაასუფთავა და ექვსი ბროლივით ლებანი საგანგებოდ მომზადებულ ქალაღზე დადო; ოთარზე ზრუნვა, თორემ შალვას შემდეგ მცირედით დაკმაყოფილებას თავისი სიამე და სიკეთე ახლდა თან, ხორცისთვის მცირე საზრდელი თითქოს სწორედ სულს ეჭირებოდა და სულისთვის იყო გამიზნული. ნაჭუჭები მომინანქრებულ პატარა კათხაში ჩაყარა, გარეთ გადაყრი და ჩაისა და პურის ნაჭერსაც შემოვიტანო. უჯრიდან ფაიფურის ფინჯანი და ჩაის კოლოფი ამოიღო; ფინჯანში ჩაყრიდა ცოტაოდენ ხმელ ჩაის (რას ვერ შევლია და კარგ ჩაის), ბუფეტიდან მოტანილ ნყალ-ნყალა ქერაცუა ჩაის ზედ დაასხამდა და იმას შეექცეოდა... ისევ დახედა თარგმანს, თვალი ჩააყოლა და განსაკუთრებით იმ ნაკვეთით დარჩა კმაყოფილი, მშვიერი მგლები რომ თათბირობენ, სოფელს თავს როგორ დავესხათო. იმედი რომ უღვივით გულში, მაგრამ ბედი უმტყუნებს, ამოვა ბადრი მთვარე, გაანათებს ტყესა და ჯურღმულს და გაცრუებული მგლებიც წყველა-კრულვით აიკლებენ მთვარეს.. რუსულად მშვენივრად გამოუვიდა სასაუბრო, ხალხური ინტონაცია, ფრაზები მოქნილი ჰქონდა, ძალდაუტანებლად, ბუნებრივად ფლერდა, სიტყვების რაოდენობის მხრიავეც ტექსტი თითქმის ერთნაირი იყო...

ჰონორარით პირველ რიგში ოთარისთვის ფეხსაცმელები უნდა შეუკვეთოს, სწორედ ისეთი, შალვამ რომ

შეაკერინა საპრიგინთან, თავისთვის კი მაროს უნდა გაატანოს მოსკოვში (დიდი იმედი აქვთ, რომ ოლიმპიადაზე გაიმარჯვებენ და მოსკოვში სტუდენტთა თვითშემოქმედების დათვალიერებაზეც გამოვლენ), ლარუსისა და დალის ლექსიკონები დაავალოს, იქნებ ბუკინისტებში უშოვოს და ჩამოუტანოს. თამარს გულში ნათელი ჩაუდგა... მაღლიერების... ყველა იმათ მიმართ, ვინც ატანინებდა სიმძიმეს და სიდუხჭირეს, სიკეთე შეუვალაო, გაიფიქრა, ვერავის ვერ ძალუძს სიკეთის ჩახშობაო, ვერავისო... დახვრიტე... მოკალი... დაასამარე... ჩაკალი... დათრგუნე... ფეხქვეშ გათელე... გულიდან ვერ მოიცილებ, მაინც წამოპყვოფს თავს სიკეთე, როგორც ბალახი და გადაჯეგილ, გადათქერილ, გაუდაბურებულ და გავერანებულ გულს მწვანით შემოსავს...

დაბადების დღე - ჰო, აი რა ახარებდა - ოთარი დღეს დაბადების დღეზე მიდიოდა. უხაროდა, ოჰოჰო, რამდენს იცეკვებდნენ... ამას ხედავდა, როგორ ცეკვავდა ოთარი. პატარა რომ იყო, შალვა ფეხებზე დაიყენებდა ხოლმე და ისე აცეკვებდა. შალვაც და განსაკუთრებით ოთარი შალვას მამას დაემსგავსნენ, ეტყობა. საბავშვო ბაღში ოთარს ჩოხა შეუკერეს, შვინდისფერი და თეთრი ბოხობი... პატარა რომ იყო, ასე ცეკვავდა მთიულურს.

მომინანქრებული კათხა აიღო და წამოდგა. იქვე თაროზე მიყუდებულ მაროს პატარა სარკეში თავის თავს მოჰკრა თვალი და გაუკვირდა და ესიამოვნა, თავის გამოსახულებას თვალი რომ არ აარიდა. შალვას შემდეგ შეჯავრდა სარკეში ყურება, ეუცხოვებოდა თავისი სახის დანახვა, არ სიამოვნებდა... ეს სხვა ქალი იყო, ამ ქალს ძველებურად მხოლოდ ქარვალა უბრწყინავდა გულზე, პაპა ოთარისეული.

შინდისფერი მსხვილი კრიალოსანი, ეს ერთადერთი, რასაც ვერ შევლია და ვერ გაყიდა... სარკიდან უყურებდა ხოლმე გაჭალარავებული და სიგამხდრისაგან უსაშველოდ სახეჩამოგრძელებული ქალი... მთავარი მანც სხვა იყო... მთავარი თვალები იყო, ამ თვალებს ველარ იტანდა, მათ შურაცხმყოფელ გამომეტყველებას, დამარტოვებული, დაბეჩავებული ქალის თვალები. ასე ეგონა, უპეებიც ოხრად დარჩენილი ქალის მიუსაფრობით ჰქონდა ამოღამებული... იქნებ შალვამ არც დაიჯეროს, რომ სარკე ასე შემჯავრდაო. „გაიბზარა სარკე, თამარ!“ დაუძახებდა ხოლმე ხუმრობით... „გასკდა სარკე, ქალო!“ შესძახებდა უკვე მოთმინებადაკარგული, სადმე თუ აგვიანდებოდათ, თამარი კი სარკის წინ კობტაობას ვერა და ვერ ეშვებოდა. შალვამ რომ იცოდეს, მხოლოდ აი, ახლა, ამდენი ხნის შემდეგ, აღარ მორიდა თვალი თავის ჩამოღვარულ სახეს... ისიც იმიტომ, რომ დარწმუნებულიყო: ამ ვითარებაშიც შეიძლება ოდნავ მაინც შეინარჩუნოს გაუბედურებულმა ქალმა თავისი სახე და აღარ ჰქონდეს ყოვლად დამამცირებელი, ჩანიხლული და თავში ჩარტყმული ადამიანის გამომეტყველება... გაიღიმა... ჯიბიდან სავარცხელი ამოიღო, სავარცხელს ის ლექსი ამოჰყვა, ჩაიკითხა ბოლო სტროფი, და სავარცხელი თავზე გადაისვა. ლერწამი გრიგალში... რა შესანიშნავი მეტაფორაა, მგონი, ფრანგული პოეზიიდან... ჰო, ჰო, სწორედ რომელიღაც თანამედროვე ფრანგი პოეტის მეტაფორა, გამძლეობის სიმბოლოდ ქცეული... ლერწამი, რომელიც უმკლავდება ქარიშხლებს... ისევ ის დილანდელი ძილღვიძილის სურათი დაუდგა თვალწინ: საკარნავალო კოსტუმში გამონყობილი ქალი ფლეიტაზე უკრავდა... სუსტი და

ნაზი ქარიშხლების პირისპირ აღმართულიყო... ასე ეგონა: გაიხედავდა ფანჯრებისკენ, მაღალი, ვინრო ფანჯრებისკენ, რომელთა გადაღმა, იანვრის მზესა და სუსხში იწვოდნენ პატარა ჭადრების გამხმარი, გარუჯული ფოთლები, გაიხედავდა და დაინახავდა იმ ქალს, ლერწამივით თხელსა და ანონილს, და არათუ დაინახავდა, გაიგონებდა კიდევ მისი ფლეიტის ცალფა ხავერდოვან ხმასაც, და საკრავის მთრთოლვარე ხმა, როგორც ის ლექსი, კვლავ ჩაბერავდა სულის მხნეობას...

სავარცხელი ჯიბეში ჩაიღო, შემობრუნდა, მზით სავსე დარბაზს გახედა და ერთბაშად თვალი გაუშტერდა... სწორედ სტალინის ქანდაკება ეცა თვალში... ქანდაკება აღარ იყო გოროზად ჩაყანგებული... ქანდაკებას რაღაც მოსვლოდა... რაღაც საშინელება დამართოდა... თვალი ხომ არ მატყუებდნო, მზერა დაძაბა... არა, არ ატყუებდა თვალი... თავზარდაცემული მოსწყდა ადგილს, დარბაზისკენ გამოიქცა... მაგიდის რიგებს ჩაუქროლა... რაღაცას ფეხი წამოჰკრა, წაიფორხილა, მყისვე გასწორდა და ქანდაკების წინ შეძრწუნებული გაშეშდა, გაქვავდა ადგილზე! ბელადისთვის თავი გაეჩხათ.

ბელადისთვის გამეტებით და დაუნანებლად თავში რაღაც ჩაერთყათ! ერთხელ კი არა, შემთხვევით კი არა! ერთხელ და შემთხვევით ასეთ დღეში ვერ ჩააგდებდნენ! საგანგებოდ და ბოროტად გაანგარიშებული გამეტებით, რომ კი არ დაემსხვრიათ - სანიშნოდ დაემახინჯებინათ! რომ ყველას დაენახა, როგორ იყარეს ჯავრი, იძიეს შური და მოიკლეს ბოღმა!

თამარმა თავი უმწეოდ გადაავდო, ხელები ყელზე მიიბჯინა, ცდილობდა,

უჩუქუნულნი
 ზინჯლიქოქუქა

ნერწყვი გადაეყლაპა და ელდაზე ნერწყვიც გაშრობოდა.

ღრმა ნაპრალი ჩაჩეჩქელი კეფიდან იწყებოდა, ირიბად სერავდა ბელადის ხშირი თმით დაფარულ თავს...

ღრმა ზიგ ზაგები მთელ სახეს კვეთავდა!

შუბლიცა და ცხვირიც შუაზე ჰქონდა გაპოხილი!

ცალი უღვაში მთლიანად მომტერეოდა!

სწორედ ბელადის უღვაშს ნამოპკრა ფეხი თამარმა.

ნიკაპიც მომსხვრეოდა! (რა ყოფილა ნიკაპი, განსაკუთრებით უნიკაპობა ამახინჯებდა, მთელ ძალმოსილებას აცლიდა...)

ჩიბუხს თავი მოვარდნოდა!

და ტარი ფანქარივით ჰქონდა პირში გაჩრილი!

ბრინჯაოსფერ ხალათს საღებავი გადაფცქენოდა და მკერდთან, საგანგებოდ ამოტეხილ და ამოღრუტუნულ ფოსოში მოზრდილი ქვა ჰქონდა ჩატენილი, ცხადია, იმის თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად, რომ პროლეტარიატის ბელადსა და ხალხთა მამას, სიყვარულით მოგიზგიზე გულის ნაცვლად, მკერდში რიყის ქვა ედო. უხამსად შეეგინებინათ ბელადის მკერდი... უხამსად და უნმანურად!!!

აღბათ, სწორედ ამ ქვით ჩაუჩეჩქვეს თავი, მერე კი აიღეს და მკერდში ჩაუჭურთეს. ამ ქვას, ბოროტმოქმედების ამ ნივთიერ სამხილს, ჯერ გაოგნებული და დათრგუნული შეპყურებდა თამარი, მერე კი გამოცნობის ჯიუტი და მტანჯველი წყურვილი დაეუფლა, ცოცხლად წარმოედგინა, ვისაც ეს ქვა ეჭირა ხელში. ვინც ბოღმითა და შურისძიებით ატანილი ვარაზის ხევის ბორცვიან ბილიკზე მირბოდა, იქნებ სწორედ იმის შემდეგ, რაც ციხიდან გადმოცემული მამის ფუთა

მთელი გზა გულზე მიხუტებული მიჰქონდა სახლში, ტრამეიას უკანა ბაქანზე ფანჯარასთან აკრულს და აფორიკებულ და შემფოთებულ იყნოსავდა რალაც უცხო, სრულიად უცხო, ზინჯლისა და ოფლის სუნში არეულ სუნს, და მხოლოდ მაშინლა მიხვდა, რა სუნი იყო ეს სუნი, ასე რომ ამფოთებდა და აფორიკებდა, მოხუცმა ბებიაშ გასარეცხად რომ ჩაალბო შევიოტის შარვალ-ხალათი და ნყალი ნითლად შეიღება.

და მაინც უსინდისო იყო ის ვილაცა! ბრიყვი და უსინდისო!

მართლაც, ყველაფერი ასე რომ ყოფილიყო! და თუნდაც, ამაზე უარესად! არავისზე არ იფიქრა! ოღონდ კი შური ეძია! ოღონდ კი ბოღმა ამოენტხია! სხვა ყველა ფეხებზე დაიკიდა! სხვა არავინ არაფრად ჩააგდო! სხვას კისერიც უტეხია! სხვამ ჯიბეში იქნოს მუშტები და იმან კი, ის ისეთი შურისმაძიებელია, ეს უნდა ჩაიფიქროს, ეს სისაძაგლე, თავი გაუჩეხოს და მკერდში ქვა ჩაუტენოს! ცოცხალს ჩაუტენოს, ცოცხალს, ქანდაკებას რას ერჩის! თავის ამხანაგებს რას ერჩის! ბიბლიოთეკის ქალებს რას ერჩის!? გულს რომ მიამტკიცებენ მათ თითო ნიშანს და მათი ჭირითა და ლხინით საზრდოობენ!! უსინდისოები, მოლალატეები!! ხომ შეუძლებელია გაგონილი არ ჰქონდეთ, რა ბედი ენია იმ პატარა ბიჭს, ეფოვის სურათი რომ დახია! ხომ წარმოუდგენელია ყური მაინც არ ჰქონდეთ მოკრული, რა დღეში ჩააგდეს ის მასწავლებელი, მეოთხე კლასის გოგონამ დაფის თავზე ბერეას სურათი ყირამალა რომ შეატრიალა!! აქ კი ბელადი! თვითონ ბელადი! ხალხთა მამა და მასწავლებელი! ხალხის კერპი! კერპი! კერპის მსხვრევა ყველგან, ყოველთვის იწვევდა საშინელ რეაქციას!! ყველგან ისჯებოდა

სასტიკად! ერთბაშად გაახსენდა, რომ ბიბლიოთეკის კარი ღიაა... ადგილს მოსწყდა, სირბილით მიიჭრა კართან, გასაღებით ჩაკეტა და ერთი ნუთით სულის მოსათქმელად კარს მიეყრდნო... რა უნდა ექნა და რა გზას დასდგომოდა?

ოთარი... სულ მარტო დარჩება ოთარი... აღარც მამა, აღარც დედა... აღარც დედა... შალვას დანაშაული არ უქონდა, არავითარი, არავითარი, შალვას აბსურდული ბრალდებები წამოუყენეს: საზღვარგარეთ ხარ დაბადებულიო, ღმერთო, დიდებულო, შალვას დაბადებისას ხომ ის ტერიტორია არ ეკუთვნოდა თურქეთს, არამედ იყო საქართველოს ტერიტორია, მამამისის პოლკი იქ იდგა, დედაც მამასთან იყო და აბა, შალვას რა უნდა ექნა? არ დაბადებულიყო? დედისთვის ამოეძახა მუცლიდან, ნადი და შუაგულ თბილისში დაშბადეო?! ან, თუნდაც, რაღაც მზაკრული მანქანებით, ჩვენი ისტორიული ტერიტორია, მართლაც, საზღვარგარეთ ყოფილიყო, ამ თვალსაზრისით რა განსხვავება იყო მეფის იმპერიასა და საზღვარგარეთს შორის? მეფის იმპერია იყო იქაც და აქაც და სანყალი შალვა, ესე იგი, სულ არ უნდა დაბადებულიყო! გაგიგონიათ ასეთი აბსურდი!? ჰოდა, შეადარეთ, შეადარეთ, შეადარეთ... სახალხო კერპის მსხვერვა! უბრალოდ მსხვერვა კი არა, შეგინება! ოთარი... (რატომღაც წარმოიდგინა, რომ მარტოდ დარჩენილი ოთარი ანთებს ნავთქურას და ვერ აუნთია, გაჰკრავს ასანთს და ან ასანთი უჭრება, ან ნავთქურა ვერ გადაუხსნია!) მეორე ბრალდება ხომ კიდევ უფრო ფანტასტიკური იყო! რადგან გერმანიაში იყავი, ფაშიზმის დაქორავებული აგენტი ხარო! შალვა! რომელიც უკანასკნელ დღემდე თავის ფუნდამენტურ შრომაზე მუშაობდა და ეს

შრომა სწორედ ფაშიზმის ეკონომიკის ღრმა კრიტიკული ანალიზი ვახლდათ! ის კაცი... ის საშინელი კაცი... ჯერ შალვას ამოჰხადა სული გამოძახებებით და ლანძღვა-გინების კამპანიებით და ახლა თამარს ამოხდის... აუცილებლად ამოხდის... ზის მწვანე მაუდიან უზარმაზარ სანერ მაგიდასთან ღრმად ჩაფიქრებული, შუბლმუქმუხნული და მოღუშული, და მაგიდაზე დაზეინულ ქალღედებს ამრიალებს... ამრიალებს... როგორც გველი გამხმარი ფოთლების გროვას... ზუსტად უნდა ჩაიბეჭდოს თავში ყველა სისაძაგლე და საზიზღრობა, ხომ უთხრა მაშინ თამარს: იმათ დააბრალეთ, ვინც თქვენს ქმარს დღეში ათჯერ აბეზლებდო, ჰოდა, კარგად უნდა ჩაიჭედოს მესხიერებაში ყველა შეთითხნილი ცილისწამება, გულის ფიცარზე უნდა დაიწეროს ყველა უწმინდური მითითება... ყელამდე ქალღედებში ჩაფლულმა თადაუზოგავად, გულმოდგინედ უნდა შეისწავლოს, დაალაგოს, დაახარისხოს, საიმედოდ დააბინაოს ეს განძი... თან ჩაკვირვებით, ჩალრმავებით ანონ-დანონოს და გაიანგარიშოს ვის, სად, როდის ჩასცეს შხამიანი ნესტარი... ვინ იცის... ვინ იცის უკვე იცის კიდევ ამ საშინელების შესახებ... ფეხაკრეფით ისევ ქანდაკებისკენ გაიქცა... არ შეიძლება ამისი ასე დატოვება... მაროს თუ ელოდა, ვინ იცის, მარო როდის მოჩრება იმ თავის რეპეტიციას. როგორმე უნდა გააცუროს კუთხისკენ და თვალს მოაფაროს... ვინრო თალიან წიგნთსაცავამდე შორია... მარტო ვერ შესძლებს... ღმერთო გადმოგეხედე... ლილი! ნეტავ, ლილი თუა სახლში? არა, მარტო ვერაფერს გახდება... უნდა გადარბინოს! რა უნდა ლილისთან გადარბენას! აუცილებლად გადმოუვარდება და ნამსხვერვებად იქცევა, აი, შეახო თუ არა დასად-

გარს ხელი და ქანდაკება გატოკდა, მაშინვე მიხვდა... ნამსხვრევებად ქცეული ბელადი! ახიც იქნება, იმან აგოს პასუხი, იმ გმირმა, და ძალდი ვინც მოკლა, იმანვე გადაათრიოს!! მაშინ უნდა ნავიდეგს და გაცხადოს, ბიბლიოთეკაში ასეთი საშინელება მოხდაო... უზნეობავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი... არა, ეს შეუძლებელია! ნარმოუდგენელია. ნავიდეგს და განაცხადოს? არა! არა! ახალი ძალით შეძრწუნდა... არავითარ შემთხვევაში! თანაც ხომ მაინც თვითონ არიან პასუხისმგებლები! თამარი და მარო! ორივენი! არაფერს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს...

ტრიალ მინდორზე გზაკვალარეულივით იდგა, დაბნეული და დარეტიანებული... შუბლზე გაისვდა ხელი... ცივი ოფლით ჰქონდა დანამული... იმ ხისთავიანმა ლამის ყველა სტუდენტი ცალცალკე გამოიძახა და ყველას დამბეზღებლობა შესთავაზაო, ეუბნებოდა სოსიკო და იქვე, ექსპრომტად თხზავდა სახუმარო ტექსტს დაბეზღების სიკეთის შესახებ, „ბეზღობის ქებათა-ქებას“ და თამარის დატუქსვაზე: არავისთან არ გაბედო ასე თავისუფლად სპეცგანყოფილების დაცინვა, თორემ პირველ რიგში შენზე შეეპარებათ ეჭვიო, სოსიკომ არტისტულად გაშალა ხელები: „ო, საცოდავი საბჭოთა ადამიანი! დამიჯერეთ, ჩემი მეგობარი თავგები ცაკილებით უფრო მამაცნი არიან...“ ვაიმე, თუ ყველას ხელი სტაცეს, მაშინ მოიღერებენ კისერს! სწრაფად დაიხარა და ნამსხვრევების ნამოკრეფა დაიწყო... ახლა მთავარია, მარო ჩქარა მოვიდეს... არსაით გადაუხვიოს... შემთხვევით არავინ ნამოპყვეს... უნდა ნავიდეგს და გააფრთხილოს... არა, მაგრამ გუნდს ხომ ვერ გაანებებს თავს... დღეს გენე-

რალურიც აქვს... არა, აქ მაინც ვერ გაჩერდება... არ შეიძლება...

ფრთხილად, საგანგებო სიფრთხილით აიღებენ და უკანა ოთახში გაიტანენ, თან აქეთ-იქიდან მსუბუქად მიეყრდნობიან...

ცხადია, მაშინ ჩაიდინეს ეს ბოროტმოქმედება, როცა არც თამარი იყო დარბაზში და არც მარო... მაგრამ როდის იყო... არ უნდა, არ უნდა ამაზე იფიქროს, ვინ და როდის, არ უნდა ამისი კვლევა და რჩევა... ყველა ნაწილები აქ არის, ნიკაპი, ჩიბუხის თავი, აი ულვაშიც, მადლობა ღმერთს, წელან ფეხი რომ ნამოპკრა, არ დაიფხვნა, მთელი ნატეხია... ნმინდა ნაწილებით შექხარის... ატკეჩილი წვრილწვრილი ნამტკრევეებიც ნამოკრიფა და ყველაფერი პოსტამენტზე დაალაგა... დააწებებენ... როგორმე გაამთელებენ... მთავარია, ეს საშინელი ქვა როგორმე გამოუღონ მკერდიდან... ჩაჭედილია... დიდი სიფრთხილვა საჭირო, ერთი მათგანი მაგრად მოპკიდებს ხელს მხრებში, მეორე კი ნელ-ნელა დაატრიალებს... მეურ თაბაშირით ამოუსებენ. ლილი მოიტანს საავადმყოფოდან თაბაშირს... ბრონხეს საღებავსაც იშოვიან. ნაუსვამერ ყველგან, ყველა ღრიჭოსა და ნაპრალს ამოავსებენ... ავერ ნიკაპი რა კარგად ჩაჯდა... ულვაშიც... თუ უკვე დასმენილები არ არიან, ყველაფერს ეშველება...

კარზე კაკუნი გაისმა... ჩემს ნასაყვანად ხომ არ მოვიდნენო... გაითანგა... იქნებ, მომეყურაო... კარზე აკაკუნებდნენ...

თუ მართლა ისინი არიან? მაშინ? გეფიცებით, მეც ახლა ვნახე... არაფერი... არაფერი, არაფერი არ შემინინნავს... ჩემს ერთადერთ შეილს... სასწრაფოდ გაიხადა სატიინის ხალათი, სკამზე შედგა, ქანდაკებას თავზე ჩამოაცვა, სკამი სწრაფად გამოსწია, ოპ,

რა წარმოუდგენელი სისულელეაო, თან ფიქრობდა... ნელათრეული ნაფი- და კარისკენ... ისმის ჭლარუნი ჯაჭვის და რკინის, მე კი მიედივარ ჩასვრილი და ნელათრეული... მართლა, ის ხომ თვითონ აპირებდა გასვლას, ჩაი უნდა დაეღია, აი, კათხა სად დაუდგამს, მო- აჯიროზე... გთხოვთ, ჩაის დაღვეის უფ- ლება მომცეთ... მაშინ ოთარმაც ვერ შეჭამა ერბოკვერცხი, გათქვეფილი კვერცხები ისევე დარჩა...

გასაღები ეჭვდებოდა, ძლივს, ძლივს გადაატრიალა...

„ნითელი მოსკოვის“ სუნი იგრძ- ნო...

ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქა- ლი ასეთი... ასეთი... მგლისფერი...

როგორც იყო გამოალო კარი...

სპეცგანყოფილების მდივანი მაყ- ვალა შერჩა ხელში. იგი სანდომიანად უღიმოდა თამარს და ნაზი, ქალური ნამღერებით (ამხელა ქალს თითქოს შინით პანია ჩიტი უზის და ის ჟღურ- ტულღესო) ესალმებოდა: „გამარჯო- ბააა... ქ-ნო თამარ... პავლემ გამოგ- ზანაა“... მაყვალამ კისერი წამოიგ- რძელა: „არაჲინ არის დარბაზშიი?“

თამარი კი გაშეშებული იდგა და ვერც ხმას იღებდა, ვერც ფეხს იცვლი- და...

„დღეს ბევრი სტუდენტები გყავ- დათ, ქ-ნო თამარ?“

თამარმა თავი გაიქნია: „დღეს არა- ვინ არ ყოფილა...“ – იგი პირქუში ჩა- ციებით მისჩერებოდა ქალის ფართე, გამოილ სახეს, დიდ, მშვიდ თვალებს, სუფთა, ოდნავ ამობურცულ შუბლთან და საფეთქლებთან საგულდაგულოდ გადატყვილ და მერე კი ოქროსფერ ტალღებად აზვირთებულ, დიდებულ თმას და შიგნით ყველაფერი ეფუტკ- ნებოდა. სხვა დროსაც არ აინტერე- სებდა ამ ქალის სილამაზე, და მხო- ლოდ იმის გამო კი არა – იმ კაცის მდი-

ვანი რომ იყო და ამბობდნენ მხოლოდ მდივანი არ გეგონოთო; არც იმიტომ, რომ ქუჩაში, ტრამვაიში, ხალხმრავალ პოლში ეს ქალი ყოველთვის თვალს არიდებდა, თამარისთვის მნიშვნელო- ბა ჰქონდა იმას, რომ ამ ქალის მშვე- ნიერ სახეს, ცოტათი საახალწლო ბა- სილას რომ აგონებდა, არ შეხებოდა და თითქოს ვერც ვერასოდეს შეეხე- ბოდა დარდისა და ვარამის საჭრეთე- ლი; ამ უღმობელ და მკაცრ იარაღს არ გაემახა მისი მრგვალი, ლაბუა ნიკაპი, მკაცრად არ მოეკუმა მისი ამობურ- ცული ტუჩები, არ შეემუსრა მისი ქა- ლური მიმოხერა. იყო რაღაც მეტისმე- ტად მიამიტი და საზეიმოდ შუუვალი მის სილამაზეში. ტრამვაიდან ბევრ- ჯერ დაუნახავს (ეტყობა ზემელთან ცხოვრობდა და სწორედ ზემელის გა- ჩერებაზე დაუნახავს): თავისი სიდი- დის მიუხედავად როგორ მსუბუქად ამოახტებოდა ხოლმე უკანა ვაგონს, მომზიბლავდა შეარხევედა მხრებს და ქალური სისხარკით შოიკვლევდა გზას. თან ყველაფერს ირგვლივ დიდი, თაფლისფერი თვალების ნეტარ მზე- რას ავლებდა და თამარის ღრმა რწმე- ნით, დაცქვეტილი, პატარა ყურებიც გარშემო მყოფთათვის და განსაკუთ- რებით კი სტუდენტებისთვის ბეჯი- თად მიეპყრო.

საწყალ თამარს კიდევ ის უწენავ- და ნერვებს, რომ მთელი თავისი არსე- ბით გრძნობდა, ასე არ უნდა დაეჭირა თავი, ასე არ უნდა შეხვედროდა ამ ქალს, კისისხეველი მეციხოვნის შეუ- პოვრობით არ უნდა ასვეტილიყო შე- მოსასვლელში და ამ მოჭლურტულე პანია ჩიტისთვის ზარბაზანი არ უნდა დაემიზნებინა...

„პავლემ სია გამომატანა, ქალბა- ტონო თამარ...“ – დაიჭლურტულა ქალმა, გაიღიმა, დარბაზში შემოსას- ვლელად შეირხა, მაგრამ შემცბარმა

ეროვნული

სამხარეთო

უკან დაიხია და თამარს გაკეცილი ქალღმერთი გამოუწოდა. „გასანადგურებელი წიგნების სიაა!“

„წვენი წიგნები უკვე გავანადგურეთ!“ პირქუშად შესძახა თამარმა, გასაღები გამოიღო ჭრილიდან და აჩქარებული მობოდიშებით დაუმატა: „მაპატიე, მაყვალა, ეს არის უნდა გავსულიყავი, სიას კი მერე გადავხედავ!“

„გადახედავთ კი არა, ეს ახალი სიაა, ქალბატონო თამარ, როგორ მოასწრებდით განადგურებას, როცა გუშინ მოვიდა? იმის შემდეგ ვინ მოთვლის კიდევ რამდენი მანუხელი გამოავლინეს?!“ თავმოწმონედ, თითქოს გამოწმენვევდაც დაიქიქიკა მაყვალამ. სინანულის ნატამალი, სინანულის ნასახი, იოტის ოდენა შეცოდება... არა, ნუ დაენანებოდა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა დაფიქრებულიყო მაინც, ამოდენა ქალი, ხომ შეიძლებოდა ღრმად ამოესუნთქა... ხომ შეიძლებოდა ქალური სიკეკლუცით მაინც არ გაელიმა... ღმერთო, ღმერთო, ისევ სია... სავლე, სავლე, რატომ მდევნი მე...

თამარი დაჰყურებდა სიას და სული ყელში ებჯინებოდა...

მათ ხომ საშინელი დანაშაული ჩაიდინეს... მან და მარომ... წიგნები იმ ძველი სიიდან არ დანვეს და არ განადგურეს! მაშინ პავლემ სპეციალურად დაიბარა, ამ ორი თვის წინათ და თამარის მორიდებულ შეკითხვაზე „რავუყოთ მერე ამ წიგნებს, ქვევით, სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდებში ხომ არ ჩაგვეტანო“, პავლემ გამძვინვარებით მოუწოდა „რა უნდა უყოთ და საკუთარი ხელით უნდა განადგუროთო, სამეცნიერო ბიბლიოთეკაში თავისი წიგნები ეყოფათო!“ რა უბედური იყო იმ კაბინეტში, იმ კაცთან, იმ სავლედ დარჩენილ პავლესთან... გაბრუნებული და გასაგვითებული ფანჯრებს გადაღმა, ქვაფენილის კიდეზე

მოქანავე ჭადრის ნერგებს გააყურებდა, ნოემბრის ქარით შევიწროებულ პატარა ნერგებს, ამ კაბინეტში მოხვედრილი სანყალი ქალის ერთადერთ ნუგემს (მათ დარგვაში ხომ შარშან შალვამაც მიიღო მონაწილეობა თავის სტუდენტებთან ერთად, ოთარიც კი წამოიყვანა და მთელი დღის შრომის შემდეგ გახარებული და ნასიამოვნები დაბრუნდა შინ), და ბოლმითა და ტკივილით საესე, იმ დროზე ფიქრობდა, ეს ნერგები უზარმაზარ, თვალწარმტაც ჭადრებად რომ იქცეოდნენ, უნივერსიტეტის ჭადრებად, და უნივერსიტეტშიც, ამ კაბინეტშიც აღარავის უზრძანებდნენ წიგნების დაწვასა და განადგურებას, აღარავის მოუწოდებდნენ ლანძღვა-გინებაში მონაწილეობასა და კრებებზე დასწრებას. უნდოდა ეთქვა, გული მიხდება ცუდად და არ შემძლია დასწრებაო, მაგრამ ისევ გაჩუმება არჩია. „ასე არ შეიძლება! არავითარ საზოგადო ღონისძიებას თქვენ არ ესწრებით... არცერთ კრებაზე მე თქვენ არ მინახავხართ!“ თამარი კი პატარა ჭადრებს უყურებდა. აი, სწორედ მაშინ, ჩამონოლილ სიჩუმეში გაისმა ისევ იმ კაცის ხმა, სწორედ მაშინ უთხრა ის საშინელი ფრაზა, ტკეპნით, დამარცვლით, ლამის ჩაჩიჩინებით, დაფასთან მოულოდნელი გამოძახებით დაბნეულ და დარტყიანებულ მონაფეს გამოსაფხიზლებლად რომ ჩასძახებდნენ, აი, ასე: „იმათ დააბრალეთ, ვინც თქვენ ქმარს დღეში ათვერ აბეზლებდით...“ კაცმა თავი აიღო, თითქოს მუდმივი სიფიზილისაგან დაქაჩული, წყლისფერი თვალები მოაპყრო და ისევ ტკეპნით დაუმარცვლა: „სიტყვიერად და... ნერვილობითო.“

სძულდა, სძულდა, სძულდა! ალბათ, ამ სიძულვილის ბრალიც იყო, რომ მიუხედავად შიშისა და კანკალისა, მიუხედავად ძილგამკრთალი ღამე-

ებისა, ის წიგნები ვერც თამარმა და ვერც მარომ ვერ გადაყარეს და ვერ დანვეს... და არა მხოლოდ მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობები და რომანები, არა მხოლოდ მეოცე საუკუნის რუსი ფილოსოფოსები, არა მხოლოდ მანდელშტამის „Камень“ და ბაბელის მოთხრობები, არამედ მირიან ლალიძის ლექსებიც კი... თან უხაროდა, უხაროდა, რომ ასე უბდიდა სამაგიეროს, მის საკმარისად დაბალ პოეტურსა და მხატვრულ პროდუქციას არ წვავდა და არ აგდებდა, არამედ, როგორც საუკეთესო წიგნებს, ყდებზე და თავფურცლებზე ქალადებსა და გადაყრლი ქურნალების რბილ ყდებსა და თაფურცლებს ანებებდა... ნაწილი იმ წიგნებისა მარომ წაიღო თავისი სარდაფის ბნელ თახჩაში დასამალად, ნაწილი კი, მაროს თხოვნისა და რწმუნების მოუხედავად, თამარმა არ დაანება, აქაოდა უნიგნოდ ყოფნა არ შემოძლიო, აქაოდა უნიგნო სახლზე ცარიელი, მოსაწყენი, უღიმღამო, აუტანელი და გაუსაძლისი კიდეც რა შეიძლება იყოსო, თითო-თითოდ გადაზიდა თავის ჯურღმულში და წაღოში დამალა, ლოგინისა და ფიცრების ქვეშ; და ამიერიდან ის ჯურღმულიც ისე საშინელი აღარ უჩვენებოდა, იმ ჯურღმულსაც ჰქონდა თავისი საიდუმლო სიამე, რომლისთვისაც გარჯამა და საშიშროების დათრგუნვამ თამარს თავი ადამიანად აგრძნობინა. საოცარი გრძნობა იყო, შიშითა და ტანჯვით სავსე, მაგრამ იმედის გამლევებელი, იმედის ჩამწერგავი... აი, ნახეთ, ანუ-გუმბდნენ ერთმანეთს თამარი და მარო, სამართლის ფაშიც დადგებო და ჩვენც სიის მიხედვით უკლებლივ დაუბრუნებთ ამ წიგნებს ჩვენს ბიბლიოთეკა-სამკითხველოსო. მაგრამ სამართლის ფაში, როგორც ჩანს, როდინობის კვირაში დადგებოდა...

ახალ სიაში ოცამდე ავტორი მაიხც იყო შეტანილი...

დაპქროდა ეს სიები ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში, ბიბლიოთეკიდან ბიბლიოთეკაში, სამკითხველოებში, სახელგამებში, სტამბებში, რედაქციებში, უწყებებში, დაწესებულებებში... ყველგან... მთელ ქვეყანაზე...

ინებოდა თხზულებები, ნადგურდებოდა შრომები, ცხრაკლიტულში იკეტებოდა აკრძალული წიგნები... და მაყვალა თავისი ნახი ხმითა და გულითადი კილოთი თამარს შველას სთავაზობდა, თავზარდამცემ, ყოვლად წარმოუდგენელ შველასა და შემწეობას. „გამოაღეთ თუ არა კარი, მაშინვე მივხვდი, რომ ცუდად ხართ, ქ-ნო თამარ, სახეზე ფერი არ გედოთ, პოდა, მე გიშველით, რა კარგია, რომ მოვიფიქრე, აი ახლავე, იმიტომ, რომ შეიძლება ვერც კი მოასწროთ, არდადეგები იწყება, შეგამონმებენ და რაიმე წესრიგში რომ არ იყოს, ყველას მოხედება...“ – მაყვალამ ხმას დაუნია: „მითუმეტეს თქვენ... მითუმეტეს თქვენს მდგომარეობაში...“

„არა, არა, მაყვალა, არა!“ – შესძახა თამარმა მაყვალასთვის სრულიად გაუგებარი და უცნაური გზნებით, – „ჩვენ თვითონ ყველაფერს მოვასწრებთ, ჩვენ თვითონ!“ – ჩქარჩქარა, სულმოუთქმელად ამბობდა და მაყვალამ ისლა იფიქრა, ჩვეული დელიკატურობა ნებას არ აძლევს, მე დამასაქმოსო, ამიტომ კიდეც უფრო გამოიყო თავი:

„კარგით, რაა, ქ-ნო თამარ, ჩემი გერიდებათ?! მარტო რომ არ ვიყოთ, კიდეც პო, და ქ-ნი მარო ვინ იცის, როდის დაბრუნდება რეპეტიციიდან! თანაც დღეს პირველი გენერალური რეპეტიციაა!“ და მაყვალამ ახლა უკვე მედგრად მიინია შესასვლელად.

„არა, არა, არა!“ უმწეო, სასონარკეთით აღმოხდა თამარს, მან ხელეზი გულზე იტაცა, თვალები კი ბოლმის ცრემლებით ავესო, „ხომ მაქვს უფლება, მეც დავეხსნო რეპეტიციას, იცით, როგორ მაინტერესებს, რას აკეთებენ ჩვენი სტუდენტები, მითუმეტეს, გამოცდები უკვე დამთავრდა, არავენ შემოსულა გუშინ და დღეს“ და სწორედ ამ დროს, ეტყობა, ისე მოქაჩა მძივი, რომ სანამ გაოგნებული მაცვალა ხმას გაიღებდა, ქარვის ბურთულები პარკეტზე გაიბნა და გაიშალა... თამარი იძულებული იყო უკან დაეხია.

მაცვალა სხარტად შემოვიდა დარბაზში, დაიხარა და ქარვის წამოკრეფას შეუდგა, „აბა, რა, ქ-ნო თამარ, აუცილებლად დავსწარიო რეპეტიციას, მითუმეტეს არასოდეს არ ესწრებით ღონისძიებებს, არადა, ვერ წარმოიდგინო რა მონტაჟი აქვთ ჩვენებს, ან რას მღერიან.“ ღლურტულებდა მაცვალა, თან ქარვის ბურთულებს მუჭში იგროვებდა, მერე კი თამარს ემაღის კათხაში უყრიდა. თამარი უსასოოდ, ბედსმინდობილივით მიეყრდნო მოაჯირს და მათხოვარვით გაიწოდა კათხა. მაცვალას სახე გაეშალა, თითქოს კიდევ უფრო გაუფართოვდა, მე ასეთი ქარვა არ მინახავსო, თავისებური წამღერებით ამბობდა, არც ვიცოდი, თუ ამფერი ქარვა არსებობდაო, და შინდისფრად მოკიაფე ბურთულებს ხელის გულზე იჩერებდა და თვალებს უფუჭუნებდა, თან სულ უფრო და უფრო ეძალეზოდა ალტაცება... დიდი, თაფლისფერი თვალები ნაპერწკლებით ავესო, თმები კი მზეზე ოქროსფრად უბრწყინავდა, და ერთიანად თითქოს ნდომითა და სურვილით იყო გაბდღვიანებული...

სულ წამოკრიფა... სულ... გაფაციცებით მოაველო თვალი იატაკს... შორს გაგორებულიც მოიძია... თამარი, კათ-

ხით ხელგანვდილი, გახევებული უყურებდა მაცვალას... არა, არა, ქარვის კრეფაში იყო ჩანთქმული, იქითკენ, იმ საშინელი ადგილისკენ არც მიუხედავს. გაითანგა, მაგრამ საბოლოოდ, ორიოდ უკანასკნელი ბურთულა შეყვონებითა და გულდანყვევით რომ მიანოდა თამარს, ყელი თავმომწონედ მოიღერა, თაფლისფერი თვალების ნეტარი მზერა პირდაპირ ფანჯრებთანაკენ გატყორცნა და გულუბრყვილო ცნობისმოყვარეობით (ვითომ! ვითომ! ვითომ!) იკითხა:

– რა არის ის საფრთხობელასავით... ქ-ნო თამარ? – შეხედა და თვალები გაუფუფუნა. და თამარს მოეჩვენა, რომ მზაკვრულად გაუფუფუნა თვალები მაცვალამ. „მზეა, მაცვალა... მზეა...“ ასე ეგონა, სხვა ადამიანი, მის შიგნიდან, სულ სხვა ადამიანი პასუხობდა მაცვალას...

გაიღიმა კიდევც... ჩვეულებრივ... სრულიად ბუნებრივად...

„როცა მზე ადგება, ჩვენ ჩამოვაფარებთ ხოლმე“ ... – აღარ დააცადა მაცვალამ სიტყვის გაგრძელება, ერთბაშად ჩაიციხა, თავისებურად ჩაიფლურტულა: „გეშინიათ, თავში სიცხე არ ჩაუვარდეს, ქ-ნო თამარ?“

თამარმა მაცვალას თვალეში შეხედა და ყრუ, ჩავარდნილი ხმით წარმოსთქვა:

„დიახ, მაცვალა... გეშინია“ ... – გაჩერდა და ისევ დაუმატა: „გეშინია“ ... მაცვალამ გაბუტული ბავშვივით გამობუშტა ტურები, ქვეშიდან შემოხედა თამარს, თითქოს რალაცას ვარაუდობსო, შეტრიალდა და კარისკენ ნავიდა...

ყველაფერი მსხვილი და ამობურცული ჰქონდა: გვერდებიც... მხრებიც... ბეჭებიც...

თამარს თავისდა მოულოდნელად, სრულიად მოულოდნელად, ერთბაშად



და მყისიერად, დაებადა აზრი, რომ უნდა დასდევნებოდა მაცვალას, უკან დან ხელები შემოეხვია, და გულითადი, დედა-შვილურად დაშაქრული, ლამის ედრების კილოთი ექთვა: შენი იყოს ეს ქარვა, მაცვალა, ასე რომ მოგვინა, სწორედ შენი უნდა იყოსო, ბოდიში, უცებ ვერ მოვიფიქრე, ხომ იცი, ჩვენ კახელები გვიანა ხალხი ვართო... გვიანაო!

მაცვალა გავიდა და კარი ფრთხილად გაიხურა... გაუხარდებოდა, ოჰ, როგორ გაუხარდებოდა ქარვაც, თამარის დამცირებაც, თამართან გატოლებაც... გაოგნებული გაჰყურებდა კარებს. მერე კი მოაჯირზე გადაიხარა, სია მაგიდაზე გადადო, კათხა ჩანთაში ჩაცალა და სწრაფი ნაბიჯით, ლამის სირბილით დაედევნა მაცვალას... სიჩქარეში კინალამ კარი ღია დატოვა... ღია... ისე გაეჭყადა გასაღები... მაინც ორჯერ გადაატრიალა... მაცვალას უკვე ჩაეთავებინა კიბეები და მეორე სართულის პოლში დიდი, ლამაზი ხომალდით მიიჩნეოდა... ნაბიჯების ხმაზე თავი მოატრიალა, თამარი კიბეებთან მოჩუჩხუხე ნიჭარას დაენაფა, სული მოითქვა და მაცვალას რომ მიუახლოვდა, იგრძნო: დედაშვილური აფეთქება სრულიად გაქარწყლებოდა, ხომ გითხარი, არაჩვეულებრივად მაინტერესებს ჩვენი თვითმოქმედებაო, მიაძახა შებრუნებულ მაცვალას და სააქტო დარბაზისკენ გასწავა... დიდ კიბეებთან უნივერსიტეტის ბობოლები იდგნენ, თვალში მოხვდა სპეცგანყოფილების ბრტყელი, ფერმკრთალი სახე... ვერცხლის ნიღბიდან იშორება ბოროტი სული... მცირე ნუგეში მაინც იგრძნო: დამინახონ, როგორ მივიჩქარი სააქტო დარბაზისაკენო, მაშინ რომ მისაყვედურა, კრებებს და ღონისძიებებს არასოდეს არ ესწრებითო, აი, თუ არ ვესწრე-

ბიო?! კაცები რალაცას ლაპარაკობენ, მას კი გაშეშებული მზერა პოლისკენ მიეპყრო... ჰო, ჰო, მაცვალას უყურებდა... სინანულმა აიტანა, რა ვქენი ეს, რომ ქარვა არ ვაჩუქეო, რატომ ვარ ასეთი უკუდო ამპარტავანიო, ქვეყანა ინგრევა და მე ისევე ჩემსას მივერეკებიო, ღმერთმანი, პაპა ოთარს რომ შესძლებოდა, საფლავიდან ამომძახებდა: არ დაიხიო უკან და მიეციო...

მაცვალას გატეხილი და შეგინებული ბიუსტი არ დაუნახავს, და თუ იმაში დაეჭვდებოდა, თამარს სტალინი სძულს და მარტო დარჩენილმა სწორედ ამიტომ ჩამოაფარა ბიუსტს თავისი ხალათით, და თუ ახალგაზრდა ქალს ისე ექნება შუბლის ძარღვი განყვეტილი, უადგილო ადგილას გაამხელს ამ ამბავს, მაშინ ბარემ ისიც თქვას, ბელადის ბიუსტზე გაქილიკებით რომ გაიცინა! გაიცინა, გაიცინა! ლამის ჩაკუჭკუჭდა, დიახაც რომ ასე იყო! თან რა სიტყვები თქვა! თავში სიცხუო... აი, ეს გაბედა, ეს გაბედა, ჰოდა, თქვას, თუ ერთს იტყვის - მეორეც თქვას, მართლა ასე ხომ არ არის საქმე...

სააქტო დარბაზის შესასვლელთან ურიაშული იდგა, პოლი სავეს იყო საოლიმპიადე მონტაჟის მონანილენით, ჩოხებსა და ჩაქურებში, ხევსურულ კოსტუმებსა თუ ქართულ კაბებში გამოწყობილი გოგო-ბიჭებით... თამარს აქეთ-იქიდან გალიმებული ესალმებოდნენ, ზოგიერთი მათგანი კი სიხარულით ეგებებოდა: რა კარგია, რომ ბოლოს და ბოლოს თქვენც დაგაინტერესეთ და გამოგიყვანეთ თქვენი ციხე-სიმაგრეიდანო... თურმე შესვენებაზე გამოშლილიყვნენ, თურმე სადაცაა უნდა დაწყებულიყო გენერალური რეპეტიცია. თამარი გამტკნარებული ილიმებოდა, აშკარად სიამოვნებდა გულშემატკივრისა და კეთილმოსურ-

ქართული
საზოგადოებრივი

ნე ქომავის როლში რომ აღმოჩნდა, თუმცა გულში მწარედ ფიქრობდა: ნუ-თუ ამათშია ის, ვინც ასეთი საშინელება ჩაიდინაო, ვინც ასე გაგვიწირა და გაგვიმეტაო... ვითომ სასხვათაშორისოდ მარო იკითხა და გუნდს ამეცადინებოსო, უპასუხეს, ფინალურ სიმღერას ამუშავებენო. დარბაზიდან მართლაც სიმღერის ხმა აღწევდა... დარბაზის კარი შეაღო და ფეხის შედგმისთანავე თვალში ეცა პლაკატებითა და ლოზუნგებით აქრელებული კედლები... პლაკატებიდან მართლაც პლაკატურად მრისხანე ადამიანები საშინელ სიტყვებს წარმოთქვამდნენ: გულქვა, სასტიკი, ვულგარულ სიტყვებს, და ეს სიტყვები ნახევარმეტრიანი ასოებით იყო გამოყვანილი, რათა ყველას, ყველა შემომსვლელს, სათვლიანსაცა და უსათვალოსაც, ბრუციანსაცა და თვალბილულსაც მყისვე თვალში შესჩხიროდა ეს უღმობელი მონოდებები: „სიკვდილი ცოფიან ძალებს! მავნებლებს, ხალხის მტრებს! შხამიან გველებს! პირსისხლიან აგენტებს! ბურჟუაზიის დაქირაებულ მსახურებს! კაპიტალიზმის რესტავრატორებს... ჩვენი უღმობელი რისხვა, შერისხვა, ანათემას გადაცემა, გამათხარება...“ ლოზუნგების ზევიდანვე, მოვარაყებულნი ჩარჩოებიდან ბელადების სურათები გადმოსცქეროდათ... ოჰ, რა საშინელი დარბაზი იყო... თხემის ადგილი... ლანძღვა-გინების ბუდედ გადაქცეული. უნივერსიტეტის ხალხს სახრით მოერეკებოდნენ, მერე მიცვივდებიან კარებს და ჩაკეტავდნენ.

ისე ამოათავებდა კიბეებს, იქით არ გაიხედავდა... თუ მითუმეტეს პოლში ხალხი ტრიალებდა, ასე ეგონა, ვილაცას გამობდნენ და ათრევდნენ, ვილაცას ჯვარზე აცვამდნენ... შალვაც რამდენი ლანძღეს... რამდენი ურტყეს... რამდენჯერ ჩანხილეს... იგი ერ-

თხელ ეუბნებოდა (იშის შემდეგ სულ ცოტა ხანში დააპატიმრეს კიდეც), ისე გავხედი, ველარც ვუგდებდი ყურს, რას მლანძღავდნენო, თავი ავნიე და სცენიდან ჭალს გავყურებდი, ნათურებს ვითვლიდიო... ახლა კი სცენაზე გუნდი იდგა სამ სართულად და ბანების მოძახილი, ზედიზედ, მიყოლებით, მკაფიოდ გამეორებული მოძახილი: „შეე-ენი, ხე-ელ-ით... შეენი ხეელით შეე-ე-ნი ხე-ე-ლით“ თითქოს მუქარასავით გაისმოდა ცარიელ დარბაზში და პირდაპირ და უშუალოდ კარებთან აბუზული თამარისკენ იყო მიმართული და დამიზნებული... იქვე კარებთან ნაპირა სკამზე ფრთხილად ჩამოჯდა... როგორც ჩიტი ნარზე... რომ მოგვეკლათ, სკამებს შორის, გასასვლელში თავისუფლად ვერ გაატარებდით, კაბინეტებშიც ხომ, ვისიც არ უნდა ყოფილიყო, შეფერხებისა და შეკრომის გარეშე აღარ შეეძლო შესვლა... შალვას შემდეგ ყველგან ასე იზაფრებოდა...

გუნდის წინ, სცენაზე მარო იდგა, ისედაც მაღალი და თხელი კიდეც უფრო ანონილი ჩანდა, ხელებს ექსპრესიულად ამოძრავებდა, თავსაც შეურიგებლად გაიქნევა ხოლმე და მკაცრად შესძახებდა „ნუ ადაბლებთ! ნუ ადაბლებთ!“ თამარმა იცოდა მაროსაგან, რომ ბელადზე სამი ფინალური სიმღერა ჰქონდათ, მაგრამ აი, ეს სიმღერა „ჩვენო, სტალინ, ჩვენო მკვიდრო...“ რომელიც მაროს აზრით, ყველას ჯობდა ხალხური ინტონაციით, კეთილხმოვნებით, შემართული, გმირული სულით, დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს ცნობილ კომპოზიტორს შეეჭმნა, გუნდისთვისაც ახლახანს გადაეცათ და ამიტომ იყო შესვენებაზედაც, გენერალური რეპეტიციის დანყების წინაც, საგულდაგულოდ რომ ამუშავებდნენ, ჯერ ცალცალკე ხმები

იმეორებდნენ ფრაზას, მერე კი ყველა ერთად, ხმაშენყობილად მოსძახობდა: „გაიშალააა ის ნააყოფი... შეენ რომ შეენი ხეულით დარგე... შეენი ხეულით...“ სცენაზე, უკანა ფარდებს, ეგრეთნოდებულ „ზადნიკებს“ ცვლიდნენ და სინათლეებს აყენებდნენ... გოგო-ბიჭების შერეული გუნდი ხან ერთბაშად გაკაშკაშდებოდა, ხან ისევე ჩაბნელდებოდა, ხან მენაშულ შუქში გაეხვეოდა, ხან ისევე გაცრიატდებოდა... ოჰ, რა მშვენიერი სახეები კრთებოდა... ჭაბუკური მღელვარებით აღსავსე... როგორი მონდომებით მღეროდნენ, რა თავგამოდებით. საკვირველიაო, ფიქრობდა თამარი, როგორ შეეძლო მაროს ეს სიმღერა მოსწონებოდა, უსიტყვო სიმღერა ხომ არ არის, რომ მხოლოდ პანგი მოგვწონოსო, და რადგან ეს საშინელი, ცრუ სიტყვები, მსჭვალავს პანგს, კონკრეტული შინაარსით ავსებს, როგორღა შეიძლება, სიმღერა ამ სიტყვების გარეშე შეაფასოვო? თამარი თვალს აყოლებდა მსკრივებს და ასე ეგონა, ყველას რალაც უცნაურ ბადეში და ქსელში ხევედა ეს სიტყვები. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა ყველა, ყველა ზადითა და ბანგით იყო დამლადანსული... თუნდაც, აგერ ის, ნაპირას რომ დგას, პირველ რიგში, ლერნამივით გადაზნექილი ცისფერთვალა გოგონა, კოხტა თავზე აბრეშუმის შულოებივით ნანწავები ჯილასავით რომ დაუდევს, პირს შაშვის ბარტყივით ალებს და სახეზე გაოცება და სასოება აქვს აღბეჭდილი, კარგად ახსოვს თამარს, სემესტრის ბოლოს მთელი ერთი კვირა ხერხემლიანთა ზოოლოგიის სახელმძღვანელოს ამუშავებდა ბიბლიოთეკაში და ერთხელ, ნიგნის გატანისას, გახარებული ეუბნებოდა თავის ამხანაგს: „ზუგდიდიდან ცნობა გამოვიგზავნა მამამ და ახლა ჩავაბარე კომიტეტში“. თამარი მაშინვე

მიხვდა, რა ცნობაზეც იყო ლაპარაკი, პირველად არ ესმოდა, რომ სტუდენტებს, რომელთაც ოჯახის წევრი კი არა, ახლო ნათესავი ჰყავდათ რეპრესირებული და ამის შესახებ კომკავშირში თუ სპეცგანყოფილებაში იქნენ დასმენილნი, ცნობებს სთხოვდნენ საბინაო უბნებიდან, სახლმმართველობებიდანა და საბჭოებიდან იმის თაობაზე, რომ მავან და მავან ხალხის მტერთან მათ არასოდეს არავითარი ურთიერთობა არ ჰქონიათ.

თამარმა ვერ მოითმინა და შეეკითხა: რა ნათესავი იყო თქვენო, გოგონამაც სხარტად უპასუხა: მამიდის ქმარიო. მერე მართლა არ გქონია არავითარი ურთიერთობაო? გოგონამ, იმის ნიშნად, რომ ერთ ფაქტს მეორესთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, გულუბრყვილოდ შეიცხადა: რას ბრძანებთო, ხუთი მამიდაშვილი მყავს, სულ ბიჭები და მე ქალიშვილივით ვყავდიო, სულ მუხლზე ვეჯექით... გოგონა გულუბრყვილო იყო და მას არც არაფერს სთხოვდა თამარი, ან კი რა უნდა ეთხოვა, რა უფლებით, ეჭვი არ ეპარება, მაშინვე იმას უპასუხებდა: აბა, ამ ფარატინა ქალაღდის გამო არ დავეშვი სესიებზეო? გავერიცხე უნივერსიტეტიდანო? მაგრამ სხვებსაც, ვისაც აბსურდული და ყბადაღებული ცნობები კი არ უნდა წარმოედგინათ, არამედ ამ კლუბის დარბაზში გამოსულიყვენ და სახალხოდ დაეგმოთ თავისი უახლოესი ადამიანები, იგივე შეეძლოთ ეთქვათ... და თუმცა „მავნებლებისა“ და „ხალხის მტრების“, „დივერსანტთა ზროვისა“ და „ჩვენს რიგებში შემოპარული პირსისხლიანი აგენტების“ საჯარო უარყოფა, გმობა, ლანძღვა-გინება და გამოიჯენა ოჯახის წევრებისაგანა და ნათესავ-მახლობლებისაგან საყოველთაო ხასიათს ატარებდა, საზოგადოებრივი მნიშვნე-

ნელობის აქტი იყო, საზოგადოებრივი კომპანიის სახე ჰქონდა და როგორც ყოველივე იძულებით საზოგადოებრივი, ისევე ლანძღვა-გინებაც, ამ შავ-ბნელი დროის სავალდებულო რიტუალს წარმოადგენდა, ესე იგი, ერთგვარად ფორმალურიც იყო და ხშირ შემთხვევაშიც, როგორც იმ გოგონას ცნობის დროს, აბსურდულობის ელფერიც დაჰკრავდა, თამარისთვის ლანძღვა-გინება, თუნდაც ტყუილ-უბრალოდ წარმოთქმული, უარყოფა, თუნდაც გულისგარეთ ნათქვამი, მაინც ლანძღვა-გინება და უარყოფა იყო, საქციელი თავისთავად ყოვლად უღირსი, უზნეო და სულის გამხრნე-ლი. მას ერჩია ხელგანვდილს კარდა-კარ ევლო, ოღონდ ოთარისთვის სინდისიერად ეპატრონა, და არა ისე, როგორც ბევრ დედას ჰგონია და ბევრი დედა პატრონობს: ოღონდ შეილი მამ-ლარი, ჩაცმულ-დახურული და მხიარული ჰყავდეს, თან ცალი თვალთ-ნიგნში იხედებოდეს და სხვას არა-ფერს დაგიდევინ... ახლა ოთარი აღარც მამლარი იყო, აღარც ჩაცმული, რადგან ამ ხნის განმავლობაში, თითქოს განგებო, ტანიც აიყარა და პალ-ტოს სახელოები ლამის იდაყვებამდე აუვიდა, ფეხიც მოულოდნელად გაე-ზარდა და მშვენიერი ყავისფერი შევ-როს ფეხსაცმელები, შალვამ ამ წელი-წადნახევრის წინ საპრიგინთან რომ შეუკერინა, ჩვეული ხელგამლილო-ბით სოსიკოს აჩუქა, და თუმცა, წიგნ-ში ორივე თვალთ იყურებოდა, თამა-რისთვის მთავარი მაინც ის იყო, თავისი ერთადერთი შეილი, თავისი იმე-დი და ნუგეში, ვისთვისაც ცოცხლობ-და და ვისაც წინამძღვრობდა, სულის შემძრავი შიშით და ძრწოლით რო-გორმე ისე გაეყვანა გარსშემორტყ-მულ წუმპესა და ტლაპოში, ერთი მხე-ფი არსად მოხვედროდა, და თუ მიულ-

წვევს ვერ მიაღწევდნენ და შეუძლე-ბელს ვერ შეძლებდნენ, თუ ვერა და ვერ გადაურჩებოდნენ დასვრას, ისე მაინც არ უნდა ამოლაფულიყვნენ, ერთმანეთის შეხედვისა შემინებოდათ და შერცხვენოდათ. აგერ ის ბიჭები, სამ-ნი, ბანებში რომ იდგნენ მალლა, და შუბლშეჭმუხნულები თავგამოდებით აგუგუნებდნენ მოძახილს, როგორ ანუხებდა მათი ბედი თამარს, ოჰ, რო-გორ სტკენდა გულს მათი ამბავი... სა-მივე გაემიჯნა... სამივემ დაგმო. სამი-ვემ უარყო... ერთმა ძმასავით შეზრ-დილი მეგობარი... მეორემ (მარო გან-საკუთრებით უჭებდა მას ბანს), გამზ-რდელი ძმა, მესამემ კი... მესამემ... სო-სიკომ... ოთარის ამხანაგმა, აქ ბიბლიო-ოთეკაში გაცნობილმა (როგორც ადრე ახალგაზრდობაში ხდებდა ხოლმე, ერ-თბაშად რომ მოეწონებოდა ერთმანეთი და უცებ დაახლოვდებიან) – დახვერ-ტილი მამა სოსიკოს საგანგებოდ მი-ამტკივნებდა გულს თამარი... რამდე-ნი ხანი სოსიკო გარე-გარე უვლიდა ბიბლიოთეკას, სადაც ლამის არ ათევე-და, თორემ აღარაფერი აკლდა, ლამის გამოუსვლელად იქ იყო; იმ საშინელი გმობის შემდეგ კი დადიოდა დამდულ-რულივით, ჩამკედარი და ჩაფუფქუ-ლი. ოთარი სთხოვდა დედას: „სოსი-კოს თავისი გაჭირვებაც ეყოფა და როცა იქნება, შემოვა ბიბლიოთეკაში, არაფერი არ აგრძნობინოვო, არავი-თარ შემთხვევაშიო...“ ისხდნენ ბუ-ფეტში და ხმელ კორფიკებს ჩაის ატან-დნენ... წყალწყალა, გრილი ჩაი და ქვა-სავით მაგარი კორფიკები კიდეე უფ-რო აუგემურებდა თამარს, „ვის რალა გვაქვს სათქმელიო“, დუდუნით ეუბ-ნებოდა ოთარს, ტუჩებს ისე შეუმჩნე-ლად ამოძრავებდა, ოთარის გარდა ვერც ვერავინ მიხვდებოდა, რომ რა-ლაცას ამბობდა, „თორემ იცოცხლე, სწორედ სოსიკოა დასასჯელი და გა-

საკიცხითო... და შენც თუ დაგმობ... მა-
მაშენს... ჩვენ თუ ეს საშინელება გვე-
ლის..." თამარი აღელდა, ბოლმა მოებ-
ჯინა, ხმელი ნამცვეცი გადასცდა, ხვე-
ლება აუვარდა და ცრემლები წამოუ-
ვიდა. ოთარს ეგონა, განგებ ახველებს,
რომ ტირილი არ დაიმჩნიოსო და თავ-
გადაკვლით ეფიცებოდა: „არასოდეს
ეგ არ იქნებაო... ინსტიტუტიდანაც
რომ გამრიცხოვო... წავალ და სახერ-
ხზე ვიმუშავებო... როგორც ზაფხულ-
შიო... მამას კი არ დავეგმობო... და იმი-
ტომ კი არა, სოსიკოზე უკეთესი ვარ,
შენ ხარ ჩემს გვერდითო... ის კი სულ
მარტოა და ეტყობა ბოლმითა და შუ-
რისძიებით არის სავსეო"...

ყმანვილი ქალივით ენდო მის სი-
ლაღესა და დამოუკიდებლობას, აქა-
ოდა ახოვანი და მშვენიერი იყო, აქა-
ოდა მოღუქის სახელი ჰქონდა და-
ვარდნილი და დარბულისა და შვეინ-
როებულის მონამებობრივი გვირგვინი
ედგა, და რაც მთავარია, რაც თამარს
ასე ხიბლავდა და რამაც სწორედ შეც-
დომაში შეიყვანა, – თავის გაჭირვებას
სულ დასცინოდა... გოგოები გიჟდე-
ბოდნენ, ქუჩაში არასოდეს ხუთ-ექვს
გოგოზე ნაკლები არ მოსდევდა ამა-
ლად, მოდიოდნენ და კისკისითა და
ჭრიამულით მოჰქონდათ ქუჩა: სოსი-
კო უდიდესი ხალისით, წარმტაცი სა-
თავგადასავლო ეპოპეასავით უყვებო-
და გოგოებს (იუმორით სავსე იმპრო-
ვიზაციებს) თავის კიბისქვეშა ხუხუ-
ლაში, სადაც დედმამის დაპატიმრების
შემდეგ შეასახლეს, თავგებთან თავი-
სი განუყრელი მეგობრობისა და ოთხ-
სავ კუთხივ მქროლავი ქარების შესა-
ხებ. იზრუნესო, ჩემზე იზრუნესო, ამ-
ბობოდა მჭმუნეარე ლიმილით, თან მოხ-
დენილად აღმართავდა ხელს, ვითომ
ზვიადან იზრუნესო, რომ არცერთი
ნუთით მარტოობა არ მეგრძნოვო...
მაგრამ, ცხადია, მის მარტოობას მხო-

ლოდ თავგები და ქარები არ იზიარებ-
დნენ... და სოსიკოც ხუმრობით შესჩი-
ოდა ხოლმე თამარს, რომელთანაც და-
ლიან უყვარდა ზეპირადის გამხელა და
შთაბეჭდილების გაზიარება: რაც მარ-
ტო დავრჩი, მარტოობა მენატრებაო.

თამარი დედასავით შეჰხაროდა
სოსიკოს, მაგრამ მასთან ურთიერთო-
ბისას ყოველთვის გრძნობდა, როგორ
წამოჰყოფდა ხოლმე თავს მასში, მის
შიგნით სამუდამოდ ჩაყუჟული გიმნა-
ზიელი გოგონა და მორცხვი კვდამო-
სილებით იღიმებოდა... იმ კრების შემ-
დეგ კი, იმ განდგომის შემდეგ, თავის
ფიქრებში სულ საყვედურობდა, კიც-
ხავდა და სამდურავს ეუბნებოდა, ასე
რატომ უმტრე შენს თავს, ასე როგორ
გაიმეტე, ყველა რომ სასოებით შე-
მოგყურებდა, ყველა რომ შენგან სიკე-
თეს ელოდაო... სიმღერ-სიმღერით
აფურთხე მამასა შენსა და დედასა
შენსა. დგას ახლა სოსიკო და თავგა-
მოდებით მღერის.

თამარს ყურებში ეჩხირება და
გულზე ეკლად ესობა ეს სიტყვები:
ჩვენო დიდო მოამაგე. არა, ეს უბრა-
ლოდ სიმღერა არ არის... უბრალოდ
ცრუ სიტყვები არ არის, ჩვენო მკვიდ-
რო... ჩვენო დიდო მოამაგე, მოკლევფე-
ხებიანი ტყუილი არ არის, უბრალო
ტყუილი, რომ შეუბერავ და საპნის
ბუშტივით გასკდება შენს თვალწინ...
ეს მანიპულაციაა – ოზოფებებზე შემ-
დგარი... ეკრძმსახურების მანიპულა-
ცია... ეს შელოცვაა გამოქვაბულის
სიბნელეში... აგერ ჩამოუშვეს კიდევ
შავი ფარდა და მართლა გამოქვაბულს
დაემსგავსა სცენა... გუნდის უკან,
სცენის სიღრმეში საბოლოოდ ჩამო-
უშვეს შავი ფარდა, ზედ მიხატული
ნაცრისფერი ჯაჭვებით და გველები-
ვით დაკლავნილი მათრახებით. ფარ-
და, ცხადია, შავბნელ წარსულს გამო-
ხატავდა, თვითმპყრობელობას გუ-

ქრონოსი

ნიკლიმოქს

ლისხმობდა თავისი განუშორებელი ატრიბუტებით, ბორკილებითა და მათრახებით. ოპოპო, რა აღფრთოვანებული იყო სოსიკო. მარკიზ დე-კიუსტინის „ნიკოლოზის რუსეთით“, რა სულმოუთქმელად უკითხავდა საგანგებოდ ამონერილ ციტატებს, მართლაც განსაცვიფრებელი სიცხადით რომ ეხმაურებოდა თანამედროვე ყოფას, რა აღტაცებით იმეორებდა „ათიანში მოხვედრილ“ ფორმულირებებს: „თიხისფეხებიანი კოლოსი... თიხისფეხებიანი კოლოსი...“ ლამის სული ეხუთებოდა აღტაცებისაგან. „მხოლოდ ფრანგულ გამჭრიახობასა და ფრანგის ძერწვის საუკუნოვან ტრადიციას უნდა ვუმაღლოდეთ ასეთ ზუსტ განსაზღვრებასო...“

... სინათლევ დააყენეს. მკრთალი, მონაცრისფრო-მოლურჯო, შავბნელი წარსულის შესაფერი სინათლე... პო, გაახსენდა, ის ციტატა... გამოქვაბულის სიბნელეში სისხლისგან ჩუმად ინრიტება დამონებული კაცობრიობა... ზეპირად იცის, რა იქნება ეს საოლიმპიადე წარმოდგენა-მონტაჟი, საბავშვო ბალიდან მოყოლებული, სკოლისა და უმაღლესის ჩათვლით აჩრდილივით თან რომ დასდევს ახალგაზრდებს... ურომლისოდაც არც ერთი ოლიმპიადა არ ჩატარებულა და არც ჩატარდება. თვითმოქმედების სული და გული ხომ სწორედ ეს მონტაჟებია. ვის არ გასწვრილებია გული მათი საწუკვარი პროვინციულობით, მათი მაღალფარდოვანი ჩიჩინითა და აღზევებული ფუჭსიტყვაობით, კლასთა ბრძოლის ცრუ და უღმობელი სულისკვეთებით, შავბნელი წარსულის სურათებითა და სანეტარო და საამური ანწყოს გაუთავებელი ქება-დიდებათ, ბოლოს კი ხალხთა მამისა და ბრძენი მასწავლებლის ქებათა ქებითა და ხოტბით. გუნდი მაროს ლოტბარობით

სწორედ ამას მოსძახობდა: „დღევანდელ-საღვრევენს ქვეყანას ზეიმით აქვს უნაპიროოო... ზეიმით აქვს უნაპირო“ და ამ უნაპირო ზეიმის გამო-სახატაეად მარო ფართოდ შლიდა ხელებს, დიდი ამპლიტუდებით ლალად, ხალვათად ამოდრავებდა, შთაგონების გასამძაფრებლად ზოგჯერ თვითონაც სიმღერით ჰყვებოდა გუნდს, ზოგჯერ კი მხედართმთავარივით სიტყვიერად მოუწოდებდა: „ასწიეთ თავები! თავები მაღლა! საზეიმო შემართება! აი, ასე, ყოჩაღ!“

სცენის გაცრიატებულ შუქში ახალგაზრდებს სანთლებივით უციმციმებდათ თვალები... კბილები... უჰ, რამდენი კბილები... თეთრად, თვალისმომჭრელად უქათქათებდათ... თამარი მოქურუხებული გაჰყურებდა სცენას, აგერ მარომ რალაც უცნაური გზებით გაისევა თმაზე ხელი, ჩამოწეწილი თმები არაჩვეულებრივი სისწრაფითა და გაგულსებით გადაიწია ყურებზე, და ამ წამიერმა მოძრაობამ კიდევ უფრო აგრძნობინა, რა თავგადაკვლით იყო ჩანთქმული თავის საქმიანობაში, რა თავგანწირვით ცდილობდა დაემკვიდრებინა უნაპირო ზეიმის განწყობილება... სხვა დროს ყოველთვის უფასებდა ნიჭსა და თავდადებას, სხვა დროს ყოველთვის შეჰხაროდა მის უნარსა და დაუცხრომლობას... განა როდისმე დააეინყვებდა ის დღე, მაროსი და მაროს ძმების სიმღერა რომ გაიგონა? ის შთაბეჭდილება ვერ წალეკა გარდასული დღეების მდინარებამ, იმ მოგონებას ვერ მოეკიდა დრო-ჟამის ბრკე და ობი და ის განცდაც თამარის გულში უქცობად დარჩა. მაგრამ ახლა ასეთი მცდელობა, ცრუ და ყალბი სიტყვების ასეთი თავდადებათ, ასეთი სუფთა ინტონაციით ცხრაჯერ გამეორება, ბელადის სადიდებლად ასეთი თავდაუზოგავი



გარჯა ამფოთებდა და აბოროტებდა, ყოვლად უღირს ქვენა გრძნობებს უღვივებდა, მისი არსების ფსკერიდან დაძრული ლექი და დურდო მის სინრფელესა და კეთილშობილებას ამღვრევდა და ბილწავდა... განა მარო იყო დამნაშავე იმაში, რომ თავგაჩეხილი ბოუსტი თამარმა აღმოაჩინა? განა მაროს ბრალი იყო, რომ ამ ვითარებაში, ამ ნუთს თავსდატეხილ უბედურებას ვერ უზიარებდა? მაგრამ, რადგან ასე იყო ჩანთქმული სადიდებელ სიმღერაში, ანუ კერპმსახურებაში, იქვეებით შეპყრობილი თამარისათვის ეს უკვე განზე განდგომას ნიშნავდა, ეს ნიშნავდა იმას, რომ მხოლოდ თამარისთვის შეეჩრჩებინათ პასუხისმგებლობა? იქნებ ეთქვა კიდევ მაროს: მე მთელი დღეები ამ ბოლო დროს კლუბში ვარ და ჩემგან რა გინდა და რას მთხოვო? დიახ, დიახაც რომ, მაროს ხელები უნდა ექნია, ბელადზე ნაირნაჩისიმიღერები ემღერებინა ახალგაზრდებისათვის, თამარს კი მარტოდ მარტოს ეგო პასუხი... და ეგონა, მაროს ამ ხელების ქნევაში, გამოქცეაბულის ამ მანიპულაციაში, ახალგაზრდების ამ წინამძღვრობაში, ამ შთაგონებულ კერპმსახურებაში, როგორც ფოქუსში, თავს იყრიდა ყველა მათი უბედურება... ლილისთან უნდა გაქცეულიყო! ლილისთან! ლილი გაიზიარებს, ლილი აუცილებლად გაიზიარებს, უშველის კიდევ... მარომ იქნის ხელები! ოცდაათხში ძმები დაუხვრიტეს... მერე რა ბიჭები... გიორგი და სიკო... ჩემი წამებული ძმებო... ლრმად ამოიხრებს ხოლმე, გულს თან ამოატანს... თურმე რამდენი ხანი იყო მძიმე მდგომარეობაში, ასე ეგონა, ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა და უფსკრულში უნდა ჩაჩეხილიყო... ოლონდაც! ძმები... ჩემი ძმების განათლებას. ბუდე მოიშალა, ოჯახი ამოიძირკ-

ვა... ათასი წელი რომ იცოცხლოს, არ დაავიწყდება მათი სიმღერა... მაშინ, პეტერბურგში რომ მოვიდნენ, ბზობას, შალეამ რომ მოიყვანა ყველა ერთად. თოთხმეტი წლის სიკო თავიანთ მეზობელ მაჭავარიანს გამოყოლოდა, ყელისწვეით შეპხვენოდა მშობლებს: გამგზავნეთ პეტერბურგში, ცოტას გავაცდენ სწავლასა და სააღდგომო კანიკულებს და-ძმასთან გავატარებო, ნობათსაც წაუღებ და პეტერბურგსაც ენახავო. მაჭავარიანს ღვინოები მოჰქონებოდა და სიკო სიამოვნებითაც წამოყვანა, გზაში მიშველისო.

აი, სწორედ მაშინ გაიგონა მათი სიმღერა. როგორ ენატრებოდა კახეთი, როგორ ენატრებოდა კისისხევი. ნიადაგ თავიანთი სოფელი ედგათვალწინ. ვერავინ დაარწმუნებდა, რომ მათი ფანჯრების გადაღმა, წვეის მეორე ნაპირზე, პეტრე დიდისა და ისაკის ტაძრის იქით, მოედანი კი არ იყო, ზედ აღმართული ნიკოლოზ პირველის ძეგლით, - ვენახები... ვენახები... ვენახები ყვაოდა... ნეტავ თუ კიდევ რაიმე აფრქვევს ასეთ სურნელს, გაყვავილებული ვაზის ანდამატურ სურნელსო? იმ ვენახების იქით კი, მთელ შორიზონტზე გადაჭიმულიყო ალაზნის ველი და კავკასიონი... თვალს თუ დახუჭავდა, მკაფიოდ ხედავდა, გაახელდა და, თუმც ფიზიკურად ვეღარ ხედავდა, გრძნობდა და ამ გრძნობას ვერავინ ჩაუხშობდა, ეს გრძნობა სულ თან დასდევდა...

მარტის მიწურული იყო, მზიანი, კაშკაშა დღე. ბზობა იყო იმ დღეს, რუსული ბზის ტოტები ეჭირათ ხელში მამიდა თამროსა და თამარს, იდგნენ სასახლის ხიდთან და ნევას გადაპყურებდნენ... ყინული დაძრულიყო... ისმოდა აი, ის, განუშეორებელი ნკაპუნი, მდინარეზე ყინულის მტვრევისას რომ ისმის ხოლმე... თან რა წარმტაცი

სანახავე იყო სხვადასხვა გეომეტრიულ ფორმებად და ფიგურებად დაბზარული ყინული, მზეზე ვერცხლისფრად რომ გაიბრწყინებდა ხოლმე... მაგრამ ვერცხლისფერი ხომ უამრავ ფერს შეიცავს, უთვალავს, ათასფერს, შოდა, ნეცაც ათასფრად ბრწყინავდა... შუა მდინარეზე ყინული ჯერ კიდევ შებოჭილი იყო, ნელა, შეუმჩნეველად ტოკავდა და მოძრაობდა. იქვე გვერდით, განიერ ზოლად უფრო სწრაფად მოჰქონდა წყალს დიდი ნამსხვრევები, ნაპირთან კი, დანშენდილ, კამკამა წყალში გუნდ-გუნდად ცურავდნენ იხვები, მომწვანო-რუხი, მსხვილი, ლამაზი მამლები და მომცრო, ნაცარა დედლები. ნაპირიც საესე იყო იხვებით, ზოგი მზეზე თბებოდა, ზოგი ბავშვების გადაყრილ ნაფშხვენებს კენკავდა, ზოგიც ქვიშაში ბუდარაობდა... თავი აილო, შორს სივრცეს გახედდა... თვალი გაუმტერდა... ადიდებული რიყის მქუხარე ხმა გაიგონა... კისისხევის რიყე ხომ საგანგებო მქუხარებით გამოირჩეოდა...

ადიდებული, აზვირთებული, გააღიგებული და გაფოფრილი, ზათქითა და გრიალით მოარღვევდა ნაპირებს და ყოველგვარ ხმას შთანთქავდა და აბათილებდა... რიყის პირას გამოფენილი ბალები სათქმელს ხელებით ანიშნებდნენ ერთმანეთს... რაჭველი მენისქვილეები, სამნი ძმანი, გამოვიდოდნენ თავიანთი ნისქვილების წინ, გახედავდნენ თიხისფერ ზვირთებს, ახედავდნენ ცას და წვერულვაშის ცმაცუნით გადაისახავდნენ პირჯვარს... ქვეითი კი, წყლით დაფარულ ბოგირზე, ვირზე გადაამჯდარი ქრისტე მოდიოდა... მას შემდეგ, რაც ერთხელ, ადრულ ბავშვობაში, პაპა ოთარმა უამბო ბზობის დღესასწაულის შესახებ, ყოველთვის ასე ნარმოედგინა: მობრძანდებოდა მაცხოვარ-

რი, ჩამოჰყვებოდა ცივის კალთებს, ჩამოივლიდა წინანდლის კლდოვან ნაპირებს, გადმოივლიდა ბოგირს... მიეგებებოდნენ აყვავებული ტყემლის რტოებით... კისისხევის ასახვევთან, შარაზე, ცად ატყორცნილ ალევებს ახლად გაფოთლილ შტოებს ჩამოტეხდნენ, დაუფენდნენ გზაზე, და ისიც, სახენათელი და შარავანდით მოსილი, შემოუდგებოდა კისისხევის აღმართს... ტაძრისკენ... სადაც გალობდნენ დიდებას და აგუგუნებდნენ მრავალჟამიერს... თამარიც იმ მრევლისა იყო, თამარსაც იქ უნდოდა ყოფნა, ის გალობა-სიმღერა სწყუროდა. იქ უნდოდა ყოფნა, იქ, თავისი დიდგულა და დოღრიალა რიყის პირას, მიუხედავად მამიდა თამროს დედობრივი მზრუნველობისა... მიუხედავად შალვას სიყვარულისა... იმ ბოგირის... იმ ალევების ნახვა სურდა... იმ განცდის განახლება სწყუროდა...

მამიდა თამრომ გამოაფხიზლა, ნავიდეო, თორემ სტუმრები მიგვასწრებენო.

სუფრა თითქმის ხელუხლებელი დარჩა... სულ მღეროდნენ... ეტყობა თვითონაც მონატრებული იყვნენ ერთად სიმღერას და თავი მოიკიჟიანეს, სიკო პირველს ამბობდა, მარო მეორეს, გიორგი კი ბანს ეუბნებოდათ. როგორ არა, სხვებიც ჰყვებოდნენ, მაგრამ მთავარი სიმღერა იმათი იყო. საკვირველია, თოთხმეტი წლის სიკოს ასეთი უხინჯო, კრიალა ხმა როგორ ჰქონდა, თანაც ნამდვილი ჭაბუკური განწირულებით მღეროდა მრავალჟამიერს, „მიყვარხარ, ტკბილო კახეთო, დიდო ალაზნის ქალაო...“ თავანდელი მღეროდა და თალხი ხალათიდან ნაზი ლეროსავით ამონვდილი ყელი უთრთოდა... ამბად დარჩა სიკოს სიმღერა, გარიჟრაჟზე დასახერტად რომ მიჰყავდათ გიგოსგორისკენ, ნადიკვა-

რის უზენელემა გაიგონეს თურმე სიკოს სულისშემძრავი ოროველა, „აღზევანს ნავალ მარილზე, მარილს მოვიტან ბროლსაო“... ველარც ვერაფერი მოიტანა და ველარც ვერაფრის გადაეხვია... პაპა ოთარი თავში ხელს იცემდა, ამაზე დიდი ცოდობა რაღა უნდა იყოსო, მომღერალ კაცს კრიჭას რო გაუკრავენო...

მარო კიდევ დადგეს ახლა და იქნოს ხელები, თან იმის ფიქრსა და ოცნებაში იყოს, გამარჯვებული როგორ ნაუძღვება ამ ახალგაზრდებს მოსკოვისკენ, იქ კალოშებსა და მაკარონს იყიდის და მკედარ ლენინსა ნახავს... ახალგაზრდები... საცოდავი ახალგაზრდები... ბოლო დროს, გაჭირვებასა და უზედურებაში კიდევ უფრო გაუმძაფრდა მშვენიერების წყურვილი, და ლამის ფიზიკური ტკივილი იგრძნო იმის გამო, რომ ამ გოგო-ბიჭების სიღამაზე, განსაკუთრებით კი სოსიკოს თვალნარმტაცი სიჭაბუკე, სცენის სფეროთა და სიშორით კიდევ უფრო მკაფიო და თვალში საცემი, ახლა ფუფუ და ორჭოფული ეჩვენებოდა, ასე ეგონა, მათ ყველა სიკეთეს ჭია ხრავდა... სიცრუის... უარყოფის... და ჩაციებით ეკითხებოდა თავის თავს: ნუთუ ამ დაუცხრომელ ჭიას ვერავითარი ძალა ვერ მოაკვდინებსო...

კულისებში შავი ფარდები ჩამოუშვეს, სცენაზეც მუქი მთლიანად გაიცრიცა...

გამოქვაბულის სიბნელეში სისხლისგან... ჩუმად... იწრიტება... დამუნჯებული... კაცობრიობა... ტირილი მოსწყურდა... ხმით ტირილი... სოფელში გლეხის ქალები რომ ტირიან ხოლმე, აი, ისეთი ტირილი... რახილი რომ სტიროდა შვილთა თავისთა და არა უნდოდა ნუგემინის ცემის, რამეთუ არა არნ, აი, ისეთი ტირილი... მაგრამ რახილის შვილებისაგან განსხვა-

ვებით, ესენი ცოცხლები იყვნენ, სალსალამათები, ჯანღონით სავსენი... არა, მხოლოდ ჯანღონით, არა, შურისძიებითაც... შურისძიებითაც... აგერ, ხომ გაუჩხვხვს თავი და გულში ქვა ჩაუტუნეს?! ხომ შებილნეს და შეგაინეს!! ხომ იყარეს ჯავრი!! ჰოდა, ძალიანაც კარგად!! თამარმა ბოლმით ახედა მალლა კედელზე ჩამწკრივებულ პორტრეტებს... ყველანი აქ იყვნენ, ყველანი... ურჯულოები და უმეცრები... გონიერებისა და სინდისის მოძულენი... ხომ შეიძლება ერთს, ნამლად ერთს მინც ჰქონოდა ნორმალური სახე... არა, არა, რაც შიგნით არის კაცი, ის არის გარეთაც! ადამიანის სისხლზე დაგეშილი აფთრები მაშ, როგორები შეიძლება იყვნენ, როგორები! ეს მომღერალი გოგო-ბიჭები დაამსხვრევდნენ ყველა კერძსა და ქანდაკებას, ეს ახალგაზრდები ჩამოჰყრიდნენ კედლებიდან მათ პორტრეტებს. ესენი მოულებდნენ ბოლოს უმეცრების პარპაშს! გგონიათ, სულ ასე უძრავად უნდა იდგნენ და ეს ცრუ სიმღერები იმღერონ?! გგონიათ მხოლოდ ფეხბურთზე უნდა იარონ და დაბადების დღეებზე დრო ატარონ?! ნურას უკაცრავად, ამოძრავდებიან, დიახაც რომ ამოძრავდებიან!! მაშ, როდის უნდა ამოძრავდეს ადამიანი, თუ არა მაშინ, როცა ხელ-ფეხი შებორკილი აქვს! როდის უნდა აანთოს ლამპარი, თუ არა მაშინ, როცა წყვილი და უკუნეთია ჩამონოლილი აანთებენ! აანთებენ! ისეთი ცეცხლი გააჩაღონ, ალიცას სწვდებოდეს!!

მაროს ხელების ქნევითა და გუნდის სიმღერით გახელებულმა თამარმა თავის გულში შესძახა და შესძახა მაგარ-მაგარი სიტყვები, წყევლა-კრულვა შეუთვალა რევოლუციის ბელადებს და ანათემას გადასცა თითოეული მათგანი. ცოცხლად, ძალზე

ცოცხლად წარმოიდგინა დამსხვრეული ქანდაკებები, დაფხრენილი პორტრეტები, უნივერსიტეტის ყველა ფანჯრიდან რომ ცვიოდა და შუა ეზოში გროვდებოდა, თანდათან დიდდებოდა, უზარმაზარი ზვინივით მალღამალა მიინევდა, თავს იბამდა... ვილაც ნავთს ასხამდა, ვილაც ასანთს ანთებდა და ცეცხლი გიზგიზებდა. გოგობიჭების გუნდი ახლა უკვე ერთად, შეერთებული ძალით აგუგუნებდა სიმღერას, ექსტაზში შესული მარო გუნდის წინ ხელებგაშლილი იდგა.

ცეცხლი კი ცას სწედებოდა... „მარო!“ აღმოხდა თამარს და ზარმაც გაინკრიალა. წამოდგა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა პოლში, ნიჭარასთან წყალს დაენაფა და საშინელი აზრი დაეებადა, შემადრწუნებელი და თავზარდამცემი: აგერ ის კაცი, ფერმკრთალი, ნიღაბივით სახე და უმოძრაო, თითქოს მთვლემარე მზერა... და აგერ მაყვალაც, პოლში ხომალდივით რომ მოიჩინევა...

შეგინებული ღირსებისთვის შურისგება? გაბითურებული რომანტიკოსია და მეტი არაფერი! ველარ დაიჯერებს თამარი ამ გულუბრყვილობას! ვერავითარი სტუდენტები, თუნდაც ათასჯერ მეტად დამცირებულები და შეურაცხყოფილები, ვერასოდეს ვერ გაბედავენ სტალინისთვის თავი გაეხეთქათ, ვერასოდეს, და მითუმეტეს ახლა, ოლიმპიადისა და მოსკოვში განაჯარდების წინ... როდის უნდა გაეხეთქათ? სად ექნებოდათ ამდენი დრო, ქვაც ასე მორგებულად ჩაეტენათ? თამარი და მარო, მამ, სულ გამოყრუებულან და ეგ არის! არა, არა, ახლა მას საშინელი, წარმოუდგენელი ფიქრები უტრიალებს თავში, ერთი შეხედვით წარმოუდგენელი, თორემ სინამდვილეში, თავისი მარტივი დამარწმუნებლობით უეჭვო და უტყუარი.

ამას ჩაიდენდა ის, ვისზეც ვერავინ, ვერასოდეს ვერ იფიქრებდა თამარის მეტი, რომელიც მისწური გამჭრიახობით იყო აღჭურვილი. და ჩაიდენდა ის, ვისაც სასიცოცხლო ინტერესი უბიძგებდა და არა წერილმანი შურისძიება! სწორედაც წერილმანი, იმიტომ, რომ ათას ქანდაკებასაც რომ ჩაუჩენქვო თავი, ცოცხალს რა?! ზის კრემლში, სვამს მუკუნანს, აბოლებს ჩიბუხს და თავისი საშინელი კილოთი და მზაკერული სიდიწვით წარმოთქვამს საპროგრამოდ ქცეულ ფრთოსან აფორიზმს: „არის ადამიანი – არის პრობლემა, არ არის ადამიანი – არ არის პრობლემა!“ ჰოდა, ვისა აქვს სასიცოცხლო ინტერესი, ვისა, თუ არა პავლეს, ამ საზიზლარ კაცს, სანადიროდ ჩასაფრებული, თავმოშინარებული მტაცებელივით რომ უყურებს მაყვალას! ვინ იცის, მაყვალას გულისთვის კაციც მოკლას, „სიყვარულის გულისთვის“ თავზე ხელი აიღოს! ქანდაკებაც რამე?! სანყალი თამარის ჩაწიხლევაც რამე?! ამისთანა პროვოკატორისთვის?! ხომ ამბობენ, ცოლი სკანდალებს უმართავსო, ერთმანეთს სულ უთოებს უტრიალებენო, ჰოდა, ჩააშოშინებს, ადგება და მაყვალას თამარის ადგილზე მოაწყობს, ვინ არის ქომავი და გამკითხავი? თან ერთად იქნებიან, ერთ შენობაში, თან ვითომ ცალ-ცალკე. მაგ იდიოტის აზრით, ბიბლიოთეკაში მუშაობას, აბა, რა ცოდნა უნდა? თუკი მდივნად მუშაობს და წერა-კითხვა იცის, ბიბლიოთეკა რაღაა, ვითომ? „მუშაობდა“, გვიანობამდე „მუშაობდა“, თავს აკლავდა მუშაობას... აღარავინ ქაჭანებდა უნივერსიტეტში მცველებისა და ორი მეხანძრის გარდა... ისინი ქვევით არიან... ქვევით... ვასალები? ყველა ვასალები ექნება, ცხადია... ფიქრობდა რა ექნა და მოიფიქრა... შეადგინა ასეთი მზაკ-

ერული გეგმა... ღმერთო, ოთარი! ოთარი... არ ჩაშხამდეს დაბადების დღე... ცეკვავს ოთარი, გიჟდება ცეკვისთვის... მთელი ღამე შეუძლია იცეკვოს... ფოქსტროტი და ვალს ბოსტონი... რუმბა და ტანგო... აუროცხელი ფიგურებით... თვითონაც იგონებს ფიგურებს... ნაირნაირს... და ცეკვავს დაუდგრომელი გზებით... თვალს ვერ მოსწყვეტავ... გინდა უყურო და უყურო... და სწორედ ამ დროს მივლენ და ჩასჩურჩულებენ! აი, ჩერდება ოთარი! დგას შუა დარბაზში შემფოთებული და დაბნეული...

მარო გაჩქარებული მოდიოდა, თამარი კი, იმის მაგივრად, დალოდებოდა, შეტრიალდა და კიბეებისკენ გაიქცა, თან ხელი დაუქნია, მომყეო. მარო მორჩილად გაეკიდა. თამარმა უმატა და უმატა ნაბიჯს და კიბეებზე ისე აპჩროდა, გეგონებათ აბრიალებული ნავთქურა დარჩა და ხანძრისა და ნიგნების დანვისა ეშინიაო. „რა იყო, თამარ, რა მოგივიდა, ქალო!“ ასძახა გაოგნებულმა მარომ.

თამარი თავიანთი დარბაზის კარებს მიეყრდნო... მერე ძლივს გააღო კარი, მაროს შეუძღვა, კარი სწრაფად ჩაკეტა, პირდაპირ გაჩეხილი ქანდაკებისკენ გასწია და მყისვე ჩამოაშორა თავისი ხალათი. მაროს ნაკვეთები თითქოს გაუქვავდაო, თვალს არ ახამხამებდა, წარბშეკრული და პირმოკუმული შეჰყურებდა შეგინებულ სტალინს და აღშფოთება და მრისხანება ეუფლებოდა... მომუშტული ხელიც კი შემართა, როგორც ჩანს, არც დაფიქრებოდა, ისე გადასცემდა ანათემას ამ საშინელების ჩამდენს.

თამარს შალვას შემდეგ გული დაუშინდა; განრისხებული მაროს დანახვაზე, წელანდელი ბოლშევიკი ფიქრების საპირისპიროდ, დამნაშავედ იგრძნო თავი, თითქოს იმისი ბრალი ყოფილი-

ყო, იმისი დაუდევრობის ბრალი, იმისი უყურადღებობის ბრალი, მარო ასეთი საშინელების წინაშე რომ დააყენა... მარო, რომელიც ასე ანუგეშებდა, ასე მფარველობდა, ასე თანაუგრძნობდა... მარო, რომელმაც მოიყვანა ამ შესანიშნავ დარბაზში და თავშესაფარი აღმოუჩინა... მარო, რომელიც ამდენს მუშაობს და ამდენ სტუდენტობას მოსკოვში უნდა გაუძღვეს მხედართმთავარივით... გული ამოუჯდა თამარს, დანაშაულმა აავსო: „არა, მარო, მე ერთი ნუთით არ ვავსულვარ, არ დამიტოვებია დარბაზი... გეფიცები... არც ერთი სეკუნდით, მაგრამ, გიგლა იყო, იქნებ დაინახა, არ ვიცი, არაფერი არ ვიცი, მაყვალაც იყო... ოთარს გეფიცები, დავანებებთ, აი, უყურე ნიკაპი რა კარგად ჯდება, ხედავ, მთავარი, ქვა როგორმე ამოვიღოთ... მე ვიტყვი მარო, რომ შენ სულ ვასული ხარ, რომ სულ რეპეტიციებზე ხარ, შალვას გეფიცები, შალვას სიცოცხლეს, ოღონდ ნუ განყრები, მარო, და ოთარს ნუ მიმიტოვებ, თუ მე... თუ მე...“ და თამარმა უმწეო ბავშვივით ტირილი დაიწყო, ღაპალუპით ნამოუვიდა ცრემლები. თავი მიატრიალა, ფანჯარაში გაიხედა, გარეთ ქარი ამოვარდნილიყო, ჭადრის პატარა ნერგებს არყევდა და მათ დანახვაზე თამარს უფრო მეტად დაეუფლა განწირულება. ატირებული თამარის დანახვაზე მარო მყისვე შეიმართა, თავი მობოჭა, საწყალ თამარს მხარზე ხელი მოხვია და გამამხნეველად გაუღიმა, რა სისულელეს ამბობ და რა თავს იმართლებ, თავში ფიქრად არ მომსვლია შენ დაგადანაშაულოვო.

მაროს თხელი, პერგამენტის სახე ჰქონდა, წერილი ნაოჭებით დაფარული, და ამ მობერებულ სახეზე, სრულიად მოულოდნელად, ქათქათა, დრო-ჟამისაგან შეუმუსრავი ბროლი-

ენერჯენული

ჯინჯლიმთქვა

ვით კბილები უელვარებდა. შეჰყურებდა თამარი მაროს და თითქოს სწორედ ეს კრიალა, ჩამძივული კბილები აღუძრავდა იმედსა და ნუგეშს...

„ოო, ჩემო ერთგულო დობილო ქიანჭველა...“ აღმოხდა თამარს.

მარომ კი გაიფიქრა: „რას ნიშნავს, რომ მთელი სიცოცხლე შალვას მკერდს იყო მიყრდნობილი და სწორედ ამიტომ არის ასეთი უმწეო და ქალურიო“.

მარო ენერჯიული, აქტიური ადამიანი იყო, მარტოობით ნაწრთობი, თამარის დათრგუნვამ და სასონართკვეთის ცრემლებმა, თამარის უმწეო ქალურობამ მხნეობა შემატა, სამოქმედოდ აღაგზნო და ხიფათთან შესაჭიდებლადაც კი გაალომგულა. მაროს სამოქმედოდ აღძვრას კიდევ უფრო აღვივებდა დროის სიმცირე და სიჩქარე, სადაცაა რაიკომის კომისია მოვიდოდა, გენერალური რეპეტიცია დაიწყებოდა, მაროს კი გეგმის დასახვა უნდა მოესწრო. ამიტომაც ომბიხინად შეუძახა თავის უმცროს მეგობარს: „რალა წინასწარ ვიხეთქოთ გულები, თამარ, რაც გასაკეთებელია, ის უნდა გავაკეთოთ, შენ მე მომეცე, ნუ გეშინია!“ და მარომ სადავეები ხელში აიღო და თამარიც გაიყოლია. მან სასტიკად უარჰყო ქანდაკების შეკონინების იდეა, ჩვენ რომელი ოსტატები ვართო, თანაც ბელადია, განა კოკააო, ეს ხომ ნამდვილი სიმბახინჯე იქნებაო, და თუ სხვას ჩაერევთ ამ საქმეში, ესეც არ ივარგებსო. უნდა აედგეთ და ბიუსტი გავანადგუროთ! და მარომ უცნაური და გასაშტერებელი რამ თქვა: კვალი რომ სულ წაეშალოთ და საცნობი არაფერი დარჩეს, უნდა გავაცამტვეროთო, ანუ ქვასანაყებში უნდა დაენაყოთო! ამიტომ ახლაც ლილისთან უნდა გადახვიდეთ. „როგორ, მარო... რო-

გორ, ქალო...“ კისერი გადაავლო თამარმა.

„როგორ და ისე, უნდა დაეფხვნათ, უნდა დაენაყოთ!“ ლამის აღფრთოვანებით წარმოთქვა მარომ და თვალეზი ონაერულად დააკვესა. „ჩაქუჩის ნამოლებაც არ დაგავინწყდესო“. „ღმერთო ჩემო, მაროს, მგონი, სადისტური მიდრეკილებები ჰქონიაო!“ გაიფიქრა თამარმა და როგორც დაქტვებით შეხედა თავის წინამძღოლს.

„დრო არ იცდის!“ შესძახა მარომ და წიგნთსაცავისკენ გაიქცა, იქაურობა მოათვალიერა, ადგილი შეარჩია, სად უნდა დაენაყათ... აი აქ, მყუდროდ, თაროებს შორის ნაბღურებზე დაესხდებითო, სოფელში რომ იციან ლობიოსა და სიმინდის რჩევის დროს და ხელად ჩამოვნაყავთო... კედლები სქელია, კარებს მივხურავთ, შემოსასვლელს ჩავეკეტავთ, გასაღებს გამოვადრობთო... ახლაც რომ გავიდეთ, ჩვენს სართულზე ველარავის ვერ ვნახავთო, კაბინეტები ტალანებს გადაღმა, ჩვენ სრულიად გამოყოფილები ვართ, ნიბლაძეც, მადლობა ღმერთს, უკვე მოიშორეო... ახლა მთავარია ჩაქუჩი, ორი ფილი და დაშლაგებელი ზოიას გაფრთილება, რომ არამც და არამც არ მოვიდეს და საქმე არ ჩაგვიშალოსო.

„რა ვუთხრა მერე, რატომ არ მოხვიდეთ?“ იკითხა თამარმა.

„ზოიას გაუხარდება კიდევ, ამოდენა ბიბლიოთეკის დალაგება რომ მოშორდება, რა ვიცო, ან ის უთხარი, რომ ზოგჯერ ჩვენთვისაც აუცილებელია ფიზიკური მუშაობა, ან ის, რომ საჭიროა ერთმანეთზე ვიზრუნოთ და ზოიას ტვირთი შევუმსუბუქოთ“. „მაშინ მე ჯერ ლილისთან გადავალ, მინდოდა კიდევ ლილის ნახვა“.

„მაგრამ არ უნდა შეყოვნდე, ჩვენი მონტაჟის რეპეტიცია ოცი წუთი მიმდინარეობს, თუ დროზე მოვიდა რაი-

კომის კომისია, ახლავე დავინყებთ, შენ კი ზოიას ნახვაც აუცილებლად უნდა მოასწორო, რა იცი, ვინ რითი სუნთქავს, ვილაზე არ ამბობენ, დამსმენი-აო და თურმე განსაკუთრებით დაბალ პერსონალს ეტანგბიან და ამ კეთილ-შობილ საქმეში აბამენ... ჰოდა, ზოიას შემდეგ გამოვივლი, თუ დამთავრებული არ იქნება რეპეტიცია, ცოტას მოისმენ, ვითომც აქ არაფერი, ვითომც შენც ჩართული ხარ უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საქმიანობაში, დავბრუნდებით ერთად და ხელად გავაცამტვერებთ!"

„მერე მარო... ინვენტარიზაცია რომ უნდა იყოს, რას იტყვიან, დარბაზი უსტალინოდო? ბელადის გარემე? სტუდენტების სამეცადინო ადგილი?!“ ჩაეარდნილი ხმით წარმოთქვა თამარმა. „ნავალთ და ვიყიდით ახალს!“ მხარზე ხელი მოხვია მარომ, „შენ სხვა რამე თქვი, თორემ ბიუსტე-ბიჯელგან ოხრად ყრია, სამწუხაროა, თანხა უნდა გავილოთ, მაგრამ რას ვიზამთ, ამ ზარალსაც როგორმე გავუძლებთ!“

თამარს გულზე მოეშვა... ამოისუნთქა... მარტო აღარ იყო, მარო მხარში ედგა და მყარი სამოქმედო გეგმა ჰქონდათ. ლილისთან მისვლის აუცილებლობაც სასიკეთოდ ენიშნა, აკი ამ დილით გაიფიქრა კიდევ ლილის წვეთებს გამოვანერინებო, წელანაც ხომ სწორედ ლილი დაუდგა თვალწინ, ლილისთან უნდოდა გადარბენა და ამბის გაზიარება. უყვარდა ლილი, ყოველთვის უყვარდა, მაგრამ განსაკუთრებით ამ უბედურებაში დააფასა, სულ არ გაბოროტებულა ლილი, სიკეთე და სიმსუბუქე შეინარჩუნა; ისედაც მძიმეა ჩვენი ყოფა და ერთმანეთი ზედმეტად არ უნდა დავამძიმოთ... და მართლაც, არც ლიმილი დაუკარგავს, არც მახლობელთან შეხვედრის წრფელი

სიხარული და არც ამ სიხარულის გამოხატვის სურვილი. დაგინახავდა და თავისი მშვენიერი, მოციმციმე იისფერი თვალეზი სიხარულის სხივით გაუბრწყინდებოდა. გაიფიქრა თამარმა: ყველაფერი კარგად დამთავრდება, თუ ლილი შინ დამხვდაო, და მართლაც დახვდა, მორიგეობის შემდეგ ტახტზე მინოლილიყო და მიეძინა. ირაკლის დაპატიმრების შემდეგ ლილი თავისი ქეთინოთი დეიდა ელიკამ შეიკედლა და ახლა ისინი სწორედ უნივერსიტეტის მოპირდაპირედ ცხოვრობდნენ. დეიდა ელიკა ფეხაკრებით შეუძღვა თამარს, მაგრამ გაიგონა თუ არა მათი ხმა, ლილიმ მაშინვე თვალეზი ჭყიტა. თამარმა სულმოუთქმელად უთხრა ლილის თავიანთი გაჭირვების ამბავი.

„ყოჩაღ, მარო! ყოჩაღო!“ შესძახა ლილიმ, „მე როგორც ნერვოპათოლოგი, ალტაცებული ვარ მაროს მოსაზრებულობით, ნაყვის პროცესი დაძაბულობას მოგიხსნით და სტალინის მიმართ დაგროვილ ბოლშასაც ნაწილობრივ გააქარწყლებს, ღმერთმანი, მეც უნდა მივიღო მონაწილეობა, ცოცხალ ბელადს მე არავინ დამანაყინებს და ბიუსტის უღვაშებს, ტყუილია, მე თქვენ ვერ დაგანებებთ! მტვრად უნდა ვაქციო, წავიღო და საპირფარეოში წყალს გავატანოთ!“ ლილი მსუბუქად ნამოფრინდა, დეიდა ელიკას ორი ფილი ჰქონდა თურმე, დიდი და პატარა, ორივე თავის საექიმო ტყავის კოხტა საკუთიაფში ჩადო, ჩაქუჩიც მიაყოლა; გზადგაზა იცვამდა და თან თამარს მოძღვრავდა: მთავარი დამლუპველი ადამიანისთვის პანიკაო, ეს დაიხსომე კარგადო, არავითარ შემთხვევაში პანიკაში აღარ ჩავარდეთო, რომ იცოდეთ, „ტიტანიკზე“ იმდენი ხალხი არ დაილუპებოდა, პანიკაში რომ არ ჩაეარდნილიყვნენო, და

ერეკლე

მე მჯერა, ჩვენი საქმეც სხვანაირად იქნებოდა, პანიკურ შიშს ასე რომ არ მოვეცვი და დავეთრგუნეთო, არც ისე დაედამბლაღებოდითო... თამარი ახლა უკვე ზოიას სანახავად უნდა წასულიყო და ლილის შესთავაზა, კლუბში შედი და იქ მომიცადეო, ცოტა გაერთობი კიდეც და მაროს ლოტბარობასაც ნახავო. მართლაც ასე მოიქცნენ, ლილიმ სააქტო დარბაზისკენ გაუხვია, თამარი კი ზოიას საძებნელად წავიდა... ზოიას სამოქმედო არე მთავარი კორპუსის მარჯვენა ფრთა იყო, მეორე და მესამე სართულები, ამიტომ ჯერ მეორე სართულის ტალანები შემოიარა, აუდიტორიებში შეიხედა, საპროფესოროშიც შევიდა... მერე ზევით ავიდა, იქაც ასევე შემოიარა მთელი სართული, მაგრამ ზოია ვერსად ნახა... ქვევით ჩავიდა, პირველ სართულზე... არც იქ იყო ზოია... მაროს შეგონების მიუხედავად თანდათან კვლავ მოუსვენრობა ეუფლებოდა... ზოია ამ დროს, პირველი ცვლის დამთავრების შემდეგ, ყოველთვის ტალანებში ან აუდიტორიებში ტრიალებდა... და ალაგებდა, მაგრამ ახლა ლექციები არ ტარდებოდა, არდადეგები იწყებოდა და შეიძლება სწორედ ბიბლიოთეკიდან დაიწყო დალაგებაო, გაიფიქრა და სირბილით ავარდა ისევ მესამე სართულზე, კარი დაკეტილი დახვდა, გაალო, შეიხედა, ყველაფერი ისევე იყო, როგორც დატოვა. ხალათიც ისევე პქონდა ჩამოფრიალებული ბელადის ქანდაკებას. მყისვე გამოიხურა კარი, ჩაკეტა და ისევ დაეშვა კიბეებზე... მოაგონდა... მოაგონდა... რომ ზოია ბალის ყარაულთან მეგობრობდა, შემოდგომის მზიან დღეებში რამდენჯერ უნახავს, ბაღში მაგიდასთან ისხდნენ ერთად და რაღაცას იცმუცნებოდნენ. ეზოში ჩავიდა და პირდაპირ ყარაულის ფიხურისკენ გაემართა, ბა-

ლის სიღრმეში. მაგრამ ვერც კი დასწვდა. კარი ოდნავ იყო შეღებული და შეალო, შეიხედა, კაცი ტახტზე იყო გადანოლილი გარდიგარდომოდ და ეძინა. მაგიდაზე კი ცარიელი ბოთლი და საუზმის ნარჩენები ეყარა... გაბრუნდა ისევ... ისევ ტალანებში დაიწყო მისი ძებნა... რაც მეტად ეძებდა, რაც მეტად უჭირდა პოვნა, მით უფრო იპყრობდა ეჭვი... ზოიას ხომ ყოველნუთს, აი, ახლაც, აი, ამ სეკუნდშიც შეეძლო დარბაზში შესვლა და იმ საშინელების ნახვა... ვილაზე არ ამბობდნენ დამბეზლებელიაო, ვილას არ აკრავდნენ ამ სამარცხვინო იარღილს და რალა ზოია უნდა ყოფილიყო ზნეობისა და სიმტკიცის ნიშანსვეტი?! ვითომ ზოია რალა ნითელი კოჭი ბრძანდებოდა?! ესეც რომ არა, ვინ იცის, იქნებ მიუხედავად ყველაფრისა და ყველა უბედურებისა, ბელადის სიყვარული ედო გულში და არ სჯეროდა, როგორც ათასებს და მილიონებს, რომ ხალხთა მამა, ავმუცელა სატურნივით საკუთარ შეილებს ნთქავდა... თვალნინ დაუდგა, როგორი სასოებით წმენდდა ზოია ქანდაკებას, როგორ აცლიდა მტვერს, და თამარს ბრაზი მოსდიოდა ზოიაზე და ზოიას სახით მთელ რუსებზე. ყველა სიკეთესთან ერთად, ესეც მაგათგან გვჭირსო, სწორედაც რუსებმა ალაზევეს ექსპროპრიატორი და კაციაშიაო! იმის მაგივრად კინნისკვრით გამოედევნათ, ვინ ხარ და ვის დაჰკარგვიხარო, იმის მაგივრად კუდით ქვა ესროლინებინათ, საიდანაც მობრძანებულხარ, იქით მიბრძანდითო, კრემლის პალატებში დააბრძანეს, გუნდრუკი უკმიეს და ტაშითა და ვაშას ძახილით გააყრუეს ქვეყანაო... პოდა, ზოიაც, აბა, როგორ აიტანს ასეთ ხელყოფასო? ისევ და ისევ აემღვრა გუნება, მაროზე რომ ემღერეოდა, ისევ ისე ჯიჯგნიდა ბოლმა და შხა-

მი... მაგრამ რადგან ფიქრების ასეთი ნყოფა და ასეთი განცდა სრულიად ენინალმდეგებოდა საღ აზრს, ჩრდილს აყენებდა და აკნინებდა მას საკუთარ თვალში, ამიტომ კიდევ უფრო ემატებოდა ბრაზი და გალიზიანება, კიდევ უფრო ემღვრეოდა გულმუცელი... მარომაც ხომ თქვა, სწორედ ასეთებს იყენებენო, ასეთებს უფრო ეტანებიანო, ვისაც ხალხმრავალ ადგილებში უზღებთ ყოფნაო... დამლაგებლებს... პარაკმახერებს... ფეხსაცმლის მწმენდავებს... ზიხარ საეარძელში სასიამოვნოდ და მოხერხებულად, თმაზე ისე გეხებიან, ისე გელოლიავენებიან, ნეტარება გუფლებს, გგონია შენს ყოველ ბენვს დაჰკანკალებენ... ჰოდა, ამ მშვენიერ ვარცხნილობით პირდაპირ გამომძიებელთან კი ამოგაყოფინებენ თავს ღამის პაემანზე... ან კიდევ ფეხსაცმლის მწმენდავი, გავიპრიალებს, გაგილაპლაპებს ფეხსაცმელს, რომ ციხეში კოხტად და ღამაზად მიგაბრძანოს... ჰოდა, ზოია ვითომ ვინღააო?! დანახვისთანავე წავა და განაცხადებს!! ზოიას კი არ შეეშინდება, როგორც თვითონ თამარს შეეშინდა, არამედ აღშფოთდება. აი, რა!

ბოლოს-ბოლოს მეორე სართულის საპირფარეოში მიავსო ზოიას. დაინახა და შეცბუნდა... კარებთან შედგა და უყურებდა... მძიმე სუნი იდგა, ამიაკის სუნს არყისა და პარფიუმერიის სუნი ერთოდა... ეტყობოდა, ყარაულთან ისაუზმა და დალიაო, ჩვენ კი უბრალოდ გზაში ავცდით ერთმანეთსო, გაიფიქრა, ესე იგი ბიბლიოთეკაში ჯერ არ ყოფილაო.

ზოიას წინდები და ფეხსაცმელები (თუმცა რა ფეხსაცმელები, უმარჯვენმარცხენო „სკოროხოდეები“ გაურკვეველი მასალისა), გაეხადა და ფანჯრის რაფაზე შემოეწყო, ჟაკეტი და თავშა-

ლიც იქვე დაელაგებინა, ქვედა კაბის კალთა აენია, ხელები დაეკარნახებინა და ფეხშიშველა, ნაკუზული რეცხავდა საპირფარეოს მარმარილოს იატაკს. ალბათ, ასე ნაკუზული მარგლავდა ხოლმე თავის ბოსტანსო, გაიფიქრა. შიშველი, დაჯირჯეებული კანჭები უჩანდა, დაბერილი ვენების მარყუჭებით ლურჯად მოქცეული, და მუხლებს ქვემოთ წინდების ზონრების განითლებული ნაჭდევები. უამბია თამარისთვის თავიანთი უბედურების ამბავი, შიმშილის, ოჯახის დამხობის, სოფლების განადგურების... მერე, მარტოდმარტო დარჩენილი როგორ მოდიოდა... მოდიოდა... სიჭაგაცილილი დაეარდებოდა... მოკუნტული, ბურქებში ჩაიყუჭებოდა... კურდღელივით თვალხილულს ჩასთვლემდა... რომ არ მოეკლათ... არ შეეჭამათ... მოკვლა ისე არ აძრწუნებდა... მოკვლა არაფერი... ადამიანებს არ შეეჭამათ... მალე ისევე გასწორდებოდა და მოდიოდა... ჯერ სკოროხოდეებით... მერე თოკები ამოაკრა სკოროხოდეებს... მერე კი ფეხშიშველა... მაშინ გაიფუჭა ფეხები.

ზოიამ ქვევიდან გამოხედა კარებს, მოულოდნელობისაგან შეკრთა, შეიმშენა, თითქოს უნდა წამომართულიყო, ისე წამოინია, მაგრამ მაშინვე ჩარგო თავი და მუშაობა განაგრძო. მქისე და უფმური გამომეტყველება ჰქონდა და თამარმა გაიფიქრა: როგორც ჩანს, ძალიან ცოტა დალია, საღერღელი აეშალა და გუნება წაუხდაო. „რამდენი გეძებეთ, ზოია, მთელი სართულები შემოვიარე“, ხმის კილოში გამოყოლილი სიბრაზე იგრძნობოდა, „თქვენ კი აი, თურმე სადა ხართ...“

მაშინვე არ გასცა ხმა, მერე კი თითქოს ღაპარაკი ეზარებო, თითქოს სულ არ აინტერესებს, რატომ ეძებდნენო, ისე სასხვათაშორისოდ იკითხა: „რა გინდოდათ...“ „არ მესმის,

ზოია, ასე ნაკუზული რატომ უნდა რეცხავდეთ იატაკს, აი, ჯოხი, აიღეთ და იმუშავეთ მოხერხებულად, ცოტას რომ მუშაობდეთ, კიდევ პო, და თქვენ ხომ...“ „ვისაც როგორ ემარჯვება, ისე მუშაობს...“ „თქვენთვის ვამბობ, ზოია, გენაცვა, აი, დღესაც საქმეები გამოგვიჩინდა მე და მაროს, გვიანობამდე უნდა დავრჩეთ... არ არის საჭირო თქვენი მოსვლა, ჩვენ თვითონვე მოვუვლით დარბაზს...“

„რატომ, რატომ“, ნამოიძახა ზოიამ, თან ჭუჭყიანი ტილო ვედროში ჩანურა და ნამოდგა, „თქვენ არაფერს ხელი არ ახლოთ, ტამარა მერაბონა, არაფერს, არაფერს...“ ერთ-ერთი კაბინის კარი გამოალო, წყალი ჩაასხა, მერე ონკანთან მივიდა და ტილოს რეცხვას შეუდგა: „თუ გინდათ, ჯერ თქვენთან ნამოვალ და ჩუმად ჩემთვის ვიმუშავებ... ხელს არ შეგიშლით...“ მორჩილად შემოხედა თამარს. „ცუდი დღეებია, ძალიან ცუდი დღეებია... მაშინ ხომ მთელი წყალკურთხევა ჩავამწარეს...“ ჩაიზმუკუნა დამცინავად, „ვითომ მარტო წყალკურთხევა...“ ლაპარაკის დროს წინ გამოშვებული ქვედა ტუჩი უშნოდ ეხსნებოდა, ფოლადის კბილები უჩანდა და თამარს სხვა დროსაც ყოველთვის ეგონა, რომ ზოიას პირში საშინელი მწკარტე გემო უნდა პქონოდა, მოკალული ლითონის გემო.

„არა, ზოია, არ არის საჭირო თქვენი მოსვლა, სტუდენტებიც კი დღეს არ შემოსულან. კაცმა რომ თქვას, დასალაგებელიც არაფერია...“

ზოიამ თავი გვერდზე გადახარა და თამარს დაბნეულად შემოხედა... წინ მრგვალად ამოჭრილი, გაცრეცილი მიტკლის პერანგი ეცვა და პერანგის ზევიდან, ლილებზე შეკრული, რეცხვისაგან ხაოგაცლილი ბამბაზის ლიფი. უყურებდა თამარი ამ ლიფში მიტ-

ყაპულ მკერდს, შიშველ, გამხდარ მკლავებს (გატყორებულ კანიბალებს რომ გადაურჩნენ იმისათვის, რომ აქ საპირფარეშო ერეცხათ) შუბლზე ჩამოყრილ მტუტისფერ თმებს, გლეხის ქალის ნამოჭარხლებულ, ყვრიმალეზამომჯდარ სახეს და სულ უფრო და უფრო ერეოდა ის ნაცნობი განცდა, ის შეჩვეული შეგრძნება, შალვას შემდეგ რომ დასჩემდა და ყველაზე მეტად ანუხებდა, თითქოს ძელსა და რბილში პქონდა გამჯდარი და მხოლოდ მუშაობის დროს უყურდებოდა, აი, ახლაც, ხელი რომ დარია, წუთის წინანდელი ბრაზი და შუილი პირწმინდად შთანთქა და ზოიას დამბე ზღებლობაც ცხრა მთას იქით გადატყორცნა. ეს უნიადაგობის განცდა იყო, მიუსაფრობის და უსახლკარობის... ოპ, რა უულები ვართო... ორი საცოდავი ქალი... მე თუ ვთარგმნი, ზოიას შესანიშნავი ბოსტანი პქონდაო, გრძელბუნვა თხები პყავდაო, დიდ ოჯახს უვლიდაო, ბოლისფერ შალვებს ქსოვდაო... „სამკურნალო წინდები დავავალოთ მაროს მოსკოვში, ზოია. ის იხმარეთ. ისეთ მდგომარეობაში გაქვთ ფეხები, აუცილებლად უნდა მიხედოთ“, – უთხრა ზოიას, მერე კი დაამატა:

„თქვენ ბოსტანში გოგრაც გქონდათ, არა, ზოია?!“ მოულოდნელად, „მასხოვს ერთხელ მეუბნებოდით...“ ხელი გაიწოდა, რომ ზოიასთვის მხარზე დაედო, მაგრამ მოერიდა და როგორღაც უხერხულად პაერში გაუშეშდა. „თქვენ ისეთი გოგრა არ გიჭამიათ“, ზოიამ ოდნავ გაიღიმა. „ჩემს ბავშვებს უყვარდათ გოგრის ფაფა... იმდენი გოგრა მოგვედოდა, მთა დგებოდა ხოლმე...“

კიდევ თქვეს ერთი-ორი სიტყვა და ნამოვიდა.

ტალანში რომ მიდიოდა, უკან მოიხედა... ზოია საპირფარეშოს კართან

გამოსულიყო და მას უყურებდა... და-
მარმა ხელი გაუქნია და ისევ სააქტო
დარბაზისკენ გასნია... რეპეტიცია
ჯერ არ გათავებულყო. შეღებულ
კარში სტუდენტები იდგნენ და მობრ-
ძანდით, მობრძანდითო, გზა უტიეს...
ლილი იქვე კარებთან იჯდა და ინტე-
რესით უყურებდა სცენას, სადაც სწო-
რედ ამ დროს რევოლუცია ხდებოდა.
თამარი კი აღარ დაჯდა, რეპეტიცია
დასასრულს უახლოვდებოდა. სცენა-
ზე ახლა წითელი ფარდა ჩამოეშვათ.
კულისებთან შედოლეები ისხდნენ და
დოლს უკრავდნენ... ქორეოგრაფს კი
რევოლუცია ხორუმით გადაეწყვიტა.
მოცეკვავეები თეთრ და წითელ გუ-
რულ ჩაქურებში იყვნენ გამოწყობი-
ლი, თეთრებს თეთრი ჩაბალახებით
ჰქონდათ თავი წაკრული, წითლებს
წითელი ჩაბალახებით. შედოლეების
გვერდით თამარმა თვალი ჰკიდა გამ-
ხდარ, ახალგაზრდა კაცს, რომელიც
გაფაციცებული ადევნებდა თვალს
მოცეკვავეებს, ეტყობა, ძალიან ლე-
ლავდა, ხან წაიხრებოდა, მუხლებზე
დაიბჯენდა ხელს, და ისე უთვალთვა-
ლებდა თავის გუნდს, ხან ერთბაშად
ისევ გაიმართებოდა... ერთხელ კი
მუხლზე ჩაიჩოქა... გამხდარ, ნერვიულ
სახეზე ყველა ნაკვთი უტოკავდა: შუბ-
ლზე ატყორცნილი წარბებიც, თხელი,
დაბერილი ნესტოებიც, წინ გაშვერი-
ლი ტუჩებიცა და უღვაშებიც. თამარს
თვალი გაუშტერდა, საიდანაც ეცნო-
ბოდა ეს ახალგაზრდა კაცი და ვერ მო-
ეგონა საიდან. ცხადია, მისი დაუცხ-
რომლობით იყო, მოცეკვავეები ასე
კარგად რომ ცეკვავდნენ. ხაზები ლა-
რით ჰქონდათ, ხელფებს ზუსტად,
დროულად, სხარტად იქნევდნენ, არც
ცეცხლი აკლდათ, არც დახვეწილო-
ბა... მაგრამ თამარს არ მოსწონდა
ცეკვების დამდგმელის ჩანაფიქრი, არ
მოსწონდა გუნდის წითლება და

თეთრებად დაყოფა, თავიდანვე დაეჭ-
ვდა, თეთრები მარჯვნიდან რომ შე-
მოცვივდნენ და წითლები მარცხნი-
დან. აი, რას ნიშნავსო, ფიქრობდა,
რომ რევოლუცია თავისი არსით გამ-
თიშველიაო, სწორედ ამიტომ წარმო-
იდგინა ამ ახალგაზრდა კაცმა, რომ
საერთო სულისკვეთებით გამსჭვა-
ლული, შეკრული და შედულაბებული,
მონოლითური ხორუმი ძმათა ურთი-
ერთშერკინებად გადაექციაო. ყველა
მონამლულიაო, ვერაფერს ასცდა ამ
შხამსა და ბალამსო... გაპყურებდა
ახალგაზრდა კაცს და უნდოდა გახსე-
ნებოდა, საიდან ეცნობოდა... დარწმუ-
ნებული იყო, მასთან რაღაც უსიამოვ-
ნო მოგონება აკავშირებდა... გული
უგრძნობდა... ახალგაზრდამ სწრაფად
ამოიღო ფიბიდან ცხვირსახოცი, გა-
ოფლილ შუბლზე გაისვა. მერე წაიხა-
რა და ანთებული მზერა ისევ მოცეკ-
ვავეებს მიაპყრო... და თამარს მოა-
გონდა, სადაც ენახა და საიდანაც ეც-
ნობოდა ეს კაცი. ორთაქალისკენ მი-
მავალ ტრამვაიში შეხვდა გასულ ზაფ-
ხულს, ივლისის ერთ ცხელ დღეს. მა-
შინ თამარი ხშირად დადიოდა იმ გზა-
ზე... იმ გზაზე ხალხი მლოცველივით
მიედინებოდა, მაგრამ ძალიან მძიმე კი
იყო ის გზა. სცნობდა თამარი იმ გზა-
ზე მიმავალ ხალხს. ეს ხალხი არ დაგი-
დევდათ შეხლა-შემოხლასა და გაძე-
კილი ვაგონების შეხუთულ ჰაერს,
ესენი ლოლიაობით არ გაპყურებდნენ
ორთაქალის მშემომდგარ კლდეებს და
ამ კლდეებზე გადმომდგარ, წაირფ-
რად შეღებულ აივნებსა და შუშაბან-
დებს, მათ თვალს არ სტაცებდა რუ-
ხად მოლაპაპავე მტკვარი და მოშრია-
ლე, მწვანე ალევები.

პატიმართა პატრონები იყვნენ ამ
გზაზე მლოცველივით მიმავალი ადა-
მიანები. თქვენ კი, თუ არ გაგართობ-
დათ მშვენიერი მიდამოს ყურება, თუ

ეროვნული
 კულტურის

თავს გაანებებდით თანამგზავრთან თავშესაქცევ ბაასს, მოწყდებოდით სანუკვარ ფიქრებს და გულისყურს მიაპყრობდით ამ ხალხს, მაშინვე გაიგონებდით მათ ჩუმ ოხვრას და ტრამვაის ბორბლების ხმაურიც ვერ დაფარავდა, ვერ ჩაახშობდა მათი სასოწარკვეთის განწირულ, ჩუმ ძახილს! სცნობდა თამარი ამ ხალხს, თვითონაც მათი დასისა იყო. იცოდა თამარმა, დარდი როგორ უბოდიშოდ ძერწავდა, როგორ ხაზებსა და ჩრდილებს ავლებდა ამ ადამიანთა სახეებს. ეს ახალგაზრდა კაციც, ახლა კულისებთან რომ დამდგარა, თვალებით ჩაფრენია თავის მოცეკვავეებს, გეგონებათ ულოცავსო, აქ ვერ იცნო ერთბაშად, – რევოლუციური ხორუმის დამდგმელის როლში, თორემ იმ გზაზე მიმავალი, იმ ტრამვაიში – მაშინვე იცნო. თამარის პირდაპირ განთავისუფლებულ ადგილზე დაჯდა. მანამდე იქ ქურთის ქალები ისხდნენ და ყაყანი თაყუბენდნენ იქაურობას, ჭრელ აბანოსთან ჩავიდნენ და მათ ადგილას სწორედ ეს ახალგაზრდა დაჯდა. ეტყობა, ძალიან იყო დაღლილი და გასაავათებელი, ისე დაეშვა სკამზე. გეგონებათ მუხლებში ჩაიხვეწაო. არა, არ აინტერესებდა ეს კაცი თამარს. თუმცა, კი იცოდა ნამდვილად, რომ თანამგზავრები იყვნენ და ციხის კარზე ერთად უნდა მისულიყვნენ. იმ გზაზე თამარს არავინ არ უნდოდა და არავინ არ აინტერესებდა. სადმე კუთხეში თავისთვის მიიყუდებოდა, თავს ჩალუნავდა, მუხლებზე დადებულ ბოხჩას გამხდარ ხელებს შემოხვევდა და ოთარის თვალს მოშორებული, მეზობლებს მოშორებული, თავის სადარდებელში ჩაიძირებოდა. არა, არ უყვარდა ერთ ბედში მყოფ ხალხთან გამოლაპარაკება და უბედურების გაზიარება, ისიც კმაროდა, რომ ერთი გზით მიდიოდნენ და საათობით

ერთად უნდა მდგარიყვნენ ციხის კედლებთან...

ზოგს საერთოდ უბედურება შვებას ჰგვრის: მარტო ჩემს თავს არ არის ეს ამბავიო... თავისას იტყვის, უარეს ამბავს სხვებისას მოისმენს: ჩემი თუ ქმარია, აგერ იმისი შვილი ყოფილა... ძმა ყოფილა... მამა... დედა... რომელიც... ოჯახიდან კი ბავშვიც... ბავშვიც... ცამეტი წლის ბიჭუნაც გაუგვდათ წინ, ზვარაკივით...

თამარი ცდილობდა, თუმცა კი ყოველთვის ამოად, ამ ხალხისთვის თვალი აერიდებინა, რადგან მათ დანახვაზე, ისეც სასომიხდილს, განსაკუთრებული უშნეობა ეუფლებოდა და ეგონა, ქვეყანაზე აღარაფერი იყო ამ საერთო, უსაზღვრო, ფატალური უბედურების მეტი. რადგან მათ დანახვაზე მთელი ქვეყანა თვალუნდენ, გადახრუკულ ტრამალად იქცეოდა... „წყალი!“ ყვიროდნენ ეს ადამიანები: „წყალი! წყალი! წყალი!“ და თამარს, ისეც ხახაგამშრალს, აღარ უნდოდა გაეგონა მათი ძახილი... მაგრამ ყოველთვის მაინც ესმოდა და მაინც ხედავდა...

ახალგაზრდა კაცს ცალ ხელში პატარა ფუთა ეჭირა, თამარისგან განსხვავებით, მეორეში კი – გაქონილ ქალღმერთში გახვეული პონჩიკები. დაჯდა თუ არა, ფუთა მუხლებზე დაიდო, განთავისუფლებული ხელით ჯიბიდან ჭუჭყიანი ჩვარივით დასრესილი ცხვირსახოცი ამოიღო და გახვითქული თავპირი და კისერი მოიწმინდა. მერე ცხიმიანი ქალღმერთი შემოაცალა პონჩიკებს, დაქმუჭნა და ტრამვაის გაღებული ფანჯრიდან პირდაპირ ქუჩაში ისროლა. დამქნარ, გაციებულ პონჩიკებს შაქრის პუდრი გამლღვალი თოვლივით, ნაოჭებში აქა-იქ შემორჩენოდა. ხარბად ჭამდა ახალგაზრდა კაცი, პასტასავით შედედებული კრე-

მით პირი ეთხუპნებოდა, ჭკჭყიანი ცხვირსახოცით ინმენდა ტუჩებს. თამარს ეგონა, ჭუჭყს კი არ ინმენდს, პირიქით, პირზე იგლესავსო... გამლღვალა შაქრის ნამცეცები ფუთაზე ვყარა. ფუთა... რა უნდა ყოფილიყო ამ ფუთაში, ზეპირად იცოდა... პატარა ფუთა კი იმას ნიშნავდა, რომ სააქაოდ იყო გამიზნული, აი, თამარის ფუთა უზარმაზარი იყო, ძლივს მოათრია ტრამვაიმდე, - ოთარი ახმეტაში იყო სახერხზე წასული, შეკვრითაც თვითონვე შეკრა, მაგრამ არაფერს არ ჩიოდა, ოლონდ გადაეცა. შეკვრა და თრევა რას ქვია, ამ თბილებს შოვნაზე რამდენი ირბინა და იჯახირა, მე თქვენ გეტყვით, მიხვალ და იყიდი, ფულიც რომ გქონდეთ. თამარს კი არც ფული ჰქონდა და მამიდა თამროსეული ზურმუხტის ბეჭედი გაუყიდეს ახალმა მეზობლებმა, აიღამა და ყენიკამ. რის ვაივაგლახით იშოვა მწყემსების ტყაპუჭი, ბურტყლიანი ბენვის სარჩულით, ფართე და ვრძელი, ძერა არ ჰქონდა, ისეთი მძიმე იყო, დაბამბული შარვალ-ხალათიც უყიდა, ტყავებით განყობილი და სქელძირიანი ნაბდის ჩექმები და ბენვის ყურებიანი ქუდი. დარჩენილი ფული, ოცდაათი თუმანი, ათი წითელი სამთუმნიანი, ტყაპუჭის სარჩულში ჩააკერა, ბარათში კი, მთელი ღამის თავის მტვრევის შემდეგ, ასე მისწერა: „ხოშ-გელდი, შალვა, ჩვენ კარგადა ვართ...“ ვითომ „გელდი“ მიახვედრებს, რასაც ვგულისხმობო. ამ ფუთის გამო იყო, ასე გვიან რომ მიდიოდა, ჩექმები და ქუდი მხოლოდ ამ დილით მოუტანეს, თორემ ვინ მიდიოდა ციხეში ათ საათზე?! გაუკვირდა კიდევ, ეს ახალგაზრდა კაცი თავის თანამგზავრად რომ იცნო. გული ეწურებოდა თამარს, დღეს ღამიანადვე ლილი ნავიდა რიგის დასაჭერად და არც ეს იყო მაინცდამაინც ად-

რე, იმიტომ, რომ ხალხი წინა დღისთვის იჭერდა რიგს, ლეიბ-საბნინანდ მოდიოდნენ. სწორედ ლილიმ გაიგო თავისი პაციენტის საშუალებით, ორი-სამი თვის დაპატიმრებულებს შორეულ ჩრდილოეთში ასახლებნო, ივლისის ოცამდე ყველა უნდა გადაასახლონო. შალვას ბარათიდანაც ასე ინიშნა, „აიდა“ მომენატრაო, სწერდა და თუმცა მყისვე ვერ მიხვდა - შალვა ისეთი მელომანი და ოპერის მოყვარული იყო, მაგრამ დიდი თავისმტვრევა მაინც არ დაჭირდა გამოეცნო, ამ შემთხვევაში რომელი აიდა იგულისხმებოდა. რაც შეეხება სანოვაგეს, ყველაფერი ციხის ამანათებისთვის უნდოდა. ოთარი აქ არ იყო და თავისი თავის დარდი სულ არ ჰქონდა. ერთი ეგ არის, კარგი თუ-თუნი და შებოლილი ძეხვი ვერ იშოვნა და სწორედ ის გაიფიქრა, ნეტავი, ამ ახალგაზრდამ თუ იშოვნაო, თუ გამომელაპარაკა, თუთუნზე აუცილებლად შევეკითხებო.

ახალგაზრდა კაცმა სული რომ მოითქვა, თამარს შეხვდა და მობოდიშებით ჩაილაპარაკა: „გუშინდელს აქეთ ნამცეცი არ ჩამიდევა პირში“...

„საბოდიშო არაფერია...“
 „თქვენც ქვევით მიდიხართ?“
 იკითხა ახალგაზრდამ და პასუხისთვის არ დაუცდია, მაშინვე განაგრძო: „ჩამოვწყდი წინ და უკან სიარულით, ნუხელ მთელი ღამე ზევით ვიყავი, მაგრამ გაიგებ რამეს?! რა არის, ეს მაინც რა არის, რომ არაფერს გაგებინებენ?!“

„მამა?“
 „მამაა. დედაჩემი ქვევით ნავიდა რიგის დასაჭერად, მე - ზევით, უკვე თვეა ასე წინ და უკან დავრბივართ, მაგრამ სირბილი ჯანდაბას, გაუგებრობა გვკლავს...“

„შეიძლება, ჯერ არ გადაუყვანიათ“.

ერქუნული

„თქვან, ბატონო, თქვანი!“ ლამის შესძახა ახალგაზრდამ.

თამარს კი მწარედ გაეცინა, თქვან? მათი ვალია სული ამოგზადონ, ეს არის მათი ზეგარდმო... არა, არა, ზეგარდმო კი არა, ქვეგარდმო მისია, ჰოდა, თავის მისიას ასრულებენ.

„სახალინზე იყო გადასახლებული მეფის დროს... მთელი სიცოცხლე რევოლუციის იდეას შესწირა... საქმეა ეხლა ეს, მითხარით ერთი, საქმეა?! გეკითხებით, რატომ?“

თამარმა თავი ჩაღუნა და არაფერი უპასუხა, გაუგებრობით არის ქვეყანა სავესო, უფონობითო, ყველა ცოდაა, ყველაო, თავის გუნებაში ეპაექრებოდა ახალგაზრდას, მაგრამ ვინც თვითონ მახვილით მოევიღია ამ ქვეყანას და მახვილითვე გაიგვირა, მან მაინც ასეთი აღშფოთებით არ უნდა შესძახოს „რატომ!“ ცოტათი მაინც უნდა მიხვდეს რატომ და რისთვის ხდება ყველაფერიო! ხოლო ეს „რატომ“ მე უფრო მეტქმისო! მე უფრო მეტქმისო! თუთუნის შესახებ კი არაფერსაც არ ვკითხავო!!

ახალგაზრდა გადმოიხარა, გაოფლილი, ჭუჭყიანი სახე მიუახლოვა თამარს და ძლივს გასაგონად, შეთქმულივით წაიღუდუნა: „არაფერი გაგიგიათ?“

თამარი სახეში მიაცივდა ახალგაზრდას... მხრები აიწურა...

ახალგაზრდა გამომცდელად, დაექვებით უყურებდა...

„მითხარით...“ თქვა თამარმა, „ეტაპებზე ხომ არაფერი გაგიგიათ...“ მუდარით ჰქონდა ხმა გამსჭვალული.

ახალგაზრდამ ხელი ჩაიქნია, „არა, არა...“ ხმას კიდევ უფრო დაუნია და თამარმა იგრძნო, მარტო სიფრთხილის გამო კი არა, თავისთავადაც ეძინებოდა თქმა: „იქ გავიგე... გუშინ

დილით... გარიფრაფზე... ნიღბი... ში...“

თამარი მოიბღუნდა... სოღანლული... სოღანლული... სოღანლული... ერთბაშად საშინელ, შემმაძრუნებელ სიტყვად იქცა... ახალგაზრდა ისევ ამოძრავებდა ტუჩებს... „ბევრი ხალხი... უამრავი ხალხი...“ თამარმა უმწეოდ აიქნია ხელი, თავი ჩაჰკიდა და აღარც აუღია. თავისი ნუხანდელი სიზმარი გაახსენდა. ვაითუ მართალი ეს ყველაფერიო, ვაითუ მართალია და ჩემი სიზმარი ამ საშინელებას ნიშნავდაო. არადა, მართლა ამ საშინელებას ნიშნავდა, თუმცა ლილიმ, რომელიც ციხესთან რიგში ელოდა, კვლავ გაუქარწყლა თამარს შემზარავი ექვები. ახლა კი თამარი იჯდა ტრამეაში თავჩაქინდრული, მუხლებზე დადებული ბოლჩისთვის ხელები შემოეხვია და თავის საშინელ სიზმარზე ფიქრობდა. ვითომ შალვას ეძებდა, დარბოდა, სულმოუთქმელად დარბოდა და ეძახდა... არბოდა და ჩარბოდა კიბეებზე, შერბოდა დერეფნებში, აწყდებოდა ყრუ კედლებს, „შალვა... შალვა... შალვა...“ განწირული ყვიროდა... და უცებ მოაგონდა: შალვა ხომ ორთაჭალაშიაო, და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა ორთაჭალისკენ... აი, დგას ჭიშკართან და ურაზუნებს რკინის ჭიშკარს... რახუნზე ჭრიალით იღება ჭიშკარი და ღმერთო, რა სიხარულია, რა წარმოუდგენელი სიხარულია; შალვა! გამოდის ჭიშკრიდან, გაბრწყინებული და ბედნიერი, თან რა კოხტად ჩაცმული, გეგონებათ მეჯლისზე მიდისო, ხელში კი პრილა პარკი უჭირავს; ალბათ, ნობათი მოაქვს ჩემთვისო, გაიფიქრებს თამარი. „შალვა, ჩემო შალვა! რა ბედნიერებაა რომ გამოგიშვეს, თან რა კარგად გამოიყურები, ადამიანო! ისევ ისეთი ხარ, შალვა, ისევ ძველებური შალვა ხარ!“ შალვა იღიმება... უღიმის

თამარს... მერე კი მიბრუნდება და მიდის...

„ოთარი სახერხზე მუშაობს ახმეტაში, შალვა, სახლში არ დაგვხვდება, ახლავე, რომ გავივლით ფოსტისკენ, ახლავე შევატყობინებ, გაიხაროს იმანაც!“

„არ გინდა, თამარ, ნუ შეატყობინებ, მაინც ხომ ვერ მნახავს და...“ ჩაილაპარაკებს შალვა თითქოს თავისთვის და თავს მიბრუნებს.

„რატომ ვერ გნახავს, რატომ!“ აღვლდება თამარი.

„მე ხომ... ჩემს გზაზე მივდივარ და...“

„არ გამაგიჟო, შალვა, რა გზაზე, რა გზაზე!“ შესძახებს თამარი.

„დამშვიდდი, თამარ, გთხოვ“, და შალვა ხელს მხარზე დაადებს თამარს, „გრძელ გზაზე, თამარ... მე ახლა გრძელ გზაზე მივდივარ, თუ არ გჯერა, აი, ეს პარკი, შენ რომ ნობათი გგონია, მუხუდოა... მუხუდო მიმაქვს თან...“

„კარგი რაა, შალვა, გეხვეწები, მითხარი, ხომ მართლა გაგანთავისუფლეს, მითხარი!“ შალვამ გაიცინა: „ასეთი თავისუფალი, თამარ სხვა დროს არასოდეს ვყოფილვარ...“ „ოჰ, ღმერთო ჩემო, ვერაფერი გამიგია, რა სხვანაირად ლაპარაკობ, შალვა, შიში მიპყრობს, შიში... შიში...“ სასონარკვეთით აღმოხდა თამარს.

„რას ვიზამთ, თამარ, გაიყარა ჩვენი გზები... სამაგიეროდ მე აღარაფრის არ მეშინია... აღარაფრის... სრულიად აღარაფრის... აგერ იმ კაცისაც კი აღარ...“ თქვა შალვამ, თავი აიღო და ქუჩას გახედა. ქვაფენილზე რკინადაჭედული ჩექმების ხმა გაისმა და თამარმა სწორედ ის კაცი დაინახა, იმ ღამით შალვა რომ წაიყვანა: გაჭარხლებული, მკვრივი სახე, ღორის თვალეზივით პატარა თვალები და ლურჯი

ფორმა. თამარმა ლამის თვალებს არ დაუჯერა: შალვამ ონაერულად დააკვესა თვალები და კაცს ხელი დაუქნია. ფორმიანმა თავი მხრებში ჩარგო, ფრთხილი ნაბიჯით განხე წავიდა, მერე კი უცებ შემობრუნდა, პისტოლექტი ამოიღო და შალვას ესროლა. თამარმა სახეზე ხელები აიფარა. „ნუ გეშინია, თამარ“, ამბობს სიცილით შალვა, „სიკვდილი ერთჯერადი აქტია, ამ სულელ კაცს კი ჰგონია, ორჯერ შეიძლება კაცი მოკვდეს... შენ, ეი, მოდი აქეთ, უნდა დაგაჭკვიანო!“ დაუძახა შალვამ ფორმიანს. იდგა ფორმიანი მხრებანურული და თავის ღორის თვალებს ხშირ-ხშირად ახამხამებდა. „გინდა მომკლა, არაა?! რაც იყო, იყო, ნუ მომკლავ, შეილებს ნუ დამიოზლებ...“ „შურისძიებაზე და დასჯაზე რომ მიდგება საქმე, მაშინ ვგრძნობ, როგორი არქაული და პრიმიტიულია ადამიანი, განა ასე არ არის, თამარ?!“

„გაანებე ამ კაცს თავი, შალვა, გეხვეწები, გაანებე და წავიდეთ!“

„მამ, არ მომკლავ? არაა!“

„მე თუ იმას ჩავიდენ, რასაც შენ სჩადიოდი, ეგ რაღა გამოვა?! ორივენი ჯოჯოხეთში ამოვყოფთ თავს. მაშინ მართალი იქნებიან ის ურწმუნონი, რომელნიც ფიქრობენ, რომ კაცი კაცია და კაცს ყველაფრის ჩადენა შეუძლია. და ისლა დაგვრჩება, რომ მე შენი ფორმა ჩავიცვა და შენ ჩემი... არა, მოდი, აქ, მომიახლოვდი!“

„არ მომკლავ და როგორც გინდა, ისე მიმსახურე“. და ფორმიანი შალვას და თამარს წინ დაუდგა და მორჩილად თავი დახარა.

„ოჰ, შე სანყალო კაცო, შენა! მაგრამ კარგ ოინს კი ვერ ასცდები...“

„რა ოინს!“ სწრაფად იკითხა ფორმიანმა.

„რა ოინს და მწყრები უნდა დაგიფრინო, ჩემთან შეხვედრით ცოტა ჭკუა

ერქვესული
 ზეიზლიცეციკა

ხომ უნდა მოგემატოს!" და შალვამ მთელი ძალით თავზე შეუბერა ფორმიანს. მყისვე წკაპუნე მოისმა, საფეთქლებთან თავის ქალა გაიხსნა, ნაპრალი გადიდდა და ფორმის ქუდიანად თავის ქალა აიხადა. მწყრებმა, უამრავმა მწყრებმა წამოსწიეს თავები, წამოიმართნენ, ფრთები შეაფრთხიანეს და გუნდ-გუნდად ამოუფრინდნენ თავიდან ფორმიანს. ქალაც მყისვე რახუნით დაიკეტა.

მაგრამ იმ ადგილას აღარც შალვა იყო და აღარც ფორმიანი.

და ამასობაში ორთაქალის ციხესაც მიუახლოვდნენ.

რიგი, როგორც ყოველთვის, უზარმაზარი იყო და უსაშველო... თამარმა ლილი მონახა, ბედად ახალგაზრდასაც შორს არ დასჭირდა წასვლა, დედამისსაც, ჩასუქებულ, ტანდაბალ ქერა ქალს (ალბათ, სახალინზე შეირთოვო, გაიფიქრა თამარმა) იქვე, ლილისთან ახლოს ჰქონდა რიგი. მაგრამ მერე, თუმცა მთელი დღე იმ საშინელ რიგში იდგნენ, ერთმანეთს აღარ გამოლაპარაკებინან. ლილისთვისაც არ უთქვამს ახალგაზრდის ნათქვამი, არც უნდოდა გაემეორებინა... სიზმარი კი წვრილად მოუყვა; ცხადია იმ იმედით, რომ ლილი ყოველგვარ ეჭვს გაუქარწყლებდა, მართლაც, არ შემცდარა. არაჩვეულებრივი სიზმარი გინახავსო, შეებნელი ძალები დაუმარცხებია შალვას და ეგ არისო. ოჰ, შენ პირს შაქარი ლილიო, შვევით ამოისუნთქა თამარმა. ლილის რალა არ წამოეღო ირაკლისთვის გადასაცემად და თავისი უცნაურობის წყალობით, კაკალიც კი წამოეღო, აქაოდა ნაჭუჭი კარგად ინახავს ნიგვზის ყველა საუკეთესო თვისებასო და სწორედ ის არის კარგი, გატეხო და მაშინვე შეჭამო, მითუმეტეს ზაფხულში, როცა ნიგოზი მალე მძაღდებაო. თამარს ეჭვი

არ ეპარებოდა, რომ არ მიიღებდნენ. ამიტომ მთელი კაკალი დაამტკრიეს და ტომსიკაში დარჩეული ნიგოზი ჩაყარეს... გარდა ამისა, ლილის გუშინლამ კარგი თუთუნიც ეშოვნა, თამარსაც გაუნანილა, თამარმა კი ქადა გაუყო, ისე რომ ფუთების გახსნა და გადანანილება მოუხდათ... საშინელებაა, ამბობდა ლილი, თავის სიცოცხლეში არ მოუნვევია ირაკლის თუთუნი და ძალიან მეშინია, ხმა არ გაიფუჭოსო, თუმცა ჩემი სპეციალობა სხვაა, მაგრამ დარწმუნებული ვარ სახმომ სიმებზე თუთუნის ბოლი და ნიკოტინი კარგად არ იმოქმედებსო, არა და რა ექნა, სულ თუთუნს მითვლისო...

ჭირდა... რიგში დგომა სულ უფრო და უფრო ჭირდა... დულდა იქაურობა... თან საპირფარეოს ძებნა... თვალდაცვიცებული ხეტიალი, რადგან ახლამახლო არსად არაფრის საშუალება არ არსებობდა... ამ შეჭირვებასთან ერთად დაძაბულობა სულ მატულობდა და მატულობდა... ბევრს თავისი ფუთებიანად უკან აბრუნებდნენ და თამარი შერწუნებული ფიქრობდა, მეც თუ ეს მელის, ალბათ, გავგიჟდები და ეგ იქნებაო...

ახალგაზრდა კი, ლამის არავის არ ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ გაგიჟდა, რადგან ყვირილი კი არა, უბრალო შეპასუხებაც... ნარმოუდგენელი იყო და ამდენი აქ სიარულისა და დაუსრულებელი დგომის დროს, თამარს ამბადაც არ გაეგონა შეპასუხების თუნდაც ერთი შემთხვევა. ახალგაზრდა კი ყვიროდა, ხელებს იქნევდა, სარკმლიდან ფეხს არ იცვლიდა, სანამ მამაჩემის ამბავს არ მეტყვიოთ, აქედან ფეხს არ მოვიცვლიო, 1903 წლიდან პარტიის წევრი იყო და არ გაქვთ უფლება, გაუგებრობაში გვამყოფოთო. აქ არ არის, იქ არ არის, იქ არ არის, აქ არ არის, მითხარით ჩქარა, რა უყავით მამაჩემსო,

მოკალით თუ დაარჩინეთ, გაგვაგებინეთო, ცარიზმის დროს არ გვიმალავდნენ, თქვენ რა გახდით ამისთანა თავხეხელალებულელებიო!! სარკმლიდან მუშტებს უღერდნენ, ხალხი აქედან მიესია, რიგს ნუ აფერხებო, დედა ცალკე ამშვიდებდა და ამოშვინებდა... ბოლოს ორმა მილიციელმა გაიყვანა... დედა ტირილით მისდევდა, აპატიეთო, გემუდარებითო. ყველა უიმედოდ გაპყურებდა მათ. არავის ჰქონდა იმედი, რომ აპატიებდნენ. ერთმა ქალმა ისიც კი თქვა, აბა, რა ეგონაო, ნავიდეც ეხლა და უყაროს კაკალიო. სწორედ ამ დროს თამარისა და ლილის რიგიც მოვიდა...

„კი, მაგრამ...“ თამარს ხმა ჩაუნყდა, „რას... ჰქვია... არ არიან...“

ორნი იყვნენ, მაგიდის აქეთ-იქით ისხდნენ... ისევ ჩახედეს სიებს... აქ აღარ არიანო... „უკვე გადაასახლეს?! იკითხა ლილიმ.

„გადაასახლეს, გადაასახლეს!!“ დაიძახეს სარკმლიდან. „უკვე გადაასახლეს!!“ „კი მაგრამ, როდის გადაასახლეს, ეს მაინც გვითხარით!“ არ ცხრებოდა ლილი, როდიდან აღარ არიან სიაში?!

„შემდეგი! ცნობას მიიღებთ თქვენი მისამართით!“

„რომელი მისამართით? ჩვენც ხომ იქ აღარ ვცხოვრობთ...“ სანყალი ხმით აღმოხდა ლილის, „ჩაინერეთ აბა, ჩვენი ახალი მისამართი“...

არავინ იყო სიცილის გუნებაზე მაგრამ მაინც გაეცინათ...

თამარი კი საშინელმა განწირულეობამ მოიცვა, გაგულისებულმა, გამწყრალმა, მრისხანე განწირულეობამ... დალილობა კი არა, თითქოს ქარიშხალი ჩაუვარდა გულშიო, ფუთა მხარზე შემოიგდო, ლილი, ნავიდეეთო, მიაძახა ლილის და ნამოვიდა... თავადურილი, განარებული მოაპობდა გო-

გირდის სუნით გაჟღენთილ, დახამულ, ცხელს ჰაერს... ლილი ფართხაფურთხით მოსდევდა უკან, მაგრამ ვერ ენეოდა... მაღალი და გრძელფეხება ადლიანი ნაბიჯებით მოაბოტებდა და ტანმომცრო ლილის, რის ვიივაგლახით, ძლიეს-ძლიეს რომ წამომნეოდა, ერთი გაქანებით ისევ უკან ჩამოიტოვებდა ხოლმე... ოპ, შესაძლებელი რომ ყოფილიყო გამოჰკიდებოდა იმ ეტაპს... ერბინა სულის ამოხდომამდე... რომ დასნეოდა... თვალი მოეკრა... ფუთა გადაეცა... მთელი ბედილბალი ხომ ამ ტყაპუჭზე... ამ ჩექმებზე... ამ პურზე, ამ ქადაზე იყო დამოკიდებული... მთელი ბედილბალი! დიახ! სწორედაც მთელი ბედილბალი! აბა, როგორ უნდა გაეძლო გაზაფხულის პალტოთი შორეულ ჩრდილოეთში... შევროს ფეხსაცმელებით... შევიოტის კოსტუმით... შორეულ ჩრდილოეთში, - და არა აქ, ორ ნაბიჯზე, ამ შემზარავ ადგილას, დილას ტრამეაში რომ ეუბნებოდა ის ახალგაზრდა... ამიტომ რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უნდა გაქცეოდა შემადრწუნებელ ეჭვს, დაგეშილი მდევიარივით რომ მოსდევდა, მთელი ძალით ჩაფრენოდა ფუთას, ამ უიმედო იმედს და გაკერპებული თავგანწირვით ერბინა და ერბინა... კარგა ხანსაც ირბინა ასე და სიქა საბოლოოდ რომ გამოეცალა, გაჩერდა და ლილის დაუცადა... ლილი როდის-როდის მოფართხუნდა... იქვე მენალის ჯიხურის წინ დაბალ სკამზე ჩამოსხდნენ, ფუთები წინ დაიდეს და იდაყვებით ჩამოეყრდნენ... ისხდნენ გაჩუმებულები, სულს ითქვამდნენ... მენალეს თავისი ჯიხური უკვე დაეკეტა, მარტონი იყვნენ და ვერ წარმოედგინათ, როგორ უნდა ამდგარიყვნენ აქედან და კვლავ გზას გასდგომოდნენ. ლილიმ ფუთაში ჩაყო ხელი, ააფათურა, მუჭით ნიგოზი ამოიღო, მერე ქადებიც ამოაყოლა.

თამარი საშინლად უარობდა, პირში ეერაფერს ჩავიდებო, არაფერი არ მინდაო, მაგრამ ლილიმ ძალისძალით აიძულა და კარგიც ქნა, მთელი დღის მოშიებულებმა და განამებულებმა ცოტა მოისულდგმულეს... ლილი კი გამხნედა კიდეც, ხვალევე ზევით უნდა ნავიდეთო, მთელი ცნობები იქ მიდისო, თხოვნა უნდა შევიტანოთო, რადგან უკვე გადაასახლეს, შეგვატყობინონ რამდენი ხნით გადაასახლესო, და თბილები დანიშნულების ადგილზე გადაგვაგზავნიონო, საგანგებოდ მოვაქსოვინე ირაკლისთვის ძალიან სქელი მერინოსის კაშნე, ყელზე შემოსახვევადო, არაფრის არ მეშინია ისე, როგორც ირაკლის ხმისო, აბა, წარმოიდგინე, ირაკლი თავისი დიდებული ხმის გარეშეო. თამარი ლილის თავს უქნევდა, თან თვალგაშტერებული გზას გაჰყურებდა, ტრამვაი ხომ არ მოდისო; ქვევიდან, მართლაც, მოდიოდა ტრამვაი, მაგრამ გადაჭედილი და გადაძედილი, ასასვლელებს ბიჭები შესეოდნენ... ქალები არც განძრეულან, ზედმეტი იყო აქ ჩაჯდომაზე ლაპარაკი. უცებ თამარმა ის ახალგაზრდა დაინახა... სახელურზე ცალი ხელით ეკიდა ბიჭებით შეხორხილი ასასვლელის კიდეში, ძლივს, ძლივს ეკიდა, კისერი აქეთკენ ჰქონდა მოღრეცილი და გადმოვარდნილი, მეორე ხელი და ფეხი ვაგონისთვის მიებჯინა და გეგონებოდათ ჰაერში ჰკიდიაო... არ ეგონა თამარს, თუ ახლა რაიმე გაახარებდა, ვერც წარმოიდგინა: „ლილი, შეხედე, ის ახალგაზრდა, გაუშეიათ მილიციელებს, ხედავ?“ „ჰო, ის არის...“ დაუდასტურა ლილიმაც, „ჯვარცმულს გავს, არა?“ „მე მეგონა, აღარ გაუშვებდნენ, რა კარგია, რომ გაუშეიათ...“ „ვინ იცის, რა პირობით გაუშეეს? ან რის საფასურად?“ თქვა ლილიმ. თამარი გაღიზიანდა, მცირე-

ოდენი სიხარულიც წაუხდინა ლილიმ, საბჭოთა ადამიანზე შეებნელი და პრიმიტიული, სტერეოტიპებით დაშტამპული, ალბათ, სხვა არავინ იქნება დედამიწის ზურგზეო, გაიფიქრა.

... დარბაზი ტაშს უკრავდა... ახალგაზრდა კულისებიდან დარბაზს გაჰყურებდა, უნივერსიტეტის ბობოლებს და რაიკომის ხალხს არ აცილებდა თვალს, და კმაყოფილი ილიმებოდა... ისინიც ტაშს უკრავდნენ... თეთრები დამარცხებულიყვნენ, თეთრ ჩაქურჩანებს ცალ მუხლზე ჩაეჩოქათ, შერცხვენილი თავებიც ჩაეხარათ, წითლებს კი გაემარჯვათ, ორივე ხელი ზევით შეეტყორცნათ და გაემარჯვების გამანადგურებელი ღიმილით დაჰყურებდნენ თეთრებს... ახლა მათ უკან, წითელი ფარდის წინ, სიუხვისა და ბედნიერი ცხოვრების ამსახველი პანო ჩამოდიოდა, შუაში მიხატული მზით, რომლის გულში მარქსიზმის კლასიკოსების პორტრეტები იყო ჩასმული, ხოლო ირგვლივ, მარაოსავით იშლებოდა ბრტყელი ყვითელი სხივები, სხივებს შორის ჩახატული იყო თავთავის კონები, ყურძნის აკიდოები, სიმინდის ტაროები, და ვინმეთულის კიდეც რა... პანოს კიდეებში ისტორიული თარიღები ბრწყინავდა 1917-1937. მოცეკვავეებმა ხელი პანოსკენ გაიშვირეს, ვითომ აი, ამ სიუხვისა და ბედნიერებისთვის მოვანყვით რევოლუციამო, დარბაზს თავი დაუკრეს და მხედრული ნაბიჯით კულისებისკენ გაემართნენ. მათი ადგილი კი მომღერალთა გუნდმა და მარომ დაიკავეს...

რეპეტიცია რომ დამთავრდა, უკვე არავის არ ეპარებოდა ეჭვი, რომ გაიმარჯვებდნენ და მოსკოვშიც აუცილებლად ნავიდოდნენ, რაიკომის ხალხმაც სწორედ ეს თქვა, კულტურის განყოფილების გამგემ კი ხმაშალა გამოაცხადა: ყველას თქვენ სჯობი-

ხართ, თანაც ყველა მესვეურს და მათ შორის მაროსაც მაგრად ჩამოართვა ხელი.

„უჭირო ჭირი ამას ჰქვიაო“, გაგულსებით ამბობდა მარო ბიბლიოთეკაში დაბრუნებისას. „როგორ იმღერა ჩემმა გუნდმა, რა კამკამა ხმებით? ერთხელ არ დაუდაბლებიათ ბანებს, თან როგორ იყვნენ შემღერებული, გეგონება მთელი სიცოცხლე ერთად უმღერიათო, მე კიდევ სიხარულის მაგივრად მაინც თავში ლურსმანივით მქონდა ჩაჭედვლილი ამ ქანდაკების ამბავიო.“ მარომ კარი ჩაკეტა, გასაღები გამოიღო და ჯიბეში ჩაიდო.

„ალარ ლირს ახლა მაგისტვის გაუგებურება, მუშახელი მოგემატათ, საქმე ამკარად სასიამოვნოა და გულის მოსაოხებელი, მოდით, ახლა შევედგეთ ჩვენს ნმინდა საქმეს, მე ლამის ხელები მექავება“, თქვა ლილიმ. მაგრამ მარომ ქანდაკებას ხალათი რომ მოაძრო, ლილიც კი შეერთა გაჩეხილი ბელადის დანახვაზე და გულში ჩატენილ ქვას ისე მიაშტერდა, თითქოს უნდა ამოიციხოს, ვინ იყო ამისი ჩამდენიო. „ღმერთო ჩემო, შეუძლებელია დანაშაულის კვალს ხედავდე და დამნაშავეზე არ იფიქრო... ვინ უნდა ყოფილიყო... ვინ... ვის შეიძლება ეს ჩაედინა“.

„შენ შემოგველე, ლილი, დღეს ამაზე ფიქრით თავი გამისკდა, ჯანდაბას, ვინც იყო, იყო, ჩვენი ცოდვა იმას ჰქონდეს...“ თქვა თამარმა.

„საქმე, ქალებო, საქმე!“ მოუნდა ქალებს მარომ, „მოდით, ასე მოვიქცეთ, ქანდაკება მკერდამდე გადავამტერიოთ, აი, მაგ ქვამდე, წავილოთ ნიგნთსაცავში, დაფხვზნათ და დავნაყოთ, ქვედა ნაწილს კი მანამდე ისევ ხალათი ჩამოვაფაროთ, ვინიცობაა ვინმე მოვიდა, ბელადის ცარიელი ფეხები არ შერჩეთ ხელში“.

„დანაყვის დიდი მოხალისე ვარ“,

თქვა ლილიმ, „მაგრამ სახელდასხლოდ რომ მოერჩეთ ყველაფერს, მე მგონი, თავის დანაყვით უნდა დაეკმაყოფილდეთ, ტანი და ფეხები კი ქვითა და ჩაქუჩით დავამტერიოთ და ვარაზის ხეში გადავყაროთ“. ვარაზის ხევის გაგონებაზე თამარი და მაროც კი ლამის გადაფიჩინდნენ, ირგვლივ სახლებია და ათასი მუდრეგიაო, აქვე, საპირფარეოში უნდა ჩავყაროთ და საპირფარეოში ნატყებებს ხომ ვერ ჩავყრიოთ, ამიტომ უნდა ვნაყოთ და ვნაყოთო.

„თავი, თავი უნდა დავნაყოთ სასწრაფოდ!“ თქვა ლილიმ და ჩაქუჩი ჯერ მკერდში ჩაჩურთულ ქვას დაჰკრა და გადმოაგდო, მერე კი კისერში ჩაჰკრა და თავი ბურთივით დაეზღარებოდა, თამარს და მაროს ხელი რომ არ შეეშველებინათ.

მოდით, მართლა ჯერ თავი მოვიშორეთ და ტანსა და ფეხებს მერე მივხედოთო, თქვეს ქალებმა, იქვე ჩაიმუხლეს, ფილები წინ დაიდგეს, მესამე ფილა დეკელი გაზეთები გამოიყენეს თავის მტვრევასა და ნაყვას შუადგენენ... თან ერთმანეთს ახალისებდნენ, ხუმრობდნენ, ამას რას მოვესწარიოთ, სტალინს ვნაყავთო, მართალი ყოფილა ლილი, დაძაბულობა სულ მომეხსნაო... სახის ნაწილებს ერთმანეთს ეცილებოდნენ... უღვაშები ლილიმ არავის დაანება, მარომ კიდევ ცხვირს დაავლო ხელი, ცოცხალი თავით ცხვირს არავის დავანაყინებო, თამარიც გალალდა, დაძაბულობა კი არა, ქალებო, ლამის ნეტარებას განვიცდი ბელადის შუბლის ნაყვითო...

მათი გიჟმაჟობა, ალბათ, კარგა ხანს გაგრძელდებოდა, საშინელება რომ არ მომხდარიყო და თავზე მეხი არ დასცემოდათ: კარი გაიღო! ბიბლიოთეკის შემოსასვლელში, მართალია მათგან მოშორებით, ზოია იდგა; ერთ ნუთას შეჩერდა, მერე გამოხედა ქა-

უკრუნუნული
ნიგელიკომეკა

ლებს და პირდაპირ მათკენ წამოვიდა, მოდიოდა, ხელებს შლიდა და თავს აქეთ-იქით იქნევდა... მოვიდა ასე თავის ქნევით და შორიახლოს გაჩერდა. ხმას კი არ იღებდა, ენაჩავარდნილივით დაჰყურებდა დამტვრეულ ქანდაკებას. ქალებიც ხმას არ იღებდნენ, თავში ჩაკრულელებით ამოჰყურებდნენ ზოიას და უცებ ლილი წამოდგა, ზოიასთან სულ ახლოს მივიდა, თვალელებში ჩაცვიებით მიამტვრდა და ცივი ხმით უთხრა:

„ზოია, რატომ გატყუებთ ქანდაკება! რატომ ჩაუტენეთ გულში ქვა! რატომ არ იფიქრეთ ამ სანყალ ქალებზე! რატომ!“

ზოიამ თვალეები აახამხამა, ხელეები გულზე მიიჭდო და ძლივს ამოილაპარაკა: „მეე... გავტყუე... მეე... რატომ... უნდა გამეტყუა? რატომ...“

„რატომ, რატომ?!“ შესძახა გულმოცემულმა ლილიმ, „განა ძნელი გასაგებია რატომ? იმიტომ, რომ შიმშილით სივდებოდით! იმიტომ, რომ შვილები ამოგინყდათ! იმიტომ, რომ თქვენი მშობლიური სოფლიდან გამოგდევნეს! მოდიოდით... მოდიოდით... ეცემოდით და მაინც მოდიოდით... როგორმე თავი გადაგერჩინათ, ან ცხოველს არ შეეჭამეთ, ან გატყუებულ ადამიანს... პოდა, ბოლმა მოგერიათ, შეიძლება გუშინდელი დღე თქვენი შვილების დაღუპვის დღეც იყო... საღამოს ალაგებდით ბიბლიოთეკას, თან სვამდით მოსაგონარს და შესანდობარს, პოდა, ბოლმა მოგერიათ, ნასვამს გული მოგეცათ, თქვენს გამაუბედურებელზე ჯავრი გეყარათ და შური გეძიათ, ჩასთხლიშეთ ქვა და იგივე ქვა გულშიაც ჩაუტენეთ!“

ზოია მონყვეტიტ მუხლებზე დაემხო, ხელეები გაშალა და ასე ხელეებგამლილი, ტორტმანით მაროსა და თამარისკენ წამოვიდა: „მაპატიეთ, გეხვე-

ნებით, მაპატიეთ... თითქოს ხყალში იხედებოდაო, ისე მიხვდა... უწმინდურმა მაცდუნა... არაფერი არ გამეგებოდა... ჩემი შვილები... ჩემი ორი შვილი... სწორედ გუშინდელ დღეს...“ ზოია ცხვირს ასრუტუნებდა, თავშლის ბოლოთი ინმენდდა, ცოტა გვერდზე გადაქანდებოდა ხოლმე, მერე ისეე გაშლიდა ორივე ხელს და მლოცველივით მოდიოდა, „თქვენ რომ მოხვედით, ტამარა მერაბოვნა, მაშინ ბუნდად რალაც გამახსენდა, თანდათან აღვიდგინე... გეხვეწებით... მე მიყვარს იოსიფ ვისარიონოვიჩი... ისე მიყვარს... ისე მიყვარს... ეხლა ამ ქვით თავს უნდა ვიხეთქავდე, წმინდა მიკოლას გეფიცებით..“ „მადლობთ, ზოია...“ თქვა გაყინული ხმით თამარამ, „დიდი მადლობა“. „რაც მთავარია, ვინმე ხომ არ შემოგვსწროთ, ან თქვენ თვითონ ხომ არ თქვით?“ ჩაკეთხა მარო, „ამ საშინელების შესახებ თუ იცის ვინმემ.“ „პავლუშას ხომ არ უთხარით, ბალის ყარაულს?“ „ეფიცავ! ჩემი ბავშვების ხსოვნას გეფიცებით! სხვა დროს ერთად წავეივამშებთ ხოლმე... გუშინ კიდევ მარტო მინდოდა ეყოფილიყავი, მარტო მიცემოდი ჩემს ბოლმას. თან პავლუშა თავის სათბურში იყო წასული... დღეს კიდევ არ მახსოვდა, სანამ თქვენ არ დაგინახეთ, ტამარა მერაბოვნა! მოსაკლავი ვარ! არ მიყვარდეს მაინც, მაგრამ მიყვარს, აი, ნახეთ როგორ მიყვარს!“ ზოია იქვე ბოლო პატარა მაგიდას დაექიდა, წამოდგა, ხელეები უთავო ქანდაკებისკენ გაინოდა, რომ გულში ჩაეკრა და დაემტკიცებინა როგორ უყვარს, მაგრამ მარომ მკაცრად შესძახა: „კარგით, ზოია, ვიცით როგორც გიყვართ! ასე გვიცნობთ, ჩვენთან ასეთები გჭირდებოდეთ!“ „მე თვითონ გამოვასწორებ ჩემს დანაშაულს“, თქვა ზოიამ. „საიდანმე... აი, მაგალითად ვესტიბულო-

დან... როცა არავინ იქნება, ამოვიტან და დავდგამ აქვე... პავლუშა ისეთია, რო დაკლა, არ გაგვეცემს, პოდა, თუ ვერ მოვერევი, პავლუშას ვიშველიებ”.

ქალებს ფერი ეცვალათ, სულ ხელები ასავსავეს, ახლა ამაზე აფიცეს ზოია, განა არ კმარა, რაც ჩაიდინეო, გინდა მეორე დანაშაული დაუმატო და ყველა დაგველუპოვო?! ეტყობა ამოდენა უბედურებამ შენ ჭკუა ვერ გასწავლაო! შენ ახლა უნდა დაჯდე და აქაურობას მოუარო, რაც შეიძლება კარგად დაფხენა და დანაყო, კვალი არსად არაფრისა დარჩეს, ჩვენ კი ნაწვალთ და მალაზიებში ბიუსტს მოვძებნითო.

ნესით, მე უნდა ვყიდულობდე ბიუსტსო, მაგრამ შეამჩანაგვებით კი აუცილებლად შეგვიამჩანაგვებითო. ლილიმ კი სიცილით დაუმატა: უღვაშების ფული მე უნდა გადავიხადო, მე დანაყე და კიდევაც მიღირსო, ამოილო ნითელი სამთუმნიანი და გააფრიალა, ფულს ბექდიანი ქალაღვიც ამოაყოლა რეცეპტისთვის, თამარს წვეთები გამოუნერა. ატმოსფერო განიმუხტა, ლამის თბილი განწყობილება ჩამოვარდა, თამარს თავისი ლებნები გაახსენდა, ამოილო ჯიბიდან და ჩამოარიგა. საქმე კარგად აენყო, ზოიამ ხელად მიჩხე-მოჩხეა ბიუსტის ნარჩენები, მიაღაგ-მოაღაგა იქაურობა, ამას ყველაფერს ვარაზის ხევიში გადავყრი და თქვენ ნურაფრის შეგეშინდებითო, ქალებს უთხრა, ქალებმა კი ლილი მზურვალედ გადაკოცნეს და ქალაქისკენ გაემუშრნენ ბიუსტის საძებნელად.

მაგრამ დიდი ბიუსტის შოვნა ადვილი არ აღმოჩნდა, ის კი არა, რომ არ იყო, რომელ სახელგამში ან უნივერსიტეტში შეხვიდოდით, ადვილად ნაპოვნი ნატერის თვალისთვის შემოგანათებდათ. მაგრამ რა გამოვიდა, ნაღდ ანგარიშზე კი არ ჰყიდდნენ და?! ნაღდ ანგარიშზე შეგეძლოთ გეყიდათ დიდი

პორტრეტები, საშუალო პორტრეტები, პატარა პორტრეტები. ნაღდ ანგარიშზე შეგეძლოთ გეყიდათ ბელადის გამოსახულებიანი სამკერდე ნიშნები. ნაღდ ანგარიშზე შეგეძლოთ გეყიდათ პატარა, კიდევ უფრო პატარა და სულ პანია ბიუსტები, ვთქვათ ფორტეპიანოს თავზე შემოსადგმელად, ან სანერ მაგიდაზე დასადგმელად, ან თუნდაც დაბადების დღეზე, თუ სხვა სადღესასწაულო შემთხვევების დროს საჩუქრად მისართმევად. რაც შეეხება დიდ ბიუსტებს, ისეთს როგორც თამარსა და მაროს სჭირდებოდათ, თურმე განკუთვნილი იყო დანესებულებებისთვის, კლუბებისთვის, კოლმეურნეობებისთვის, ქარხნებისთვის, სკოლებისთვის, უმაღლესი სასწავლებლებისთვის და კიდევ ვინ მოთვლის ვისთვის და რისთვის და ნაღდ ანგარიშზე არ იყიდებოდა. „გადარიცხვით“ – ეს სიტყვა ესმოდით ყველა მალაზიაში.

„კი მაგრამ, რა განუხებთ ქალბატონებო, – უზუნებოდნენ გამყიდველები, – ამოდენა ბიუსტები სახლისთვის ხომ არ გენდომებთ? და თუ დანესებულებისთვის, მოიტანეთ მიმართვა, ფულს გადმორიცხავენ და ბიუსტს თვითონვე წაიღებენ“. აბა, როგორ უნდა ეთქვათ, რაც ანუხებდათ? თამარი და მარო სწრაფად გაეცლებოდნენ იქაურობას და სხვა მალაზიისკენ გაემუშრებოდნენ, იქიდან კიდევ სხვაგან...

თამარი ჩვეულებრივ უიმედობასა და სასონარკვეთილებას უნდა მისცემოდა, როცა მარომ თქვა: „ჩვენ ხომ კულტსაქონლის მალაზიაში არ ვყოფილვართო, შეუძლებელია კულტსაქონლის მალაზიაშიც ვერ ვიშოვნოთო, სწორედაც მე მთელ იმედს კულტსაქონლის მალაზიაზე ვამყარებო, ქვევით, დახურულ ბაზართან, მოედანზე

რომ არის, იმ მაღაზიაზე, ბაზარში მიმავალს რამდენჯერ დამინახავს ვიტრინიდან სტალინის ბიუსტებიო, რა ზომისაც გინდა, ისეთიო”.

ქალებმა მაშინვე გეზი იმ მაღაზიისკენ აიღეს, მაგრამ იქაც პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ, რადგან თურმე მთელი პარტია სტალინის ბიუსტებისა სწორედ გუშინ გადაეგზავნათ კინო-თეატრებისა და ბაგა-ბაღებისთვის. თამარმა მაინც იკითხა, ნაღდ ანგარიშზე შეიძლებოდა შექმნა დიდი ბიუსტებისა თუ არა, და გამყიდველმა დაბეჯითებით უპასუხა, „რა თქმა უნდა. მაგრამ ამ კვარტლის გეგმა ჩვენ უკვე შევასრულეთ და ახლა აპრილის დასაწყისში მივიღებთ“.

მეტისმეტად დაძმარდნენ ქალები... „რისი იმედი უნდა გქონდეს“, ღრმა მწუხარებით აღმოხდა თამარს, „როცა ბელადის ბიუსტსაც კი თავისუფლად ვერ იყიდო“. მარო კი ისე დაიძაბა, მაშინვე ახალი იდეა დაებადა, თანაც ბრწყინვალე იდეა: „ახლავე... აი, ახლავე სადგურის ქუჩაზე ავეჯის ქარხანაში უნდა გავქანდეთ, სადაც ჩვენ ბიბლიოთეკისთვის მაგიდები და სკამები გვაქვს შეკვეთილიო! ქარხნის დირექტორი კოტე სანებლიძე შესანიშნავი, გულითადი და სხვისი ჭირის გამზიარებელი კაციაო, ჩემი ბიძაშვილი ივლიტას თანაკლასელი და ბავშვობის ამხანაგო, ჰოდა, სად ექნებათ ბელადის დიდი ბიუსტები, თუ არ ქარხანაშიო?! ან კი როგორ შეიძლება ქარხანაში არ შექმნდეთ ბელადის ბიუსტები, თანაც ყველა ოთახსა და ცეხში, ყოველ კუთხე-კუნჭულში არ ედგათო?! გავუტყყდე კოტესო, სულს ხელში ჩაებერავ ხვალვე მაგიდებთან და სკამებთან ერთად მოზრდილი ბიუსტიც გამოგვიგზავნოსო, თავიანთთვის კი გადარიცხვით ახალი შეიძინონო, დირექტორისთვის ეს სულ

უბრალო ამბავი იქნებაო, ჩვენ კი ფულსაც გადავრჩებით, ბიუსტის შეტანის დავიდარბასაცო, – კარგად შევაფუთინებ და ვინც დაინახავს, ერთმანეთზე გადაბმული სკამები ეგონებათო, ბიბლიოთეკაში კი გავხსნით და ლამაზ-კოხტად დავდგამთ თავის ადგილასო“.

თამარმა შევებით ამოისუნთქა, მაროს ნამდვილად დაეჯერებოდა. მართლაც, თუ კი სანდო იყო ის კოტე, ერთი ბიუსტის გამოგზავნას და ქალების გასაჭირიდან დახსნას რა დიდი ამბავი უნდოდა?! სამადლო საქმე იყო და მადლისთვის უკან როგორ დაიხვედა?! „ოჰ, მარო!“ თქვა თამარმა და მაროს ხელი მოხვია. მაროც, ძალიან იყო გახარებული თავისი მოსაზრებულობით.

საწყალ ქალებს სხვა სიხარულიც ელოდათ: გამოვიდნენ თუ არა კულტსაქონლის მაღაზიიდან, ცოტა მოშორებით, მარცხნივ, ბაღის პირდაპირ უზარმაზარი რიგი შენიშნეს და ეს რიგი შებოლილი შაშხის აღმოჩნდა... სასურსათო მაღაზიაში შაშხს არიგებდნენ და, თუმცა, შიგნითაც და გარეთაც ზღვა ხალხი იყო. „ვიჩინის“ ხელიდან გაშვება არამც და არამც არ შეიძლებოდა, არასდროს და არავითარ შემთხვევაში! ყველაფერი კარგად ეწყობოდა: სანამ მარო ფაბრიკაში ნაწილობადა და მოვიდოდა, თამარი რიგში დარჩებოდა, ამასობაში რიგიც გავიდოდა და ქალები ორ კურდღელს დაიჭერდნენ! ასეც მოიქცნენ, რიგი დაიკავეს, მარო ცოტა ხანს დაელოდა რიგის გაგრძელებას, მერე ყველას სთხოვა, დამიხსომეთო, ჩემი მეგობარი რჩება რიგში და მეც მალე მოვალო და ჩქარი ნაბიჯით გაეშურა ავეჯის ქარხნისკენ.

თამარი, მთელი დღის ნანერვიულები, ერთი ლებნით ნასაუზმევი და

მალაზიებში ამოდ ნარბენი, „ვიჩინის“ რიგში ჩადგომით ფიზიკურ სიამოვნებასაც კი განიცდიდა, ნასულეყო ის დრო, როცა ჭირივით სძულდა რიგში დგომა, როცა ადამიანთა ჩამოხდომა და ჩამოქვეითება, დამაკნინებელი ნენვა-გლეჯა და დამამცირებელი შეხლა-შემოხლა ქედმაღლურ ზიზლსა და გალიზიანებას ალუძრავდა. შალვას დროს ყოველთვის ცდილობდა რიგებისთვის თავი აერიდებინა. და საკვირველია, შალვას შემდეგ, როცა უშეტეს დროს რიგებში ატარებდა, ბევრად უფრო ნაკლებ უჭირდა... ალბათ, იმიტომ, რომ ჯერ ერთი, მისი შინაგანი ყოფა შალვათი იყო მოცული, შალვათი და შექმნილი მდგომარეობით, და დარჩებოდა თუ არა მარტო, და არსად ისეთ მარტოობას არ გრძნობდა, როგორც ხალხმრავალ ადგილებში, მაშინვე თავის საფიქრალს მიეცემოდა ხოლმე და ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, ირგვლივ რა ხდებოდა, და მეორეც, ოთარი ენანებოდა, რაც ასეთ გაჭირვებაში ჩაცვივდნენ, თავის შეილს ველარ სცნობდა, ნებირობასა და ხელშეწყობაში გაზრდილი ოთარი, სულ მინდა-არმინდას რომ გაიძახოდა და საქმლის რჩევაში იყო, ახლა ვითომც არაფერიო, სიტყვის უთქმელად იტანდა გაჭირვებასა და უქონლობას. და მარტო კი არ ენანებოდა ოთარი, დანაშაულის გრძნობაც ანუხებდა, თითქოს მათი ბრალიც იყო, თავიანთი ერთადერთი შვილი ასეთ გაჭირვებაში რომ ჩააგდეს, თითქოს მათი ბრალიც იყო, რომ არაფერი შეეძლოთ ელონათ ქუის დარიგებისა და მითითებების გარდა, გაკოტრებული კაცის ყალბი თამასუტებივით.

მაროს ნასვლის შემდეგ რალაცნაირი სიმსუბუქეც კი დაეუფლა, თითქოს ძალაც მოემატა... მაშინვე თვალნინ ოთარი დაუდგა, ცეკვავდა ოთარი

და აღარავინ აჩერებდა, აღარავინ უჩურჩულებდა ყურში – გამომყეო, განამებული და გავიწეული აღარ იდგა შუა დარბაზში, ფოქსტროტის რიტმიდან იძულებით ამოვარდნილი და ხელებჩამოყრილი. კიდეც რატომ უყვარდა ოთარის ცეკვა და ცეკვის დროს სრულიად არ ეპარებოდა ეჭვი მის სილამაზეში, მის უსაზღვრო მიმზიდველობაში. განა სხვა დროს არ მოსწონებია, მაგრამ მაინც ფიქრი გაჰკრავდა ხოლმე: ნეტავ სხვისი თვალით დამანახვა როგორიაო. ცეკვის დროს კი სრულიად უეჭვოდ მიაჩნდა ოთარის ჭაბუკური პლასტიკის ანდამატური მიმზიდველობა. ნეტავ, ჭამა მაინც მოასწროს სანამ პატეფონს ჩართავენო, გაიფიქრა, თორემ თუ ცეკვას დაიწყებს, აღარც ჭამა მოაგონდება, აღარც სმარო. პოდა, მოვა სახლში და შაშხი დახვდებაო. რა თქმა უნდა, გადასარევად მოენყო საქმე, ბიუსტში ჩასათხლეში ფულით შაშხი უნდა ეყიდა, თანაც სტალინის უღვაშების მომიზეზებით ლილიმ ხელი გამოუნოდა. შაშხი, რომელიც უიშვიათესად გამოდის მალაზიებში და ოთარს ასე უყარს. თან, რაც მთავარია, სანამ თამარი რიგში იდგებოდა, მარო უსასყიდლოდ და უფასკაპიკოდ ბიუსტს მოიპოვებდა. ლამის იფიქრა, რომ შაშხისა და ბიუსტის ასე ბედნიერად ერთმანეთის შეწყვილებაში განგების ხელი ერია. ბედად ხელფასებიც სწორედ გულშინ მიიღეს დაგვიანებით და თავისი კაპიკეპიდან მცირე რამ თან ჰქონდა ნამოღებული და შავი ტყავის ჩანთით გულზე მიხუტებული. ფიქრობდა, რამდენსაც მომცემენ, იმდენს ვიყიდო. ხალხში კარგი ხმები დადიოდა, ორ კილოგრამს იძლევიანო... მთელი ორი კილოგრამი შაშხი! ოთარს გამოუზოგავს, ხან ერბოკვერცხით გაუკეთებს, ხან კარტოფილთან ერთად შეუნვავეს,

საქართველო
საქართველო

დილითაც ჩაის მიატანს გემრიელ ბუტერბროდს.... კარგა ხანს გავლენ იოლას...

შაშხის რიგი კი ძალიან ნელა მიიწვედა წინ, ისე ნელა, ზოგჯერ ეგონა ბაკში შეყრილი ცხვრის ფარასავით ერთ ადგილას დონდგოლებდნენ... ჯერ იყო და რამდენიმე პირად, ჯგროფი იდგნენ, მერე კიდევ, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, რიგს განუწყვეტილად ემატებოდა ნასული ხალხი, ყველა აქოშინებული გამობოდა და გაფაციცებული ეძებდა თავის ადგილს, არიქა, რიგი ხომ არ დაეკარგეთო, იყო წინ და უკან სირბილი, ჩაცვივებით ერთმანეთის თვალიერება, ამოცნობა და ზოგჯერ ვერ ამოცნობა, და ამის გამო კიდევ უფრო აღელვება და აღშფოთება... ზოგი მკაცრად მოითხოვდა, არავითარ შემთხვევაში არავის არ გაებედა რიგიდან გასვლა, რას ქვია აქეთ-იქით სიარული და მერე მზამზარეულზე მოსვლაო, სწორედაც ყველა უნდა იდგეს ნაუსვლელად და არავინ არ გაბედოს, უკიდურესი საჭიროების შემთხვევაშიც კი, სადმე ნასვლაო, თუ დგომაა, დგომა უნდა იყოსო, ყველასთვის ერთნაირადო...

ამჟამად უტიფრებიც ბევრნი იყვნენ, ურიგოდ რომ ცდილობდნენ შეძრომას პირდაპირ მალაზიაში, ვითომდა ჩვენმა რიგმა უკვე გაიარა და უფლება არა გაქვთ არ გაგვატაროთო. მალაზიის კარებთან მდგომი მოხალისე გუშაგები კი მათ, ცხადია, არ ატარებდნენ და ნამდვილი ხელჩართული ომი იმართებოდა. იდგა ერთი ალიაქოთი და შეხლა-შემოხლა... თანაც, თითქოს განგებო, თითქოს ერთმანეთს შეატყობინესო, ან ფეხმძიმე ქალი მიდიოდა ურიგოდ, ან ბავშვიანი. თამარის წინ მდგომი მოხუცი ქალი, რომელიც მან მყისვე იცნო და გამოეცნაურა კიდევ (ლომბარდში ქურქს რომ აბარებ-

და, ეს მოხუცი ქალიც იქ იყო, მარილე-ბისგან დაჯირჯებულ ხელებში ბატისტის დაქარვული ნიფხვები ეჭირა და მაშინ პირველად გაიგო თამარმა, თურმე ნიფხვებსაც რომ ავირავებენ... თავის ქნევით ამბობდა: „ღმერთმა ყველა კეთილად მოამშობიაროს, მაგრამ უკვე მეცხრე დავთვალო... მე კი მინდოდა ერთი ოთხასი გრამი მეყიდა შვილიშვილისთვის და ვინ იცის, რამდენი ხანი უნდა ვიდგეო...“

ყველა უკვე სიძულვილით უყურებდა ფეხმძიმებსა და ბავშვიანებს.

ჯოხი მეთერთმეტე ფეხმძიმეზე გადატყდა... იგი ლახლახით გადმოდიოდა ტრამვაის ხაზზე და უზარმაზარ მუცელს მოაგორებდა, პალტო ძლივს ძლივობით შეკრული, დაქაჩული ლილკილოები კი დანყვეტაზე ჰქონდა. ის იყო ხალხს დრტივნივითა და კბილე-ბის კრაჭუნით განი უნდა მიეცა, რომ ერთი ბრვე ქალი ჯერ დააშტერდა ურიგოდ მიმავალ ფეხმძიმეს, მის უზარმაზარ მუცელს, მერე კი არც აცია, არც აცხელა, ერთი ხელის დაქნევით ჩაანყვიტა პალტოს ლილგები და ნიოკობისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, ხავერდის დიდი მწვანე ბალიში გამოჰგლიჯა ხელიდან. ცრუ ფეხმძიმე ლამის კინწისკერით გააგდეს, ბალიშიც აღარ უნდოდათ მიეცათ. ამ ინციდენტმა დიდი ყრიაპული გამოიწვია, ვინ იცინოდა, ვინ იგინებოდა, ვინ ხალხს ამოშმინებდა. ბრვე ქალი ხომ ლამის გმირად გრძნობდა თავს, მარტო იმას ნანობდა, ბალიში რად დაეანებეო, უნდა მომექნია და პირდაპირ ხეზე ამეგდოეო, აჩაჩხულიყო და ჩამოელო, მოუხდებოდაო. „თქვენი ჭირიმეთო“ ამბობდა მოხუცი ქალი, „ღმერთმა ნუ ქნას ახლა ნამდვილი ფეხმძიმე მოვიდეს, თორემ ასე რომ ჩაჰკრან ხელი, მუცელს ნაუხდე-ნენ და ეგ იქნებაო“. „როგორ ბებიო!“

გაუბრაზდა მოხუცს ახალგაზრდა კაცი, „ხელი ჩაპკრა კი არა, ერთი კარგი ნიხლიც უნდა ამოერთყაო!“ ახალგაზრდას მყისვე გამოუჩნდნენ თანამოაზრეები და მხარი აუბეს, ის თაღლითი, ისაო, ლანძღავდნენ ცრუ ფეხმძიმეს, იმისი გამოისობით ნამდვილ ფეხმძიმესაც აღარ გაატარებენო. არც უნდა გაატარონო, გაკაპასდა ერთი ქალი, აღარავინ არ უნდა გაატარონ ურიგოდ, თუნდაც აქვე ჩვენს თვალნინ ბავშვიც დაბადოსო. არაო, შეედავა სხვა ქალი, გაატარონ, მაგრამ კარგი გაჩხრეკისა და შემონმების შემდეგო, ყველა ასეთი ყვეყნი კი არ იქნება, კაბის ზევიდან რომ დაედო იმხელა მწვანე ბალიშო, სხვას ნიფხაეში ექნება ჩატენილიო, ჰოდა კარგად უნდა გაჩხრიკონო. ერთი ქარმაგი, ვითომ დარბაისელი შესახედაობის კაცი კი ამბობდა: მე ვფიქრობ, ის ქალი მავნებელი თუ არა, მავნებლის ოჯახის წევრი მაინც იქნებოდაო.

თამარს, განსაკუთრებით რიგებში დგომის დროს, შემოანეებოდა ხოლმე უიმედო ფიქრები ადამიანთა უბადრუკობისა და ყველა სისაძაგლის მიმართ წარმოუდგენელი მზადყოფნის გამო. ჩაცვებით ეკითხებოდა თავის თავს: ნეტავ სწორია ყველაფერს ბოლშევიკებს რომ ვაბრალებთო? ჩვენი უბედურების თავსა და ბოლოს მხოლოდ ამ საშინელ ნყოფასა და სისტემაში ვეძებთო? ბოლოს-ბოლოს ყველაფერი ხომ ჩვენს ნიაღში იშვა და აღმოცენდაო. მთვარიდან ხომ არ ჩამოფრენილან, საადანლაციდან ხომ არ მოგვლენიან, ზოგი ღორეშაში გაიზარდა და ზოგი გორშიო, ზოგი თბილისში და ზოგი ხონშიო, ჩვენი ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანიო, სწორედ ჩვენი ხელშეწყობითა და ტაშის კერითო... რატომო, რატომ არის ადამიანი ასე მოწყობილი, რომ წინასწარ

განჭვრეტა არ ძალუძსო, ყოველ შემთხვევაში, ძალიან უჭირსო და თუ როგორმე ორ ნაბიჯს სწორად გადაადგამს, მესამეზე აუცილებლად უნდა წამოპკრას ფეხი და ჩაიკეცოსო. „მზადყოფნა, მზადყოფნა, ეს საშინელი მზადყოფნა დაგვლუპავს...“ განწირული ჩურჩულით ამბობდა ლილი, „ერთი სული აქვს ირაკლის, ველარ ითმენს, ჩაეყლაპინოს ამ ურჩხულს, მზად არის თვითონ ჩაუვარდეს ხახაში... მზად არის... მზად არის... გეხვენებით, გარნმუნებით, გავეცალოთ აქაურობას, სადაც არა სჯობსო, ხომ გაგიგონიათ, ჰოდა, დამიჯერეთ, დამიჯერეთ, ამაზე უარესი, რასაც აქ მოველით, არაფერი დაგვემართება...“ ირაკლი შაშხს ჭრიდა თხელ ნაჭრებად, ტრანსში ჩაეარდნილი ლილი კი ისევ თავიდან იწყებდა მათ რწმუნებას... იმ ლამეს... იმ საბედისწერო ლამეს, მოცარტის ლეთაებრივი მუსიკით რომ დაიწყო და კარზე ბრახუნით დამთავრდა... იმ ლამის გახსენებაზე თამარი მოიქაშა, ერთბაშად შეეცვალა გუნება, და მაშინვე საშინელი დაღლა და შიმშილი იგრძნო. მარო უნდა გამოჩენილიყო, მარო, დრო იყო უკვე... უნდა მოსულიყო და იმედინად ხელი მოეხეია, შემოეცინა, თქმით ხომ არაფერს ეტყოდა და?

სიცვივამაც შემოუტია. შეიძლება, შიმშილის ბრალიც არის ასე რომ შემცივიდაო, აკანკალებული ფიქრობდა. მის გვერდით მოხუცი ქალიც მარილებიან, დაჯირჯეებულ ხელებს იორთქლებდა და დროყამისაგან დაბეგვილი, ნაოჭებით დაქსელილი ლოყები საბერველივით ეფუყებოდა. ისედაც ჩაშრეტილი თვალები კი სულ ჩაპკარგვოდა შეშუპებულ ქუთუთოებში. ტომრის ჩანთა ეკიდა მკლავზე, სულ ცარიელი. თვალი მოარიდა. არაფერი სტანჯავდა ისე, როგორც სიბრალუ-

ლი. მისთვის ყველაზე მეტად ყოველთვის სიბრალული იყო მტანჯველი და აუტანელი... ალბათ, ამიტომ ეგონა, რომ შალვა არასოდეს არ ჰყვარებოდა ისე, როგორც ბოლოს უყვარდა... როცა ეგონა, სიბრალული გულს გაუპობდა... როცა მათმა სიყვარულმა, ორნახევარი ათეული წლის მანძილზე ბევრჯერ ბენვის ხიდზე გავლილმა, ბევრჯერ ჭირ-ნახულმაც, დიდი ხნის ურთიერთობით გავაკებულმა და დამშვიდებულმა, განშორების წინ ახალი ძალით იფეთქა. და თუმცა ნეტარი იყო მათი ჭაბუკური ვნება და ლტოლვა, ახლა უკვე სხვა თვალთ უყურებდა და სხვაგვარად აფასებდა, ახლა უკვე წრეს გადასული და გაზვიადებული ეჩვენებოდა, უსაფუძვლო ეჭვებით, რალაც სრულიად გაუგებარი სიურჩითა და სიამაყით, ერთმანეთის კრიჭაში ჩადგომით, გაბუტვებითა და შერიგების ალტაცებით, და ურთიერთობის გაუთავებელი რკვევით... არა, არ შეადარებდა ახლანდელ სიყვარულს, ამ ხალას, დანმენდილ განცდას, თანაგრძნობით გამსჭვალულ ამ სისადავეს, ამ უსაზღვრო ნდობასა და მეგობრობას... „ვერა, ვერა, ვერაის ვერ ვაპატიებ!“ გაგულისებით, გადაბრუნით ამბობდა იმ ღამეს ლილი, „ვერც ირაკლის და ვერც სხვას!“ და სხვებში, რა თქმა უნდა შალვასა და თამარს გულისხმობდა, გაგუზგუზებულ ბუხართან რომ მიმსხდარიყვნენ გუგულებით, შაშხის ბუტერბროდებს შეექცეოდნენ და ლილისა და ირაკლისაც მოუწოდებდნენ: ნუ გავიგივებთ წინასწარ თავს, რაც იქნება, იქნებაო. „ან განა საპატიებელია?! იმის მაგივრად, ჩვენი გულებიდან რისხვამ და წყრომამ ამოხეთქოს, იმის მაგივრად ჩვენი გულებიდან მრისხანების ცეცხლი ამოიფრქვეს და ბოროტება, უფმურივით რომ დასწოლია ქვეყანას, დანვას

და დაშანტოს! თუნდაც საკუთარი სიყვარულის გადარჩენისთვის!“ ქადაგად დაცემულმა ლილიმ, ქურუმი ქალივით ხელები შემართა „ჩვენ, აი, სწორედ ჩვენ, ყველა სისადაგლის მიმართ... ყოველგვარი მძლავრობის, ფეხქვეშ გათელვის, გაუპატიურების, დამონების... ფანტასტიური მზადყოფნით გამსჭვალულებმა და სწორედ ამიტომ გახევებულებმა და დადამბლავებულებმა მხოლოდ და მხოლოდ ერთმანეთის სიბრალულს შევაფარეთ თავი!! ჰოდა, ბარაქალა ჩვენ! ამ საცოდაობისთვის!! ბარაქალა ჩვენ! ამ სიყვარულისთვის!“ „ნუ გაგიყდი, ქალო, ნუ გაგიყდი...“ ამშვიდებდა შეცბუნებული ირაკლი, „მე ხომ გადამჭამე თავი და ამით რას ერჩი, ამ მშვენიერი შაშხით რომ გვიმასპინძლებიან, მადლობის მაგიერია?“ ვითომ იხუმრა, ვითომ გაიცინა კიდეც, მაგრამ მაშინვე დაძაბული მზერა ფანჯრებს მიაპყრო.

შორიდან ისმოდა მანქანის ხმა...

„ვერჩი, ვერჩი! მე ახლა ყველას ვერჩი!“ ლამის ხმამალლა შესძახა ლილიმ, „შენ ასე ნამხდარს რომ გხედავ!! ავიღებ თავს და სადაც გინდა წავალ, მზად ვარ ქვეყნის დასალიერამდე ვიარო!! რას ეკარგავთ, ნეტა, შიშისა და ძრწოლის მეტს? მონობის მეტს, რას, გამაგებინეთ, რას?! ყველას თავი მხრებზე გვაბია...“

„მე მესმის ლილისა, ძალიან კარგად მესმის...“ – თქვა შალვამ და ჩაის ფინჯანი და ბუტერბროდიანი თეფში ბუხრის კალთაზე დაიდგა, „მე ფილოსოფიას ჰაიდეგერი მასწავლიდა და როცა თავისუფლებაზე გველაპარაკებოდა, მოგვიწოდებდა მოექცეულიყავით ისე, როგორც თავისუფალ ადამიანს შეუფერის...“

„ლმერთო, როგორ გავიფურჩქნებით ყველა?! თან რა უბედნიერესი სევდა დაგვეუფლება, სევდა, რომელ-

საც ნოსტალგია ჰქვია... ამ ნოსტალგისთვის ღირს აქედან ნასვლა, რომ კვლავ შევიყვაროთ ჩვენი ქვეყანა... რომ ჩვენი ქვეყანა კვლავ გაციხროვნდეს ჩვენთვის და მონატრების ცრემლი ეღვაროს... გესმით? არ ბედნიერები შეიძლება ვიყოთ?! ამ ლანძღვა-გინებისა... და ლანძღვა-გინებას ვინ ჩივის.. უფსკრულში ჩაჩხვების მაგივრად... საიდანაც ვერაფერ... ველარავინ ვერ ამოგვიყვანს..."

თამარს ყოველთვის ხიბლავდა ლილის სიმსუბუქე. არა, ლილი არასოდეს ყოფილა ზერელე და თავქარიანი, მაგრამ რალაცნაირი სიმსუბუქე კი ჰქონდა, რაც სწორედ მის შინაგან დამოუკიდებლობასა და სიმამაცეზე მიუთითებდა. მაგრამ ლილის სიმსუბუქემა და დინამიზმმა ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა, როცა მან საქეტაკლის შემდეგ თავისი თავზარდამცემი გეგმა გაანდო თამარსა და შალვას: საზღვარგარეთ უნდა გაეიტყუეთო, ბევრი ვიფიქრე და ხსნას მხოლოდ და მხოლოდ გაქცევაში ვხედავო... ნუ შემეკითხებით ვისი და რისი იმედით ვამბობ ამას, მაგრამ ჩვენ ყველამ ხვალვე შევებულება უნდა ავიღოთ, ბათუმში ჩავიდეთ და იქიდან აუცილებლად მოვახერხებთ თურქეთში გადასვლასო, თურქეთიდან კი საფრანგეთში ჩემს ძმასთან წავალთო. აქ ჩვენი საქმე ნამდვილად წასულიაო, შალვა და ლანძღვა-გინებით აიკლესო, და შეუხედოთ სინამდვილეს თვალებში, იცოდეთ, არ აკმარებენ ამასო, დღეს-თუ -ხვალ „ადვალისზმის ტყვეობაში მყოფსა და ადამ სმიტის სატელიტს“ კაცმა არ იცის რას დამართებენო, ირაკლი კიდევ მთელ ლამეებს ჩაცმული ატარებს საფარძელშიო, რაც მთავარი დირიჟორი დაიჭირეს, სულ დაპატიმრებას ელისო და მამაზეციერი ვერ გადაარწმუნებს, რომ ხელს არ ახლებენო, მე

ხომ უკვე მომიდნო, მაგრამ ჩემი თავი ჯანდაბას, სულ მალე, ალბათ, ერთ ბგერას ველარ ამოუშვებს პირიდანო, და მეო... მეო... ირაკლი თუ ხმას დაილუშავს... თავი ცოცხალი აღარ მიწადაო..."

და ლილიმ, აქამდე ქადაგად დაცემულივით სხაპასხუპივით რომ ჩურჩულებდა, ირაკლის ხმაზე რომ მიდგა საქმე, გული ამოუფხდა და ტირილი დაიწყო... ტანმომცრო და უსაზღვროდ სანდომიანი ბუხრის წინ დათვის ტყავზე მოკეცილი, პატარა გოგონას გავდა და პატარა გოგონასავით სლუკუნებდა. ირაკლი შაშხს ჭრიდა... თხლად... ძალიან თხლად... ათასჯერ ჰქონდა ნათქვამი, რომ იტალიაში არაფერი მოსწონებოდა ამაზე მეტად, საგანგებოდ თხლად ჭრიდნენ თურმე და ამის გამო სულ სხვა გემო ჰქონდა და სხვაგვარად სასიამოვნო საქმელი იყო. იქვე თეატრთან ახლოს იყო თურმე პიცერია და სულ იქ დადიოდა, იაფადაც გამოდიოდა და სახმო სიმებისა ც შესანიშნავად ჩაიპოხავდა ხოლმე. ახლა ატირებული ლილის დანახვაზე, დანიანი ხელი განზე გასწია, იდაყვით მიიხუტა გულზე და დაყვავება დაუნყო: ჩემი პატარა გოგო... ჩემი თავგადასავლების მაძიებელი გოგონაო. მთელ თავის იმედებს ყოველთვის ავადმყოფებზე რომ ამყარებს და იმათი მემკვიდრეობით საზღვარიც კი უნდა გადალახოს და ჩვენც გადაგვალახინოსო... ლილი კი ვერა და ვერ მშვიდდებოდა, ახალ-ახალ არგუმენტს იშველიებდა, რატომ უნდა წასულიყვნენ აქედან და გადახვენილიყვნენ. „მეც არ დავფიქრებოდი“, ამბობდა შალვა სერიოზულად, „არცერთი ნუთით არ დავფიქრებოდი... საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვენთან არ არსებობს და მეცნიერება, რასაც მე ვემსახურები, ლამის ქვა ქვაზე არ დატოვონ... ჩე-

მი სტუდენტები რომ არა... არ შემოძლია მათ ვულაღატო... მე... სულ მათ თვალებს ვხედავ... და მიუხედავად ყველა საშინელებისა, ვცდილობ არ გაეანბილო მათი მოლოდინი... "შალვამ თავი აიღო და უხერხულად გაიღიმა.

„სად იქნებიან მერე შენი სტუდენტები, სად!“ შესძახა მოუთმენლად ლილიმ, „თან გამოგაყოლებენ?! ბურჟუაზიის გუნდრუკის მკმეველს?“

თამარი მზად იყო ლილი გაეგლიჯა. რატომ დასჩხაოდა ასე ყვავევით, რატომ?! ძლივს მოკონინებულ საღამოს... ძლივს მოკონინებულ განწყობილებას რატომ უფუშავდა! იმის მაგივრად სპექტაკლზე ელაპარაკათ, თავისი წარმოუდგენელი პროექტებითა და უადგილო მღელვარებით სულ გაუქარწყლა „დონჟუანიდან“ გამოყოფილი განწყობილება. თვითონ თავიდანვე აიშრიზა, ლეპორელოს დიდ არიას, სადაც ის დონ-ჟუანის ქალების ამბავს ჰყვება, კრიჭაშეკრული და დაძაბული უსმენდა, ერთხელ უკმაყოფილოდ თავიც გადაიქნია... რას ერჩოდა? ირაკლი შესანიშნავად მღეროდა.

მერე ტაშმა და ყვაველებმა გამოუკეთა გუნება. სპექტაკლის შემდეგ შალვამ აიჩემა ვახშამზე კიდევ ჩვენ უნდა დაგპატიყოთო, კარგი შაშხი გვაქვს და ჩაიც დაელიოთო. ერთმანეთის პირდაპირ ცხოვრობდნენ არაგვის ქუჩაზე და სიამოვნებითაც დათანხმდნენ. დიდი ხანია ასეთი სიმშვიდე და სიმყუდროვე არ უგრძენია თამარს. თვითონაც არ იცოდა, რატომ და რისთვის, ეგონა კი ვერავითარი უბედურება ვერ შემოაღწევდა ამ აგუზგუზებულ ბუხართან, წიგნებით, სურათებით, რბილი ავეჯით, ლადარში შემწვარი კარტოფილისა და ხახვის სურნელით სავსე დარბაზში, თავის უახლო-

ეს მეზობლებთანა და მეგობრებთან, ვახშმის მოლოდინში...

მანქანის შორეული ხმა პირველად ირაკლიმ გაიგონა... მაგრამ არც ისე შორეული... ეტყობა, ქვევიდან ამოდოდა და ბაქრადის ქუჩაზე შემოუხვია... ირაკლის სწორედ ისე დაუმრგვალდა თვალეები, როგორც ლეპორელოს სასაფლაოს სცენის დროს, „ო, სტატუა ჯენტლილისსიმიას“ რომ წარმოთქვამდა, და მისი დიდებული ტემპრის ხავერდოვანი ბანი შიშით და ძრწოლვით იყო გამსჭვალული...

მანქანა აქეთ არ წამოსულა... პარალელურ ვიწრო შესახვევეში აუხვია...

ეს სწორედ „ის“ მანქანა იყო. აქ არავინ მანქანებით არ დადიოდა, ისიც ამ დროს, ამ შუალამეს... ვის მოუვიდა თავში აზრად, რომ ღამით უნდა მოგიხტნენ, კარები გიმტვირონ, წამოგაგდონ და კინისკერით წინ გაგიგდონ! ბნელ ღამეს ადევნებული მძარცველებისაგან და ავაზაკებისგან აიღეს მაგალითი, თავის თავს კი კომუნისტებს ეძახიან!!

მანქანის ხმა ერთბაშად მიწყდა... მაგრამ ლილის მომთავრებულიც არ ჰქონდა თავის პროექტებზე ქადაგება, რომ მანქანის ხმა ისევე გაისმა... ახლა უკვე ზევიდან... ირაკლი დამბლადაცემულივით მიაჩერდა ფანჯრებს, მერე კი გამტკნარებულივით მიუბრუნდა ლილის: „წავიდეთ, ლილი... იქნებ ჩვენთან მოვიდნენ და... ხომ უნდა ვიყოთ შინ... ძებნას ხომ არ დაგვიწყებენ...“ ჩავარდნილი ხმა ჰქონდა, უზარმაზარი სხეული ძლივს წამოსწია სავარძლიდან. საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო ათ კაცს შეკრავდა... ლილის ხმა აღარ ამოუღია, ჩუმადა ადგა და გაჰყვა... ის იყო კიბეებზე უნდა ჩასულიყვნენ, მობრუნდა ლილი, შალვას გადაეხვია, ცრემლებს ძლივს იკაებდა: „მამაკლე, შალვა... თამარ, შენც მა-

პატივ... არ შემიძლია შევევუო ამ დამამცირებელ უმწეობას..."

მანქანამ არაგვის ქუჩაზე ჩამოუხვია...

შალვა ფეხაკრეფით გავიდა, მძინარე ოთარს დახედა... მერე მივიდა თამართან, ხელი გადახვია და სანამ მანქანა მათი სახლის წინ გაჩერდებოდა, წყნარი, აულელევებელი ხმით უთხრა: „გთხოვ, არ დაეცე სულით. მობუზული და სასოწარკვეთილი ბიჭს ნუ დაენახვები... რაც ვიცხოვრეთ, ხომ კარგად ვიცხოვრეთ, ჩემო თამარ, და მთავარი ესაა..."

ბინდებოდა... ყინვამ კიდევ უფრო მოუჭირა... ქრისტინეს დატოვებული ბანრის შალი ჰქონდა მიგნიდან შემოხვეული, მაგრამ კოვერკოტის პალტო თხელი იყო და, რიგის სიმჭიდროვის მიუხედავად, უკვე იმათაც სციოდათ, ზამთრის პალტოები რომ ეცვათ. საშა მკერავის შეკერილი საშემოდგომო პალტო ახლა სრულიად შეუსაბამოდ და შეუფერებლად გამოიყურებოდა. მოხუცმა ქალმა ველარ გაუძლო რიგში დგომას, თითქოს ვიღაცის წინაშე ბოდიშს იხდისო, ისე ჩაილაპარაკა: „რავქნა, აღარ შემიძლიაო..." და თამარის მოწოდების მიუხედავად, წადით ურიგოდო, თქვენ ნამდვილად გეკუთვნით ურიგოდ წასვლაო, არ მოინდომა დარჩენა... ახლა ის ლანდივით მიდიოდა ბინდბუნდში. ტრამვაის ხაზზე გადადიოდა... ახალა გაახსენდა, რომ კარგა ხანია ტრამვაის არ გაველო... მაროსკენ გაუქანდა გული, სად არის ნეტავ აქამდეო. მოსულიყო ბარემ, მოსულიყო, შეეღწიათ მალაზიაში, გათბებოდნენ მაინც... თუმცა კი მალაზიიდან ყუმბარასავით გამოვარდნილი ხალხი ერთბაშად სულშეგუბებულევით ამოიქმენდა ხოლმე და ამბობდნენ კიდევ, შიგნით საშინელი შეხუთულობაო, მაგრამ ახლა დარწმუნებული

იყო, გაფიჩხებას ისევ „ვიჩინოს“ ნიშნულვეს სულის შეგუბება ერჩია.

ღრმითაღმო ვლადადებ შენდამი უფალო... არა... ღრმითაღმო მეტისმეტად არქაულია... უფსკრულში ჩაჩეხილი... უფსკრულში ჩაჩეხილი... არა, არა, შაშხის რიგში ჩაჩეხილი...

ყურები უშხუოდა... ხელებიც უბუზოდა... რიგში დგომა უკვე გაუსაძლისად ეჩვენებოდა... სირბილი სჯობიაო, სირბილი, თუნდაც დაოსებამდე... სიცივე მაინც აღარ შეალონებდა... მაგრამ თანდათან ეჭვი და შიში მოეძალა, მაროს დაგვიანებასთან ერთად სულ უფრო და უფრო რომ იპყრობდა და მარნუხებში აქცევდა, და ეს იყო სწორედ სიცივეზე და შიშილზეც უფრო ძნელი ასატანი. ნეტარებით წარმოიდგინა თავისი (თავისი კი არა, კნინა მანანასეული), დაწვლრეული, თოკებით ჩაბმული სანოლი... ოჰ, რა სიამოვნებით გაიშოტებოდა... მაგრამ სანოლამდე ჯერ შორს იყო... მარო უნდა დაბრუნებულიყო... ნანობდა, ძალიან ნანობდა, რატომ არ გავეყვიო, რა დროს ორი კურდღლის დაჭერა იყოვო... ერთი სიკეთე ისაა, ოთარი დაბადების დღეზე და ცეკვაესო... ალბათ თავდავიწყებით ცეკვაესო... როგორმე გაძლებდა ოთარიც უშაშხოდო... აგერ, ამდენ დაბადების დღეებში ხან შაშხი შეხედება და ხან სხვა რამეო. ახლა რიგში კი მღელვარებამ იფეთქა: შაშხი ყველას არ ჰყოფნის და არა აქეთ უფლება, ორ-ორი კილოგრამი გასცენო! შამაკაცები ამბობდნენ, ქალები განარდნენ, მედგრად გაიჭრნენ წინ უსამართლობის აღმოსაფხვრელად და მალაზიის ვიტრინასა და კარს მთელი ძალით ეკვეთნენ... თამარი ამოვ ეცადა რიგიდან გამოსულიყო, ხალხის ტალღამ აქეთ-იქით მიანყვიტა და კარებსა და ვიტრინას შუა, კედელზე ააკრა... „წარმოგიდგენი-

ათ?" ამ ჭედეში ტირილის ხმაზე შემოსახა თამარს ქალმა, რომელიც მის გვერდით ვიტრინის ძვირფასე იყო მიჭყლებილი და მანაც დაორთქლილ მიწას ჩაცვივებით მიშტერებოდა, „ბარკლების იმედი აღარ გქონდეთ! ვხედავ! ვხედავ! აგერ, ნეკნებსლა იძლევიან! მჭლე ნეკნებს!“

„ნახევარ კილოგრამზე მეტი არ გაცხენ!“ ყვიროდა ვიღაც ბოხი ხმით.

„ტყუილია, ტყუილია, არის ვიჩინა და ყველას გვერგება! ბარკლები გათავდა!“

„მაშინ კილოგრამი მისცენ! უთხარით, ვინც ახლოს ხართ, უთხარით!“

გამაყრუებელი გნიახი და ალიაქოთი იდგა, მალაზიიდან გამოსულებს სიძულვილით და გაბოროტებით ეკითხებოდნენ, შიგ რა ხდებოდა, თუ თავდება, რატომ იღებთ ორ-ორ კილოგრამსო, ჩვენზეც ხომ უნდა იფიქროთო, ასე ხომ არ შეიძლებაო!

თამარს სული უგუბდებოდა, უნდოდა ეთქვა, გამატარეთო, როგორმე გამატარეთო, მაგრამ ვერაფერი ეთქვა, ვერცერთი სიტყვა, იგრძნო, რომ ტუჩები დაბუფებული ჰქონდა და ვერ ანძრევდა... შორიდან... შორიდან მოესმა, როგორ დაიძახა ვიღაცამ „გული შეუნუხდა! ქალს გული შეუნუხდაო!“ მერე უკვე აღარაფერი გაუგია...

ხელში აყვანილი შეიყვანეს მალაზიის სანყოფში ქიშკრის შესასვლელიდან. გამყიდველმა დაეჭვებით გაალოკარი, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ სიმულაციას არ ჰქონდა ადგილი, კარი მაშინვე ჩაკეტა და თვითონ სასწრაფოდ დახლს მიაშურა. მშველელმა, ბრგე კაცმა გულწასული თამარი სახელდახელოდ მიაწვინა ტომრებზე, მასაც ერთი სული ჰქონდა, რაკილა აქ მოხვდა, უშაშხოდ არ წასულიყო. ამიტომ მყისვე მალაზიაში სტკუცა თავი. საწყობის სიცივეში თამარი თანდათან

მოსულიერდა, მაგრამ თვალი არც გაუღია, დასუსტებულს და მისავათებულს მაშინვე ჩაეძინა. ჩაეძინა და უცნაური სიზმარიც ნახა. ვითომ პატარა იყო ოთარი და დათოვლილ ბაღში მტრედებს საკენკს უყრიდა. გაიხედა თამარმა და რას ხედავს: მიფრინავენ მტრედები და ოთარიც მიფრინავს მათთან ერთად. ჩამოიზრბინა კიბეები, გაიქცა, თან ეძახის, ოთარ, დაბრუნდიო. თვალს მიეფარნენ მტრედებიც და ოთარიც. შეძრწუნებული თამარი დარბის, დარბის, დარბის, უკაცრიელ ადგილას მოხვდა, თოვლით დაფარულ მინდორზე... მთვარე დანათის მინდორს, ლურჯი ფარჩასავით ბრწყინავს თოვლი. ცას ახედა თამარმა და საოცარი რამ დაინახა. ცამტრედებით იყო სავსე, ლურჯი ხავერდის მოლზე ფრთებდაკეცილ მტრედებს ეძინათ, ფრთები აენურათ, თავები მიედრიკათ, ფრთებში ჩაეყოთ, პატარა, წითელი ფეხები შეეკეცათ და მშვიდად ეძინათ. ძილში ზოგჯერ რომელიმე ფრთას შეარხევდა... გაიკიაფებდა შერხეული ფრთები... ზოგს იისფრად უბრწყინავდა ბუმბული, ზოგს მტრედისფრად, ზოგი კი ოქროსფრად ციმციმებდა... საოცარი სანახავი იყო! საოცარი კიდევ ის იყო, რომ ამ თვალმუდგამ სიმაღლეზე ყველაფერს მკაფიოდ ხედავდა: მიდრეკილ თავებს, ანურულ ფრთებს, ბუმბულში შეკეცილ პანია ფეხებსაც კი. იდგა თამარი და მოხიბლულად შეჰყურებდა მოციმციმე, გარინდებულ ცას... ერთბაშად შეერთა! ტკივილი და სიხარული ელდასავით ეკვეთა! თვალეები ბუდეებში ჩაეყინა, ხელები ცისკენ გატყორცნა და

ოთარ!

ოთააარ!!!

პატარა მემტრედე ბიჭს თეთრი ღრუბლის ფაფუკ ბალიშზე დაედო

თავი და მშვიდად ეძინა. პერანგის გადაღებული საყულოდან, ნაზი, ლეროსავით ამოწვდილი კისერი და დაუბუმბლავი მკერდი მოუჩანდა...

ფეხის ნეერებზე შედგა თამარი, აინია, აინია, ის იყო უნდა აფრენილიყო, რომ ყმული და ქრიალი შემოესმა. შიშმა ცივად დაუარა მთელ სხეულში... გამოციებული თვალებით გახედა მინდორს... მთვარით განათებულ ლურჯ მინდორზე ბრინჯაოს უზარმაზარი ქანდაკება მოაბიჯებდა... ბრინჯაოს სახსრებს ქრიალი გაჰქონდა... ჩაუანგული სახე კი ცისკენ მიეპყრო. ხედავს, როგორ მოაბიჯებს ბრინჯაოს უზარმაზარი კაცი და კერპის გახევებული მზერით ცას შეჰყურებს, მოდის და უკან მშვიერი მგლების ხროვა მოსდევს. ძუნძულით მოჰყვებიან მგლები, შეჰყმუიან ბრინჯაოს კაცს, ბრინჯაოს ფარაჯაზე, ბრინჯაოს ჩექმებზე ეტანებიან. აღმასივით კბილებს რანკუნი გააქვს. მთვარის შუქზე შავად უბზინავთ ბუნეი, წითელი ენები გადმოუყრიათ, დორბლი და ნერწყვი სდით დაღებული ლაშებიდან. ყველანი აქ არიან: აგერ, ბებერი ტოტია, განაპირას მოძუნძულებს, მუცელი ფერდებზე მილასტვია, მუხლი აღარ ერჩის, ხშირად დაყუნტდება, მშიერ თვალებს მთვარეს მიაპყრობს და სიბერისგან დაბობებული ხმით შეჰყეფს ცას... ძუ მგლებს ლეკვები მოუდით. მშიერი ლეკვები ნკმუტუნით მოსდევენ დედებს, ჩამოშრეტილ ძუძუებზე ეტანებიან...

აი, ბრინჯაოს კაცმა გადმოიგდო მხრიდან თოფი და ცას მოუშვირა. თოფის გრიალი ცას ეკვეთა... აფართხალდნენ ცაში მტრედები...

სისხლის წვეთი დაეცა თამარს... ერთი... ორი... სამი...

გრიალებდა თოფი, იმსხვრეოდა

ცა, ფრთებდალენილი, მკვდარი მტრედები მოცვიოდა ციდან.

სისხლი აწვიმდა ლურჯ მინდორს...

სისხლი აწვიმდა ბრინჯაოს კაცს...

სისხლი აწვიმდა მგლების ხროვას...

სისხლი აწვიმდა თამარს...

აი, შეესივნენ ლაშდარენილი, შავი მგლები აფართხალებულ მტრედებით სავსე მინდორს...

ცაზე ახლა მთვარელა დარჩა... მთვარე? თამარმა დაინახა პატარა ბიჭის დამფრთხალი სახე...

„მე მომკალით! მე მომკალით!“ ყვირის თამარი და ბრინჯაოს ქანდაკებისკენ გარბის, „აქა ვარ, აქა ვარ! აი, აქა ვარ!“ ყვირილით ლამის ხმა ჩაუნყდეს. მაგრამ მისი ყვირილი არავის ესმის.

მგელი ტოტია დაყუნცულა, მშიერი თვალებით ცას შეჰყურებს და ყმუის... აგერ ქანდაკებამ კვლავ თოფი შემართა ცისკენ. „ოთარ... ოთარ!“

„თამარ, თვალები გაახილე, თამარ!“ იძახდა მარო და მარილის ტომრებზე მისვენებულ თამარს მაჯებს უზელდა, „ოთარო, ყვიროდი, სიზმარი ნახე?“

„ღმერთო, რა კარგია, რომ სიზმარი იყო“, ამოიოხრა თამარმა.

„მეც მაშინვე მოვედი, თამარ, მაგრამ კარი ჩაკეტილი დამხვდა და რის ვაივავლაბით გამოვიკვლიე გზა მალაზიიდან, კინალამ გავგიჟდი, რო მითხრეს გული შეუნუხდაო.“

„დარეტიანებულივითა ვარ... ერთბაშად გამომეცალა ღონე...“

„ჩანთა კი მტკიცედ გქონდა მიხუტებული, არც ბერეტი გადაგვარდნოდა.“

„რალაც საშინელი კომმარი ვნახე... ღმერთმანი გაიოზს უნდა მოველაპარაკო, კარგად მშველოდა ლილის წვე-



ეროვნული
სიბავშვობა

თები, მაგრამ თუ ისევ დამენყო კომ-
მარები“.

„ისე კვენსოდი, ისე კვენსოდი, ჩაგ-
დახოდი და არაფერი გესმოდა“.

„მარო, მარო!“ უცებ სრულიად გა-
მოფხიზლდა თამარი, შენ რა ქენი, ქა-
ლო, რაო, კოტე სანებლიძემ?“

„ეჰ, თამარ, კოტემ ციხიდან მო-
კითხვა შემოგითვალა, მე არაფერი ვი-
ცოდი და თურმე ერთი კვირაც არის,
რაც დაუჭერიათ, გამოვბრუნდი თოფ-
ნაკრავივით, მაგრამ ვერა და ვერ ავე-
დი ტრამვაიში, ისეთ ცუდ დროს მოე-
ხვდი, ისე იყო დახუნძლული, პატარა
ბიჭებიც კი ცვიოდნენ... მერე რის ვა-
ივავლახით შევეჩხირე და სინათლევ
ჩაქრა, მთელი ნახევარი საათი ვიდე-
ქით გზაში... მაგრამ შენ რომ ამ დლე-
ში დაგინახე, აღარაფერს აღარ ვჩიო-
დი...“

„ჯანდაბას, ჩემი თავი და ტანი...“
ამოიოხრა თამარმა.

შაშხი მისცეს... ორ-ორი კილო...
ბარკლისა... გამყიდველმა იქვე გამო-
უტანა, უკანა ოთახში და აქედანვე გა-
ატარა. წამოვიდნენ უჩუპარი პირით.
არცერთი აღარ იღებდა ხმას. ერთ მზა-
რეს მიდიოდნენ, მარო გზად ცხოვ-
რობდა, სასამართლოს ქუჩაზე და
არაფრით არ გაუშვა თამარი, ოთარი
მაინც ჯერ არ იქნება მოსული და ბა-
რემ ერთად ვიჯახშმოთო. მაროს მეო-
რე სართულზე თორმეტმეტრიანი
ოთახი ჰქონდა, პატარა შესასვლელი-
თა და პანანინა სათავსებით, მეზობ-
ლებს დაენანილებინათ დიდი ჰოლი და
დიდი სათავსები და ყველას თავთა-
ვისთვის საკუთარი გაეკეთებინა. მა-
რო ამბობდა „ბონბონერივით“ ბინა
მაქვსო. ოთახში კედლებზე ოცდაოთ-
ხში დახვრეტილი ძმების სურათები
ჰქონდა გაკრული, ოცი წლის სიკოსი,
და ოცდარვა წლის გიორგისა, გარ-
დაცვლილი მშობლებისა და აგრეთვე

საკუთარი, ადრე სიყმაწვილის დრო-
ინდელი ფერწერული მცდელობები.
უყვარდა თამარს გზად მაროსთან შე-
ქაქანება, მითუმეტეს ახლა, დღევან-
დელი თავსდამტყდარი უბედურების
შემდეგ, და თუმცა ჯერ უარზე იყო,
ორივენი მიქცევაზელა ვართო, მაგრამ
მარომ რომ დაუფინა, მერე სიამოვნე-
ბითაც დათანხმდა; უყვარდა მაროს
ძმებისა და მშობლების მშვენიერი სა-
ხეების დანახვაც და ყმანვილი ქალის
გაუნაფავი ხელითა და გულუბრყვი-
ლო გზნებით დახატული დიდი ქადა-
რი, ვახეახიშვილების აყვავებული
ფერდობისა და პანია კარის ეკლესიის
ფონზე.

მარომ მაშინვე აანთო ნავთქურა,
შაშხს მოზრდილი ნაჭერი ჩამოჭრა,
თამარს არასგ ზით არ გაახსნევინა თა-
ვისი ჩანთა, თხლად დაჭრილი ნაჭრე-
ბი ტაფაზე მოფინა, კარგად ააშიშხი-
ნა და კვერცხები დაახალა, მშვენიერი
ცხრაბაზიანი პურიც ჰქონდა, მყავე
კომბოსტოცა და ალუბლის ნაყენიც.
სუფრაც ღამაზად გაანყო, ძველებუ-
რი ფაიფურის თეფშებით, ვენზელები-
ანი ვერცხლის დანა-ჩანგლით და ვერ-
ცხლისავე დიდებული სურითა და
სირჩებით, არც ბროლის პანია დასად-
გარები დაიფინა დანა-ჩანგლისთვის
და არც ხელსანმენდების რგოლი; ეჰ,
მტრის ჯიბრზე ღამაზი ჭურჭლიდან
მაინცა ვჭამოთო, ჩვენი მამულებიდან
და ოჯახიდან ესლა დამრჩაო, თან და-
აყოლა.

დასხდნენ, გემრიელად შეექცნენ
და თანდათან მოსულიერდნენ კიდეც,
ალუბლის ნაყენმაც გაახალისათ, ერ-
თი ეგ არის, მეტისმეტად დალილებ-
სა და მომშულებს მაშინვე მოეკიდათ
სახმელი. მარომ პირველივე სირჩაზე
ის თქვა „ღმერთმა გადმოგვხედოს და
ხელი მოგვიმართოსო“, მეორეზე უკ-
ვე წინაპრების მოსახსენებელი დალია

უფრო ვრცლად, ხოლო მესამეზე თამარიც აპყვა, მეტისმეტად კი აღუღდა, გული ამოუჯდა და სადღეგრძელო კიდევ უფრო განაერცო: „მოდი, მარო, ჩვენი სახით ყველა დამცირებულს გაუმარჯოსო...“ ეს რომ თქვა, ღრმად ამოიოხრა, ხელსანმუნდით პირი მოინმინდა, თან ჩაახველა, ყელიც ჩაინმინდა და „სასაცილოა დამცირებულზე გამარჯვების თქმა, მაგრამ, ხომ იცი, შირი არ გამრუდდება და სადღეგრძელოც ასე ითქმის. საუბედუროდ ისეა მოწყობილი ეს ქვეყანა, ყოველ ნაბიჯზე დამცირებას უნდა განვიცადიდეთ... ამ ქვეყნის წისქვილი სხვაგვარად არა ფქვავს, მარო, და თუ სხვაგვარად დაფქვავს, მაშინვე გაჩერდება და დაიშლებაო... ვის ხელში ვართ ჩავარდნილი, მარო, ვის ხელში? ვისაც არ ესმის, რომ ყველა წყალში არ უნდა ჩააფურთხოს და ყველა ჭაში არ უნდა ჩააფსას! მაშინ რომელიღა წყალი უნდა დალიოს მითხარი, რომელიღა, ან თვითონ და ან ჩვენს! ჩაფურთხებული და ჩაფსმული...“

თამარმა მუქარით შემართა ალუბლის ნაყენიანი ვერცხლის სირჩა. მარომ კი, ცოტა არ იყოს, დაბნეულად გადაიქნია თავი; „ღიახ, ღიახ“, მაშინვე განაგრძო ნიშნის მოგებით, „იმიტომ, რომ საბჭოთა ადამიანი მუდმივად ჩაგრული და შურაცხყოფილი უნდა იყოს! და რომ იცოდე, როგორ მეცოდებიან ყველანი, ვინც ამ ქვეყანაში ცხოვრობს, ყველანი, ყველანი, გარეშენიც და შინაურებიც, მეცოდებიან, მარო, მეცოდებიან, ბებიაჩემი იტყოდა, ხორცები მადნება საცოდაობითო და მეც ხორცები მადნება, ამ ქვეყანაში ცხოვრებას ხომ ფეტვის დაჩხვლეტა სჯობია, მარო, რა ვქნათ, რა ვქნათ, რომ სანებზე ვსხედვართ და იმ ჩიტყვით ისლა დაგვრჩენია, ბოლომანც როგორმე მოვარიდოთ, რაც

უნდა სასაცილონი ვიყვნეთ, ერთი დაუსვრელი ადგილი მაინც შევინარჩუნოთ და ისე ნუ შევეჩვევით და შევეგუებით დამცირებას, სირცხვილი აღარ გვენაედეს, მარო, სირცხვილის ცეცხლი ჩაუქრობლად უნდა გიზგიზებდეს ჩვენს გულეში. გვდაგაედეს და გვნაცრაედეს! მაშ დაე...“ თამარს სიტყვა პირზე შეაშრა... მარო სულ არ უსმენდა, ადრეც იგრძნო, რომ მან თავისი ფიქრებისკენ გადაუხვია, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა, ამასთანავე მონოლილ გულისთქმასაც წინ ვერ აღუდგა, ახლა კი მაროს ამკარად გაუშტერდა თვალი და გატრიზავებულმა თამარმაც სადღეგრძელო ჩააფუჩჩა, სირჩა ყლუპით დალია და მაგიდაზე ჯერ არც დაედგა, რომ მარომ სიხარულით შესძახა: „თამარ, თამარ! დამცირებულებს გაგიმარჯოსო თქვი თუ არა, შესანიშნავი აზრი დამებადა, რაც ძალი და ღონე გვაქვს თავი უნდა დავიმციროთ გოგიელა ნიბლაძის წინაშე! აი, ჩვენ რა გვიხსნის! აი, რა გვიშველის! მაშ, შენს წარმოთქმულ სადღეგრძელოს გაუმარჯოს თამარ“, დაამატა და სირჩა ერთბაშად გადაჰკრა.

„მე ერთხელ უკვე დავიმცირე, მარო, ხომ გითხარი კიდევ და რაც ის აბდაუბდა ვითომ გავუსწორე, უბრალოდ, მეზიზღება მაგასთან ურთიერთობაც კი, არამც თუ თავის დამცირება.“

„ცუდად არის შენი საქმე, თამარ!“ შესძახა წყრომით მარომ, „რა დროს ეხლა ზიზღია, როცა ასეთი მშვენიერი აზრი დამებადა და გოგიელა კი წამდვილად არ არის ბოროტი კაცი, უბრალოდ იდიოტია, კობტაპრუნა იდიოტი, ცხადია, თუ დაჭირდა, ყველაფერს იკისრებს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში არაფერი საშიში არ არის, მხოლოდ უნდა გავუტყდეთ და შევლადადოთ“.


 ერქმუნული

გიგლიძის ქუჩა

„შენ იმას ამბობ, რასაც ზოია ამბობდა, მივხვდი“, – შესძახა თამარმა.

„რა შუაშია ზოია და ვესტიბული? ის ხომ ნამდვილი მოპარვა იქნებოდა, აქ კიდევ ვიცი ვისთანაცა გვაქვს საქმე!“ და მარომ ისე ცოცხლად, ისე დამაჯერებლად, ნარმტაცადაც კი დაუხატა თამარს, როგორ გამოაცუხცუხებდნენ ბელადის ბიუსტს მარქსისტული ესთეტიკის კაბინეტიდან და იქვე, ბიბლიოთეკაში შეაცუხცუხებდნენ, რა თქმა უნდა, იმ დროს, როცა ტალანში არავინ იქნებოდა, და ახლასნორედ, სესიების დამთავრებისას, მესამე სართულის ტალანები სულ ცარიელი იყო. ასე გადარჩებოდნენ ინვენტარიზაციას. მარქსისტული ესთეტიკის კაბინეტი ისეც მოფენილი იყო მარქსიზმის კლასიკოსების ბიუსტებით და იცოდა მარომ, გიგლა ნიბლაძეს სახლშიც ჰქონდა ბელადის დიდი ბიუსტი. გიგლა თამარისაგან დავალებული იყო, შემდგომშიც, ვინ იცის, რამდენი შრომა უნდა ესწორებინა, გიგლას მეცნიერული ნაყოფიერების ამბავი ვინ აღარ იცოდა, ამიტომ საქირო იყო მხოლოდ და მხოლოდ თხოვნა და პირმოთხოვა. „ოჰ, თამარ“, ამბობდა შეჭიკჭიკებული მარო, „ექვი არ მეპარება, გიგლა-ნიბლასაგან მაღანი ნამდვილად გამოდნება, ისე, რომ ჩვენ შეგვიძლია მშვიდად დავიძინოთ!“ და მარო, თავისი მოსაზრებულობით ფრთაშესხმული, იცინოდა, ბროლივით კბილებს აელვარებდა და ახალი სადღეგრძელოსთვის სირჩებს ავსებდა. ვინ არ დაუჯერებდა მაროს, მითუმეტეს თამარი, რომელმაც მთელი გულით ირწმუნა, რომ ეს ყველაზე უფრო გონივრული გზა იყო, თანაც უმოკლესი! რა ბედნიერებაა, რომ მარო იყო მის გვერდით, ასეთი გამჭრიახი და პრაქტიკული. და თამარმა განსაკუთრებული გრძნობით დალია მა-

როს სადღეგრძელო. საგანგებოდ შეაქო მისი მოსაზრებულობა და მიხვედრილობა.

მარომ გიტარა ჩამოიღო, სიმებს ჩამოჰკრა და თავისი კრიალა, ხალასი ხმით „შორი გზიდან სატროფოს ველი“ ნამოიწყო, თამარიც აჰყვა, მეორეს ეუბნებოდა და მშვენიერი სიმღერა გამოაცხეს. მერე ხომ მთლად ეშში შევიდნენ და დიდი განცდითა და გულთაძგერით „თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს ლაშქარი“ იმღერეს. სიმღერამ ორივე იმედითა და სიცოცხლის წყურვილით აავსო... მეთორმეტე საათზე ნამოვიდა მაროსაგან და მთანმინდის ცუდად განათებულსა და უკაცრიელ ქუჩებში მხნედ და ხალისიანად მოაბიჯებდა, ცივ ჰაერზე კიდევ უფრო იგრძნო ალუბლის ნაყენის ძალა და თითქოს რაღაც სასიამოვნო ბურუსში გაეხვიაო... მაგრამ გზადაგზა ბურუსიც გაეფანტა და ალუბლის ნაყენიც გამოწელდა... ჯერ იყო და შეუხვია თუ არა ბესიკის ქუჩაზე, ძალღი დაინახა, დაღმართზე პირდაპირ თამარისკენ მოძუნძულებდა. არაფრით არ უნდოდა ძალღთან შეხვედრა, მათი უბედურების შემდეგ უპატრონო ცხოველი ლამის ადამიანებზე მეტად ებრალებოდა, მეტისმეტად უმძაფრებდა მიუსაფრობის განცდას, სადაც ერთი უპატრონო ძაღლია, მე რომ არ შემეფეთოს, არ შეიძლებაო, უსიამოვნოდ გაიფიქრა და ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა, მაგრამ ძაღლმაც მაშინვე გადმოჭრა ქუჩა და პირდაპირ თამართან მივიდა. გერმანული ნაგაზი იყო, გამხდარი, გაძვალტყავებული, მილასტული ფერდებით, თან ძალღალი, დიდი და თითქოს ამის გამო კიდევ უფრო საცოდავი და გულსაკლავი, როგორ არა, ამ ძაღლს კარგად იცნობდა თამარი და ეჭვი არ ეპარებოდა, პატრონები დაპატიმრებული ჰყავდა და



მშვიერ-მწყურვალე ეულად დაეხეტებოდა. თამარს ფეხები დაუყვნოსა, გვერდზე გაექლასუნა, ახედა და თვალის გაუშტერა. ქუჩის მბჟუტავ სინათლეში მშვიერი თვალეები მოწითალოდ უკიაფებდა „შე სანყალო, შენა... ჩვენ ყველანი სანყლები ვართ... უპატრონოები...“ ძალეი ადგილიდან არ იძროდა, შესჩერებოდა თამარს მშვიერი თვალეებით და ჰაერს ყნოსავდა. „გამომყე, მე აქვე ვცხოვრობ, ცოტას ჩამოგიჭრი ვიჩინას“. დაყვავებით ეუბნებოდა თამარი და ადევნებულ ძალეს მიუძლოდა სახლისკენ. ჭიშკართან რომ მივიდნენ, აქ მომიცადა და მე ახლავე გამოვალო, უთხრა თამარმა. ძალეი დაყუნცდა ჭიშკრის წინ, თამარმა კი ჩქარი ნაბიჯით ჩაუარა სანაგვე ყუთებს, ჭიშკრის შესასვლელი გაიარა და ეზოში გავიდა. სადღაც ერთგან იყო განათებული, მათ კუთხეში კი ბნელოდა. რკინის ათიოდე საფეხური ჰქონდა ასავლელი და კატასავით ფრთხილად ადგამდა ნაბიჯებს. მათ დერეფანში ფეხებს ეძინა. თამარმა შაშხს მოგროძო ნაჭერი ჩამოჭრა, პურს დაადო, და ფრთხილი, მაგრამ ჩქარი ნაბიჯებით უკან დაბრუნდა. მაგრამ ძალეი ჭიშკართან აღარ დახვდა. მიიხედა-მოიხედა... ქვევით გახედა ქუჩას, ზევით ახედა, ძალეი არ ჩანდა. რატომღაც წარმოიდგინა, რომ ძალეს „რექსი“ ერქმეოდა, დაუძახა: „რექს!“ ნელი ნაბიჯით წამოვიდა ქვევითკენ, თან აქეთ-იქით იყურებოდა და ძალეს ეძახდა ხმადაბლა, გული ეკუმშებოდა, არ დამიჯერა, რომ გამოვუტანდიო, რომ დავაპურებდიო, იმედი არ ჰქონდაო, ადამიანებმა მოუსპეს იმედიო... სულ უფრო და უფრო იშფოთებდა გულს, „რექს, რექს, რექს!“ იძახდა, მაგრამ ძალეი არ ჩანდა. მოპირდაპირე მხარეს გადავიდა და ბუტერბროდი სკვერის პარაპეტზე დადო. გამობრუნდა, ისევე შე-

უდგა აღმართს, ის იყო კოტე შესწის ქუჩაზე უნდა შეეხვია, რომ მანქანის ხმა გაიგონა. ისე არაფერი აფორიკებდა, როგორც ღამით მანქანის ხმა. ნაბიჯს აუჩქარა, მანქანის ხმა კი ახლოვდებოდა. კიდეც უფრო აუჩქარა ნაბიჯს, გული ყელში ებჯინებოდა, მაგრამ მანქანა თითქოს მას მისდევდაო, სწორედ მისკენ შემოუხვია და წამოენია... შუქის ნაკადმა გაანათა ქვაფენილი. მანქანა გაჩერდა. „თქვენენ! თქვენენ!“ დაიძახა ვილაცამ მანქანიდან. თამარი გაჩერდა და მანქანას მოხედა. ფურგონიანი შავი პიკაპი იყო. შუქი უშლიდა და მხოლოდ ფანჯრიდან გადმოყოფილ შოფრის თავს ხედავდა. „ჩაბალის შესახვევი აქ საით არის?“ ეკითხებოდნენ მანქანიდან.

„არ ვიცი, მე დიდი ხანი არ არის, რაც ამ უბანში ვცხოვრობ“.

იცოდა, ქუჩა და შუკა არ იყო ქალაქის შუა ნაწილში, არ სცოდნოდა, მითუმეტეს ჩაბალის შესახვევი, სადაც ერთ დროს შალვას დეიდა ანა ცხოვროდა. შოფერმა მინა ასწია, მანქანა ქშენა-ქშენით შეუდგა აღმართს. ჯერ ძალლთან, მერე ამ მანქანასთან შეხვედრამ თამარს გაუქარწყლა მაროსგან გამოყოლილი განწყობილება: ნამიერი აღმოჩნდა ის სიხალისე. ქვეყანა საპატიმროა და ჩვენ პატიმრები, ნეტავ რამ გამახალისაო, ვინ იცის, სპეცგანყოფილებამ უკვე დარეკა „სადაც ჯერ არს“ და იმ მანქანამ ჩაბალის შესახვევის შემდეგ ჩემსკენაც გამოიაროსო, გამიყარონ აქეთ-იქიდან ხელი და უფრო ვინრო ციხეში ჩამაგდონო. მაროს მთელი გეგმები უნიადაგო პროფექტებად მოეჩვენა. სისულელე იყო და თანაც როგორი უზნეობა, შალვას შრომები ილუპებოდეს და მე კი იდიოტ გიგლას ცრუ თხზულებებს ვუსწორებდეთ?!

და როგორც კი მაროს გეგმებს წყა-

ლი შეუდგა და საეჭვო გახდა, თამარი მაშინვე ისევ მოუსვენრობამ შეიპყრო. სტალინის ბიუსტის დანაყვა, ღამის სიბნელესა და სიჩუმეში (მანქანის შორეული გუგუნით სავსე სიჩუმეში), საზარელ ბოროტმოქმედებად გამჟღავნდა... სადაც სამი კაცია, - თან მის მიერ ჩათრეული ლილი, - იქ შეიძლება ხუთიც იყოს, ხუთჯერ ხუთიც იყოს... კიდევ მეტიც იყოს... უფრო მეტიც, მთელი შეთქმულება, მთელი ორგანიზაცია!

ღამის სირბილით გამოიარა ჭიშკრის შესასვლელი, გამოირბინა ეზო, ჩქარ-ჩქარა აიარა კიბეები და თავიანთ ჯურღმულში შერგო თავი.

ასე ეგონა, საუკუნეა ოთარი არ მინახავსო... მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, ოთარი სადაც იყო, ტირილის გუნებაზე დადგა; ბრაზი მოუვიდა თავის თავზე, რა მტირალად გადავიქცაო... კიდევ უფრო იგრძნო, როგორი დალლილ-დანყვეტილი და გასაგათებული იყო... ოთარს ვინრო, პატარა ტახტზე ლოგინი გაუშალა, თვითონ კი გაუხდელად მიწვა თავის დანჯღრეულ, თოკებით ჩაბმულ სანოლზე... ეს სანოლი ასე დახვდა, ეს ტახტიც, ეს მაგიდაც, პატარა კომოდიც... ამ სანოლში, ბალღინჯოებით გამოძეკილ და თოკებით ჩაბმულ სანოლში, მათ გადმოსვლამდე ცოტა ხნით ადრე მოხუცი კნეინა მანანა გარდაცვლილიყო, ყოფილი სახლის პატრონი, რომელიც ყველაზე ბნელ და პატარა ოთახში შემოესახლებიათ, სახლის ჩამორთმევის შემდეგ. მარტოხელა მოხუცს აღარც არაფერი ებადა და აღარც არავინ ჰყავდა, ეზოს დაესაფლავებინა და ყველაფერი ხელუხლებლად დაეტოვებინათ, ბიბლიოთეკიდან გამოტანილი სულმა ლაგერლიოფის რომანიც კი არავის წაელო, იდო თავისთვის კომოდზე, დასაფგმელი სარკის გვერ-

დით; მხოლოდ მატყლის ევემაგები და ბალიში გაეტანა სარნაზას. თამარმაც არაფერს ახლო ხელი, თავისებს დადგამდა თუ რა?! კედელზე გაკრული რამდენიმე ფოტოც კი სრულიად უცხო და გარდასული ადამიანებისა, მათ შორის ერთ ჩარჩოში ჩასმული ფანქრით ნახატი პორტრეტები მშვენიერი ახალგაზრდა ქალისა და კეთილშობილი მოხუცისა, როგორც სარნაზამ უთხრა, კნეინა მანანასი, არ ჩამოუხსნია, დატოვა, როგორც იყო, ზოგჯერ კიდევაც გაესაუბრებოდა ხოლმე. ასეო და ისეო, თქვენს სანოლზე ვწევარ და თქვენზე ვფიქრობ ხოლმეო... ახლაც სწორედ ამ კნეინა მანანასეულ სანოლზე მიწოლილიყო და მწარე ფიქრებს მისცემოდა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ხელს სტაცებდნენ და მოსალოდნელი იყო სწორედ ამალამ ეტაცათ ხელი... ოთარი კი არ ჩანდა, არ ჩანდა, მთელი დღე არ ენახა ბიჭი და ასე ეგონა, საუკუნეა არ მინახავსო... მაგრამ ყველაზე საშინელება ის იქნებოდა, თუ ველარასოდეს ველარ ნახავდა. მაშინაც წასული იყო, კისისხევეში ქრისტინესთან; მარტის არდადეგებზე და თითქოს გულმა უგრძნოვო, სწორედ მეორე დილით ჩამოვიდა. არც იცოდა, ვინ უფრო უკლავდა გულს, უმამოდ დარჩენილი ოთარი თუ შალვა... ასე ეგონა ოთარი დაპატარავდა, დაპატარავდა, სულ ერთი ბენვა გახდა, უმწეო და მიუსაფარი... მართლაც აი, ახლა, სულ ცოტა ხანში რომ მოაკითხოს იმ მანქანამ და ოთარი ველარ ნახოს, ველარ მოუსწროს... ველარაფერი ვერ უთხრას... ვერცერთი სიტყვა, „ვერცერთი სიტყვა“, ისეთი სასონარკვეთით წარმოთქვა, თითქოს იმ უკანასკნელ სიტყვას, მათი გამოთხოვებისას ნათქვამს... არა, ნათქვამს კი არა, აღმომხდარ სიტყვას უნდა მიეცა დასაბამი მათი შემდგომი, უერთმანეთოდ

დარჩენილი არსებობისათვის. თითქოს იმ უკანასკნელ სიტყვას, განშორება რომ ათქმევინებდა და განშორება აუცილებლად ათქმევინებდა იმ მთავარ სიტყვას, ოთარს უდგამამობას აატანინებდა, მარტოობაში არ ჩაძირავდა, შინაგანად არ გატეხდა; მთლიანობას შეუნარჩუნებდა, რამდენადაც ამ ვითარებაში, რამდენადაც ამ საშინელ ვითარებაში იყო შესაძლებელი მთლიანობის შენარჩუნება და ადამიანად დარჩენა.

თამარს შინაგანი მზერა ჩაცვივებით მიეპყრო ოთარისათვის და არაფერი არაფრად აღარ ეჩვენებოდა, აღარც შიმშილი, აღარც სიცივე, აღარც უსახლქარობა... ყველაფერი ამოა იყო... იმასთან შედარებით, თუ ოთარს ველარ ნახავდა. აქ უნდოდა ყოფნა თამარს, აქ, ამ ჯურღმულში, ამ ქუჩყიანი, ბინძური საერთო საპირფარეოს რეცხვა უნდოდა, თუნდ დღეში სამჯერ, თუნდ დაუსრულებლად, ყველას მაგივრად! აქ უნდოდა ყოფნა, ამ ჩამოფხავებულ, გამჭვარტლულ კედლებში, ნავთქურებითა და პრიმუსით აბრჩოლებულ, გაორთქლილ დერეფანში... აქ უნდოდა ნოლა, გარდაცვლილი კნენია მანანას დანჯღრეულ, თოკებით ჩაბმულ სანოლზე.. ოლონდ ოთართან ერთად, ოთარის გვერდით... ოთართან... ოთართან... ოთართან...

შემაძრწუნებელი სიცხადით ხედავდა სქელტანიანი საქალღდეებით გამოჭედილ შინსახკომის კარადებს და რამდენიმე ასეულ, ათასეულ, მილიონ გვერდზე ნაბეჭდ საქმეებს... უთვალავს... აურაცხელს... მათი საქმეც იქ არის, ალბათ... უკვე იქ არის... გენი ხომ ქაჯებივით არიან... ყოველთა კაცთა მანენი, თვითონ ვერვისგან ვნებულნი... ყოველთა კაცთა... ყოველთა კაცთა... თვალნინ დაუდგა გრძელი, გრძელზე გრძელი... უგრძე-

სი... გაუთავებელი და დაუბოლოვებელი მწკრივი ნიათგამოცლილი, გასაფათებული, შეშინებული და დამფრთხალი ადამიანებისა... მწკრივი ციხეებთან... მწკრივი შინსახკომებთან... მწკრივი მალაზიებთან და უცნაური ის იყო, რომ ამ მწკრივებში ჩამდგარი ხალხის მიმართ, ისევე, როგორც თავისი თავის მიმართ მტრული გრძობა დაეუფლა, თითქოს ყველანი საშინელი დამნაშავენი ყოფილიყვნენ, რომ არ ყვიროდნენ, არ ანგრევდნენ ქვეყანას, არ იქნევდნენ ხელ-ფეხს, ახია, ყველაფერი ახია, ვინა ვართ და რის მაქნისები ვართო! ჭიანჭველები ვართ და ჭიანჭველებივით უნდა გაგვსრიოსონო! გვერესენ კიდეც და ახიაო!

მიდი და თარგმნე ვაჟაო... ეგეც შენ! ეგეც შენო! მტრულად, ბოლშიანად მიმართავდა თავის თავს, თითქოს ადანაშაულებდა: როგორ გაბედე და წარმოიდგინე, რომ სადმე, მთელ ამოდენა ქვეყანაზე, სადმე ერთი კუთხე და კუნჭული მოიძეება, სადაც შეიძლება კაცმა თავი მიჰყუდოს, წეროს და იკითხოსო. და ვაჟაც, პოუზიაც, თარგმანებიც – რასაც მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა და ურომლისოდაც ვერ წარმოედგინა არსებობა – ყველაფერი ეს, ოთართან განშორების მოლოდინში, დასალუპავად განწირული მოეჩვენა... ოთარი კი არა და არ ჩანდა...

ლამის სიჩუმეში, კედლის იქიდან, ზოგჯერ ჟენიკას ხროტიანივით ხვრინვა გაისმოდა ზოლმე...

წიგნები გაახსენდა! წიგნები! დამალული ვითომ გადასარჩენად... ნალო გამოალო... ნაფტალინის სუნი გამოვარდა: შალეასთვის გასაგზავნი ტყაპუჭი... ჩექმები... თბილი საცვლები... მოქსოვილი ჯემპარი... ქუდი... ხელთათმანები... ქვევით კი... მათ ქვევით... ფიცრების ქვევითაც... ტომრებში ამო-

კერილი ელაგა ნიგნები. ჯერ მარტო ამისთვის აგებინებენ პასუხს... იდგა და თვალგამტერებული უყურებდა გამოხსნილ წალოს.

„დედა, დედიკო, ნახე რა მოგიტანე?“ შემოღებულ კარებში ოთარი იდგა, გამონვდილ ხელის გულზე დიდი ფორთოხალი დაედო და დედას უნვდიდა, თან უღიმოდა, თაფლისფერი თვალეები უფუფუნებდა, კეპი უკან გადაენია და ხუჭუჭა თმა შუბლზე ჩამოშლოდა. „ოთარ, ჩემო ბიჭო, ოთარ. მადლობთ, მაგრამ, იცოდე, ეგ შენვე უნდა შეჭამო!“ „კარგი, რაა, დედა, ისეთი ამბით მომქონდა და გახსოვს, მამამ ერთი ჩემოდანი ფორთოხალი, ლიმონი და მანდარინი რომ ჩამოგვიტანა ბათუმიდან და თვითონ არ ჭამდა, მე იქ ბევრი ვჭამე და ეს თქვენიაო“. ოთარი იცინოდა, დიდ, თეთრ კბილებს აჩენდა, „პოდა, ეს შენია, გესმის?“ პალტო გაიხადა, სანოლზე ჩამოჯდა. „გენაცვალოს დედა, კარგი დრო გაატარეთ? ხომ ბევრი იცეკვეთ?“ თამარი გვერდით მიუჯდა ოთარს და ხელი მოხვია, ოთარი აქ იყო, ოთარი აქ იყო, მის გვერდით, მხიარული და კმაყოფილი, ლამაზი და მშვენიერი.

„დედა, გაგიყდები როგორი ანეგდოტი უნდა გიამბო, გურამმა მომიყვა, მე მაშინვე მერიმე გამახსენდა, ანეგდოტები ყველაზე უკეთ გამოხატავს ეპოქის სულსო, პოდა, კრებაა, გესმის? გამოდის თავმჯდომარე და ამბობს. ხალხო, დღის ნესრიგში ერთადერთი საკითხიაო, თქვენი ჩამოხრჩობის საკითხიო, ხვალ, თქვენ ყველა უნდა ჩამოგახრჩოთო. დარბაზში სიჩუმეა, არავინ ხმას არ იღებს, ბუზის გაფრენას გაიგებ. თავმჯდომარეც კი შეცბა ასეთი სიჩუმით: ხალხო, ნუთუ სიკვდილის წინ სათქმელი არაფერი გაქვთო. ისევ სიჩუმე. ბოლოს ერთმა აინია ხელი, წამოდგა და საქმიანად კით-

ხულობს: თოკები ჩვენ წამოვიღოთ თუ თქვენ გექნებათო? რა გადასარეგია, არა, დედაა?!“ იცინის ოთარი. თამარმა შეძრწუნებით ხელი ხელს შემოაკრა: „ოთარ, შენი ჭირიმე, არ დამლუპო, გენაცვალოს დედა, დაივინყე, დაივინყე ეს ანეგდოტი, არ გაიმეორო არავისთან, არაერთარ შემთხვევაში, გესმის, გესმის, შემომფიცე, იცოდე, მერა ჩხიკვაძე, ლილის მეზობელი, არ იცი რომ ანეგდოტისთვის დაიჭირეს, ღმერთო, რა თავქარიანობაა გურამის მხრიდან, ვინ იყვნენ იქ, ვინა, მითხარი“ და თამარი აჩემებულად, აკვიტებულად აფრთხილებდა ოთარს და თან ისე უთრთოდა ხმა, ისე ებჯინებოდა გული ყელში და ველარ ითქვამდა სულს, გვეგონებათ, სადაცაა ისტერიკაში ჩავარდებო. ოთარი შემცბარი შეწყურებდა თავის დედას. თამარი უპირველესი მეგობარი იყო თავისი შვილის, ოთარს არ შეეძლო ყველაზე უფრო სანუკვარი ფიქრები და შთაბეჭდილებები დედისთვის არ გაეზიარებინა... ახლაც, სახლში რომ ბრუნდებოდა, ერთი სული ჰქონდა, ყველაფერი, ყველაფერი ეთქვა დედისთვის დედა კი ცხრაკეცი ფიცით აფიცებდა: ყურები დაიხმე და გაციინებითაც კი არ გაციინო ანეგდოტზეო. „რა იყო, დედა, რა მოგივიდა?!“ დაიძახა ბოლოს გაბზურებულმა ოთარმა. თამარს გული ამოუჯდა და უთხრა რაც დაემართა, მთელი დღის დარდი და ვარამი გაუზიარა. უთხრა, როგორ შემოიარეს მთელი ქალაქი და სტალინის ბიუსტი კი ვერ იშოვეს, უთხრა ბიბლიოთეკის პირდაღებული სიცარიელის შესახებ, უთხრა, რომ კომისიამ უნდა შეამომოს ნიგნები და ინვენტარი და მათ კი მთავარი და უპირველესი ინვენტარი აღარა აქვთ. ერთი სიტყვით, ყველაფერი უთხრა. ოთარი ყურს უგდებდა დედას და თან გაციებულ ხელებს უთ-

ბობდა. მერე კი თვალბში შეხედა და ცულულუტად გაიცინა... უყურებდა და იცინოდა, იცინოდა... „რა იყო, ბიჭო!“ ნარბი შეიკრა თამარმა, „რა გვაქვს სასაცილო, რაა!“ „მე გავაკეთებ სტალინს, დედა! მართლა, მართლა! ისე გავაკეთო, ისე, რომ შენცა და დეიდა მაროც კმაყოფილები დარჩებით! ესეც რამე? ესეც რამე? აი, ნახავ, თუ არ გავაკეთებ, ნახავ!“ და ოთარი ონავრულად აკვესებდა თვალებს. „რას ქვია, გააკეთებ, ბიჭო! მაინც როგორ და რანაირად, ფაფის ჭამა ხომ არ არის!“ შესძახა მკაცრად თამარმა. „მთავარი თიხაა, დედა, თიხა და მონადინება იყოს, თორემ, ვისაც გინდა იმას გამოგიძერწავ, დაგავინწყდა, რა კარგად ეძერწავდი? ჰოდა, მოვალ თქვენთან ბიბლიოთეკაში, მოვიტან თიხას და უკანა ოთახში გამოვიძერწავ. ერთი ეგ არის, ვერ გამოვწვავ, მაგრამ მერე რა, კომისიის მოსვლამდე არაფერი მოუვა, მერე თუ დაიშაშრა და დასკვდა, ახალს გამოვიძერწავ!“ ისეთი ხალისით ამბობდა ოთარი, თითქოს თავისი დღე და მოსწრება ამ მომენტს ელოდა და ახლა აუცხადდა დიდი ხნის სურვილიო, „გეფიცები, დედა, ლამის ხელეები მექალება ერთი კარგად გამოვიძერწო!“ „მერე მიამსგავსებ? მთავარია, ჰგავდეს და ეჭვი არავის ეპარებოდეს, რომ სტალინია!“ დაეჭვებით თქვა თამარმა. „აი, ახლავე ადგები და დაგიხატავ! თუ გინდა, თვალდახუჭული დაგიხატავ, მაშინ ხომ დაიჯერებ?“ „მართალია, ბავშვობაში კი ხატავდი და ძერწავდი, მაგრამ მერე რამდენმა ნყალმა ჩაიარა...“

„თუ სიმართლე გინდა, დედა, ბავშვობაში სწორედ მხატვრობაზე ვოცნებობდი, გახსოვს კისისხევის ეკლესია და სასაფლაო რომ დაეხატე, მამას როგორ მოეწონა, საბავშვო გამოფენაზეც წაიღო, მერე კიდევ კოკააკიდე-

ბული გოგო რომ გამოვიძერწე, გახსოვს, რა კარგად გამომივიდა, ჰოდა, დაწეი ახლა და მშვიდად დაიძინე.“ „გენაცვალოს დედა, ჩემო ბიჭო, თითქოს დავიჯერეო...“ თამარი მოეხეცა ოთარს, თოკებით ჩაბმული საწოლის თავები გადმოიწია და კინაღამ შიგ მოჰყენენ „ახლავე, დედა, ახლავე კარგად ჩავაბამ თოკებს“, ამბობდა ოთარი და თან საწოლის თავებს ასწორებდა, „რა საოცარია, არა, დედა, ადამიანს საწოლი წაართვა, გაუგონარი ამბავია, არა დედაა?!“ შემოგვევლოს დედა, არავისთან არაფერი არ გაიოცო, სინანულიც არავისთან გამოთქვა, თუ გინდა, მშვიდად ვიყო“.

ოთარმა დანჯღრეული საწოლი გაასწორა, სინათლე ჩააქრეს, დაწვენენ.

„ოთარ, ჩემო ბიჭო, თუ უკვე არ იძინებ, ერთი პატარა ლექსი მინდა გითხრა, გუშინ ნაუცბათუვად ვთარგმნე და...“ „გისმენ, დედა.“ მაშინვე გამოეხმაურა დედას ოთარი და თამარმაც წყნარი ხმით დაიწყო: „ქვითინებს, გოდებს ქვეყნიერება, გარდაცვლილიყოს თითქოს ღმერთი უსაყვარლესი, სამარის ლოდად დამხოზია მთელ დედამინას ტყევის ჩრდილები ბნელთუბნელესი. მოდი, ო, მოდი, დავიმართლოთ, ძრწოლით და შიშით შეიძრა სული, ჩასვენებულა ვით კუბოში, ყოველის გულში, სიცოცხლე ჩუმი. შენ! ისევ შენ! ჩვენ კოცნა გვსურს, ალერსი გვწყურის... სურვილმა ლამის შემოლენოს ქვეყნის კარიბჭე, სადაც ჩვენ უნდა ამოგვხდეს სული“. გაათავა თუ არა კითხვა, მაშინვე უნდოდა ეთქვა, რა ვერ გამოუვიდა, უნდოდა მაშინვე განემარტა ოთარისთვის ზოგიერთი ადგილები, მაგრამ ოთარს უკვე დასძინებოდა. თამარს კი არა და არ დაეძინა. თუმცა ოთარის დაპირებამ თითქოს დაამშვიდა, საშინლად იყო დაღლილი და გასაჯათებელი, თანაც

სიკეთესადაა
 ზმნა ზმნა

ოთართან ლაპარაკში დააეჩინა ლი-
 ლის ნვეთების დაღევა, ახლა კი არ უნ-
 დოდა ადგომა, ოთარი არ გავალვიძო-
 ვო, იტრიალა და იტრიალა აქეთ-იქით,
 ძილი ვერა და ვერ მოიკიდა. გათენე-
 ბის პირი იყო, რომ ჩაეძინა. ჩაეძინა და
 საოცარი სიზმარიც ნახა. ხალხი...
 ხალხი... ხალხი... უნივერსიტეტის ეზო
 ხალხით იყო სავსე, ბელადს ელოდე-
 ბოდნენ, სპეცგანყოფილება და მარქ-
 სისტული ესთეტიკის კაბინეტის გამ-
 გე გიორგი ნიბლაძე ბელადთან შესახ-
 ვედრად ხეებს აფორმებდნენ, ტოტებ-
 ზე შაშხის ბარკლებს კიდებდნენ. გიგ-
 ლა ხეებისკენ თავალერით ხალხს
 ეკითხებოდა: ხომ კარგად არის ხეები
 გაფორმებული? და ხალხის აღფრ-
 თოვანებულ შეძახილზე: გასაგებებე-
 ლიაო! თავმომნოდელი იმებოდა, აბა,
 რა გგონიათ, მარქსისტული ესთეტი-
 კის საფუძვლებზე დაყრდნობით ვა-
 ფორმებთო. „მერე ვის უნდა დაური-
 გოთო“, მღელვარედ ასძახა ხალხმა.
 „თქვენს შორის ღირსეულებს, მაგრამ
 თუ ვინ არის ღირსეული, ამას დიდი
 ბელადი გადასწყვეტსო!

შაშხის მძაფრი სუნით იყო იქაუ-
 რობა გაჟღენთილი... სწორედ თამა-
 რის მაღლა, ხის ტოტიდან შებოლილ
 ბარკალს ქონი მოსწვეთავდა და თა-
 მარს ხან მხარზე ეცემოდა, ხან თავ-
 ზე... ასევე ეცემოდათ სხვებსაც...
 ირაკლის, მაგალითად, ერთი დიდი
 ნვეთი ცხვირზედაც დაეცა, მაგრამ
 არავინ არ იმჩნევდა, ვითომ ისე იყ-
 ნენ დიდი ბელადის შეხვედრით აღტ-
 ყინებული, რომ სხვას ვერაფერს ვერ
 ამჩნევდნენ. თამარიც ასევე, ვაიმე ბე-
 რეტიო, ვაიმე პლაშჩიო, ფიქრობდა,
 მაგრამ ისიც სხვებივით გაცისკროვ-
 ნებული და ბედნიერებით ატივტივე-
 ბული შორს, სივრცეს გაპყურებდა,
 საიდანაც ვითომ უნდა გამოჩენილიყო
 დიდი ბელადი.

ერთბაშად საოცარი სიჩუმე ჩამო-
 ვარდა, თითქოს ყველას ენა მუცელში
 ჩაუვარდო, მხოლოდ შაშხების გალო-
 ბა ისმოდა... გალობდნენ, გალობდნენ,
 თავგადაკელით გალობდნენ შაშხები...
 მოდისო! მოდისო! შეხედეთ! ვარაზის
 ხევიდან ამოდისო... გაისმა ხალხში,
 ყველამ ვარაზის ხევისკენ დაიწყო ყუ-
 რება, პავლემ მირიან ლალიძეს ანიშნა
 შეხვედრისთვის მოემზადეო...

ხალხი სულგანაბული იდგა და
 უყურებდა, როგორ ამოდიოდა ვარა-
 ზის ხევიდან ბრინჯაოს უზარმაზარი
 ქანდაკება, ამოდიოდა და თანდათან
 უფრო და უფრო დიდდებოდა, ისმოდა
 ბრინჯაოს სახსრების ჭრიალი და
 ბრინჯაოს ჩექმების გრუხუნნი... ხალ-
 ხი ნელნელა უკან იხედა... ამოვიდა,
 ვარაზის ხევის კიდეზე კოლოსივით
 აღიმართა... ჩაჭანგებული სახე და
 გლუ თვალეები გოროზად მიაპყრო
 ხალხს... დაძაბულ სიჩუმეში მკაფიოდ
 გაისმა გიგლასი და პავლეს შეწყობი-
 ლი ხმა: „ჩიბუხი ჩაქტრობიათ, დიდო
 ბელადო... ნება მოგვეცით მოგიკი-
 დოთ!“ კოლოსმა ოდნავ დაიქნია თავი,
 გიგლა და პავლე მაშინვე გაიჭრნენ
 ნინ, გიგლა მხრებზე შეადგა პავლეს,
 ასანთს გაჰკრა, ხელეები სასოებით აღ-
 მართა და ჩიბუხს მოუკიდა. ხალხი
 თვალს არ ახამხამებდა, აბა, მოეკიდე-
 ბა თუ არაო, და ყველას გასაოცრად
 ბრინჯაოს ქანდაკებამ ღრმა ნაფაზი
 დაჰკრა და ბოლი ბოლქე-ბოლქედა
 ამოლუშვა ოდნავ გახსნილი ბრინჯაოს
 პირიდან, მკერდიც სულ აუღ-ჩაუდი-
 ოდა... ერთი-ორი ნაფაზის შემდეგ,
 თითქოს ლოროტოტოს ჩაჰბერესო, აი,
 ისეთი ხმით დაილაპარაკა: „გაუმარ-
 ჯოს ბედნიერ საბჭოთა ხალხს!“

იგრიალა ტაშმა და ვაშამ... მირიან
 ლალიძე კისრისტეხით გამოიჭრა მო-
 ედანზე. „პოეტი... პოეტი... სიჩუმე,
 ხალხო!“ დაიძახეს აქეთ-იქიდან და სი-

ჩემე რომ ჩამოვარდა, მირიანმა ქანდაკებისკენ ხელი გაიწოდა და გულში ჩამწვდომი ხმით ლექსის თქმა დაიწყო:

„ნება შომეცი, გიმღერო და გადიდო მეცა,

ჩემი ანკარა... ჩემი ნრფელი... განსაცვიფრებლად წმინდა ხმა ჩემი მოუფინოს მინას და ზეცას!..“

და სანამ ცნობილი პოეტი ყველას ატყობინებდა, რომ მინაში ჭარხალიც ბრინჯაოს ბელადის ნებით წითლდებოდა და ცაზე ვარსკვლავებიც ბრინჯაოს ბელადის ნებით ინთებოდნენ, და ატყობინებდა არა მოკლედ და ლაკონურად, არამედ პოეტური ტროპების ვულკანური ამოფრქვევითა და საკუთარი ხმის მრავალფეროვანი მიმოქცევით, აღლევებული და გახარებული ლილი თამარს სულმოუთქმელად ეჩურჩულებოდა და მართლაც შესანიშნავ რამეს ეუბნებოდა: „გეშველა, თამარ, ნამდვილად გეშველა, ვახშმად უნდა დაეპატიჟოთ, ირაკლი უნდა გავიდეს და დაპატიჟოს, ჩვენ რალაც უცებ მოვახლავართოთ ბიბლიოთეკის დარბაზში, და ვახშმად რომ მოვა, პირდაპირ ფანჯრებთან დავეყნოთ... ბოლოს-ბოლოს მისთვის სულერთი არ არის სად იდგება? ხომ კარგად მოვიფიქრე, თამარ?!“

თამარი იცინის, უხარია, სხვამ არაინ დაგვასწროსო, ახლავე უნდა გავარდეს ირაკლი და დაპატიჟოსო... და აგერ ირაკლი უკვე სიმღერით მიემართება ბრინჯაოს ქანდაკებისკენ: „ოო, სტატუა ჯენტლისსიმა... ოოო, სტატუა ჯენტლისსიმა...“ მთელი ხმით აგუგუნდა ირაკლი. „ქართულად! ქართულად დაპატიჟე! მოემეი ამ იტალიურს!“ დაუძახა ლილიმ. „როგორ, კაცო! სიტყვები ხომ უნდა შეუწყო სიმღერას!“ აღშფოთდა ირაკლი. „ბელადს

ყველაფერი ესმის, იტალიურს ვერ გაიგებს?“ ამბობს შალვა და ირაკლი ისევ აგუგუნებს: „ოო, სტატუა ჯენტლისსიმა!“ „გეყოფა, კაცო, ეს ჯენტლისსიმა“ ეძახის ლილი, „ჩამოუთვალე რაზე ეპატიჟები, ხატაპური, მწვადები, მუკუზანი არ დაგაეინყდეს, მუკუზანი უყვარს, თურმე, ჩურჩხელები, ქადები, ჩურჩხელები, ქადები...“ ლილი ველარ ჩერდებოდა, მოშლილი პატიფონით იმეორებდა და იმეორებდა ერთსა და იგივეს... ირაკლი თავის „ჯენტლისსიმას“ მოსძახოდა, ლილი კი ისევ და ისევ თვლიდა კერძებს...

„ვაიმე, ვაიმე, ვაიმე, ნამდვილად დაცინვა ეგონებაო! გულზე იტაცა ხელი თამარმა, მოწყდა ადგილს, გაეარდა წინ, ქანდაკების წინ მუხლებზე დაემხო, ფეხებზე ხელები შემოხვია და შელალადა: „მაპატიეთ, დიდო ბელადო, გვაპატიეთ, რომ დაგნაყეთ, გვაპატიეთ, ნამობრძანდით და დადექით ისევ თქვენს ადგილას, გემუდარებით, გეხვეწებით, უთქვენოთ შეუძლებელია ბიბლიოთეკა-სამკითხველოს არსებობა. ჩვენ ამას ვერ შევეგუებით, ვერა, ვერა, ვერა...“ და სანყალი თამარიც ველარ ჩერდებოდა ირაკლისა და ლილისავით და ალბათ, ვერც გაჩერდებოდა, ქანდაკებას ხელი რომ არ ჩამოეწოდებინა... გასაწავთებული, ძალაგამოცლილი ხელზე დაეჭიდა ქანდაკებას და ნამოდგა. „აპატიო.. აპატიო.. აპატიო...“ ისმოდა აქეთ-იქიდან, „მოგვილოცავს, თამარ!“ თამარმა მადლიერებითა და აღტაცებით სავსე მზერით ახედა ბელადის გლუ თვალებს და ახლა თვითონ აანოდა ხელი. და ყველამ დაინახა: გლუ თვალები ქანდაკებას ნათურებივით როგორ აენტო, მაშინვე მხარზე ჩასჭიდა ხელი თამარს,

მასთან ერთად წამოვიდა... ხალხმა გზა უტია...

მოდიოდნენ თამარი და ბელადის ქანდაკება, თამარი მხარზე გრძნობდა ბრინჯაოს მძიმე ხელს და სიხარულთან ერთად შიში იპყრობდა...

ხალხი სულგანაბული მისჩერებოდა მათ მსვლელობას, უნივერსიტეტის დიდი კარისკენ და ვინ მოთვლის, რამდენი ადამიანი ივსებოდა შურით, თუ ყველაც არა.

კიბებთან რომ მივიდნენ, თამარმა მოიხედა და განწირული ხმით დაიძახა: „შალვა, შალვა, რა ვქნა, შალვა?“

და შალვას ხმაც მკაფიოდ გაისმა: „რასაც ბელადი მოგთხოვს, თამარ!“

და საწყალმა თამარმა მწარედ გაიფიქრა: „ოღონდ დადგეს ჩვენს დარბაზში და სხვას არაფერს უკვე მნიშვნელობა აღარა აქვსო...“

მაგრამ საშინლად ეტკინა მხარი და სწორედ ამ ტკივილმა გამოაღვიძა.

სანოლის თავი ისე იყო გადმოხრილი, ნაპირის ძვიდენ მხარზე ხედებოდა. გაოგნებულმა და ამასთანავე გახარებულმა მიიხედ-მოიხედა. თითქოს, რაღაც ძალიან უნდა გამიხარდესო, გაიფიქრა და ტახტს გახედა. ოთარს ეძინა თავის ტახტზე და ნუხანდელი ნაქვიფერი ჯერ არც გაიღვიძებდა. თამარს კი ეჩქარებოდა, ძალიან ეჩქარებოდა, უნდოდა ჩქარა, ჩქარა წასულიყო უნივერსიტეტში, თითქოს რაღაცას ელოდა, რაღაც სასიხარულოს.

ოთარს წერილი დაუტოვა მაგიდაზე: „ისაუზმე კარგად, გენაცვალე, შაშხი მიატანე ჩაის და როცა მოიცლი, მაშინვე წამოდი უნივერსიტეტში, ისეთი სიზმარი ვნახე, გენაცვალოს დედა, გული მითქვამს, რაღაც კარგი უნდა მოხდეს...“

ფათხაფუთხით ჩაიცვა, ორიოდელუკმა გაღეჭა და ლამის კისრისტახით გაიქცა... უნივერსიტეტში რომ მივიდა, სულმოუთქმელად აირბინა კიბეები, გაალო თავიანთი დარბაზის კარი და... საოცრება... ბელადის ქანდაკება, სალსალამათი... შეუბღალავი... გამთლიანებული... ისევ ისევ, ძველებურად იდგა თავის ადგილას.

თამარმა სასოებით მიიჭდო ხელეები გულზე, ფრთხილი ნაბიჯით წავიდა ფანჯრებისკენ, მიუახლოვდა ქანდაკებას და გეგონებთ თვალებს არ უჯერებსო, ისე შესცქეროდა. „ღმერთო ჩემო, რა ბედნიერებაა“, აღმოხდა თამარს, „ახლა ხომ დაეჯდები მშვიდად და ვიმუშავებ... საღამომდე დავამთავრებ კიდეც ვაჟას მოთბობას...“

და უკვე მხნე ნაბიჯით გადმოჭრა დარბაზი, რიკულებს გადაღმა, კარტოთეიან გრძელ მაგიდასთან დაჯდა, თავის ჩვეულ ადგილას, ვაჟას საყვანვილო მოთბობები აიღო, სიამოვნებით, ლამის ნეტარებით გადაუსვამდა ხელი და დანიშნულ ადგილას გადაშალა.

ეფსარ კვიტიუვილი

ასფურსლიანი რვეულიდან

ამოქახილი

სანადელს ვერ ვენიე,
ვწევარ ძილგატეხილი,
მელანდება ყოველღამე
ჩემი სოფლის ხე-ხილი.

დამხვევია ზმანებები,
ნუ მკითხავთ, რას ნანობო,
მენატრება ჩემი ეზოს
მსხალი, საივანობო —

ფერად მწვანე, წვნიანი და
მრგვალი, გრძელყუნწიანი...
ლობის ძირში, ალბათ, ახლაც
თავებს ხრიან იანი.

გამოკეტილ ოდა-სახლებს
ვერ ვარგე ვერც მისხალი;
გვიმის თავზე შემოდგმული,
მენატრება ჭის წყალი.

ვივაგლახე, ველარაფრით
გადვიხადე სიკეთე,

მამა-პაპის კერიიდან
ფეხი ამოვიკვეთე.

უნერჩობამ, ბედთან რჩოლამ
ენა-პირი გამიშრო;
კარ-მიდამოს მოფუარო,
მე ვინ მომცა ამის შნო?!

მინით ამოტენილია —
სალამური, ლარჭემი...
მიეატოვე, ვერ ვაკითხავ
საფლავს, მამიდაჩემის...

კვიპაროსი, აწვერილი...
ცრემლი იგრძნეს ლანვებმა...
მწუხარება, აურწყავი,
ისევე შემომანვება.

რა ვიქნები უიმათოდ,
ერთზე კი ვეფეთები —
ლამის ცაზე მიხატული,
მკლავს გურიის ქედები.

დაუსრულებელი

უამრავს ერგო ხვედრი აგეთი,
ყოველი გაუუქმდა;
უმთავრესია, რასაც აკეთებ,
ღმერთს მოეწონოს, უკვდავს.

უტოლდებოდეს სასწაულს, უფალს,
არეინ შობილა ჯერეთ;

რა დააკებთ ლექსის ამომთქმელთ,
მხატვართ და მოსიმილერეთ.

ტყვიამ დამცხრილოს ცხელმა,
ოლონდაც
ჯინი არ დაცხრეს დიდი,
ბოლო არ ექნეს — სიტყვასთან,
ქვასთან,
უნყალო ნლებთან ჭიდილს.

გაჟიანურების დიდოსტატი

(„მინა თავისას ითხოვს“)

შენ კი იცდი, მაგრამ
დრო არ იცდის თვითონ;
ნლებმა გული, ღვიძლი
უნდა დაგიფლითონ.

დრო გუბდება, ქელავს
შენდა ჩასაქოლად;
შენ კი მნუხარება
დააგროვე მხოლოდ.

გახსოვს ყორნის სკორეთი
ავსებული ხევი...
შენ გადასდე ყველაფერი,
შენ ხელს გადაჰყვევი.

აღმართ-დაღმართებზე
დახვალ მძიმე-მძიმედ,
მაინც ვერ ელევი
გათენების იმედს.

თოვლის საფარველქვეშ

მნამს, კვერცხშივე გალობს ჩიტი,
მერელა ვცნობთ ფერზე, ხმაზე...
ველარ დაუძვევრით ზამთარს,
რამდენს უძლებს სილამაზე.

აკრიალდა დილა სოფლის,
კლდეზე მინდა ტვინის მისხმა;
შაერს აპობს სხვის ბუდეში
გამოჩეკილ გუგულის ხმა.

მტრადის ფრთები ცაში

აპრილის მზეზე დავდივარ,
კუთხეში მისაკუნჭი,
მტრედმა არც იცის, შენობას
მისი ევლება ფუნჯი.

მიქროლავს, მასაც ჩემსავით
ერევა სიზმარ-ცხადი;
განივად გასდევს კედელი,
მისგანვე მონახატი.

ქორაპის ნაპარდი დიდ სიმაღლეზე

ცაზე გადაჭიმული
მთების მწვანე ქორდა.
როგორ მიყვარს, ზაფხულობით,
მე ბოინი ქორთა.

წყვილად დასრიალებენ,
ტანით გრძნობენ მანძილს;
ლოლიაეში, ლივლიეში
არ ელევათ ქანცი.

დაქრიალებს ფრთებში ოქროდ
გალანდული სხივი...

ვისმენ ქარის მოტანილ
საალერსო ყვირლს.

მინყდა როკვა, რეკვა ზართა,
მონყენილი ვარ და...
ალარც მახსოვს სიყმანვილე,
ისე გამიქარდა.

გამახარებს, გამართობს —
ფრთონა ქორთა, ორთა,
კოჯრის, წყნეთის გადაღმა
მზე თუ არ ჩაგორდა.

გაზაფხულმა ჩაიქროლა

ნაბლის ყვავილი, ფერლალი,
მწვანედ გადიქცა ბუძგად,
მოლიაეებულ კარებში
ზაფხული აიძუძგა.

მთა გადიარა ხიზანმა,
მინდორი გადახაზა;
ტერფები უხურს, დიდი დღე
არ უნერია მასაც.

მდინარესთან გაბონილი

ვინ წაშლიდა, მიწაშია
 ყოვლის ძირი, ბუდე...
 განოლილა, წელავს თავ-წელს
 მატლი, მოფუთფუთე.

რა ჯობია — მეფის სკიპტრა
 თუ მათხოვრის ფუთა,
 უშნოდ ვიშეორებ, რაც რო
 წყალმა იბუტბუტა.

მოსახვევითა

მიფანტ-მოფანტულია
 შემოდგომის ქარვა,
 კუდი მოაქნევიან
 ჩემს კვიპაროსს ქარმა.

შორსაც არ ილანდება
 გაზაფხული მწვანე...
 დღენი, წლებიც — ბზესავით,
 პირქარს გავატანე.

ნატამალიც არ შემრჩა —
 სიმხნის, სიჩაუქის;
 თავბრუს მახვევს ხევილი
 და ფოთლების ბუქი.

დაღამდება, ხრიალებს
 ლამის შავი ხერეღი,
 დავილახვრე,
 ვინ იქნება
 ჩემი თავმომყრელი.

წუხილი დაკარგულზე

მდულარე ზაფხულს მიეტირი
 ახლაც...
 ფიჭვს, გვერდწამოცლილს,
 ცრემლები მოსდის...
 ის მოუღლეელი აგვისტო მახლავს,
 ის ამაღლება მეხლება ხოსტის.

ამოგისროლა შრიალა ქაფმა,
 გადატყეცოდა მკერდს სარაფანი...
 ვარსკვლავებიან თვალების ნაბეა,
 სხმარტალა ტანი, ზღვაში ნაბანი.

ვიცოდე, გმაღავს რომელი მღვიმე,
 თავ-ყელი შენი უწყალოდ შორავს,
 თუ გამოჩენის გამიჩენ იმედს,
 კიდეც დაგიცდი წელიწადს ორასს.

რა ეცოდე, რატომ გინდა, სოფელო,
 მეც უგრძნობელი გამხადო კუნძი?!
 როგორ დავწყევლო, არც რა ყოფილა
 დროზე მზაკვარი და დროზე ძუნძი.

დედოფალი

სერზე იდგა, ვერ შევიცან,
რისას წნაედა ნიშანს;
იმ ნელინადს გაზაფხულმა
თავი გაიგვიფა.

ვთქვი, ნეტარმა, რა იქნება,
ღრუბლის დამსვას მწყემსად!
გვირილებით, ზიზილებით
ველი შემოკეცსა.

ვერ ვითვლიდი სოსნის ტბებს და
ტბორებს ყაყაჩოთა,
მზის თიმთიმა ათინათი
ბროლის ქაელზე თრთოდა.

დანულს, მწვანენინკლებიანს,
შეხაროდი ტირიფს,
ფურისულამ გადუარა
ჭალებს, ლელისპირებს.

ვერ ვიაზრე, რა ცა იყო
ან რომელი მხარე,
დამაბრმაეა და თვალებზე
ხელი ავიფარე.

ყვავილებით დაქარგული
უელავდა ნელი,
გონს მირეედა, ახლაც მიკვირს,
როგორ გაუძეელი...

სხვა კაცი

ალექსანდრე გვახარიას ხსოვნას

მისი ბიჭობის მახსოვს წინა დრო,
გადაგვეყვა ყველას, გადაგველია;
დღე არ გაივლის, არ მოვინატრო,
არყოფნა მისი დამდაგველია.

წვერმოშვებული, თავჩაქინდრული,
მალავდა სახეს, დარდით შენალარს;

უქონელი და ასე მდიდრული,
მასაეით წმინდა, ცოტა მენახა.
ეკრძალებოდა სინათლეს მზისას,
გულს მითბობს მადლი მისთა
ნათქვამთა,

ღამეში ჩარჩა, იცხოვრა ისე,
თითქოს მინაზე ფეხს არც ადგამდა.

ავვისტოს მადლი

მოედგენ ლაფვარდს, დაფლეთილს,
ვერ მისწვდეთ აზრი, გონება...
გადიფლურტულეს, ცის ოქრო
გათაფლეს კვირიონებმა.

ასეა, უნდა შეამკოს
ზაფხული კრეფამ და მკამა,

ალვიედა ლელვი, ლენინისფრად,
მონვეთავს ბანგი, კამკამა.

გაყვითლებული ფოთლების
მომელანდება კანკალი,
ატამიც მნიფს და ითლება,
წენგოს შეიხსნის კაკალი...

სტუმრად მარხაანში

ჭიშკართან, ციკანს, პეტელას,
 ყელში გაურჭვეს დანა...
 ლუკმა არ გადამივიდა,
 იმდენად დამენანა.

შევემუდარე მასპინძლებს,
 იმ ლელვის ზეზე ებას,
 მაძღრებს რას გარგებთ მაგისი
 დაკვლა და გატყავება.

ელიმებოდათ, მათ ჩემი
 არ შეისმინეს ზვენნა...

არც გამიხედავს ეზოსკენ,
 სუსტი ხრიალი მეცნო.

თითქოს მე მქონდა კისერზე
 ის დანა დანალირი;
 ვერც მწვადს, ვერც წვნიანს, იმისას,
 ვერ დაეკარე პირი.

შორს წავეყვანე, ვნატრობდი,
 მთვარისბორბლიან ურემს,
 ზღაპრული ლხინი, ის ღამე
 მე გავიუგემურე.

ლტოლვილების სადგომი

ფოსტის წინ სოხუმელები
 და ძველი გაგრელებია,
 ჩვენს მწუხარებას, ჯერხნობით,
 გული არ გაგრილებია.

ურცხეად წაგლეჯილ აფხაზეთს
 მახსენებს ოლენანდრები...
 მომელანდები ათასჯერ,
 ათასჯერ მომენატრები.

სად მოგაგნო

ღამის რეტი დამესხას,
 როგორ მიყვარს ჭვრეტა —
 ფიქრში ჩემგან აგებულ
 ციხე-სიმაგრეთა.

ერთი კოშკი მაგიჟებს —
 წვერით, ცის გამხევეით,

ნეტა რა ეგულება,
 სულ მიიწევს ზევით.

ასე ზღაპრად აზიდულს,
 სახელს შენსას ვარქმევ,
 მეჩვენება, იმ კოშკისას
 მოადგები სარკმელს.

გავეპოვის პეიზაჟი

ფოთლის უბედებათ სიმწვანე —
დაფნას, ფორთოხალს, ლიმონსაც...
კახეთის მატარებლების
მიყვარს, მტკვარგალმა მიმოსვლა.

ალაგ ხეები მოჩანს და
ალაგ ხასხასა მოლია...
ეს მოძრაობა, სიცოცხლე,
უფალო, არ გამოლიო!..

დათუნას პატარაობა

(მამიდაჩემის ეზო)

ცეცხლზე, აბრიალებულზე,
გადასხმული ნავთი...
მახსოვს, წლინახევრისას,
გულში რომ გიკრავდი.

ჩემკენ გამოქანებულს,
შეგზაროდი ისარს,
ჩაგებვიე, ჩაგკოცნე
ძირში ბებერ მსხლისა.

თავზე დაგვეფრთხილებდა
ჩიტი მგალობელი;
„გომის მთაზე“ ფეხადგმული,
იყავ დათვის ბელი.

მერე ისე საყვარლად
არც გიფრატუნია,
ცრემლს ყლაპავდა მამიდა:
„ჩემი დათუნია...“

ნუ ნამართუმთ, დატიეთ,
მყავდეს, მისით გოგავს...“

მოვიხურეთ ქიშკარი,
გავცდით სოფლის ბოგას.

იმ წელიწადს ბრონეულს
სასწაულად ესხა,
კეფა წითლად დახეთქოდა
ნაყოფს, მახსოვს ესლა.

წილოსნების ღობესთან
ბრდღღვიალებდა ტოტი...
თუკი ეს დღე მელოდა,
როგორ მიცინოდი?!

მარხვეს სხვა საუკუნე,
დროჟამს მარხავს დროვე,
იქ, მამიდას ეზოში,
ვაგლახ, არ დაგტოვე.

დავალ, თვალებს მიბინდავს
ხან მიწა და ხან — ცა,
ვინვი, შენი ცოდვისას
ვენირები ხანძარს.



ლია მოლარიშვილი

ბადნიერი ღამე

(საახალწლო ხუმრობა)

პიესა

მოქმედი პირნი:

ხათუნა – ახალგაზრდა ძიძა

პაპუნა – ორი თვის ბიჭი

ზაზა – პაპუნას მამა

მამია – პაპუნას დედა

სიმონი – ბინის ქურდი

მინისტრი

მინისტრის ცოლი

მინისტრის პირადი მცველი

პატარა მენაგვე

ოთახში დგას მორთული ნაძვის ხე. მრგვალ მაგიდაზე სადღესასწაულო სუფრაა გაშლილი, შუაში დევს დიდი ტორტი, აქეთ-იქით შამპანურის ბოთლები აწყვია.

ხათუნა (უმღერის ეტლში ჩაწოლილ ბავშვს) – ნანინა, ნანა, ნანასაო, ეძინება ქალასაო...

ოჰ, სულ მაფინყდება, რომ შენ გოგო კი არა, ბიჭი ხარ. მაპატიე, ძვირფასო, და ბიჭებს ვერ ვიტან. რატომ? (მღერის) დაიძინე, ჩემი ბიჭი, ჩემი ბროლის კიჭი... ნანა, ნანა... რატომ არ ხუჭავ თვალებს? აა, გაინტერესებს, რატომ ვერ ვიტან ბიჭებს? იმიტომ, რომ... (ამოიოხრებს) მატყუარები არიან. არა, შენ არა, რატომ მიყურებ

ასე? დახუჭე თვალები და დაიძინე... ის კი, ის ვაჟბატონი – მატყუარაა. შემპირდა, ცოლად შეგირთავო, მაგრამ რა? თვითონაც კარგად ხედავ – არაფერი. იმას რომ ცოლად მოვეყვანე, ახლა ჩემი ოჯახი შექნებოდა და ახალი წლის ღამეს შენთან კი არა, საკუთარ ქერქვეშ გავატარებდი, ისე, როგორც ნორმალურ ადამიანს შეეფერება.

(ბავშვი ტირის)

ნანა, ნან, ნანინა-მეთქი! ღმერთო, რა მოეუხერხო ამ ბავშვს!.. გშოა? ასე უცებ მოგშივდა? რა ღორმუცელა ხარ... ახლავე, ახლავე, ცოტა მოითმინე, ჯერ შენი ფაფა შევათბოთ (ფუსფუსებს).

რა კარგია, არა? შენი მორთულ-მოკაზმული დედიკო რესტორანში ატარებს დროს, მე კი... ახლავე გაჩუმდი, თორემ მეთერთმეტე საართულიდან გადავხტები. ნუ გეშინია, მაინც არავის მოვაკლდებით თვალში.

რა უბედური ვარ... ვაიმე! ეს რა ვთქვი? ახალი წლის ღამეს არ უნდა იწუნუნო.

(ფაფას აჭმევს ბავშვს).

შენ იცი, პაპუნა, რომ მე დედაშენი კი არა, შენი ძიძა ვარ? საიდან უნდა იცოდე. შენი დედიკო ზედიზედ ორ საათსაც ვერ ჩერდება შინ. მაიკო - სამსახურში, სამსახურიდან - დაბადების დღეზე, მაიკო - დაქალის ჯვრისწერაზე, მაიკო - გამოფენებზე, ალაფურშეტებზე, კინოში, თეატრში... მაიკო მალაზიებში - საყიდლებზე, თუ როგორ ეძახის? (გამოაჯავრებს) შოპინგებზე... ან უბრალოდ, სასეირნოდ... რა თქმა უნდა - მაიკო საქმიანი ქალია, ოცდამეერთე საუკუნის გვირგვინი და მშვენება, შენი ძიძა ხათუნა კი - არარაობა, უმაქნისი არსება. მხოლოდ შენ გჭირდება. მე რომ არ გყავდე, დაიღუპები, შე სანყალო.

ახლა მამაშენი? უი, არ გამახსენო! თუ გინდა, გიყვარდეს - მამა და სრული უფლება გაქვს, მაგრამ, მოდი, გულახდილად ვთქვათ: შენი ზაზა მამიკო ცხვირმოუხოცავი ლანირაკია. კი, კი... ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

(ბოთლს აკვირდება) ყოჩაღ! ახლა კი, ნანა, პაპუნა! ვჭამეთ, ვსვით და დავიძინოთ...

(ფეხაკრებით დადის. გადასწევს აივნის ფარდას და გაკურობებს ღამის ქალაქს.)

ესეც ასე, ხათუნა... ოჰ! (ტურებზე მიიღებს თითს) ბავშვს სძინავს. საქმეც არაფერია. საერთოდ, მომავალშიც არაფერი ჩანს. არაფერი. არც სა-

იმედო, არც უიმედო. ერთი დიდი სიცარიელეა და მორჩა.

ო, რა ახალი წელია, შენი ჭირიმე? არავითარი მოლოცვა, არავითარი სადღეგრძელო.

ყველაფერი სხვას. მე რა დავაშავე, რა? თუმცა, აგერ, სუფრაა გაშლილი. ერთი, ეს ტორტი მაინც გამეხსიჯა.

(ჯდება და ჭამს ტორტის ნაჭერს.)

შამპანური ხომ არ დამელია? ერთი ჭიქა... რაც არის, არის! (ეჯავჯავრება შამპანურის ბოთლს. ვერაფრით ვერ ხსნის. წამოდგება და აქეთ-იქით აწყდება, თან გამწარებით ცდილობს ბოთლის გახსნას. უცებ საცობი გრუხუნით ავარდება ჭერში, შამპანურიც ზევით აასხამს და ხათუნა სითხით გაიწურება. ხმაურზე ბავშვს ეღვიძება და ხმამაღლა ტირილს ასტებს.)

ხათუნა - ესეც ასე!.. ფუჰ, რა მოუხერხებელი ხარ. მეჯავრები, რომ გიყურებ.

(ხელში აყვანილ ბავშვს აქეთ-იქით დაატარებს.)

ნახე, ქუჩები როგორ გაუნათებიათ ფერადი ნათურებით. აი, კუთხეში - ნაძვის ხე, მაგრამ ჩვენი ნაძვის ხე უფრო ღამაზია. ხომ ასეა, არა? აა-აა-ააა, ნანააა. ჩუ, ჩუმადა, ჩუმადა. აი, ასე. შენ ხომ ბიჭი ხარ. ბიჭები კი არ ტირიან. გოგოები - რამდენსაც გინდა. შეიძლება ცრემლადაც დაიღვარონ, როგორც ახლა მე... მაგრამ არა, არ ვიტირებ. (იწმენდს თვალებს) ასეთ ღამეს ტირილი არ შეიძლება, ცრემლი დამებედება და მერე მთელი წელი სულ რაღაცაზე უნდა ვისლუკუნო.

(ფრთხილად მიჰყავს მძინარე ბავშვი და ეტლში აწვეს.)

უჰ, არ მოგკვდი? ოფლმა დამასხა. დამელია მაინც ეს ოხერი შამპანური. ბოთლში ნახევარი დარჩენილა (დაისხამს და სვამს).

ეროვნული
სიმბოლოები

ოპო, კარგი ყოფილა. გემრიელია და თან შუშუნებს კიდეც (ისე და-ისხამს, ერთბაშად გადაპკრავს). არა, მართლა კარგია. ჰა, ჰა, ბარემ ერთსაც დავლევ და ეს იქნება. დავთვრები და დავიძინებ. ღამის ორი საათია. დილა-მდე, მგონი, ბავშვიც არ გაიღვიძებს. მისი მშობლები როდის დაბრუნდებიან, ღმერთმა უწყის.

(პოთლიდან სვამს. სიცილი უტყდება) ვაიმე, რომ გამახსენდება!..

(ტელეფონის ზარი)

ხათუნა – ალო. პო, მაიკო... კი, სძინავს... რაო? არა, ნუ ინერვიულებ, გაერთეთ და დრო გაატარეთ... კი, კი... არა, არა... კარგად... სვალამდე! (დებს ყურმილს)

ოპ, ჰაპუნა, დედაშენისნაირი ცერცეტი გოგო იშვიათობაა, მაგრამ, რომ იცოდე, როგორ მშურს მისი. ან, რა ხმები მესმოდა ყურმილში, რა მუსიკა და აურზაური. შენი დედიკო თან ცეკვავდა, თან მელაპარაკებოდა, მუსიკის ტაქტზე, ნამლერებით... მე რა დავაშავე, არ უნდა ვიცეკვო? (მოიყუდებს შამპანურის ბოთლს და დაცლის) ესეც ასე. ჰი, ჰი, რა კარგია!..

(ტრიალებს, ცეკვავს.)

ბავშვობა გამახსენდა. როგორ მჯეროდა თოვლის ბაბუის არსებობის... მოდიოდა ჩემთან შუალამისას და კართან ტოვებდა საჩუქრებს. ბევრს კი არაფერს – თოვლის ბაბუისაც უჭირდა მაშინ – მაგრამ მაინც... რაც მთავარია, ხომ ვახსოვდი? სადა ხარ, ჩემო შტერო ბავშვობავ? თეთრწვერა თოვლის ბაბუა დიდი ხანია ფიფქივით გადნა...

ააჰ, როგორ მეძინება (ამტქნარებს.) იქნება, სიზმრად მაინც მოვხვდე უკეთეს ადგილას, ან სულაც, სხვა პლანეტაზე... ვთქვათ – მთვარეზე... რითია ცუდი?

(მოაქვს ბალიში და თბილი შალი,

მობერებულად ეწყობა დივანზე, ბავშვის ეტლსაც ახლოს მიიწევს, მაგრამ უცებ ხმაური შემოესმება და წამოხტება: აივნის კარის ვალებას ვილაც გარედან ცდილობს.)

ხათუნა – ვაიმე, დედიკო, რაღა ვქნა? ეს ხომ მეთერთმეტე სართულია... კაცია თუ მოჩვენება? ღმერთო, ოღონდ ახლა მიშველე და რაც გინდა, მთხოვე!

(ხელს წამოაელებს ბალიშს, ისე დააგდებს, სადღაც გაეარდება და შემორბის იატაკის საწმენდი ჯოხით. ჩასაფრდება აივნის კართან. კარს ვილაც ალუბს. ქარი ზუზუნით შემოყრის ფიფქებს.)

ხათუნა (გამეტებით ურტყამს უცნობს.) – ესეც შენი ესეც შენი.. მზეცო, ნადირო, ბანდიტო! ვაიმე! ეს რა არის? თოვლის ბაბუა! ოპ, ნამდვილია, არ მეჩვენება, წვერებიც აქვს და საჩუქრების ხურჯინიც... თოვლის ბაბუა მოეკალი! მკვლეელი ვარ. დამიჭირეთ, ნამიყვანეთ, დამადეთ ხელ-ბორკილი, სამუდამოდ გამომამწყვდიეთ სატუსალოში!.. მაგრამ, მოიცათ, მგონი შეინძრა... სუნთქავს, თვალს ახელს! თოვლის ბაბუა, ცოცხალი ხარ? არ მოკვდე, რა? (ანჯღრევს, სახეში ურტყამს. ხელში შერჩება ბამბის თეთრი წვერი.) უი, შეხედეთ, ყალბი ყოფილა!

უცნობი – სადა ვარ?.. ნუ მირტყამთ, თქვენი! არ გავრბივარ, გნებდებით.

ხათუნა – რას ბოდავს? ეი, შემომხედე.

უცნობი – შენ ვინა ხარ?

ხათუნა – ხათუნა. შენ?

უცნობი – სიმონი..

ხათუნა (თავისთვის) – ასეთი ახალგაზრდა სიმპათიური თოვლის ბაბუა არსად მინახავს. მაგრამ მე ხომ მთვრალი ვარ. იქნება, მეჩვენება: შავ-გვრემანი თოვლის ბაბუა, სახელად

სიმონი!.. არა, ნამდვილად სიზმარში ვარ, მთვარეზე.

სიმონი - ოი, როგორ მტკივა თავი... ვაი, დედა! რა ჩამარტყით, ლამაზო ქალბატონო?

ხათუნა - იატაკის სანმენდი ჯოხი.

სიმონი - ესე იგი, ხათუნა... სასიამოვნოა შენი გაცნობა-მეთქი, როგორ ვითხრა ახლა მე?.. (მიიხედ-მოიხედავს). სახლში... მარტო ხარ, ხათუნა?

ხათუნა - ჰო... არა!

სიმონი - ჰო თუ არა?

ხათუნა - ჩემი ქმარი სააბაზანოშია, კბილებს იღესავს.

სიმონი - რაო, რას შვებო?

ხათუნა - იხეხავს... კბილებს იხეხავს.

სიმონი (სწრაფად.) - ძალიან სასიამოვნო იყო შენი გაცნობა, მე წავედი. დიდი მადლობა გულთბილი დახვედრისთვის. კარი... კარი!.. მგონი ორიენტაციის უნარი დავკარგე.

(ხურჯინმოკიდებული დაედებს გასასვლელს.)

ხათუნა - მოიცა! არ ნახვიდე... მოგატყუე: სააბაზანოში არავინ არ არის. აი, ნახე! (კარს გამოაღებს, შეიხედავს.) ქმარი საერთოდ არ მყავს.

სიმონი - ბიჭოს! აბა, ეს ბავშვი შენ არ არის?

ხათუნა - არა, მე ბავშვის ძიძა ვარ... მიდიხარ? ისე ნახვალ, რომ მაგხელა ხურჯინიდან ერთ პატარა საჩუქარსაც არ დამიტოვებ? რა უბედური ვარ, თოვლის ბაბუასაც კი არაფერი ემეტება ჩემთვის.

სიმონი - მორჩი ერთი! თოვლის ბაბუა კი არა, ანგელოზი ვარ! ასე დავფრინავ, სართულიდან სართულზე, აივნიდან აივანზე, ბინიდან ბინაში.

ხათუნა - ფრთები რომ არა გაქვს!

სიმონი - დიახ, უფრო ანგელოზი ვარ. აი, ახლა, ავერ შენს მეზობლად გახლდით სტუმრად...

ხათუნა - უი, იქ ხომ მიხისტრი ცხოვრობს!

სიმონი - უფროთ კი ვარ, მაგრამ გემოვნება და ალლო ნამდვილად მაქვს.

ხათუნა - იქ ჩიტიც ვერ შეფრინდება!

სიმონი - ჩიტი ვერა, მაგრამ სიმონს დაუშლის ვითომ რამე?

ხათუნა - სიმონი გქვია?

სიმონი - ჩემთვის დაკეტილი კარი არ არსებობს. იცოდე, კარი რაც უფრო მაგრად არის ჩაკეტილი, მით უფრო ადვილად იხსნება. თანაც, არა მარტო ფრენა, არც საკვამურიდან ჩაძრომა გამიჭირდება, მაგრამ ზამთარში ვერდიები, შეიძლება ისე დაიხრუკო, გამჩენმა ველარ გიცნოს. მოკლედ, ბინაში შესაფრენად, ათასნაირი ხერხი არსებობს. აირჩიე, რომელიც გინდა.

ხათუნა - მაგათ სიგნალიზაციაც აქვთ!

სიმონი - მე ადვილი საქმე არ მიყვარს. სიგნალიზაცია ჩემი პროფილია.

ხათუნა - შენ ლამაზი პროფილი გაქვს.

სიმონი - კარგი რა, ნუ გამაწითლეს!

ხათუნა - იცი, რას გეტყვი? ანგელოზი ხარ, თუ ვინცა ხარ, მაინც მშურს შენი. დაფრინავ - სართულიდან სართულზე, ბინიდან - ბინაში! ბავშვობაში სულ მესიზმრებოდა, ჩიტი ვიყავი და დაფრინავდი. ახლა კი (სლუკუნებს), ჩიტი კი არა... ვზივარ ოთხ კედელს შორის და ეს არის და ეს. მარტო ოცნებალა შემრჩა... მშურს შენი.

სიმონი - (დაავადებს ხურჯინს.) - ეს რაღა ჯანდაბაა?! ვერ ვიტან ქალის ცრემლებს (ბამბის წვერით უმშრალებს სახეს.) მოიხედე. შენც კარგი ჩიტი ხარ, ლაბუა, ლამაზი ჩიტი. ზიხარ

შენთვის წყნარად და ბავშვს უმღერი. თან ამისთვის ფულსაც გიხდიან. არავინ მოგდევს დასაჭერად. არ გესიზმრება კომმარი, თუნდაც პოლიციელის ღიმილით გაბადრული სახე, არ იღვიძებ დაფეთებული, ოფლგადამსკდარი. „შენი მშურს, შენი მშურს“ (გამოაჯავრებს.), ნუ შეგშურდება ჩემი. აბა, კარგად დაფიქრდი: ახალი წელია, ხალხი ზეიმობს, ყველა შინ არის, თუ შინ არა – სადმე სხვაგან, კარგ ადგილას, სადაც ბევრი ხალხია, მუსიკა უკრავს, ცეკვავენ... ახლა მე შემომხედე – ჩემთვის არც დღესასწაულია, არც შაბათი და კვირა...

შენ რა ლამაზი თვალები გქონია... ჯანდაბას!.. წავედი, თორემ აქ დამათენდება და ნამდვილად დამიჭერენ... მაგრამ, რა მემართება? ნუ მიყურებ ასეთი თვალებით. სხვაგან მიიხედე...

ერთი, ეს მითხარი: ქმარი, გავიგეთ, რომ არ გყავს, მაგრამ მთლად უპატრონო არ იქნები შენ.

ხათუნა – არა, რატომ, დედა მყავს და ხუთი და.

სიმონი – ხუთი და... კარგია, რომ ხუთი ძმა არა გყავს.

წავედი, ნახვამდის. თუმცა... კინალამ დამავინყდა... (ხურჯინიდან იღებს ძვირფასეულობას.) აი, შენ, საჩუქრებიც. ბრილიანტის ყელსაბამი, კოლიე – ასე ვთქვათ... ძალიან მოგიხდება. (კისერზე კიდეებს ყელსაბამს.) აი, კიდევ, საყურეები.

ეს მარგალიტები კი – დედაშენს და შენს დებს. სხვა აქ ისეთი არაფერია.

სარკეში ჩაიხედე, ნაძვის ხეზე უფრო ბრჭყვიალა და ლამაზი ხარ.

(კარზე აკაკუნებენ. მერე ზარს რეკავენ, გაბმით.)

სიმონი (გავარდება აივანზე. ისევ უკან შემოვარდება.) – პარაშუტი!.. პარაშუტი არა გაქვთ სახლში? დამშალე! თუმცა, აქ სად დაიშალე, გინ-

დაც ბუხად გადაიქცე: ფარდები თხელია, მაგიდაზე სუფრაც არ აფარია, ტახტის ქვეშ თითსაც ვერ შეაკეხებ...

სად მიდიხარ? ბრილიანტები!.. ბრილიანტები მოიხსენი!

(ხათუნა კარს აღებს. შემოდის მინისტრი და მისი ცოლი.

ოთახში შუქი ჩამქრალა. სამაგიეროდ, ანთია ნაძვის ხის ილუმინაცია. ფერადი ნათურები ციმციმებს ნაძვის ხესთან დგას თოვლის ბაბუა.)

მინისტრის ცოლი – გოგონი, მარტო ხართ სახლში? აჰ, ბოდიში, პატარას სძინავს (ქმარს.) ბიძინა ხმადაბლა ილაპარაკე.

გოგონი, ხმაური ხომ არ გაგიგონიათ ამ ღამით? იცით, ახლა შემოვედით სახლში. თითქოს ყველაფერი რიგზეა და უცებ, ვხედავ... რას ვხედავ?

ბიძინა, ამოიღე ხმა! ჩვენი დოგი – მთვრალია! ალკოჰოლის სუნით ყარს. კი არ ყფის, კნავის. ავ, ავ, მიაუ... ხოლო ჩემი ძვირფასეულობის სეიფი ღიაა!.. თქვენ არანაირი ხმაური არ შემოგვსმათ? დაუჯერებელია. ბიძინა რა თქმა უნდა, ამას ასე არ დატოვებს... არა, ბიძინა?

მინისტრი (მთვრალია. ასლოკინებს.) – არ დავტოვებ!.. ქვას ქვაზე...

მინისტრის ცოლი – ხუთ წუთში პოლიცია აქ გაჩნდება... ოჰ! ეს რა არის? რა მშვენიერი სამკაულია!

ხათუნა (შეშინებული ხელს იტაცებს ყელსაბამზე.) – რა ბრძანეთ?

მინისტრის ცოლი – რა გადასარევი სათამაშოა ნაძვის ხისათვის. (მიდის სიმონთან და ათვლიერებს.) ნატურალური ზომის თოვლის ბაბუა! ასეთი არსად მინახავს. ბიძინა, თბილისში ასეთი რამე თუ იშოვებოდა, რატომ ჩვენ არ შევიძინეთ?

მინისტრი – რა ვიცი მე... რატომ არ შევიძინეთ. (ხათუნას.) სნეგუ... სნეგუროჩკებიც არის გაყიდვაში?

ხათუნა - დიახ... ნაირ-ნაირი.
მინისტრი - არც ერთს არ დაეტოვებ... ქვას ქვაზე...

მინისტრის ცოლი - ბოდიში, გოგონა, ძვირფასო... ესე იგი, არაფერი გაგიგიათ, გეძინათ... სიგნალიზაცია მწყობრიდან გამოუყვანიათ ბანდიტებს. ბიძინა, მე მგონი, ეს პოლიტიკურია. კი, ნამდვილად. მათ უნდათ, შენ სულიერად დაგცენ, გაგანადგურონ...
(*ფეხზე ჩამოძინებული მინისტრი იატაკზე მოადენს ზღართანს.*)

მინისტრის ცოლი - ვაიმე, ბიძინა!... დაცვა, დაცვა! სად არის პირადი მცველი? (*გაქცევა და შემოდის პირად მცველთან ერთად, რომელიც ზურგზე წამოიკიდებს მინისტრს.*)

მინისტრის ცოლი - რას აკეთებ ამხელა ვირი, არ გრცხვენია? ტომარაა, ამ დონის კაცი? გეკითხები, ტომარაა?

(*პირადი მცველი ისევ იატაკზე დააგდებს მინისტრს. ახლა მკლავებზე გადაიწვენს და ისე გააყავს.*)

მინისტრის ცოლი (*კარებთან.*) - ბოდიში, ძვირფასო.

ხათუნა - როგორ გეკადრებათ (*კარებს ჩაკეტავს და ზურგით მიეყრდნობა.*) ოჰ! ცივი ოფლი მასხამს, გული მიმდის. საბოლოოდ მომელო ბოლო... ჩემს სიკვდილში ბრალი დასდეთ თოვლის ბაბუას! თოვლის ბაბუა ღამის კომმარადიდან! ავერ ისიც: ნატურალური ზომით.

სიმონი - კარგი რა, ნუ დამცინი... შენ არა, მაგრამ მე წავხდი, ჩემი საქმე გათავებულია. დღეიდან პირობას ვიძლევი, რომ ეს ჩემი ბოლო ძარცვაა. მორჩა! ახალი წელია, ახალ ცხოვრებას ვიწყებ... სხვა პროფილით უნდა ვიმოღვანეო.

ხათუნა - რას ერჩი შენს პროფილს. გადასარევი პროფილი გაქვს, ნახატი მგონია.

სიმონი - მომწონს ეგ იუმორის გრძნობა და საერთოდაც, მომწონხარ. შენი სადღეგრძელო უნდა შევსვა, ძვირფასო გადაივ!

ხათუნა - შამპანურს ხელი არ ახლო! ბრახა-ბრუხი და აფეთქებები ამალამ საკმარისზე მეტი გვექონდა. ისედაც მიკვირს, ბავშვს რომ ასე მშვიდად სძინავს.

სიმონი - დარწმუნებული ხარ, რომ სძინავს? აბა, შეხედე, როგორ მათვალიერებს.

ხათუნა - პაპუნა, შენ გლვიძავს, ბიჭი? დიდი ხანია?

სიმონი - სავარაუდოდ, შენ რომ თავს დამესხი, მაშინ გაელვიდა და შეშინებულმა ხმა ველარ ამოიღო. (*დასწვდება შამპანურს.*)

ხათუნა - არ გირჩევ, ძალიან სარისკო საქმეა (*ყურებზე იფარებს ხელებს.*)

სიმონი (*უხმაუროდ გახსნის სასმელს და ჩამოასხამს.*) - შენი დღეგრძელობისა იყოს, მშვენიერო ძიძავ! ცხოვრებაში პირველად, მგონი შეყვარებული ვარ.

ხათუნა - სიყვარული არ გამაგონო!.. ისიც მუღუნებოდა, მიყვარხარო, მაგრამ როგორც კი დაქორწინება ვუხსენე, აორთქლდა, გაქრა... უღელში თავის გაყოფა არავის ნებავს.

სიმონი - იმ ახალგაზრდასაც გაუმარჯოს. ის რომ არ აორთქლებულიყო, არაფერიც არ მოხდებოდა.

ხათუნა - კი, მაგრამ... მოხდა რამე?

სიმონი - აი, რა... (*კოცნის.*)

ხათუნა (*კარგა ხნის დაგვიანებით.*) - ეს... ასეთი რამ... მე... ერთი სიტყვით... შენ...

სიმონი - ერთი სიტყვით, მე უნდა წავიდე... მშვიდობით, ძვირფასო. ჩვენ კიდევ შევხვდებით.

(*გადის.*)

ქართული
ლიტერატურა

ხათუნა (გაოგნებული დგას.) - ოჰ, რა მშვენიერი სიზმარი იყო... გამოფხიზლება აღარ მინდა. პაპუნა, ისევე ჩაგვიძინა? რა ძილისგუდა ხარ. გაიღვიძე, გეხევენები! რატომ არ ტირი? გაიღვიძე და მომისმინე. იცი, რა უნდა ვითხრა? ასეთი კარგი ახალი წელი არასოდეს მქონია. საოცარი, ჯადოსნური ღამე...

(ბავშვს ხელში აიყვანს და ვალს ცეკვავს.)

თოვლის ბაბუა იყო? იყო. საჩუქრები? თავზესაყრელად. სადღეგრძელოები... და კიდევ, კიდევ იყო რაღაც... არა, შენ ვერ გეტყვი. შენ პატარა, სულელი ბიჭი ხარ, ძილისგუდა ბიჭი... იცი, ძვირფასო, ვგიჟდები სულელ ბიჭებზე. შენც ძალიან მიყვარხარ. შეხედე, გათენდა. გარეთ ქარი ქრის, თოვს, თოვს... მე და შენ კი რა მყუდროდ ვგრძნობთ თავს, არა?

ეჰ, პაპუნა, შე ძილისგუდა!...

(ბავშვს ეტლში აწვენს და ერთხანს ნაზად უმღერის. მერე კი სარკესთან მიდის) ღმერთო, რა სასაცილოა - ძიდა ხათუნა დიდ ციციანათელასა ჰგავს.

(ოცნებით.) და მგონი, მართლაც ღამაზია... ღამაზი.

საინტერესოა, ეს შუქი სიხარულისგანაა თუ ბრილიანტები ბრწყინავს? ციციანათელა ხომ სინამდვილეში ერთი უშნო, ყავისფერი მწერია.

(იხსნის სამკაულებს.)

აი, ხედავ? (სიხარულით.) თქვენ არაფერ შუაში ხართ... მაინც თითქოს რაღაც ნათელს ვასხივებ. თუ... იქნებ მეჩვენება? ეჰ, თუნდაც ასე იყოს...

(ოცნებაში წასული ათვალეიერებს ძვირფასეულობას.)

თქვენ ხომ ფასი არ დაგედებათ... და ამიტომ, ბედნიერი ვარ.

უფრო სწორად, არა თქვენს გამო, მაგრამ მაინც... რა უცნაურია...

(კარი იღება და შეძოდის აბაღვაზი რდა ცოლ-ქმარი.)

ზაზა - იხარე ჭერო, მოკვდი მტერო!

მაია - ჩუმად, გაგიჟდი?

ხათუნა - უკვე დაბრუნდით?

ზაზა - როგორ არის ჩემი ბიჭი?

ხათუნა - ეძინოს, არ გააღვიძო. თუ შეიძლება, ცოტა ხმადაბლა.

ზაზა (გაკვირვებული) - განა მე ხმადაბლა ვლაპარაკობ?

მაია - კი არ ღამაპარაკობ, ღრიალებ.

ზაზა (გაბარებული) - მე ხომ ღომი ვარ, ღომი!

მაია - ნამდვილად ასეა და ამით ვამაყობ... (ხათუნას.) ხათუნა, აი, შენ გოზინაყი. ნარმოიდგინე, ისე მომეწონა, სუფრიდან მოვიპარე. აბა, პირი დააღე... (აჭმევს.) ასე ტკბილად დამიბერდი.

ხათუნა - გმადლობ. მართლაც გემრიელია... როგორ ჩაიარა ღამემ?

მაია - გენიალური იყო. იცი, რა დრო ვატარეთ? შენ? ჩემო სანყალო, ზიხარ მთელი ღამე ბუსავით მოწყენილი, არა?

ზაზა - ვაპროტესტებ! ხათუნა ბუს არ ჰგავს. ხათუნა ჰგავს შაშვს. თუმცა შაშვი შავია, ეს კი თეთრი... ჰო, მოკლედ - თეთრ შაშვს ჰგავს.

ხათუნა - დიდი მადლობა.

მაია - ასეა თუ ისე... (ამთქნარებს.) ოჰ, როგორ მეძინება... ასეა თუ ისე - შენ ახალიწლის ღამე მარტო გაატარე, ბავშვთან. ფაქტია, რომ სიხარულით ვერ იცეკვებდი.

ხათუნა - ჰო; მართალია, მაგრამ რა უჭირს. ვიჯექი და ვოცნებობდი.

მაია - ეგ რა გიჭირავს ხელში?

ხათუნა - არაფერი, არაფერი... რა ვიცი... ისე...

მაია - რა ღამაზი ბრწყვიალებია. ნაძვის ხეს რთავდი?

ხათუნა – ჰო, ჰო...

მაია – ბავშვივით ხარ, სულ რაღაცებს ამბავრებ ნაძვის ხეზე. ჩამოკიდე, ჩამოკიდე... აღარ შეგიშლი ხელს.

ხათუნა – მაგრამ ეს... (დაბნეული დასცქერის ძვირფასეულობას.) ამას ვერ დაეკიდებ, რადგან...

მაია – რა მოხდა, დაგემტვრა?

ხათუნა – დამემტვრა... სწორედ ახლა, როცა...

ზაზა – შენი ჭირიც წაუღია. (ირეკება ზარი).

ხათუნა (შეკრთება) – ოჰ, ვინ უნდა იყოს?

ზაზა (სიცილით) – ეს თუ შეკვლეა, დააგვიანდა, ჩვენ მოვასწარი.

მაია (აღებს კარს.) – ნარმოიდგინეთ, მენაგვე!

ზაზა – მენაგვე? რა დროს მენაგვეა, ახალი წლის დილას.

მაია – ჰო, ასე ამბობს, მენაგვე ვარო, მაგრამ ერთი შეხედეთ... (ალერსიანად.) შემოდი, შემოდი, გენაცვალე!...

(შემოდის პატარა, ხუჭუჭთმიანი ბიჭი, აცვია ანგელოზის სამასკარადო კოსტუმი.)

ზაზა – ვააა! ეს რა ხდება, ანგელოზებს გააქვთ ნაგავი? როდიდან?

მაია – ჩანს, საახალწლო სერვისია. ამ ბოლო დროს, ჩვენშიც ისწავლეს რაღაც-რაღაცები.

ზაზა – ვააა! ფრთებიც რომ გაუქვთებიან?.. (ბიჭს.) შექანიკურია თუ ისე? (ბიჭუნა ფრთებს ამოძრავებს.)

რა მაგარია!.. გავგიჟდები. დედას ვფიცავარ, მეც უნდა ვიყიდო ეგეთი ფრთები.

პატარა მენაგვე (საქმიანად.) – ნაგავი, ნაგავი გამომიტანეთ! მეჩქარება, სხვაგანაც ვარ მისასვლელი.

მაია (სიცილით.) – ღმერთო, რა მოუცლელია! ხათუნა, რას უდგახარ, მოიშორე ეგ დამტვრეული სათამაშო-

ები. ამიტომ მოვიდა სწორედ ეს სიმპათიური ყმანვილი.

ხათუნა – ამიტომ?.. ჰო, ალბათ.. (გამოერკვევა.) ახლავე, ახლავე!

(გადის, ბრუნდება სათლით ხელში და აწედის პატარა მენაგვეს.)

პატარა მენაგვე (რიხით.) – სულ ეს არის?

მაია (იციხის.) – სულ, სულ!.. ვაიმე, რა საყვარელია!

პატარა მენაგვე – აბა, კარგად ბრძანდებოდეთ.

მაია – კარგად, კარგად!

პატარა მენაგვე – მრავალს დაესწარი.

მაია – გაიზარდე დიდი ბიჭი! ღმერთო, რა საყვარელია. (ხათუნას.) ნამდვილ ანგელოზს არ ჰგავს?

ხათუნა – კი, ანგელოზია, ანგელოზი... (ეძახის.) ბიჭუნა, მოიცა, მოიცა! (მაგიდიდან გოზინაყს აიღებს და პატარა მენაგვეს აძლევს) აი, შენ!

პატარა მენაგვე – მადლობთ, დეიდა!

ხათუნა (ჩურჩულით.) – მოიცა!.. მითხარი... არ დამიშალო, შენ ანგელოზმა გამოგაგზავნა? დიდა? უფრომ? მითხარი, მითხარი!

პატარა მენაგვე (ეშმაკურად იციხის.) – ჰმ... აბა, რა! (თვალს ჩაუკრავს.) ოღონდ, ნურავის გაუმხელ, დეიდა, კარგი? (გადის.)

ხათუნა – რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა!.. რა უცნაურია ყველაფერი.

მაია (ყურს მოჰკრავს მის სიტყვებს.) – მართლაც! როგორ იყო? შენ დამტვრეული სათამაშოები გეჭირა ხელში და თითქოს საგანგებოდ, გამოგვეცხადა ის პატარა, ცუდლუტი ანგელოზი.

ხათუნა – ჰო... ანგელოზი... ანგელოზს გავატანე დამტვრეული სათამაშოები.

მაია – ისე მეძინება, ისე... (მიდის)

ზაზასთან, რომელიც დივანზე თელემს.) ზაზა, ნავედეთ, დავიძინოთ (ანჯღრევს.) ზაზა!

ზაზა – მე უკვე მძინავს... მაგრამ, რახან შენ მთხოვ, თავიდან დავიძინებ. (ზღაზღნით დგება და ხელს გადახვევს ცოლს.)

შენც დაიძინე, ხათუნა. ახლა დღე ღამის მაგიერია... აბა, ტკბილი სიზმრები!..

(გადიან მეორე ოთახში.)

ხათუნა – ტკბილი სიზმრები? მაგრამ მე სულაც არ მეძინება. (ბავშვი ამოისლუკუნებს.)

პაპუნა, პაპუნა, მგონი, შენც არ გინდა ძილი! ვიცი, რასაც მოითხოვ – გნებავს, ხელში ავიყვანო და გელაპარაკო. ხომ ასეა?

(აპყავს ბავშვი და არწევს.)

კარგი, მაშინ ზღაპარს გიამბობ... მისმინე.

იყო და არა იყო რა. იყო ერთი პატარა, ყავისფერი, შუმჩნეველი მწერი... და რადგან ასეთი უმნიშვნელო იყო, სახელიც არ ერქვა, სანამ ერთ მშვენიერ დღეს... არა, არა, ეს დღისით

კი არა, შუალამისას მოხდა... პო, სანამ ერთ მშვენიერ ღამეს დიდად უცნაური ჯადოქარი არ გამოცხადა და მოციმციმე ნათელი არ უბოძა... და ეს იყო მის ცხოვრებაში საუკეთესო ღამე!..

მაგრამ შენ ამას ვერ გაიგებ. აბა, შემომხედე, შემომხედე!.. ვერაფერს ამჩნევ შენს ძიძას?

ჩემო პატარა ჩურჩუტო... რა განაბული მისმენ. გინდა გაიგო ზღაპრის დასასრული? პმ, რა უცნაურია და მე თვითონაც მაინტერესებს.

მაგრამ ის კი ვიცი, ყველა ზღაპარს კარგი ბოლო აქვს... და თანაც, მთავარი ხომ უკვე მოხდა, გახსოვს? მწერი ციციანათელად გადაიქცა. ეს იყო მის ცხოვრებაში საუკეთესო ღამე და იგი გულწრფელ მადლობას სწირავდა ღმერთს: „გმადლობთ, ღმერთო, ასეთი შესანიშნავი საჩუქრისთვის!“

რა ღამაზად იღიმები... ჩემს სიტყვებზე გელიმება? (კოცნის.)

ივინე, ივინე, მაგრამ იცოდე, ზოგჯერ ასეც ხდება, თურმე...

დასასრული

ქანა ოთხვანი

წიგნიდან — „გაზაფხული შავ-თეთრ დაფაზე“

დროშა გაგრატოვანთა

განა ჯოჯოხეთია,
განა მოუსაველეთი,
სვანეთია, უბრალოდ —
ჩვენი სახლი, სვანეთი...

— კარიბჭენი მტერთათვის,
რატომ არ დაგმანეთო,
რა ექნათ, რა გიპასუხოთ,
ეს რომ გვეკითხო, სვანეთო?

— მტრობა მოყვასისადმი,
რად არ მოინანეთო,

რად არ მიერთგულეთო,
ეს რომ გვეკითხო, სვანეთო?

— დაცვა თავისუფლების,
რატომ დაახანეთო,
რად მაქციეთ მტრის ლუკმად,
ეს რომ გვეკითხო, სვანეთო?

სთქვი, ჩონგურის სიმებმა,
რა ჰქნან უერთმანეთოდ?
დროშად ბაგრატოვანთა
დარჩი ისევ, სვანეთო!

წერილი

სიტყვები აღარ არსებობენ
იქ, სადაც შენ ხარ,
ქრება,
ფერები და ბგერები
იქ, სადაც შენ ხარ,
მთაწვანება უცებ
დრო და სივრცე

იქ, სადაც შენ ხარ,
შენ —
ცივო სხივო უკანასკნელო —
გულუბრყვილო
გაოგნებავ
განწირულისა...

სამეზის ეკლესიის განხილვა

ჯვარცმასთან ვილაც ქვეთინებდა: „ნულარავის ნულარ მომიკლავთ“... მუნჯი ტირილი დარჩა, როგორც მიუსაფარი, ობოლი ბავშვი ეკლესიის მუქლურჯ კედლებში. ჩემი ტირილიც დადუმდება სიჩუმეში, მკრთალ სინათლეში, მაცხოვრის ფერხით, ძველისძველი ეკლესიის მუქლურჯ კედლებში. ნულარ მომიკლავთ ნულარავის, ნულარავის ნულარ მომიკლავთ...

გოლგოთა

ყველას თავისი გოლგოთა ელის —
თმობა მზისა და მთვარის ოქროთა,
გოლგოთა!

მოვალ და გეტყვი:
— ბრმა სინამდვილე
მე ამ უმწეო მხრებით მომქონდა,
გოლგოთა!

შენ არ იქნები მაშინ წარმტაცი,
ბარაბას მრევლის ურცხვობა
შემშლის,
გოლგოთა!

შეებაც იქნება, მაგრამ ათასი
უსამართლობაც იქნება შენში,
გოლგოთა!

მე მაინც მოვალ, ო, ნუ მოიწყენ! —
ცა გადააქცევს ეკლებს ვარდებად,
გოლგოთა!

ყველა გზა შენსკენ,
არა რომისკენ,
ყველა გზა
შენსკენ მოემართება,
გოლგოთა!..

მოძღვარი

ე. აბელედიანს

შორს, სადღაც, ბინდი...
დრო მიდის... მიდის...
ლურჯ ცისკიდურზე
დუმს მზის ბორჯღალი...
სასაფლაოსთან
ბავშვია შვიდი
და... გასაოცრად
მშვიდი მოძღვარი...

დაისის ფაში...
შუქი იმატებს...
ვერ იტევს ნაში
ძონსა და მარჯანს...

„მზე ჩადის, მაგრამ...
ხედავთ სინათლეს? —
სხეული გაქრა
და სული დარჩა...“

შეგირდთა შორის
როს მდაბლად ვლიდი,
შენც მათს სულს ქმნიდი,
ღმერთო, მონყალევე!..
სასაფლაოსთან
ბავშვია შვიდი
და... გასაოცრად
მშვიდი მოძღვარი...

ლაბირინთი

(განწყობილება „ფარფლების“ და
„პინქ-ფლოიდის“ მუსიკის მოსმენის შემდეგ)

მე ვარსებობდი მახსენდება რომ ვარსებობდი ვარსებობდი
 მე ველარ მცნობდნენ ვერც მე ვცნობდი, აღარც მელოდნენ არც ველოდი,
 მივდიოდი და ვიმსხვერუოდი მერე უეცრად ვბრუნდებოდი
 და უსასრულო ლაბირინთთა უკვდავებაში ვრწმუნდებოდი
 მე ვბრუნდებოდი როცა უკვე აღარც მელოდნენ არც ველოდი
 ნაწილი უსასრულობისა — დაუსრულებლად ვარსებობდი
 სივრცეთა იდუმალებაში — შორ ნათებაში ვარსებობდი
 გალაქტიკების ჩუმს ძახილში სიზმრის სიზმარში ვარსებობდი
 რუხ უდაბნოთა მირაჟებში ოაზისებში ვარსებობდი
 ქვიშის ნამცეცვად ქვად ბალახად ფოთლად ვარსკვლავად ვარსებობდი
 მივდიოდი და ვიმსხვერუოდი ვცოცხლდებოდი და ვბრუნდებოდი
 და უსასრულო სამყაროთა უკვდავებაში ვრწმუნდებოდი
 ახლაც ვბრუნდები —
 კლავ ვერ მცნობენ —
 აღარც მელოდნენ
 არც ველოდი
 მხოლოდ ხსოვნაღა
 ხსოვნაღა ვარ
 რომ
 ვარსებობდი
 ვარსებობდი.

თქვენს გამო

ხანდახან ფიქრით სხვა სივრცისკენ მივემართები,
 უსასრულობას აცისკროვნებს ცრემლი პანია,
 ბედნიერი ვარ მარადიულ სხივთა ნათებით
 და უცისფრესი ვარსკვლავები ჩემი განძია.

უბედური ვარ მაშინ, როცა არაფერს მიყვარს,
 ფრთამოტეხილი ვერ დაფრინავს ჩიტი, ვერც გალობს...
 მდეენის სატანა — სურს გამრიყოს სამყაროს მიღმა,
 მე კი... ყველა და ყველაფერი მიყვარს თქვენს გამო...

საოცნებო სამყაროში

ი.ბ.-ს

სადღაც შორს,
სადღაც შორს,
სადღაც, სულ სხვა სამყაროში,
ცისფრად თოვს,
ცისფრად თოვს,
სიჩუმეა სალამოსი
და იქ სულს,
ეულ სულს,
სულ სხვა შუქი ეფინება,

იქ არც სძულთ,
იქ არც შურთ,
არვინ არვის ერკინება,
მხოლოდ თოვს,
ცისფრად თოვს,
სიმშვიდეა სალამოსი...
სადღაც შორს,
სადღაც შორს,
საოცნებო სამყაროში...

შორს

ი.-ს

მე შორს, მორევის ფსკერზე ვარ,
შენ — ლაფვარდ-ზედაპირზედა,
სანამ აქა ვარ, ვერ მნახავ,
როგორიცა ვარ, ისეთად.

არ ნკრიალებენ ჩანგები
იმ ღვთაებრივსა სიმზედა,

ვით მაშინ, შენი თვალეებით,
როს ცა-ლაფვარდი მიმზერდა.

რადგან მორევის ფსკერზე ვარ
და არა ზედაპირზედა,
ალბათ, ვერაფერ ვერ მნახავს,
როგორიცა ვარ, ისეთად...

ნამით

ამ თეთრ წყვილიაში შემთხვევით
მოვხვდი,
როგორც ფარვანა —
განათებულ ოთახში, ღამით,
და უნებურად მეც შევეფარე
აქ გამეფებულ გულგრილ სითბოს,
უდარდელ ამინდს.

გაოგნებული დუმილით შევხვდი
მოულოდნელად ჩამოვარდნილ
დაძაბულ დუმილს —
აღსაესეს შხამით...

გაებრუნდი უმაღლ —
მონშეა ღმერთი —
განვერიდე სხვის დღესასწაულს,
დაუბრუნდი ჩემს ლატაკ ღამეს...

მე ხომ დაცემა არ შემეძლო არავის
ფერხთით,
თუმცა ფარვანა გაბლდით მხოლოდ

ყალბი სინათლით გაბრწყინებულ
სამყაროში შეჭრილი ნამით...

ლოტოსის მსგავსად

„გაცამტვერება!“ —
უმცაცრეს სუსხით
ეს სიტყვა უცდის
სიტყვებს დანარჩენს:
„ღირსეულს“,
„უღირსს“,
„განცხრომას“,
„ნუხილს“,
„გაზაფხულს“,
„ქუხილს“,
„მახვილს“,
„ყაყარჯენს“...

აქრობს და ყინავს,
მისწვდება რასაც,
ქარიშხლით ხვეტას,
მტვერიც აღარ ჩანს...

ჯიუტად ბრწყინავ,
ლოტოსის მსგავსად,
ამ სუსხში
რ ნ მ ე ნ ა
მაინც გადარჩა...



დამირი ლოკანიძე

ბიჭი, მგლები და ხარები

ამთხრობა

შუალამე კარგა ხნის გადასული იყო. ღრმა თოვლქვეშ გათანგულ მთაბარს კრიჭა შეკროდა და მორჩილად გატრუნულიყო.

ზამთრის სუსხისაგან ნელმონყვეტილი და შეუბრალებლად გათელილი მდინარე ტალღების ჩუმი ტყლაშუნით მიძვრებოდა ყინულმოდებულ, გასიპულ, დათოვლილ უზარმაზარ ლოდებს შორის. ჯაფით დამაშვრალი და გასაცოდავებული, ერთი ვინმე ბეჩაეთაგანივით, მორჩილად ელაქუცებოდა და ქედმოდრეკილი ლოკავდა მისთვის ხელ-ფეხზე ხუნდების დამდებ ყინულის ცივ კედლებს. როგორც თავის მომჭრელ, უკეთურ საქმეზე წასწრებული, სირცხვილნაჭამი, ფეხაკრეფით მიიპარებოდა ხეობის სიღრმისაკენ ისე, თითქოს რცხვენოდა უძღური ყოფისა და ესწრაფოდა, რაც შეიძლება მალე გაცლოდა მისი საქვეყნოდ გამოჭენების შემსწრე გარემოს. უსუსურობით დაბეჩაევებული, უდიდესი გულისტკივილით იგონებდა ჩაულილი ზაფხულის სანატრელ დღეებს, როცა შხაპუნა წვიმებითა და ნიაღვრებით ჯანზე მოსული, არნახული სითამამით, ზერიაყად თავანუელი, აქოჩქოჩებული ტალღების თქარათქურით უშიშრად, მოურიდებლად და

დაუბრკოლებლად მიიკვლევდა გზას ლორთქო ბალახით ამწვანებულ ტალღებში. მაშინ იგი მხოლოდ კალაპოტს როდი ჯერდებოდა ჯანზე მოსული. საითაც სურდა, იქით გადაუხვევდა თავის სამწყსოში და დევგმირულ ძალას მინდობილს, ამღვრეულ-ალიახვებულს, ყველაფერი თან მიჰქონდა. ნეტავი იმ დროსო, ჟამიდან ჟამად სვედიანად ჩაიბუტბუტებდა და ყველას მიმართ კრძალვით თავდახრილი, უდიერად ნაცემი ლეკვივით ხმაჩანყვეტილი განაგრძობდა სვლას.

როგორ არ ჰგავდა მისი ახლანდელი ჩუმი ბუტბუტი იმ ზარიან, მქუხარე ბობოქრობასა და თამამ გადაძახილს გაზაფხულზე თქეშად მოსული წვიმების შემდეგ, ღვარებისგან ფერშეცვლილი და გუნებანატყვევი, უჩვეულოდ ატროვებული მდინარისაგან მთელი ქვეყნის გასაგონად რომ ისმოდა! ამჟამინდელი უძღურებით გამოწვეული მისი ოხვრა-კვნესა ძლიერ აღწევდა იქვე, ორიოდ ნაბიჯის მოშორებით, ფერდობში მდგომ, ზამთრის დაუნდობელი ყინვისაგან ერთიანად გათოშილ და თოვლის სიჭარბისაგან ლამის დამხრჩვალ თხმელებამდე. მათაც და ქალაში მათ ბედში მყოფ, ზამთრის პირისპირ დარჩენილ წნორებს

გული უკედებოდათ მდინარის საცო-
 დაობით, მაგრამ რა ექნათ, როცა უძ-
 ლურები იყვნენ, რამეთი დახმარე-
 ბოდნენ ზაფხულის პაპანაქება სიცხე-
 ში მათ სულის ჩამდგმელსა და უანგა-
 რო დამრწყულებელს!..

ყინვა მთელი ძალით უჭერდა და
 ძალსა და რბილში ატანდა. იგი მთა-
 ბარის მბრძანებლად ქცეულიყო და
 განუხანძრეული უფლებამუფერებუ-
 ლი მორჭმით იყნებდა ყველაფრის
 დამანგრეველ თავის ძალასა და ძლი-
 ერებას.

მთელი ის არემარე უჩვეულო მდუ-
 მარებას მოეცვა. ზამთრისა და ღამის
 უღმობლობით დამფრთხალ და და-
 ჯახნილ ყოველ სულიერს იქაურობა
 მიტოვებინა და სიცოცხლის მათხე-
 ხელი ყოველგვარი ნიშანწყალი ერთი-
 ანად ჩამქრალიყო. მხოლოდ ზოგჯერ,
 ყინვისაგან სინედლე და ჩვეული მოქ-
 ნილობადაკარგულ ხეთა სხეული ზედ
 დარლილ თოვლის უსაშველო სიმძი-
 მს ველარ უძლებდა და ღამეულ სიმ-
 ყდროვეში მყიფედ მოტეხილი ტო-
 ტების კვნესა-ტყაცუნის თოფის გას-
 როლასავით გაისმოდა. ზემოდან ჩა-
 მოცვნილი ვეება გუნდები თოვლში
 დაფუნით ეცემოდა და მერე ყველა-
 ფერი უმალ სანყის მდგომარეობას
 უბრუნდებოდა.

ცასა და მინის შუა ამ მოჩვენებითი
 უსიცოცხლობის შემზარავ სიმარტო-
 ვეში, როგორც მარადიული სიცოცხ-
 ლის დასტური და ყველაფრის რალაც
 ღიღიმედი, თეთრი უდაბნოს და იდუ-
 ძალი ღამის პირისპირ დარჩენილი
 მარტოხელა მარხილი უხმოდ მისრია-
 ლებდა რბილ, ფაფუკ თოვლში.

თავისაბელს (თავისაბელი - თოკი,
 ყინვა გამოქნილი ტყავის ორი-სამი
 ბეტრის სიგრძის და სამი-ოთხი სანტი-
 ბეტრის ღვედი, რომელსაც უღელში
 ბებულ ხარებს რქებზე აბამენ. კაცს

ხელი იმ ღვედზე (თოკზე) უკიდია და
 ისე მიუძღვება ხარებს წინ.) მტკიცედ
 ხელჩაკიდებული გიო მარხილს წინ მი-
 უძღოდა. კვალში ჩამდგარი ნაპატივე-
 ბი ხარები მსუბუქი, მოზომილი, თანა-
 ბარი ნაბიჯებით მორჩილად მიჰყვე-
 ბოდნენ.

იონჯასავით მწვანედ მოხასხასე
 თივით დატვირთულ მარხილზე გაუნ-
 ძრველად იწვა ნინია. თავმუჟკავებე-
 ლი კვნესა რომ არ აღმოხდენოდა,
 პირში ხმელი ბალახის ღერო ჩადო და
 უხმოდ წინწინდა. მოტეხილი ფეხი სა-
 შინლად ანუხებდა, განსაკუთრებით
 მაშინ, როცა მარხილი ოღროზოღრო
 გზაზე თავს სადმე ძლიერ ჩაჰკრავდა
 და გვერდზე უხერხულად გადაქანდე-
 ბოდა. ამ დროს ავადმყოფი შეირყეო-
 და. გატეხილი ძელის პირები ერთმა-
 ნეთს ეხებოდა და ტკივილით გამწარე-
 ბული ნინია იმ წუთას მზად იყო პატა-
 რა ბაეშვივით მთელი ხმით აღრიალე-
 ბულიყო, მაგრამ ვაჟყაცისთვის სა-
 მარცხენო სისუსტის გამოჩენას ერი-
 დებოდა. უფრო კი საკუთარი უძლუ-
 რებით შვილის შემინება და ზედმეტად
 შეწუხება არ უნდოდა. გარდა ამისა,
 იცოდა, შინ მისვლამდე გასაჭირის
 გაძლება იყო მისი სატკივარის ერთა-
 დერთი ნამალი და ისიც მოთმინებით
 იტანდა მოძალებულ ტკივილს.

კოდნარეულას რომ გასცდნენ და
 ხვარგულის ხიდზე მშვიდად გადაიარ-
 რეს, გიომ ხარები შეაჩერა. მარხილს
 გარს შემოუარა. მამასთან მივიდა,
 სასთუმალი საგულდაგულოდ გაუს-
 ნორა, ზედ ნახურული ქურთუკი
 ფრთხილად ამოუკეცა და რაც შეიძ-
 ლება თბილად და განსაკუთრებული
 მზრუნველობით ჰკითხა:

- როგორა ხარ, მამა?
- არა მიშავს, გავუძლებ. - ორჭო-
 ფულად უპასუხა ნინიამ შვილს. მისი
 გულისხმიერებით ნასიამოვნებასა

ერკუნული
ნიკელიძე

ხეში კმაყოფილებით შეხედა და გაღიმება სცადა.

- ძალიან განუხებს? - კითხვა მოუნაცვლა გიომ.

- ისე რა. სახლამდე დიდი გზა აღარ დარჩა, შინ მალე მივალთ და იქ ყოველგვარი გასაჭირი გაიოლდება.

გიოს არ გაძნელება იმის მიხედვით, რომ ეს მის დასამშვიდებლად თქვა მამამ, თორემ ორივემ მშვენივრად იცოდა, სახლამდე ჯერ შორს იყო: საინამ ამხელა თოვლში ტაატიტ მიშავალი ხარები ანწლიანის დახვეულ გზას გაღევდნენ, საკურდლვე ველს გაივლიდნენ და სადმიღელს უღრანს გასცდებოდნენ, კარგა დიდი დრო გავიდოდა. მართალია, იქედან ფაცხეურიც და მათი სახლიც შორს აღარ იყო, სადაც შვება, უქიმი და თბილი ლოგინი ელოდა ფეხმოტეხილს, მაგრამ იქამდე გათენებისას თუ მიაღწევდნენ.

...თავიდან რა მშვენივრად აეწყო ყველაფერი! ზვინი ისე დაუდევს მარხილზე, ერთხელაც არ შეფერხებულან. არადა, ნინიას გუნებაში ეეჭვებოდა, რომ მარტონი საქმეს თავს გარმევედნენ. იმხელა ზვინის მარხილზე დაკერა და სამშვიდობოს ჩამოტანა ბარე სამვაგაკაცაც გაუჭირებოდა. კაცმა რომ თქვას, თოთხმეტ-თხუთმეტი წლის გიოს ჯერ რა ვაგაკაცობა მოეთხოვებოდა. მართალია, თავის ასაკთან შედარებით ტანდაც დიდი იყო და ძალაც გვარიანი მოსდევდა, მაგრამ მაინც...

სახლიდან ნამოსულს, შთალის ქედზე ასვლამდე, ნინიას იმედი ჰქონდა, თვის ნასალეზად, იქნებ, რომელიმე მეზობელი ამოვიდეს და ერთმანეთს ნავეშველებითო, მაგრამ, როცა ლოდინი გადაუწყდა და არავინ გამოჩნდა, მამა-შვილი იძულებული გახდა, ზვინი ჯერ თოვლისაგან გაენთავისუფლებინათ, შემდეგ ნაქეციით და მარხილზე დაეკრათ.

მამა-შვილი უხმოდ მუშაობდა. ნინია უცხოხავეთ აკვირდებოდა გიოს, რადგან ასეთ ძნელ საქმეზე პირველად ჰყავდა ნამოყვანილი. შვილის სიმარჯვემ, ძალამ და მოხერხებულობამ მამა ალტაცებაში მოიყვანა და გააოცა.

„შინ რომ მივალ, მაკინეს ეუამბობ, როგორ გამოცდილი ვაგაკაცით მარჯვედ მეხმარებოდა ბიჭი. ვიცო, გიოს არაფერს აგრძნობინებს, მაგრამ დედას გულში უზომოდ გაუხარდება“.

თავი სამშვიდობოს რომ დაიგულეს და ყოველგვარი სიძნელე გადალახულად ჩათვალეს, ხიფათი კი - აცილებულად, ერთგან ყინულზე მარხილი ანაზდად მოცურდა. ხევეში რომ არ გადაჩეხილიყო, ნინია ქვემოდან მოექცა და მხარით ბოძივით შეუდგა. ერთხანს შეაჩერა კიდეც, მაგრამ მარხილმა ბოლო მძლავრად სწორედ მაშინ მოიქნია, როცა სახიფათო ადგილს გაცდენილი იყვნენ და ყოველგვარი საფრთხე ჩაუღლილი ეგონათ. კავის ქუსლი ნინიას წვივზე სწორედ მაშინ მოხვდა. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ წვივის ძვალი გადაუშხხვრია. ყოველ შემთხვევაში, მამა-შვილმა ასე ივარაუდა, რადგან ნინია ფეხს ვეღარ ადგამდა და თავიდან აუტანელი ტკივილი ანუხებდა. ეს უნებლიე მარცხი რომ არა, ახლა, ალბათ, შინ იქნებოდნენ მისულები.

ამის შემდეგ ყველაფერი გიოს დაანვა მხრებზე და, მიუხედავად ასეთ საქმეში გამოუცდელიობისა, სულაც არ დაბნეულა.

ბიჭი მარხილზე ავიდა. თივა ფინლით მისნი-მოსნია. ჯერ გაასწორა, შემდეგ - ცოტა ამოაღრმავა, რომ ავადმყოფს თავი როგორც სანოლში, ისე მშვიდად ეგრძნო და მარხილის რყევისა და გადაქანება-გადმოქანებისას არ გადმოვარდნილიყო.

ამას რომ მორჩა, მამა რის ვივიავ-

ლახით ააცოცა მარხილზე. დაანვინა, გვერდებზე თივა ჩაუფინა და ზემოდან მისივე ტყაპუჭი ნააფარა.

როცა დარწმუნდა, ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც საჭირო იყო, ძირს ჩამოვიდა, თავისაბელს ხელი ჩაჰკიდა და ხარებს წინ გაუძღვა.

გზაგასაყართან გიომ პირუტყვის ჯერ ხმამაღლა შეუძახა, შემდეგ სახრე გადაუქნია და ფეხს აუჭქარა, რათა სოფელში, რაც შეიძლება მალე ჩაეღწიათ. სწორედ ამ დროს ბიჭს ძაღლის ყეფა და ყმუილი შემოესმა, თუმცა, კარგად ვერ გაეგო, მოეჩვენა თუ ნამდვილად ასე იყო. ძაღლის ყმუილი სოფელში სიკვდილის მაუნყებლად ითვლებოდა და გიოს არ უყვარდა მისი გაგონება. მიაყურადა, ხომ არ ეცდებო. ხმა, თუმცა, შორიდან და დროდადრო, მაგრამ მაინც გარკვევით ისმოდა.

„რომ შეგვაგვიანდა, ალბათ, სახლიდან გამოგვეგებნენ და ძაღლიც თან გამოჰყვით, მაგრამ ეს შემზარავი ყმუილი რაღაა“, – გაიფიქრა მათ მოსაკითხად სოფლიდან ნამოსულებთან მალე შეხვედრით დაიმედებულმა და მამისკენ გაიხედა. უნდოდა, შეეტყო, მანაც გაიგონა თუ არა ყეფა. მაგრამ ნინია უხმოდ და გაუნძრევლად იწვა მარხილზე.

ალბათ, ჩაეძინაო, გუნებაში დაასკვნა ბიჭმა და მისთვის სიმშვიდე რომ არ დაერღვია, არაფერი უკითხავს. მხოლოდ სახრის გადაქნევით ხარები ააჩქარა.

თოვლის სითეთრით აჭრილ ღამეში გიოს ახლა უფრო გარკვევით მოესმა ყეფა. ამ ხმაზე ნინიაც შეინძრა, იდაყვებზე წამოიწია და სმენა დაძაბა.

ყეფა რამდენჯერმე ზედიზედ გამოჰორდა. გიოსთვის საეჭვო არაფერი იყო: ცხადია, ძაღლები ყეფდნენ.

– მამა, გესმის?! – მაინც ჰკითხა

იდაყვებზე დაყრდნობილს და სადღაც მინდერის გადაღმა გაუნძრევლად მაქცერალ მამას.

– კი. – არემარესთვის თვალი არ მოუცილებია, ისე უპასუხა ნინიამ. ბიჭს მოეჩვენა, რომ მამას გულისყური სულ სხვაგან ჰქონდა.

– ძაღლები ყეფენ.. ალბათ, სოფლიდან ძია ბერდია გამოგვეგება და ისინიც თან გამოჰყვენენ.

ნინიამ უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია.

– არა, შვილო, ეს მარტო ძაღლების ყეფა არ არის.

– აბა?!

– სადღაც იმ ტყიან გორებს იქით, – ნინიამ ხელი შორს გაიშვირა, – მგლები ყმუიან და მათ ყმუილს ახლო-მახლო სოფლებიდან, ალბათ, ძაღლები ეხმებიან, მაგრამ ჩვენთვის საშიში არაფერია. – ჩვენთვის საშიში არაფერიაო, ეს გიოს დასამშვიდებლად დაუმატა. იფიქრა, სადღაც მგლების ყმუილია ბიჭი არ შემოიწინოსო. თუმცა, გიოს შიში გულში არ გაუვლია. ნინიამ კი განაგრძო: – იმ მთებს გადაღმა ქიორა და გლოლაა. იმის იქეთ კიდევ სხვა სოფლებია. იქ გლეხებს საქონელი ბლომად ჰყავთ. მთელი კვირა ტყეში ამოდ ნანანწაღევ, დამშეულ და ზამთრის ყინვით გათოშილ ნადირს, განსაკუთრებით მგლის ხროვას, ერთთავად იმ სოფლებისკენ უჭირავს თვალი. ზვერავენ, უთვალთვალევენ ბოსლებიდან კუნტრუშით გამოსულ და რუზე დასარწყვლებლად მიმავალ ნაპატიებ ხბოებს, მოზერებს, დეკეულებს და პირში ნერწყვმომდგარები იმაზე ოცნებობენ, ეგებ, რომელიმე მათგანი ხელში ჩაიგდონ და მშვირი კუჭი გამოიძლონ.

დღისით, შვილო, აბა, მგლებს ვინ რას მიაშავებს. პატრონები გულმოდგინედ დარაჯობენ თავიანთ ნახირს,

სადმე რომ არ გაიზნენ და ნადირის არ-
ჩივი არ გახდეს რომელიმე თავნება პი-
რუტყვი. სოფელში, ინათებს თუ არა,
ხალხი მიდი-მოდის. ესეც აწინებს ნა-
დირს. ძალღებები ხომ დღე და ღამე
ფხიზლობენ. მაგრამ მგლებმა იციან,
ღამე მათი ერთგული მეგობარია. და-
ღამდება თუ არა, სიბნელით დაიშედე-
ბულები, როგორც ახლა, ერთმანეთს
ყმუილით უხმობენ, აქეზებენ, აჩქარ-
დით, მოვგროვდეთ, სოფელში გათე-
ნებადმე ჩავალნიოთ, რომ ხელთ იქნებ
რამე საკბილო ვიგდოთო. – უხსნიდა
ნინია შეილს და საუბარს თვითონაც
გულს აყოლებდა. ლაპარაკში ტკივი-
ლი დროებით ავიწყდებოდა.

„ის ტყიანი მთები, სადაც მგლები
ყმუიან, აქედან შორსაა, მაგრამ მაინც
სიფრთხილე გემართებს. – ცხოვრების
გამოცდილებით დაბრძენებული კა-
ცივით ფიქრობდა ბიჭი. – საზრდოს
საძებრად ბუნაგებიდან სანადიროდ
გამოსული მგლები მარტო იმ მთასა და
იმ ტყეში ხომ არ იქნებიან. ადვილი შე-
საძლებელია, აქვე, ჩვენს მახლობელ
ტყეშიც ასევე იკრიბებოდეს და
მსხვერპლს დარაჯობდეს სულ სხვა
ხროვა. თუკი შეგვნიშნეს, იქნებ გზაც
გადაგვიჭრან. დამშუული მგლის ხრო-
ვა, ზამთრის ასეთ ცივ ღამეში მტერს
გადააწყდა. მე შენ გეტყვი და ამ უკაც-
რიელ, უდაბურ ადგილას მაშეუღლს იხ-
მობ და ხმას ვინმეს მიაწვდენ. ან ასე
შიშველი ხელებით გაუმკლავდები
მგლების ხროვის შემოტევას“. გულში
გავლებულ ამ ვარაუდებზე მამისთვის
სიტყვა არ უთქვამს, არ ეგონოს, რომ
შემეშინდაო. მან, როგორც მთამი გაზ-
რდილმა ყველა ბიჭმა, მშვენიერად
იცოდა ნადირის ჩვევა და ხასიათი.
ზამთარში მგლების ხროვაც ბევრი
უნახავს, საკბილოსათვის სოფელში
შემოხეტებულნი.

ჩანდა, ხარებმა ნადირის ყმუილი

გაიგონეს, სუნი იკრეს და მოუსვენრო-
ბა დაეტყვოთ. ფეხს ისე აუჩქარეს, გი-
ოს შეეშინდა, დამფრთხლებმა, არ გა-
დამთელონო და თვითონაც ნაბიჯს
უმატა.

თოვა კაი ხანია გადაიღო, მაგრამ
ყინვა სულ უფრო მატულობდა. ღრუბ-
ლებიდან სავსე მთვარემ გამოანათა
და ქათქათა თოვლზე უსიცოცხლო
სხივები დააფინა.

გიოს სახე გაეთომა და ხელებზე
გვარიანად ციოდა, მაგრამ ამას არაფ-
რად აგდებდა. უფრო მეტადაც რომ
შესცივებოდა, კრინტს მაშინაც არ
დასძრავდა, სულმოკლეობას არ გამო-
იჩნდა, რადგან მისთვის უცხო არ იყო
ზამთარში ყინვასა და სუსხში ყოფნა.
თანაც, მიაჩნდა, რომ თავმომწონე ბი-
ჭისთვის გასაჭირში შედრკომა და ნუ-
ნუნნი ვერაფერი ვაჭყაცოხა იყო.

ქარს მგლების ყმუილი აღარ მოპ-
ქონდა და ბიჭი ამან რამდენადმე და-
ამშვიდა.

„მამამ რაც თქვა, უთუოდ მართა-
ლი უნდა იყოს“. – თავის დამშვიდება
თითქოს საკმაოდ მტკიცე საბუთით
სცადა, მაგრამ, იმ არე-მარეზე მგლე-
ბის გამოჩენისა და შესაძლო თავდას-
ხმის ეჭვი ბოლომდე მაინც ვერ მოიცი-
ლა. ალბათ, ამის მიზეზიც იყო, ცდი-
ლობდა, ახლა რაც შეიძლება ჩქარა ევ-
ლო და სახიფათო ადგილებს შორს და
მალე გასცლოდა.

საკურდღლე ველზე გასვლის შემ-
დეგ სავალი გამინდერდა, თოვლის
სიღრმემ იკლო და წინსვლა გაიოლდა.
ირგვლივ სრული სინყნარე იყო და გი-
ოს ყოველგვარი საფრთხე ჩაელილი
ეგონა. მაგრამ სწორედ ამ დროს, ბი-
ჭისთვის სრულიად მოულოდნელად,
ტყის პირას, თოვლზე ჯერ რალაც რუ-
ხი საგანი შეინძრა, შემდეგ – თავი და
ყურები გამოიკვეთა, ხოლო სულ მალე
თოვლში ჩაფლულმა მარტოხელა



მგელმა თითქმის მთელი მინდორი ხტუნვა-ხტუნვით გადაირბინა, სოფლისკენ მიმავალი მარხილის შორიახლო გაჩერდა, უკანა ფეხებზე დაყუნტდა და გაიტრუნა.

ერთხანს ასე გაყუნტებული, თვალმოუცილებლად მისჩერებოდა უხმოდ მოსრიალე მარხილს, თანდათან რომ შორდებოდა. მერე დრუნჩი მალლა ასნა და ნაცრისფერი ღრუბლებით დამძიმებულ ზეცას, თითქოს რალაცის გამო ამოუნყვავ საყვედურს ეუბნებო, საზარლად შეჰყმუვლა.

„ჩვენ კი იმედი გვექონდა, აქ არც მგლები გამოჩნდებოდნენ და მათგან არც რამე საფრთხე მოგველოდა. აჰა, თუ არ გამოჩნდნენ. თუ მარტო ეს ერთი მგელია, კიდევ არაფერი, მაგრამ თუ მასთან ერთად მთელი ხროვა აქვე სადმე იმალება, მაშინ... მათ მოსაგერიებლად, მართლაც, დიდი ვაჟკაცობა დაგვეჭირდება. თანაც, ვაჟკაცობას სიფრთხილე და გონიერებაც უნდა მივაშველოთ, თორემ...“ – დაასკვნა ბიჭმა თავისთვის და მამას უხმოდ გახედა.

მგლის შემზარავმა ყმუილმა ნინიას ფეხის ტკივილი ნუთით დააფიწყა. იდაყვებზე წამოიწინა და წინ გადმოიხარა, თითქოს ხმისა არ სჯეროდა და უნდოდა, თვალით ეხილა, რომ წამდვილად მგელი იყო.

გიომ თოფი ინატრა და ძალიანაც ინანა, დილას შინიდან რატომ არ წამოვიღე, ახლა როგორ გამომადგებოდა. იარაღი რომ მქონდეს, მაშინ ეს მგელი ასე ადვილად ვერ გაბედავდა თავზედურად მარხილთან ახლოს მოსვლასო. მაგრამ ისიც მშვენიერად იცოდა, ასჯერაც რომ ენატრა, ნატვრა-სინანული თოფს ვერ გაუჩენდა.

აყმუვლებულ მგელს ჯოხი თოფით მიუშვირა. ნადირს, ეტყობა, არ ესამოვნა და გალიზიანებულმა კბი-

ლები გააკაპუნა, თუმცა, ადგილიდან არ დაძრულა.

– მოეშვი მაგ ოხერ-ტიალის გალიზიანებას. დროს ტყუილად ნუ ვეკარგავთ. – ურჩია შვილს ნინიამ. – ერთი მგელი, ისიც ასე თამამად, ძვირად გამოვა ტყიდან საკბილოს საძებნელად. მით უფრო ამგვარ უტყუხად ადამიანების სიახლოვეს არ გაჩერდება. მაგრამ, რახან არავის ერიდება, ეტყობა, დიდი ხანია, რაც არაფერი უჭამია და ასეთ დროს შიმშილით კუჭალრეწილ მხეცს ზედმეტად ნუ გავალიზიანებთ, შეიძლება, ხიფათს არ დაერიდოს და საქმე გაგვირთულოს. ესეც არ იყოს, ჩვენ რომ მასთან კინკლაობას მოვყვეთ, ისედაც დაგვიანებულეებს, კიდევ უფრო დაგვაგვიანდება შინ მისვლა.

ნინიას არ უნდოდა, შვილი დაეშინებინა მოსალოდნელი საფრთხით. ამიტომ პირდაპირ არ უთხრა, რასაც გულში ფიქრობდა: შეიძლება, ახლომახლო დამშეული მგლების ხროვა იყოს ჩასაფრებული და გამორიცხული არ არის, თავს დაგვესხასო. ბიჭი მიხედა, მამამ ბოლომდე რომ არ თქვა სათქმელი და თვითონ ჰკითხა:

– ვითომ გაგვიბედავენ თავდასხმას?

– შეიძლება, ვერ გაგვიბედონ, მაგრამ მგლების ხროვასთან პირისპირ შეყრას მაინც თავის არიდება და დროულად გაცლა სჯობია, – გულახდილ პასუხს კვლავ მოერიდა ნინია.

გიომ არ შედავებია. გულის გამანვრილებლად აყმუვლებულ მგელს თავი მიანება. ხარებს ხმამაღლა შეეხმიანა, თანაც, ერთი-ორჯერ სახრეც გადაუწინა ასაჩქარებლად და გამოსაფხიზლებლად. მაგრამ ისედაც მოუსვენრად აწრიალებულ პირუტყვს, ზედმეტი ნაქეზება არ სჭირდებოდა. როგორც კი ხარებს მგლის ყმუილი შემოესმათ და ნადირის სუნი იკრეს, მა-

ქვეყნული

საქართველოში

შინვე მოუსვენრობა დაეტყოთ, ხოლო როცა მარტოხელა მგელი ტყიდან გამოვიდა და გზის პირას უტეხად დაყუნტდა, ისე გულდაგულ შეეცადნენ სახიფათო მინდვრიდან რაც შეიძლება მალე თავის დაღწევას, რომ არც კი გრძნობდნენ, კისერზე უღელი თუ ედგათ, მარხილი ებათ და ზედ რამე ტვირთი ედო. წინ აჩქარებით მიმავალ გიოს ფეხდაფეხ მისდევდნენ.

ლამის ნახევარი მინდორი ისე გაიარეს, ირგვლივ არაფერი გაჭაჭანებულა. ღრმა თოვლით შესუდრულ ხეობაში ჩამონოლილ უჩვეულო სიმყუდროვეს მხოლოდ ათასში ერთხელ ოლორწოლოში ჩაეარდნილი მარხილის კავის ქრიალი და ხარების ფეხის ხმა არღვევდა.

ნისლმა მოულოდნელად ერთბაშად აიკეცა მძიმე კალთები. ნაცრისფერი ღრუბლები თანდათან გათხელდა, გაიციცა. ცადაწვდილი მთების ანაზდად განზე განევით ნელში გაშლილ ხეობაში ქობამორღვეული ღრუბლებიდან გამოცურებული ცივი მთვარის ბრწყინვალე შუქმაც იმატა. სიბნელეზე სინათლის მიმძლავრებით კმაყოფილმა გიომ უკან მოიხედა. მარტოხელა მგელი აღარსად ჩანდა. არც მისი სევდიანი ყმუილი ისმოდა საიდანმე.

„უთუოდ, მიხვდა, რომ ვერაფერს დაგვაკლებდა და, ხელმოცარვით სასონარკვეთილი, ალბათ, ისევე ტყეს შეეფარა. სულ ტყუილა ეგონა მამაჩემს, ეგ მგელი მარტო არ არის, სადმე ახლომახლო მგლების ხროვა იქნება დამალული და, შეიძლება თავს დაგვესხანო. ასეთ დროს კაცი რასაც კინდა იმას იფიქრებს, ვერც გაამტყუნებ. აქ, სადმე ტყეში, იქნებ, მართლაც იყოს მგლების ხროვა, მაგრამ, სოფელთან გვარიანად მიახლოვებულებს, არა მგონია, რომ მოხტომა გაგვიბედონ.“

- დაასკვნა გულში გიომ, მაგრამ სიფ-

რთხილისათვის ხარები კიდევ უფრო ააჩქარა. მარტოხელა ნადირის შიში ნამდვილად არ ჰქონდა, მხოლოდ უნდოდა, მამა, რაც შეიძლება მალე მიეყვანა შინ.

წინა უხმოდ და გაუნძრევლად ინვა მარხილზე. თვალები დახუჭული ჰქონდა, მაგრამ არ ეძინა. არც აპირებდა დაძინებას. ან კი რა დააძინებდა, ფეხი ისე ძლიერ ტკიოდა. ისიც იცოდა, რომ ყინვაში ძილი ჯანმრთელი ადამიანისთვისაც საშიში და დამლუპველია. მით უფრო ეს სახიფათოა ავადმყოფისთვის. გიო ჯერ კიდევ არ იყო კარგად გარკვეული ასეთ რამეებში და თვალდახუჭულ მამას რომ ხედავდა, ეგონა, ალბათ, ჩაეძინაო.

„ეტყობა, ტკივილებმა უკლო და, ოდნავ დამშვიდებულს ჩასთვლიმა. იძინოს, ასე უფრო არ შეანუხებს ტკივილი და ამასობაში შინაც ისე მივალთ, ვერც გაიგებს. იქ კი თბილი სახლი და რბილი ლოგინი შევებას მოგვრის. ჩუწნი სახლიდან სოფლის საავადმყოფომდე ორიოდე ნაბიჯია. შინ მივალ თუ არა, ექიმსაც მოვეუყვან და ავადმყოფს სამკურნალოდ რაც ჭირდება, იმან უფრო იცის“.

მამაზე ფიქრსა და შინ მალე მისვლის მოლოდინში გართულს, მგლების შესაძლებელი გამოჩენა სულ გადაავინწყდა. თითქმის მთელი მინდორი ისე გალიეს, მანძილის სიშორე არც უგრძენია. ბოლოს თავი რომ ასწია, დაინახა, სოფლისკენ გადასახვევს მიახლოვებოდნენ.

აქედან მათ სახლამდე დიდი გზა აღარ რჩებოდა. სოფელში აქა-იქ ჯერ ისევე მობდღვრიალე ნათურებს რომ მოკრა თვალი, შინ მალე მისვლის იმედი კიდევ უფრო გაუძლიერდა და დაღლამ გაუარა.

ყოველგვარი საშიშროება ჩავლოლი ეგონა და ფაფუკ თოვლში გულ-

დარხინებული მიაბიჯებდა. გუნება-განწყობილებაც გაუხალისდა და ღიღინის გუნებაზეც მოვიდა. ის იყო ნამოლიღინება დააპირა, რომ სწორედ ამ დროს ერთმანეთში არეული მგლის ყმუილი, ძაღლების გაავეებული ღვეღვე და რომელიღაც ცხოველის ყურისნამღები ბღავილი თუ დასახრჩობად განწირულის ხრიალი მოისმა.

გიომ მამას შეხედა. უნდოდა, ეკითხა, ხომ არ იცი, იქ რა უბედურება ტრიალებსო, მაგრამ წინა გაუნძრევლად ინვა და იფიქრა, ისე ღრმად ძინავს, ალბათ, ტყის პირიდან მოსული ხმები ვერ გაიგონაო.

ბიჭს აუადმყოფის შენუხება არ უნდოდა. მინდორს მეტი გაფაციცებით მიპყრო ყური, რომ უკეთ გაეგო იქ, თხილისა და კუნელის ბურჭებთან, დათოვლილ ბექობს მიღმა რა აურზაური იყო.

ტყის პირიდან წამოსული ხმაური და ნიოკობა არ ნელდებოდა, მაგრამ იმ ადგილიდან, სადაც გიო გაჩერებული მარხილის წინ, უღელს ზურგმიყრდნობილი იდგა, თვალთ ალარაფერი ჩანდა.

ცნობისმოყვარეობა მოძალებულს ერთი წუთით სურვილი გაუჩნდა, ენახა, რა ხდებოდა იქ, საიდანაც ის არეული ხმები მოდიოდა, მაგრამ უმაღლვე გაუქრა ეს სურვილი და თითქოს რაიმე უმსგავსობა ჩაედინოს, საკუთარ თავს ისე უსაყვედურა:

„გიო, სხვათა საქმეში რა ცხვირის ჩაყოფა აგიტყდა. ზამთრის სუსხითა და თოვლით გათანგულ, უსასოო ტყეში ისეთი განსაკუთრებული რა უნდა ხდებოდეს, რომ მისი გულისთვის ფეხმოტეხილი, ტკივილით გულშენუხებული მამა გზაში დააყოვნო და ექიმი დაუგვიანო. რა ხდება? ვითომ ძნელი იყოს ამის მიხედვრა! რა ხდება და, ალბათ, მშვიერი მგლები ტყეში რომელი-

ღაც ცხოველის გაყინულ ლემს ნაანყუნენ. მის დასაანარჩუნებლად ერთმანეთში ვერ მორიგდნენ და ლემისთვის ნაჩხუბებულნი, იხმაურებენ, აბა, რას იზამენ!“

ის იყო, მარხილი უნდა დაედრა და გზას შინისაკენ ჩქარა დასდგომოდა, რომ თივაზე წამომჯდარი მამის ხმა შემოესმა:

– რა მოხდა, გიო, რატომ შეჩერდი?!

– ისეთი არაფერი, ტყიდან რაღაც ხმაური შემომესმა და ერთი წუთით ყური მიუფუგდე. – თითქოს შეჩერებისთვის ბოდიშს უხდისო, აუხსნა მამას და ხარების დასაძვრელად თავისაბელს მოქაჩა.

– მერე, რა ხმაურია, გაარკვიე?! – რატომღაც გიოს მოეჩვენა, რომ მამა ამ ამბით ძალიან დაინტერესდა, თუმცა, თვითონ ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუცია.

– არ ვიცი. აქედან არაფერი ჩანს და ისე რას გაიგებ. მგონია, სადღაც ახლოს ტყეში მგლები ჩხუბობენ ერთმანეთში, ალბათ, რამე ნადავლი ვერ გაიყვეს.

– შო, ალბათ... ნამდვილად ასე იქნება. მგლებს თუ დათვებს ტყეში სხვა რა საქმე აქვთ. ხან იჩხუბებენ და ხანაც იყმუფლებენ. ამის გარკვევას ის სჯობია, ცოტა ავქიარდეთ, ხარებს წინ გაუძეხი, რომ შინ რაც შეიძლება მალე მივიდეთ. – ურჩია შეილს წინაიმ და, ამდენი ლაპარაკით, უფრო მეტად კი ტკივილით შენუხებული, ისევე თივაზე მიწვა და თან ფიქრს მიეცა:

„ჯერ ყმანვილია და ყველაფერი აინტერესებს, რაც მის თვალთა ხედვის და ყურთა სმენის არეში ხდებდა. მაგრამ ის კი არ იცის, სად რამდენი მგელი და ტურა იჩხუბებს, იმის მიზეზის გასაგებად დრო არ უნდა დაკარგოს, მით უფრო ახლა ჩვენ რომ ვართ

ქართული

საზოგადოებრივი

ასეთ ყოფაში. მოჩხუბარ ნადირთან გინდაც რომ მიხვიდე, მათ შორის მშვიდობას დაამყარებ თუ რა. ნადირთა შორის ატეხილი დავისა და ჩხუბის მოგვარება კი არა, ამ ბოლო ხანს ქვეყანა ისე აირ-დაირია და გამძვინვარდა, უბრალო რამის გულისთვის ნაკინკლავებული ახლობელი ადამიანები ქათმებივით ხოცავენ ერთმანეთს. ვინმეს მიმართ აღრენილ კაცს, მისსავე სასიკეთოდ, ათას კარგს რომ ურჩევდე და სიმშვიდისკენ მოუწოდებდე, შენი არაფერი სჯერა. ზოგჯერ პირიქითაც კი ხდება. ის, ვისაც კეთილს ურჩევ, სისხლჩამდგარი თვალებით, ზიზღითა და სიძულვილით შემოგცქერის. თან გაბოროტებულს ხელი იარაღისკენ გაუბრუნებს და სრულიად უმიზეზოდ ბოლმით გასიებული ფიჭრობს: ამ კაცს უთუოდ ცუდი რამ უდევს გულში, ეესერი და მოვიშორებ, თორემ იქნებ თვითონ დამასწროს და ბოლო მომიღოსო.

როცა დღეს ეშმაკისგან გონებაარეული ადამიანები მტერ-მოყვარეს ასე ექცევიან, ტყეში გაჭრილ ნადირს რაღა გონი და ჭკუა მოეკითხება, მაგრამ ჯერ ამდენი რამე საიდან უნდა იცოდეს თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ყმანვილმა."

ამასობაში ერთხანს ღრუბლებში მიმალულმა სასვე მთვარემ ისევ გამოიხედა.

გიოს კრინტი არ დაუძრავს. თვითონაც გულში ჰქონდა და მამის რჩევა ჭკუაში დაუჯდა. ის იყო ადგილიდან უნდა დაძრულიყო, რომ მოულოდნელად ტყიდან კისრისტივით გამოეარდა დამფრთხალი ვირი და დათოვლილ მინდორზე ისე გაიჭრა, თითქოს გადანყვებილი ჰქონდა მარულაში ჩაბმული ფინიშთან უთუოდ პირველი მისულიყო. თუმცა, სულ მალე გამოიჩინა, რომ ტყიდან გამოჭრილ სახედარს

არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა უნდა გადაეტრა, ვიდრე მარულაში ფინიშთან პირველი მისვლა იყო: ვირს უკან ლაშებდაფრენილი მგელი მოსდევდა. მოსალოდნელი საფრთხისაგან სასონარკვეთილებამდე მისული საბრალო სახედარი თავს არ ზოგავდა, რომ კბილებალესილ ნადირს პირში არ ჩავარდნოდა, როგორმე გასხლტომოდა და უშიშარ ადგილას გადახვენილიყო, მაგრამ ძალიან საეჭვო იყო, შესაძლებელი თუ არა ამას. ტრიალ მინდორში წინ წაგდებულ ვირს სადა აქვს იმის ძალა, ბოლომდე გაუძლოს მსხვერპლის ხელში ჩაგდებას მსურველი მშვიერი ნადირის უსასრულო დევნას. მგელი, უმეტეს შემთხვევაში, ადვილად ღლის მისგან გაქცევის მონადინე პირუტყვს, მერე ნამოუნევა და დაჯანს ხოლმე აღბათ, არც ახლა გაუჭირდება თავისი საკბილოს შეპყრობა და დამორჩილება.

ზამთრის უიმედო, მკაცრ ყინვიან ღამეში სასწაულად ნაპოვნი მსუყვე ლუკმის ხელში მალე ჩაგდებას იმედით მისდევდა ნადირი პირუტყვს და თავგამოდებით ცდილობდა, როგორმე კბილი სადმე გაეკრა. მაგრამ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის უზომო სურვილს ჩაბლაუჭებული ცხოველი რაღაც ძალის შენეებით ჯერ მაინც ახერხებდა თავდამსხმელისაგან უვნებლად თავის დაღწევას.

შიშისაგან ნახევრად თვალისჩინნართმეული ვირი მინდორში ჯერ პირდაპირ გარბოდა. მაგრამ მერე, შემთხვევით იყო, თუ გონსმოსულმა მარხილი შეამჩნია, უშალ შემობრუნდა და მისკენ გამოიქცა აშკარა იყო, იმედი მიეცა, თუ მარხილამდე როგორმე მოაღწევდა, უსათუოდ გადარჩებოდა. ეტყობოდა, თავის მხრივ, მგელიც გამანით გრძნობდა, რის ვაივაგლახით ნაპოვნი საკბილო იქით თუ გაუსხლ-

ტეობდა, ლუკმას სამუდამოდ დაჰკარგავდა.

ამასობაში ნადირმა რამდენიმე გრძელი ნახტომი გააკეთა, ოტებულს წინიდან დაუხედა და გასაქცევი გზა მოუჭრა.

ვირი, ალბათ, მიხედა, გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყარდნის, ბევრიც რომ ეცადა, თავდამსხმელს ვერსად გაექცეოდა და ნამით სულის მოსათქმელად, სადაც იდგა, იქ არჩია გაჩერება. მგელს კი თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ბედს შეურიგდა და სიცოცხლის აღსასრულს უდრტივინველად დაელოდა.

რალაცნაირ აზარტში შესული მამა-შვილი თვალმოუცილებლად შესცქეროდა ორთაბრძოლას. სიკვდილის შიშით დამფრთხალი სახედარი და მისი ხელში ჩაგდების მონადინე ნადირი გაფაციცებული ცდილობდნენ მონინალმდეგის ერთი, უბრალო მოძრაობაც კი არ გამოჰპაროდათ.

გოი ვერა და ვერ მიმხედარიყო, ამდენ ხანს რატომ ყოყმანობდა მგელი. - თავდასახმელად უფრო შესაფერის დროს უცდიდა, თუ ვირის შეჭმით მოსალოდნელ სიამოვნებას იხანგრძლივებდა და, რაკი საკბილო უკვე თავისად მიაჩნდა, მის ხელში ჩაგდებით დაიმედებული, არ ჩქარობდა.

ბოლოს, ეტყობა, მგელმა ცთუნებას ველარ გაუძლო და ვირს უკანიდან დაუპირა ნამოპარვა.

ცხოველმა, როგორც ჩანს, ალღოთი იგრძნო მოახლოებული საშიშროება და ზურგზე შესახტომად შემართულ ნადირს ორივე ნიხლი თავ-პირში ტყუპად მიაყარა. მოულოდნელი დარტყმით გამნარებულმა მგელმა ერთი გრძლად დაიყმუვლა და თოვლში ყირამალა გადავარდა. ნიხლისგან გაბრუებული, ერთხანს ასე ეგდო, შემდეგ რის ვაივაგლახით ნამოდგა და,

ცოტა არ იყოს დამფრთხალი და ნირნამხდარი, შორიახლო გაჩერდა.

მთვარით და თოვლის სითეთრით განათებულ მინდორში, მარხილის ხელნაზე მკლავჩამოდებული გოი ერთხანს გაუნძრევლად იდგა. დამშეული მგელი პირს მალიმალ ალებდა. მტკაველის სიგრძეზე გადმოგდებული, ალისფრად მოლაპლაპე ენით ილოკავდა ლაშებს და თვალეები ბნელ ღამეში ბუხარში მოგიზგიზე ნაკვერჩხლებით უელავდა. დაღრენილი ხახიდან მინდორში გაფენილი თოვლივით თეთრად მოელვარე საზარელი კბილები მოუჩანდა.

ბოლოს, როგორც ჩანს, ნადირს მოთმინების ძაფე გაუნყდა და ასე უქმად ყოფნა მოსწყინდა. ალბათ უფრო მიმშილმა შეანუხა და მუცელზე განოლილმა, ცოცვით დააპირა ვირთან მიპარვა.

ვირი უაზრო, გამოშტერებული თვალეებით შესცქეროდა მისკენ ხობვით მომავალ ნადირს და ვერ მიმხედარიყო, რატომ იქცეოდა ასე.

„საცოდავმა ვირმა, როგორც იყო, აქამდე შესძლო წყეული მგლის უხიფათოდ მოგერიება, მაგრამ ახლა ძალიან შეეჭვება, მისკენ ხობვით მომავალი მგლის კბილებს უვნებლად გადაურჩეს. მგლის ამბავი ხომ ვიცო, ერთხანს ასე იხობებს. ამით ცხოველის ყურადღებას მოადუნებს, ცოტას კიდევ მოუახლოედება ეგ გაიძვერა ყაჩაღი და მერე ზედ მის ცხვირწინ, როგორც ერთი ვინმე უცოდველი კრავი, უხმოდ გაიტრუნება.“

ვირს კი იმის ჭკუა ვინ მისცა, მიხედეს, რა ხაფანგს უგებს წყეული მხეცი. ცნობისმოყვარეობა ნასძლევს, დაიხრება, დასუნავს და ნადირსაც შეტი რა უნდა: უმალ ნესტოში ეცემა და მერე მოგჭამა ჭირი! დამშეულ მგელს ნინ რა დაუდგება, ერთ ნუთში გაძაგ-

ქართული

კომპიუტერული

რავს და ხვალ მის პატრონს ამ ადგილზე ვირის გამოხრული თავ-ფეხის მეტი არაფერი დახვდება”.

ეს კი გაიფიქრა, მაგრამ არც ის ეეჭვებოდა, რომ ვირს მისი მარტო ფიქრი ვერ უშველიდა. ბიჭს მოსწყინდა შორიდან სეირის ყურება და მტკიცედ გადაწყვიტა, საქმეში დაუყოვნებლივ ჩარეულიყო.

– მამა! – ვირისა და მგლის ორთაბრძოლის ცქერით გართულ ნინიას მოულოდნელად მოესმა შვილის ხმა.

– რა იყო? – იკითხა ნინიამ.

– ფინალი მომანოდე.

– ფინალი?!

– ჰო.

– რად გინდა ფინალი?! – რაღაც იაზრა ნინიამ და ანრიალდა, ბიჭმა ყმანვილური გამოუცდელიობით ისეთი რამე არ მოიმოქმედოს, რაც საფრთხეში ჩააგდებსო.

– რად მინდა მამა და, რამე თუ არ ვილონეთ ამ უტყვინო ვირის გადასარჩენად, საეჭვოა, ეგ ვინმეს დაუხმარებლად მშიერი ნადირის კლანჭებს გადაურჩეს.

ნინია ერთხანს შვილს უხმოდ მისჩერებოდა და არ იცოდა, რა პასუხი გაეცა მისთვის. გულში ყველაფერში ეთანხმებოდა, მაგრამ გონება სულ სხვას ურჩევდა.

– ჰო, შვილო, უნდა ვილონოთ რამე, მაგრამა აბა, როგორ, როცა მე ამ დღეში ვარ?! – კბილებში წყენით გამოსცრა ნინიამ. მას საკუთარ თავზეც ბრაზი მოსდიოდა, რომ ამ დღეში იყო, ვირზეც, რომელიც ასე უდროოდ გამოტყვერა და წყულ მგელზეც, რომელსაც ამ უტყვინო სახედრის შეჭმა გადაეწყვიტა და თუ ვინმე ხელს არ შეუშლიდა, არ დაიშლიდა.

– შენ ჰო, მაგრამ მე აქ არა ვარ?!

– შენ რომ რამე გავნოს იმ წყულმა მგელმა და სხვისი ვირი ქირად გაგ-

ვიხდეს?! – შიშვეპარული ეჭვით იკითხა ნინიამ. ეს კითხვა თვითონ მასაც ეკუთვნოდა.

– დარდი ნურაფრის გაქვს, ყველაფერი კარგად იქნება, ოღონდ, დროზე მომანოდე ეგ ფინალი! – დააიმედა შვილმა.

– ფინალი რას გიშველის. თოფი რომ იყოს, მაშინ ჰო. – კვლავ სცადა ნინიამ წინააღმდეგობა.

– თოფი რომ იყოს, მაშინ ან ჩვენ, რალა გვიჭირდა ან ვირს! – ხალისიანად დაეთანხმა ვიო. – ერთ-ორს ზედიზედ დავაქუხებდი და ეგ ერთი კი არა, მთელი ხროვაც რომ ყოფილიყო, უმალ ცხრა მთას იქით გადაიკარგებოდნენ. მაგრამ, როცა თოფი არ გვაქვს, ფინალიც ნიშნავს რალაცას.

– ბევრს არაფერს! – ფინლის მნიშვნელობაზე არ დაეთანხმა მამა და თან ეს გაიფიქრა: „აი, რას ნიშნავს ყმანვილობა და საქმეში გამოუცდელიობა. ამან არ იცის, მშიერი ნადირი როგორი შეუპოვარი, დაუნდობელი და მოურიდებელია.“

თოფის ერთი-ორმა დაქუხებამ ხროვა შეიძლება მართლაც დააფრთხოს, კუდი ამოაჭუბიოს, მაგრამ საეჭვოა, რომ ცხრა მთას იქით გადაიკარგოს”.

– ბევრს არაფერს, მაგრამც ცოტას კი! – არც შვილმა დაუთმო. – ნადირი მისკენ მიმავალ ხელცარიელა კაცს რომ დაინახავს, რიდი არაფრის ექნება. რიდი კი არა და, შეიძლება, აქეთაც შემოგიტოს, მაგრამ ფინლის დანახვა სითამამეს გაუნელებს, დაფრთხება და მაგ საცოდავ ვირსაც ჩამოეხსნება.

– მოეშვი, შვილო, მშიერი მგლის, ისიც ასეთ ზამთრის ღამეში, ამგვარი გალიზიანება და კინკლაობა არ ივარგებს! – ახლა უფრო მტკიცედ სცადა განზრახვაზე ხელის ასაღებად შვი-

ლის დაყოლიება ნინიამ, თუმცა, გასაჭირში ჩავარდნილი ვირი მასაც ძალიან ებრალებოდა.

- როგორ მოვეშვა, მამა! რომ არ მოვეშველოთ, ამ ვირს მგელი ხომ უეჭველად შესჭამს! - შეეპასუხა გიო.

- მართალი ხარ, შვილო, მაგრამ შენც რამე რომ დაგიშავოს?! - შემფოთებით მიუვო ნინიამ. მერე, საკუთარი უძღურებით გაღიზიანებულმა, უკმაყოფილოდ დაუმატა: - შენი ხნის ბიჭი, ისიც ფინლის ამარა, ვერც მშიერი მგლის პირისპირ დარჩენილ ვირს გადაარჩენს და, შეიძლება, თვითონაც ხიფათს გადაეყაროს.

გიოს მამისთვის არაფერი უთქვამს. არც უგრძობობები, ეწყინა, თუ მოენონა მისი დარიგება. ბიჭს ფიქრი უნებურად სადღაც სხვაგან გაუსხლტა.

„დედამ უკმაყოფილოდ უთხრა მამას: როდემდე უნდა ეგდოს ასე უხეიროდ ეს მორი ეზოში. ადამიანს თავისუფლად ვერ გაუვლია. მამას არ წყენია დედის საყვედური. ყოველ შემთხვევაში, მე წყენის ვერაფერი შევატყუე. მხოლოდ ეგ იყო, ერთხანს პასუხი არ გაუცია. მერე კი მშვიდად დაპირდა, დაეპოზ და არც გაელა-გამოვლაში შეგიშლის ხელს და არც საყვედურის მიზეზი გექნებაო“.

„სამი წელია ამას გეხვეწები, დააქე-მეთქი და შენგან სულ ერთი და იგივე მესმის: დაეპოზ, დაეპოზო, ეს მორი კი ისევ იქ აგდია, სადაც ტყიდან მოტანისას დააგდე“.

„მამას შევატყუე, რომ გუნება შეეცვალა. უთუოდ არ მოენონა, დედამ სიმართლე რომ უთხრა. რაც გინდა თქვი და სულ მორის ბრალი იყო ის მათი ამასწინანდელი ურთიერთსაყვედურები“.

„ეზო იმისთვის აქვს ადამიანს, რომ იქ დროებით რალაცას დაყრის და მო-

ინაცვლებს, მით უმეტეს, სოფელში ჩვენისთანა გლეხკაცი. რაც შეეხება მორს, გითხარი, დაეპოზ-მეთქი და ახლაც გეუბნები, დაეპოზ. ბოლოს და ბოლოს, ეს რა ისეთი ძნელი რამეა, რომ მისი მოგვარება კაცმა ვერ შეძლოს. მე კი არა, იმას ეს ჩემი გიოც ადვილად მოუვლის“.

ჩემს ხსენებაზე დედას რატომღაც გული მოუვიდა.

„რას ამბობ, ნინია, თუ არ დაიხერხა, ორი-სამი წელი მზუზე ნაგდები, როკიან-ნუჭრიანი და გაძინძულ-დაძარღული მორის დაპოზა საცოლმეილოდ მონიფულ ვაჟკაცსაც გაუჭირდება და ეს ჩვენი თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ბიჭი რას დააკლებს?!“

„მაკინე, დედები ყველანი ერთნაირები ხართ. შეილი, ცოლს რომ მოიყვანს და დაოჯახდება, მაშინაც ბავშვი გგონიათ. ზედ ისე დაპფოფინებთ ამხელა კაცებს, თითქოს გაზაფხულზე ნაადრევად ამოსული ყვავილები იყვნენ და გეშინოდეთ, მარტის ყინვამ არ დააზროს. ქალებმა არ იცით, ანდა, არ გინდათ ირწმუნოთ, რომ სავაჟკაციო საქმეს ყრმობიდან შეუჩვეველი, დედის კალთაში გაზრდილი ბიჭი კაცობაში ბევრ ვერაფერ ვაჟკაცობას იქმს. ჩემი შეილი კი, სულაც არ მინდა, ასეთი იყოს და არც იქნება. კი, ჯერ ყმანვილია, მაგრამ ზოგიერთ მონიფულ ფაცხურულზე ნაკლები ვაჟკაცი ხომ არ გგონია“.

„არც ნაკლები მგონია და არც მეტი. მხოლოდ ის მგონია, სინამდვილეში რაც არის. ამის დავაჟკაცებამდე კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის ფაცხურის ხევებში. შენ კი ბიჭს მუდამ ეგრე აქეზებ. ბოლოს და ბოლოს, თვითონ ირწმუნებს, ბევრი რამის გაკეთება შემიძლიაო და, ამით გაამაყებულმა შეიძლება, თავი ხიფათში ჩაიგდოს“.

„რაც გინდა, თქვი გიო და ამ მორის

დაპოზის განზრახვამ, შეიძლება, გვარიან უსიამოვნებაში გაგაბას. იქნებ ჯობდეს, სულაც თავი დაანებო. ჯანდაბას ესეც და ტყეში დარჩენილი მისი მოდგმა და ჯილაგიც! მაგრამ ასეთი სულმოკლეობა რომ გამოვიჩინო, მამას ძალიან დასწყდება გული და ეწყინება. იფიქრებს, ჩემი გიო, ვაჟკაცი მეგონა და ის კი სუსტი და უნებისყოფო ბიჭი გამოდგა. ასეთი უბრალო წინააღმდეგობის დაძლევა თუ ვერ შესძლო, სხვა, უფრო ძნელ საქმეს როგორ გააკეთებსო. ამას ბიჭებიც გაიგებენ და იმათაც მეტი რა უნდათ: დამცინებენ, გიო ერთი ვილაც მკვებხარა და ბაქიბუქა ყოფილაო“.

„მაგრამ ნურას უკაცრავად! იმის იმედი ტყუილად ნურავის ექნება, რომ გიომ უკან დაიხიოს და ამით ფინმეს მისი დაცინვის და აგირიზების საბაბი მისცეს.“

მერე რა, რომ ეს ხე ისეთი ურჩი, უტეხი და უჯიათი აღმოჩნდა, თითქოს ტანში ცოცხალი არსების სული ედგეს და გულში ამოუჭრას, არამც და არამც არ დამნებდეს. განა ვერ ვატყობ, რომ უზომოდ გაჯიუტებული თავგამოდებით ცდილობს, სანამდე შესძლებს, ფარ-ხმალი არ დაყაროს და მის სამტროდ მოსულ, ამ ქვეყნიდან მოთხრის მოსურნე ადამიანის ყოელისშემძლე ძალას ბოლომდე გამოიწიოს წინააღმდეგობა, რომ ეგების როგორმე მცირე ხნით მაინც გაიხანგრძლივოს მისი ჯიშ-მიდგომისათვის იმთავითვე დადგენილ-დანესებული ხანმოკლე წუთისოფელი.“

„კაცმა რომ თქვას, არაეისთვის არ უნდა იყოს სანყენი და გასაკვირი, თავს რომ იგი ასე ჯიუტად იცავს. საკუთარის სიცოცხლისა და უფლებების შესანარჩუნებლად თავგამოდებით ბრძოლა ნეტა სხვისთვის ყოფილა დასაძრახი, საჯაყი მოქმედება და სააუ-

გო საცქიელი, რომ ამისთვის ეს შორი გაიკიცხოს“.

„შენ, ეი, ჯირკი ხარ თუ კუნძი, ამას რომ ვამბობ, არც კი იფიქრო, ვითომ შენთვის რამის დათმობას და შელავათის განევას ვაპირებდე. არამც და არამც. რაკი შენთან ორთაბრძოლაში ჩაეები, მანამდე არ მოგეშეები, სანამ არ დაგაპობ“.

„რაო, ვნახოთ?“

„კეთილი, ვნახოთ, მაგრამ მიუხედავად ამგვარი თვითრჯულობის და გაჯიუტებისა, გონს მოსაყვანად მაინც გაჯიუტობილებ: ტყუილა ჯიუტობ, ძმობილო, და ამდენ წინააღმდეგობას ამაოდ მიწევ. თუ, ეთქვათ, ამას აქამდე შენით ვერ მიხვდი, მე გეტყვი და სამუდამოდ დაიმახსოვრე: რამდენიც უნდა მეურჩო, არაფერი გამოგივა იმიტომ, რომ მე შენზე ჯიუტი და ძლიერი ვარ. ბევრიც რომ იხტუნობ, ბოლოს მაინც დაგაპობ და ცეცხლს მიგცემ.“

კარგად ვიცი, რომ შენ ეს დიდად არ მოგწონს და არც აგრერიგად გეპიტიანება... ან კი ვის მოეწონება და ესიამოვნება სხვის ნაცვლად, მით უმეტეს მტრადმოვლენილ უცხო სულისთვის ცეცხლში დანვა, მაგრამ ეს რა ჩემი ბრალია! იმ თავიდან მოაქტამამდე ასეთი წესია: კაცი რომ გათბეს, შეშა ცეცხლში უნდა დაიწვას. შენ, ან შენს მოდგმას, გინდათ თუ არა ეს, ასეა და რას იზამ.

ერთ საიდუმლოსაც ვაგვიხელ, ძმობილო ჯირკო, და გახსოვდეს: ბრძოლის მოგება ხერხსა და ძალაზეა. მე კი ერთიც და მეორეც შენზე მეტი მაქვს. რატომ? ადამიანი ვარ და ეს მაძლევს ყველგან და ყველასთან უპირატესობას. ამიტომ, ჩემო ხეო და ჯირკეო, ამაოა ეგ შენი კერპობა, კლიპონობა და სიჯიუტე. გირჩევ, ბედს შეურიგდე და ბუხრის ასანთებად მოემზადო“.

„ამ ცულს, როგორც გცემდი, კვლავაც რომ რამდენჯერმე მთელი ძალით დაგკრავ, ისეთი ბასრია და ალესილია, მას შენ კი არა, ვერცერთი შენი მოდგმის ხე ვერ გაუმკლავდება“.

„ყოჩად გიო! რა ხანია თვალს გადავენებ და გულახდილად უნდა გითხრა: ჩვენს ბიჭებში შეშის მარჯვე მობელები სხვებიც მინახავს, მაგრამ შენზე უკეთესი თითქმის არავინ მახსენდება. რალა შენ და რალა ვეძისუბნელი გოგია.“

„ეს რომ გავიგონე, ცული კინალამ ხელიდან გამივარდა და დამფრთხალი და შეშინებული შინისკენ არ გავიქეცი. ასე შეგონა, ჩემი სიჯიუტით გაკვირვებულმა მორმა უნა ამოიდგა და ეს მან მითხრა“.

როცა დაექვებულმა მივიხედ-მოვიხედე, დავინახე, ლობეს ჩემი მეგობარი თედო მოსდგომოდა და გაბადრული სახით მილიმოდა. მაგრამ იმას ვერ მივხედი, დამცინოდა თუ ჩემი მუშაობით ნამდვილად ემაყოფილი იყო.

ერთი წუთით მესიამოვნა მისგან შექება, მაგრამ იმან დამაექვა, მთელ ჩვენს კუთხეში საგლეხკაცო საქმიანობაში ხელმარჯვეობით განთქმულ ვეძისუბნელ გოგიას რომ შემადარა. უთუოდ დამცინოდა, თორემ ვეძისუბნელ გოგიასთან მე რა სახსენებელი ვარ-მეთქი და აღმაცერად გავხედე.

მან კი ჩემი ეჭვიანი მზერა არაფრად ჩააგდო, იმავე კილოზე განაგრძო:

„რას მიყურებ, სიმართლეს გეუბნები. ჯირკების დაპობაში ყოველ დილით სწორედ ასე უნდა ივარჯიშო, რომ ამ საქმეში კიდევ უფრო დახელოვნიდე, თორემ ხომ არ დაგავინყდა, ამ ჩვენს ფაცხეურში სასიძოების ჯირკების დაპობით გამოცდის ძველთაძველი ჩვეულება ჯერაც არ გადაეარდნილა.“

შენი ბედის ამბავი რომ ვიცი, ისეთი სასიამაორო შეგხვდება, არც აგიშვებს, არც დაგიშვებს. შენი გაბითურების სურვილს აყოლილი ის შენი, ჯერ უცნობი სასიამაორო, ისეთ ჯირკს გამოგინახავს და მოგიგდება დასაპობად, იქნებ, ცხრა წელს ცემო ხეგაყრილი რკინა, ცხრა ცულის პირი გაცვივითო, ცხრაჯერ ცხრა ტარი გატეხო და მაინც ვერ დააპო.

ამის მნახველი შენგან მოწონებულ ქალის უცხვირპირო მამა პირში ჩალაგამოვლებულს და ხელცარიელს გამოგისტუმრებს. თან სოფელში თავს მოგჭრის: მაგას სიძედ სახლში როგორ შემოუშვებდი და ქალიშვილს ცოლად როგორ გუაატანდი, შეშის დაჩეხვა არ სცოდნია, ზამთარში ცოლ-შვილი სიცივით დაეხოცებაო. ასე რომ არ მოხდეს და საცოლესა და სასიამაოროს წინაშე არ შერცხვე, როგორც გითხარი, აქედანვე გულმოდგინედ უნდა ივარჯიშო“.

„ოღონდ გაგაქეზოს და თედო რომ არ იტყვის, ქვეყანაზე ისეთი არაფერია. თუმცა, საუბარში მაინც ხალისით ავეყვი.“

„თედო, მაღლობელი ვარ ჩემზე ასე მეგობრული ზრუნვისათვის, მაგრამ შენ რა პქენი, ივარჯიშე, საცოლეს და სასიამაოროს წინაშე რომ არ შერცხვე, თუ ამგვარ რჩევა-დარიგებას მხოლოდ ჩემთვის იმეტებ?“

„თედო, მგონი, მიხვდა, რომ მის გულწრფელობაში ეჭვი შემეპარა და რომ დავერწმუნებინე, არ ტყუიოდა, შეეცადა, თავისი ნათქვამისთვის უფრო მეტი დამაჯერებლობა მიეცა:

„გიო, არ ვიცი, ამას საცოლეს და სასიამაოროს წინაშე რომ არ შერცხვე, ამისათვის წინასწარი ვარჯიში და მცდელობა დაერქმევა თუ არა, მაგრამ ბებიაჩემი ეზოს გადაღმა ისე არ გადამოიშვებს, თუ წინასწარ ორი-სამი

დღის სამყოფი შეშა არ დაეჩხეხე. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ეს თოვლი მოვიდა.

ამ დილითაც ერთი მოზრდილი მორი დავაპე და შენს სანახავად ისე წამოვედი.

თუ დაჩეხილი შეშით ვიმსჯელებთ, დღეს შენ ჩემზე ბევრად მეტი გიმუშავებია. თქვენს ეზოში მგონი, სამიოთხი წელი რომ მორი ეგდო, იმას თუ მარტო შენ დაჩეხავდი, არ მეგონა. შეშაც იმდენი ასვლია, შინაურები წამდვილად ვერ გეტყვიან საყვედურს. ამდენი შეშა თქვენს ოჯახს ერთ კვირას მაინც ეყოფა ბუხრის, გინდაც, ლუმელის ასანთებად. ასე რომ, ამ დროის განმავლობაში შეგიძლიათ, არხეინად იყოთ, სიცვიე ოდნავადაც ვერ შეგანუხებთ.

ახლა, გიო, იცი, რას გეტყვი. ანჩი მოეშვი მაგ ოხერ ჯირკს. რაც დარჩა, ეგ როდისმე სხვა დროს დაჩეხე. ნავიდეთ, სანახმოზე, ბიჭები ენახოთ, რას აკეთებენ”.

„არა, თედო, სანამ ამ ჯირკს ბოლომდე არ დავაპობ, მანამდე არც მოვეშვები და არც აქედან ფეხს არ მოვიცვლი. ასე მაქვს გადანყვეტილი და ათასიც რომ სხვა რამე მირჩიო, გადანყვეტილებას არ შევიცვლი.“

„თედო ალბათ მიხვდა, კიდევ რომ ცდილიყო, განზრახვას ვერ შეაძლებინებდა და მან ხელი უკმაყოფილოდ ჩაიქნია, შენ თუ რამე ამოიჩემე, კაცი მასზე ხელს ვერ აგალებინებსო და ამის შემდეგ ხმა აღარ ამოუღია. სანამ მორი ბოლომდე არ დავაპე, იქვე მელოდა. მერე ორივენი ერთად წავედით სანახმოზე“.

... „იმ საღამოს შინ გვიან დაებრუნდი. დედა და მამა ანთებული ბუხრის პირას ისხდნენ. დაგვიანების გამო არცერთს სიტყვა არ უთქვამს. მივხვდი, იმდღევანდელი ჩემი მუშაობით, მო-

რის დაჩეხვაზე ვამბობ, კმაყოფილი იყვნენ.

დედამ მავახშმა. ჩემს ოთახში გავედი და დაეწეკი, მაგრამ ერთხანს არ დამეძინა.

კარი ღია იყო და გავიგონე, მამამ რომ უთხრა დედას.

„მაკინე, შენ არ გიყვარს ბიჭს რომ ვაქებ. პირში ქება სწორად არც მე მიმაჩნია, მაგრამ ახლა აქ მარტონი ვართ და უნდა გითხრა, წამდვილად ვაჭკაცი ბიჭი გვეზრდება.“

დედამ რალაც თქვა, მაგრამ ვერ გავიგონე.

„შენ არც ის გვეგროდა, რომ გარწმუნებდი, ამ მორს ჩემი გიოც დააპობს-მეთქი. ახლა ის მორი დაჩეხილია და ათასი სანინაალმდეგოს თქმის სურვილიც რომ გქონდეს, ვერაფერს იტყვი.“

მამა ვარ და მიხარია, აქედანვე ეტყობა, წამდვილი ციხისკარიძეა. არც ხელის სიმარჯვე აკლია და, ასაკთან შედარებით, ვერც უჯანობას უსაყვედურებ. უჯანობას კი არადა, მკლავსა და მუხლში მასზე ბევრად უფროსებზე მეტი ძალა აქვს. ეგ რომ ზურგზე ტვირთს წამოიკიდებს, ზოგჯერ მეც მიჭირს მისი ანევა. თუ მოინდომა, არც საქმის კეთება ეზარება. მართალია, თვალი უფრო გართობისკენ გაუზრბის, მაგრამ ეს უთუოდ სიყმანვილით მოსდის. მის ასაკში ყველა ბიჭს გართობა ურჩევნია შრომას. თუმცა, ესეც არაფერია. გაიზრდება და თანდათან მუყაითობა სძლევეს ბავშვურ სიზარმაცეს. მაგის ასაკში სხვა ვინ არ ყოფილა გართობაზე გადაგებული, რომ ამგვარი მიდრეკილება მას ან სხვა მის ტოლ ბიჭს საძრახისად ჩაეთვალოს... აბა, ბავშვი რისი ბავშვია, მასში თუ დრომდე სიდინჯეს სიცელქემ არ სძლია“.

- მამა, რას შერები, შენ გელოდე-

ბი, დროზე მომანოდე ფინალი! – ფიქრებიდან სინამდვილეში დაბრუნებულმა დაყოვნების გამო ერთგვარი საყვედურით შეახსენა და მოუთმენლად დაელოდა, როდის მიანვდიდა.

რას აპირებ? – სანამ ფინალს მიაწოდებდა, ერთხელ კიდევ იკითხა ნინიამ. თუმცა, ამის მიხედვრა მისთვის ძნელი სულაც არ იყო, რასაც გიო აპირებდა. ცხადია, რას აპირებო, ამის შესხენება უფრო იმას ნიშნავდა, განზრახვაზე ხელი აიღეო, თუმცა, იმაზეც დარწმუნებული იყო, აზრს ვერ შეაცვლევინებდა. ერთის მხრივ, შვილის განზრახვა და საქციელი გულში ვამაყებოდა. მეორე მხრივ, ეწინოდა, ხიფათს არ გადაყროდა და ფინლის მიწოდებას ამიტომ აყოვნებდა.

– რას და, ვირს უნდა მივეშველო, რომ ამ წყეული მგლის კბილისაგან გადავარჩინო.

ნინიამ ერთხელ კიდევ სცადა ბიჭისთვის განზრახვაზე ხელი აეღები-ნებინა:

– იქნებ ის სჯობდეს, აქედან ორივენი ერთად შევეხმიანოთ. ადამიანების ხმამალად ყვირილზე ეგებ დაფრობეს და ისევე ტყეში გადაიხვეწოს ეგ ტალი. თორემ, მაგ წყეულმა მგელმა ვილაცის თავმოძლეებული ვირის გულისთვის შენ რომ ხიფათი შეგამთხვიოს, ხომ ადუღებულ კუპრში უნდა დაევიხრჩო თავი და ისიც მცირე სასჯელი იქნება ჩემთვის. – გულში დაგუბებული შიში და სათქმელი ბოლომდე ამოთქვა ნინიამ და, სანამ გიო ხმას ამოიღებდა, ხმამალა აყვირდა: „ეჰე ჰეეო“ მაგრამ ბოლოს შვილს ფინალი მაინც მიანოდა.

თითქოს გამოაჯავრესო, დადუმებული მთები ხალისით გამოეხმაურაკაცის ყვირილს და მალე ყველაფერი ძველებურად მინყნარდა.

ადამიანის ხმის გაგონებაზე მგელი

მარხილისკენ მთელი ტანით შემობრუნდა და წელში უხალისოდ გაიდრიკა. მერე მამა-შვილს ისიც მოეჩვენა, რომ მათკენ აღმაცერად გამოიხედა, თითქოს ეუბნებოა, ნეტა რა გაყვირებთ, უმაგისოდაც გხედავთ და ისიც კარგად ვიცი, ვინცა ხართ და რაცა ხართ. მე თქვენ ხელს არაფერს გიშლით, საითაც მიდიხართ, იქით ნაბრძანდით, მაგრამ ნადავლი რის ეაივავლახით მიშოვნია და თუ მის წართმევას მიპირებთ, ცოცხალი თავით არ დაგანებებთო.

„თავს მოვიჭრი, თუ ეს სახედარი აქ შორიდან იყოს მოსული. რომელიღაც ჩვენი თანასოფელელის იქნება. რალა რომელიმესი, ახლალა ვიცანი ნახევრად ნაკვეთილი მარჯვენა ყურით, ლორგოთაველი აყვია ანთიმოს ვირია. ასეთ უხვთოვლიან ზამთრის ღამეში პირუტყვეს ჩემფხება ანთიმოს მეტი ღეთის ანაბარა, ნადირთა საკბილოდ სხვა რომელი ფაცხურელი მიატოვებდა. ეტყობა, ეს უბედური ძროხებთან და ხარებთან ერთად რუზე დასარწყულებლად გაუშვა, მაგრამ უკან მოსაყვანად არც თვითონ გაჰყვა ნახირს და არც მინაურთაგან სხვა ვინმე გააყოლა.

ვირმა რაკი თავი მის ნებაზე დაიგულა, შინ დაბრუნების ნაცვლად, თავისი ვირული ქუთით ტყეში გასვირნება გადაწყვიტა და მერე, საითაც მოუნდა, იქით ნაჩერჩეტდა. მაგრამ ნახირთან ერთად ვირი რომ არ დაუბრუნდა, ის... მაგის პატრონი, ნეტა, შინ მშვიდად რამ გააჩერა?! ეს საწყალი ცხოველია ცოდევა, თორემ, მაგის აყვია პატრონი უფრო მეტი ზარალის ღირსია.“

გიოს თავიდანვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ვირს უთუოდ მიშველებოდა და მამის მიერ მის შესაძლებლობაში ეჭვის შეტანამ, შენი ხნის ბი-

ჭი, ისიც ფინლის ამარა, ვერც მშვიერი მგლის პირისპირ დარჩენილ ვირს გადაარჩენს და, შეიძლება, თვითონაც ხიფათს გადაეყაროსო, გაალიზიანა და თავი დამცირებულად იგრძნო.

„ეტყობა, მამამ კარგად არ მიცნობს.“ – ერთგვარი მუქარა იგრძნობდა მის ამ ფიქრში. – „თუმცა, რალა მარტო მამა, დედასაც ასე ჰგონია. როგორც ჩანს, უფროსებს ყველას ერთნაირი წარმოდგენა აქვთ ჩემი ხნის ბიჭებზე. აქაოდა, რაკი ჩვენზე პატარები არიან, არაფრის გაკეთება არ შეუძლიათო. აბა, ენახოთ, თუ არაფერი შემიძლია! სანამ იმ მგელს პირში ჩალაგამოვლებულს არ დავტოვებ და ვირს არ გადავარჩენ, ნადირმა თუნდაც ლუკმა-ლუკმად დამგლიჯოს, აქედან ფეხს არ მოვიცვლი!“

მამისთვის არაფერი უთქვამს, არც გულში გავლებული წყენა უგრძნობინებია. განზრახულის უთუოდ შესრულების უინით აღგზნებულმა ფინლის ტარს ხელი ისე მაგრად მოუჭირა, თითები ეტკინა.

ფინალმა თითქოს ძალა და სითამამე შეჰმატა. რალაცნაირი აზარტით მოელოდა ვირის შესაჭმელად აღრენილ მგელთან პირისპირ შებმას და ორთაბრძოლას. ის კი არადა, გულში უზომოდ სიამოვნებდა კიდევ, საქმე ასე რომ აენყო: მარტოს მიეცა განსაცდელში ჩავარდნილი არსების გადაარჩენის შანსი. ამაზე არანაკლებ მოსწონდა საკუთარი თავისა და შესაძლებლობის გამოცდა-შემოწმების საშუალება რომ ეძლეოდა. ასე ეგონა, თითქოს ფაცხეურის ეკლესიის საჭიდაო წრეში ჩამდგარი თანატოლებს ეჯიბრებოდა პირველობის დასანარჩუნებლად და ეჭვი არ ეპარებოდა, რომ გამარჯვებული გამოვიდოდა. ცხადია, წარმოდგენა არ ჰქონდა დამსუეული მგლის ძალაზე, მის უღმობ-

ლობასა და დაუნდობლობაზე. კიდევაც ამიტომ მიიღტვოდა მოსალოდნელი საფრთხისკენ ასე ჯიქურ და თამამად. სიყმანვილე და სიმამაცით თავის მოწონების სურვილი ერთმანეთისგან განუყოფელია, ხოლო გამოუცდელობით სიბრიყვე – ხშირად თვით სიკვდილზე თამამი და გამბედავი. დიახ, ხშირად სიბრიყვე და მოჭარბებული ძალა და ენერგია ახალგაზრდას მდგომარეობის სწორად შეფასების უნარს აკარგვინებს და საფრთხისკენ ისე მიერეკება, როგორც ზურგზე შედიზედ გადაჭრილი თხილის სახრე პირუტყვს.

როგორც კი გიომ მგელთან შებმა დააპირა, ნინია მიხედა, ახლა რაც არ უნდა ერჩია მისთვის, ყველაფერი ამაო იქნებოდა: ბიჭი თავისას მაინც არ დაიშლიდა. გულში კიდევ ესიამოვნა მამას, რომ შვილი ასე თავგამოდებით ესარჩლებოდა გასაჭირში მყოფს და ამისთვის არავითარ ხიფათს არ ერიდებოდა, მაგრამ, ცხადია, არც მისი ბედი და მოსალოდნელი საფრთხე ავინყდებოდა.

„ერთი უყურე, ჯერ ხეირიანად მიწნას არ ასცილებია და რამხელა გული ჰქონია, თავისი თავის რა დიდი იმედი აქვს!“ – კმაყოფილებით გაიფიქრა და მერე მშვიდად უთხრა:

– რაკი შეწსას არ იშლი, ხარ-მარხილიც თან ნაიყვანე.

გიომ შემობრუნდა და მამას უხმოდ შეხედა, ვერ მიუხედა, ხარ-მარხილი რა შუაში იყო.

– ჰო, შვილო, ეგრე აჯობებს. რაც არ უნდა იყოს, ეგ მგელი მშვიერია და ახლა ძალაც მისი სჯობია შეწსას. თუ გინდა, რომ უთუოდ გაიმარჯვო, ძალას ძალა უნდა დაახვედრო და გონიერული ხერხიც ზედ მიაყოლო. შენთან ერთად ხარებს რომ დაინახავს, ზაფრა დაჰკრავს და, შეიძლება, დაფრთ-



ხეს კიდევ. ამით შენც დაცული იქნები ნადირის მოსალოდნელი თავდასხმისაგან და თუ შევძლებთ, ვირსაც ასე უფრო ადვილად გადავარჩენთ. ოღონდ, იჩქარე, თორემ, ისე ვატყობ მაგ ოხერს, შეიძლება, ყოველ ნუთში მოთმინების ძაფი გაუნყდეს და დამხმარეს გარეშე დარჩენილ საკბილოს უმიშრად დაესხას თავს, ხოლო თუ თავდასხმა მოგვასწრო და სისხლი იგემა, მერე მის კლანჭებში მოქცეულ მსხვერპლს შენ კი არა, მგონი, თვით უფალიც ვერ უშველის.

გიო მიხვდა, მამა მართალი იყო, ტყუამი დაუჯდა მისი რჩევა და ხარები უმალ ადგილიდან დაძრა. მგელმა ბიჭი და ხარები ასე ახლო რომ დაინახა, რაღაც ინიშნა და გალიზიანებულმა ღრენას უმატა, თუმცა, ისევ ვირის წინ იყო გაგორებული და ნადავლის ხელში ჩაგდებას იმედს არ კარგავდა.

ბოლოს მაინც მიხვდა, რომ ბიჭს მისი არ ეშინოდა. ისიც შეატყო, რომ ნადირობაში ხელი შეუშალეს. ფეხზე უხალისოდ წამოდგა, ტანიდან თოვლი ბრაზიანად ჩამოიბერტყა და მტრის დასახვედრად მოემზადა. აშკარად ეტყობოდა, რომ არც ვირის დათმობას აპირებდა და არც ამ არემარედან უბრძოლველად გაცლას.

წინიამ, რომელსაც ამ ამბის ცქერით საკუთარი სატკივარი დაეინყებოდა, თავს ძალა დაატანა, ზვინიდან გადმოიხარა და შვილს ურჩია:

- გიო, ხარებს აპურები შეხსენი და უღლიდან გამოუშვი. თუ მგელი იმდენად გათავებდებდა, რომ მაინც შემოგიტყეს, თავისუფლად იქნებიან და ასე უფრო იოლად შეძლებენ შენს დახმარებას, თავდაცვასაც და ნადირის მოგერიებასაც. შენ უკან დადექი და ნადირის დასაფრთხოვად წინ ხარები აიფარე.

გიო უსიტყვოდ დაჰყვა მამის რჩე-

ვას.

ხარები, როგორც კი კისრიდან უღელი მოიცილეს, მრისხანე მჯილისტოლა თვალების ბრიალით მარხილის წინ დადგნენ. ერთმანეთს კიდევ უფრო მჭიდროდ მიეკვრნენ და ღონიერი კისრები ოდნავ დახარეს. რისხვაჩამდგარი, ავად დაბღვერილი თვალებით და ხანჯლებივით მოღერილი, ნეკტიანი რქების დამუქრებული ქნევით მგლის მოსალოდნელი თავდასხმის მოსაგერიებლად და დასახვედრად მოემზადნენ.

ხარების გვერდით მდგარმა გიომ ფინალი შუბივით მოიმარჯვა, ფეხი წინ თამაად წადგა და საბრძოლველად შემართულმა მგელს ხმამალა შეუძახა:

- ჰაიტ, შე ქურდო და ავაზაკო! გაინაპირე ტყეში უპატრონოდ დარჩენილი საცოდავი სახედარი და შეჭმას უპირებ, ხომ?! ვერ მოგართვი! აბა, ახლავე მომწყდი თავიდან, სანამ შენთვის ეგ ქეციანი ტყავი არ გამიძვრია!

გიოს რიხიან დატატანებაზე ვირმა თავი ასწია და მარხილს ისე დააცქერდა, თითქოს თივაც და მარხილიც პირველად ენახოს. ასე კარგად ნაცნობი ადამიანებისა და ხარების ახლოს ხილვამ გულში გადარჩენის იმედი ჩაუსახა და გუნებაგამოკეთებულმა და გათამამებულმა ერთი-ორჯერ ისეთი გამაყრუებელი ხმით დაიყროყინა, რომ მისმა გუგუნმა შორეულ მწვერვლებს უწია, ხოლო ახლომახლო, ღრმა თოვლში ყელამდე ჩაფლულ ტყეებს თავზარი დასცა.

მისი ყროყინი ადამიანთა ენაზე, ალბათ, დაახლოებით ამას ნიშნავდა: თქვენ ავაშენათ ღმერთმა, სწორედ, რომ დროზე მომისწარით, თორემ, ათი-თხუთმეტი ნუთიც რომ დაგკვიანებოდათ, ამ ღორმუცელა ვეშაპის კბილებს ვერ გადაუურჩებოდი და ჩემ-

ეროვნული
სამსახური

გან ჩემს პატრონს ყოველად უვარგისი ჩლიქებისა და ბალნის მეტი არაფერი დარჩებოდაო.

გიოს მუქარასა და ცხვირნინ ფინლის ტრიალზე მგელი აეად ნამოიფოფრა და დაიღრინა.

ვირისადმი ყურადღება ოდნავ შეანელა და ბიჭს შესაშინებლად ნამოექაჩა. თუმცა, როგორც ჩანდა, ნადირს გუნებაში მარტო ყახიდად ნამოქაჩვა არ ჰქონდა. თუ საქმე საქმეზე მიდგებოდა, იგი არც შებმას და ბრძოლას მოერიდებოდა.

ვირი ვირი კი იყო, მაგრამ თვითონ რომ სჭირდებოდა, გამოადგებოდა და ეყოფოდა, იმდენი ქუა და მოხერხება მაინც ჰქონდა. როცა დაინახა, ეს კეთილი ბიჭი მეხმარება და უნინდებურად აღარც მგელი მიტევსო, მოულოდნელად გასხლტა და ხარების უკან თივიან მარხილს ამოეფარა.

მგელმა ეს რომ დალანდა, ირგვლივ გაოცებით მიმოიხედა. კარგად ვერ გაეგო, ასე ანაზდად რა ძალამ დათრგუნა მისი ძლიერება და თვალის დახამხამებაში პირიდან გამოაცილა ზამთრის ამ გრძელ და უღმობელ, ყინვით გათოშილ ღამეში სასწაულებრივად მოხელთებული საკბილო. როცა მიხვდა, რა უბედურებაც დაატყდა თავს და, ალბათ, ისიც იაზრა, თუ ახლა ამ ვირს დაკარგაუდა, მერე ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს მოუნევედა ტყესა და ველში მშიერ-მწყურვალს ნანნალი, სანამ კვლავ ეღირსებოდა ასეთი ტკბილი საკბილოს პოვნის ბედნიერება, თითქმის სასონარკვეთილმა თავი მალა ააღირა და ყველასა და ყველაფერზე ბრაზმორუულმა სასონარკვეთილი ხმით ისე შეჰყმუველა ზეცას, თითქოს მისი მარცხისა და უბედურების მიზეზი სწორედ ის ყოფილიყოს.

სამყაროს გაჩენიდან დაწყებული მგლურ ბედს გაღიზიანებული უჩიო-

და, თან თანამომეტ ამხნეუებდა და აიძუებდა, გულს ნუ გაიტყუო, ახლა ყველანი ასეთ დღეში ვართო. მის შემზარავ ყმუილს მახლობელი ტყიანი ფერდობიდან ცასა და დედამინაზე მასზე არანაკლებ გამწყრალი რომელიც თანამომეტ სევდიანი, გაბმული ყმუილით გამოეხმაურა.

ამ მოძახილით გულმოცემული, თუ უფრო იმით დამფრთხალი, ნადავლის ხელში ჩაგდება სხვამ არ დამასწროსო, რამდენიმე ნუთის წინათ გუნებაში უკვე საბოლოოდ დათავისებულად მიჩნეული ნანატრი საკბილოს მოსალოდნელი დაკარგვის შიშით გამწარებული მგელი ჯიქურ დაიძრა სიკვდილის საფრთხისაგან ჯერ ისევ მოცახცახე, თავის გადასარჩენად ერთადერთ იმედს – მარხილს მოფარებული ვირისკენ.

სწორედ ამ დროს ბიჭს მამის სასონარკვეთილი ყვირილი მოესმა:

– გიო, ფრთხილად, მგელი!

ბიჭი თვითონაც კარგად ხედავდა მარხილისკენ წინიდან დაძრულ მგელს. შეუმცდარად ხედებოდა მის ავგანზრახვასაც და ფოლადის სამკაპაწვერიანი ფინალი თავდამსხმელის დასახვედრ-მოსაგერიებლად ორივე ხელით შუბივით შემართული ეჭირა. მას რალაცნაირად იტაცებდა, ხიბლავდა და ართობდა კიდევ მოსალოდნელი ორთაბრძოლა და მოუთმენლად ელოდა, როდის ისკუშებდა მისკენ მგელი, რომ თვითონაც მზად დახვედროდა და მწარედაც ენანიებია თავხედობა.

გიოს არც კი მიუხედავს მამისკენ. საკუთარ უპირატესობაში დარწმუნებულმა, ჯერ თავის უხმო დაქნევით, ხოლო შემდეგ ფინლის მალა რამდენჯერმე შემართვით ანიშნა, ფიქრი ნუ გაქვს, ან რა შენი გაფრთხილება მინდა, მგელი რა ბოროტი განზრახვითაც მიტევს, ყველაფერს კარგად

ვხედები და ვხედავო. შვილის ამ უდარდელმა და დაარხინებულმა ქცევამ ნინია მიახვედრა, რომ იგი ვერ მიხვდა, რა საფრთხეზე ანიშნებდა. ამან ძალიან შეაშფოთა. აშკარა იყო, რომ თუ დროულად არ გააგებინებდა ბიჭს, საშიშროება საიდან ემუქრებოდა, უბედურება გარდაუვალი იქნებოდა. მოსალოდნელი შედეგის თავიდან ასაცილებლად სასონარკვეთილმა ნინიამ როგორღაც შეძლო ფეხის ტკივილის დავინყება, ორივე ხელზე დაყრდნობილი, რალაც არაადამიანური ძალის მოხმობით თითქმის მთელი ტანით წამოიშართა მარხილზე და შვილს შემზარავი ხმით შესძახა: შენ რომ გგონია, ეგ არაა, უკანიდან მეორე მგელი გეპარებაო.

ამ შემზარავ ყვირილში იმდენი შიში, სასონარკვეთილება და უჩვეულო ბგერებით ამოხეთქილი ტკივილი იგრძნობოდა, რომ გიო უმალ მოახედა უკან და მზერა იმ შიშხილით გონება-ამღვრულ მგელზე გაუშეშდა, რომელიც რამდენიმე წუთის წინათ ტყიანი ბუჩქების მხრიდან ყმუოდა. ნადირს ესარგებლა იმით, რომ წინიდან მომავალი მგლის თვალთვალთ გართული ბიჭი მას ვერ ხედავდა, მხეცური გუმანით ვგრძნო, რომ სასურველი წამი დადგებოდა და გიოს უკანიდან წამოპაროდა. რამდენიმე წამი საკმარისი იყო, ყმანვილისათვის ყველაფერი საუბედუროდ დამთავრებულიყო.

ბიჭს ასე მოულოდნელად და მუხთლად გამომტყვრალი საფრთხისაგან თავის დაღწევისა და უვნებლად გადარჩენის ინსტინქტმა უკარნახა, რომ საჭირო იყო სწრაფი, გაბედული და გონივრული მოქმედება. იგი იმასაც მიხვდა, რომ მასზე თავდასასხმელად მთელი სისწრაფით გამოქანებული ნადირისაგან გაქცევას უკვე ვერ მოასწრებდა. ერთადერთ გამოსავლად ორ-

თაბრძოლაში გამოწვევის მიღება და მედგარი დახვედრა რჩებოდა.

გიო მთელი ტანით უმალ უჩვეულო სისწრაფით შებრუნდა მგლისკენ და პაერში კამარაშეკრულ ნადირს ორივე ხელით ზეალმართული ფინალი შეაგება. მგელი ამას არ მოელოდა. საკბილოს პოვნის სიხარულით გონდაბინდულმა ფინალი მხოლოდ მაშინ შენიშნა, როცა თავის გადასარჩენად აღარც მიმართულების შეცვლა და აღარც მოძრაობის შეჩერება შეეძლო და წვერებნამახულ საბედისწერო ფოლადს ზედ მთელი ტანით წამოეგო. ფინლის წვერებმა სხეულში ისე მყისიერად გაუარა, ერთხანს ტკივილიც კი ვერ იგრძნო.

გიომ ფინალზე წამოგებული ნადირის სიმძიმეს ვერ გაუძლო და მგლისაგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით თვითონაც თოვლში გულაღმა გადავარდა. ძირს დაცემული შვილის დანახვაზე ნინიამ იფიქრა, ალბათ, მგელმა ქვეშ ამოიდო და ახლა გააღმასებული კბილებით გლეჯსო. სასონარკვეთილმა მამამ შვილის მისაშველებლად მარხილიდან ძირს ჩამოსვლა დააპირა, მაგრამ მოტეხილი ფეხის ძვლების შეხებით გამოწვეული ტკივილით გონდაკარგულმა, განზრახვის შესრულება ვერ შეძლო და მარხილს ცოცხალ-მკვდარი გადმოეკიდა.

გიომ მალე შეამჩნია, მამა რა დღეში იყო და იმის შიშით, ვაი თუ ძირს გადმოვარდეს და თივიან მარხილზე ხელახლა აყვანა ვერ შეეძლოო, სასონარკვეთილმა ხმამალა დაიყვირა: მამა, რას ჩადი, შეჩერდი! მერე უსწრაფესად ფეხზე წამოვარდა, მარხილთან მიიჭრა და გადმოსავარდნად გადმოკიდებული მამა კვლავ თივაზე დაანვინა. თან, შემინებულმა, რამდენჯერმე ჩასძახა, მამა, რა მოგდის, თვალი გაახილე, ხმა გამეციო.

ტკივილისგან სანახევროდ ცნობა- მიხდომ ნინიას შვილის ძახილი ბურანში ჩაესმა და გამოაფხიზლა. უწინ- ბელი რომ დაინახა, თვალებს არ დაუ- ჯერა და შიშითა და სიხარულით ერთ- დროულად შეძრულმა ჰკითხა:

- ცოცხალი ხარ?!

- კი, მამა, დამშვიდდი.

- მგელმა ხომ არაფერი დაგიშავა?

- და თავსა და მხრებზე ხელი რამდენ- ჯერმე მოუსვა დასარწმუნებლად, რომ უწინბელი იყო.

- არა, არაფერი.

- თავს რომ დაგესხა?

- ვერ მომწვდა. ფინალზე წამოგეო და ახლა ფინალგაყრილი თოვლში გდია. კარგი ახლა, დანყნარდი. ნავალ, ფინალს ავიღებ. ხარებს შევაბამ და შინისკენ გავუდგეთ გზას, თორემ ისე- დაც დიდხანს შეეყოვნდით.

გიო სასიკვდილოდ დაჭრილ მგელ- თან მივიდა, რომელიც ქათქათა თოვლს სისხლით ნითლად ღებავდ. ბიჭმა ფინლის ტარს გაბედულად ჩა- ავლო ხელი და თავისკენ დაითრია. ტანიდან რკინის გამოძრობისას მიყე- ნებული ტკივილით გამწარებული ნა- დირი აღმუვლდა, კბილები დაკრიჭა და უსასოოდ აფართხალდა.

გიომ მისთვის ფინლის ხელახლა მონაცვლება და ბოლოს მოღება გა- დანყვიტა, მაგრამ რომ შეხედა, რა დღეშიც იყო, მისადმი ახლა გულში რალაცნაირი სიბრალული იგრძნო და განზრახვა მალევე უკუაგდო. იყოს, როგორც არის, ამ დღეში მყოფი აწი დაკლებით ვერაფერს დამაკლებსო.

ვირის დათავისებაში ხელმოცარუ- ლი, აქამდე თოვლში უძრავად დაყუნ- ტებული მგელი ფეხზე წამოდგა და ბიჭს თვალმოუცილებლად დაამტერ- და. გიო მას ყურადღებას არ აქცევდა. მის თანამომძეზე გამარჯვებით გათა- მამებული, დაიმედებული იყო, რომ

იგი შემოტყეას ვერ გაუბედავდა, მაგ- რამ თუ ასეთ განზრახვას გულში მა- ინც გაივლებდა, იმედი ჰქონდა, ისიც იგივე დღეში აღმოჩნდებოდა, რა დღე- შიც მეორე მგელი იყო.

გიომ მგელს ზურგი შეაქცია, რომ ხარები მარხილში შეება. ასე თამამად მის ცხვირწინ მოტრიალუ ბიჭის და- ნახვაზე ნადირმა უთუოდ ივარაუდა, სწორედ რომ სასურველი ფაში დამიდ- გა, ბიჭიც და ვირიც ორივენი ერთად საკბილოდ დამრჩესო და მისკენ ზურ- გით მდგომ ყმანვილისკენ ჩუმ-ჩუმი ხტუნვა-ხტუნვით დაიძრა. მაგრამ სა- ნამ ბიჭამდე მიიღწედა, თავის მენყ- ვილზე ოდნავ წინ მდგომმა ნიკორა ხარმა ნადირის მოახლოება რომ შე- ნიშნა, საშიშროება თანდაყოლილი ცხოველური შინაგანი ალლოთი იგრ- ძნო. წინ მთელი ძალით გაქანდა, ბიჭს გადაასწრო და ნადირს რისხვით დაბ- რილი თავი და ორივე რქა შეაგება.

ხარის რქებზე მუცლით წამოგე- ბულმა მგელმა ჰაერში ფეხები უსასო- ოდ გაასავსა. გავეშებულმა ნიკორამ თავი მძლავრად აიქნია და მუცელგა- მოფატრული უსიამოვნო მძორი შორს მოისროლა. იგი ფინლით დაჭრილ, თოვლში მოფართხალე თანამომძიდან ორი-სამი ნაბიჯის მოშორებით დაე- ნარცხა და, თითქოს ტირისო, შემზა- რავი ხმით აყმუვლდა.

ერთხანს ასე ყმუოდა, თითქოს მშველელს უხმობდა, მაგრამ, როცა დამზარე და შემწე არაეინ გამოუჩნ- და, ფეხზე წამოდგომა სცადა. სხუ- ლის ყველა ნაკეთი სათითაოდ დაჭი- მა, კისერი ნაიგრძელა, წინა ფეხებზე დაყრდნობილმა, მთელი ძალის დაძაბ- ვით ოთხზე დადგომა მოინდომა, მაგ- რამ წელთუკანა ნაწილის წამოზივდა ვერ შეძლო და აკანკალებული ძირს დაენარცხა. თავი ცისკენ აიშვირა და განცდილი მარცხისა და ტკივილების-

გან გამწარებულმა, იქნებ სულაც საკუთარი უძლურებით გულდაწყვეტილმა, ისევე ყმული მორთო. ჭრილობებიდან მოთქრიალე სისხლი მთვარის შუქით განათებულ ქათქათა თოვლზე იღვრებოდა და ციდან მოსული ფანტელების პირველყოფილ სითეთრეს ნითლად ღებავდა.

რა კარგად მოვიქეცი, რომ ხარებს უღელი ქედზე ნაადრევად არ დავადგი, თორემ შეიძლება დაუღლულებს ერთმანეთისთვის ხელი შეეშალათ და ნიკორა მგლისკენ ისე სწრაფად ვერ გაჭრილიყო". - გაიფიქრა გიომ და ერთი პირობა დაჭრილ მგლებთან ახლოს მისულა და დახედვა დააპირა. უნდოდა ენახა, რა დღეში იყვნენ, მაგრამ ბოლოს ეს განზრახვა უაზროდ მოეჩვენა და უმაღლე უკუაგდო. ზედმეტად დაყოვნებას ვაცლა და შინისკენ დროულად წასვლა ამჯობინა. ხარებისკენ გაემართა. ნადირთან ბრძოლით, ველური სისხლის სუნით გუნებანაქცევ პირუტყვს შორიდან დაუყვავა და როცა დარწმუნდა, მგლებთან ბრძოლით ალგზნებულ ხარებს სიმშაგემ გაუარაო, „მამაო“, „მამაოს“ აღერსიანი ძახილით თამამად მიუახლოვდა. ჯერ ერთს, მერე მეორეს კისერზე ხელი რამდენჯერმე მოუთათუნა, აგრძობინა, რომ საფრთხე აღარ ემუქრებოდათ და გაღიზიანებული პირუტყვი საბოლოოდ დაამშვიდა. ნიკორას მგლის სისხლით დასერილი შუბლი და რქები თოვლით საგულდაგულოდ მოუნშინდა და ორივე ხარს ქედზე უღელი დაადგა. აპურები მარჯვედ შეუკრა და მარხილში შეაბა. მერე მამას სასთუმალი აუშალა, უფრო მოსვენებით რომ წოლილიყო. ზემოდან ნაფარებული ტყავკაბა გაუსწორა და გვერდებზე საგულდაგულოდ ამოუკეცა. ღონემიხდილი ნინია დინჯი, გამოციდილი გლეხკაცივით საქმიანად

მოტრიალე შვილს რომ უყურებდა, გული სიამაყით ევსებოდა.

თუმცა, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, მაგრამ თივიან მარხილზე უხმოდ და გაუნძრევლად მწოლიარე ნინია მომხდარზე კვლავ ისე აღელვებული ფიქრობდა, თითქოს საფრთხეს და საშიშროებას ჯერაც არ ჩაეწლო. სალაპარაკო რალა იყო, მაგრამ მაინც ვერ მოითმინა, გულში ნაფიქრი შეილისთვის ხმამაღლა რომ გაეზიარებინა:

- ღმერთო, ამ ოხერმა უგუნურმა პირუტყვმა ეს რა შარსა და ხათაბალაში გაგვხვია... კინაღამ არ გაგვაუბედურა?

- არაფერია, მამა. ვირი იმიტომ არის ვირი, რომ მაგდენი რამეები არ ესმის. რომ სცოდნოდა, თავს რა ხიფათში იგდებდა, სოფლიდან არც ასე შორს წამოვიდოდა და არც გარეთ იხეტიალებდა ღამით ასეთ თოვლსა და ყინვაში. მთავარია, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. ბოლოს და ბოლოს, მას ხომ არ უთხოვია, მგლებისგან დამიცავითო. ეს ჩვენ მოვისურვეთ, რომ დავხმარებოდით და ახლა რალას ვსაყვედურობთ, - გულწრფელად გამოესარჩლა ბიჭი საშინელი ფათერაკის მიზეზს. გიო გუნებაში უზომოდ კმაყოფილი იყო იმით, რაც შეემხთვა და ეამაყებოდა, რომ ყველაფერს თავი ისე მამაცურად გაართვა, თვით ყველაზე მკაცრი მსაჯულიც კი ვერაფერს დაუნუნებდა.

ჯერაც ტანში სიკვდილის შიშის ქარდავლილი სახედარი მარხილს კისერში თოკაბამულივით მისდევდა. დრუნჩი თივაში შეერგო და ხმელ, სურნელოვან ბალახს მაღიანად წინქვნიდა, თან გულმოდგინედ ცდილობდა, მის სასწაულეზობივად გადამრჩენებს არ ჩამორჩენოდა.

გიომ იცოდა, რომ სახედარი ანი

არსად გაიბნეოდა, მაგრამ, დროდადრო, მაინც იხედებოდა მისკენ და, მარხილს ადევნებულს, სალ-სალამათს და უვნებელს რომ ხედავდა, გულში უზომოდ კმაყოფილი იყო.

„მაინც საოცარია, ეს უტყინო ცხოველი რა ეშმაკმა და ქაჯმა წამოახეტა სოფლიდან ასე შორს ზამთრის ყინვითა და თოვლით გათოშილ ღამეში, ან დათოვლილ ტყესა და მინდორში რა კისრის ტეხამ გააჩერა აქამდე. მე შენ გეტყვი და სადმე ბალახს იპოვიდა და, მისი ძოვით გართულს, შინ წასვლა დაავიწყდებოდა. რაც გინდა თქვი და მაინც იღბალი ჰქონია, ასე უვნებლად რომ გადარჩა. სამაგიეროდ, მგლებს არ ჰქონიათ ბედი, თუმცა, ალბათ, ბოლო წუთამდე თავს ბედნიერად თვლიდნენ, თითქმის უიმედო, მკაცრი ზამთრის ღამეში, ასეთი ტკბილი საზრდო რომ იპოვეს“.

საბედისწერო ადგილიდან მარხილი უკვე საკმაოდ შორს იყო, მაგრამ მაინც აღწევდა დაჭრილი მგლების ღრენა-ღაველავი და მგლოვიარე ქალის ქვითინივით სულის შემძვრელი, მათი სევდიანი ყმული, რომელსაც დრო-

დადრო ზედ ერთვოდა სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმული მხეცების გნისის მაგვარი ხმები.

შინისკენ გეზაღებული მარხილის წინ მიმავალი გიო ყურს გულმოდგინედ უგდებდა ნადირთა ყმუილს და ნიოკობას, მაგრამ ვერა და ვერ მიმხვდარიყო, ერთმანეთთან შორიახლო თოვლში ჩაფლულ მგლებს თანამოძმის სისხლის სუნი აღიზიანებდა და გაავეებული ღრენით შიმშილის გრძნობის დასათრგუნავად მიინეუდნენ ერთმანეთისკენ, თუ გასაჭირში ჩავარდნილები დასახმარებლად ერთნაირი გულმოდგინებით მოუხმობდნენ ცასაც და დედამინასაც.

ამასობაში ზამთრის სუსხიანი ღამე შექანდა და შეიმღვრა. აღმოსავლეთიდან დაძრული ზეციური ციაგი ნელა, მაგრამ ჯიუტად იკრებდა ძალას. ცის ტატნობში ატყორცნილ მწვერვალთა თოვლიან წვერებზე ივანებდა და ღამეულ სიბნელეს იანვრის თოვლქვეშ გატრუნულ, თვალჩაუდგამ ხეობათა ღრმა, მიუვალ ჯურღმულებში დაუნდობლად მიერეკებოდა.





ანდრო ბუაჩიძე

ბერონი ქიქოძის „თანამედროვის ჩანაწერები“

სტენდალის და ანატოლ ფრანსის ნაწარმოებების თარგმნა გერონტი ქიქოძისთვის არ იყო შემთხვევითი. მათი მხატვრული აზროვნებისა და სტილის ზოგიერთი თავისებურება ქართულმა მწერალმა ისე გაითავისა, რომ საკუთარ ნააზრევსაც მოარგო. ვგულისხმობ ერთ ხერხს: როცა ამა თუ იმ პერსონაჟის პოლიტიკური და ზოგადად, მსოფლმხედველობრივი მრწამსის აღწერა-დახასიათების კონტექსტში მისივე პიროვნულ-ინდივიდუალური შტრიხები იჭრება. თხრობის ამ ხერხს ძალდაუტანებლობა სძენს სიცოცხლისუნარიანობას და სიმკვეთრეს. „თანამედროვე ჩანაწერებში“ ამგვარი მახვილი შტრიხებით აგებული პორტრეტების მთელი გალერეაა გაფანტული. აი, ვთქვათ ასეთი: „დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი იყო. ეს გამხდარი, ფერმკრთალი მამაკაცი არავის უნახავს გაცილებული. მისი ენერგიული ხელის მოძრაობა, ლაკონური, მბრძანებლური სტილი და პირქუში სახის გამომეტყველება მონიშნავდა, რომ ის დიქტატორად იყო გაჩენილი. მან თბილისის განმინდა სომხის ბურჟუაზიის უკანასკნელი ნაშთებისაგან, მკაცრად ჩააქრობინა

აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აჯანყება...“ და ა. შ.

ან, ვთქვათ, ასეთი პორტრეტი: „კუპრით შავ წვერულვაშიანი ნოე ხომერიკი ავტოდიქტატორი იყო. როგორც ეტყობოდა, თავისი ხანგრძლივი არალეგალური მუშაობის დროს ის კარგად ვასცნობოდა ქართულ სოფელს“ და ა. შ.

„სახალხო გვარდიას მეთაურობდა ყოფილი ბოლშევიკი ვ. ჯულელი, მხნე, მაგრამ გაორებული სულის ადამიანი, რომელიც თავის ვალდებულების შესრულებას მძიმე ტვირთად თვლიდა, რაც ადვილი გასაგები იყო, ვინაიდან მას თავისივე ყოფილი ამხანაგების წინააღმდეგ უზღებოდა რეპრესიების მიღება. ის უზარმაზარი ხისბუდიანი ნაგანის რევოლვერით გამოდიოდა დამფუძნებელი კრების ტრიბუნაზე, სადაც აღიარებდა, როგორ უმძიმდა აჯანყებული აფხაზეთის ან დუშეთელი გლეხების დასჯა“ და ა. შ.

„თანამედროვის ჩანაწერები“ მოიცავს XX საუკუნის პირველ ნახევარს საქართველოში. ეს უმთავრესი კატაკლიზმების პერიოდი. გერონტი ქიქოძე ამ მოვლენების არა მხოლოდ უშუალო მომსწრე გახლდათ, არამედ მონაწილეც. და რადგან ეს კაცი თავის შინაგანი ნყოფით მხატვარი იყო, მის

წარმოდგენაში დრამატული ეპოქა არა მხოლოდ ფაქტებით, არამედ ვიზუალური ხატებით აღიბეჭდა. „თანამედროვის ჩანაწერები“ ფაქტობრივად მხატვრულ-დოკუმენტური პროზაა. მის მხატვრულობას მახვილგონივრული შტრიხებით მოხაზულ პორტრეტებთან ერთად ცალკეული აღწერები, მენსიურებაში შემორჩენილი სურათები ცხადყოფენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი პასაჟები არავითარ კონტრასტს არ ქმნიან ტექსტის დანარჩენ ნაწილთან, ვინაიდან მხატვრულობის ცნება, ამ შემთხვევაში, გაცილებით უფრო ფართოა და ღრმა. მხატვრულობა თვითონ თხრობის ინტონაციაშია ფარულად განფენილი.

რადგან სურათოვნებაზე ჩამოვარდა სიტყვა, ერთი ციტატი კიდევ უნდა მოვიტანო: „თბილისის დაკავებისთანავე წითელი ჯარის ნაწილებმა პარადი გამართეს ქალაქის მთავარ მოედანზე. მეორე დღეს თბილისის მოსახლეობამ დიდი სამგლოვიარო პროცესია მოაწყო რუსთაველის პროსპექტზე. წინ მოჰქონდათ შავი კუბოები, რომლებშიაც სანგრებიდან ჩამოტანილი ქართველ ჭაბუკთა გვამები ესვენენ, ხოლო უკან, წელი ნაბიჯით მდუმარე და თავჩაქინდრული ხალხი მოაბიჯებდა. ეს სანახაობა იმდენად ტრაგიკული იყო, რომ გაოცებასთან შეერთებული მოკრძალების გრძნობას იწვევდა კომუნისტებისა და წითელარმიელების რიგებში. და ახალ ადმინისტრაციას აზრადაც არ მოსვლია ამ პროცესიისათვის ხელი შეეშალა“.

ეს უკანასკნელი პასაჟი საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას ეძღვნება. მანამდე კი ნათქვამია, რომ ქართველმა ხალხმა მხოლოდ ორჯერ მოასწრო დამოუკიდებლობის დღე – 26 მაისი ეზეიმა. ამ ზეიმებში თურმე

თვითონ გერონტი ქიქოძეც მონაწილეობდა, ის ადგენდა ეროვნული დღესასწაულის პროგრამას. თბილისელები ახლანდელ ვაკის პარკში იყრიდნენ თავს. როგორც ავტორი აღნიშნავს, აქ „ბუნებრივი ამფითეატრი“ იყო შექმნილი. ხალხი მხიარულობდა, ცეკვაუდა და მღეროდა, ეს ძალდაუტანებელი სიხალისე დიდიდან საღამომდე გრძელდებოდა. განსაკუთრებით მძაფრ შთაბეჭდილებას ტოვებდა ქართველი ფიზკულტურელების, „შევარდნების“ მონყობილი საჩვენებელი ვარჯიშები. მთელი ეს სანახაობა კარნავალს ჰგავდა. არა მხოლოდ ხალისი, ალტაცება ეუფლებოდა ყველას. „თანამედროვის ჩანაწერების“ ამ თავის დასასრულიც ანატოლ ფრანსის რომანების ცალკეული მონაკვეთის ფინალებს წააგავს, როცა მოულოდნელობის ტალღა გადაუელის მოვლენებს: „მაგრამ ერთხელ დიდი ავტომანქანა, რომელზეც ეროვნული დამოუკიდებლობის გამომხატველი ახალგაზრდა ქალთა ჯგუფი იყო მოთავსებული, მოულოდნელად შეფერხდა უნივერსიტეტის შენობის მახლობლად და საჭირო გახდა მეორე მანქანის მიშველება, რათა ადგილიდან დაძრულიყო. ხალხმა ეს უბედურების მომასწავებელ ნიშნად მიიღო“.

მაშასადამე, უბედურების წინათგრძნობა გაჩნდა და აღარც უბედურებაში დააყოვნა: ნოე უორდანიას ადგილი სერგო ორჯონიკიძემ დაიკავა.

გერონტი ქიქოძე „თანამედროვის ჩანაწერებში“, ბუნებრივია, განსაკუთრებით ვრცელ ადგილს საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდს და ოცდაწვიდმეტი წლის რეპრესიებს უთმობს. და აქაც წარმოჩნდება ის, როგორც მხატვარი, როგორც მწერალი და ცხოვრებისეულ სიღრმეთა მხილველი. აქაც მხატვრულობას მხო-

ლოდ ლირიკული წიაღსვლები და რეალურად არსებულ პიროვნებათა პორტრეტები კი არ ქმნის, არამედ სიტუაციის პარადოქსულობის წვდომა, მოულოდნელ სინამდვილესთან შეხება, ცხოვრების, როგორც ფანტასმაგორიული უჩვეულობის ხედვა. მოვლენების და ადამიანების აღწერისას გერონტი ქიქოძე სკეპტიკოსიც არის და რეალობის მკაცრი დამცველიც. მის თვალს არაფერი გამოეპარება, მაგრამ მისივე მხატვრული აზროვნების მანერაში გამოსჭვივის ეჭვი ემპირიული სინამდვილის და ამ „რეალიზმის“ მიღმა არსებული სამყაროს გამო. უფრო მეტის თქმაც შეიძლება, დაკვირვებული თვალი შენიშნავს, რომ მოგონებებიც მოვლენათა პარადოქსულ განვითარებაზეა აგებული. ამ პარადოქსულობის ამოკითხვა ადამიანთა სახეებში და მოვლენათა სიღრმეში მხოლოდ გერონტი ქიქოძის მსგავს შემოქმედს შეეძლო. სწორედ შემოქმედს, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ მემუარების ნებისმიერ ავტორს ფაქტებთან აქვს საქმე, მაინც არ უნდა იყოს მშრალი ფაქტოგრაფი. საინტერესო და მიმზიდველი სწორედ ის არის, რა დგას, რა იმალება ამ ფაქტების მიღმა. გერონტი ქიქოძის მზერაც აქეთ არის მიმართული. ის იმას ხედავს, რაც ცხოვრების ზედაპირზე არ ჩანდა და არ ჩანს. მაგრამ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. რატომ დატოვა თბილისის კარიბჭესთან ქართულმა ჯარმა და გვარდიამ ბრძოლის ველი? რატომ შეატოვეს მეთერთმეტე არმიას იუნკერები?

„მეორე და მესამე დღეს ქართული ჯარი და გვარდია შეტევაზე გადავიდა და ათასხუთასზე მეტი კაცი დაატყვევა. თბილისის მოსახლეობას არც რაიმე ექსცესები ჩაუდენია, არც პანიკა გამოუმტლავენებია. ყველაზე მეტი

დაბნეულობა თვით მთავრობის წევრებს ემჩნეოდა: მინისტრები თავიანთ ადგილებზე არ ისხდნენ, ზოგიერთ მათგანს სამხედრო ფარაჯა ჩაეცვა, მხარზე თოფი გადაეკიდა და სასახლის წინ დადიოდა“.

მარტო ამ პასაჟიდანაც ჩანს, რომ მარცხის მიზეზი არა უშუალოდ სამხედრო ძალების მზადყოფნაში იყო საძიებელი, არამედ მთავრობის დაბნეულობაში. მოსახლეობა ინარჩუნებდა სიმშვიდეს და შინაგან ნონასწორობას, მთავრობა კი ყოველად გაუმართლებელმა ქაოსმა მოიცვა. ფაქტობრივად, მთავრობამ დამარცხებამდე დაყარა ფარ-ხმალი და ეს სულიერი დაცემა გახდა მოულოდნელი მარცხის მიზეზი.

და ისევ წიაღსვლა: „24 თებერვალს ერთ ჩემს მეგობართან ერთად უძილო ღამე გავატარე. ქალაქის ქუჩებში საოცარი სიჩუმე იდგა. თოვლის ფანტელები უხმოდ ეცემოდნენ ქვაფენილს“.

ეს უკანასკნელი ფრაზა მრავლისმეტყველია. სიჩუმეც და ფანტელების უხმო ცვენაც არა მხოლოდ მინორულ განწყობილებას გადმოგვცემს, არამედ იმ კითხვის ნიშანივითაა ჰაერში ჩამოკიდებული, რომელზეც პასუხი არ არსებობს. დამთავრდა ხანმოკლე დამოუკიდებლობის ეპოქა. გადაიწურა ყველა იმედი, დარჩა ჩუმი ღამე და ფანტელების რიალი. როდის დადგება კიდევ მრავალგზის ნანატრი თავისუფლების დღე?

ამ მძაფრ შტრიხამდე ერთი ძალზე საგულისხმო და ნიშანდობლივი დეტალია. რომელიღაც რუსი ტყვე, დაჭრილი და განიარაღებული, სოლოლაკის ერთ-ერთ აივანზე წევს. ის გაფითრებული ტუჩებით პაპიროსს ითხოვს. ბენია ჩხიკვიშვილი პორტსიგარს აწვდის. რუს ჯარისკაცს ვილაცა ეუბნება, პაპიროსით თბილისის გენერალ-

გუბერნატორი გიმასპინძლდებაო. ჯარისკაცი გულგრილად იღებს ამ ცნობას და ხარბად ეწევა თამბაქოს. შორიდან არტილერიის ბათქი ისმის და დაჭრილი ვერ არკვევს, უახლოვდებიან თუ შორდებიან თბილისის მისი ამხანაგები.

ბენია ჩხიკვიშვილის ჟესტი უთქმელი უპირატესობის, რაინდული დამოკიდებულების და მოახლოებული მწარე მარცხის გამომხატველია. ამავე დროს, აქ ისიც ჩანს, რომ ხელისუფლების დაბნეულობამ ვერ დათრგუნა ზოგიერთი ადამიანის ვაჟკაცური ხასიათი. ბედისწერასთან შერიგება მთლად უხმოდ არ მომხდარა. იუნკრების თავგანწირვა ამის ნათელი დადასტურება იყო.

გერონტი ქიქოძე მოსკოვში 1934 წლის მწერალთა საკავშირო ყრილობასაც დასწრებია. ეს ის პერიოდია, როცა საბჭოთა ტოტალიტარიზმი თავის ყველაზე უფრო სასტიკ სახეს ამჟღავნებს. ყრილობას მაქსიმ გორკი ხსნის. ის არ ღალატობს საბჭოთა მოხსენებების და საჯარო გამოსვლების სტილს. მისი სიტყვა „მონუმენტურია“, ყოვლისმომცველი და ყოვლისგანმკითხავი. გერონტი ქიქოძე წერს, გორკი შეეცადა მთელი კაცობრიობის კულტურის ისტორია მოეხაზა, მაგრამ ვერაფერი თქვა ახალი სოციალისტური ხელოვნების განვითარების გზებზეო.

საინტერესოა ერთი გარემოების ხაზგასმა: მწერალთა საკავშირო ყრილობაზე დამსწრე უცხოელი სტუმრების გაოცება გამოიწვია რუსი მწერლების ურთიერთმსგავსებამ. ისინი მრავალი ნიშნით ჰგავდნენ ერთმანეთს: გარეგნობით, წარმოთქმული სიტყვებით, მეტყველების მანერით და ა. შ. საბჭოთა იდეოლოგია უნიფორმისავით ჰქონდათ მათ მორგებული. განსხვავებული ყოფილა ვიქტორ შკოლო-

სკის სიტყვა, რომელიც ხმათა საერთო სიმრავლეში დაიკარგა: „მან საბჭოთა ჰუმანიზმისკენ მოგვიწოდა. იყო რალაც ახალი, მაგრამ გაუბედავი ამ მონოდებაში. რასაკვირველია, მას არ შეიძლებოდა რაიმე გამოხმაურება ან მით უმეტეს, პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონოდა იმ წლებში, როდესაც მოსკოვში ადამიანის ბედს იავოდა განაგებდა, ხოლო თბილისში ბერია“.

ბერია ცეკას პირველი მდივანი იყო, ამიტომ სადამსჯელო ღონისძიებებსაც ის უძღვებოდა, ის იყო მთავარი ინკვიზიტორი გოგლიძის, დეკანოზოვის და ქობულოვის სამუელთან ერთად. აგენტების და ჯალათების როლს ყოვლად უბირი ადამიანები ასრულებდნენ. ისინი იმართავანი იყვნენ, ვისაც დასმენის და კაცისკვლის გარდა არაფერი შეეძლოთ.

გერონტი ქიქოძე იმასაც აღნიშნავს, რომ „იავოდას, ეფოვისა და ბერიას ბატონობის დროს გამოძიებისა და სიკვდილით დასჯის პროცესი მეტისმეტად გამარტივდა“. ამის პარალელურად პანევირისტები სტალინს განადიდებდნენ. „ის იმ სიმბოლურზე აიყვანეს, რომელზეც არასოდეს არც ერთი ეგვიპტელი ფარაონი ან რომაელების და ბიზანტიელების იმპერატორი არ აუყვანიათ“. „პატივმოყვარეობის დემონი“, სტალინს რომ ტანჯავდა, მძაფრ ეჭვებსაც აღვივებდა. ეს ეჭვები კი ყველაზე მეტად მწერლების, მეცნიერების და ხელოვანების მიმართ იყო აღძრული. თუკი რუსულ მწერლობაში ოცდაჩვიდმეტი წლის მანკიერებათა მსხვერპლად და სიმბოლოდ ოსიმ მანდელშტამი წარმოდგება, საქართველოში მისი ანალოგი მიხეილ ჯავახიშვილია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მიხეილ ჯავახიშვილის ხვედრი გაცილებით უფრო მძიმე გამოდგა. მას გონზე მოსვლაც კი არ

დასცალდა, ცემის და წამების დროს გარდაიცვალა. და აი, გერონტი ქიქოძის დახატული კიდევ ერთი პორტრეტ: „პირველად მიხეილ ჯავახიშვილს 1910 წლის შემოდგომაზე შევხვედი მეტეხის ციხეში. როგორღაც შინაურულად, მყუდროდ იყო მონყობილი თავისი საკანის კუთხეში და ყოველთვის აუჭქარებლად საშინაო ფლოსტებით გამოდიოდა შუადღის სეირნობაზე... ის ძალიან საინტერესო მოსაუბრე იყო: განცდილ ამბებს გადმოსცემდა, როგორც დაკვირვებული ადამიანი, რომელიც დიდი შემოქმედებითი ნიჭითაა აღჭურვილი. ჯავახიშვილი გამზადარი იყო, გამომცდელად იცქირებოდა სათვალადან, ნაყვავილარი სახე და მაღალი შუბლი ჰქონდა და მახვილ ქუასთან ერთად რაღაც ბავშვურ გულბრყვილობას აერთებდა“.

გერონტი ქიქოძისეულ XX საუკუნის მატრიანეში ჩართული პორტრეტების უპირველესი ღირსება ისაა, რომ

ავტორს საგანგებოდ არ გადაუნყვეტია ამ პორტრეტების შექმნა. ამა თუ იმ პიროვნების ცოცხალი შტრიხები თითქოს სიტყვამ მოიტანა. თითქოს რაღაც გარდაუვალი აუცილებლობა არსებობდა ამ გაფანტული შტრიხების შეკავშირებისა და ყოველივე ამას მოითხოვდა თვითონ კონტექსტი. პორტრეტები მოკლეა და მოკვეთილი, ამიტომ აქ ყოველი სიტყვა ემოციურად და აზრობრივად ტევეადია და მნიშვნელოვანი. გერონტი ქიქოძის ლაკონიზმი თავისებურია: ის თითქოს მახვილგონიერებაზე და სიზუსტეზეა გათვლილი. მწერალი ცდილობს ნატურის ყველაზე უფრო არსებითი ნიშნები აღბეჭდოს. ამავე დროს, უაღრესად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ცალკეული პორტრეტები და პროზაული დეტალები ვრცელ მთლიანობაში ორგანულად არის ჩანერილი. ამ მთლიანობას კი სიღრმეთა მწვდომელის პარადოქსული აზროვნება ანათებს.





მანანა კვიციანი

ლეგენდა დონ ჟუანზე

ცნობილი ლეგენდა დონ ჟუანზე ადრეული შუა საუკუნეების ესპანეთში წარმოიშვა და მოგვითხრობს ვინმე დონ ხუან დე ტენორიოზე, თავგასულ, ამორალურ აზნაურზე. დიდი თანამედრობის პირი სარგებლობდა დაუსჯელობით, იტაცებდა და ხრწნიდა ქალიშვილებს. რცა ერთ-ერთ მოტაცებულ ქალიშვილს გამოესარჩლა მისი მამა – მოხუცი კომანდორი, დონ ხუანმა იგი სიცოცხლეს გამოასალმა. პატივისცემის ნიშნად ჭირისუფლებმა მიცვალებულს ქვის ქანდაკება დაუდგეს სასაფლაოზე. დონ ხუანის გარყვნილებითა და უღმერთობით აღშფოთებულმა ბერებმა იგი მონასტერში მიიწვიეს და მუხანათურად მოკლეს, ხოლო მკვლელობის კვალის დასაფარავად ხალხში გაავრცელეს ხმა, თითქოს დონ ხუანი მინაში ჩაითრია კომანდორის ქანდაკებაში. „სვეილიელი მაცდური“ კათოლიკურ ჯოჯოხეთში ხედება.

თავის დროზე ზეპირსიტყვიერებით გავრცელებული ეს ლეგენდა შემდეგ ლიტერატურულად დაამუშავეს ესპანელმა დრამატურგმა ტირსო დე მოლინამ, მოლიერმა, ფრანგმა ნოველისტმა პროსპერ მერიმემ, ინგლისელმა რომანტიკოსმა ჯორჯ ბაირონმა, რუსმა პოეტმა ალექსანდრე პუშკინმა და ბევრმა სხვამ.

მოლიერმა ისარგებლა რა ძველი

ესპანური თქმულებით, ბევრი რამ შეცვალა მასში, შეიძლება ითქვას, სრულიად ორიგინალურად დაამუშავა იგი¹. მოქმედება მიმდინარეობს შუა საუკუნეების ესპანეთში, თუმცა ნათლად იგრძნობა, რომ მოლიერს მხედველობაში აქვს საფრანგეთი, კერძოდ, ლუი XIV მეფობის ხანა, როცა სახელმწიფოს ადმინისტრაციისა და სასამართლოს მხარდაჭერით გათამამებულია რისტოკრატია ავინროებდა უბრალო ადამიანებს და არაფრად აგდებდა მათ². მოლიერის პიესის მიხედვით, დონ ჟუანმა მიატოვა თავისი ცოლი დონა ელვირა, მონასტრიდან მოტაცებული ქალი. ახლა მას სხვისი საცოლე მოენონა და მისი ძალით წაყვანა მოისურვა. დაქირავებული ნაეი ამოვარდნილმა ქარიშხალმა გადააბრუნა, დონ ჟუანი დახრჩობას სოფელმა ახალგაზრდებმა გადაარჩინეს. ხმელეთზე გამოსვლისთანავე, იგი იწყებს არშეკობას სოფელ გოგონებთან და თითოეულ მათგანს ცოლად შერთვას პირდება.

დონ ჟუანი პირმოთნე და მფლანგველია. იგი უარით ისტუმრებს თავის მოვალეებს, არ უბრუნებს მათ ფულს.

პიესა მთავრდება ისე, როგორც თქმულებაშია: მოკლული კომანდორის ქანდაკებამ დონ ჟუანი მინაში ჩაითრია.

მოლიერის დონ ჟუანს ზოგი დადე-

ბითი თვისებაც ახასიათებს. იგი გულადია, მახვილგონიერი, თავისუფალი მოაზროვნე და სკეპტიკოსი. მან ყაჩაღებისაგან გადაარჩინა უცნობი აზნაური, რომელიც აღმოჩნდა ელვირას ძმა დონ კარლოსი. იგი თურმე თვითონ დაეძებდა დონ ჟუანს. დონ ჟუანმა მოახერხა დონ კარლოსის შემორიგება.

დონ ჟუანი დასცინის თავისი დროის კანონს, რომელიც არსებობს სუსტების დასაჩაგრავად და ძლიერთა დასაცავად, დასცინის ზნეობრიობის ნორმებს, რელიგიას – ფარისევლობისა და მაცდურის იარაღს. დონ ჟუანს არ სწამს ღმერთი და საიქიო ცხოვრება. ერთხელ იგი მლოცველ მათხოვარს შეხვდა, აბუჩად აიგდო მისი რწმენა და მისცა ოქრო იმ პირობით, რომ მათხოვარი მაგრად შეაგინებდა ღმერთს.

დონ ჟუანი საკუთარ ზნეობრივ დაცემას ადვილად ფარავს გარეგნული სილამაზით და რაინდული ქესტებით. მისთვის არაფერია წმინდა. ის ამასხარავებს ქორწინებას და არ მალავს ზიზღს დაბალი წოდების მიმართ.

დონ ჟუანისა და მისი აზნაურული მანკიერების წინააღმდეგ გამოდის თვით მისი მამაც. იგი ეუბნება: «გვარიშვილობა არაფრად არ ღირს, თუ არ გაქვს ზნეობრივი თვისებანი»... «მე უფრო მალლა ვაყენებ შეჩანგლე მუშის შვილს, თუ ის ნესიერი ადამიანია, ვიდრე მეფის შვილს, თუ იგი ისევე ცხოვრობს, როგორც თქვენ». მსახური სვანარელიც უკმაყოფილოა დონ ჟუანის საქციელით: «იმიტომ, რომ თქვენ დიდი წარჩინებული პირი ბრძანდებით, ატარებთ ქერათმიან, კარგად დახუჭუჭებულ პარიკს, ფრთიან ქუდს, ოქროს სირმებით შეკერილ ტანისამოსს, ხომ არ ფიქრობთ, რომ ყოველივე ამის გამო თქვენ სხვებზე ჭკვიანი ბრძანდებით, რომ

თქვენთვის ყველაფერი ნებადართულია და ვერავინ გაბედავს გითხრათ სიმართლე?!»

ასეთი სიმართლე უთხრა მოლიერმა დონ ჟუანს და მთელ მის კლასს. «დონ ჟუანში» მოლიერმა დაგვიხატა საფრანგეთის თავადაზნაურობის მორალური გახრწნა. ამ კლასს არა აქვს უფლება სარგებლობდეს იმ პრივილეგიებით, რომლებიც მინიჭებული აქვს.

ლეგენდა დონ ჟუანზე გამოიყენა ა. პუშკინმა თავის მცირე ტრაგედიაში «ქვის სტუმარი». ა. პუშკინის დონ ჟუანი დაჯილდოვებულია ყველა იმ თვისებით, რომ ქალები შეაცდინოს და თავისი სურვილები დაუბრკოლებლად დაიკმაყოფილოს. იგი ლამაზი, ტანადი, მარჯვე, მხიარული და ფიცხი, მატყუარა, ენებიანი, თავქარიანი, მჭევრმეტყველი და კადნიერი ადამიანია. მისთვის ცხოვრება განცხრომას ნიშნავს; პატიოსან ორთაბრძოლაში მეტოქის მოკვლა და შემდეგ მიცვალებულის გვერდით სიყვარულით დატკობობა მისთვის არაფერია. მას სწამს თავისი ვარსკვლავისა და იმიტომ ყველას, ვინც კი მას გამოიწვევს, წინასწარვე როგორც მსხვერპლს, ისე უყურებს.

ჯორჯ ბაირონმა იტალიაში ყოფნისას დაიწყო წერა თავისი შემოქმედების მთავარი ნაწარმოებისა. ეს იყო ლექსად დაწერილი რომანი «დონ ჟუანი». თვით ბაირონმაც არ იცოდა, რა სახეს მიიღებდა 1818 წელს ვენეციაში დაწყებული პოემა. ამ ნაწარმოებს იგი ხან «იმპროვიზაციას», ერთმანეთთან დაუკავშირებელ ლექსებს» უწოდებს, ხან «ეპიკურ სატირას»².

ჯორჯ ბაირონის «დონ ჟუანის» გაელენით ა. პუშკინმაც თავის «ევგენი ონეგინს» რომანი ლექსად უწოდა: Я теперь пишу не роман, а роман в стихах - дьявольская разница, - вроде

“Дон Жуана.” მსგავსება იგრძნობა განწყობილებამიც, სატირულ დამოკიდებულებამაც და სტილში⁴.

დიდი გოეთე ბაირონის „დონ ჟუანს“ საუკუნის უდიდეს ნაწარმოებად თვლიდა. არაერთგზის შეწყვეტილ, დაუმთავრებელ პოემას შინაგანად დასრულებული ნაწარმოების ყველა ნიშან-თვისება გააჩნია. XVII სიმღერის ოქტავები პირვანდელ გამოცემაში არ შესულა, ისინი მხოლოდ 1903 წელს გახდა ცნობილი. პოემის დამთავრება ბაირონმა ვერ მოასწრო.

„დონ ჟუანი“ არ წარმოადგენს არც მიბაძვას, არც მომხიბვლელი ესპანელის სათავგადასავლო ამბების ისტორიულ-ლიტერატურულ თავმოყრას. ბაირონი ყალბი მოკრძალების გარეშე სწერდა თავის გამომცემელს: „წყველ ცენზორულ შეკვეცებსა და შემოკლებებზე არაფერი გამაგონოთ! მე დასაშვებად ვთვლი ერთადერთ „შეკვეცას“, – ესაა ავტორის სახელის შეკვეცა. პოემა ანონიმურად გამოეცით: ეს საუკეთესო გამოსავალი იქნება თქვენთვის. თქვენ მოითხოვთ თანამედროვე ეპოპეას. აი, მიიღეთ „დონ ჟუანი“.

სატირული ეპოსი „დონ ჟუანი“ ბაირონის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია. მან ალტაცებაში მოიყვანა გოეთე და შელი, პუშკინი და სკოტი, ჰაინე და მიცკევიჩი. ამ პოემაში ყველაზე უფრო სრულად არის გახსნილი პოეტის შინაგანი სამყარო. იგი წარსდგამთელი თავისი სიმაღლით მტრებისა და მეგობრების წინაშე. აქ გამოთქვამს იგი თავის შეხედულებას პოეტის დანიშნულების შესახებ. მუამბოხე სულით არის გამსჭვალული მთელი პოემა. ნამდვილ პოეტად ბაირონი მიიჩნევა დანტეს, – სიყვარულის მომღერალს, პატრიოტს, პოლიტიკურ მებრ-

ძოლს. საკუთარ ცხოვრებაშიც ბაირონი სულ ცდილობდა გზა ეპოვნა საზოგადოებრივი მოღვაწეობისკენ, მაგრამ არ გამოსდიოდა, ამიტომ მისი პოეზია მოგვიწოდებს ბრძოლისკენ. მას სჯეროდა, რომ პოეტი ვალდებულია „განადგუროს ტირანები“ (IX-24). არისტოკრატიული გვარის, ძველის აგვარეულო მამულის მფლობელი (ნიუსტედის საბატო), ლორდი და ლორდთა პალატის წევრი, ბაირონი ყოველთვის გამოდიოდა როგორც ჩაგრულთა დამცველი.

„დონ ჟუანი“ იქმნებოდა 6 წლის განმავლობაში, – 1818-1824 წწ. პირველი 51 სიმღერა რომ გამოქვეყნდა 1819 და 1821 წწ., რეაქციული ჟურნალების რეაგირება ისეთი ძლიერი იყო, რომ ბაირონის გამომცემელმა ჯონ მერეიმ უარი თქვა შემდეგი სიმღერების გამოქვეყნებაზე. „დონ ჟუანი“ გამოქვეყნდა ჯონ ხანტმა, რადიკალური პარტიის მოღვაწემ. ამისთვის ის სასამართლოს გადასცეს. პოემის წინააღმდეგი იყო ბაირონის მეგობარიც გრაფინია ტერეზა გვიჩიოლი. მისი თხოვნით, ბაირონმა თავი დაანება პოემას და მას 1822 წელს დაუბრუნდა.

თვითონ პოეტი კარგად აცნობიერებდა თავისი პოემის მნიშვნელობას. უამრავია მისი ნახევრად სახუმარო, ნახევრად საზეიმო განცხადებები მისი მუზის მაღალი დანიშნულების შესახებ. იგი ამტკიცებდა, რომ ეს არის „ყველაზე ზნეობრივი პოემა“. კატეგორიულად წინააღმდეგი იყო მისი სიმღერების გადაქცევისა „სასულიერო სიმღერებად“⁵. ბაირონი ამბობდა, რომ მას წინასწარ წარმოუდგენია „გაზეთების ყვირილი“ და მათი „მასკალ-პირებული რეცენზიები“, მაგრამ ეს ვერ აიძულებს პოეტს რაიმე გადააკეთოს. იგი ამბობდა: „მოვა დღე, როცა

„ჟუანს“ ამჯობინებენ ყველაფერს, რაც კი ადრე დამინერია“⁶.

რონია მიმართულია არა იმდენად თვითონ დონ-ჟუანის, რამდენადაც ადამიანის შესახებ განმანათლებლური კონცეფციის გულუბრყვილო იდეალიზმის წინააღმდეგ. ბაირონი ყოველნაირად ხაზს უსვამს თავისი გმირის მორალურ არამდგრადობას, მის სულიერ ცვალებადობას. ის კეთილი ადამიანია, მაგრამ ქვეცნობიერად მუდამ ეგუება ყველანაირ პირობებს, ისე რომ ყოველთვის კარგად და თავისუფლად გრძნობს თავს.

განმანათლებლები თვლიდნენ, რომ ადამიანი, რომელიც ხელმძღვანელობს საკუთარი ბუნებრივი მოთხოვნილებით, აუცილებლად არის ზნეობრივი და მართალი, როგორც ბუნება არის ყოველთვის ზნეობრივი და მართალი. ბაირონი პირიქით ამტკიცებს, რომ ასეთი პასიური დამორჩილება „ბუნების ძახილისა“ ადამიანს აქცევს საცოდავ, დამორჩილებულ არსებად, იარაღად სხვისი სურვილების შესასრულებლად, ჟუანის ყველა კეთილი ნაშთი ყება მისი ნების გარეშე სანინააღმდეგოდ გარდაიქმნება. ინსტიქტური, სტიქიური ქმედების დაცინვამ ბაირონი მიიყვანა პოლემიკამდე გმირის რომანტიკული კონცეფციის წინააღმდეგ, კერძოდ, მისი საკუთარი „აღმოსავლური“ პოემების გმირების წინააღმდეგ.

პოემაში ლირიკული სუბიექტივიზმი შეთანხმებულია ობიექტური სინამდვილის რეალურ შეფასებასთან. პოემაში განუყოფლად იგრძნობა რომანტიკული მისწრაფება მაღალი ადამიანობის მიუღწეველი იდეალისკენ, სულიერისა და ფიზიკურის მშვენიერი ჰარმონიისკენ. ამ სევდიანი მისწრაფებით გამსჭვალულია ლონდონის მაღა-

ლი საზოგადოების დასურათება; ამ საზოგადოების მრავალრიცხოვანი პერსონაჟები, მათი გააფთრებული ბრძოლით ანგარებიანი ინტერესებისათვის, ბაირონში ინვევენ სეუდას და აღშფოთებას, და ამავე დროს, სიცილს ცხოვრებისეული ამაოების, უაზრობის გამო. აღშფოთება ზოგჯერ იცვლება დალილობით და სექსტიციზმით. ღირს კი ცხოვრება იმად, რომ სერიოზულად დაეფიქრდეთ მასზე? ყოველივე ამის გამო ბაირონი უეცრად გამომწვევი ხდება – ამაყი, რომანტიკული – მის გარშემო მყოფი სამყაროს მიმართ (X-4).

ბაირონის ამ ლექსად დაწერილ რომანში ასახულია ადამიანის სულიერი ცხოვრების მრავალი მხარე. პოეტი რეალისტურად გამოსახავს ცხოვრებას, კომიკურ შემთხვევებსა და სამხიარულო-სასიყვარულო ამბებს მოგვითხრობს. უბრალო ადამიანების ტეშმარიტად კეთილშობილური და წრფელი გრძნობებიუ პირისპირდება მაღალი საზოგადოების სიყრუეს, სიყალბესა და ფარისევლობას.

ყოფა-ცხოვრებით ჩანახატებთან ერთად გვხვდება დიდი და ნათელი სცენები, კომიკური უპირისპირდება ნაღვლიანს და ტრაგიკულს, ჩანახატები – ფიქრებსა და მსჯელობებს პოეტის პირად განცდებზე, პოლემიკას კაცობრიობის ბედ-იღბალზე. ეს მხატვრული და ემოციური სიმდიდრე განპირობებული იყო თვით ჟანრის, ლექსად დაწერილი რომანის მეტად ფართო იდეურ-თემატიკური შინაარსით. „დონ ჟუანში“ ბაირონი აგრძელებს და ყოველმხრივ ავითარებს ჯერ კიდევ „ბეპოში“ გამოვლენილი რეალიზმის ტრადიციებს. მე-14 სიმღერის ბოლოს თვით პოეტი აცხადებს ამ ახალი შე-

ქართული

სივრცითი

მოქმედებითი მეთოდის გამარჯვებას თავის პოეზიაში (XIV-100).

გაერცვლებული თვალსაზრისით, ბაირონის დონ ჟუანი არის „ბუნებრივი ადამიანის“ – განმანათლებელთა საყვარელი გმირის – ახალი ვარიანტი, თითქოსდა, ნარევი ვოლტერის კანდიდისა და ფილდინგის ტომ ჯონსისა.

ბაირონმა მართლაც განიცადა XVIII-ის რაციონალური ლიტერატურის ღრმა ზეგავლენა და მან თავის გმირს შესძინა განმანათლებელთა „ბუნებრივი ადამიანის“ დამახასიათებელი ნიშნები, ე. ი. ჩანაფიქრის სისუფთავე, გულბრყვილობა, სიკეთე, ემპათია. მაგრამ თხრობის ლოგიკით, ავტორი გვიჩვენებს, როგორ ამახინჯებს ცხოვრება ამ ნათელ თვისებებს. დონ ჟუანის სახე ირონიითაა გამსჭვალული. მას უნარი აქვს – დიდმნიშვნელოვნად გაჩუმდეს, ან გამოიჩინოს პირფერობა, ან თავი დაიჭიროს ისეთი მოჩვენებითი უბრალოებით, რომ მას ერთნაირი ალტაცებით ხედებიან ყველანაირ საზოგადოებაში, და თავისთვის შეუმჩნეველად, ის გადმოიღებს ქცევას და ზნე-ჩვეულებებს სხვადასხვა საზოგადოებისა, დამახასიათებელს ნებისმიერი ქვეყნისთვის, სადაც კი ის ხედება.

რომანის მთავარი გმირის – დონ ჟუანის ხასიათის გამოხატვის ხერხები ძირუღლად განსხვავდება რომანტიკული გმირის დახასიათებისგან. რომანში დანვრელებით არის მოთხრობილი დონ ჟუანის ბავშვობისა და აღზრდის ამბავი (I-25). ის ცოცხალი, ხორცშესხმული და სისხლსავსე ადამიანია. არაფერი ადამიანური მისთვის არ არის უცხო.

ბაირონის ნახევრად ხუმრობით წერდა, რომ უნდოდა, მისი გმირი იტალიაში ეჩვენებინა როგორც cavalier

servente, ვერთერის მსგავსი სენტიმენტალური ყმანვილი – გერმანიაში, ინგლისში – როგორც ცოლ-ქმრული გაყრის მიზეზი, და ბოლოს, ასაკთან ერთად თანდათან განებივრებული, ყველაფრისგან თავმოებზრებული პიროვნება, რომელსაც ყველაფერი „მოყრჭებული“ აქვ.

იზმილის შტურმის დროს მან გმირულად გაარჩინა პატარა ლეილა (X-52), მაგრამ აღსაზრდელად გადასცა ლედი პინჩბეკს, – „მანკიერებასთან ბრძოლის საზოგადოების“ თავმჯდომარეს. მან გადაარჩინა გოგონა სიკედილს, მაგრამ ვერ დაიცვა იგი აღზრდის დამლუპველი შედეგებისაგან.

დონ ჟუანის გმირობა ყალბი აღმოჩნდა. მისი სახე ერთგვარი პაროდიაა განმანათლებელთა რომანების „დადებით გმირებზე“. გმირის ძიებას, რაზედაც ირონიულად იუნყება ბაირონი პოემის დასაწყისში, პოეტი მიყავს დასკვნამდე, რომ თანამედროვე ცხოვრებაში გმირი არ არსებობს. ბაირონი ნალვლიანი ირონიით აღწერს „ბუნებრივი“ მდგომარეობის საგანმანათლებლო უტოპიას.

ავტორი გვაცნობს დონ ჟუანის ოჯახის წევრებს: დონ ჟუანის დედა დონა ინესა განათლებული ქალია, იცის ლათინური და ბერძნული ენები, ფრანგულ რომანებს კითხულობს, ისწავლა ებრაული და ინგლისური, ხოლო ესპანური მისი მშობლიური ენაა; ყველაზე უფრო უყვარს მათემატიკა (I-12). დონ ჟუანის მამას – დონ ხოსე იდალგოს არ ურევია ებრაული ან მავრიტანული სისხლი, საუკეთესოდ ზის ცხენზე. იგი მექალთანეა, ვისთანაც სურს, იმასთან სეირნობს, მეცნიერი და განათლებული არ უყვარს. ჰყავს ორი საყვარელი. ცოლ-ქმარი ერთმანეთს ვერ იტანს (I-23).

პოემის პირველ სიმღერაში აღწე-

რილია დონ ჟუანის პირველი სასიყვარულო თავგადასავალი იულიასთან (1-61). ეს არის 23 წლის ქალი, გათხოვილი 50 წლის მამაკაცზე, სახელად ალფონსო. თუმცა 50 წლის ქმრითაც კმაყოფილია, უფრო კმაყოფილი იქნებოდა, მის ნაცვლად ორი 25 წლის ჭაბუკი რომ ჰყოლოდა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ორივენი მასთან იყვნენ.

იულიას სულ უფრო და უფრო იტაცებს დონ ჟუანი. მისი ქმარი რალაცას ეჭვობს, მაგრამ ცოლი ახერხებს მის მოტყუებას. ნელ-ნელა თავს იჩენს იულიას ახალი თვისებები. ის ისე მოხერხებულად ატყუებს მოხუც ქმარს, რომ დონ ჟუანი თავს შეურაცხყოფილადაც კი გრძნობს (1-140). ერთხელაც ქმარი მოულოდნელად წაასრებს შეყვარებულთ. სკანდალის თავიდან ასაცილებლად, დონა ინესა დონ ჟუანს კადისში აგზავნის. იულია გამოსამშვიდობებელ წერილს სწერს (1-194), რომლის მკითხველს შერცხვება ამ ქალის მიმართ ნაადრევად გამოტანილი დასკვნების გამო. იულიას წერილი მონშობს მის სინანულს, რომ იძულებული გახდა ასეთი მდაბალი ხერხისთვის მიემართა. დონ ჟუანის თვალეზზე გაბრწყინებულ ცრემლებს შეუძლია მკითხველსაც ცრემლები მოჰკვაროს.

კადისისკენ მიმავალ დონ ჟუანს, გემბანზე მდგომს, იულიას წერილის კითხვის დროს ზღვის აედამყოფობა ემართება, გული ერევა. გემის მოაჯირზე გადახდილს, წერილი ხელიდან უვარდება. ამოვარდნილ ქარიშხალში გემი ილუკება. გემის ნამსხვრევებზე ქანცვანყვეტილი მეზღვაურები სანოვაგის უკანასკნელ ნარჩენებს ნთქავენ და დამშეული თვალებით შესცქერიან გადარჩენილ მგზავრებს. მერე კენჭს იყრიან, თუ რომელი მოკლან და შეჭა-

მონ. კენჭის საყრელად ნაკუნებად აქცევენ იულიას წერილისგან დარჩენილ ფურცლებს და ნომრავენ. „ზნეობრივი“ კაცობრიობის წარმომადგენლები სამიჯნურო სტრიქონებზე მომავალი მსხვერპლის ნომერს წერენ. მეზღვაურ პედრილოს ხედება ეს ნომერი. სიკვდილის მანიშნებელი რიცხვი წერილის ყველაზე ნახ სტრიქონზე აღმოჩნდა მიწერილი.

ზღვაში დაბრჩობისაგან დონ ჟუანს გადაარჩენს მეკობრე ლამბრიოს ქალიშვილი, მომხიბვლელი გოგონა ჰაიე (1-116). აქ იწყება დონ ჟუანის მეორე სასიყვარულო თავგადასავალი. ბაირონი აღფრთოვანებულია დონ ჟუანის და ჰაიდეს უბინო ბედნიერებით, მაგრამ ნაღვლიანად და სასაცილოდ ეჩვენება ის, რომ მათ არ ესმით მათი ბედნიერების უძღურება, – შეუთავსებლობა რეალური სამყაროს სისასტიკესთან. ტკბილია ძილი – საშინელია გამოღვიძება, შემთხვევითი არ არის, რომ ტრაგიკული ბოლო შეყვარებულებს თავს დაატყდება ბედნიერ, ღრმა ძილში. მაგრამ თუ ჰაიდესთვის გამოღვიძება და რეალური ცხოვრების მანკიერება ნიშნავს თვით ცხოვრების დასრულებასაც, დონ ჟუანისთვის გამოღვიძება გახდა ახალი ცხოვრების დასაწყისი, – იმ ადამიანის ცხოვრებისა, რომელიც ადვილად ხდება გულგრილი, ადვილად აღწევს წარმატებას და მატერიალურ კეთილდღეობას.

იულიასგან განსხვავებით, ჰაიდე დადებითი გმირია. მას ეშმაკობის ნასახიც არ გააჩნია.

პოემაში მწვავე და ღვარძლიანი სიცილის ფონზე, ბაირონი მშვიდი გულისხმიერებით შესცქერის ცხოვრების სრულფასოვან მოვლენებს. იგი არ

უარყოფს ამ მოვლენებს და გულმოდგინედ დაეძებს მათ.

დონ ჟუანის სიყვარული ჰაიდელსადმი რომანის ერთ-ერთი ყველაზე პოეტური ადგილია. მე-4, მე-6 სიმღერებში პოეტი ხოტბას ასხამს მათ სპეტაკ კავშირს, რომელსაც ანგარების ჩირქი არ სცხია (IV-13,14).

მაგრამ ჰაიდელსთან ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელდება; განრისხებულმა მეკობრემ, ჰაიდელს მამამ, დონ ჟუანი მონად მიჰყიდა თურქებს, ხოლო ჰაიდელ დარდისაგან მოკვდა.

ჰაიდელს და ჟუანის იდილიური სიყვარულის ასეთი დაბოლოებაც თავისებურ პოლემიკას წარმოადგენს რომანტიკოსებთან.

მონათა ბაზრიდან დონ ჟუანი მოხვედბა სულთნის პარამხანაში, საიდანაც გარბის იზმაილისკენ და უერთდება ა. სუფოროვის ჯარებს, მონანილეობს იზმაილის აღებაში და მამაცობისთვის ჯილდოს ღებულობს. ამის შემდეგ დონ ჟუანი ჩადის პეტერბურგში, ეკატერინე II-ის სასახლეში, სადაც მას ბარათი გაატანა ა. სუფოროვმა. დონ ჟუანი ეკატერინეს ფავორიტი ხდება (X-21) და როგორც რუსეთის ელჩი, ინგლისში მიემგზავრება.

შესანიშნავი თვისებები, რომლებიც მას თავიდან ჰქონდა – კეთილშობილება, გამბედაობა, – როგორ შეიცვალა? დიპლომატიური და მაღალი საზოგადოების ინტრიგებში მონაწილეობით, მონივრული თავყვანისცემით მოდური სალონის ფარისეველი დიასახლისის მიმართ!

დონ ჟუანი მიდის წარმატების გზით, მაგრამ არ ხელმძღვანელობს არც ანგარებით, არც რაიმე ცინიკური მოსაზრებებით. ის უბრალოდ, მსჯელობის გარეშე, მიჰყვება საკუთარ ინსტინქტს, ხოლო ინსტინქტი

კარნახობს – არა თქვას უარი ანაწარმირ ცხოვრებისეულ სიკეთეზე და სიამეზე.

დონ ჟუანის პარამხანული თავგადასავლები, მისი უეცარი „სიყვარული“ უემშაკო დუღუს მიმართ, – ბაირონის აღწერილი აქვს ცინიკური ტონით, ყოველგვარი ილუზიების გარეშე. დონ ჟუანის სახეს რომ ქმნიდა, ბაირონი ეკამათებოდა არამარტო ფარისველობას – ადამიანის სულის განმანათლებლურ, ოპტიმისტურ სევდას, არამედ სტიქიური გრძნობის რომანტიკულ პოეზიასაც, და მასთან ერთად ყოველგვარ რომანტიკულ ილუზიებს. დონ ჟუანი ასახულია კონკრეტულ სოციალურ პირობებში. ეს პირობები მოქმედებს მის ხასიათზე და თანდათანობით ყველა ილუზიას უკარგავს. პოეტი დასცინის მის მიამიტობას და თან დასტირის ილუზიების დაკარგვის აუცილებლობას.

ბაირონი დონ ჟუანის დადებით თვისებებსაც გვიჩვენებს: პატიოსნებას, ზიზღს თვალთმაქცობისადმი, თავისუფლების სიყვარულს. ის მერყევია, ცვალებადი ბუნებისაა სასიყვარულო განცდებში, ზოგჯერ ეგოისტიც არის, რისთვისაა ავტორი მას გამუდმებით დასცინის. დონ ჟუანი უარყოფს სულთნის ცოლის სიყვარულს პარამხანაში, თუმცა ეს კინალამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა. მას არ გააჩნია მკაფიო პოლიტიკური იდეალი, მაგრამ სულითა და გულით სძაგს მწაგვრელები, მხნედ და მტკიცედ იბრძვის თავისუფლებისათვის; ავტორის ჩანაფიქრით, რომანის ბოლო თავებში პოლიტიკურად მომნიშვნელო დონ ჟუანი იარაღით ხელში უნდა გამოსულიყო ხალხის უფლებათა დასაცავად. დონ ჟუანი გულისხმიერია, ადამიანურია. მას აქვს სხვების შებრა-

ლების და გულშემატკივრობის გრძნობა. ინგლისში დონ ჟუანი ზიზ-ლით შესცქერის თვალთმაქცობას, სივრუეს, ქურდობას, სოციალურ ჩაგვრას. ინსტინქტურად მას იზიდავს სიკეთე და სილამაზე, მათ სუროგატებზე ამბობს უარს, ოღონდ კი არ მოითხოვონ მისგან დიდი ზნეობრივი ძალისხმევა. მას იზიდავს ავრორა რაბის გულისამაჩუყებელი სიუბრალოე, მაგრამ მზად არის დაკმაყოფილდეს პერცოგინია ფიც-ფალკის მონიფული და ადვილად მისაღწევი მშვენიერებით. ჰაიდესთან დაშორებული, ის მობერებული დედოფლის საყვარელი ხდება.

სასახლის ატმოსფეროში დონ ჟუანი გაიგებს მეფეებისა და მინისტრების ზოგიერთ საეგალლო საიდუმლოებას და მათდამი სიძულვილით გაიმსჭვალება. მასში ვითარდება ფხიზელი და გამჭრიახი გონება. თავდაპირველად ჟუანი გულკეთილი, მაგრამ გონებაზე ზღუდული, თავისი შინაგანი თვისებებით პატარა მასშტაბის ადამიანია. რომანის ბოლოს ის უნდა გამხდარიყო მებრძოლი და შურისმაძიებელი საუკუნეებრივი დამცირებისა და მონობისთვის. ასეთია ბაირონის მიერ დასახული რომანის მთავარი გმირის ევოლუცია.

„დონ ჟუანის“ პირველმა ორმა სიმღერამ, რომლებიც ანონიმურად გამოიცა 1819 წელს, ინგლისის საზოგადოებაზე მეტისმეტი თავხედობის შთაბეჭდილება დატოვა. აქ იყო ბოროტი კარიკატურაც მაღალი საზოგადოების წარმომადგენელთა ქორწინებაზე, ყმანვილთა ტრადიციულ აღზრდაზე არისტოკრატიულ ოჯახებში, მრავალრიცხოვანი ანტისაეკლესიო გამონათქვამები, მაგალითად, პაროდიები სახარებაზე (I-205-206).

ბაირონი ამხელს მაღალი საზოგადოების სულიერ სიცარიელეს, ეგოიზმს და ამორალობას, ხაზგასმით აღნიშნავს მის რეაქციულ როლს იმდროინდელი ინგლისის ცხოვრებაში. პოეტის აზრით, მმართველი კლასები, მათი შერყენილი მორალითა და რეაქციული პოლიტიკით, აბრკოლებენ ინგლისის საზოგადოებრივ პროგრესს. ამიტომ პოეტს არაერთგზის გამოჰყავს რევოლუციურ-რომანტიკული დასკვნა მათი ძალაუფლების მოსპობის აუცილებლობის შესახებ.

ბაირონი დარწმუნებულია, რომ იგი ემსახურება მორალურ პროგრესს და ზნეობის სრულყოფას. მისი აზრით, გულახდილობა ყველაფერში აამაღლებს საზოგადოების ზნეობას, ააშკარავებს ფარისევლურ ამორალობას და ცინიზმს, რასაც რელიგია და ეკლესია მფარველობს⁹.

ბაირონი ყოველთვის გააფთრებით ებრძოდა რწმენის გამოყენებას სუფთა პრაქტიკული ინტერესისთვის. განსაკუთრებით აღაშფოთებდნენ მას მქადაგებლები, რომლებიც მონარქების დიდებისათვის ჯარისკაცებს აგზავნიან სასაფლაოზე და არწმუნებენ, რომ „ღმერთი მათ თვითონ დალოცავს“ (VI-64)... „ღმერთის სახელს უხმობ იმისათვის, რომ უკარნახონ უდიდესი ბოროტმოქმედებანი და სისასტიკე, რომელთა შორის ყველაზე სამინელია ომი“ (VII-12).

ომის თემა ახალი არ იყო ბაირონისთვის, მაგრამ „დონ-ჟუანში“ ის ახალი ძალით ეღერს VI-IX სიმღერებში, რომლებიც მოჰყვება IV-VI „პარამზანის სიმღერებს“. ბაირონი აღშფოთებულია იმით, რომ ვოდსვორთმა ომს უწოდა „ღმერთების ქალიშვილი“ (VII-9), სინამდვილეში კი ომი ძარცვავა, ყაჩაღობა (IX-4), და ვერც „გამარჯვების ხმა-

ური", და ვერც „კეთილსიტყვაობა“ ვერ ჩააჩუმებს განადგურებული, გალატაკებული ქვეყნების წყველაკრულვას (IX-9). პოეტი მიმართავს შთამომავლებს, – „დაივინყეთ სისხლიანი ველურები, რომლებსაც თავი მოაქვთ საკუთარი სისასტიკით!“... „სამუდამოდ დაიმარხოს მოგონება საზიზღარ ნლებზე“ (VIII-136).

ბაირონის მალალი, მამხილებელი პათოსი, როგორც ყოველთვის, შერწყმულია მწარე ირონიასთან. ასე აღწერს იგი, მაგალითად, „მოუსვენარ პატრიოტს“, რომელსაც არ ძალუძს, სიმართლე თქვას თავის მტრებზე და თვლის, რომ „... ისიც მოლაღატეა, ვინც გაბუდავს მასზე პატიოსან ლაპარაკს, ამგვარ საქმეში სიმართლე უადგილოა“ (VII-22).

ერთადერთი ომი, რომელსაც ამართლებს ბაირონი, ეს არის ომი კაცობრიობის განთავისუფლებისათვის (VII-4, 50, 51). ბაირონი დასცინის ჯონ ბულს, რომელმაც „პატრიოტულ ხმაურში“ დაივინყა ომის სიძნელეები – შიმშილი და გადასახადები (VII-44, 45).

ამგვარად, ბაირონი უარყოფს ცრუ მორალს და ცრუ რელიგიას მმართველი კლასებისა საკუთარი, ღრმად ადამიანური ეთიკური იდეალების სასარგებლოდ, და ასევე, გამათავისუფლებელი ომის ჭეშმარიტი პეროიკის, ჭეშმარიტი პატრიოტიზმის საპირისპიროდ, დასცინის ყალბ პეროიკას, ომის რომანტიზაციას და მლიქვნელობას გვირგვინოვანი დესპოტების წინაშე. ასეთ დესპოტად გვიხატავს იგი ეკატერინე II-საც (IX-X).

ბაირონისთვის კანონზომიერია, რომ ეკატერინე II-ის დახასიათებაში დედოფლის დანაშაულებრივი პოლიტიკის დაგმობა ესადაგება მისი პირადი უზენოების მხილებას, პოლიტიკუ-

რი გაკიცხვა განუყოფელია მორალური განკიცხვისგან.

ბაირონის ყურადღების ცენტრშია თვითმპყრობელობის განუსაზღვრელი ძალაუფლება (IX-23) და მისი კარისკაცების ანგარებიანი მლიქვნელობა. თუმცა დედოფლის სახე და მისი კარის დახასიათება მოკლებულია ისტორიულ კონკრეტულობას, ბაირონს არ გამოჩნა რუსული დესპოტიზმის ჭერქვეშ მზარდი თავისუფლებისმოყვარე მისწრაფებანი (VI-93). პოეტი პარალელს ავლებს რუსეთის იმპერატორსა და თურქეთის სულთანს შორის (VI-95), რომელსაც, თავის მხრივ, ირონიულად ადარებს ინგლისის მეფე გეორგ IV-ს (V-148).

ბაირონის რეალისტური სატირა თავის აპოგეას აღწევს „დონ-ჟუანის“ X-XVI სიმღერებში, სადაც პოეტი ამხელს ინგლისის მთავრობის ანტიხალხურ პოლიტიკას, მალალი საზოგადოების პირმოთენობას და ზერელობას, პარტიების საპარლამენტო ბრძოლის კომედიას, შუბლმაგარი ინგლისელი ბურჟუების შეხედულებათა შეზღუდულობასა და თავკერძობას, სიტის მეუფეთ – ბანკირებს, რომლებიც სახელმწიფოს ნამდვილი ბატონ-პატრონები არიან.

ისტორიულად და რეალისტურად გაცილებით უფრო კონკრეტულია პოემის ის ნაწილი, რომელიც ინგლისის ეძღვნება. აქ განსაკუთრებით დაუნდობელია „დიდი რევოლუციური ხარხარი“ პოეტისა. საზოგადოდან ბაირონი გადადის კერძოზე, – ცალკეული პიროვნებების კონკრეტული ბედობლის დახასიათებაზე და რეალური სოციალური პირობების მნიშვნელობაზე.

ბაირონი იწყებს ბურჟუაზიულ-არისტოკრატიული ინგლისის ზოგადი

დაბასიათებიდან, – მისი საგარეო პოლიტიკით, მისი გამყიდველი მთაერობით და უპატიოსნო ჩინოვნიკებით, ყოვლისშემძლე ბანკირებით და ფულის კანონებით (X-67), საბაჟოებით და მაღალი გადასახადებით. მეფეები გვირგვინს ატარებენ როგორც მასხარას ჩაჩს, ქვეყნის ნამდვილი მუპატრონეები კი ფინანსისტები არიან, გიგანტური კაპიტალის მფლობელები. პარლამენტი გადაიქცა გადასახადების მახედ, ხალხი ადრინდელი მაგარი ლუდის მაგივრად ახლა „თხიერ საფლავს“ სჯერდება.

მშემდეგ ბაირონი ყურადღებას მიამყრობს ე. ნ. „მაღალი საზოგადოების“ პოლიტიკას, კანონებს, მორალს; პარაზიტში, არარაობა, – ამ თვისებებს უსვამს ხაზს პოეტი (XI-56). სულიერი უსუსურობა და სიცარიელე მათ ხელს არ უშლის საკუთარი ნება თავს მოახვიონ ხალხის უმრავლესობას. იდეოლოგიური საშუალებები ხელს უწყობენ ამ უსამართლობას, მთაერობას მაამებლობენ და ცდილობენ დამალონ სინამდვილე (IX-35).

გალიზიანებით წერს ბაირონი, რომ კიდევ უფრო ძლიერი იარაღია სიცრუე, შენიღბული პირფერობით და ფარისევლობით. „დაბალი“ კლასების მიმართ ზნეობრივ-რელიგიოზური ჭკუისნაველების საბოლოო მიზანი მხოლოდ ერთია, – მორჩილებაში ჰყავდეთ მშრომელი ხალხი.

„მაღალი საზოგადოების“ ტიპიური წარმომავლენლების სატირიკული ხასიათები პოემაში წარმოდგენილია ლორდი და ლედი ამონდევილების სახით (IX-49,50). ლედი ადელინას პოეტი უქებს გონებას, სილამაზეს (XI-31,32). მაგრამ სატირიკოსის ეს ქება მით უფრო მომაკედინებელია, რომ ერთი შეხედვით ძნელია იმ დახვეწილი ირონი-

ის შემჩნევა, რაც ამ ქებასთანაა შეზავებული. მალე იხსნება ამ წარჩინებული წყვილის „საიდუმლოება“. გარეგნული ბრწყინვალეობა – ელვარება, რომლითაც გარემოცული არიან ამონდევილები, შეუსაბამობაშია სერ პენრის სულიერ უბადრუკობასთან, სულმდაბლობასთან, მისი ინტერესებისა და მისწრაფებების შეზღუდულობასთან.

ცოლ-ქმარი არ იშურებს ძალასა და საშუალებებს, რათა შეინარჩუნოს მაღალი თანამდებობა სამეფო კარზე. ისინი არაფერს თაკილობენ, – ინტრიგას, ცრუ დაპირებებს, მლიქვნელობას, საჩუქრებს.

ადელინა მეუღლის კარიერის გულისთვის უღიმის და ალერსიანად ესაუბრება ისეთ ადამიანებსაც, ვინც გუნებაში ეზიზღება; ერთნაირად მფარველობს ყველას, ვისაც კი „ღირსეულად“ თვლის (XII-32).

ლორდ პენრის უკაცია მეფის მრჩეველის მაღალი პოსტი. მას შთამბეჭდავი გარეგნობა აქვს, მაგრამ პიროვნულად არაფერს არ წარმოადგენს, მხოლოდ ხმამაღალ განცხადებებს აკეთებს. ეს არის პოლიტიკური კარიერისტიკის ტიპიური სახე, უპრინციპო და მლიქვნელი. სერ პენრის პორტრეტი აგებულია ნამდვილისა და მოჩვენებითის წინააღმდეგობაზე. იაფფასიანი დემაგოგი, ის ყველაზე ნაკლებად ფიქრობს „ერის სიკეთეზე“, მაგრამ საჭირო დროს შეუძლია წარმოთქვას წინდანი შესწავლილი რამდენიმე მაღალფარდოვანი ფრაზა, რომლითაც მოხერხებულად მალავს, რომ არ გააჩნია არავითარი რწმენა და იდეალები და ყოველგვარი სისაძაგლის ჩადენა შეუძლია (XII-18,19).

ბაირონი პარალელს ავლებს ბრწყინვალე ლორდსა და მის მსახუ-

რებს შორის, – მათაც ასევე ემინიათ, რომ არაფერი შეეშალოთ, როცა სტუმრებს ემსახურებიან, და ადგილი არ დაკარგონ (XVI-79).

თავისი ადგილის შესანარჩუნებლად ლორდ პენრი ზოგს ქათინაურებს უძღვნის, სხვებს – საჩუქრებს, და ყველას – დაპირებებს (XVI-71). მისი ხმა-მალალი ფრაზები შინაარსით ძალიან ბანალურია, რაზედაც არ უნდა ილაპარაკოს, – სიყვარულზე, მეგობრობაზე, – მუღლესთან განმარტობით თუ ამომრჩეველთა კრებაზე (XIV-69). მისი ფრაზეოლოგია დატკეპნილი, უშინაარსო, იმდენად ჩვეულია, რომ წარმოითქმება მექანიკურად, ყოველგვარი ყურადღების გარეშე. ოფიციალური თუ კერძო პირი, პოლიტიკოსი თუ მეოჯახე, ის ყოველთვის უპრინციპოდ ემთხვევა და კარიერისტია, ხელმძღვანელობს ეგოისტური ანგარებით, ცხოვრებისეული სიბრძნით და საზოგადოებაში მიღებული წესებით. მისი ინდივიდუალურით ვისებუბია სიამაყე და პატივმოყვარეობა, დამახასიათებელი მთელი არისტოკრატიული საზოგადოებისთვის.

ლორდ პენრის და ლედი ადელინას ქორწინება აღწერილია როგორც კორექტული და ცივი.

ლედი ადელინას პორტრეტი განსხვავებულია დონ ჟუანის დედის – ინესას კარიკატურულ-განზოგადებული სახისაგან. ინესა მუდამ მეტყველებს როგორც მალამდგომი „წმინდანი“, სინამდვილეში კი ის სულმდაბალი ადამიანია, სურს ქმრის სიკვდილი, შეეცადა იგი გიჟად გამოეცხადებინა. ქორების შიშით, ის ფარისევლური აღერსიანობით მიმართავს თავისი საყვარელის ახალგაზრდა ცოლს.

დაპირისპირების იგივე მეთოდი გამოიყენება პოემის მეორეხარისხო-

ვანი, ეპიზოდური პერსონაჟების მიმართ. აქ არის თავზედი კანონმდებელიც, გენერალიც და ოთხი კეთილშობილი ჯენტლმენიც (XIII-84,88).

ბაირონის მამზილებელი სატირა აგებულია მკვეთრ ანტითეზაზე: შესანიშნავი გვარები და ნიჭიერებათა სიმწირე (XIII-87), კეთილშობილური წარმომავლობა – და არც თუ კეთილშობილური ქცევა (XIII-86), უცოდველი გარეგნობა – და დაცემული ზნეობა (XIII-79).

ეფექტურად, თავისი ნამდვილი სახით, წარმოდგენილია ძლევამოსილი ლორდის ცხოვრება მთელი მისი კომპონენტებით, – ხმის მიცემა, სადილი, სმა, თამაში, გარყვნილება (XI-75). იქმნება პედანტური და კომერციული ინგლისის გონებაჩლუნგობის, სულიერი სიცარიელის სურათი მცირერიცხოვანი, ზუსტი, რეალური დეტალებიდან XI-68).

ხშირად, უარყოფითი პერსონაჟების დახასიათება მთავრდება მათი არსის გამოხატველი კომიკური გვარის დასახელებით. ასეთებია: მღვდელი ენატარტარა, ფილოსოფოსი დონსკეპტიკუსი, გვარდიელი – ჯერ ფარგონი. ქალები ატარებენ გვარებს – ო'შლეიფი, მაკ-კორსეტი და სხვა. „ფილოსოფოს-რადიკალს“ პოეტი ახსენებს ცნობილ ლოთთან ერთად, ხოლო „შთაგონებულ მეტაფიზიკოსზე“ ვგებულობთ, რომ მას ერთნაირად უყვარდა მეცნიერება და ბანკეტები. ზოგიერთ შემთხვევაში კომიკური გამოსახულება მიღწეულია ერთი ტიპის პერსონაჟების მრავალრიცხოვნებით, ამგვარი „მასობრივობა“ თავისთავად ეჭქვემ აყენებს მათი გრძნობების ამაღლებულ ხასიათს და გულწრფელობას.

პოეტი სატირული დახასიათების-

თვის იყენებს მეტაფორებს და შედარებებს. „მალალი საზოგადოება“ ბაირონთან ხან „ორფეხა საქონელია“ (XI-49), ხან თამაში „ბატობანა“ (XI-58), ხანაც საჭადრაკო დაფაა, სადაც გამწკრივებული არიან მეფეები, დედოფლები და სხვა ფიგურები (XII-89), მათი საუბარი წარმოდგენილია როგორც „ცოხნა“ (XI-43); ქალბატონები შედარებული არიან გაფილტრულ ნყალთან (XII-80) ან მოხდელ რძესთან (XV-41). „მალალ საზოგადოებას“ ბაირონი სამხეცეს ადარებს (XI-24); პოეტი სულ უფრო ნათლად ხედავს, რომ ესაა ტვირთი, რომლისგანაც დაბალი კლასები უკვე ცდილობენ განთავისუფლებას (XI-84).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პოემის ენა, მრავალფეროვანი და თავისი არსით ღრმად დემოკრატიული. ფართოდ არის გამოყენებული სალაპარაკო ენა, ინგლისური ენის მდიდარი იდიომატიკა, მხატვრული გამოთქმები, ანდაზები და ფოლკლორული საბავშვო სიმღერები. ბაირონი იყენებს საყოფაცხოვრებო ლექსიკას და მას მოულოდნელად და ორიგინალურად უხამებს ფილოსოფიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, ფინანსების, ფსიქოლოგიის, მითოლოგიის, თეოლოგიის და ფიზიკის ტერმინოლოგიას. ყოველივე ეს პოემის ენას და სტილს არაჩვეულებრივ ბრწყინვალეობას ანიჭებს³⁰.

პოემის ზომა-ოქტავა – ბაირონმა იტალიელებისაგან გადმოიღო.

ბოლო ორი სტრიქონი ან ამაზვილებს, ან ირონიულად ანადგურებს პირველი ექვსი სტრიქონის მნიშვნელობას (II-92). პოეტური ფორმა შეკუმშულია, სიტყვიერი საშუალებები – კონცენტრირებული, რაც განსაკუთრებულ დაძაბულობას და ძალას ანი-

ჭებს ბაირონისეულ მხილებებს. ბაირონის ძირითადი სტილისტური პრინციპია დაბალი სტილის ფართო გამოყენება და პაროდია მალალ სტილზე. რითმის საშუალებით ბაირონი აპირისპირებს მალალსა და მდაბალს, პროზაულს და პოეტურს, პათეტიკურს და კომიკურს, დიდებულსა და სასაცილოს.

ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეში რეაქციული კრიტიკოსები უკვე გრძნობდნენ, როგორ საფრთხეს შეიცავდნენ „დონ ჟუანის“ მხიარული სიმღერები. ასე, ცნობილი ჟურნალისტი კროკერი 1820 წელს წერდა: „ეს სტრიქონები... ზიანს აყენებენ ნაციონალურ ღირსებას და შეურაცხყოფენ საზოგადოებრივ გემოვნებას“³¹.

1819-23 წწ. მოქმედებული 32 რეცენზიიდან 21 იყო აშკარად მტრული, 9 – ნახევრად – საქებარი, ნახევრად – საყვედურიანი და მხოლოდ 2 შეიცავდა თავშეკავებულ ქებას, თუმცა უზნეობას ისინიც საყვედურობდნენ. დანარჩენ რეცენზიებში ბაირონს თავს ეხსმიან ქალების ღირსების შეურაცხყოფისათვის, გარყვნილების დაცვის, მონარქიის ღალატის, ღვთის გამოხისათვის.

ბაირონის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო მისი ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისიდან და უმალეს ნერტილს მიაღწია „დონ ჟუანის“ გამოქვეყნებისას. ეს ბრძოლა პოეტის გარდაცვალების შემდეგაც გრძელდებოდა.

პოემის მნიშვნელობა კარგად გაიგო შელიმ: „ყოველ სიტყვას ადევს უკვდავების ბეჭედი“. ბაირონის დიდ დამსახურებად იგი მიიჩნევდა, რომ ადამიანის ბუნების ყველაზე უარესი მხარეები დახატა მთელი მათი ქვეშაირიტი სიმბინჯით. „არაფერი მსგავსი

ჯერ არ აღწერილა ინგლისურ ენაზე". შელის მიაჩნდა, რომ პოემაში არ იყო არცერთი სიტყვა, რომლის განადგურებაცაც მოისურვებდა ადამიანის ღირსების ყველაზე მკაცრი დამცველიც კი¹².

ჯორჯ გორდონ ბაირონის შემოქმედებამ, მისმა პიროვნებამ უდიდესი გავლენა მოახდინა ევროპის კულტურაზე და აზროვნებაზე. იგი გახდა რო-

მანტიკული ამბოხების სიმბოლო. მისი სახელით წარმოიქმნა ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელსაც ბაირონიზმი დაერქვა. ინგლისის ლორდი, პარლამენტის წევრი, თავისი გამოსვლებით და პოეტური შემოქმედებით იბრძოდა თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის. ის მსოფლიოს მოქალაქე გახდა და სიცოცხლეც შენირა საბერძნეთის თავისუფლებას.

ბიბლიოგრაფია

1. Мольер Ж.Б. Собрание сочинений. М., 1957 г.
2. რევიშვილი შ. საზღვარგარეთული ლიტერატურა. თბილისი, 1953 წ.
3. ვინოგრადოვი ა. ბაირონი. „ნაკადული“, თბილისი, 1973 წ.
4. Жирмунский В. М. Байрон и Пушкин. Л., 1977 г.
5. Дьяконова Н. Я. Стиль поэмы Байрона „Дон Жуан“. Л., 1955 г.
6. Дьяконова Н. Я. Предисловие к поэме Байрона „Дон Жуан“. М.-Л., 1959 г.
7. იქვე.
8. იქვე.
9. იქვე.
10. Елистратова А. А. Байрон. М., 1956 г.
11. Дьяконова Н. Я. Стиль поэмы Байрона „Дон Жуан“. Л., 1955 г.
12. იქვე.
13. Вугол. Don Juan. Pube. House. M., 1948.



XIX საუკუნის ცნობილი ქართველი ქალები

ელისაბედ დიმიტრის ასული ორბელიანი-ბარიატინსკისა*

ელისაბედ ორბელიანი ბაგრატიონთა სახელოვანი დინასტიის შთამომავალი იყო, დიდი ქართველი მეფის, ერეკლე მეორის უმცროსი ქალიშვილის, თეკლე ბატონიშვილისა და ქართული ფეოდალური არისტოკრატის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ვახტანგ ორბელიანის ვაჟის, დიმიტრის ერთადერთი ქალიშვილი.

იგი დაიბადა და ბავშვობა გაატარა სოფელში, ორბელიანთა საგვარეულო მამულში. მან ოჯახის პირობებში ბრწყინვალე ევროპული განათლება მიიღო. ელისაბედი სრულყოფილად ფლობდა ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ ენებს, ჰქონდა სამეფო ოჯახის შესაფერი აღზრდა.

ცნობილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა, რომელმაც 1858 წლის დასასრულსა და 1859 წლის დასაწყისში იმოგზაურა კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, გაეცნო დიმიტრი ორბელიანის ოჯახს, რომლის შესახებაც შემდგომში იგი აღფრთოვანებით წერდა: «თავადი ორბელიანის მეუღლე ორმოცი წლის მანდილოსანი იქნება. ის უნდა ყოფილიყო თბილისის ულა-

მაზესი ქალი. პუდრი, რომელსაც ახლა, ალბათ, სიკოცხავის მიზნით ისევამს, მის სახეს მე-18 საუკუნის ელფერს აძლევს. ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს სხვა წარჩინებული მანდილოსანი, რომელსაც ესოდენ მედიდური გარეგნობა ჰქონდეს. თუ თქვენ თავად ორბელიანის მეუღლეს ქუჩაში პირისპირ შეხედებით, რომ არ იცნობდეთ კიდეც, უსათუოდ თავს დაუკრავთ, ისეთი პატივისცემით იმსჯვალეება მნახველი მისდამი. თავადის მეუღლე დედაა, თბილისის ერთ-ერთი უღამაზესი, სიცოცხლით საესე, გონებამახვილი და მშვენიერი ახალგაზრდა ქალის, ქ-ნ დავიდოვ-გრამონისა. დავიდოვის მეუღლე არის პანანინა მომხიბლავი ორბელიანის ქალი. როცა ამ პატარა, ჰაეროვან, ბრწყინვალე ახალგაზრდა ქალს უყურებ, ფიქრობ, კოლიბრის ბუდე ჰქონია აკვნადო»¹.

ეს „პატარა, ჰაეროვანი, ბრწყინვალე ახალგაზრდა ქალი“ გახლდათ ელისაბედ (ლიზა) ორბელიანი, იმჟამად კავკასიის მთავარმართებლის ალექსანდრე ბარიატინსკის ადიუტანტისა და ნათესავის, ცნობილი რუსული გვარის დავიდოვებისა და ფრანგი პერცოგების – გრამონების შთამო-

* ნინამდებარე პუბლიკაცია ნაწილია წერილთა სერიისა, რომელთაც ავტორი უძღვნის XIX საუკუნის ცნობილ ქართველ ქალებს.

მავლის, პოლკოვნიკ ელადიმერ ალექსანდრეს ძე დავიდოვ-გრამონის მეუღლე.²

გათხოვების შემდეგ ელისაბედ ორბელიანი მეუღლესთან ერთად თბილისში დასახლდა და გარს შემოიკრიბა ქართული არისტოკრატიული ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები. გრიგოლ ორბელიანი თავის წერილში ბაბალე საგინაშვილთან 1858 წელს წერდა: „ვიყავ ბორჯომშიაცა ჩვენს ბატონთან; განცხრომით და სიამოვნებით ატარებენ დროსა - იქაურ მეფედ არიან ღიზა და კაბლერის ცოლი“.³

მთავარმმართველ ა. ბარიატინსკის შეუყვარდა მისივე ნათესავის და ადოლტანტის მშვენიერი მეუღლე და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მასზე დაქორწინებულიყო. „ბარიატინსკიმ ჩემი ძმისწული ღიზა რამდენი წვალეებით თავის ქმარს გააშეებინა, და ბოლოს, თვითონ იქორწინა მასზე“, - წერდა ელისაბედის ბიძა ალექსანდრე ორბელიანი.⁴ ამის შესახებ წერდა დიმიტრი ყიფიანიც თავის მემუარებში.⁵ „დამთავრდა თავადი ბარიატინსკის მეფის მოადგილეობაც კავკასიაში: ის აქ ველარ დაბრუნდებოდა ერთი სკანდალის გამოც, საზღვარგარეთ რომ შეემთხვა: ცოლი წართვა თავის ადოლტანტს და, მასთან დუელით გასწორების შემდეგ, ჯვარი დაიწერა“.

რუსეთის უმაღლესი არისტოკრატის ბრწყინვალე წარმომადგენელმა, ფელდმარშალმა ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკიმ და ბავრატონთა შთამომავალმა ელისაბედ ორბელიანმა ბრიუსელში 1863 წელს იქორწინეს. ამ ქორწინების შესახებ ფელდმარშალმა 1863 წლის 8 ნოემბერს იმპერატორ ალექსანდრე მეორეს ბრიუსელიდან აცნობა.⁶ ბარიატინსკი იმედოვ-

ნებდა, რომ ეს ქორწინება საშუალებას მისცემდა მას მოეპოვებინა სიმშვიდე და აღედგინა შერყეული ჯანმრთელობა; ა. ბარიატინსკიმ საშუალოდ დატოვა კავკასიის მთავარმართველის პოსტი.

ქორწინების შემდეგ ბარიატინსკები სამხრეთ ინგლისში ჩოურბე-ლოყალ-ში დასახლდნენ, პატარა ისტორიულ სოფელში, სადაც ერთ დროს კრომველისაგან დევნილი მარია-ანრიეტი იმალებოდა.⁷ აქ ელისაბედ ორბელიანი გაიტაცა ინგლისის ეკლესიის ისტორიის შესწავლამ, რამაც ასახვა პპოვა მის შეხედულებებში.⁸ ინგლისში მათ შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდათ ალექსანდრა ოსიპის ასულ სმირნოვა-როსეტთან, რომელიც ამ დროს ტორკეიში ცხოვრობდა თავის შვილებთან ერთად. „Черноокая Россия“ (ა. პუშკინი) იყო XIX საუკუნის რუსეთის ერთ-ერთი ცნობილი და საინტერესო პიროვნება, ფრეილინა, პუშკინის, გოგოლის, ყუკოვსკისა და ვიაზემსკის ახლო მეგობარი, იმდროინდელი არისტოკრატიული და ინტელექტუალური საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი, წარმოშობით ქართველთა, კერძოდ, ციციშვილების (ციციანოვების) შთამომავალი, ბებუის ეკატერინე (ქეთევან) იასეს ასულ ციციშვილის მზრივ.⁹

ბარიატინსკები რუსეთშიც და უცხოეთშიც ჩვეული ფუფუნებით ცხოვრობდნენ, ტრიალებდნენ უმაღლეს არისტოკრატიულ წრეებში. რუსეთის საიმპერატორო სახლისათვის ფელდმარშალი ბარიატინსკი იყო ეროვნული გმირი, რომელმაც უძლეველი ჩიჩნეთი რუსეთს დაუმორჩილა. ამის ტოლფასი იყო საიმპერატორო სახლის დამოკიდებულებაც მისდამი. ახლადდაქორწინებულ ფელდმარშალს იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ საჩუქ-

რად უბოძა პოლონეთის მეფეთა ყოფილი მამული ვარშავასთან ახლოს, სკერნევიცაში, სადაც ისინი დასახლდნენ.

უცხოეთში მცხოვრები ბარიატინსკები ყოველთვის ესწრებოდნენ იმ მიმწველოვან ღონისძიებებს, რომლებსაც საიმპერატორო ოჯახი მართავდა. 1868 წლის მაისში ალექსანდრე და ელისაბედ ბარიატინსკები მინვეული იყვნენ პეტერბურგში ნიკოლოზ ალექსანდრის ძის (შემდგომში იმპერატორ ნიკოლოზ II-ის) დაბადებისთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებაზე. ფელდმარშალს წილად ხედა პატივით თან ხლებოდა ახლადშობილ ტახტის მემკვიდრეს ცარსკოე სელოს ალექსანდრეს სასახლეში შებრძანებისას და კანცლერ გორჩაკოვთან ერთად კარის ეკლესიაში მისი ნათლობისას. ამ საზეიმო ღონისძიებებს ესწრებოდა დიმიტრი ორბელიანიც, ელისაბედის მამა. ამის შემდგომ ყველანი ფელდმარშალის უფროსი დის, გრაფინა ოლგა ნიკოლოზის ასულ ორლოვა-დავიდოვას მამულში, ოტრადნოეში გაემგზავრნენ. ფელდმარშალმა იმპერატორის დავალებით იქ სტუმრად ჩაიყვანა ზეიმზე მყოფი ლეგენდარული იმამი შამილი და მისი უფროსი ვაჟი ყაზი-მაჰომადი. ალექსანდრე და ელისაბედ ბარიატინსკებმა და გრაფ ორლოვა-დავიდოვის ოჯახმა შამილი და მისი ვაჟი საოცარი პატივითა და დიდებით მიიღეს.¹⁰

ფელდმარშალი ა. ბარიატინსკი ამ დროს უკვე სერიოზულად იყო ავად. იგი მძიმედ განიცდიდა იმას, თურაბედ მოელოდა მეუღლეს მისი გარდაცვალების შემთხვევაში. ავადმყოფობა და ელისაბედ ორბელიანიც. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, რომელიც ქმართად ერთად იმყოფებოდა სტუმრად ბარიატინსკებთან სკერნევიცაში,

წერდა, რომ როცა ელისაბედი საუბრობდა, „... ეტყობოდა, საშინლად წერვიულობდა ყველა იმ წარსულისათვის, რომლის უკან დაბრუნება ყოველად შეუძლებელი იყო.“¹¹ ელისაბედ ორბელიანი, მართლაც, ძალიან განიცდიდა იმას, რომ მიატოვა ცოცხალი მეუღლე, რაც ფაქტობრივად მისი მძიმე ავადმყოფობის მიზეზი გახდა.

ფელდმარშალი ალექსანდრე ბარიატინსკი გარდაიცვალა 1879 წლის 25 თებერვალს, დილის 7 საათზე, 64 წლის ასაკში. ავადმყოფის გვერდით იმყოფებოდნენ მისი მეუღლე – ელისაბედ ორბელიანი, ადიუტანტი – აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილის ვაჟი გიორგი შერვაშიძე და მისი მეუღლე, მთავარმართებელ მ. ი. ვორონცოვის ლეიბ-ქეიშის ერასტი ანდრეევსკისა და ბაბალე გიორგის ასულ თუმანიშვილის ასული ელენე (ელო), მათი ქალიშვილი ვარვარა. ალექსანდრე ბარიატინსკი დაკრძალეს ივანოვოში, საგვარეულო აკლდამაში. მისი სულის მოსახსენებლად საიმპერატორო სახლმა პანაშვიდი გადაიხადა ზამთრის სასახლის ეკლესიაში. მის დაკრძალვას ესწრებოდა ტახტის მემკვიდრე, შემდგომში იმპერატორი ალექსანდრე მესამე.¹²

მარტოდ დარჩენილი და ჯანმრთელობაშერყეული, წერვიულად დაავადებული ელისაბედ ორბელიანი სამუდამოდ დასახლდა ახენს, დრეზდენის მახლობლად, ვილაში „ფრეი“, სადაც ეწეოდა უაღრესად კარჩაკეტილ ცხოვრებას.

1899 წლის 1 თებერვალს, 63 წლის ასაკში, გარდაიცვალა ელისაბედ ორბელიანი-ბარიატინსკისა. იგი დაასაფლავეს ქმრის გვერდით. გაზეთებმა „ივერია“ და „Кавказ“-მა გამოაქვეყნეს ვრცელი ნეკროლოგები, ნათესავების – მარიამ და ნიკოლოზ ჯამბაკურ-ორ-

ბელიანების სამგლოვიარო განცხადებები.¹³ 8 თებერვალს, დილის 10 საათზე, ელისაბედის სულის მოსახსენებლად სიონის ტაძარში გადახდილ იქნა წირვა და პანაშვიდი.

ასე ტრაგიკულად დასრულდა თავისი დროის ერთ-ერთი ულამაზესი და კეთილშობილი ქართველი ქალბატონის ელისაბედ ორბელიან-ბარიატინსკის სიცოცხლე.

შენიშვნები:

1. ალექსანდრე დიუმა. „კავკასია“. თარგმანი ფრანგულიდან თინათინ ქიქოძისა, „მერანი“, თბილისი, 1970, გვ. 278.
2. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. შ-1663, გვ. 16-17.
3. გრიგოლ ორბელიანი. „წერილები“. ტომი მეორე. 1937, „სახელმწიფო გამომცემლობა“. გვ. 248.
4. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. შ-1663, გვ. 16-17.
5. დიმიტრი ყიფიანი. „მემუარები“. ტფილისი, 1930, გვ. 60.
6. А. Зиссерман, „Фельдмаршал князь Александр Иванович Барятинский. 1815-1879“. ტ. III, გვ. 163.
7. А. Д. Смирнова-Россет. „Дневник. Воспоминания“. Москва, „Наука“, 1989, გვ. 205.
8. „Кавказ“. 1899, 7-го февраля, №35, გვ. 2.
9. А. Д. Смирнова-Россет. „Дневник. Воспоминания.“ გვ. 321.
10. А. Зиссерман, „Фельдмаршал князь Александр Иванович Барятинский. 1815-1879.“ ტ. II, გვ. 187-188.
11. „ლიტერატურის მატრიანე“, ნიგნი 5, ნაკვეთი I, თბილისი, 1949, გვ. 87-88.
12. А. Зиссерман, „Фельдмаршал князь Александр Иванович Барятинский. 1815-1879.“ ტ. III, გვ. 267.
13. „ივერია“, 1899, №29, 9 თებერვალი, გვ. I; „Кавказ“, 1899, №35, 7 февраля, გვ. 2.

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგირთი ცნებისა და ადგილის გაგებისათვის

„ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობრივი პრობლემატიკის ერთი მძლავრი ნაკადი ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი გულისა და გონების მოძრაობა, ნებელობითი ტენდენციები, მისწრაფებები, ტანჯვა და სიხარულია, რაც მისი შინაბუნების, საზოგადოდ, სულიერების გამოვლენაა. პოემაში გვხვდება არაერთი ცნება, რომლებიც ადამიანის შინაგან სამყაროს გვიხასიათებს. განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს ის ცნებები, რომლებიც ადამიანის სულიერი სამყაროს ფსიქოლოგიურ თავისებურებებს გვიხასიათებენ. ანთროპოლოგიური შინაარსის ცნებებს რუსთაველი გარკვეული კონცეპტუალური თვალსაზრისით იყენებს. მათი გამოვლენა და სწორი ინტერპრეტაცია გვაძლევს გასაღებს პოემის ტექსტის არაერთი ადგილის სწორად გასააზრებლად. რუსთაველი ადამიანის ფსიქიკური სამყაროს დასახასიათებლად იყენებს კლასიკური ეპოქის ფსიქოლოგ ანთროპოლოგთა ცნებებსა და შეხედულებებს.

რუსთაველი მკაფიოდ აყალიბებს ადამიანის ფსიქიკის ისეთი ნაწილების ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებულობის აზრს, როგორცაა „გული, ცნობა და გონება“, რითაც გამოხატავს ადამიანის შინაგანსამყაროს

ერთიანობისა და მთლიანობის იდეას, რომელიც შეიძლება „ადირღვეს“ („შევიწროვდეს“, „გაილიოს“) სხვადასხვა გარემოებათა გამო. რუსთაველის განსაზღვრით, გულის „ნასვლას“ თან მოჰყვება ფსიქიკის სხვა ნაწილებიც (ცნობა, გონება), რაც იწვევს პიროვნული მთლიანობის რღვევას.

„ვეფხისტყაოსანში“ მკაფიოდ იკვეთება „ქარგი ყმის“ სახე, როგორც მთლიანი პიროვნებისა, თავისი დამახასიათებელი ნიშნებით, მაღალადამიანური თვისებებითა და ღირსებებით. რაინდის სახე ორგანულად უკავშირდება რუსთაველის ეპოქის კულტურასა და სოციალურ სამყაროს.

ადამიანის შინაგანი სამყარო რუსთაველის ქრისტიანული მსოფლმხედველობის საზომს წარმოადგენს. პოემის ავტორის ქრისტიანული „ფიზიონომია“ გამოსახულია პერსონაჟთა შინაგან სამყაროში. „ვეფხისტყაოსნის“ ანთროპოლოგიურ ცნებათა ანალიზი, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს ზოგიერთი ადგილის სწორად გააზრებას.

1. **ლევა.** პოემის მთელი რიგი ადგილების ანალიზისას ყურადღებას იქცევს ისეთი საყურადღეო ანთროპოლოგიური ცნება, როგორიცაა „ლევა“. „ვეფხისტყაოსანში“ ვხვდებით „ლევა“, „გალევა“, „დალევა“ სიტყვებს,

რომლებიც პიროვნების შინაბუნებასთან მიმართებით, უჭველია, იმსახურებენ მკვლევართა ყურადღებას.

„ლევა“ და მისგან წარმოებული ფორმები ხშირია ძველქართულ ტექსტებში. მოვიტანთ რამდენიმე დამახასიათებელ შემთხვევას, რომლებშიც თვალსაჩინოა ამ სიტყვის სპეციფიკური ანთროპოლოგიური სემანტიკა: „რომელნიმე... გუემულნი და ქენჯნილნი შიშითა განილევინ და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართავან ძლიერთა“ (აბოს ნამება); „განვილევი მწუხარებითა“ (მამათა სწავლანი); „არს იგი განმლეველ სათნოებისა, ვითარცა გესლი რკინისა“ (მამათა სწავლანი); „მე ჯეროვნად განვილიო და განვეყდე (2 კორ. 12.15); „არა განილიო ტანჯვითა“ (ნამება ნშიდისა ლონგინესი); „მეფე რუსუდან მას ჭამსა ტპილისა შეილისათვის მწარედ ილეოდა და დასნეულებული გარდაიცვალა ტფილისს“ (ყამათაღმწ.).

მოტანილი მაგალითები ცხადად გვიჩვენებენ, რომ „ლევა“ („განლევა“) ემოციურ შინაარსის „შიშის“, „ტანჯვის“, საზოგადოდ, „მწუხარების“ (სემანტიკის შემცველი სიტყვაა. ნიშანდობლივია ისიც, რომ „ლევა“, ისევე როგორც „კლება“ („მოკლება“), „შეინრება“ და სხვა ემოციური („ვნებით“) შინაარსის სიტყვები, პიროვნების „მთლიანობის“ დაკარგვას („რღვევას“) გამოხატავენ. როგორც ჩვენს მიერ მოხმობილი მაგალითი გვიჩვენებს, ხდება „სათნოების“ (მთლიანობის) განლევა. ყურადღებას იქცევს, რომ „განლევა“-სთან ერთად წარმოდგენილია ისეთი უარყოფითი ემოციური ანთროპოლოგიური ცნებაც, როგორიცაა „განკაფა“. „შიშით განლევას“ ტექსტებში ბუნებრივად ენაცვლება

„შიშით შეინრება“ (ყამათაღმწ.), „შედრეკილობა-კლება“ (ვეფხ.).

როგორც ითქვა, „ვეფხისტყაოსანში“ ჩვენთვის საინტერესო სიტყვა „ლევა“ რამდენჯერმეა წარმოდგენილი. პირველ რიგში დავიმონებ ერთ მეტად საინტერესო სტრიქონს: (ავთანდილი მიმართავს ტარიელს) „სჯობს ასმათისა არ-ლევა მაგა სამხრისა ლევასა“ (897.3).*

ამ სტრიქონის სწორად გასააზრებლად საჭიროა მთელი კონტექსტის მოშველიება. ავთანდილი ეუბნება ტარიელს: „ერთსა რასმე მოგახსენებ, გამიცხადე დაფარული: / ეგე სამხრე მისეული, შენ გაჩნია ვისგან წყლული, / რაგვარ გიღირს? – თქვი, დავილო მერმე სული“ (895.3-4). ავთანდილს სურს შეიტყოს, რა ღირებულებისაა ტარიელისთვის ნესტანის მიერ ნაჩუქარი სამხრე, რა გრძნობა ამოძრავებს მის მიმართ. ამ შეკითხვის არსი შემდეგ ხდება ცხადი. ტარიელი უპასუხებს: „ესეა ჩემი სიცოცხლე, ჩემი მომცემი ახისა, / მჯობი ყოვლისა სოფლისა, წყლისა, მიწისა და ცისა“ (896.2-3). ავანდილი უმალ მოუგებს: „ელამობდი მართ მაგისისა თქმევასა“ (სწორედ მაგ პასუხს ველოდით) და დასძენს: „სჯობს ასმათისა არ-ლევა მაგა სამხრისა ლევასა“. რას უნდა ნიშნავდეს ავთანდილის ეს ნათქვამი?

„ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკულ გამოცემაში (1966) „სამხრისა ლევასა“ შეცვლილია ასე: „სამხრის არ-ლევასა. კონიექტურა ეკუთვნის ა. შანიძეს. მაგვარი უარყოფითი ფორმა ხელნაწერ იკითხვისებში არ დასტურდება. ამ კონიექტურით „ლევა“-ს ემატება წინ „არ“ ნაწილაკი იმ მიზნით, რომ ბუნდოვანი შინაარსი, როგორც ამას მიიჩნევს მკვლევარი, გაიმართოს. მაგრამ

* ციტატები მოხმობილია 1957 წლის გამოცემიდან.

ისმის კითხვა: რამდენადაა გამართლებული ამგვარი შესწორება? – აქვე იმასაც დავძენ, რომ კონიექტურა გაზიარებულია ნათაძის სასკოლო გამოცემაში. მთლიანად სტრიქონი ასე გამოიყურება: „სჯობს ასმათისა არ-ლევა მაგა სამხრის არ-ლევასა“ ამგვარი ნაკითხვა არ არის გაზიარებული „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის გამოცემაში (1988), რომელიც იმეორებს 1957 წლის გამოცემის ნაკითხვას: „სჯობს ასმათისა არ-ლევა მაგა სამხრისა ლევასა“ (ცხადია, ასევეა სხვა ტრადიციულ გამოცემებშიც). ვფიქრობთ, 1988 წლის გამოცემაში კონიექტურა სამართლიანად არ არის გაზიარებული, რადგან არც შინაარსობრივი გამართლება ეძებნება და პოეტური ლექსთწყობის თელაზრისითაც მიუღებელია.

ა. შანიძის მიერ შედგენილ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონში (ერთვის 1957 წლის გამოცემას) ჩვენთვის საინტერესო ადგილის „ლევა“ განმარტებულია როგორც „შეღვევა“. თუ გავითვალისწინებთ კონიექტურას „არ-ლევა“, მაშინ მთელი სტრიქონი უნდა გავიგოთ ასე: „სამხრის შეუღვევლობას ასმათის შეუღვევლობა სჯობსო“ (ნათაძის სასკოლო სახელმძღვანელოშიც დაახლოებით ასეთსავე განმარტებას ვკითხულობთ „ლევა“ სიტყვის განმარტებისას – „შეღვევა“, „ხელის აღება“, „განირვა“. ამ ახსნაში დაზუსტებულია ა. შანიძისეული ინტერპრეტაცია. როგორც ვხედავთ, აზრი გამართულია, თუმცა ავთანდილს ამის თქმა არ სურს ტარიელისთვის. უკონიექტუროდ, „ლევა“ რომ დაგვეტოვეზნა, ა. შანიძის აზრით, ტექსტი მახინჯდება და საპირისპირო შინაარსს ძენს. იგი წერს: „ჩემი შენიშვნები პოემის შესწორებული ადგილების შესახებ საზოგადოდ მოკლეა, ზოგჯერ და-

საბუთებაც კი არ ახლავს, მაგრამ ერთი ადგილის შესწორების შესახებ საკმაოდ ვრცელი დასაბუთება მაქვს მოყვანილი. ეს ერის: „სჯობს ასმათისა არ-ლევა მაგა სამხრისა ლევასა“. მკვლევარი განაგრძობს: „მე ვამბობდი, რომ ტექსტი შერყვნილია და ასე უნდა შესწორდეს-მეთქი: მაგა სამხრის არ ლევასა. განა ჩემი განმარტების შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარი შეიძლება ოდნავ დაეჭვდეს, რომ შესწორება სწორია? არა, არ შეიძლება, მაგრამ კ. ჭიჭინაძე მაინც დაეჭვებულა: რიტმია დარღვეულიო. ალბათ კ. ჭიჭინაძეს ჰგონია, რომ რაკი „არ“ ნაწილაკი დეფისით შეუერთდა მომდევნო სიტყვას წერაში, იგი მისი გახდა. არა! აქ არც რიტმია დარღვეული და არც არაფერი, ყველაფერი წესსა და რიგზეა. ყოველ შემთხვევაში დავიხსომოთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელს – კ. ჭიჭინაძეს სრულიად აკმაყოფილებს ასეთი ნაკითხვა: „სჯობს ასმათისა არ-ლევა მაგა სამხრისა ლევასა“, ე. ი. სჯობს, ასმათს არ შეეღვიო, ვიდრე ელოდე მაგ სამხრესო, რაც სრული შეუსაბამობაა. ნამდვილად კი აზრი ასეთია: სჯობს, ასმათს არ შეეღვიო, ვიდრე არ ელოდე მაგ სამხრესო (ა. შანიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის ისტორიიდან, თსუ შრომები, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, №108, 1954).

როგორც ვხედავთ, ა. შანიძე პრინციპულად დარწმუნებულია, რომ მის მიერ წარმოდგენილი კონიექტურის შემდეგ, რაც ხელნაწერებით არ დასტურდება, მოცემული ტაეპი შეიძენს სასურველ მნიშვნელობას.

ჩემი აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ განსახილველი ადგილი აღნიშნულ კონიექტურას არ საჭიროებს, რაშიც არ შეიძლება არ დავეთანხმოთ კ. ჭიჭინაძეს, თუმცა იგი ამას არ ასაბუ-

ეროვნული

თებს და სტრიქონის ქვეშარით შინა-არსზე არ მსჯელობს და ა. შანიძის კონიუქტურის მიმეთ კმაყოფილდება ამგვარი შენიშვნით: „თუ მკვლევარს უნდა, რომ თავისი რედაქტორული მუშაობა ხელნაწერებს შეუნონოს, მან ჯერ უნდა ნახოს ეს ხელნაწერები და მერე ასწავლოს ტექსტი“, რაზედაც ა. შანიძე მიუგებს: „აბსტრაქტულად რომ ვიმსჯელოთ, რა თქმა უნდა, ასეც უნდა მოვიქცეთ... (ამასთან) შეუძლებელია, რომ ტექსტის ყველა დეტალის დადგენისათვის ვიცადოთ მანამდე, სანამ ხელნაწერების ვარიანტები იქნება დამზადებული და გამოცემული“ (იქვე, 139).

ა. შანიძე სრულიად მართალია, როდესაც „ლევა“ სიტყვის „შეღვეის“ მნიშვნელობით გააზრებით სრულ შეუსაბამობას ხედავს სტრიქონის შინა-არსში – „სჯობს ასმათს არ ელეოდე, ვიდრე ელეოდე მაგ სამხრესო“, რადგან კონტექსტი საპირისპიროს გვეუბნება – ტარიელი სწორედ რომ ვერაფრით ვერ ელევა სამხრეს. ამასთან, ისიც სათქმელია, რომ „არ“ ნაწილაკის ჩართვაც ვერ გვაძლევს სასურველ შედეგს, მიუხედავად იმისა, რომ ტაეპი ლოგიკურ შინაარსს იძენს „სჯობს ასმათს არ ელოდე, ვიდრე არ ელოდე მაგ სამხრესო“. მაგრამ საქმე იმაშია, რომ რუსთაველის მიერ „ლევა“ ამ შემთხვევაში არ არის მონოდებული „შეღვეის“ მნიშვნელობით.

სახეზე გვაქვს „ლევის“ ანთროპოლოგიური სემანტიკის გაუთვალისწინებლობა, რაც განაპირობებს ამ სიტყვის არასწორ გააზრებას. ამ კუთხით „ლევის“ დედააზრის მიგნება უკავშირდება ადამიანის შინაბუნების ტრანსფორმაციას, მის „განლევას“, რაც შინაგანი მთლიანობის „რღვევად“ მოიაზრება (მდრ. „სათნოების განლევა“).

საანალიზო რუსთველური სტრი-

ქონი არავითარ კონტექსტშიც არ მსჯელობს „სჯობს ასმათს არ-ლევა მაგ სამხრისა ლევასა“ ნიშნავს: ასმათის განლევას სჯობს განილიოს სამხრე, ანუ აქ ასმათსა და სამხრეზე ხელის ალებაზე (შეღვევაზე) კი არ არის ლაპარაკი, არამედ „ლევა“ „შინაგანი ვენების“ გაგებითაა მონოდებული – კი არ „ავენებს“, არამედ „ვენება“, ანუ სახეზეა შინაგანი ლევან, ანუ განლევა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სტრიქონში ნათქვამია: სჯობს არ ევენოს ასმათს, ვიდრე ევენოს მაგ სამხრეს (სჯობს ნუ დაზიანდება ასმათი, ვიდრე დაზიანდებოდეს ვე სამხრე). ავთანდილი დასძენს: „ამად არ გიქებ საქმისა უარესისა რჩევასა“, ანუ „სჯობს“ ასმათის „არ-ლევა“ სამხრის „ლევას“ – ეს არის საუკეთესო არჩევანი, ხოლო საპირისპირო არჩევანი იქნება „უარესის რჩევა“, რადგან ასმათი ადამიანია, ხოლო სამხრე – „უასაკო და უსულო, არ სიტყვიერი, ცნობილი“ (898.2). ავთანდილი იმასაც მოაგონებს ტარიელს, რომ სწორედ ასმათია მისი და ნესტანის სიყვარულის მესაიდუმლე, „თქვენი შემყრელი მსახური“, „მისი გამზრდელი, გაზრდილი, მისთვის მიხდილი ცნობისა“. ავთანდილი საყვედურობს ტარიელს, რომ მისთვის თავდადებული ადამიანი მიუტოვებია და ველად გაჭრილა, მასზე აღარ ფიქრობს: „გლახ, დაგივდია, არ ჰნახავ“ (899.2-4). ასეა არგუმენტირებული ავთანდილის შეგონება: ასმათის არ-ლევა სჯობს მაგ სამხრის ლევასო. ვფიქრობთ, მთელი კონტექსტის და საანალიზო სტრიქონის აზრი ნათელია და გამჭვირვალე.

ყურადღებას შევაჩერებთ აგრეთვე ერთ საინტერესო აგილზე, რომელიც, ჩემი აზრით, არ არის სწორად ინტერპრეტირებული რუსთველოლოგიაში. მხედველობაში მაქვს პოემის ის

სიტრიქონი, რომელშიც როსტევეან მეფე ვაზირის პირით შეუთვლის ავთანდილს, ნულარ გამაგონებ ტარიელთან ნასვლის შესახებო: „კვლა ამის მეტსა ნუ მასმენ, თვარა მე სრულად გელევი“ (მ16.4). რას ნიშნავს „სრულად გელევი“? ნ. ნათაძის სასკოლო სახელმძღვანელოში ამგვარ განმარტებას ვკითხულობთ: „სულ შეგელევი, ხელს აგაღებ“; ნ. ბაბოლოცკი ასეთ თარგმანს გვთავაზობს: Не пытайся мне перечить, худо будет пустомеле; შ. ნუცუბიძის თარგმანი კი ასეთია: Замогчи колы не желаешь, чтоб навек заныл твой вид. როგორც ჩანს, ამგვარი ინტერპრეტაციები მომდინარეობს ვახტანგ VI-ის კომენტარიდან: „გელევი-დავთობო არის.

წინა მაგალითის ჩემს მიერ მოტანილი ინტერპრეტაცია ცხადყოფს, რომ ამ შემთხვევაშიც ანალოგიურ შეცდომასთან გვაქვს საქმე. აქაც ლაპარაკია არა ვინმეს შელევაზე, დათმობაზე, ხელის აღებაზე და ა. შ., არამედ საკუთარი თავის „ლევა“-ზე, ანუ განლევა“-ზე. ასეთ შემთხვევაში, როგორც ეს ზემოთ გვექონდა ნაჩვენები, ადამიანი „განილევა“, რაც მწუხარებასთან, სასონარკვეთასთან არის დაკავშირებული. როსტევეანს იმის თქმა სურს, რომ თხოვნის განმეორების შემთხვევაში იგი ავთანდილს შეელევა, ანუ შეენირება, ემსხვერპლება. წარმოდგენილია შექმნილ სიტუაციაში როსტევეანი დამუქრებოდა ავთანდილს – ჩემთვის აღარ იარსებებ, საბოლოოდ ჩავიქნე შენზე ხელსო; მას იმის მოსმენაც კი ზარავს, როს ავთანდილს დაშორდება. ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, ავთანდილთან განშორება მისთვის „დაღრეჯილობის“ (სევა-მწუხარების) მიზეზია, მძაფრი უარყოფითი განცდა-ვნებების აღმძვრელია.

დ. ჩუბინაშვილს თავის გამოცემაში (1860) პოემის ეს ადგილი წარმოდგენილი აქვს განსხვავებული ხელნაწერი ვარიანტით: „სულად გელევი“ და ეს შესიტყვება ქართულ-რუსულ ლექსიკონში განმარტებული აქვს ასე: „გიკვდები, სულს შემოგაღევ, там-люсь, умру за тебя. როგორც ვხედავთ, დ. ჩუბინაშვილს ეს სიტყვა ესმის შინაგანი „განლევის“ მნიშვნელობით და ამგვარი ახსნა, ჩემი აზრით, სავსებით ბუნებრივია და სწორი. ასევე ესმის ამავე ლექსიკონში სხვა ძეგლებიდან მოხმობილი მაგალითები „სიმორესა ველევი“ (ვისრამიანი) разлука томит меня. „ველევი ცოლ-შვილს“ (სამართალი სომხური) ныть предану семейству. სახელოვან ლექსიკოგრაფს „ლევა“ ზმნის პასიური შინაარსები ასე აქვს წარმოდგენილი: „გამოვილევი“, „მოვაკლდები, მოვეულონოვდები, მოვეუძღურდები“.

დ. ჩუბინაშვილს სავსებით სწორად აქვს გააზრებული „ლევა“ ზმნის პასიური შინაარსები, რის საფუძველზე დაცეკვს არ იწვევს მის მიერ წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის მართებული ახსნა: „გული გულსა ელია“, ე. ი. გული თუ გულისთვის პნუხს“.

„ვეფხისტყაოსნის“ გაანალიზებული მასალის მკაფიოდ გააზრებას, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს „ვისრამიანში“ ჩემს მიერ მოძიებული მასალის მოხმობაც: „შეჭირვებისა ცეცხლმან დამილია გული“, „გული ტიროდის, დაილეოდის უშენობასა შიგან“; „დალეული ვარ მეტისა მიჭირვებისაგან“; აქვე დაძენ, რომ გამოთქმა „გულის გადალევა“ დღევანდელ მეტყველებაშიც გავრცელებულია.

ყურადღებას გავამახვილებ იმაზეც, რომ „ვეფხისტყაოსანში“ სხვა შემთხვევებიც დასტურდება „ლევა“

ქართული
საქართველო

ზმნის მონანილეობით: (ავთანდილი ამბობს) „მო, მთვარეო, შემობრალე, ვილვეი და შენებერ ვმჭლდები, / მზე გამავსებს, მზევე გამლევს, / ზოგჯერ ესხვლდები, ზოგჯერ ვწვლდები (963.2). ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს ანტონიმურ ცნებათა შეპირისპირება: „გავსება-გალევა“ თავისი სინონიმებით – „ვმჭლდები“, „ვწვლდები“, „სხვლდები“, რომლებიც ავთანდილის, როგორც მიჯნურის, განცდაგრძნობებს ნარმოაჩენენ სევედა-მწუხარებისა და სიხარულის მოაზრებით. სატრფოს მეტაფორულ სახედ ამ სტრიქონში მზეა მონოდებული, რომელიც მიზეზია მიჯნურის „გავსება-გალევისა“. ასეთსავე შეპირისპირებას ვხვდებით სხვა შემთხვევაშიც – ფრიდონი, ალტაცებული ტარიელის ფიზიკური მშვენებით, ეკითხება მას: „ანუ ეგრე რამ დაგლია, ანუ პირველ რამ გაგავსო? (599.2). აქ მოიაზრება ფიზიკური „სისავსის გალევა“, რასაც განაპირობებს სატრფოს დაკარგვით გამოწვეული სულიერი „შეჭირვება“ („განლევა“).

პიროვნების „ლევას“ იწვევს ისეთი უარყოფითი ემოციური განცდა, როგორცაა შიში. ტარიელი მამამისის სიკვდილის გამო ამბობს: „მათ გაეხარნეს ვისი ზარი დალევდის მისგან შიშისა“ (334.3). ხოლო ნესტანი ასე უხასიათებს ავთანდილს თავის ემოციურ განცდას: „ზარი მლევს მე ამისისა თხრობისა“ (125.1).

ტარიელი, რომელიც ნესტან-დარეჯანის ხვარაზმშას ძეზე გათხოვებისთვის მონვეულ თათბირს ესწრება, თავის მღელვარე განცდებს ასე გადმოსცემს: „დავიწყეთ რჩევა საქმისა, გული მიც, თუცა მელაია“, ანუ ტარიელს გული „გადალუული“ აქვს, გული უკვდება მისთვის აუტანელ სიტუაციაში ყოფნის გამო.

პიროვნების „ლევას“ შესაძლებელია იწვევდეს მტანჯველი ფიქრები. ამ აზრით ყურადღებას იქცევს ერთი საინტერესო სტრიქონი: (ფრიდონი ეუბნება ტარიელს) „მუნამდისცა მოიჭირვე გონებაამან არ დაგლია“ (638.3). ამ ადგილს სავესებით სწორად განმარტავს ნ. ნათაძე: „გონებაამან არ დაგლია“ – ფიქრმა არ დაგლია, ბოლო არ მოგიღო. ტაეპის მნიშვნელობაა: იქამდე მოითმინე, რომ ფიქრმა არ დაგლიოს (საყურადღებოა, რომ სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“ „გულისტანჯვა“ განმარტებულია როგორც „გონებით შეჭირვება“).

პოემაში მონოდებულია აგრეთვე გამოთქმა „სულის დალევა“ – ფიზიკური სიკვდილის მნიშვნელობით: (ავთანდილი ეუბნება ტარიელს) „ნუთუ მოგხვდეს ნახვა მისი, სულთა სრულად ნუ დაპლუო“ (921.4); (ნესტანისა და ტარიელის ფიზიკური მშვენებით გამოწვეული ალტაცება კი ასეა გადმოცემული: „მჭერეტელი ვცან მათი სულ-დალუული“ (1463.4). შდრ. „მუნამდის საბრალოდ ვტირი, ვიდრე სულნი არ დამელიენენ“ (ვისრ.) („სულის დალევა“ პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით დღევანდელ ქართულშიც გამოიყენება).

„ლევის“ ჩვენთვის საყურადღებო მნიშვნელობას ვაყა-ფშაველას პოეზიაშიც ვხვდებით: (დედა ეტყოდა ალუდას) „ნეტავ არ დასჭირდება / ხევსურთა შენი შველაო?! / ვის რა ნყალ-ჭადა გვისტუმრებს, / სად რა-რა დავილევითა“ (ალუდა ქეთელაური).

ვფიქრობ, ზემოთგანხილული „ვეფხისტყაოსნის“ ადგილები ნათლად გვიჩვენებენ, რომ „ლევა“ (ისევე როგორც „კლება“ და სხვა ანალოგიური შინაარსის სიტყვები) ანთროპოლოგიურ-ფსიქოლოგიური ცნებაა, რომელიც გარკვეული სპეციფიკით

ნარმოაჩენს პიროვნების შინაბუნების ტრანსფორმაციას, მის „ვნებით“ ემოციურ-უარყოფით დედააზრს, რაც ნუხილებში იჩენს თავს.

2. გული, ცნობა და გონება. ძველ წყაროებში ადამიანის პიროვნების გამოსახვა ხდება პიროვნების შინაბუნების აღმნიშვნელი ისეთი ცნებებით, როგორცაა „გული“, „გონება“, „სული“, „ცნობა“. ამასთან, პიროვნება ხან ერთი კომპონენტითაა წარმოდგენილი, ხან ორით, ხან კი სამით. უმთავრესად წარმოდგენილია ხოლმე „გული“ და „გონება“, მათ ემატება „სული“-ც; გვხვდება აგრეთვე „ცნობა“.

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ „ვეფხისტყაოსანში“? პოემაში ვხვდებით ორნვერა ან სამნვერა გამოსახვას. ასე მაგალითად: „მან მისთა მჭერტთა ნაულის გული, გონება და სული“ (33.3); „შენთვის დავსდებ გონებასა, გულსა, სულსა“ (90.1); „იმედო და სიცოცხლეო, გონებაო, სულო, გულო“ (309.2); „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა“ (30.4); „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან“ (816.1); „რათგან შენ დაგრჩა გონება, გული შენკენვე დაბრუნდეს“ (833.2).

რუსთაველის მსოფლმხედველობის მკვლევარი აკად. კორნელი კეკელიძე შეეხებო საკითხს იმის შესახებ, თუ რა თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი ადამიანის მამოძრავებელი ძალები პოემაში; მან ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებაზე: „ყოველთვის ვერ დავეყრდნობით ამა თუ იმ დებულებას, რომელსაც პოეტი აყენებს ხოლმე მისი ფილოსოფიური ფიზიონომიის გასარკვევად, რადგან ის მტკიცედ არ დგას ხოლმე ერთ დებულებაზე. ასე, მაგალითად, სიტყვები „გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან: / რა გული ნავა, იგიცა ნავე-

ლენ და მისკე მიდიან“, რომელშიც აღნიშნულია გულის პრიორიტეტი ადამიანის სულიერ ცხოვრებაში, საყოველთაოდ იქნებოდა ამა თუ იმფილოსოფიური სკოლის გასარკვევად, მაგრამ სხვა ადგილას ამის ავტორი სულ სხვას ამბობს: „რათგან შენ დაგრჩა გონება, გულში შენკენვე დაბრუნდეს“.

როგორც ზემოთ დავინახეთ, რუსთაველი ადამიანის შინაბუნების აღმნიშვნელ ცნებათა ჩამოთვლისას „გულს“ არც სხვაგან გვანვდის პირველ ადგილზე. ვფიქრობთ, არ უნდა იყოს გამართლებული ის მოსაზრება, რომ წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან ის ორი ადგილი, რომელთა შესახებ მსჯელობს პატივცემული მეცნიერი, რადგან მათზე დაყრდნობით ვერ გამოვიტანთ დასკვნას რუსთაველის არათანმიმდევრულ მსჯელობაზე.

საქმე ისაა, რომ რუსთაველი გარკვევით აყალიბებს დებულებას „გულის“, „ცნობის“ და „გონების“ ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთგანსაზღვრულობის შესახებ. პიროვნების ფსიქიკის ეს ნაწილები ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი („ერთმანერთზედა ჰკიდიან“); ისინი ერთმანეთს განაპირობენ და განმსჭვალავენ; მათი მიმოქცევა ერთმანეთს გულისხმობს: თუ „გული ნავა“, მას „ცნობაც“ მიჰყვება და „გონებაც“ და პირიქით: „ცნობისა“ თუ „გონების ამოძრავება „გულისმიერ“ პროცესებსაც „ითრევს“. სწორედ ამას გვეუბნება რუსთაველი: „რათგან შენ დაგრჩა გონება, გული შენკენვე დაბრუნდეს“.

პოემაში ასეთ მაგალითსაც ვხვდებით: „სხვაგან იყო გული მისი, სხვასა რასმე იგონებდა“ (1182.2). აქაც გული ფუნქციონირებს გონებასთან ერთად. შემთხვევითი არაა, რომ აქაც პოეტი თავდაპირველად გულს ახსენებს.

ისმის კითხვა, რა კანონზომიერება მოქმედებს, როცა ერთ შემთხვევაში წინ წამოინევა გული, მეორე შემთხვევაში კი მას გონება უსწრებს იმ მაგალითებში, რომლებზედაც ყურადღებას ამახვილებს კ. კეკელიძე.

აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ ფაქტორზე, რომ პიროვნების ფსიქიკის ამოძრავება ხან გულიდან იწყება, ხან კი გონებიდან. პირველ შემთხვევაში პიროვნებას აღძრავს ემოციის ნაკადი, რაც ინტელექტუალური პროცესების გაცხოველებას იწვევს; მეორე შემთხვევაში გონებრივი აქტი აცოცხლებს და აცხოველებს ემოციებს. ამასთან, გასათვალისწინებელია, ასე ვთქვათ, „უკუსვლითი“ ფსიქიკური პროცესი: როცა „გული წავა“, მასთან ერთად „წავა“ გონებაც (აგრეთვე „ცნობაც“).

ნათქვამთან დაკავშირებით კონტექსტს თუ გავითვალისწინებთ, შევამჩნევთ, რომ ერთ შემთხვევაში „გულის წასვლა“ და „გონებისა“ და „ცნობის“ მიღვენება უბეა ტარიელის მძიმე გულისმიერ (სულიერ) განცდებს, როცა „უგულო კაცი ვერ კაცობს“; მეორე შემთხვევაში კი ავთანდილის ფიქრები მისი ემოციური სწრაფვის წინაპირობაა.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა გავითვალისწინოთ ქართული ენობრივი გონის მიერ მონოდებული გამოთქმები: „გული იტყვის“ და „გულსა ეტყვის“. პირველი ლტოლვა-წადილის გულისმიერ სემანტიკას გვითვალისწინებს, მეორე შემთხვევაში კი საცნაურია აზროვნებით აქტის წარმოჩენა. სწორედ ამითაა განპირობებული, რომ ფსიქიკური პროცესების მოძრაობა, ერთ შემთხვევაში, გულიდან გონებისაკენ და, მეორე შემთხვევაში, გონებიდან გულისკენ განაპი-

რობებს ამ ორი გამოთქმიდან ერთი აბსტრაქტული ცნების გამომუშავებას, რომელიც წარმოგვიდგება ორი შინაარსით – ემოციური და სააზროვნო დატვირთვით. ეს ცნებაა გულის სიტყვა, რომელშიც კოდირებულია როგორც გულიდან დაძრული, ისე გულისკენ მიმართული „სიტყვა“, ნიშანდობლივია, რომ ილია ჭავჭავაძე დიდი ფსიქოლოგიური დაკვირვებით მსჯელობს გონებიდან გულისკენ მიმართულ ფიქრებზე: „მიგიხედი, ჩემო მოხევე, რა ნესტარითაცა ხარ ნაჩხვლეტი. ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რალაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში, გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დარჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის?“ – სვამს კითხვას მწერალი და აქ სახეზეა ფიქრის მოძრაობა გულისაკენ, რაც ნიშნავს დაფიქრებით აღძრულ ემოციურ განცდას.

გულის, ცნობისა და გონების ურთიერთგანმსჭვალვა არის ადამიანის ფსიქიკის, როგორც ერთი მთლიანი სისტემის, ფუნქციონირება. იქ, სადაც გონება „დარჩება“, იქითკენვე „მიდის გული“; გულისმიერი აღძვრა კი აცხოველებს და მიმართულებას აძლევს გონებას. ხელს უწყობს აზროვნებით პროცესებს. ამ ორმხრივ მოძრაობაში მოცემულია ერთიანი რუსთაველური მსოფლმხედველობა ადამიანის შინაბუნებაში მიმდინარე ფსიქიკურ პროცესებზე. რუსთაველის მიერ „გულსა“ და „გონების“ დიფერენცირებული გაცნობიერება ხდება ერთი სისტემური გაგების ფარგლებში. ამიტომაცაა, რომ პოემაში გულის თავდაპირველობა არ არის დაცული იმ მსოფლმხედველობრივი დატვირთვით, რომლის შესახებაც მსჯელობს კ. კეკელიძე.



„გული“, „ცნობისა“ და „გონების“ ურთიერთკავშირი არაერთხელ გვხვდება ბიბლიის ნივნებში: გული მართალი ეძიებს ცნობას (იგავთა, 15,14); უცნობელი გულითა ნაკლულე-ვან იქმნის ცნობითა. ხოლო კაცი გონიერი წარმართებულად ვაღნ (იგავთა, 15,24).

„ვეფხისტყაოსნის“ საანალიზო სტრიქონში – „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან“ – საგანგებო ყურადღებას იქცევს „ცნობა“. უნდა ითქვას, რომ ადამიანის ფსიქიკის ამ სამი ნაწილის ერთად წარმოდგენა მხოლოდ ამ სტრიქონში გვხვდება.

ისმის კითხვა: როგორ უნდა გავი-აზროთ „ცნობის“ მნიშვნელობა „გულისა“ და „გონების“ გვერდით, რა ფუნქცია ენიჭება მას პიროვნულ მთლიანობაში. როგორ ფუნქციონირებს ადამიანის სულიერ ცხოვრებაში?

ცნობილი ქართველი ფსიქოლოგი ვლ. ნორაკიძე „ცნობის“ შინაარსს „ვეფხისტყაოსანში“ ასე განსაზღვრავს „ცნობა“ რუსთაველისთვის გამობატავს სულის გარკვეულ აქტივობას; გულისხმობს ცოდნის, გამოცდილების ნიადაგზე საღ განსჯას, მიხვედრილობას, ამდენად, საკუთარი მოქმედების აკარგვიანობას, სულიერი მდგომარეობის ცოდნას-ცნობიერებას“. როგორც ვხედავთ, ვლ. ნორაკიძე „ცნობა“-ს ნათელ და საღ განსჯას, შინაგან სიფიზილეს უკავშირებს. „ცნობა“ გულისხმობს ადამიანის წარმოდგენების სწორ იდენტიფიცირებას რეალურ საგნებსა და მოვლენებთან. გაცნობიერება გამორიცხავს შეცდომას, ის უნდა იყოს ქვეშაობიტი. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ „ცნობა“ შეიძლება გვექონდეს როგორც საკუთარი თავის, ისე გარე სამყაროსი

(შდრ. სოკრატესეული გამოთქმა – „იცან თავი შენი“).

„ვეფხისტყაოსანში“ ყურადღებას იქცევს აგრეთვე „ცნობიერი“, რომელიც შეპირისპირებულია „უცნობო“-სთან. ეს სიტყვები ისეა ნახმარი, სიტუაციაც ისეა წარმოსახული, რომ გვეხმარება „ცნობის“ ქვეშაობიტი შინაარსის დადგენაში: (ტარიელმა აეთანდილს) ცნობიერი სიტყვა უთხრა უცნობოსა რასმე მზრახმან (894,4); საყურადღებოა ისიც, რომ პოემის მიხედვით აეთანდილმა „განანათლა პირი-ვარდი... ცნობიერთა დასტაქარმან უცნობოთა ოხვრა-ახმან“ (894,3). „უცნობო“-ში ამ შემთხვევაში იგულისხმება იმ სულიერი მდგომარეობის ადამიანი, რომელსაც გარკვეულ მდგომარეობაში დაკარგული აქვს მოვლენათა სწორი აღქმის უნარი, „ცნობიერში“ კი ნაგულისხმევია ამ უნარის აღდგენა, დაბრუნება.

პოემაში „ცნობის მიხდა“-ს და „ცნობის წასვლა“-ს უპირისპირდება „ცნობად მოსვლა“: (ტარიელი ამბობს): „სამსა დღესა დარბაზს ვიყავ, არ ცოცხალი, არცა მკედარი; / მერმე ცნობა მომივიდა, მივხვედი რასმე მიუხვედარი“ (353,2). ამ სტროფის მთელ შინაარსში კარგადაა გამოკვეთილი ცნობის რაობა: ტარიელი სამი დღის განმავლობაში „ცოცხალმკედარია“; იგი ამ დროს, ცხადია, „ცნობამიხდილია“, „მიუხვედარია“; შემდეგ „ცნობა მოუვიდა“ (დაუბრუნდა) – „მიუხვედრობას“ შესაბამისად ცვლის „მიხვედრილობა“, „მიხვედრობა“, რაც „ცნობის“ უარსებითესი ნიშანია (ისევე როგორც „გაგება“) – ეს ნიშნავს გარკვეულობას, სიცხადეს როგორც ობიექტური საგნებისა და მოვლენების, ისე საკუთარ შინაბუნებასთან მიმართებით. ეს ის სულიერი მდგომარეობაა, როცა პიროვნება ხასიათდება როგორც „ცნო-

ბაზე მყოფი" – გაგების უნარის მქონე.

იმისათვის, რომ ნათლად გავიაზროთ „ცნობის“ მნიშვნელობა ტაეპში „გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდია“, საჭიროა კვალდაკვალ მივდიეთ ტარიელის სულიერი მდგომარეობის პერიპეტეიების ანალიზს, კარგად გავითვალისწინოთ შინაარსობრივი მხარე პოემისა, განვსაზღვროთ, თუ რა სიტუაციაშია წარმოთქმული ეს სიტყვები, შეესაბამება თუ არა საანალიზო სტრიქონის „ცნობის“ შინაარსი ამავე შინაარსობრივ პასაჟში „ცნობის“ ხმარების სხვა შემთხვევებს. ვფიქრობთ, ამ კუთხით მიდგომა მეტ სიცხადეს შეიტანს საქმის ვითარებაში.

„რა გული ნავა, იგიცა ნავლენ და მისკე მიდიან“ – ნათქვამია მომდევნო ტაეპში. მაშასადამე, „გული“, „ცნობა“ და „გონება“ დამოუკიდებლად არ ფუნქციონირებენ – ისინი, როგორც ზემოთაც ითქვა, ერთმანეთს განაპირობებენ. „გულის ნასვლა“ განსაზღვრავს ამავე მიმართულებით „ცნობისა“ და „გონების ნასვლასაც“. „გულის ნასვლა“ კი, ეს არის „უგულობა“, რაც ტარიელის, როგორც მიჯნურის, სულიერ მდგომარეობაში პოულობს გამოხატულებას: „უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან“; / შენ არ გინახავს. არ იცი, მას რომე ცეცხლნი სწვიდიან (848). „უგულობა“ ან „გულის ნასვლა“ – ეს არის მიჯნურობის ცეცხლი – ასე უხასიათებს ასმათი ავთანდილს ტარიელის სულიერ შეჭირვებას. ტარიელის „დაბნედა“-ს ავთანდილი ასე გვიხასიათებს: „მას აღარა შეესმოდა, სოფლით გაღმა გაეზიჯა“ (868,4); „მუნ ეგრე გულსა უნთებდა ცეცხლი მცხინვარე, ცხებული“ (869,4); „თვალთა ახმადცა ზარ-ედება, სრულად მიჰხდოდა ცნობასა, / მიახ-

ლებოდა სიკვდილსა, მოჰპოვებოდა თმობასა“ (870,2). ამ სტრიქონებიდან საცნაურია ის, რომ „გულზე მოკიდებული ცეცხლი“ განაპირობებს „ცნობის მიხდას“, ანუ საითკენაც „ნასულა გული“, იქითკენ მიემართება „ცნობა“ (აგრეთვე „გონება“), რადგან ისინი „ერთმანერთზედა ჰკიდიათ“. ეს ურთიერთგანმსჭვალვა პიროვნების სულიერი ძალებისა არაერთხელ გვხვდება პოემაში.

„დაბნედილ“ ტარიელს ავთანდილი სიცოცხლის მოპოვნებაში შველის, ცდილობს მოასულიეროს – „გული“, „ცნობა“ და „გონება“ დაუბრუნოს: „ცრემლნი მოსწურნა თვალთაგან, ცოტად-რე მოაცნობილა. / მაშინლა იცნა, აკოცა, მოეჭდო, მოეძმოილა“ (872,2-3).

ეს ადგილი გარკვევით წარმოაჩენს „ცნობის“ მნიშვნელოვან ასპექტს – როგორც კი „მოცნობილება“ ხდება (თუნდაც „ცოტად-რე“), ტარიელი „ცნობს“ ავთანდილს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარე სამყაროს გაცნობიერებისათვის (ამ შემთხვევაში ერთი ადამიანის მიერ მეორის ცნობისთვის), შინაგანი „ცნობის“ მზაობაა საჭირო. საგანთა და მოვლენათა იდენტიფიცირებას პიროვნება ვერ მოახდენს, თუ მისი შინაგანი „ცნობა ნასულია“. ტარიელის „მოცნობილება“ ამ შემთხვევაში მისი გამოფხიზლებაა, რაც „ცნობის“ უმთავრესი პირობაა. „მოცნობილება“ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი თავისი შინაბუნების იმ უნართაა ამოძრავებულნი, რასაც „ცნობა“ ჰქვია და რომლის მეოხებითაც იგი აცნობიერებს როგორც საკუთარ თავს, ისე გარესამყაროს.

„ჭირისაგან“ თავის დაღწევის გზა ცნობაზე გადის. „ცნობიერთა დასტაქარი“ – ავთანდილი ასე შეაგონებს ტარიელს: „ჭირსა შიგან გამაგრება ას-

რე უნდა, ვით ქვითკირსა, / თავისისა ცნობისაგან ჩაეარდების კაცი ჭირსა“ (875, 3-4).

ავთანდილი ნაბიჯ-ნაბიჯ, თანმიმდევრულად ცდილობს მოუხსნას ტარიელს მძიმე სულიერი შეჭირვება და „სეუდის მუფარაზი“, ახერხებს კიდეც ამას. იგი ცდილობს აღმოაცენოს ტარიელში ის შინაგანი მზაობა, ის განწყობა, რაც მას აქტიური სიცოცხლის აუცილებლობას შეაცნობინებს, როცა ის შეიცნობს, რომ აუცილებელია ჭირთათმენა, გაძლება, სულიერი სიმტკიცე, შინაგანი მთლიანობის რღვევის დაუსვენებლობა.

ავთანდილი დიდი ძალისხმევით ახერხებს დაუბრუნოს ტარიელს მოვლენათა სალი და ადეკვატური გაცნობიერების უნარი, რაც უცვლის „მომართულებას“, როგორც „გულს“, ისე „გონებას“, რადგან „გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიათ“. ამის შემდეგ ტარიელს უკვე აღძრავს გულისნადილი იმოქმედოს ცნობიერად, მიიღოს გონიერული გადაწყვეტილება.

რუსთაველი უდიდესი შინაგანი ხილვით, ადამიანის მამოძრავებელ ძალთა საოცარი სიღრმისეული ცოდნით გადაგვიშლის ტარიელის სულიერ ფერისცვალებას. მის „გაცოცხლება“-ს, უცნობო მდგომარეობიდან ცნობიერად მოქცევას.

3. კარგი ყმა. ადამიანის იდეა „ვეფხისტყაოსანში“ უკავშირდება „კარგი ყმის“ თვისებების ჩვენებას. იგი რაინდულ-ფეოდალური საზოგადოების წარმომადგენელია, გამოუმუშავებული აქვს შინაგანი ზნეობრივი კოდექსი, ქცევის წესები, მთლიანი პიროვნების მყარი თვისებები.

პოემის რაინდები, ვითარცა „კარგი ყმები“, უმაღლეს ადამიანურ იდეალს განასახიერებენ. ისინი არიან

უშიშარნი, სულგრძელნი, ერთგულნი, მოძმისთვის თავდადებულნი, ამაღლებული მიჯნურნი, სამართლიანობისათვის მებრძოლნი, ამქვეყნად სიკეთის დამამკვიდრებელნი და ბოროტების დამთრგუნველნი. მათი ზნეობრივი სრულყოფილება ფიზიკური მშვენებითაც არის გასრულებული.

„კარგი ყმის“ ზნეობრივი სისრულე გულისხმობს გრძნობათა სინმიზნდეს, გონების „სივრცეს“, ნების სიმტკიცეს; თავის შეხედულებებს უმაღლეს ღირებულებებზე იგი ბრძნულად აყალიბებს, ჩანაფიქრებსა და მიზნებს თავდადებითა და თავგანწირვით ახორციელებს.

„ვეფხისტყაოსნის“ შინაგანად ძლიერი „კარგი ყმა“ ფიზიკურადაც ძლიერია, იგი თავად „აგვარებს“ რთულ ცხოვრებისეულ საკითხებს და, ამასთან, შეგნებული აქვს მეგობრობის დიადი ძალა, რომლის გარეშე დიდ წინააღმდეგობათა გადალახვა შეუძლებელია. „კარგი ყმის“ ზნეობრივი იდეალი გულისხმობს, რომ იგი „კარგი მიჯნურია“, „კარგი მეგობარია“, „კარგი მებრძოლია“ – სათნოებითა და სიკეთით შემკული.

პიროვნების მთლიანობის საკითხს პოემაში ორგანულად უკავშირდება „კარგი ყმის“ სახე. მისი თვისებების დახასიათება...

„ვეფხისტყაოსანში“ „ყმა“, „მოყმე“, „ჭაბუკი“ სინონიმური ცნებებია. ამ სიტყვათა შინაარსობრივი დატვირთვა უკავშირდება რაინდის სახის წარმოჩენას.

ვინ ითქმის „კარგი ყმად“ „ვეფხისტყაოსანში“?

პოემაში არაერთხელაა დადასტურებული, რომ „კარგი ყმა“ გმირული სულისკვეთებითაა ამოძრავებული და მისი გმირობა ვლინდება ბრძოლაში, სიყვარულში, მეგობრობაში... იგი

ღირსებით შემკულია, ამაყი, „უკადრი“, მხნე, ლალი, „ბრძენთა საქებარი“, გონიერი, მამაცი, „ძალგულოვანი“, „მშვენიერი“ და სხვა.

რაინდის უნაკლულობის დასახასიათებლად მონოდებულია ისეთი შესიტყვებები, როგორცაა „კარგი ყმა“, „კარგი მოყმე“, „კარგი ჭაბუკი“, „კარგი მამაცი“. „კარგი“ – ის ზოგადი მახასიათებელია, რომელიც პიროვნების ზნეობრივი სიმაღლის თვისებათა შემკრებ ცნებას წარმოადგენს. იგი რაინდის ზნეობრივი კოდექსის არსებით ნიშნულობას გადმოსცემს: „ტარიელ, ფრიდონ, ავთანდილ თავითა მეტად კარგითა... / მივლენ სამნივე გულითა ერთმანეთისა მარგითა“ (1577.2); „მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანერთის მონება“ (6.4). უნდა აღინიშნოს, რომ „კარგის“ პარალელურად პოემაში გვხვდება ისეთი ეპითეტი, როგორცაა „უცხო“, („საუცხოოს“ მნიშვნელობით): „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“ (88.1); „ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოთა სანახავისა“ (85.4); ავთანდილი უყვება თინათინს: „უცხოთა და საკვირველსა ყმასა რასმე გარდევკიდე, / მისმან შუქმან განანათლა სამყარო და ხმელთა კიდე“ (109.1-2). „ეს უცხო მოყმეა“ ტარიელი.

პოემაში არაერთხელ გაიღვლებს ავთანდილი როგორც „კარგი ყმა“: „ქალმან უთხრა: „მომეწონა, ყმაო, შენი ნაუბარი, / ხარ უცილოდ კარგი ვინმე, მოყმე, ბრძენთა საქებარი“ (258.1-2); თავად ავანდილი თავის თავზე ამბობს: „მე ვარ ყმა როსტან მეფისა, მოყმე არაბეთს ზრდილობით... / საკრძალავი და უკადრი, მყოფი არვისგან ცილობით“ (992.1-3); ფატმანი ნესტანს სწერს: „მოსრულა შენად საქმებრად მისი (ტარიელის) ძმად-შეფიცებული, / ავთანდილ, მოყმე არაბი, არაბეთშიგან ქებული, / სპასპეტი როსტან

მეფისა, / ვერვისგან დანუნებული“ (1272.1-3). იმავე წერილში ვკითხულობთ: „ან ვინმე მოყმე მოვიდა მშვენიერთა პირითა... / იგია შენი მძებნელი მკლავითა ვითა გმირითა“ (1283.1-3).

ნამდვილი ხალხური კილო ჩაგვესმის იმ სტრიქონების კითხვისას, როცა პოეტი შეკობრებთან გამარჯვებული ავთანდილის შესახებ გვეუბნება: „ამოა, კარგსა მოყმესა რა ომი გამამარჯვებოდეს, / ამხანავათათვის ეჯობნოს, ვინცა მას თანა-ჰხლებოდეს“ (1052.1-2).

ასევე დიდებული ფერებითაა წარმოდგენილი ფრიდონი, ვითარცა „კარგი ყმა“: „მოყმე მხნე, უხვი, ძლიერი, ფიცხლად მომხლტომი ცხენისა“... (971.1-2); პოეტს აღტაცებით აღმოხდება: „ფრიდონისებრი მოყმენი ვინა ვინ ვით ეგებიან!“ (989.1-2).

„კარგი მოყმე“ მზეგებრ მშვენიერია, „ვერვისგან დანუნებული“, „ვენება არავის არ ძალუც“ (971.1272) და სხვა ღირსებებით შემკული.

პოემაში მხოლოდ ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი როდი არიან გამოყვანილნი „კარგ ყმებად“. ინდოეთის მეფემ – ფარსადანმა სათანადოდ დაუფასა ტარიელის მამას – სარიდანს საქვეყნო სამსახური: „ერთი სამეფო საკარგემო, უბოძა ამირბარობა (316.2). ზღვათა სამეფოს მეფის შვილის (უფლისწულის) შესახებ კინათქვაშია: „ხელმწიფისა შვილსა გითხრობ კარგსა ყმასა, გულოვანსა, / უებროსა ზნედ და თვალად, შვენიერსა პირსა, ტანსა“ (1186.1-2). ამ დახასიათებაში ნიშანდობლივია სხვა თვისებების გვერდით ზნეობის წარმოჩენა („უებრო ზნედ“).

ღირსეული მოყმე მოუნახეს საქმროდ ასმათს: „მოიყვანე კარგი მოყმე, გონიერი, არ ხელია“ (1653.2).

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ როსტევეანი და აეთანდილი ნადირობა-შეჯიბრის დროს გამორჩეულ მონაცემათ უხმობენ. აეთანდილი მათ შესახებ ამბობს: „კარგთა ყმათასა ვიქმოდეთ მონამად ჩვენთასა ხლებასა“ (68.3). პოემაში ნათქვამია აგრეთვე, რომ ნესტანის საძებრად წასულ ტარიელს თან მიჰყვებიან გამორჩეული ვაჟკაცები: „ას სამოცი კარგი მოყმე“ (586.2); ტარიელი გამორჩეულ „მოყმეებს“ იახლებს ხატაელთა წინააღმდეგობის დროსაც: „მათ ლაშქართან სამასნი კარგნი მოყმენი, ქველანი, / თანა წამომყვეს“... (427.1).

„ვეფხისტყაოსნის“ არაერთ პასაჟში ყურადღებას იქცევს „მოყმისა“ და „მამაცის“ სინონიმური ხმარების შემთხვევები: „ნესი არის მამაცისა მოჭირება, ჭირთა თმენა“ (795.3); „ნეტარ მამაცი სხვა რაა, არ გაძლოს, რაცა ჭირია“ (931.1). „კარგი ყმა“ არის შინაგანად მონესრიგებული პიროვნება, რომელსაც „სამამაცონი ზნენი“ ახასიათებს.

ასევე ყურადღებას იქცევს პოემაში „ყმისა“ („მოყმისა“) და „ჭაბუკის“ ერთი მნიშვნელობით ხმარება. მოქარავენები ამბობენ აეთანდილზე: „ყმა ვინმეა ჭაბუკი, არა ჩვენებრვე რიდითა“ (1036.3); ნიშანდობლივია ასეთი მაგალითიც: „გვირაბის კარსა ნიადაგ მოყმე სცავს არ პირ-ნასები, ათი ათასი ჭაბუკი დგას, ყველაკაი ხასები“) (1243.1-2).

„მოყმესა“ და „ჭაბუკის“ სინონიმურობას სხვა შემთხვევებიც გვიდასტურებენ: „მათ უძღვენეს იგი აბჯარი ფრიდონს, ჭაბუკად ქებულსა“ (1383.4); აეთანდილი ეუბნება ვაჭრებს: „თვით თავადაია ჩვენი“, – თქვით, ნუ მიხმობთ ჭაბუკობასა“ (1058.2).

„კარგ ყმა“-ს საგანგებო, დამახასი-

ათებელი (სარაინდო) სამოსი აქვს: „მას დღე ყოვლი საჭაბუკო შეიმოსა ტანსა მხნესა“ (1256.3), – ნათქვამია ავანდილზე.

„ჭაბუკი“ ომში შეუდრეკელი და მამაცია. ხალხური სიბრძნეა დაუნჯებელი შესანიშნავ სტრიქონში: „არ შეუდრკების ჭაბუკი კარგი მახვილთა კვეთასა“ (597.2).

აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ გამიჯნურებული მამაკაცისა და „კარგი ყმის“ თვისებები გარკვეულად ერთმანეთს ენათესავენ. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან რუსთაველის ეპოქის რაინდული საზოგადოებისთვის ორგანული და ნიშანდობლივია ქალის მიმართ გამოვლენილი პატივისცემა, „ქალის კულტი“. ამალღებული მიჯნურის სახე რუსთაველის პოემაში „კარგი ყმის“ ფენომენსაც გულისხმობს: „მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა, / სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა, / ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მზლეობა, / ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა“ (23). როგორც ვხედავთ, „მიჯნურთ ზნეობის“ ერთი შემადგენელი ნიშანია „სიყმე“, რაც „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოების ნიშანდობლივი თვისებებია. „სიყმე“ აქ, როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში (ნ. მარი. ვ. ნოზაძე), არის „მოყმეობა“ თავისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით. „კარგი მიჯნური“ იმავდროულად „კარგი ყმაცაა“, ანუ მას ახასიათებს „სიყმე“. საყურადღებოა, რომ დ. ჩუბინაშვილი ამ სიტყვას განმარტავს, როგორც „ვაჟკაცობა“-ს.

ისეთი „მიჯნურთ ზნეობანი“, როგორცაა „მზეობა“, „სიბრძნე“, „სიუხვე“, „გონება“, „დათმობა“, „მძლეთა მებრძოლთა მძლეობა“, იმავდროულ-

ლად „კარგი ყმის“ ზნეობანიცაა – ამას გვიდასტურებს ჩვენს მიერ ზემოთმოტანილი მასალა.

„კარგი ყმა“ იმიტომაც არის „კარგი“, რომ მას ხელუნიფება თავისი შინაბუნების განკარგვა, შინაგანად მტკიცეა, სიკეთისა და სამართლიანობისთვის მებრძოლი, მთლიანი პიროვნებაა: მას, როგორც პოემაშია ნათქვამი, ახასიათებს „უკლებლობა“. ავთანდილი ეუბნება შურმადინს: „სიკეთე და უკლებლობა შენი ერთობ გააცხადე“ (779.2).

„კარგი ყმა“ რთული სოციალური კატეგორიის ცნებაა, საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ საფეხურზე აღმოცენებული.

4. გული კაცისა მოსაგვარებლად ძნელია. ტარიელის მიჯნურობა დიდ გულისმიერ განცდებთანაა დაკავშირებული, რასაც რაინდის „დაბნედა“ მოსდევს ხოლმე. განსაკუთრებული სიმძაფრე განცდისა ტარიელს გონებას აკარგვინებს და „სულთა დგმასაც“ საფრთხეს უქმნის. ასე დაემართა პირველად ნესტანის დანახვისას: „ქალსა შევხედენ, ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა“ (344.2);

ტარიელს გულმა ვერც მაშინ გაუძლო, როდესაც ავთანდილმა შეატყობინა ნესტანის პოვნის ამბავი; მოულოდნელმა სიხარულმა ისე იმოქმედა მასზე, რომ „სულნი“ გაიქცნეს“ (1340.3) და ავთანდილს დიდი ძალისხმევა დასჭირდა რაინდის მოსასულიერებლად.

ტარიელის ფსიქოლოგიური მდგომარეობა აიხსნება იმით, რომ ავთანდილმა „მის ამბისა დაყოვნება ველარ გაძლო, აუჩქარდა“, ანუ საჭირო იყო სასიხარულო ცნობასთან ერთგვარი შეგუება პიროვნების სულიერი სამყაროსი, რაც თავიდან ვერ გააცნობიერა ავთანდილმა, შემდეგ კი თავის

თავს ასე უსაყვედურა: „წყალი სწრაფით რად დავახსი ცეცხლსა, ძნელად დასამრეტსა! / ჩქარად ეცეს, ვერ გაუძლებს გული ლხინსა მეტისმეტსა“ (1343.4).

უფრო ადრე ასმათი ავთანდილს ტარიელის მძიმე სულიერ მდგომარეობას უხასიათებს, როგორც მთლიანპიროვნული „სიმრთელის“ რღვევას – როცა „გულით“, „ცნობით“ და „გონებით“ გამთლიანებულ პიროვნებაში იჭრება ისეთი ფსიქოლოგიური ფაქტორი, როგორიცაა „გულის ნასვლა“, ხოლო „უგულო კაცი ვერ კაცობს“ (848.1-3).

„ვეფხისტყაოსნის“ ამ ცნობილ პასაჟებს თუ შევეუპირისპირებთ ერთმანეთს, ადვილად შევნიშნავთ, რომ „გულის ნასვლის“ მიზეზი შეიძლება იყოს როგორც „ჭირი“, ისე „ლხინი“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პიროვნებას, მის სიმრთელეს (როგორც ფიზიკურს, ისე სულიერს) „აეინროებს“ როგორც უარყოფითი, ისე დადებითი ემოციები.

ეს ფსიქოლოგიური ფაქტორი რუსთაველს შესანიშნავი პოეტური სურათით აქვს ნათელყოფილი: „ზამთარი ვარდთა გაახმობს, ფურცელნი ჩამოსცვივიან, / ზაფხულის მზისა სიახლე დასწევას, გვალვასა ჩივიან, / მაგრამ მას ზედა ბულბულნი ტურფასა ხმასა ყივიან, / სიცხე სწევას, ყინვა დააზრობს, ნყლულნი ორჯელვე სტკივიან“ (1347).

ზამთარ-ზაფხულის ამ ორგვან „ჭირთა“ უარყოფითი ზემოქმედება შემანუხებელი და მტანჯველი ყინვასიცხის სახით პოემაში პარალელს პოულობს ადამიანის შინაბუნების თვისებასთან: „აგრეთვე გული კაცისა მოსაგვარებლად ძნელია“, / ჭირსა და ლხინსა ორსავე ზედა მართ ვითა ხელია, მიწყე ნყლულდების, სანუთრო მისი აროდეს მრთელია“ (1348.1-3).

ადამიანის „გულის მოგვარების სიმწელე“ უკავშირდება გულის მძაფრ ფუნქციონირებას, გულისთქმებს, როგორც დადებით, ისე უარყოფით გაცდებს, რაც პიროვნების მთლიანობას არღვევს, მისი სიმტკიცის მოდუნებას იწვევს. ადამიანის „სიმრთელის“ შენარჩუნებას სჭირდება პიროვნების მამოძრავებელ ძალთა მდგრადობა, რასაც განაპირობებს გულის ფლობა, ანუ რაც იგივეა, საკუთარი თავის ფლობა“ („უფლება“).

„ვეფხისტყაოსანში“ არაერთხელაა მითითებული „გულის ფლობის“ სირთულე, მისი „მოგვარების“ რთული ხასიათი; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გულის ბუნების კომპლექსური დახასიათება: „გული კრულია კაცისა, ბარბი და გაუძლომელი, / გული ყამყამად ყოველთა ქირთა მთმო, ლხინთა მდომელი, / გული – ბრმა, ურჩი ხეღვისა, თვით ვერას ვერ გამზომელი, / ვერცა პატრონობს სიკვდილი, ვერცა პატრონი რომელი!“ (718).

ავთანდილი არაერთხელ შესთხოვს საკუთარ გულს „დათმობას“, „გაძლებას“; სხვაგვარად პიროვნება კარგავს ორიენტირების უნარს, გონების ხაზი „ფრმკრთალდება“ მასში და გრძნობათა ნიაღვარი (სევდა, მწუხარება, ნადეული და სხვა) ეუფლება: „კვლა გულსა ეტყვის: „დათმობა ჰგვანდეს სობრძნისა ნყაროთა, / არ დაეთმოთ, რა ვქმნათ, სევდასა, რა ვქმნათ, რა მოვეგვაროთა? / თუ ლხინი გვინდა ღმრთისაგან, ჭირიცა შევიწყნაროთა“ (726).

როგორც ვხედავთ, ავთანდილი თავის გულს ესაუბრება და შეაგონებს, როგორც მის არსებაში შთასახულ მეორე „მეს“, შესთხოვს მას „ჭირსა შიგან გამაგრებას“; გულმა თუ არ „დათმო“: იგი ვერ „მოგვარდება“; მაგრამ ეს არც ისე იოლი საქმეა. ავთან-

დილის მძაფრი გულისმიერი განცდები, თინათინის ვახსენებით გამოწვეული, ასეა გადმოცემული: „ზოგჯერ ადგის, ზოგჯერ დანვის, ხელსა რადმცა დაეძინა! / რაცა აჯა დათმობისა გულმან ვისმცა მოუსმინა!“ (724); ავთანდილი კვლავ შესთხოვს გულს: „გულო, რაზომცა გაქვს სიკვდილისა ნადება, / სჯობს სიცოცხლისა გაძლება“ (727). და ისევ: „დათმობასა ეაჯების გულსა: „შენ რა მოუგვარე!“ (728).

როგორც ამ ადგილებიდან ჩანს, „გულის მოგვარება“ სჭირდება არა მარტო ტარიელს, არამედ ავთანდილსაც. ეს კი, როგორც ითქვა, „გაძლება“-სთან, მოთმინებასთან არის დაკავშირებული – ადამიანმა საკუთარი სულიერი ძალების მობილიზებით უნდა მოიპოვოს სიმტკიცე, გამოავლინოს ნება, რათა განთავისუფლდეს ემოციურ „ინროებათაგან“, მოიპოვოს შინაგანი თავისუფლება, რისთვისაც გონისმიერმა იმპულსებმა უნდა დაიმორჩილოს ემოციები, რის შედეგად პიროვნება მოიპოვებს სწორი ორიენტირების და მოქმედების უნარს. ავთანდილი თვითკონტროლითა და სობრძნით ყოველთვის ერევა საკუთარ თავს, ემოციათა მოზღვავებას იგი მუდამ უშკლავდება.

როდესაც ადამიანს „გული მოგვარებული“ აქვს, ანუ სობრძნითა და გონებით მოქმედებს, მას „ემოციური გული“ ველარ ერევა, იგი „გამორჩევით“ მოქმედებს, „აგვარებს“ ანუ ასრულებს საქმეებს. შინაგანი გამთლიანება, ანუ „გულის მოგვარება“ აუცილებელი პირობაა საქმეების წარმატებით დაგვირგვინებისა.

პოემაში არაერთ ადგილს ვხედავთ, რომელნიც საცნაურყოფენ ამ სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთკავშირს. მოვიტანთ რამდენიმეს: (ნუსხიანი შეაგონებს ტა-

რიელს) „გონიერი ხმას აროდეს არ აჩქარდეს, / რაცა სჯობდეს, მოაგვაროს, სანუთროსა დაუნყნარდეს“ (539.1-2); თინათინი კი ასე მიმართავს როსტევიანს: „თქვენნი აგრე დაღრეჯანი მნათობთაცა დაამზობდეს, / კაცმან საქმე მოაგვაროს, ვეჭვ, ქმუნვასა ესე სჯობდეს“ (107.4); ტარიელი ამბობს: „ამითა ველარას ვიქმ, ღონე სხვა რა მოვიგვარო“ (535.1); ფრიდონს კი სთხოვს: „ენა, გონება მახმარე გამოსარჩევედ ამისად: / რა მოვაგვარო, რა მიჯობს საღებულად ჩემად და მისად?“ (635.2-3).

ამ მასალიდან იკვეთება, რომ „საქმის მოგვარება“ მოსდევს „გულის მოგვარება“-ს. ეს კი იმას ნიშნავს, წარმატებული რეალიზაცია საქმისა შეუძლებელია შინაგანი გამთლიანების, ანუ „გულის მოგვარების“ გარეშე. „მოგვარება“ („გულისა“ იქნება ეს თუ „საქმისა“) მოითხოვს სწორი გადაწყვეტილების მიღებას, სხვაგვარად, „გამორჩევა“-ს, რაც აზროვნებითი აქტია და სწორად წარმართული ნების მობილიზაციას მოითხოვს. „საქმის მოგვარება“ – ეს არის „ქმნა“ ან „ყოფა“ საქმისა – „ნების ყოფა“, პრაქტიკული რეალიზაცია ჩანაფიქრისა („გამორჩევისა“). „საქმის მოგვარების“ გარეშე ჩანაფიქრი შეუსრულებელი რჩება, ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ პიროვნება ვერ აღწევს სისრულეს, ვერ მთლიანდება, თავისუფლების აქტს ვერ ასრულებს – „გულის მოგვარების“ შემდეგ მას სჭირდება „საქმის მოგვარება“.

„მოგვარება“, როგორც ზემოთ მოტანილი მასალა ნათელყოფს, მოითხოვს „სევედის“, „ქმუნვის“, „დაღრეჯილობის“ დაძლევას, სიმშვიდეს, სიწყნარეს, აუჩქარებლობას; „მოგვარება“ გულისხმობს / „გამორჩევასთან“ ერთად / „ჯობნას“ – სწორი გადაწყვეტი-

ლების მიღებას: „რა მოვაგვარო, რა მიჯობს“; (635.3); „გამომირჩიე, სით მიჯობს“ (1004.3); (ავთანდილი იტყვის) „მიკვირს ნაღველი კაცისა ქუიანისა; / რა მქმუნვარებდეს, რას არგებს ნაკადი ცრემლთა ბანისა? / სჯობს გამორჩევა, აზრობა საქმისა დასაგვანისა, ან შეცა მიჯობს მონახვა მის მზისა ღერნამ-ტანისა“ (863.3-4); (კვლავ ავთანდილი) „სხვასა რასმე მოვიგონებ, სჯობს საქმისა გამორჩევა“ (243.2).

შეგვიძლია დავასკვნათ: „გულის მოგვარება“ – „გამორჩევა“ – „ჯობნა“ ადამიანის სიკეთის მიმართულებით „სელის“ დამახასიათებელი ასპექტებია, რასაც მოჰყვება „საქმის მოგვარება“ ანუ „გამარჯვება“. ამ უკანასკნელ ცნებასაც პოემაში სპეციფიკური დატვირთვა აქვს, რომელთანაც დაკავშირებულია პიროვნების მხნეობა ან სიმარჯვე. ყოველივე ეს ადამიანის ძალისხმევით და ნებისყოფით ხდება.

რუსთაველის მიერ პიროვნების „სრულყოფა“ – „გამთლიანების“ ნიშნით მონოდებული ეს გზა უკავშირდება მოქმედ და აქტიურ ადამიანს, რომელსაც ძალუძს ცხოვრებისეულ ნინალმდეგობათა დაძლევა, რთულ სიტუაციებში გამოსავლის მოძებნა და გამარჯვების მოპოვება როგორც შინაგან სუბიექტურ ნინალმდეგობებზე, ისე გარეშე, ობიექტური დაბრკოლებების დაძლევა. ამ გზის გავლით ამარცხებს იგი ბოროტ ძალებს და ამკვიდრებს სიკეთეს.

„ვეფხისტყაოსნის“ საანალიზო ადგილს – „გული კაცისა მოსაგვარებლად ძნელია“ თავის დროზე შეეხო შ. ნუცუბიძე, რომელმაც ეს სტრიქონი ადამიანის იდეის რუსთველურ გააზრებას დაუკავშირა. მეცნიერმა თავისი ინტერპრეტაცია პიროვნების მთლიანობის პრობლემასთან მიმარ-

თებით წარმოადგინა. „გულის მოგვარება“ - ში შ. ნუცუბიძე ხედავს პიროვნების მთავარ მამოძრავებელ ძალთა მობილიზებას, რასაც უერთდება ცოდნისა და პრაქტიკული მოქმედების მომენტი, განხორციელებული პიროვნების ნების საფუძველზე. იგი იხსენებს „ავთანდილის ლოცვის“ სიტყვებს: „მომეც დათმობა სურვილთა მფლობელო გულისთქმათაო“ (809.4) და სრულიად სამართლიანად მიიჩნევს, რომ „გულის მოგვარება“ გადაიზარდა გულისთქმათა დაუფლებაში. ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასალაც ამ ჭეშმარიტების ნათელყოფას ემსახურება. „გულის მოგვარება“ უმთავრესი მომენტი პიროვნების აქტიურობისა და მოქმედებისა, რისი მეოხებითაც იგი ძლევს ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებს, სანუთროს სიმუხთლეს და იმარჯვებს.

5. უგულობა. „ვეფხისტყაოსანში“ რამდენჯერმე გვხვდება „უგულო“, ერთხელ კი აბსტრაქტული ცნება „უგულობა“. მისი შინაარსი ადამიანის მთლიანპიროვნული გაგების „რღვევას“ უკავშირდება და, როგორც გვიჩვენებს ცნება, მოიცავს სხვადასხვა შინაარსის მქონე სახეობრივ მნიშვნელობებს. სწორედ ამ სპეციფიკის გამო პოემაში „უგულო“ წარმოდგენილია რამდენიმე მნიშვნელობით.

„უგულო“-ს ცნება „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევართა ყურადღების ცენტრში მოექცა და მის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისი იქნა გამოთქმული. ამასთან, ზოგი შემთხვევა მათ ყურადღების მიღმა დარჩა, რაც სემანტიკური კვლევის მთლიანი კონცეფციის შესამუშავებლად საჭირო და აუცილებელი იყო.

აკაკი შანიძე აღნიშნავდა: „გულოვანი“ და „უგულო“ საპირისპირო ცნებათა გამომხატველი სიტყვებია – გუ-

ლოვანია, ვისაც გული აქვს; უგულოა, ვისაც გული არა აქვს. თითოეულ მათგანს განვითარებული აქვს სხვა მნიშვნელობანიც: მაგალითად, გულოვანი – „გულადი, მამაცი, გაბედული“. უგულო – „გულცივი, უგრძობელი, შეუბრალებელი“ და სხვა.

„უგულო“ პოემაში მონოდედებულია შემდეგნაირად: „მძულს უგულოდ სიყვარული“ (25.4); „არ გული უნდა ფიცის და პირისა გასრულებასა? / იგი უგულო მოელის მართ დღეთა შემოკლებასა“ (847.4); „უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან“ (843.3); „გულმან, გლახ, რა ქნას უგულოდ, თუ გული გულსა ელია“ (942.2); „კაცსა დასვრის „უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი“ (1204.4); „სახლი და შვილი მომძულდა, ევდი უგულოთა გულითა“ (1215.1).

სპარსული ლიტერატურის ცნობილმა მკვლევარმა მ. თოდუამ „ვისრამიანის“ ტექსტის „უგულოს“ მნიშვნელობის გათვალისწინებით გამოთქვა მოსაზრება „ვეფხისტყაოსნის“ ამავე სიტყვის შინაარსზე. მან მიიჩნია, რომ „უგულოს“ სემანტიკა უკავშირდება „შეყვარებულს“, ისევე, როგორც „ვისრამიანში“.

ამ შეხედულებას არ ეთანხმებიან ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ღვანლმოსილი მკვლევარები – ა. ბარამიძე და დ. კობიძე.

ა. ბარამიძემ აღნიშნა, რომ „უგულო კაცი ვერ კაცობს“ სრულიად არ ნიშნავს, რომ საზოგადოდ მიჯნური კაცი ვერ კაცობს... ტარიელი თუ ვერ კაცობდა, არა თავისთავად მიჯნურობის გამო, არამედ იმ ტრაგიკული ხედრის გამო, რაც მას ცხოვრებამ წილად არგუნა“. ასევე არ ეთანხმება ა. ბარამიძე მ. თოდუას „კაცსა დასვრის უგულობა“-ს გაგებაში. მისი სიტ-

ყვით, „არავითარ შემთხვევაში, უგულობა“ აქ არ ნიშნავს მიჯნურობას, შეყვარებულობას“. დ. კობიძემ კი აღნიშნა, რომ „უგულობა“ აქ უგულო სიყვარულს ნიშნავს და „მიჯნურობად“ მისი გაგება შეცდომაა.

რაც შეეხება პოემის ტაეპს, რომელშიც ნათქვამია: „გული მას აქვს, უგულოსა აქა ხელი რა მებდების“ (799.2) – მისი მართებული ნაკითხვა ეკუთვნის იუსტ. აბულაძეს, რომელმაც ხელნაერთა სხვადასხვა ვარიანტიდან „გულოვანის“ ნაცვლად პირველმა დაბეჭდა „უგულო“. ა. შანიძე ამასთან დაკავშირებით შენიშნავდა: „მართლაც, ნინა სტროფიდან ირკვევა, რომ ტარიელმა ავთანდილს „გული ნამასვე წაუღო“. გულის წაღება ნიშნავს „გულის წართმევას“... ავთანდილს ისე შეუყვარდა ტარიელი, რომ უმისოდ ცხოვრება არ შეუძლია. ამიტომ, ცხადია, მთელი ტაეპი ასე უნდა გაიმართოს: „გული მას აქვს, უგულოსა აქა ხელი რა მებდების“.

როგორც ვხედავთ, ა. შანიძემ სავესებით სწორად გახსნა „უგულოსა“ და „გულის წაღების“ შინაარსი, დ. კობიძემ კი დაასაბუთა, რომ ეს მნიშვნელობა „უგულო“-ს აქვს სხვა მნიშვნელობის გვერდით, კერძოდ, აჩვენა, რომ სიყვარულის გრძნობა „უგულობაში“ მიემართება, როგორც შეყვარებულს, ისე მეგობარს, ანუ აჩვენა ამ სიტყვის პოლისემიურობა და უკუაგდო ის აზრი, რომ „უგულო“-ს პოემაში აქვს მხოლოდ შეყვარებულის გაგება.

აქვე გასათვალისწინებელია, ჩვენი აზრით, ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: „უგულობისთვის“ დამახასიათებელია არა მხოლოდ „გულის წაღება“, („წაღება“), არამედ იმავდროულად „ცნობისა“ და „გონებისაც“, როგორც ადამიანის ფსიქიკის ურთიერთგანმაპირობებელი ნაწილებისა: „გუ-

ლი, ცნობა და გონება ერთმანერთზედა პკიდიან: / რა გული წაეა, იგიცა წაველენ და მისკე მიდიან; / უგულო კაცი ვერ კაცობს“...

როგორც ვხედავთ, გულის წაღებას თუ წაღებას თან სდევს დანარჩენი პიროვნული ძალების იმავე მიმართულებით სვლა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უგულობა იმავდროულად „უგუნურებაცაა“ და „უცნობობაც“. „გულის“ და „გონების“ წაღებასთან ერთად გვხვდება „სულის წაღება“-ც: „მან მისთა მჭვრეტთა წაუღის გული, გონება და სული“ (33.3). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადგილი აქვს ადამიანის მთლიანპიროვნულ „რღვევას“, რაც მასში იწვევს სხვადასხვა სახის უარყოფით განცდა-ემოციებს.

საყურადღებოა ასეთი მაგალითებიც: (ავთანდილს) „ზოგნი ნდომით შეპფრინვიდეს, ზოგნი იყვნეს სულწასრულად“ (1075.3); „შეპფრინვიდნიან ავთანდილს გულითა სულწასრულითა“ (1010.4).

„უგულო“-ს საკითხს შეეხო აგრეთვე ცნობილი ქართული ფსიქოლოგი ა. ფრანგიშვილი. მისი სიტყვით, „ამ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარია იმის გარკვევა, თუ ქართულ ენაში „გულ“ სიტყვა ადამიანის ცნობიერი მოქმედების საწყისის აღნიშვნისას რა შინაარსითა და მნიშვნელობითაა წარმოდგენილი... „გულ“ სიტყვის მნიშვნელობად ის საწყისი იგულისხმება, რის გამოც „კაცი კაცობს“. ადამიანი პიროვნებაა და ინდივიდუალობა... „უგულოდ კაცი ვერ კაცობს“ – „გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა პკიდიან: რა გული წაეა, იგიცა წაველენ და მისკე მიდიან; / უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან“. „კაცის კაცურობა“ – ეს მისი გულია“, ე. ი. მისი ინდივიდუალობა, თავისებური და მთლიანი“.



ადამიანის „მთლიანობა“ განისაზღვრება სულიერ ძალთა მთლიანობით, ხოლო „უგულობა“ კი „გული“-თან ერთად დანარჩენ სულიერ ძალთა „ნასვლით“.

პოემაში „გულის ნაღება“-სთან დაკავშირებით სხვა გამოთქმებიც გვხვდება: (ავთანდილი იტვის) „საყვარელო, მოგმორდი, გული შენ დაგჩრჩა, ვთქვა ვისად?“ (181.3); ასმათი ასე უხასიათებს ავთანდილს ტარიელის მიიმე სულიერ მდგომარეობას: „არ გული უნდა ფიცის და პირისა გასრულებასა? / იგი, უგულო, მოელის მართდღეთა შემოკლებასა“ (847.3-4). ნესტანზე ნათქვამია: „არ ისმენდა მეფისასა, რასა გინდა უბრძანებდა, / სხვაგან იყო გული მისი, სხვასა რასმე იგონებდა“ (1182.3). ავთანდილის სიტყვით, „დიაცხა ვინცა უყვარს, გაექსის და მისცემს გულსა“ (1093.1). ეს და სხვა მასალაც დამატებით გვიდასტურებს, რომ „გულის ნაღება“ ხდება სიყვარულის ან მეგობრობის გამო. გავიხსენით ასეთი მაგალითიც: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, / გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“ (703.1-2).

საზოგადოდ, გულის ნაღება, გულის მიცემა და, აქედან გამომდინარე, უგულოდ დარჩენა „უნებაა“, „გულის ჭირია“, რაც განსაკუთრებული გამძაფრების შემთხვევაში მიჯნურის სიცოცხლესაც კი ემუქრება. ამგვარი მდგომარეობა შეყვარებულის გულში ეშმაკულ ძალთა „ჩასახლებას“ უკავშირდება. ამიტომაც ეუბნება ავთანდილი ტარიელს: „რად სატანას ნაულიხარ, რად მოიკლავ ნებით თავსა“ (874.4).

ამასთან, „უგულობა“ პოემაში სხვა მნიშვნელობებითაც წარმოგვიდგება, რაზედაც, ვფიქრობთ, საჭიროა ყურადღების გამახვილება.

სიტყვები – „კაცსა დასერის უგულობა“ (204.4). ჭაშნავაძის მიმართ თქმული, სისასტიკესა და უღმობლობას გულისხმობს, რაც მთლიანი პიროვნებისა და ინდივიდუალობისათვის შეუფერებელი და სამარცხვინოა, მას „დასერის“. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ აკაკი შანიძე „უგულო“-ს მნიშვნელობას განმარტავდა, როგორც „გულცივს, უღმობელს“.

მაგრამ „უგულო“-ს მნიშვნელობა ამით როდი ამოიწურება. იგი უკავშირდება პოემაში აგრეთვე სევდას, მწუხარებას, გულისტკივილს. ისევე ფატმანი ნესტანის გაპარვის შემდეგ დამწუხრებული ამბობს: „სახლი და შვილი მომძულდა, ვჯდო უგულოთა გულითა“ (1215.1). სხვათა შორის თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტებით, „უგულო კაცი იმას ეწოდება, ვისა გულსა მწუხარება შეიპყრობს“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თეიმურაზ ბაგრატიონმა „უგულობა“-ს მოუძებნა, საზოგადოდ, პრინციპულად სწორი ინტერპრეტაცია, რადგან პიროვნული მთლიანობის რღვევა, დაკავშირებული „უგულობა“-სთან, ადამიანში აღმოაცენებს სხვადასხვა „წუხილებს“, რაც „მომძულია“ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. ეს განაპირობებს ამ სიტყვის სხვადასხვა სემანტიკურ შინაარსს.

6. აღმაფრენა. „ვეფხისტყაოსანში“ სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების იდეა უშუალო კავშირშია ადამიანობის (ჰუმანისტურ) იდეასთან. მხოლოდ შინაგანად მთლიან პიროვნებას ძალუძს განახორციელოს თავისუფლების აქტები, სძლიოს ჭირს და დაიმკვიდროს სიხარული. ეს კი მას დიდი ნებისყოფის, ჭირთათმენის და ჭირთაძლევის გარეშე არ ძალუძს.

„ვეფხისტყაოსნის“ რაინდები დაბრკოლებებს არ უშინდებიან, მიიღი-

საყურადღებოა, რომ ფატმანის

ვიან „ინროებიდან“ (ჭირიდან) „ფართოებისაკენ“ (სიხარულისკენ), რაც ნიშნავს სუბიექტური და ობიექტური ტკივილების გადალახვით გამარჯვების მოპოვებას და შინაგან მთლიანებას, პიროვნებად ქცევას. ეს პიროვნება „კარგი ყმაა“ („მოყმა“).

სიკეთისაკენ მიმავალი გზა ეკლიანია. ბოროტებიდან სიკეთის სამეუფოში გადასვლისათვის საჭიროა პიროვნულ მამოძრავებელ ძალთა (გული, ცნობა და გონება) მობილიზება, შინაგანი „ერთგულების“ ანუ მთლიანობის მიღწევა და მოყვასთან ამ „ერთი გულით“ მისვლა, რაც იმავდროულად ღმერთის ერთგულებაცაა. შინაგან მთლიანობას მოკლებული ადამიანი, სიკეთის „ნაკლებობას“ განიცდის, იგი „ორგულობის“ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია და, რა თქმა უნდა, ვერც კაცთან მივა და ვერც ღმერთთან. ამას აღწევს ადამიანის სწორად მიმართული, სიკეთის გზით მავალი ნების „ყოფით“ (რეალიზაციით), რასაც წინ უსწრებს „გულის მოგვარება“ (განწმენდა). ეს კი ადამიანის ფსიქიკის ურთულეს შინაგან „მუშაობასთანაა“ დაკავშირებული, რასაც საცნაურყოფს რუსთაველი სიტყვებით – „გული კაცისა მოსაგვარებლად ძნელია“.

სიკეთის დამამკვიდრებელი ადამიანი განიცდის შინაგან „აღმაფრენას“, მიიღტვის ღვთაებისაკენ, ეზიარება ღმერთს. რუსთაველი ამ იდეას სისტემის სახით აყალიბებს, რითაც ცხადყოფს ახალი ეპოქის ადამიანის სულიერ მიზანსწრაფვას, მის დანიშნულებას, პიროვნებად ჩამოყალიბების გზას, რაც შინაგანი სისრულისა და მთლიანობის მიღწევას ნიშნავს. „ვეფხისტყაოსანში“ მკაფიოდაა გამოსახული ჭირის სიხარულად გარდაქმნის დიალექტიკა, რაც „აღმაფრენის“ გარეშე არ მოიაზრება.

„აღმაფრენის“ ცნება რუსთაველამდე არ გვხვდება. მასში მოცემულია ღმერთთან ზეაღსებების იდეა, რაც მხოლოდ „ბუნებაზიარ“ ადამიანს ძალუძს. „ბუნებაზიარობა“ კი პოემაში უკავშირდება მეგობრის სიყვარულს, თანაგრძნობას და ეს იდეა მთელი პოემის ცოცხალი ნერვია („ბუნებაზიარად“ პოემაში გამოყვანილია ავთანდილი, მაგრამ ეს თვისება ახასიათებს სხვა გმირებსაც); ამასთან, ეს იდეა უკავშირდება ღვთაებისაკენ „სვლას“ (ფრიდონის დაღუპულ მებრძოლებზე ნათქვამია, რომ ისინი „ერთსა მიხვდნენ საზიაროდ“). ამგვარად, „ბუნებაზიარობაში“ დაუნჯებული პორიზონტალური და ვერტიკალური შინაარსები. ეს უკანასკნელი კი კატეგორიულად შეიცავს „აღმაფრენის“ იდეას.

პოემის მიხედვით, სიკეთისაკენ მავალ ადამიანს ღვთაებრივი განგება ეხმარება, მფარველობს. ამასთან, პიროვნებას არ ძალუძს მოქმედების, „ცდის“ გარეშე გამარჯვების მოპოვება. მან უნდა „სცადოს“ ბედი. ბედის სამანების გადალახვის, „გაბედვის“ გარეშე ადამიანი შინაგან მთლიანობას ვერ მიაღწევს. „განგება“, როგორც ღვთაებრივი ზრუნვა და წესრიგი, ღვთაებისა და ადამიანის კოორდინირებული ურთიერთმიმართებაა, რაც აუცილებლად გულისხმობს „აღმაფრენას“.

ქ. კეკელიძე აღნიშნავდა, რომ სული „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით „ზეცადრბის“. მას აქვს უნარი „აღმაფრენისა“, სადაც ის ინარჩუნებს ინდივიდუალური არსებობის უნარს.

„ვეფხისტყაოსანში“ რამდენჯერმე ვხვდებით „აღმაფრენას“, როგორც განსხვავებულ შინაარსთა სემანტიკურ გამოსახვას. იდეა ზეციური აღმაფრენისა წარმოდგენილია ბიბლიის

ფსალმუნთა ნიგნში, რაც „განსაკუთრებით ახლობელი აღმოჩნდა ქრისტიანული მსოფლმეგრძნებისათვის“ (გ. ასათიანი). პოემაში გამოხატული სამყაროს მშვენება „ათობს და ეალერსება ნუთისოფლის სწრაფმავალ სტუმრებს“. ამასთან, რუსთაველი მთელი სიგრძე-სიგანით გადაგვიშლის ადამიანის სულის უკიდევანო სიერცევებს, „მისი სწრაფვა მარადიული სინათლისაკენ განუზომლად აღემატება ჩვეულებრივი, მინიერი არსებობის შესაძლებლობებს. ნესტანისა და ავთანდილისათვის ეს ტრაგიკული შეუსაბამობა მთელი შინაგანი სისავსით იხსნება სულიერი აღმაფრენით ნათელზილვის ნუთებში“. გ. ასათიანის მსჯელობა რუსთაველური „აღმაფრენის“ არსზე ფრიად მნიშვნელოვანია. მასვე მოაქვს ადგილი ნესტანის წერილიდან ტარიელისადმი: „ღმერთსა შემეფდრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა, / ცეცხლსა, წყალსა და მინასა, ჰაერთა თანა ძრომასა, / მომცეს ფრთენი და აღეფრინდე, მიეპხედე მას ჩემსა ნდომასა, / დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა“ და მიუთითებს ამ ადგილის ბიბლიურ წყაროს: „და ვთქუ: ვინმცა მცნა მე ფრთენი, ვითარცა ტრედისანი, ავფრინდე მე და განვისუენო“ (ფს. 54,7).

„აღმაფრენა“ ადამიანის პიროვნული მთლიანობისაკენ სწრაფვაა, როცა აზრებითა და გრძნობებით შენივთებული პიროვნება „ალიტაცება“ (ალიტაციონი) კოსმიური სიმაღლეებისაკენ; ეს არის „ალიტაცება“ (ზესწრაფვის მნიშვნელობით) მისი არსებისა ღვთაებისაკენ, ზეალსელა დიდი განცდებით შეპყრობილი პიროვნებისა ტრანსცენდენტული სიერცევებისკენ. „აღმაფრენა“ ის სულიერი მდგომარეობაა, როცა ადამიანი, მინიერი სამანებით შემოსალტული, წყვეტს ამ სალტეებს და

ცდილობს „ბედის საზღვრის“ გადალახვას, ახალი სიცოცხლის დამკვიდრებას „ბედს იქით“ („და დავამკვიდრებ ახალ სიცოცხლეს შორს, სხვა ედემში, შორს, ჩემს ბედს იქით“ – გალაკტიონი; შდრ. მისივე „რუსთაველის აღმაფრენა“).

„აღმაფრენა“ და „ალიტაცება“ სინონიმური ცნებებია. პირველი მეორის გარეშე ვერ მოიაზრება. ადამიანი „ალიტაცება“ ზეციური სიერცევებისაკენ. „ალიტაცება“ ამ პირველადი მნიშვნელობის შემდეგ იმკვიდრებს „სიხარულის“ გაგებასაც (შდრ. ილიას „ალიტაცებს ხოლმე ის ხმა“). იგივე სემანტიკური ხაზი ჩანს „აღმაფრენა“-ში. სულიერი აღმაფრენა სიხარულის განცდის გარეშე წარმოუდგენელია. ეს ის შინაგანი მდგომარეობაა, როცა ადამიანს აღარ დაეფგომება მინაზე და მაღალ სიერცევებში აჭრას ღამობს. ადამიანი ღვთაებისაკენ მიილტვის (შდრ. „სწყურის სულსა ჩემსა ღმერთისა მიმართ ძლიერისა და ცხოველისა,“ ფს. 41,3), სადაც მას ელის სიხარული და ბედნიერება. მხოლოდ ღმერთთან ნიღნაყარი ადამიანი ეზიარება უმაღლეს სიკეთესა და ჰარმონიას. უზენაესი განგების ზრუნვა და მფარველობა შეეწევა მას. კანტი ამბობდა: „ორი რამ მაოცებს – ზნეობა ჩემს საკუთარ თავში და ვარსკვლავების ციმციმი ცაზე“. მხოლოდ ზნეობისა და სიკეთის გზით მავალ ადამიანს შეუძლია ამაღლება, „აღმაფრენა“. ვარსკვლავებთან ზიარების, როგორც ღვთაებასთან ამაღლების მხატვრული მეტაფორა, ბიბლიიდან იღებს სათავეს – „მე ყოველთა ვარსკვლავთა ვამცენ“ (ეს. 45,12), რაც იშვიათი პოეტური „აღმაფრენითაა“ მოწოდებული ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ: „მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა ვამცნო გულისა მე საიდუმლო“.

შირდება „აღტაცებას“, მიწიერ სამყაროდან ზეციურში გადასვლას.

ცხადია, „სულის დაბმა“ გამოორიცხავს სულის „ზეცად რბენას“, რაც მხოლოდ სულიერი ზესწრაფვის, „აღმაფრენის“ ნიშანია. ამგვარი „დაბმა“ პოემაში რამდენჯერმეა მოწოდებული, ვითარცა „ჭირის“ (ემოციებისა და ვნებების) საუფლოში ჩაჭრა. ტარიელის დახმარების სურვილით შეპყრობილი ავთანდილი თავის სულიერ მდგომარეობას ასე უხსნის ვაზირს: „მისი ნახვა გულსა ჩემსა ვითა ბადე დაებადა, / მუნვე დარჩა, დათმობაცა მასთანავე დაება, და“ (734.1-2). ავთანდილის ნათქვამი იმას ნიშნავს, რომ ძლიერი სულიერი მოძრაობის გამო, მის გულს ატყვევებს ტარიელის ნახვის სურვილი, მასთან ერთად „დაბმულია“ აგრეთვე „გაძლება“, ანუ პიროვნებას არ ძალუძს წინ აღუდგეს ძლიერ გრძნობას, რომლის ტყვეობაშიც ისაა მოქცეული (დაბმული), როგორც ბადეში.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ერთ შემთხვევაში პოემაში მოწოდებულია „ეშმაკის ბადე“, როგორც ვნებებით „დაბმის“ საშუალება: (ფარსადანი ამბობს დავარზე) „მე ღმრთისა ვუთხარ, დაუბამს მას ეშმაკისა ბადესა“ (574.2) („ეშმაკის ბადეში“ დაბმულად აქ იგულისხმება ნესტანი“).

როგორც ვხედავთ, „აღმაფრენის“ ამაღლებული ღვთაებრივი განცდით მოგერილ სიხარულს უპირისპირდება ეშმაკეული ვნებებით აღძრული „ჭირი“ (ინროება) და მწუხარება, რაც „ეშმაკის ბადეში“ დაბმაა. ეს ვნება დაიძლევა მხოლოდ „აღმაფრენით“, რაც სულის განთავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია. მაშასადამე, „აღმაფრენა“ კატეგორიულად გულისხმობს სულის ხსნას, ანუ თავისუფლებას, რაც პიროვნული გამთლიანების,

ჭირისა და მწუხარების დაძლევის გარეშე ვერ მიიღწევა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „აღმაფრენა“ მსოფლმხედველობრივი ცნებაა, რომელშიც ცნაურდება ბოროტების სიკეთის გზით დაძლევის დიალექტიკა, რაც მთელი პოემის ძირითადი იდეაა.

7. შედრეკილობა-კლება. რაინდული კოდექსი ამკვიდრებს ისეთ კატეგორიულ ზნეობრივ თვისებას, როგორიცაა შეუდრეკელობა, სიმამაცე, გაბედულება. რაინდისათვის უცხოა სიმხდალე და ლაჩრობა: იგი თავის მეობას ცხოვრებისეულ განსაცდელთან შერკინებითა და „ჭირთა შიგან გამაგრებით“ იმკვიდრებს, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდეს. „ვეფხისტყაოსნის“ რაინდები სწორედ ასეთი გმირები არიან, რომელთა კრეფოს შემდეგი სიტყვებით გამოხატავს ავთანდილი: „მე იგი ვარ... ვის სიკვილილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“ (786.2).

პოემაში არაერთ ადგილს ვხვდებით, სადაც დაგმობილია შიში, სიმხდალე და განდიდებულია სიმამაცე. რამდენიმე ადგილი; „ხამს თუ კაცი არ შეუდრკეს ჭირს, მიუხდეს მამაცურად“ (154.4); „არ შეუდრკების ჭაბუკი კარგი მახვილთა კვეთასა“ (597.2); „რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მხმეჭელსა, / შედრეკილ-შეშინებულსა და სიკვილისა მეჭველსა“ (799.1).

სიმამაცის აპოლოგია, რა თქმა უნდა, ამით არ ამოიწურება პოემაში. ამჯერად შევჩერდებით პოემის ერთ ადგილზე, სადაც პოეტი ერთ ცნებად გვანვდის „შედრეკილობა-კლებას“-ს. ავთანდილი ასე მიმართავს როსტევანს; „ბრძანე, ვისროლოთ, ნუ იქმო შედრეკილობა-კლებასა“ (68.2).

რას უნდა ნიშნავდეს „შედრეკილობა“-სთან ნახმარი „კლება“, რას მოიაზრებს პოემის ავტორი ამ ცნებაში?

იმისათვის, რომ გამოეარკვიოთ „კლების“ მნიშვნელობა, უნდა გავითვალისწინოთ მისი სემანტიკა, როგორც ანთროპოლოგიური ცნებისა ძველი ფსიქოლოგიური მსოფლმხედველობის საფუძველზე, რომელიც დაცულია როგორც კლასიკურ ფსიქოლოგიურ თუ საღვთისმეტყველო-თეოლოგიურ ნაშრომებში, ისე ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში წარმოდგენილ ფსიქოლოგიურ ცნებებში, რომელთა საშუალებით, აგრეთვე ძველ ლექსიკოგრაფთა ჩვენებით, შესაძლებელი ხდება „ვეფხისტყაოსნის“ „კლების“ შინაარსის დადგენა.

მეტად მნიშვნელოვანია „სულმოკლე“ ცნების განმარტება, რომელიც საბას ლექსიკონის მიხედვით მოწოდებულია ასე: „რომელმან ვერარა მოითმინოს და მყის შენუხდეს; ვერა მოიჭიროვს რა, გინა ვერა დაიტოს რა გულში“.

ძველი ფსიქოლოგიური ცოდნის სისტემაში შემუშავებულია პიროვნების მთლიანობის „შეინრების“ ან „ნაკლულობის“ (კლების) გაგება და ასეთ შემთხვევაში ადამიანი მოქმედებს ან იქცევა გონიერების სიმოკლის ნიშნით, ე. წ. „გრძნობის ლოგიკით“, რომელიც სხვადასხვა შინაარსის (მათ შორის „შედრეკილობის“ – შიშის) ემოციურ გამოვლინებებს გულისხმობს. საფუძველი ამგვარ ქცევათა არის, როგორც საბა გვეუბნება, „შენუხება.“ როდესაც ადამიანი ნუხს ან იტანჯება რაიმეს გამო, ეს მის ფსიქიკაში აღმოაცენებს შიშს, შურს ან სხვა რაიმე უარყოფით განცდას. ნიშანდობლივია, რომ საბას მიერ „შურის“ განმარტება პიროვნების შინაბუნების მთლიანობის რღვევას – ნუხილს ეფუძნება. მისი სიტყვით, „შური არს მნუხარება სხვისა კეთილსა ზედა“ (საბას ეს გან-

მარტება ემყარება ძველი ბერძენი ფსიქოლოგ-ანთროპოლოგის – ნემესიოს ემესელის ნაშრომს „ბუნებისათვის კაცისა“).

საყურადღებოა ისიც, რომ საბას მიერ „გულის ტანჯვა“ განიმარტება როგორც „გონებით შეჭირვება“, რაც ნიშნავს გონების ფართო მიმოქცევის „შეინრებას“. ეს კი წინაპირობაა „გრძნობის ლოგიკით“ მოქცევა-მოქმედებისა.

ყოველივე ზემოთქმულიდან ირკვევა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ცნება „შედრეკილობა-კლება“ ნიშნავს პიროვნების გულში შიშის განცდას, რაც ადამიანის სისრულის შელახვას, შემცირებას ანუ „კლებას“.

საზოგადოდ, კლება, მოკლება, ნაკლოვანება სიკეთისა და ღვთიური მადლის დეფიციტია ადამიანში, მისი სულიერების არასრულფასოვნებაა. ეს სტერეოტიპი არაერთხელაა მოწოდებული „ვეფხისტყაოსანში“. ასე, მაგალითად, ცნობილ აფორიზმებში – „ეცან სიმოკლე ბოროტისა“... (1492.3); „ღმერთი... აესა შეამოკლებს“...) პოეტი გვეუბნება, რომ ბოროტების გამოვლენა ხასიათდება სიმოკლით. ცხადია, აქ მხოლოდ დროში ხანგრძლივობა როდი იგულისხმება, არამედ მოაზრება აგრეთვე, მოვლენის შინაგან ნიშნეულობად. სიმოკლე (კლება) თავისი ხასიათის „ვნებაა“, „ბოროტებაა“. იგი მოაზრება „სიკეთესთან“ შეპირისპირებით, რომლის არსება „გრძელია“. ამდენად, თუკი სიმოკლე ბოროტებაა, სიგრძე – სიკეთეა.

ყოველივე ეს დასტურდება ბიბლიის მაგალითებითაც: „ეკრძალენით, ნუ ვინმე დაკლებულ იყოს მადლისაგან ღმრთისა“ (ებრ. 12.15); „სურის და მოაკლდების სულსა ჩემსა“ (ფს. 83.3); „მოაკლდა სულსა ჩემსა A, – სულმოკლე იქმნა სული ჩემი B“ (ფს. 76.4).

ნიშანდობლივია ისიც, რომ მოკლება დამახასიათებელია არა მარტო „სულისათვის“, არამედ ისეთ პიროვნულ მამოძრავებელთათვის, როგორცაა გული და გონება: „ნუ გულსა გაკლდეს“ (მ.ცხ.123); „არა რაა უწმს სიბრძნე ნაკლულევანთა გონებითა“ (იგავთა, 11.12); „გულთა უღმრთოთა მოაკლდეს“ (იგავთა, 10.30).

როგორც იტყვა, კლება მთლიანპიროვნული „სენია“, რომელიც სხვადასხვა ემოციური შინაარსის ცნებაში იჩენს თავს. ერთ-ერთი ბოროტი ვნებაა „გულისწყრომა“. ფრიად დამახასიათებელია ასეთი მაგალითი: „დაემოკლდი გულისწყრომითა“ (ოცხე.13.11).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „კლების“ ცნება „ვეფხისტყაოსანში“ მხოლოდ „შედრეკილობა“-სთან არ გვხვდება. როდესაც ჭაშნაგირი დაემუქრება ფატმანს, ავთანდილი ეკითხება ქალს: „რას დაგეჟადა იგი ყმა, რა ნახა შენგან კლებული?“ (1104.3).

„კლება“-ს პოემაშიუპირისპირდება ანტონიმური ცნება „უკლებლობა“. ტარიელის საძებრად მიმავალი ავთანდილი შერმადინს უბარებს: „სიკეთე და უკლებლობა შენი ერთობ გაცხადე“ (1104.3).

როგორც ვხედავთ, აქ „უკლებლობა“ ტოლფასია „სიკეთისა“, ეს კი იმახაც ნიშნავს, რომ „კლება“ მოიაზრება როგორც „ბოროტების“, „ვნებითი“ შინაარსის მქონე სიტყვა.

ამგვარ ინტერპრეტაციას ნათელყოფს დიონისე არეოპაგელის მიერ მონოდებული დეფინიცია: „ღმერთის მიერ შობილნი და ქმნულნი კეთილ არიან და, თუ რომელიმეს მოქმედება ბოროტი აქვს, მისი გამოსწორებაც შეიძლება, რადგან ბოროტება არის მხოლოდ უძლურება და მოკლება, ნაკლები კეთილისა“.

ჩვენს მიერ „შედრეკილობა“-კლების“ შინაარსობრივ გააზრებას, ვფიქრობთ, დაგვიდასტურებს „კლების“ სინონიმური სიტყვა „ლევა“ („განლევვა“), რომელიც პოემაში გვხვდება „შიშთან“ ერთად: „ალარ დაგხოცო“, – უბრძანა, – ძლეული შიშმან თუ ლია“ (ნ15.2); შდრ. „არს იგი განმლევველ სათნოებისა“ (მამ. სნ.24.132); „დღითი-დღედ განვილევი მწუხარებითა“ (მამ. სნ. 263.22).

ვფიქრობთ, „ვეფხისტყაოსნის“ სანალიზო სტრიქონში გარკვევით ჩანს „შედრეკილობა“-კლების“ სემანტიკური დატვირთვა, რასაც სხვა ანთროპოლოგიური ცნებებიც გვიდასტურებენ.

საზოგადოდ, უარყოფითი ემოციები „ამოკლებენ“ „განლევვენ“, „ავინროებენ“ პიროვნების სიკეთეს (სისრულეს), ხოლო დადებითი განცდაგრძნობები და მისწრაფებები (ლტოლვები, სურვილები, ნადილები) „ალავსებენ“. პირველი უკავშირდება „მწუხარება“-ს, მეორე – „სიხარულს“.

10. ნესტანის „ჭირისა“ და „ორი სიკვდილის“ შესახებ. „ჭირი“ „ვეფხისტყაოსანში“ ერთი უმნიშვნელოვანესი ცნებათაგანია, რომლის შინაარსი წარმოაჩენს ადამიანის იდეის, მისი რაობის არსებით მხარეებს. „ჭირთან“ შერკინება, მისი ძლევა განაპირობებს ადამიანის, როგორც აქტიური და მიზანსწრაფული არსების, პიროვნულობას, ადამიანის შინაბუნებას წარმოგვიჩენს მთელი თავისი მრავალფეროვნებით, სიმდიდრითა და განუშეორებელი ფერებით. „ჭირი“ ადამიანში „ამიშვლებს“ მის დადებით და უარყოფით თვისებებს, ფსიქიკის შრეებიდან ამოზიდავს „დაფარულ საუნჯეს“, რომელიც მან უნდა „მოიხმაროს“, პრაქტიკული რეალიზაცია მოახდინოს თავისი შინაგანი უნარებისა; სხვაგვარად ვერ მიაღწევს მიზანს, ვერ განახორ-

ციელებს ჩანაფიქრს, ვერ აღასრულებს ნებას; ადამიანის მიერ „ჭირის“ გადალახვა მოითხოვს „ნების ყოფას“, „ქმნას“. მხოლოდ ამ გზით ხდება პიროვნებად გამოვლიანება.

ბიბლიის „იგავთა წიგნში“ ნათქვამია: „ძმანი ჭირსა შინა სახმარ არიანო“ (17.17), რასაც ამკარად ეხმაურება პოემის ცნობილი აფორიზმი: „ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი“ (773.4).

„ვეფხისტყაოსანში“ „გულის ჭირი“ სიყვარულის გრძნობასთან, ძლიერ სულიერ შეჭირვებასთან არის დაკავშირებული. ნესტანის უშუდეგო ძებნით სასონარკვეთილი ტარიელი ამბობს: „დახსნილ ვარ ლხინსა ყოველსა, მით გული ჭირსა მოეხის“ (643.4); მასვე აღმოხდება: „გულსა სევდა შემეყარა, ვინყე ჭირთა მოპოვნებად“ (516.4).

მიჯნურობის „ჭირი“ დაკავშირებულია მძაფრ სულიერ განცდებთან. აეთანდილი იტყვის: „მიჯნურობა საჭიროა, მით სიკვდილსა მიგვაახლებს“ (915.3).

„ვეფხისტყაოსნის“ „ჭირისა“ და „ლხინის“ თემას შეეხო ცნობილი რუსთველოლოგი ვ. ნოზაძე. სხვა საკითხებთან ერთად მან ყურადღება გაამახვილა „ჭირში ჩავარდნასა“ და „მოჭირვებაზე“. მკვლევარმა სრულიად სამართლიანად მიუთითა, რომ რუსთაველის მიერ „გამოთქმულია დებულება ადამიანის ნების თავისუფლების შესახებ გარკვეულად“. მანვე აღნიშნა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ფილოსოფია „ჭირის“ შესახებ არის საესებით ოპტიმისტური; იგი გულისხმობს ბრძოლას, მოქმედებას, როგორც ნების მიმართულებით, ისე ზნეობრივადაც. ნება აქ თავისუფალია და მებრძოლი“.

ვ. ნოზაძე აანალიზებს ნესტანის მიერ ფატმანისადმი გაგზავნილი ნე-

რილის სტროფს, რომელშიაც ნათქვამია ტარიელის შესახებ: „მე რომ მჭირს, კმარის, ნუ მომკლავს ამისითავე სწორითა: /მას მკვდარსა ვნახავ, მოკვდეები მე სიკვდილითა ორითა“ (1290.2).

ნესტანის მოსალოდნელი „ორი სიკვდილის“ გულისსუბილი გამჟღავნებულია მის სიტყვებში: „რასა პქვიან ძებნა ჩემი? არ ეგების, დაიჯერე!“ (1287.4); „გეაჯები, საყვარელსა შემახვეწე, შემაბრალე, / ნუ წამოვა ძებნად ჩემად, მიუწერე, შე-ცა-სთვალე“ (1289.3-4).

ნესტანი შენუხებულია იმის გამო, რომ მის გამოსახსნელად ქაჯეთს მისული ტარიელი აუცილებლად დაიღუპება.

ნესტანი გარკვევით ამბობს, რომ აკმარონ ის ჭირი, რომელიც მას „სჭირს“.

ისმის კითხვა: რას ნიშნავს „ორი სიკვდილი“, რომლითაც მოკვდება ნესტანი, როცა ტარიელს მკვდარს დანახავს?

ვ. ნოზაძე მიუღებლად მიიჩნევს თეიმურაზ ბატონიშვილის ამგვარ განმარტებას: „სააქაო და საიქიო სიკვდილი ორ სიკვდილად ითქმის, რომელ ვინცა ველარ მოითმენს და თავს მოკლავს; მაშა მკვლელი ნეფსით იქცა წარწყმდების. მეორე, ეს ორი სიკვდილი ეს არის, ერთი რომ თავს მოკლავს, ხომ მით მოკვდა და მეორე, რასაც საქმეს ეძიებს, ის საქმე წარწყმდა და დაეკარგა – ამას ნიშნავს, ორისაგანვე ცარიელი შეიქმნებაო“. თეიმურაზ ბატონიშვილის ამ ახსნას ვ. ნოზაძე ასეთ კომენტარს უკეთებს: „ასეთი განმარტება სწორი არ არის, რადგან აქ ნესტანი თავის მოკვლაზე არ ლაპარაკობს“.

ვ. ნოზაძე იმგვარ საეარაუდო განმარტებას გვთავაზობს, თითქოს ერთი

სიკვდილი გულისხმობდეს ამქვეყნიურ სხეულებრივ სიკვდილს, მეორე კი – საიქიო სიკვდილს, თუკი ნესტანი დაუშვებს ტარიელის შებმას ქაჯებთან, რასაც, მისი აზრით, რაინდის უჭველი დალუპვა მოჰყვება. მკვლევარი დასძენს: „ასეთია ჩემი განმარტება და, თუ ეს სწორად მისაჩნევია, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ცნება „ორი სიკვდილი“ რელიგიური მნიშვნელობისაა და არის იგი ქრისტიანული“.

ვფიქრობ, ამგვარი განმარტებაც, ისევე როგორც თეიმურაზ ბატონიშვილისა, არ უნდა იყოს სწორი. ჩემი აზრით, ერთი სიკვდილი – მძიმე სულიერი ტკივილებია, გამოწვეული სატრფოსთან დაშორებითა და იმ არნახული ტანჯვა-წამებით, რაც ნესტანმა გამოიარა. მისი მდგომარეობა სიკვდილის ტოლფასია. ნესტანს სიკვდილი გაუორმაგდება, თუ ტარიელი დაილუპება ქაჯებთან ბრძოლაში. ამას უნდა ნიშნავდეს – „მას მკვდარსა ვნახავ, მოვკვდები მე სიკვდილითა ორითა“. ტარიელის სიკვდილი იქნება მისთვის უმძიმესი დარტყმა – პირველ ტანჯვა-წალეხას (ერთ სიკვდილს) დაემატება მეორე საშინელი სულიერი ტანჯვა. ნესტანი თვლის, რომ ერთი სიკვდილით ის უკვე მკვდარია, მეორე სიკვდილიც რომ დაემატება ტარიელის დალუპვით, უკვე „ორი სიკვდილით“ მოკვდება. ნესტანი არ ლაპარაკობს და არც გულისხმობს საიქიო სიკვდილს. „ორივე სიკვდილი“ ამქვეყნიური სულიერი სიკვდილია, ორივე შემთხვევაში „სიკვდილი“ სიმბოლური შინაარსით იტვირთება.

ამგვარი შინაარსი კონტექსტით ნათლად იკვეთება. „მე რომ მჭირს“, – ამბობს ნესტანი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნესტანი უკვე შეპყრობილია ერ-

თი სიკვდილით და ნატრობს, სატრფო ნულარ მოკლავს „ამისი სწორი“ (ამგვარი, ასეთივე) სიკვდილით. შემდეგ კი განმარტავს, თუ რა სიკვდილს გულისხმობს – „მას მკვდარსა ვნახავ, მოვკვდები მე სიკვდილითა ორითა“. მაშასადამე, ნესტანის მეორე სიკვდილი იქნება ის, როცა ტარიელს მკვდარს ნახავს. ეს კი არ შეიძლება იყოს საიქიო სიკვდილი.

ტარიელს თუ მკვდარს დაინახავს, ეს მისთვის მეორე „ჭირი“, ანუ სულიერი სიკვდილი იქნება, რომელიც დაემატება პირველ სიკვდილს და ორი სიკვდილით მოკვდება. ორივე სიკვდილი ამქვეყნიურია. იგი არც ხორციელია და არც იმქვეყნიური – გამოწვეულია ამქვეყნიური მძიმე განცდებით. „პირველი სიკვდილი“ უკავშირდება მიჯნურთან განშორების „ჭირს“, „მეორე სიკვდილი“ კი დაუკავშირდება სატრფოს ფიზიკურ სიკვდილს, ამ უზედურებით განცდილ მძიმე სულიერ „შეჭირვებას“.

პოემაში „ჭირის მომატებაზე“ სხვაგანაც არის საუბარი. ნესტანი ამბობს, რომ მისთვის ერთი „ჭირი“ იყო გრძნულთა ტყვეობაში ყოფნა, რასაც შემდეგ დაემატა ქაჯეთის ციხეში დატყვევების „ჭირი“: „ან სოფელმან უარესი ჭირი ჭირსა მომისართა“ (267.3); „ჭირის მომატება“ არც ტარიელისთვისაა უცხო, რომელიც „სულთქვამს ჭირმონამატები“ (267.3).

ისიც სათქმელია, რომ „ჭირში ჩავარდნა“ ხდება ამქვეყნად, „ჭირვეულია“ ნუთისოფელი, რომლის სიძნელების („ჭირის“) გადალახვას ახდენს მინიერი პიროვნება თავისი ოპტიმისტური ძალისხმევით. ეს „ჭირი“ არ შეიძლება იყოს იმქვეყნიური. ნესტანსაც ორივე „ჭირი“ ამქვეყნად „სჭირს“.



რეზომ ადამია

ხუან მირო

(1893-1983 წწ.)

ნლევიანდელი, პარიზული შემოქმედებითი სეზონი, შარშანდელთან შედარებით ბევრად ნაყოფიერი გამოდგა, მაგრამ საკმაოდ რთული და დაძაბული. წელს პირველად ვესტუმრე სახელგანთქმულ პომპიდუს მუზეუმს. ბოლო პერიოდის მოდერნისტული სურათების და ქანდაკების დარბაზები ყურადღებით შემოვიარე. მერე მეოთხე საართულზე ავედი, სადაც ექსპონირებული არიან ფერწერის და ქანდაკების მარად ჩაუქრობელი ვარსკვლავები. დღეს ცივი, თუმცა მზიანი ამინდია და დილაადრიან სახატავად გავედი. როცა პარიზში ვარ, ჩემი საყვარელი თემბა მდინარე სენა თავისი კატარღებით, ულამაზესი ხიდებით, საოცარი არქიტექტურით დამშვენებული სანაპიროები და ლუვრი. სენა დინჯად მოედინება და ზოზონით მოაქვს გვიანი შემოდგომის ხეებიდან ჩამოცვენილი, ნითელ-ყვითელი და ნარინჯისფერი ფოთლები; ბუნების ამ სევდიან განწყობილებას ასხივოსნებს სენის ზედაპირზე არეკლილი არქიტექტურული ძეგლები და ხიდები. პატარა ეტიუდის შექმნალა მოვასწარი და შეუსვენებლივ, ნოტრდამთან ახლოს მდებარე საგამოფენო დარბაზში წავედი. გალერეის მეპატრონე ფრანკ ქალბატონს ვყავდი დაბარებული; მაგრამ ჩემთვის

ვერ მოიცალა - ცენტრალური აფრიკის რომელიღაც ქვეყნის ხალხური შემოქმედების ნიმუშებს ფენდენ. გალერეის მეპატრონე ქალბატონმა ორ დღეში მოდიო, მითხრა; ჩემი ბოლო პერიოდის ნამუშევრების გამოფენას აპირებენ. მთლიან გალერეას თუ ვერ დამითმობენ, ერთ კედელს უჭველად მომცემენ.

საგამოფენო დარბაზში შეეჩერდი, ალტაცებული და გაოგნებული ჩემს თავს არ ვეკუთვნი, ვდგავარ ხუან მიროს სამი დიდი ზომის ცისფერ პანოსთან. სურათები პირდაპირ, მარჯვენა და მარცხენა კედლებზეა ექსპონირებული და მაყურებელი მათი შემოქმედების არეალში ეხვევი. შინაგანად და სულიერად უსასრულობისაკენ სწრაფვის უინი მიპყრობს. ეგრძნობ, სული ჩემში მძაფრად და უცხოვდ მოძრაობს, მოსვენებადაკარგულს და თავისივე სტიქიურობით აჩქარებულს შორეულ სამშობლოში მგონია თავი. ხუან მიროს კოსმიური უსასრულობის შემცველი სურათები ღრმად სულიერია და მისი გზა მარადიულობისკენაა მიმართული.

ადამიანის გონება, თავისი ქვეშეობრივი აზროვნებით, პირველობას უმეტესნილად სულს უთმობს, და ეს მოვლენა მკაფიოდ ჩანს ხუან მიროს შე-

მოქმედებით სამყაროში. რაღაც სფეროსმაგვარი უსასრულობა ჩადუღაბებული ამ კვადრატულ პანოებში. შავი და წითელი ფერის სფეროს მაგვარი ფორმები, სულის უხილავ ნონადობაზე და მისეულ სევდაზე მიგვანიშნებს. აი, აქაა მხატვრის მიერ აღმოჩენილი სულის უსასრულობის გზა და სამყაროს სიღრმეში შორეული ვარსკვლავივით უწყვეტი ნათება.

გადავდივარ ერთ-ერთ საშუალო ზომის დარბაზში, სადაც წარმოდგენილია მიროს შვიდი აბსტრაქტული ნამუშევარი. ამ სურათებში, ჩვენი მზის სისტემის უახლოესი სულიერი და გონებრივი მოძრაობაა, უნაკლო კოსმიური განწყობილება. ხუან მირომ თავისი შემოქმედებით ბიბლიური სულიერება ხილულად გახსნა. ერთი წამითაც დაექვება არ შეიძლება, რომ ინტელექტუალური, ღვთის შორსმუნე ადამიანი, უთუოდ იპოვის ამ სულიერების სახეს. აქ სულის პირდაპირი დანახვაა, გარდაცვალების შემდგომ, სულის თავისუფლება და მისი სრული კოსმიურობა მაღალმხატვრულ დონეზე გაცხადებული.

ხუან მირო გახლავთ აბსტრაქტული ხელოვნების ერთ-ერთი უბრწყინველესი წარმომადგენელი. დასრულებული ფორმის და ხასიათის მხატვარი. მარსეულია ხაზის, ფორმის, ფერის და აბსტრაქტული მიმდინარეობისათვის დამახასიათებელი კოლორიტი, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ფერის თვისობრივი ნიშნები და მისი სიღრმისეული ტონალობა, გამჭვირვალობა და ჰაეროვნება. ღრმა და სრულიად უცხო ცისფერ გამაშია სამივე პანო გადანყვეტილი. ამ ტილოებზე, მზის დავარსკვლავთა სხივით გაფლენილი სივრცის, კერძოდ, ცის უსასრულობის ფაქტურა და განწყობილება ფანტას-

ტიურ დონეზეა გახსნილი. უცნაური ცის სილურჯეში მოცურავე, შავი, წრიული ფორმები უთვალავ, ჩვენს მიღმიერ გრძნობათა ამკრეფია. ხოლო ღრმა წითელი ფერის ნაგრძელებული ლაქა, სამყაროს და ჩვენი მზის სისტემის მარადიულობის კოსმიური მჩქეფარე არტერიის სახეა ან აბსტრაქტული მიროსეული პორტრეტია. შესაძლებელია ღმერთმა გაიღვია აქ და ბასრი ხანჯალივით სიკეთის წყაროდ გაჭრა ცის სილურჯის უსასრულობა.

ხუან მირო, ვასილი კანდინსკი, კაზიმირ მალევიჩი, პოლაკი, ჯექსონი, პიკასო რომ არა, კიდევ დიდხანს იქნებოდა კაცობრიობისათვის იდუმალეების უხილავობა და მისი კოსმიური მრავალფეროვანი ფორმათა მიუნვედომლობა, საუკუნეებში თუ ათასწლეულებში გაინელებოდა. მიროს სურათები იმდენად ახლოა ჩვენი ყვითელი მზის ბუნებისათვის, რომ ცივილიზებული ადამიანი უხილავ კოსმიურ საფეხურებს გადახარა ჩვენი მზის სისტემიდან სამყაროს მიუნვედომლობისაკენ და ისევ მასთან რომ ტრიალებ, ამჩნევ უხილავი და ციური, ფანტასტიური ცხოველების ფორმებსაც, რომელნიც, რა თქმა უნდა, სურათის საგნობრივობას სრულიად მოცილებულნი არიან.

ხუან მიროს მხატვრობაში უზომოდ დიდი ასახვაა სამყაროს სივრცის და მისი ატმოსფეროს შემადგენლობის სისავსეა. შემოქმედის მეცნიერულ-მხატვრული აზროვნება თითქოსდა მთლიანად შეერწყა ურთიერთს და შეიქმნა ქვეყნიერების უსასრულობის ფორმულა. ის თითქმის გაუმთლიანდა სივრცის შემადგენლობას და იქიდან უშუალოდ მოედინება ცის უხილავ ნაკადად. მისი სურათები ჰაეროვანი, გამჭვირვალე და სივრცობ-

რივია, ლურჯი ფერის სრული სიღრმისეულობით. მიროს სურათებში, კოლორიტის კონტრასტული ცვალებადობაცაა, რომელთა პლანეტური ხედვიდან გამომდინარე, მათთან ერთიანდები: უმაღლესი მხატვრის სულის შემადგენლობაში მაგნიტურად მიიზიდები და თავად შენს ადამიანურ სიმაღლეთა საიდუმლოებასაც ეზიარები, რომელიც შენში მოულოდნელად იხსნება.

სურათი „სიესტა“ ვერცხლისფერების და ცისფერებისაკენ მავალი, თეთრ და გამჭვირვალე შავ ფორმათა ულამაზესი კომპოზიციაა; აქ უწყვეტი და ჯაჭვისებური კავშირია სამყაროს სივრცის შემადგენლობისა: ყოველი მისი ტილო ღრმა სულიერებითაა დატენილი; მაგრამ, ხუან მიროს შემოქმედების საოცრება ისაა, რომ ყოველი სურათის შემადგენელი სულიერების მიღმა უხილავი, გონებისათვისაც მიუწვდომელი სულიც ტრიალებს (ეს სულის უხილავობის მესამე საფეხური). ყოველივე ამას წარმოქმნიან მისი ფანტასტიური ფორმები, სხვადასხვა სახეობის ცოცხალ არსებათა პორტრეტებიდან ნაშობი.

სურათი „მოცურავე“. 1924.

დარბაზის მთლიანობას, კარგად ერწყმის ეს სურათი; მაგრამ, მისი მთავარი ფუნქცია უსასრულოა, თავისი კოსმიური ერთობლივობით.

ამ სურათში მუქი ცისფერების უზომო ალიაქოთია, ფერთა შიდა დინამიკა და ტონალური ქარბორბალა: სურათის მარცხენა მხარეს დაკიდულია მოყვითალო ფერის ნამგალა მთვარე; მარჯვენა და მთლიანად ქვედა მხარეს (ზევით) ოქროს ფერთა (ქვემოთ), თბილი თეთრი ფერების და ხაზების ტალღისებური წარწარია. თბილი შავი ფერის წერილი ხაზები,

სურათის ოთხ ნაწილად უყოფს და მუდგან მარჯვენისაკენ, ორი ნახევრად წრიული ხაზი მიედინება. მარჯვნივ, სურათის ზედა მხარეს, ნათელი წარინჯისფერის, ერთი სანტიმეტრის სისქის, წრიული ლაქებია. თოთხმეტრ, მუქი ყვითელი ნერტილებით, რომლებიც წითელ წარინჯისფერ ლაქებს ქვემოდან ეფინება.

განწყობილება? არავითარი. ნახევარმთვარე გამოსახული მოწმენდილი ცისა; სულ სხვა აზრია აქ წარმოდგენილი; ნაღდი განზოგადებაა სამყაროში განთავსებული ამ სხეულების განწყობილებისა, რომელნიც აქაა გამოსახული. ყოველივე აქაური, რალაც უსასრულო და ბუმბერაზი სივრცის მხოლოდღა ნაწილია.

ბედნიერია კაცობრიობა ხუან მიროს მოვლენით და მისი კოსმიური განწყობილების მქონე სურათების არსებობით.

ყოველი გენიოსი თუ დიდი ხელოვანი, თავისი არსებობის დროშივე საოცრად მითიურია და გარემოსათვის უცხო.

ის ერთია მხოლოდ, მილიონთა და უთვალავთა შორის. დიდ მავსტროს დააკისრა ღმერთმა უდიდესი ტვირთი და მოვალეობა, რომ ეს უხილავი ფორმები, ხაზები თუ განწყობილებანი, მოეტანა ადამიანებისთვის ნმშიდათა-ნმშიდა ნაშობ ხელოვნებად.

„მხატვრობა“ 1933, ეს სურათი სულის და გონების, ისეე და ისეე სამყაროს სივრცეში, სრულყოფილებით არსებობის ქვემარტი სახეა. თავისი ყოვლისმომცველი თვისებებით, განზომილებით და კოსმიური წონით. შავის, წარინჯისფერის, ნაცრისფერი თეთრის, შავროვანი ცისფერის და მსუყე ყვითელი ფერის, ფორმათა საოცარი დინამიკა, მომწვანო მოვარ-

დისფრო ფონზე. დიდი ან სურათის სახე და დანიშნულება.

ჩვენს ირგვლივ არსებული, ასტრონომიული სივრცის სურათ-ხატია ხუან მიროსეული პანოები. ამ სურათებს მაყურებელი ღრმად რომ ჩანვდები, ნელ-ნელა შენს ცნობიერებაში აბსტრაქციაზე წარმოდგენა ქრება და თითქოს მთელი არსებით რეალურ გა-

რემოში ხარ მოქცეული; და აი აქაა გაშლილი დიდი მატეროს უსაზღვრო ნიჭიერება, თავის მაღალ ნოვატორობასთან ერთად. თითქოსდა ხუან მირომ იმოგზაურა ამ ცისფერ უსასრულობაში და ფერწერის ურთულესი ენით გვიყვება კოსმიური საიდუმლოების საოცრებას.

პარიზი 2003 წ. პომპიდუს მუზეუმი.



360 იმერლიშვილი

მიხაი ზიჩის მოღვაწეობა საქართველოში

იაკობ რეინევისა და გრაფ იანოშ კოპარის შემდეგ დიდი უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის მოღვაწეობა საქართველოში ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია როგორც მის ბიოგრაფიაში, ისე გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ჩვენი კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

ეს ფურცელი მოგვითხრობს რუსეთის სამეფო კარის მხატვრის გულთბილ დამოკიდებულებაზე იმდროინდელ საქართველოს მოწინავე ადამიანებთან, უკუდავი „ვეფხისტყაოსნის“ დასურათების ამბავსა და იმ ცხოველ ინტერესებზე, რომელიც მთელმა ერმა გამოიჩინა ამ დასურათებისადმი.

ზიჩიმ თავისი კაცთმოყვარეობითა და დიდბუნებოვნობით ჩამოსვლისთანავე განსაკუთრებული სიყვარული დაიმსახურა ქართველ ხალხში. მის სახელსა და უანგარო მოღვაწეობას არასოდეს დაივიწყებს საქართველო და მუდამ მაღლიერებით მოიხსენიებს.

იმ დროს, როდესაც ზიჩი სამეგობროდ ხელს უწედა ჩვენს პროგრესულ მოღვაწეებს, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ფართოვდებოდა. რუსეთში გაჩაღებული იყო ბრძოლა ახალი თაობის ინტელიგენციასა და რეაქციონერთა შორის. არსდებოდა სულ უფ-

რო და უფრო ძლიერი ორგანიზაციები ცარიზმის წინააღმდეგ, მაგრამ მეფის მთავრობაც ფხიზლობდა, სასტიკი რეპრესიებით ამზობდა თავისუფლების ყოველგვარ გამოვლინებას. განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენდა მთავრობა „ინოროდცებისადმი“, ცდილობდა აღმოეფხვრა ყოველი ნაციონალური და გაეთქვიფა საერთოდ რუსულში. ცარიზმი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს იმპერიის განაპირა ქვეყნებს და არაფერს ერიდებოდა, რათა ძირშივე ჩაეკლა რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთება, უღმობელი საშუალებებით ჩაეტარებინა კოლონიზატორული და ასიმილაციური პოლიტიკა.

აი, ამ დროს ეწვია ზიჩი საქართველოს.

ასეთ პირობებში სამეფო კარის მხატვრის გულთბილი დამოკიდებულება „ინოროდცებისადმი“, მართლაც რომ, დიდ გმირობას წარმოადგენდა, მისი მეგობრული დახმარება მეზობელი ინტელიგენციისადმი, საუკეთესო მაჩვენებელი იყო დიდბუნებოვანი მხატვრის სულისკვეთებისა, მისი ძლიერი ნებისყოფისა და პუმანიზმისა.

როდესაც ზიჩი საქართველოში ჩამოვიდა, მას აქ დახვდა პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდობა, რო-

მელსაც მეთაურობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი, დიდი ილია ქავჭავაძე. მათ მოქმედებას არ აკლდა არც რომანტიკული პათოსი და არც ისტორიული წარსულისადმი ტრფიალი. მათი ერთსულოვნება, მისწრაფება თავისუფლები-სა და უკეთესი მერმოსისაკენ ღრმად ჩანდა გულში დიდი შესაძლებლობისა და მდიდარი ფანტაზიის მხატვარს, რომელიც ასეთივე იმედით იყო გამსჭვალული თავისი სამშობლოს მომავლისადმი. ნათქვამია „სულს სული იცნობსო“ და ზიჩიმ იცნო და შეიყვარა ეს ქვეყანა, რომელსაც ასეთი ახალგაზრდობა აღმოაჩნდა ეროვნული განსაცდელის ფაშს.

ზიჩი უკვე 54 წლის იყო, როდესაც საქართველოს ეწვია. მას განვლილი ჰქონდა დიდი და რთული შემოქმედებითი გზა. მთელი ევროპა იცნობდა, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო ილუსტრატორსა და ლირსულ მოქალაქეს და, აი, ამ ადამიანს – მხატვრული ხელოვნების დიდოსტატს – მიანდო საქართველომ უკვდავი რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება.

XIX საუკუნის 80-იანი წლები ქართული კულტურის ისტორიაში უდიდესი მოვლენით აღინიშნა – ერის ინტელექტუალური ცხოვრების თავკაცთა მამულიშვილური მეცადინეობის შედეგად 1888 წელს გამოიცა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

„ეს იყო მნიშვნელოვანი და საპატიო ნაწილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომლის ქარტილებში თავდაუწონებით გადაეშვა მონინავე ქართველი საზოგადოება. ეს იყო ბრძოლა ხალხის თვითშეგნების გაღვივებისათვის, ეროვნული კულტურის აღორძინებისა და წინსვლისათვის.“

ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწ-

ყისში ეროვნული კულტურის მხატვრული შეუდგენ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შეჯერებას, დახვეწას, მისი ტექსტის სიტყვის მოძიებას. ტექსტის დამდგენ კომისიაში შედიოდნენ ი. ქავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ა. წერეთელი, ი. მელუნარგია, ივ. მაჩაბელი და სხვები. ფინანსური საკითხების გადაწყვეტა იკისრა ცნობილმა ქართველმა მრეწველმა და ქველმოქმედმა გ. ქართველიშვილმა.

„ბ. გ. დ. ქართველიშვილმა განიზრახა ჩვენის დიდებულის პოეტის, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ჩინებული გამოცემა. წიგნი უნდა იყოს დიდის ფორმატისა, მშვენიერს ქალღმრთულ დაბეჭდილი, ძვირფას ინგლისურს ყდამი, სურათებითა და ავტორის პორტრეტით შემკული.“

ამ გამოცემისათვის თადარიგს კიდევ შესდგომიან. ტექსტი შესწორებული იქნება იმ ვარიანტებზე, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ კომისიამ ამოწერა. სურათების დახატვა უფასოდ უკისრია გამოჩენილ მხატვარს ზიჩის, როგორც ამას პეტერბურგიდან ტელეგრაფით გვაცნობებენ. ეს სურათები შემდეგ საზღვარს გარეთ ამოქრებიან. ამავე გამოცემისთვის შეუკვეთენიათ აგრეთვე საგანგებო ასომთავრული ასოები მხატვრობით, – იტყობინება „დროება“ 1884 წელს.

სწორედ ტექსტის დადგენასთან ერთად დაიბადა „პირველი აზრი“ სურათებიანი „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვისა.

ამ დროს ახალი ქართული სახვითი ხელოვნება მხოლოდ ფეხს იდგამდა, ძალებს იკრებდა. ჯერ კიდევ ძნელი იყო ქართველ მხატვართა შორის ისეთი ოსტატის პოვნა, ვინც შეძლებდა ლირსულად გაერთმია თავი ამ რთული ამოცანისათვის. ამიტომ იყო, რომ „საქვეყნოდ ცნობილი“ მხატვრის თბი-

ერქენულნი

ნიკლეო მინქა

ლისში ჩამოსვლამ 1881 წელს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის წევრთა ყურადღება მიიქცია. მათ არც დაუყოვნებიათ, ეთხოვათ ზინისათვის პოემის დასურათება.

ასე რომ, დამსურათებლად მიიწვიეს ზიჩი, ფრიად დახელოვნებული კლასიკური ლიტერატურის ილუსტრირებაში, ხოლო გამოცემის შემამკობლად – მხატვარი ქსილოგრაფი გრიგოლ ტატიშვილი.

უცხოელი მხატვარი, თავისი ქვეყნის მოტრფიალე ხელოვანი ქართველ მოღვაწეებთან მოკლე ხნის ურთიერთობის დროს მონმე გახდა მათი თავდადებული, უანგარო ბრძოლისა ერის პოლიტიკური და კულტურული აღორძინებისათვის. საქართველომ თავისი ჭირნახული ისტორიით, უდიდესი კულტურითა და გონებრივი პოტენციით აღძრა მის არსებაში კეთილშობილური სურვილი – გაენია შეძლებისდაგვარი სამსახური მისთვის. მხატვარმა პატივად მიიღო ეს თხოვნა და დიდი გატაცებით შეუდგა მომზობლავი, მაგრამ რთული ამოცანის შესრულებას. უნგრელი კრიტიკოსი ბენი ლასლონე მართებულად აღნიშნავს: „შოთა რუსთაველის დიდებული ეპოსის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირება იყო ზიჩის მხრივ საფუძვლიანი მხარდაჭერა მეფის რუსეთის მიერ ჩაგრული ხალხის კულტურული რევოლუციისა.“

მიხაი ალექსანდრეს ძე ზიჩი დაიბადა უნგრეთში, შომოდის ოლქის სოფელ ზალაში, ძველი დიდგვაროვანი ჩამომავლის ოჯახში, 1827 წლის 15 ოქტომბერს. იქვე მეზობლადაა ზიჩის საგვარეულო, სოფელი ზიჩ, რომლის სახელიდან მოდის გვარიც – ზიჩი, აქ არის ზიჩების საგვარეულო საძვალე და ეკლესია. მიხაი ზიჩის პაპა ამ სოფელში ცხოვრობდა. ზიჩების მეორე

საგვარეულო სასაფლაო ზალაში. ორივე სოფელში კარგად იციან საქართველოში მიხაი ზიჩის ყოფნის შესახებ.

მიხაი ზიჩის მამა ადრე გარდაცვლილა. უმამოდ დარჩენილ ძმებს – ანტალსა და მიხაის – დედა ზრდიდა. ბავშვობისა და გიმნაზიის წლები მომავალმა მხატვარმა ზალასა და ვესპრემში გაატარა. ხოლო უმაღლესი (იურიდიული) განათლების მისაღებად ბუდაპეშტში ჩავიდა, ამასთან, 1842 წლიდან იწყებს ფერწერაში მეცადინეობას იტალიელ მხატვარ იაკობ მარასტონისთან, რომელმაც პეშტში გახსნა ქვეყანაში პირველი სამხატვრო სასწავლებელი. მოკლე ავტობიოგრაფიაში, რომელიც ზიჩიმ 1887 წლის ოქტომბერში დაწერა, გვიყვება თავის შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისზე.

მაგრამ დედას თავისი ნოდებისათვის შეუფერებლად მიაჩნდა უმცროსი შვილის მხატვრული გატაცებანი და მისი დაყინებული სურვილით მ. ზიჩი იძულებული გახდა 1843 წელს ვენაში გადასულიყო იურისპრუდენციაში ცოდნის გასაღრმავებლად. მაგრამ იგი არც აქ იეიწყებს თავის ნამდვილ მოწოდებას და გახდა გამოჩენილი მხატვრის, ვენის სამხატვრო აკადემიის პროფესორის ფერდინანდ გეორგ ვალდმიულერის (1793-1865) მოწაფე. იმ დროს ვალდმიულერი განთქმული იყო, როგორც ბრწყინვალე მასწავლებელი და გამოცდილი აღმზრდელი. მას სწავლის თავისებური მეთოდი ჰქონდა. მსმენელებს უნერგავდა იმ აზრს, რომ საუკეთესო მასწავლებელი თვით ბუნება არისო.

ახალგაზრდა ზიჩიმ ადრე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. ჯერ კიდევ თერამეტი წლისავე არ იყო, როდესაც მონაწილეობა მიიღო ვენის სამ-

ხატვრო აკადემიის 1844-45 წლების გამოფენაში. მისმა ორმა კომპოზიციამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია ხელოვანთა წრეებში. ერთ სურათზე ნაწევნები იყო ლოგინზე დაჩოქილი ქალიშვილი, რომელიც ღმერთს მადლობას სწირავდა მისი განკურნებისათვის, მეორე გამოხატავდა საშუალო საუკუნეების დაჭრილ რაინდს, რომელიც საჭურველთმცვირთველს მიჰყავდა.

მეორე წელს (1845) ზიჩიმ კიდევ გამოფინა რამდენიმე სურათი, მათ შორის: „კუბოს თავის დაჭედვა“ და „ჯვარცმულის ჩამოხსნა“. მისი სურათები ძალიან მოსწონდა ხალხს და სწრაფად იყიდებოდა. ამან საშუალება მისცა ახალგაზრდა მხატვარს იტალიაში ნასულიყო სამოგ ზაუროდ 1846 წელს.

გამგზავრების წინ ვენის სამხატვრო აკადემიის კონკურსებზე ზიჩიმ წარადგინა სურათი „მამუელი ნავი“. საერთო აზრით, ზეთის ფერებით შესრულებულ ამ დიდ კომპოზიციას ჯილდო უნდა მიეღო. მაგრამ, ვინაიდან კონკურსში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ზოგიერთი პროფესორი, - „მოუდგომლობის“ მიზეზებით, ჯილდო არავის მისცეს. ამ უსამართლობამ ისე ააღელვა ვალდმიულური, რომ საჯაროდ ხელი აიღო პროფესორის თანამდებობაზე.

1847 წელი გარდატეხის ხანა აღმოჩნდა მხატვრის ცხოვრებაში, რომელმაც მთლიანად შეცვალა მისი შემდგომი ბედი.

1847 წლიდან მ. ზიჩი უკვე პეტერბურგშია. მალე, 1848 წელს, უნგრეთში გაჩაღდა სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლა ავსტრიელი შაბსბურგების წინააღმდეგ. დამარცხების პირას მისულ ავსტრიელ დამპყრობლებს, დახმარების ხელი გაუწოდა „ევ-

როპის ფანდარმა“ ნიკოლოზ პირველმა, რამაც ფაქტიურად გადაწყვიტა კიდევ ამ ბრძოლის ბედი, აჯანყება სისხლში ჩაახრჩვეს.

უნგრეთის რევოლუციის დამარცხებამ დიდი გავლენა მოახდინა სამშობლოს მოყვარულ მხატვარზე. ის ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ მაშინ, როცა მისი თანატოლები ბრძოლის ველზე იღუპებოდნენ, იგი მათი ჯალათის კარზე ფუფუნებაში იყო და განცხრომით ცხოვრობდა.

სამშობლოს დიდად მოყვარული და რევოლუციურად განწყობილი მხატვარი დარწმუნდა, რომ მეფის კარზე მისი ცხოვრება სრულიად არ ეგუებოდა მის სულისკვეთებასა და მხატვრულ იდეალებს. ამავ დროს, გაკვეთილების მიცემა სასახლეში და მაღალი წრის უამრავ ოჯახში სიარული მას მთელ დღეს აკარგვინებდა. თავისთვის ის მხოლოდ ღამ-ღამობით მუშაობდა.

გადაღლილმა ახალგაზრდა მხატვარმა 1849 წელს მიატოვა მეფის კარზე სამსახური, და უამხანაგოდ და უთვისტომოდ დარჩენა ამჯობინა. უცხო ქალაქში თავი გაიმარტოვა და ამით ერთგვარი მორალური სიმშვიდე მოიპოვა. ის არ შეუშინდა არც საექვო პირთა შორის მოხვედრასა და არც კარზე მომდგარ ეკონომიურ გაჭირვებას. იგი ეკუთვნოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებსაც გაჭირვება კი არ აშინებს, არამედ უფრო უღვიძებს ბრძოლის სურვილს.

მას არ შეუძლია უნგრეთში დაბრუნება, რადგან იცის, რომ ვერ შეძლებს კრედიტორებს ვალი გადაუხადოს, ამასთან, კარგად ხვდება, რომ შემოქმედებით მუშაობას ვერ გაშლის სამშობლოში, რომელიც ავსტრიელთა მონარქიის მონობის ქვეშ იმყოფება.

1850 წელს ზიჩი პეტერბურგის ფო-

ეროვნული

გეგლიმოქმედი

ტოგრაფ ვენინგერთან იწყებს სამსახურს, როგორც რეტუშორი, ერთდროულად მუშაობს როგორც მხატვარ-პორტრეტისტი. იმ დროს ფოტოგრაფია ტექნიკურად ძალიან დაბალ დონეზე იდგა, და მხატვარს უხდებოდა ბევრი რამის ხელით დამუშავება. ამ ყოფაში ჩავარდნილი ზიჩი ავად გახდა. მას მხსნელად მოევიწყა მდაბიო წრიდან გამოსული გოგონა ალექსანდრა ერშოვა, რომელიც ზიჩიმ ცოლად შეირთო იმავე 1850 წელს. მისგან ოთხი შვილი (სამი ქალი და ერთი ვაჟი) შეეძინა. დამახასიათებელია ზიჩის მსოფლმხედველობისათვის ის გარემოებაც, რომ მან დაბალი წრიდან გამოსულ ახალგაზრდა მეუღლეს დაუმალა თავისი თავადური შთამომავლობა. ი. ბერკოვიჩის ცნობით, მ. ზიჩიმ კათოლიკური სარწმუნოება არ შეიცვალა, ამიტომ რუსულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მისი ქორწინება და შვილები კანონიერად არ ცნო. სულის სიღრმემდე აფორიაქებული მხატვარი იძულებული გახდა 60-იანი წლების დამდეგს ცოლ-შვილი სამუდამოდ უნგრეთში დაეტოვებინა, სადაც კათოლიკურმა ეკლესიამ ბოლოს და ბოლოს მათი ქორწინება შეინყნარა.

ზიჩი მწლის მანძილზე პეტერბურგელი ფოტოგრაფის ვენინგერის რეტუშორად მუშაობდა. ამ ხნის განმავლობაში ის ენაფება პროგრესულ რუსულ ლიტერატურასა და ხელოვნებას, უმეგობრდება მონინავე რუს მხატვრებს, რაც შესამჩნევ კვალს ტოვებს მის ამდროინდელ შემოქმედებაზე. მაინც, განსაკუთრებულია მ. ლერმონტოვის პოეზიის გავლენა, რამაც იმთავითვე განაპირობა მ. ზიჩის შეუნელებელი ინტერესი კავკასიისადმი. მთელი რუსეთი ადევნებდა თვალ-ყურს ამ დროს კავკასიაში მიმდინარე ცხარე ბრძოლებს, რამაც თავისი გამოხატუ-

ლება 3პოვა გ. გაგარინისა და ვ. ტიჩის 50-იან წლებში შექმნილ ცნობილ ნამუშევრებში. ზიჩი ითხოვს კავკასიაში გამომგზავრების ნებართვას, მაგრამ მას უარს ეუბნებიან.

მ. ზიჩის „კავკასიური სცენები“ შედგება „из 12 листов двухтоновых автолитографий, то-есть рисованных на камне самим художником“ და გამოცემულია 1853 წელს. ლ. ალიოშინას ცნობით, მისთვის მთელი ნარკვევი მიუძღვნია ვ. ვერემჰაგინს, ცნობილ რუს მხატვარს, რომელმაც, თავის მხრივ ბევრი დასამახსოვრებელი სურათი შექმნა კავკასიაში, და, კერძოდ, საქართველოში მოგზაურობისას. მ. ზიჩის „კავკასიურ სცენებში“ გასაოცარი ცოდნითა და მხატვრული ოსტატობით გადმოცემულია კავკასიელი მთიელების ყოფა, ჩაცმულობა, ტიპაჟი თუ თავგანწირული ბრძოლის ეპიზოდები, და ყველაფერი ეს ისე, რომ მხატვარს საკუთარი თვალით ჯერ კიდევ არ ენახა კავკასია...

„კავკასიის სცენები“ ორიგინალური და ახალი სიტყვა იყო მხატვრობაში. ამ სცენების უნაკლო რეალისტურ შესრულებასა და რომანტიკულ პათოსს კიდევ უფრო აძლიერებდა კავკასიური სიფიცხის ახალგაზრდული აღზნებით გადმოცემა. ამ სცენებში გადმოცემულია მთიელთა თავდადებული ბრძოლები. კავკასიის მცხოვრებთა იმდენი სპეციფიკური დეტალი არის ნაჩვენები ამ ნახატებში, რომ გაკვირვებას იწვევს ამ დეტალების გადმოცემა უშუალოდ ნანახისა და განცდილის გარეშე. იმ დროს ზიჩის კავკასიაში მოსვლის შესახებ რაიმე ცნობა არ მოგვეპოვება.

1856-57 წლებში მ. ზიჩიმ მონაწილეობა მიიღო რუსეთში მხატვართა პირველი გაერთიანების „პარასკევობის“ დაფუძნებაში, რომელშიც შედი-

ოდნენ ცნობილი პეტერბურგელი მხატვრები: ტიმი, აივაზოვსკი, სვერჩუკოვი ლაგორიო, ძმები შარლემანები...

1863 წლიდან „პარასკეობა“ დაიშალა.

საგულისხმოა, რომ „პარასკეობა“ გახდა „პერედვიჟნიკების“ (ი. კრამსკოი, ნ. გე, ი. რეპინი, ვ. პეროვი) ერთ-ერთი წინამორბედი და მ. ზიჩიც 1871 წლის მინურულიდან კრამსკოის „ხუთშაბათობათა“ საკმაოდ ხშირი სტუმარი იყო.

თანდათან ხდებოდა მ. ზიჩის მხატვრული ტალანტის აღიარება.

იმხანად, როდესაც ზიჩიმ მიატოვა სამეფო კარი, 1858 წელს რუსეთს ეწვია ცნობილი ფრანგი მწერალი, პოეტი, მხატვარი და მოგზაური თეოფილ გოტიე (1811-1872). ის გაეცნო იმ დროს მოწყობილ ზიჩის სურათების გამოფენას და შემდეგ თავის მოგზაურობის აღწერილობაში მთელი თავი მიუძღვნა ზიჩის შემოქმედებას.

გოტიე ზიჩის შემოქმედებას განსაცვიფრებელსა და გენიალურს უწოდებს. იგი ასე აღწერს გამოფენაზე შესვლის მომენტს: „ჩვენ აღმოვჩნდით შედეგრების წინ. ახალი, ორიგინალური მხატვრული ხერხები, არაჩვეულებრივი გემოვნება... ზიჩის სურათები სწრაფად იციდება, იტაცებენ. მაღაზიიდან გამოსვლისთანავე, ვინც კი გვხვდებოდა, ეეკითხებოდით: იცნობთ თქვენ ზიჩის? მხატვართა პარასკეობაზე პირველად ვნახე ზიჩი. 30-32 წლის ახალგაზრდა, გრძელი ამლილი ქერა თმით, ცეცხლოვანი წყლისფერი თვალებით, ღია ფერის ოდნავ დახუჭუჭებული წვერით. მან საამური წყნარი რაკრაკა სიცილი იცის, სიცილი ზავშვისა.“

გენიის გამოვლავლებას დიდი დრო არ უნდა, თუ ის გაბადა. ზიჩი კი მას

ფლობს. ზიჩი ერთ-ერთი იმ გასაკვირველი პიროვნებათაგანია, რომლებიც 1830 წლიდან შეგვხვდებიან“.

თ. გოტიეს ყოველი აზრი დამაჯერებლად არის გამოთქმული, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მაშინდელ მხატვრულ საზოგადოებაზე. 1858 წლის 30 აპრილს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიამ ზიჩის აკადემიკოსობა მიანიჭა, ხოლო 1859-1873 წლებში მ. ზიჩის საიმპერატორო კარის მხატვრის თანამდებობა უკავია. საგულისხმოა, რომ მ. ზიჩიმ ამ თანამდებობაზე შეცვალა „მოხუცი ადოლფ შარლემანი, მამა ჩვენი გამოჩენილი გრაფიკოსი მხატვრის იოსებ შარლემანისა“. ახალგაზრდა მხატვრის მოხდენილი გარეგნობა, ნიჭთან ერთად, შეუმჩნეველი არ დარჩენია სამეფო კარზე მყოფ ქალთა საზოგადოებას. მალე პეტერბურგის მაღალ საზოგადოებაში მან პირველი ადგილი დაისაკუთრა და სალონების სასურველი სტუმარი გახდა. მიმზიდველი საუბრით და გასაოცრად სწრაფი ხატვით, მას ალტაცებაში მოჰყავდა დამსწრენი.

მხატვარი არაჩვეულებრივი ნაყოფიერებით მუშაობს მსოფლიო ლიტერატურის შედეერთა ილუსტრაციებზე, სხვადასხვა დროს ასურათებს ბაირონის „დონკუანს“, პუშკინის „ბალჩისარაის შადრევანს“. ლერმონტოვის „დემონს“, გოგოლის „ტარას ბულბას“, გოეთეს, შილერის, შექსპირის, გოტიეს ნაწარმოებებს, აგრეთვე შუასაუკუნეების რუსულ საგმირო ეპოსს „იგორის ლაშქრობის ამბავს...“

1869 წელს პეტერბურგში მოეწყო ზიჩის პირველი პერსონალური გამოფენა, რომელზედაც გამოტანილი იყო მხატვრის ასამდე ნამუშევარი. გამოფენას ფართო გამოხმაურება ჰქონდა პრესაში.

1871 წელს ზიჩიმ იმოგზაურა ევ-



ქართული
საქმიანობა

როპაში, იყო უნგრეთში (ზალა, ბუდა-პეშტი), გერმანიაში (ბერლინი, მიუნხენი, დიუსელდორფი), ბელგიაში, საფრანგეთში (პარიზი), შოტლანდიაში. რუსეთში დაბრუნებული მხატვარი კვლავ აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ქვეყნის ახალ კულტურულ-ლიტერატურულ ნამოსყებებში.

1874 წლის ზაფხულში მ. ზიჩი პეტერბურგიდან სამშობლოში გაემგზავრა, სადაც ცოტა ხნით დარჩა. შემოდგომაზე მეორეჯერ იმოგზაურა შოტლანდიაში, ხოლო 1875-1880 წლებში ცხოვრობს პარიზში და აქტიურად იღებს მონაწილეობას იქ შექმნილ უნგრეთის საზოგადოების საქმიანობაში, როგორც მისი თავმჯდომარე.

პარიზის სახელოსნოში მასთან ერთად მუშაობს მისი მოწაფე, მხატვარი ქალი მარი ეტლინგერი, რომელიც შემდეგში დ. ერისთავზე გათხოვდა და ერთხანს (80-იანი წლების მიწურულში) საქართველოში ცხოვრობდა. აქ, ქმრის საგვარეულო მამულში, იკორთაში, მან ქართული თემატიკის ამსახველი რამდენიმე საინტერესო სურათი შექმნა (ამის შესახებ ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი). მ. ზიჩის არც პარიზში ჩასული რუსი მეგობარი მხატვრები აღინყდება, ყოველნაირად ზრუნავს მათზე...

პარიზში ემიგრირებულ უნგრელი მუშებისა და ხელოვანთა გაერთიანებულ უნგრეთის საზოგადოებას ეჭვის თვალთ უყურებდნენ ავსტრიის მონარქისტები და უნგრეთის რეაქციონერები, რომლებიც საზოგადოებას დახურვით ემუქრებოდნენ.

ამ მუქარის ერთ-ერთი მიზეზი გახდა ზიჩის მიერ დემოკრატიული სულისკვეთებით გააღწეული დიდი ზომის სურათის „პოროტი სულის ზეიმის“ შექმნა, რომელიც ამჟამად მო-

თავსებულა ბუდაპეშტის ეროვნულ გალერეაში.

1878 წლის გაზაფხულზე ვენაში ეწყობა მ. ზიჩის ნამუშევართა გამოფენა. ავადმყოფი მხატვარი 1879-1880 წლების ზამთარს ნიცაში ატარებს. მას გული ისევ რუსეთისაკენ მიუწევს...

და, აი 1879 წელს ცნობილმა რუსმა გამომცემელმა ი. ი. გლაზუნოვმა გადაწყვიტა მ. ლერმონტოვის „დემონის“ მდიდრულად გამოცემა. (სხვათა შორის, ლერმონტოვის თხზულებათა გამოცემის უფლება ი. გლაზუნოვის ფირმას ეკუთვნოდა). „დემონის“ ზიჩისკულმა ადრინდელმა ილუსტრაციებმა ი. გლაზუნოვს აფიქრებინა ახალი მდიდრული გამოცემის დასურათება სწორედ ზიჩისთვის მიენდო. მ. ზიჩიმ სიხარულით მიიღო ეს წინადადება.

1879 წლის შემოდგომაზე უკვე საბოლოოდ იქნა მიღებული შეთანხმება გლაზუნოვსა და ზიჩის შორის ლერმონტოვის თხზულებათა, კერძოდ, „დემონის“ დასურათებაზე. ზიჩი დათანხმდა შეკვეთის შესრულებაზე. დასახული ამოცანის სერიოზულობამ მხატვარს კავკასიაში წამოსვლა უკარნახა. მ. ზიჩი ტოვებს საფრანგეთს, ზამთარი, როგორც ვთქვით, ნიცაში გაატარა, ხოლო 1880 წლის ზაფხული – მშობლიურ ზალაში. სამშობლოს მონატრებული მხატვარი აქ 9 თვეს დარჩა. 1881 წლის იანვარში მ. ზიჩი უნგრეთიდან წამოვიდა, თებერვალში ვენაში მოაწყო გამოფენა (1881), შემდეგ იყო ვენეციაში. 1881 წლის 14 ივლისს მ. ზიჩი ვენეციიდან კავკასიაში გამოემგზავრა. მონინავე ქართველმა ინტელიგენციამ გულთბილად მიიღო სახელგანთქმული მხატვარი.

1881 წლის შემოდგომიდან მოყოლებული თითქმის ერთი წელი ზიჩიმ კავკასიაში გაატარა. 1882 წლის გა-

ზაფხულზე პიატიგორსკსა და კისლოვოდსკში ჩადის. 1882 წლის შემოდგომაზე კი პეტერბურგში მიემგზავრება.

კავკასიაში ყოფნის დროს მან შექმნა „დემონის“ ახალი ილუსტრაციების სერია, ამას გარდა, „ჩვენი დროის გმირისა“ და „თავადის ქალი მერის“ რამდენიმე ეპიზოდის დასურათებაც მოასწრო, პიატიგორსკსა და კისლოვოდსკში ჩაიხატა ლერმონტოვისეული ადგილები...

„დემონის“ ილუსტრაციებზე თბილისში ზიჩის მუშაობის შესახებ საინტერესო ცნობების შემცველია 1881 წელს ნიკო ქავჭავაძისადმი მიწერილი გრიგოლ ორბელიანის ერთი წერილი: „მოვიდა გამოჩენილი ევროპაში მხატვარი ზიჩი, რომელსაც პსურდა დაეხატა კარტინისათვის „დემონი“ ქართველი კაცი და ქალი ძველებურის ტანისამოსით, და ვერავენ ვიპოვეთ! ღმერთმა უშველოს ტასო ოგლობიოს (ორბელიანის ასულს), ამან მიპსცა თავის საქორწილო ტანისამოსი ყაშითა, ჯილითა, ქინძისთავებითა და ძველებურის ნიეთებითა და ამით დიდათ გაახარა ზიჩი“.

1882 წლის შემოდგომაზე ზიჩი პეტერბურგში ჩავიდა, სადაც აგრძელებს ლერმონტოვის ციკლზე მუშაობას, მაგრამ მოულოდნელად ი. გლაზუნოვმა სიტყვა გატეხა და წინასწარი გარიგება ჩაშალა: მან უარი თქვა ზიჩის ილუსტრაციების შექმნასა და გამოქვეყნებაზე, რაც მხატვრისთვის მძიმე მორალური ტრავმა იყო. გენიალური რუსი პოეტის თავყვანისმცემელმა ხელოვანმა თავისი ნაშუავერები ახლად დაარსებულ ლერმონტოვის მუზეუმს უსახსოვრა.

მართალია, „დემონის“ დასურათებისათვის კავკასიაში ჩამოსვლამ როგორც მორალურად, ისე მატერიალურად ზიჩის იმედები გაუცრუა, მაგრამ

სამაგიეროდ სწორედ ამ დროს საქართველოში ყოფნისას ნამოიწყო მან „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებზე მუშაობა, რამაც მხატვრის სახელი სამუდამოდ უკედევყო ქართული კულტურის ისტორიაში.

1883 წლის გაზაფხულზე მ. ზიჩის კვლავ იწვევენ საიმპერატორო კარის მხატვრად. ამჯერად ეს მიწვევა საბოლოო აღმოჩნდა: იგი უკვე სიკედილამდე (1906) დარჩა ამ თანამდებობაზე. რუსეთი იქცა მ. ზიჩის მეორე სამშობლოდ, თუმცა იგი არ წყვეტს ცოცხალ კავშირს მშობლიურ უნგრეთთან, ყოველნაირად ცდილობს ეროვნული კულტურის წინსვლას მოახმაროს უკანასკნელი ძალ-ღონე. ამისი ნათელი დადასტურებაა მადაჩის, ორონის, იოკაის, გარაის შემოქმედების ამ დროინდელი ზიჩისეული ილუსტრაციები: მოხუცი და ავადმყოფი მხატვრის ფიქრი და გონება კვლავ პეტეფის დასტრიალებს: სამშობლოს თავისუფლებისათვის თავგანწირული პოეტის შემოქმედების ახლებური გააზრების შედეგად შეიქმნა მ. ზიჩის „დიდი პოეტის აპოთეოზი“.

მისივე ცნობით, ამ დროს მ. ზიჩისთან თურმე საკონსულტაციოდ დადიოდა მაქსიმ გორკი, ვისაც სურდა რუსულად ეთარგმნა მადაჩის „ადამიანის ტრაგედია“, რომლის შესანიშნავი ილუსტრაციები თვითონ შექმნა პატრიოტმა მხატვარმა.

რუსეთში რამდენჯერმე აღინიშნა მხატვრის დაბადებისა თუ შემოქმედებითი მოღვაწეობის საიუბილეო თარიღები, რამაც საქართველოშიაც კპოვა თავისი გამოხმაურება. 1887 წლის 12 სექტემბერს (№ 189) „ივერია“ ზიჩის შესახებ აუწყებდა თავის მკითხველებს: „დღეს ამ მხატვრის 40 წლის მოღვაწეობის იუბილეა“, ხოლო „ცნობის ფურცელი“ 1897 წლის 12 ოქტომ-



ბერს (№338) წერდა: „15 ოქტომბერს გამოჩენილ მხატვარ ზიჩის შეუსრულდა 70 წელიწადი. ბატონი ზიჩი სამხატვრო ხელოვნების აკადემიის საპატიო წევრად ირიცხება და საქართველოშიაც კარგად იცნობენ მას „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებით. „ცნობის ფურცელს“ არც მ. ზიჩის დაბადების 75 წლისთავი გამოჰპარვია მხედველობიდან: „75 წელიწადი შეუსრულდა ცნობილ მხატვარ ზიჩის...“ (1902 წ. №1947).

1888 წლის გაზაფხულზე ბუდაპეშტში ეწყობა მ. ზიჩის ნამუშევართა გამოფენა, რომელზედაც სხვებთან ერთად წარმოდგენილი იყო „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები.

რუსეთის სამხატვრო აკადემიამ 1898 წლის 23 თებერვალს მ. ზიჩი თავის საპატიო წევრად აირჩია. 1902 წელს ბუდაპეშტში მოეწყო მ. ზიჩის ნამუშევართა გამოფენა, რომელიც დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ზიჩის 75 წელიწადი შეუსრულდა.

მხატვარი ბოლომდე დარჩა მალაღობრივ და პროგრესული ხელოვნებისთვის ბრძოლის ერთგული, თავისი სამშობლოს უანგარო მეგობარი.

1906 წლის 15 თებერვალს პეტერბურგში 79 წლის ასაკში მიხაი ზიჩის გარდაცვალებამ დიდი მწუხარება გამოიწვია რუსეთსა და საქართველოში.

მხატვრის ცხედარი სამშობლოში გადაასვენეს, სადაც 18 მარტს ბუდაპეშტის საგამოფენო დარბაზში გაოსათხოვებლად მოსულმა თანამემამულეებმა უკანასკნელი პატივი სცეს თავიანთ ღირსეულ შვილს. მიხაი ზიჩი დაკრძალეს ბუდაპეშტში კერეპეშის სასაფლაოზე. გაზეთი „ნემსავა“ აღნიშნავდა: „მიხაი ზიჩი იყო თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მხატვარი, რომლის სიკვდილმა მთელი კულტურული კაცობრიობა მწუხარებითა და გლოვით აავსო“.

საქართველოში ძველად თუ მოძებნება ისეთი ადამიანი, რომელიც არ იცნობდეს შოთა რუსთაველის უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“ და იმ სურათებს, რომელთაც ლამაზი ქართული ასოებით აქვს მინერილი „ზიჩი“.

დღემდე ჩვენში გავრცელებული იყო აზრი, თითქოს ზიჩი მარტო მაშინ გაცნო ქართველ ხალხს და დაუკავშირდა მას, როცა ითავა „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება.

როგორც ამ უკანასკნელ დროს გამოიჩინა, ზიჩი გაცილებით უფრო ადრე გასცნობია საქართველოს და მის ისტორიას. ეჭვს გარეშეა ის გარემოება, რომ ზიჩი ხშირად ხედებოდა პეტერბურგში საქართველოს მრავალ წარმომადგენელს და პრესის საშუალებით კარგად იცნობდა მის დიდ პროგრესულ მოღვაწეებს. ამასთან ერთად, ჩვენ მოგვეპოვება ისეთი მასალაც, საიდანაც ნათელი ხდება ზიჩის დაინტერესება საქართველოს კულტურითა და მისი წარსულით ჯერ კიდევ ადრე, სანამ ის საქართველოში ჩამოვიდოდა.

ერთ-ერთ ასეთ მასალას წარმოადგენს ზიჩის „ქართველი ქალის“ პორტრეტი, რომელიც კოეტმა გრიგოლ აბაშიძემ მოსკოვში შეიძინა და თბილისში ჩამოიტანა.

ქართველი ქალის პორტრეტი დახატულია მთელი ტანით, შესრულებულია წყლის ფერებითა და ფანქრით. როგორც ჩანს, იგი უფრო ეთნოგრაფიული მიზნით არის გაკეთებული: მეტი ყურადღება აქვს მიქცეული ტანისამოსის დეტალებსა და მის ფერადოვნებას. როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ზიჩი დიდად იყო დაინტერესებული სხვადასხვა ერის, განსაკუთრებით, კავკასიელთა ჩაცმულობით, და ეს სურათიც ამ დაინტერესების შედეგს უნდა წარმოადგენდეს.

ახლად აღმოჩენილი პორტრეტი შესრულებულია მაღალი გემოვნებით და ზიჩისათვის დამახასიათებელი ოსტატობით. გარდა მხატვრული ღირსებისა, ეს პორტრეტი საყურადღებოა აგრეთვე შესრულების თარიღითაც (1874 წ.), რასაც ერთგვარი სიახლე შეაქვს ზიჩის დამოკიდებულებაში ქართულ საზოგადოებასთან.

აღნიშნული თარიღი გვიჩვენებს, რომ ზიჩი ბევრად უფრო ადრე ყოფილა დაახლოებული ჩვენს საზოგადოებასთან, ვიდრე ეს დღემდე იყო ცნობილი. სხვა მხრივაც არის საყურადღებო ეს თარიღი: როგორც ვიცით, 1874 წლის დასაწყისში ზიჩიმ დატოვა რუსეთი და დიდი ხნით გაემგზავრა პარიზში და ევროპის სხვა ქალაქებში. ადვილი შესაძლებელია, რომ ამ სურათზე გამოსახული პირი არის პარიზში მცხოვრები რომელიმე ქართველი მანდილოსანი. ეს კიდევ უფრო აძლიერებს ინტერესს ამ პორტრეტისადმი, რადგან ამით უდავო ხდება ზიჩის ურთიერთობა პარიზში მყოფ ქართველებთან.

ზიჩის დაინტერესება საქართველოში და მისი წარსულით, „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებამდე რომ დაიწყოს, ამას მონიშნავს აგრეთვე მხატვრის მონაწილეობა გ. საბინინის „საქართველოს სამოთხის“ დასურათებაში.

მიხეილ (გობრონი) პავლეს ძე საბინინი წარმოშობით ქართველი იყო. ეს ცნობილი მწერალი და მხატვარი ეკუთვნის მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეთა პლეადას. პირველდაწყებითი სწავლა თბილისში მიიღო, ხოლო შემდეგ პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში შევიდა თავისუფალ მსმენელად, სადაც მიიღო კანდიდატის ხარისხი. მან დაამუშავა „საქართველოს ეკლესიის ისტორია VI საუკუნემდე“, რომელიც დაიბეჭდა 1877

წელს. ამაზე ადრე, 1871 წ., მან გამოსცა სრული აღწერა „ღვანლთა და ვნებათა საქართველოს წმინდანთა“. იგივე ნაწარმოები სურათებით შეავსო და „საქართველოს სამოთხის“ სახელწოდებით ხელმეორედ გამოსცა 1882 წელს.

ქართულ პრესაში მოიპოვება ცნობები, საიდანაც ჩანს, რომ „საქართველოს სამოთხეში“ მოთავსებული 25 ბრწყინვალე გრავიურა დამუშავებულია მ. ზიჩის მიერ. ასე მაგალითად, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900 წ. №136 ამგვარ ცნობას გვანდის: „1882 წელს საბინინმა გამოსცა პეტერბურგში ქართულ ენაზე ქართული ეკლესიის წმინდანთა ცხოვრების აღწერილობა, დასურათებული ცნობილი მხატვრის – ზიჩისაგან“. ანალოგიურ ცნობას ათავსებს რუსული გაზეთი „კავკაზი“. ქრონიკაში მ. საბინინის გარდაცვალებასთან ერთად (1900 წ.) აღნიშნავს: „1882 წელს მან ხელმეორედ დაბეჭდა პეტერბურგის აკადემიის სტამბაში საგრძნობლად გადამუშავებული თავისი ნაშრომი (იგულისხმება „საქართველოს სამოთხე“), რომელშიც მოთავსდა ზიჩის მიერ შესრულებული ბრწყინვალე სურათები“.

ხსენებულ ნაშრომში გამოქვეყნებულია 25 ბრწყინვალედ შესრულებული პორტრეტი ჩვენი სასულიერო და საერო პირებისა.

სურათების ამოჭრისა და ბეჭდვის ხელმძღვანელობა (ეს სურათები ამოჭრილია ფოლადზე ლაიპციგში), ადვილი საფიქრებელია, რომ ზიჩის ევროპაში ყოფნის დროს ეკისრა.

ამრიგად, ზიჩის დაინტერესება საქართველოში და მისი წარსულით, „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებამდე უნდა დანეჭდულიყო.

ცნობილია, რომ მიხანი ზიჩი საქართველოში 1881 წლის შემოდგომაზე

ეროვნული

ჩამოვიდა. მისი ძირითადი მიზანი იყო ლერმონტოვის „დემონის“ ილუსტრაციებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება-გაცნობა ტიპაჟისა და გარემოსი, რომელშიც პოემის შინაარსი ვითარდება. „ამჟამად ჩვენს ქალაქში იმყოფება... გამოჩენილი პირი, მხატვარი ზიჩი,ის მოსულა ჩვენში იმ განზრახვით, რომ შეისწავლოს ჩვენი ტიპები და დახატოს რუსის პოეტის ლერმონტოვის „დემონის“ სურათებისათვის. დახატოს აგრეთვე ზოგიერთი სურათები ბუნებისა, რომელნიც ამ პოემაში არიან მოხსენებული და აღწერილი.“ – იტყობინებოდა „დროება“, 1881, №220.

ვიდრე ზიჩი საქართველოში ჩამოვიდოდა, ქართველმა ინტელიგენციამ გადაწყვიტა განეხორციელებინა „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებული მდიდრული გამოცემა და ამ საქმისათვის სამზადისს შეუდგა.

1880 წლის 15 ნოემბერს, გაზეთ „დროებაში“ (№ 241) გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის ინიციატორთა: რ. ერისთავის, ი. გოგებაშვილის, ი. მეუნარგიას განზრახვა, პოემის ნაბეჭდი ტექსტის ხელნაწერებთან შეთანხმების საფუძველზე, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი რედაქციის დადგენის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ისინი სთავაზობდნენ გრ. ორბელიანს, დ. ყიფიანს, გაბრიელ ეპისკოპოსს, ი. ჭავჭავაძეს, ა. ნერეთელს, ვ. ორბელიანს, გ. ნერეთელს, ს. მეხს, პ. უმიკაშვილს, ნ. დადიანს, დ. ერისთავს მონაწილეობა მიღოთ „ვეფხისტყაოსნის“ ახალი რედაქციის მუშაობაში, ხოლო ქართველი საზოგადოებისაგან ითხოვდნენ, „ვისაც აქვს, დროებით გამოგ ზავნოს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში (საცა უნდა მოხდეს „ვეფხისტყაოსნის“ რედაქცია) ხელნაწერი

„ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც შეეძგ შესწორებისა, დაუბრუნდება პატრონს უკლებლათ და ყოვლის მიზეზის გარეშე“.

მეორე დღესვე „დროების“ რედაქციამ მხარი დაუჭირა ამ მოწოდებას: „ალტაცებული მივეგებებით ჩვენ „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციის დაარსებას და სრული იმედი გვაქვს, რომ ყველა ქართველი, რომელსაც კი რითიმე დახმარება შეეძლება, ამ რედაქციას დაეხმარება, ხელს მოუწყობს იმას და ამნაირად მძიმე ტვირთს შეუმსუბუქებს: ეს საზოგადო საქმეა და საზოგადო საქმეში ვალდებულია დაეხმაროს იმას, ვისაც ამგვარი საქმე უკისრნია“.

მაგრამ, ეტყობა, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი ნიგნი ქართველისთვის მეტისმეტად დიდი განძი უნდა ყოფილიყო, რომ, მიუხედავად ასეთი მოწოდებისა, ახალი რედაქციის პირველი სხდომის განკარგულებაში, იმავე წლის 24 ნოემბერს, მხოლოდ შვიდი თუ რვა ხელნაწერი აღმოჩენილა, დანარჩენის მფლობელები მას დროებით სათხოვნელადაც კი ვერ ელვოდნენ. პ. უმიკაშვილის წინადადებით, კომისიამ ჩათვალა, რომ მის ხელთ არსებული ხელნაწერები ოდნავადაც არ იყო საკმარისი პოემის ტექსტზე მუშაობის დასაწყისად. ამიტომ სხდომის მონაწილეებმა მიზნად დაისახეს პოემის ახალი ნუსხების მოპოვება, რისთვისაც გამოიყენეს გრ. ორბელიანის ავტორიტეტი და დაავაზვნეს მისი ხელმოწერით 1880 წლის 30 ნოემბერს შედგენილი ბარათები, რომელიც შემდეგ სიტყვებით მთავრდებოდა: „დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ შემდეგ შესწორებისა, თქვენი ნიგნი უნაკლო მოგერთმევათ“. მართლაც 1881 წლის 6 თებერვალს მოწვეული მომდევნო სხდომისათვის ტექსტის დამდგენი

კომისიის განკარგულებაში უკვე პოემის 22 ძველი და საუკეთესო ხელნაწერი ნუსხები აღმოჩნდა. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ახალ რედაქციაზე მუშაობა ხელნაწერების გამოყენებით კომისიას 1882 წლის დასაწყისისათვის ძირითადად უკვე დაუშთავრებია.

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის ტექსტზე მუშაობა თითქმის დასასრულს უახლოვდებოდა, რომ 1881 წლის შემოდგომაზე თბილისს ეწვია მიხაი ზიჩი. ამის შესახებ პირველი ცნობა 1881 წლის 21 ოქტომბერს გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“ (№220): „ამჟამად ჩვენ ქალაქში იმყოფება... გამოჩენილი პირი – მხატვარი ზიჩი. ის მოსულია ჩვენში იმ განზრახვით, რომ შეინახავს ჩვენი (ქართველების) ტიპები და დახატოს რუსის პოეტის ლერმონტოვის პოემის „დემონის“ სურათებისთვის; დახატოს აგრეთვე ზოგიერთი სურათები ბუნებისა, რომელნიც ამ პოემაში არიან მოხსენებული და აღწერილი“.

ტიქსტის დადგენასთან ერთად დაიბადა პირველი აზრი სურათებიანი „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვისა.

საქართველოში ჩამოსული ზიჩი გაეცნო ქართული კულტურის მონინავე წარმომადგენლებს. გაეცნო „ვეფხისტყაოსანსაც“, ქართული კულტურის ამ უდიდეს განძს.

ზიჩი ხდება „ვეფხისტყაოსნის“ დიდი თავყვანისმცემელი. ერთ-ერთ წერილში საქართველოდან იგი წერს: „რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ახლაც ერთგვარ ბიბლიას წარმოადგენს ქართველთათვის – როგორც პოლიტიკური და მორალური წყარო“.

ზიჩი ხალხში ეძებს ტექსტის მხატვრულ გასაღებს. სათანადო ტიპაჟის შერჩევის შემდეგ, როგორც კარგი რეჟისორი, ქმნის კომპოზიციას და დგამს ცოცხალ სურათებს „ვეფხისტყაოსნი-

დან“. ხალხის გაცნობის მიზნით ის მიდის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ამზადებს მასალებს ცოცხალი სურათების დასადგმელად.

ზიჩის, კომისიის დახმარებით, წინასწარ ქონდა შერჩეული პოემიდან ის მთავარი ადგილები, რომლებიც უნდა დაესურათებინა; პოემის მიხედვით გამონახავდა შესაფერ ტიპებს, ჩააცმევდა მათ სათანადო ტანისამოსს, ისე, როგორც ეს ხდება თეატრში, დააყენებდა მათ სცენაზე მუნჯ მდგომარეობაში, მოუნყობდა საჭირო განათებას, სცენის უკან რომელიმე მსახიობი კითხულობდა პოემიდან სურათის შესაბამის ტექსტს. მაყურებელი ამ სანახაობით ხარობდა, ხოლო თვით ზიჩი, მისთვის ჩვეული სისწრაფითა და დაკვირვებით აკეთებდა ჩანახატებს. ამ საქმეში ხალხი მას დიდი ხალისით ეხმარებოდა.

ერთხელ, მაგალითად, ზიჩის თავისი მხატვრობისათვის დასჭირდა ქართული ცეკვა და უთქვამს: თუ კარგ ლეკურს მიჩვენებენ, ცოცხალ სურათებს დაედგამო. ერთ კვირასაც არ გაუვლია ამ სურვილის გამოცხადებიდან, რომ ქართული თეატრის დასს შეუკრებია ასამდე ქალი და კაცი, მათ შორის განთქმული მოცეკვავენი, მოურთავს ძვირფასი ქართული ტანისამოსით, დაუხატავთ ახალი დეკორაციები ზიჩის ესკიზების მიხედვით. მარტო ტანისამოსზე და დეკორაციებზე ას თუმანზე მეტი დახარჯულა.

1882 წლის 5 თებერვალს (№ 26) გაზ. „დროება“ იტყობინებოდა: „როგორც ეტყობა, ბატონი ზიჩი დიდის ამბით აპირებს ამ შაბათს „ვეფხისტყაოსნიდამ“ ცოცხალი სურათების დადგმას საზაფხულო თეატრში. სულ, როგორც გვაცნობებენ, ათი სურათი იქნებაო, რომელშიც მომეტებული ნაწილი ქართველი არისტოკრატები და

არისტოკრატიკები იღებენ მონაწილეობასაო. ნამდვილი ვეფხვის ტყავე იქნებაო, ნამდვილი ხავერდისა და სხვა ძვირფასი ტანისამოსები; ხელოვნურად დახატული დეკორაციები. ასს კაცზე და ქალზე მეტი არიან მონაწილენიო. მარტო ტანისამოსებში და დეკორაციებზე ას თუმანზე მეტი დაიხარჯაო. სურათების ბოლოს იქნება ქორწილი ლეკურით, რომელშიაც ჩვენი საუკეთესო მოლეკურები მიიღებენ მონაწილეობასაო. ამ დიდი ხარჯის ამოსაგებად სამჯერ აპირებენ ცოცხალი სურათების გამოვრებას და მერე კი, როგორც დიდის სიამოვნებით შეეცდებიან, მოთავეთ ჩინებული განზრახვა აქვთ თურმე, რომ ყველა ტანისამოსი და დეკორაციები ქართულ დრამატიკულ დასს შესწირონ”.

მაშასადამე, „ვეფხისტყაოსნის“ ათი ცოცხალი სურათი თბილისში, საზაფხულო თეატრში მ. ზიჩის პირველად დაუდგამს 1882 წლის 6 თებერვალს ბარბარე გიორგის ასულ ბარათაშვილის თაოსნობითა და ხელშეწყობით. ცოცხალ სურათებს დიდი წარმატება ჰქონია. აღრთოვანებული ილია წინამძღვრიშვილი გაზეთ „დროებაში“ წერდა (1882 წლის 9 თებერვალი, №27): „დღეს ჩვენს ქალაქში სტუმრად არის იმპერატორის სასახლის მხატვარი ბ-ნი ზიჩი, რომელიც განთქმულია როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ თავისი ნიჭითა და ხელოვნებით. ვის არ უნახავს მხატვრობა „დემონისა“. ახლა ზიჩიმ დიდი ღვაწლი დასდო თავის შრომით საქართველოს. იმან განახორციელა და სული ჩაუდგა იმ გმირებს, რომელნიც უკვდავმა შოთა რუსთაველმა მშვენიერის ლექსით გამოხატა... რამდენიმე საათში ზიჩიმ დაგვანახვა ჩვენი სცენიდან ცოცხლად რუსთაველის გმირნი და გადმოგვცა მთელი შინაარ-

სი „ვეფხისტყაოსნისა“. ამ შემთხვევაში მიიღეს მონაწილეობა ჩვენმა ქართველმა ქალებმა, რომელნიც არიან ჩვენში გამოჩენილი თავისი სილამაზით, სინაზით და სახის მეტყველებით. ამათ თავის თვისებით და ჩაცმა-დახურვით წარმოგვიდგინეს ის ქალები, რომელნიც სცხოვრობდნენ... რუსთაველის დროს. ნეტარება იყო ის ათი ცოცხალი სურათი, რომელნიც ჩვენ ვნახეთ ნ-ს თებერვალს. ბევრი სურათები გვინახავს სცენაზე, მაგრამ ამ სურათებს არა შეედრება რა, ეტყობა, რომ აქ მოქმედი პირი პოეტი, მეცნიერი კაცი იყო, თუმცა ამ პოეტმა, მხატვარმა ზიჩიმ ქართული არ იცის, მაგრამ საქართველოს მდიდარმა ბუნებამ შთააგონა, გააგებინა მას დიდებული რუსთაველის აზრი და მით წარმოუდგინა იმის გრძნობას გმირნი „ვეფხისტყაოსნისა“. ზიჩიმ გააცოცხლა ჩვენი მკვიდრნი ქართველნი, ამ ცოცხალ სურათებს მთელს რუსეთში და ევროპაში ექმნება დიდი მნიშვნელობა რუსთაველისა, საქართველოსა და იმის შვილების გასაცნობად.

... ურიგო არ იქნება, რომ ეს ამისთანა შრომა ბ-ნი ზიჩისა ჩვენ, ქართველებმა, დავაგვირგვინოთ რაიმე ნივთის მიერთებით, რასაკვირველია, ძველი დროის ნივთითა, რომ სახსოვრად ჰქონდეს რუსთაველის შვილებისაგან”.

აი, როგორ აღწერს თვითონ მხატვარი უფროსი ძმის ანთალ ზიჩისადმი ამ დროს თბილისიდან გაგზავნილ წერილში „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დადგმით მიღებულ პირველ შთაბეჭდილებებს:

„... გარდასული ასაკის მიუხედავად მაინც თვალში საცემი სილამაზის მქონე თავადის ქალმა ბარათოვამ მთხოვა, ქველმოქმედების მიზნით, დამედგა ცოცხალი სურათები უძვე-

ღესი ქართული უნიკალური თხზულებიდან „ვეფხისტყაოსნიდან“. ცოცხალი სურათების წარმოდგენაში მონაწილე პირები უმთავრესად თავადები და თავადის ქალები იყვნენ, მოკლედ, მთელი არისტოკრატია! მათი უშუალო დახმარებით თეატრში დადგი კიდევ ცოცხალი სურათები, ერთი სიტყვით, რეპეტიციების გარეშე. ნაშუადღევს, პირველ საათზე დავიწყეთ რეპეტიცია. მოქმედი პირები თეატრში დარჩნენ, იქ სვამდნენ და ჭამდნენ, რვა საათზე კი დავიწყეთ წარმოდგენა. ნაშუალამევს ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ თითქმის ყველა ძარღვები მიკანკალებდა. წარმოდგენამ წარმატებით ჩაიარა. ძალიან რთული ამოცანის წინაშე ვიდექი. უკანასკნელ სურათში 105 კაცი მონაწილეობდა, დანარჩენებში კი 30-40 პირზე მეტი ყოველივე ეს პატარა ჩაგრული ერის დემონსტრაციას წარმოადგენდა. თეატრი მაყურებლით იყო გაჭედილი, მათ აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. ცალკეულ სურათებს შორის იმდენჯერ გამომიძახეს სცენაზე, თვითონაც აღარ მახსოვს. საკუთარმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რა სასიამოვნო ყოფილა, როცა მაყურებელი ტაშით სცენაზე გიხმობს. სამადლობელ რევერანსებს ათასგვარი მიხერა-მოხერით ვალამაზებდი. ჩემი ბუნებრივი, თანდაყოლილი, სამსონის ინსტიტუტში დახვეწილი მანერების წყალობით ლოკებიდან სცენამდე ყველა ქალს მდუმარედ, თავდაჭერილად ვესიტყვებოდი... უკანასკნელი სურათის შემდეგ იმდენჯერ გამოყვანეს სცენაზე, რომ სათვალავი არ ჰქონდა. მაყურებელთა ტაშის ხმა არ წყდებოდა, ხელი ჩამკიდეს, სცენიდან აღარ გამოიშვეს, იმდენი მატრიალეს, რომ თავბრუ დამეხება. თურმე ადამიანი ასეთ უხერხულობაში ყოფნასაც ეჩვე-

ვა. თავადებისაგან დამფრთხალი ვიმედოვნებდი თავად ქალებთან გაემძვრალიყავი, მაგრამ აქაც მომნახეს და ისევ მაყურებლის წინაშე გამომიყვანეს, რომელიც გაშმაგებით უკრავდა ტაშს და შეძახილებით აყრუებდა დარბაზს. რიგრიგობით საჯაროდ დავეუკოცნე ხელები ჩემთან ახლო მდგომ მშვენიერ თავადის ქალებს, უკლებლად დაეკოცინდი ყველას, რევერანსებისთვის დრო რომ არ დამეკარგა. ჩასაფრებული ხალხი თეატრის შესასვლელთან მულოდებოდა. ისინი, ალბათ, ხელში ამიყვანდნენ და ისე ნამიყვანდნენ სახლში, ქურდებისთვის კარგად ცნობილი ხერხი რომ არ მეხმარა და მე თვითონ არ დამეწყოს სხვებივით „ბრავო ზიჩის“ ძახილი. მარის მკლავში ხელი გაუყარე, თეატრის შესასვლელთან ქუჩა გადავკვეთე და სიბნელებაში გაუწინარდი. ხვალ, კვირას, წარმოდგენას გავიმეორებთ (ალბათ, ეს წარმოდგენა რეპერტუარს სამუდამოდ შერჩება)... თავადის ქალმა ბარათოვამ, რომელმაც ითავა ამ ცოცხალი სურათების დადგმა, წარწერით ძვირფასი ფოლადის ხმალი მაჩუქა, ვერცხლის ქარქაშით – ლეკური ნახელავი. თუკი ვინმე მათ (ქართველებს) სამსახურს გაუწევს, ისინი ყოველთვის მზად არიან გადაუხადონ მას ეს სამსახური, რითაც კი ძალა შესწევთ; თანაც, ამას აკეთებენ უნაზესი მეგობრული გრძნობით. მოკლედ, ძალიან კარგი ხალხია (ქართველები)... ქუთაისშიც მულოდებიან „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დასადგმელად. იქაც ხომ მშვენიერი ხალხია, განსაკუთრებით ლამაზები არიან იქ მცხოვრები ქალები...”

როგორც აღვნიშნეთ, „დროების“ ცნობით, „ამ დიდი ხარჯის ამოსაგებად სამჯერ აპირებდნენ ცოცხალი სურათების გამეორებას“. მართლაც,

ერეკლე II

შინაგარეო ურთიერთობები

„ამ კვირას, 21 თებერვალს, საზაფხულო თეატრში ხელმეორედ იქნება დადგმული ცოცხალი სურათები „ვეფხისტყაოსნიდან“, – წერდა „დროება“, ოღონდ დამატებით, „იმ 10 სურათის გარდა, მე-11 სურათიც იქნებაო, რომელიც წარმოადგენს ტახტზე დაბრძანებულს თამარ დედოფალს, გარშემო ამალით, წინ ცალ მუხლმოდრეკილი დგას შოთა რუსთაველი და მიართმევს თავის უკედავ ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ ხელ-ნაწერს. ამ სურათებსაც, როგორც პირველად, დადგამს მხატვარი ზიჩი, და იმედია, ისეთისავე ხელოვნებითა და დიდებულებით დადგამს, როგორც პირველად“.

1882 წლის 21 თებერვალს თბილისში „ვეფხისტყაოსნის“ ზიჩისეული ცოცხალი სურათების მეორე დადგმასაც (ამჯერად უკვე 11 სურათის) დიდი წარმატება ჰქონია: „წარსულს კვირას კიდევ გაიმართა ეს სურათები და კიდევ ერთხელ აავსო გული წარსული ნეტარების მოგონებით, იმ დროის მოგონებით, როდესაც იყო თამარ მეფე და მისი მშვენიერი ქვეშევრდომი რუსთაველ დიდებული“, – პატრიოტულ ალტკინებას ვერ მალავდა „დროება“.

„ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების თბილისში გამიზნული მესამე დადგმა გაიმართა 17 მარტს: „დროების“ ცნობით, „ერთი ახალი პირი იყო მხოლოდ ამ საღამოს – ნეტან-დარეჯანს დ-ისა არდგენდა და ჩინებულადაც წარმოგვიდგინა. თეატრი სავსე იყო ხალხით...“

თბილისში ცოცხალი სურათების დადგმით ზიჩი არ კმაყოფილდება; ის მიემგზავრება ქუთაისში, ეცნობა იქაურ საზოგადოებას, არჩევს შესაფერ ტიპაჟს და იქაც დიდი წარმატებით დგამს ცოცხალ სურათებს.

1882 წლის მაისში ქუთაისში, რიო-

ნის პირზე, „საზოგადო საკრებულოს“ ეზოში საგანგებოდ აგებულ ფიცრულში დაიდგა „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათები ზიჩის მიერ. გაზეთი „შრომა“ იუწყებოდა: „შაბათს მს (მაისს) და სამშაბათს 11 ამ თვისას თ-დი აკაკი წერეთელი წაიკითხავს ლექსებს „ვეფხისტყაოსნის“ ტიპებისა და სურათების შესახებ და ეს მით უფრო სასიამოვნო არის, რომ ძალიან დაეხმარება „ვეფხისტყაოსნიდან“ დადგმულის ცოცხალი სურათების გაგებას“.

ქუთაისში „ვეფხისტყაოსნის“ ზიჩისეული ცოცხალი სურათების წარმოდგენის თაოსანი და მონაწილე იყო ნინო წერეთელი, გენერალ ბიძინა ჩოლოყაშვილის მეუღლე (1847-1922). ამას გარდა, ზიჩის ხელს უწყობენ თვითონ ბიძინა ჩოლოყაშვილი (1830-1902), მარო მაჩაბელი, მარიამ დადიანი, მაკა გურიელი, თათარხან დადემქელიანი, აკაკი წერეთელი, მამია გურიელი, გიორგი შარვაშიძე, კირილე ლორთქიფანიძე...

ცოცხალი სურათების დადგმის ამბავი „ვეფხისტყაოსნიდან“ სწრაფად მოედო მთელ საქართველოს, ქალაქები გამოთქვამდნენ სურვილს – მათთვის ეჩვენებინათ ეს სურათები.

თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ცოცხალი სურათების დადგმა, ეს ჩანს უამრავი გამოხმაურებიდან. გარდა საქართველოსი, სადაც გამუდმებით იდგმებოდა ცოცხალი სურათები, რუსეთსა და უკრაინაშიც ეხედავთ ასეთ სურათებს. ხალხი იქაც დიდ ინტერესს იჩენს ამ სურათებისადმი. ასე მაგალითად, 1886 წელს პეტერბურგში გაიმართა კავკასიური საღამო, სადაც პროფესორ ლაგორის ხელმძღვანელობით დაიდგა ცოცხალი სურათები „ვეფხისტყაოსნიდან“. იმავე წელს მოსკოვში სტუდენტთა საღამოსათვის

თ. ლ. სოლოგუბმა დადგა ცოცხალი სურათები „ვეფხისტყაოსნიდან“. ცოცხალი სურათები დაუდგამთ იურიევში (ტალინი), ხარკოვში, ვლადიკავკავში (ორჯონიკიძე), ხარბინში და სხვაგან.

როგორც ვთქვით, ზინიმ 1882 წელს საქართველოში დადგა „ვეფხისტყაოსნის“ 11 ცოცხალი სურათი, აქედან ერთი წარმოადგენს თამარ მეფისადმი პოეტის მიერ თავისი ქმნილების მირთმევის სცენას, დანარჩენი ათი – საკუთრივ პოემის სოუფეტიდანაა აღებული: 1. თინათინის გამეფება. 2. დარბაზობა ინდოეთის მეფის ფარსადანის კარზე; 3. ასმათს შეჰყავს ტარიელი ნესტან-დარეჯანთან; 4. ზანგი მონების მიერ დავარის ბრძანებით ნესტან-დარეჯანის გადაკარგვა; 5. როსტევან მეფე ნადირობისას წყლის პირას პოულობს ტარიელს („ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა...“); 6. ასმათის მიერ გამოქვაბულში ავთანდილისა და ტარიელის შეყრა-გაცნობა; 7. ნესტან-დარეჯანი ფატმანთან; 8. უსენმა მოჰკვარა ნესტანი მელიქ-სურხავს; 9. ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის შეყრა ქაჯეთის ციხეში („ნახეს მზისა შესაყრელად გამოუშვა მთვარე გველსა...“); 10. გამარჯვებულთა მსვლელობა.

მიხაი ზინის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დადგმით მიღებული შთაბეჭდილება ქართველ საზოგადოებაში დიდხანს არ განელებულა. ასე მაგალითად, ქართული თეატრის ბედიტ დინტერესებული ჟურნალი „ივერია“ (№ 1, გვ. 131) 1885 წელს წერდა: „დარწმუნებული ვართ, რომ ორიოდჯერ „ვეფხისტყაოსნის“ სურათები რომ დაიდგას საზაფხულო თეატრში ბატ. ზინის ესკიზებით, დიდძალ ხალხს მიიზიდავს“, ხოლო 1900 წლის 29 სექტემბერს უკვე გაზ. „ივე-

რია“ იწყებოდა: „თბილისში, შენესცების ბაღის დარბაზში, მიხაილოვის ქუჩაზედ...“ ჯონ მორისმა (დავით დილმელაშვილმა) ცოცხალი ფოტოგრაფიის წესით უჩვენა „ბუნდოვან სურათებად გამოჩენილი პოეტის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, დასურათებული სასახლის მხატვრის ბნი ზინისაგან, ხოლო თვით ბუნდოვანი სურათები მომზადებულია საგანგებოდ ქ. ლეიფციგში“.

ზინის მიერ დასურათებული „ვეფხისტყაოსნის“ გამოსვლის შემდეგ, „ცოცხალი სურათების“ დადგმამ ახალი სახე მიიღო. ასეთ სურათებს უჩვენებდნენ არა სცენაზე, არამედ – ეკრანზე, იმ დროს ლიუმერის მიერ ახლად გამოგონებულ სინემატოგრაფის (ცოცხალი ფოტოგრაფიის) წესით. ამ წესით სურათების ჩვენებამ საქართველომდეც მოაღწია.

თუმცა ზინი ძლიერ გაიტაცა „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებამ, მას არც საქართველოში ჩამოსვლის მიზანი ლერმონტოვის „დემონის“ ილუსტრაციებისათვის ტიპებისა და ხედების შერჩევა დავიწყებია.

ზინის „დემონის“ ილუსტრაციებისათვისაც იგივე მეთოდი უხმარია, როგორც „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობის დროს – დაუდგამს ცოცხალი სურათები, რომელთა ორი ფოტოსურათი აღმოჩნდა ცნობილი ფოტოგრაფის დ. ერმაკოვის ალბომებში.

მესამე სურათი მიკვლეულ იქნა რაფიელ ერისთავის შთამომავლის ე. ყიფიანის ოჯახში.

1900 წელს თბილისში ჩამოდიხ მოგზაური ჯონ მორისი თავისი შვილით. ქუჩებში ჩნდება დიდი ფერადი პლაკატი, რომელის ცენტრში დაბეჭდილი იყო შოთა რუსთაველის ტრადიციული პორტრეტი. აფიშა იწყებოდა, რომ საზაფხულო კლუბში ნაჩვე-

უკრაინული
 ზეგლუმიშქა

ნები იქნებოდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ბუნდოვანი სურათები. მართლაც, დანიშნულ დროს შედგა ამ სურათების ჩვენება. გაისმა ქართული მელოდების ხმა. ტილოს ეკრანზე ერთმანეთს ცვლიდნენ ილუსტრაციები.

ანტრაქტის დროს ბალში სასაიროდ გამოსულ „უცხოელს“ – ჯონ მორისს – მაყურებლები დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ, დავობდნენ მის ვინაობაზე.

ძალიან ცოტამ თუ იცოდა, რომ ჯონ მორისის სახელქვეშ ამოფარებული იყო ჩვენი თანამემამულე, მოხეტიალე ფოტოგრაფი დავით დილმელაშვილი, შემდეგში საქართველოს კინორენეველობის ცნობილი კინოოპერატორი.

„ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათები, საქართველოს გარდა, იდგმებოდა რუსეთში, უკრაინაში და საზღვარგარეთაც (პეტერბურგი, მოსკოვი, იურიევი, ხარკოვი, ბრიუსელი), რაც რუსთაველის პოემის პოპულარიზაციას უწყობდა ხელს. ესეც, პირველ რიგში, მიხაი ზიჩის დამსახურება იყო. სამართლიანად წერდა ამის თაობაზე ჯერ კიდევ 1882 წელს „დროება“, №27: „ამ ცოცხალ სურათებს მთელს რუსეთში და ევროპაში ექნება დიდი მნიშვნელობა რუსთაველისა, საქართველოსა და იმის შეილების გასაცნობად“.

ზიჩი დიდად აფასებდა ქართველი მოღვაწეების მასთან გულთბილ დამოკიდებულებას და მაღლიერი იყო მათი დახმარებისა მის შემოქმედებაში.



შექსპირის „იულიუს კეისარი“

1601 წელი შექსპირისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ზუსტად არაეინ იცის რა შეემთხვა დიდ პოეტს, მკვლევარები განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამენ. ერთს მიაჩნია, რომ მან ტრაგიკულად განიცადა მისი მაღალი წრის წარმომადგენელი მეგობრების, ესეკისა და საუტგამპტონის სასამართლო პროცესი და განაჩენი; მათ ხომ დედოფალი ელისაბედის ტახტიდან ჩამოგდების გეგმა ასე უაზროდ ჩაიფიქრეს და კიდევ უფრო უაზროდ განახორციელეს. მეორე, სონეტებში ამღერებულ, „შავი ქალბატონისადმი“ მიმართულ უბედურ ენებებზე საუბრობს. შესამეამ პერიოდს შექსპირის მამის გარდაცვალებას უკავშირებს და ა.შ.

ყველა ეს მოსაზრება მეტნაკლებად მისაღებია იმისდა მიხედვით, თუ საით წარემართავთ გონებას და რამდენად შეუპოვრად ვიმსჯელებთ. ერთი კი უდავოა: შექსპირის ცხოვრებაში რაღაც საზარელი, რაღაც სულისშემძვრელი მოხდა და ამან, 1601 წლიდან სულ სხვა ადამიანად გადააქცია. შესაბამისად სახე მისმა შემოქმედებამაც იცვალა. სულ ცოტა ხნის წინ გულწრფელი, მზიარული და უზრუნველი სიცილით საგსე კომედია „მეთორმეტე ღამეს“ წერდა. ახლა კი უცებ „იულიუს კეისარს“ ქმნის, სადაც სიცილს კი არა, ღიმილსაც ვერაეინ ბედავს და კიდევ „ჰამლეტს“, სადაც მხოლოდ ჰამლეტი იცინის და თანაც

ისე იცინის, აღარც კი იცი, მისი სიცილი უფრო თავზარდამცემია თუ მისი შლეგიანი ქვითინი.

„იულიუს კეისარიც“ და „ჰამლეტიც“, სიუჟეტითა და გარეგანი ვითარებით ერთმანეთისგან ასე რომ განსხვავდება, არსებითად იმ ერთი და იგივე თემას უტრიალებს, რომელიც თავს პრინციის ცნობილ წამოძახილში იჩენს: „დროთა კავშირი დაირღვა და ნყეულმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკვრა!“ (ციტატების თარგმანი ივანე მარჩაბლისა) ანუ ირღვევა ძველი, შეუცნობელი და მზამზარეულად მორთმეული რწმენა იმისა, რომ ადამიანის ცხოვრება გააზრებული და მიზანმიმართულია. ახლა სასწრაფოდ, სრულიად ახალი რწმენის მოძებნა ხდება საჭირო ან ცხოვრება უწყვეტ და აუტანელ წამებად გადაიქცევა. მაგრამ როგორ მოძებნოს? სად იპოვნოს? ან საერთოდ არსებობს კი ამქვეყნად ასეთი რწმენა?

„იულიუს კეისარი“ პირველი მცდელობაა იმ მოუსვენარი, მოუთმენელი, აღგზნებული და ამასთანავე გულჩათხრობილი, ძიების შესაძლო გამგლავნებით შემინებული კაცისა, ვისაც თავის შეკითხვაზე პასუხი კი არა, სასწრაფო პასუხი ჭირდება. შექსპირს ეჩვენება, მეტი ლოღინი აღარ შემოძლია, ყველა ძალა ამოვსურე, ამ არაადამიანური წამების კიდევ რამდენიმე დღე, რამდენიმე საათი ჭკუიდან შემშლისო.

ეს, რა თქმა უნდა, შეცდომაა. ადამიანი ამტანი ცხოველია. პასუხი არც ახლა და არც მრავალი წლის შემდეგ მოიძებნება. შექსპირი კი არ შეიშლება და იმ ცნობიერებით იცხოვრებს, ჩემთვის ყველაფერი დაილუპა და ყველა პასუხი პამლეტის შეკითხვაზე, რომელიც ოდესმე არსებობდა, მხოლოდ ცარიელი სიტყვებიანო. ჯერჯერობით კი „იულიუს კეისარში“ ასეთი შესაძლებლობის დაშვებისაც ეშინია. დაძაბული იხსენებს ყოველივეს, რაც გაუგონია ან წიგნებში ამოუკითხავს. დიდი იმედი აქვს, იქნებ ვინმე ძველმა ან ახალმა ბრძენმა დაშარგოს, მასწავლოს ან მაჩვენოს დროთა დარღვეული კავშირი როგორ შეეკრაო... ზომ უნდა ყოფილიყო სადმე ის „სიტყვა“, რომელიც მტანჯველ ეჭვებს გაუფანტავდა...

პლუტარქე, რომელსაც შექსპირი თომას ნორტიკისული ინგლისური თარგმანით იცნობდა, ამ რთულ საქმეში, ერთი შეხედვით, საუკეთესო მრჩეველი იყო. ის ზომ, უპირველეს ყოვლისა, მოძღვარი და მორალისტი გახლდათ და იმ მყარი, ურყევი პრინციპებით გამოირჩეოდა, რის საფუძველშიც სამყაროს ზნეობრივი მონეტრიგების რწმენა იდო. პლუტარქეს ღრმად სწამდა, რომ მორალი ყოველადმიერი, ყოვლისშემძლე იყო და მოვალეობის გრძნობისადმი შეგნებული მორჩილებით მოკვდავთ ბედის ნებისმიერი უკულმართობის ჭამს შეეძლოთ ნუგეში ეპოვნათ. იგი პლატონის მიმდევარი გახლდათ და მასავით ჯიუტად ებლაუჭებოდა აზრს, ოღონდ თავად ნუ გახდები უსამართლო და ნებისმიერ უსამართლობას აიტანო. თუმცა პლუტარქესი, ისევე როგორც მისი მოძღვარი პლატონის მორალი, უდავოდ სუფთა ან როგორც ფილოსოფია ახლა ბრძანებს, „ავტონომიური“ არ არის. ამასთანავე, იგი რელი-

გიითაა ნაკურთხი და უშუალოდ ღმერთების მფარველობის ქვეშექცევა. თავის დიალოგს „უღმერთოს გვიანი სასჯელი“, ისევე როგორც პლატონი თავის დიალოგებს, იმქვეყნური ცხოვრების ფანტასტიკური სურათებით ასრულებს. უსამართლო ადამიანებს, მისი წარმოდგენით, მხოლოდ უნაყოფო მორალი კი არა, ყოვლისშემძლე ღმერთებიც ტანჯავენ. და არა მხოლოდ ამ თხზულებაში, სხვა ნაშრომებშიც, პლუტარქე, უძველესი დროის შესაბამისად, ადამიანთა საქმეებს მუდამ უღმერთობასთან აკავშირებს. ასეთ თვალთახედვას შექსპირი, მეჩვიდმეტე საუკუნის პირმშო და ბეკონის თანამედროვე, რა თქმა უნდა, სერიოზულ მნიშვნელობას ვერ მიანიჭებდა. პლუტარქესეული ღმერთები მისთვის მხოლოდ სიმბოლური აზრის მქონენი იყვნენ. ჩვენი თანამედროვეებივით ისიც სრულიად გამოყოფდა მორალს რელიგიისაგან და მიუხედავად ამისა, მისგან მაინც სასწაულს ელოდა. არც იმ აზრს უარყოფდა, უნაყოფო ღმერთს ისევე შეიძლება და საჭიროცაა მსხვერპლი შეენიროთ, როგორც სხვა ღმერთებს; თვით ადამიანთა მსხვერპლიც კიო...

„იულიუს კეისარის“ მთელი დედააზრი სწორედ ესაა. რა თქმა უნდა, იგი უკავშირდება არა იულიუს კეისარის სახეს, თავისი ცხოვრების წესით ყველაზე ნაკლებად რომ გაამართლებდა ამ იდეას, არამედ მისი მკვლელის, კეთილშობილი ბრუტოსის პიროვნებას. სწორედ ბრუტოსმა უნდა დაადასტუროს თავისი მოქმედებით, რომ მას, ვინც უზუნაესი მორალის მოთხოვნებს ბოლომდე მიენდობა, შეუძლია აღარაფრის ეშინოდეს. მეოთხე მოქმედების მესამე სცენაში, კრიტიკოსებისათვის, როგორც წესი, შეუმჩნეველი დიალოგი იმართება:

ბრუტოს: ბევრი ვარამი მანუხებს მე, ჩემო კასიოს.

კასიოს: მამ რაღად გინდა ფილოსოფოსთ სწავლა-მოძღვრება, თუკი წყნასაც ვერ აიტან?

როგორც ხედავთ, შექსპირს მიაჩნია, რომ ბრუტოსს ქონდა ის ფილოსოფია, რომელიც ასწავლიდა ნებისმიერი უბედურებისათვის თვალი როგორ გაეწნორებინა და ყველა „შემთხვევითი უსიამოვნება“ ქედუდრეკად როგორ აეტანა. ხომ მართლა შესაშური ფილოსოფიაა? ამ უზენაესი მოძღვრების შესაცნობად ხომ მართლა ღირდა არა მხოლოდ პლუტარქეს, არამედ ყველა მისი მოძღვრისა და უამრავი ნაშრომის ხელახლა გადაკითხვა? ბრუტოსის „შემთხვევითი უსიამოვნებები“, რასაც კასიოსი ახსენებს, ყველაზე კეთილშობილ, ყველაზე რომაელ ვაჟკაცთა მთელ ათასეულსაც ხომ თავსაყრელად ეყოფოდა. ბრუტოსის უბედურება უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე კეისრის წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილე გახდებოდა. იგივე „ფილოსოფია“, რომელიც კასიოსის თქმით, ადამიანს ასე ბევრს ასწავლის, ბრუტოსისაგან, თავის ღვთიურ ძალაზე დაყრდნობით, მსხვერპლს უკვე არაერთგზის მოითხოვდა. პლუტარქე გვიამბობს კეისრისა და პომპეოსის ბრძოლის ჭამს ბრუტოსმა მამის-მკვლელი პომპეოსის მხარე დაიჭირა, რადგან მისი საქმე უფრო სამართლიანად მიიჩნიაო. ანდა თავად საცოდავი ბრუტოსი როგორ ცხოვრობდა! არც ჭამდა, არც სვამდა, არც ეძინა. ლაშქრობისას, იმ მცირეოდენ დროსაც კი, როცა ყველა ისვენებდა ან პირად საქმეებს აგვარებდა, იგი უამრავ

ნიგნს კითხულობდა, რათა მორალის ყოველსშემძლეობის რწმენა გაეძლიერებინა!

როცა კეისარი, ბრუტოსის მეგობარი და მწყალობელი რომში გამოცხადდა და მის უძველეს თავისუფლებას დაემუქრა, მორალმა თავის ქვეშევრდომს ნიშანი მისცა. მანაც ყოველივე გადაივიწყა და მსხვერპლთშენიერებისთვის, რა თქმა უნდა, ადამიანის მსხვერპლად შენიერებისთვის განემზადა. მორალი ამ შემთხვევაში წარმართულ ღმერთებზე მომთხოვნი აღმოჩნდა. ღმერთებს ხომ რაღაც ცხვარი ან ბატკანიც აკმაყოფილებდათ და ასეულ ბუღას მხოლოდ განსაკუთრებით საზეიმო დღეებში მოითხოვდნენ.

მორალი კი ადამიანებს ითხოვს, თანაც ერთს კი არა, მრავალ ადამიანს, თანაც პირველ შემხვედრებს კი არა, ყველაზე ახლობელსა და ძვირფასს: მამას, დედას, შვილს, მეგობარს...

და რისთვის ჭირდება მორალს ასეთი მსხვერპლი? ეს შეკითხვა ღმერთებისკენაა მიმართული და ღმერთები ხანდახან მაინც იძლეოდნენ პასუხს. მორალი კი ასეთ შეკითხვაზე მალლა დგას: *Sic volo, sic jubeo - sit pro ratione voluntas!* თავად შექსპირს ეს შესანიშნავად ესმოდა, სამწუხაროდ, მის კრიტიკოსებს არ შეეძლოთ ან არ სურდათ ამის გაგება. მხოლოდ თანამედროვე ბრანდესი კი არა, ძველი რწმენის ადამიანებიც (თანაც გერმანელები, ესე იგი *par excellence*². გერვინუსი, კრეისსიგი და მათ მინდობილი ფრანგი მონაფე მეზერი, ან თუნდაც ინგლისელი Hudson, ყველა შესაძლებლად მიიჩნევს მორალის მოთხოვნებისადმი უტყვი და თვინიერი მორჩილების გა-

¹ ასე მსურს, ასე ვბრძანებ, საბუთი ჩემი ნებაა. (ლათ.)

² უბირატესად (ფრ.) იდეალისტები.

მო ბრუტოსს თავს დაესხას. მას ხან „მეოცნებეს“, ხან „არაპრაქტიკულ იდეალისტს“ ან „უფხო იდეალისტს“ ეძახიან... აბა, რა საჭირო იყო კეისრის მოკვლაო, კითხულობენ, თუკი ბრმაც კი ხედავდა, რომ რესპუბლიკას ველარაფერი გადაარჩენდა და თავისუფლებაც რომს უკვე დაკარგული ჰქონდაო!..

მაგრამ კრიტიკოსები ცდებიან: საყვედური ბრუტოსს ან თავად შექსპირს კი არა, მორალს უნდა უთხრან. განა ბუნებით მოკრძალებულმა ბრუტოსმა ბოროტმოქმედება მხოლოდ და მხოლოდ მორალის გამო არ ჩაიდინა? ცოტათი მაინც უსმინეთ მის მონოლოგს, ასე ზედაპირულად ნუ შეაფასებთ მის საქციელს. ბოლოს და ბოლოს, თუ შექსპირი თქვენთვის მეტისმეტად რთულია, პოპულარული პლუტარქე წაიკითხეთ და ის დაგარწმუნებთ, რომ ბრუტოსის საქციელს პირადი, ეგოისტური სურვილები კი არა, მოვალეობის გრძნობის მოთხოვნა განაპირობებდა. კანტი მისი პიროვნებით ემაცოფილი დარჩებოდა. ის ხომ მუდამ თავისი სიმპათიებისა და სურვილების საწინააღმდეგო, ავტონომიური მორალის მოთხოვნების შესაბამისად იქცეოდა. კეისარი მისი მეგობარი და მწყალობელი იყო, კეისარი მშობელ მამასავით უყვარდა და მაინც მოკლა. კასიუსმა მხოლოდ სიტყვა გადაუკრა მოქმედების უამი დადგაო და ბრუტოსიც ყველაფრისთვის მზადაა. „იქნებ, გინდა საჭირო რამ შემატყობინო?“ ეკითხება მეგობარს და იქვე ამატებს:

თუ გნადს რაიმე სასარგებლო ჩვენი ქვეყნისთვის, არ შევუდრკები, დამერწმუნე, თვითონ სიკვდილსაც, დავხვდები მდგარად და ნებას კი არავის მივცემ,

ოდნავაც არის შეეხოს ჩემს პატიოსნებას.

და ეს ლიტონი სიტყვები როდია. ბრუტოსს საშინელი განსაცდელი ელოდა, მაგრამ თავისი საქმე მაინც არ მოუტოვებია. მისგან ერთი დაჩივლებაც არავის გაუფონია. ჩივილი ხომ მორალისადმი უნდობლობას ან იქნებ ბრალდებასაც ნიშნავდა. მას კი პატივისცემა საჭიროებდა. ჩვენი დღევანდელი ეთიკაც, მის გენიალურ ფუძემდებელ კანტთან ერთად ხომ სწორედ ამას გვასწავლის. ბრუტოსი ვალდებულია თავისი ხვედრი ბედნიერებად ჩათვალოს! თავის რჩეულად იგი ხომ თავად მორალმა აქცია! ეს კი ზემოთ: განა უმალღესი, „აბსოლუტური“ სიკეთე ის არაა, შენი თავიცა და სხვებიც მსხვერპლად უზენაეს ზნეობას შესწირო?!

და არა რალაც მიზნების გამო: ნებისმიერი მიზანი უდავოდ უნდა გამოირიცხოს, რადგან სხვაგვარად მორალის წმიდათანმიდა საქმეში – რა საზარელი სათქმელია – ევედმონისტური ელემენტი გაჩნდება და მთელი „ავტონომია“ ლიტონ სიტყვად გადაიქცევა. ბრუტოსისა და შექსპირის წინაშე მთელი თავისი სიღრმისეული სინამდის, მოვალეობის შეურყენელი იდეა დგება და მსხვერპლს ისინი სწორედ ამ იდეას სწირავენ. დიახ, სწორედ ისინი სწირავენ, რადგან (ეს ერთი ნუთითაც არ უნდა დაგვაფინყდეს, თუკი „იულიუს კეისარის“ გაგება გვინდა) შექსპირიც სწორედ ბრუტოსივით იქცევა და მორალის საკურთხეველთან ყოველივე ძვირფასი, ყოველივე საუკეთესო მოაქვს.

და რა საშინელი მსხვერპლი მოსთხოვეს! შექსპირისეული პორცია ბრუტოსს ეუბნება:

... და შენი სახეც
ბუნებასავით რომ შეგცვლოდა,
მაშინ ველარც კი
გაცნობდი, ბრუტოს.

შექსპირზეც იგივე შეიძლება ითქვას. დროის იმ მოკლე მონაკვეთში უკანასკნელ კომედიას პირველ ტრაგედიას რომ აშორებს, გარეგნობაც სულივით თუ შეეცვალა, უახლოესი მეგობრებიც ველარ იცნობდნენ. მაგრამ ის, პლუტარქეს აღწერილი ბრუტოსივით „საზოგადოებრივ ადგილებში თავშეკავებას ცდილობდა“ და სწორედ ამის გამო არ სურს არავის, მიხვდეს რა აზრები აწვალებდა პოეტს, როცა „იულიუს კეისარს“ წერდა. ზოგიერთები, ვთქვათ სვინბერნი, მიიჩნევენ, რომ შექსპირმა რესპუბლიკას შეასხა ხოტბა, სხვანი ფიქრობენ, იმ დიდი ქუმმარიტების დამტკიცება სცადა, რის მიხედვითაც პოლიტიკაში იგივე პრინციპებით უნდა იხელმძღვანელო, რითაც ყოველდღიურობაში კმაყოფილდებიო. მაგრამ ამას ხომ ბევრი წერდა და უმეტესად სამეცნიერო ტრაქტატები გამოდიოდა და არა ტრაგედია. როცა შექსპირი „იულიუს კეისარს“ ქმნიდა, როგორც ჩანს, არც რესპუბლიკისთვის ცხელოდა და არც პოლიტიკისთვის. ის ხომ პლუტარქეს ენდობოდა და მიჰყვებოდა და ამის ნყალობით იოლად შეეძლო მიმხვდარიყო, რომ რესპუბლიკა დასალუჰად კეისარმა კი არა, ისტორიული მოვლენების განვითარებამ განირა. პლუტარქე დანერვილებით აღწერს ამ ეპოქის რომის ცხოვრებას და ამბობს: „... ბრბო ხშირად მანამდე არ იშლებოდა, სანამ საორატორო ტრიბუნას გვამები არ დაფარავდა და მათი სისხლი არ მორწყავდა. ამგვარად რომი, მესაქის

გარეშე დარჩენილი გემის მსგავსად ანარქიის ყველა საშინელებაში ჩაინთქა. სწორედ ამიტომ, ყველაზე გონიერ მოქალაქეებს ბედნიერებად მიაჩნდათ, თუკი ეს შესულილი სიტუაცია მხოლოდ მონარქიამდე მიიყვანდა და უარესს არაფერს შეყრიდა. ბევრი იმასაც ბედავდა, პირდაპირ განეცხადებინა სახელმწიფო მტრებს მხოლოდ მონარქიული მართვა განკურნავს და ამ მკურნალობისთვის ყველაზე შემწყნარებელი ექიმი უნდა ავირჩიოთო. ექიმში, გადაკვრით, პომპეუსს გულისხმობდნენ.¹ შექსპირისთვის ეს ერთი შენიშვნაც საკმარისი იქნებოდა რესპუბლიკური სიმპათიები ჩამოეშორებინა. თუკი საერთოდ ჰქონდა, ან დროებით მაინც დაევიწყებინა. მაგრამ პლუტარქეს მან მხოლოდ ისტორიული გაკვეთილებისთვის როდი მიმართა, ეს თავადაც იცოდა და ამის დასტური მისი ქრონიკებია მსოფლიო ლიტერატურაში ბადალი რომ არ ჰყავს. შექსპირს ცხოვრებაში რალაც ისეთის პოვნა სურდა, რის წინაშეც ყველა ქედს მოიდრეკდა – სუსტიც და ძლიერიც, მართალიც და მტყუანიც, ბედნიერიც და უბედურიც. მას ცხოვრების იმ უზენაესი სანყისის მოძებნა უნდოდა, რომელიც სასონარკვეთისა და უიმედობის ნუთებში დაცემულ ადამიანს გაამხნევებდა. მისგან მსხვერპლს ითხოვდნენ და ძალიან სურდა გაეგო, ვის სწირავდა ამ მსხვერპლს. განა ასეთ შემთხვევაში შეიძლება პოლიტიკაზე, მმართველობის ფორმაზე ან შორეული რომის სირთულეებზე იფიქრო? შექსპირმა პლუტარქესთან ნაიკითხა, რომ კეთილშობილმა, სუფთა და უანგარო ბრუტოსმა თავისი საუკეთესო მეგო-

¹ პლუტარქე – „იულიუს კეისარის ცხოვრება“.

ეროვნული

ბარი მოკლა და შემდეგ იძულებული გახდა თავიც მოეკლა. როგორ გაამართლოს ბრუტოსი, თავი როგორ დაირწმუნოს, რომ მისი უბედურებითაც კი ბრუტოსი წარმატებულ კეისარზე უფრო მართალი, ღირსეული და ამალელებული აღმოჩნდა, ბრუტოსს ხომ წმინდა ზრახვები ამოძრავებდა, ამ ზრახვათა სინწინდე კი ყველაფერს ამართლებს. თუ არ ამართლებს? ზრახვათა სინწინდე არაფერს ამართლებს? პლუტარქე და ფილოსოფია ტყუის? მაშინ, როცა „იულიუს კეისარს“ წერდა, შექსპირმა სიცრუის შესაძლებლობა ვერც კი დაუშვა. ზნეობა მუდამ მართალია და მისი ქურუმებიც მართლები არიან: აბსოლუტური სიკეთე კეისრების კი არა, ბრუტოსების კუთვნილებათა. მხოლოდ თანამიმდევრული უნდა იყო, მხოლოდ უზენაესი ალტემების უნდა გვეროდეს და მსხვერპლის არ გეშინოდეს – დანარჩენი ყველაფერი მოგვარდება და მხოლოდ თვინიერი ცხონდება.

ბრუტოსის „სწორხაზოვნება“, კრიტიკოსებში ამდენ უკმაყოფილებას რომ იწვევს, სწორედ ამით აიხსნება. შექსპირისთვის სასწორის ერთ მხარეს ადამიანის სიცოცხლე, მეორე მხარეს კი უზენაესი მორალის მოთხოვნა იდო და მან შეძლებისდაგვარად ყველაფერი გააკეთა, რათა მეორეს გადაეწონა. როცა არ უნდა ეხმო ან რისთვისაც არ უნდა ეხმო ზნეობას, ბრუტოსი მუდამ მზად იყო მის ძაბილს დამორჩილებოდა. შეთქმულების დანარჩენი მონაწილენი სხვა მოსაზრებით – პატივმოყვარეობით, კეისრის სიძულვილით და ა. შ. – ხელმძღვანელობდნენ. ბრუტოსს კი, როგორც პლუტარქე წერს: „ასეთ ზრახვებს მტრებიც კი ვერ დააბრალებდნენ“. მკვლელი მას ზიზღით შეესტკვრის; იმ სიცრუესა და თვალთმაქცობასაც კი

ვერ ეგუება, წამოწყებულსა და სიათი რომ მოითხოვს. პირდაპირ, გახსნილად მოქმედება და სისხლისღვრის თავიდან აცილება უნდა. მაგრამ მოვალეობა მოითხოვს და ისიც უსიტყვოდ ემორჩილება. კასიოსსა და სხვა შეთქმულებს იგი ასე მიმართავს:

არა, კასიოს, ყასბებად კი ნუ გადავიქცევით, შევიქნეთ მსხვერპლის შემწირველნი. აქ ხომ ყველანი ვებრძვით კეისრის სულს და სული უსისხლო არის. ოჰ, რომ შეგვეძლოს ჩვენ ამ სულის დამორჩილება იმის სხეულის შეუხებლად! მაგრამ რა ვუყოთ, უსისხლოდ რომ ვერ გადავრჩებით. მაშ, მეგობრებო, გაბედვით მოვკლათ, მრისხანება ნუ გავგიტაცებს; დავჭრით ისე, ვით სანოვაგე ღმერთთ საკადრისი...

ერთი წამითაც არ შეიძლება ბრუტოსმა იმ ჯანზრახვით იმოქმედოს, საერთოდ, ადამიანები რომ ხელმძღვანელობენ. არც უნდა გაბრაზდეს, არც გაიხაროს, არც შეშინდეს, არც არაფერი ისურვოს. ეს ღვთისმსახურებაა და უნდა დამორჩილდეს, მსხვერპლი უნდა შესწიროს. ფიხტემ საოცარი სიტყვები თქვა – საოცარი იმით, რომ ადამიანის კერპისადმი „სასურველ“ დამოკიდებულებას უჩვეულოდ ნათლად ახასიათებს. „მე მომიწოდეს ქვემარტება დავადასტურო, ჩემი ცხოვრება, ჩემი ხვედრი არაფერს ნიშნავს, ცხოვრებისეული საქმეა უმთავრესი. მე ქვემარტების ქურუმი ვარ, დაქირავებული მოჯამაგირე და მისთვის ყველაფერი უნა გავაკეთო, გავბედო და ავიტანო“. ამ მქვერმეტყველ ფრანზა-

ში „ჭეშმარიტება“, „ზნობით“ შეცვალეთ და ბრუტოსის Profession de Fio-ს¹ მიიღებთ. ისიც ქურუშია, მოჯამავირე, თავისი იდეალისთვის ყველაფერი უნდა გაბედოს და აიტანოს. მაგრამ ბრუტოსის ვერც ერთ მონოლოგში ვერ ხედავთ იმ ხალისიან, სადღესასწაულო და მძაფრ პათოსს, რითაც ფიხტეს სიტყვებია გაჟღერებული.

პირიქით, ბრუტოსის სიტყვებში რაღაც უცნაური და პირქუში დათრგუნულობა იგრძნობა. თავისუფლად ვერ ლაპარაკობს, თითქოს წინასწარ გრძნობდეს, რომ რწმენა, რისთვისაც მართლა ყველაფერს ბედავს, მას მოატყუებს და მისი წინათგრძნობა ახდება კიდეც. ფიხტეს ფილოსოფია, რომელსაც შექსპირი პლუტარქესთან გაეცნო და რომელიც de la pature de grandes ames²-თვის დიდი საბაბო იყო, ასევე წიგნიერი სიბრძნე აღმოჩნდა ცხოვრების კრიტიკულ მომენტში უარყოფას რომ საჭიროებდა. მჭერმეტყველ სიტყვებს – ჭეშმარიტებას, სილამაზეს, სიკეთეს – ბრბო მხოლოდ გაჩახჩახებულ დარბაზებში შეუძლიათ დამუხტონ. აქ ისინი თავის ადგილას არიან და ათასობით ახალგაზრდა გულს ალტაცებით ააძგერებენ. შექსპირს კი ისინი ვერაფერს აძლევენ, არც შეუძლიათ მისცენ. „ბევრი რამ ხდება ზეცად და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთ სიზმრად არც კი მოლანდებიათ“. ამას შექსპირი უკვე „ჰამლეტში“ ამბობს „იულიუს კეისართან“ თითქმის ერთდროულად რომ დაინერა. „ჰამლეტში“ ცხოვრებისეული ტრაგედიის კლასიკური მორალით გადაჭრის მცდელობაც კი აღარ იგრძნობა. პლუტარქეცა და სიბრძნის სხვა მოძღვრებებიც უარყოფილი არიან.

ჰამლეტი სულს, იმჭვეყნიურ მაცნეს ეხლება და ყველა ადრეული რწმენა, მრწამსი თუ იდეალი ბავშვურ თამაშად ეჩვენება. სულთან საუბრის შემდეგ ჰამლეტის პირველი აზრი ასეთი იყო:

... მიგონებდეთ?!

საბრალო სულო, სხვას ვის უნდა მოვიგონებდე,
ვიდრე ამ ბედკრულ თავში მაქვს მე მეხსიერება.
შენ გიგონებდე! ჩემის ხსოვნის ფურცლებზედ წაეშლი,
რაც კი ოდესმე ან მსმენია, ან ნამიკითხავს;
წაეშლი, რაც კი შიგ ჩაბეჭდილა თვალით ნახული
და აქ დავიცავ მტკიცედ, ამ ჩემს გულის ფიცარზედ
მარტო შენს ნათქვამს სხვა ამბავთა გაურეველად.

წიგნები უარყოფილია, გონების ნაყოფი უარყოფილია. ყველაფერი, გარდა იმისა, რაც სულისგან შეიტყო, „სხვა ამბავთა გაურეველად“ გადაიქცა. საშინელი ხედვისგან უფლისწულის დაცვა აღარც ფიხტეს მჭევრმეტყველებას შეუძლია და აღარც კანტის ავტონომიურ მორალს.

არადა, „სული“ ჰამლეტში სულაც არ არის დარღვეული წარმოსახვის ნაყოფი. ჰამლეტმაც და თავად შექსპირმაც შესანიშნავად იციან, რომ „ის ქვეყანა“ ჩვენთვის სამარადისოდ დახურულია: „იქ, იმ ბნელსა და უცნობ მზარეს, სიდით არც ერთი მგზავრი უკან აღარ ბრუნდება.“ ჩვენს განათლებულ ეპოქაში იქიდან ნუგუშს ვერავინ იღებს. სულით ხორცამდე პოზიტივისტები ვართ და არამც თუ მნიშვნე-

¹ მრწამსი, კრედო (ფრ.).

² დიად გონებათა საკვები (ფრ.).

ეროვნულში

ლობას არ ვანიჭებთ სხვის მონაყოლს მსგავსი სასწაულების შესახებ, საკუთარი გრძნობების დასტურსაც კი არ ვუჯერებთ, რა ხელშესახებიც არ უნდა იყოს და მაინც, სანახევროდ პოზიტივისტები აღმოვჩნდით. სულთა დახმარებას არ ვიღებთ თუ კეთილგანწყობით მოდიან და თავიდან ისე ვიშორებთ, ვითარცა ცდომილ ილუზიას, პალუცინაციას, მაგრამ თუ, ჰამლეტის მსგავსად, აჩრდილები საწამებლად მოგვეახლებიან, მათი რეალობა ეჭვს წუთითაც არ ინვევს. ჩვენი მეცნიერული ჯადო დაუცველი და უსუსურია... არც ერთ კრიტიკოსს არ დაუდანაშაულებია შექსპირი იმისთვის, რომ რეალისტურ ტრაგედიაში სულის მოვლინების მსგავსი უაზრო ჩანაფიქრის შემოტანა გაბედა. როგორც ჩანს, თავადაც ვგრძნობთ, რომ ჩვენი მეცნიერება უპირველეს ცრურწმენას მხოლოდ ნაწილობრივ მოერიბა. მან გაანადგურა სამოთხე, მაგრამ იძულებული გახდა ჯოჯოხეთი შეენარჩუნებინა და თანაც აქვე, დედამიწაზე, იმქვეყნიურიდან ამქვეყნიურ სამყაროში გადმოეტანა.

სწორედ ესაა შექსპირის ყველა ტრაგედიის ლაიტმოტივი. „იულიუს კეისარში“ ეს ამკარად ჯერ კიდევ არ იკვეთება, რადგან პოეტი ცდილობს თავი დაირწმუნოს ბრუტოსი მორალის სამსახურში ჩადგომით ჯოჯოხეთში კი არა, სამოთხეში მოხვდაო. ბრუტოსი ჯიუტად ცდილობს გონებისა და ნებისყოფის ძალისხმევით სინამდვილის უგნურ და საშინელ კომმარზე გაიმარჯვოს, „რაც კასიოსმა კეისარზე მე ნამაქეზა, თვალთ ძილი აღარ მეკარება“-ო, ამბობს. მიუხედავად ამისა, შექსპირი თავის გმირს სულიერ წონასწორობას არ აკარგვინებს. შეთქმულებს იგი ამკარა, გამოკვეთილი აზრით მიმართავს. არ სურს

თავისი გეგმა ნაუცბად მიტოვდეს, არა მოხვდება, ისე შეასრულოს, ოღონდ მალე დასრულდეს. არა, ყოველთვის ამოცანის სიმაღლეზე რჩება. კასიოსი შეთქმულებს ფიცის დადებას თავაზობს. ბრუტოსს კი ფიცი არა სურს. ეს იმ უზენაეს მორალს შეურაცხყოფდა, რომელსაც ემსახურება. მას ხომ ფიცით ხელმეკრული კი არა, ნებაყოფლობით უნდა დაემორჩილო.

კასიოსი ანტონიოსის მოკვლასაც ითხოვს, რადგან ეს უკანასკნელი ვერაგი მტერი შეიძლება აღმოჩნდეს. ბრუტოსის ადგილას სხვა დათანხმდებოდა. აბა, ვის ცალია ცალკეული სიცოცხლისათვის, როცა სახელმწიფო გადატრიალება მზადდება! მაგრამ ბრუტოსი ხომ ანგარიშს მხოლოდ მორალს უწევს, ის კი საყვარელი ქალივით ეჭვინია, მასზე, მხოლოდ მასზე ფიქრს მოითხოვს და ანტონიოსიც გადარჩება! შეთქმულების დაშლისთანავე ბრუტოსი მსახურ ლუციოსს ისე თბილად ელაპარაკება, ცოლს კი, პორციას, ისე მეგობრულად უღიმიის, თითქოს საშინელი საქმის სათავეში არ იდგეს, თითქოს დამდეგი მარტის იდეები წლის ჩვეულებრივი დღეები იყოს. ბრუტოსი ყოველთვის პირნათელი, მტკიცე და სამართლიანია. კეისრის მკვლელობის შემდეგ ხალხს სიტყვით მიმართავს და მის სიტყვაში – ეს ალბათ ისტორიაში ერთადერთი შემთხვევა – არც სიცრუე იგრძნობა და არც ორატორული შელამაზების მცდელობა. ხომ შეეძლო თავი მოენონებინა, შეხედეთ, როგორი ვარ, არავის და არაფერს ვუმალავო. და ბოლოს, მეოთხე მოქმედებაში, კასიოსთან ჩხუბის დროს, ვხედავთ ბრუტოსი როგორ ბრაზობს და დაეობს, მაგრამ მორალის წინაშე აქაც მართალია. მას კასიოსის ხელმრუდობა აბრაზებს.

თავის თავზე კი არასოდეს უფიქ-

რია! არადა, იცის, რომ ხვედრმა ყველა მის უბედურებას კიდევ ერთი, ყველაზე საშინელი დარტყმა დაუმატა: მისმა საცოდავმა მეუღლემ, თავად კატონის ასულმა, პორციამ, თავი ვალდებულად რომ მიაჩნდა მორალის გაზომვით, ყოველივე აეტანა და გაეხედა, ბრუტოსის შესახებ ჭორი დაიჯერა და სასონარკვეთილმა საზარელი სიკვდილი არჩია: ნაკვერჩხლები გადაყლაპა. მაგრამ „ფილოსოფია“ ბრუტოსს შეცბუნების უფლებას არ უტოვებს. ველაფერს ითხოვს, არაფერს შეგარჩენს. ითხოვს კეისარი მოკლა? მოკალი, თუმც შენი უახლოესი მეგობარია! შინაომს ითხოვს? ბრძოლა დაიწყე! საყვარელმა, უდანაშაულო ცოლმა ნაკვერჩხლები გადაყლაპა? ესეც მიიღე! შენგანაც ითხოვს ცეცხლი ალტაცებულმა გადაყლაპო? ამასაც მიიღე და მაშინ, ოდნავ შემწყნარებლური ღიმილით, ანტონიუსის პირით იტყვი:

ცხოვრება მისი იყო ნმინდა, სუფთა, ანკარა, შეხამებული საუცხოოდ, ისე, რომ თვითონ ბუნებას უნდა გამოეხატა ენა და ეთქვა ველას სასმენად: ჭეშმარიტი კაცი ეს იყო.

სულ ეს არისო, იკითხავთ? შექსპირს, როცა „იულიუს კეისარს“ წერდა ასე სურდა ეფიქრა, რადგან დარწმუნებული იყო, ცხოვრება მეტს ველაფერს წარმოატყობსო. ცხოვრება რომ მსხვერპლს მოითხოვს ეს არც თორიაა და არც გამოხატონი, არც პლუტარქეა და არც პლატონი, მაგრამ ვის უნდა შესწირო ეს მსხვერპლი? ნუ-

თუ არავის და არაფერს? თუ ძალაუნებურად მისი უმიზნობა უნდა აღიარო, იქნებ ჯობია მორალის საკურთხეველს მიუძღვნა და მისი უსულგულო ქება დაიმსახურო – მეტს ხომ არაფერს გაღირსებს! არა, უარესი, უფრო უარესი ხდება და ეს თავად „იულიუს კეისარშიც“ მოჩანს, როცა ბრუტოსიც კი, მოვალეობის ეს უანგარო შემსრულებელი, უკანასკნელ ნუთებში ამ მსახურებას, ფილოსოფიურ წიგნებში ასე ლამაზად აღწერილ „უზენაეს სიკეთეს“ ზურგს შეაქცევს. „კეისარო, ეხლა დამშვიდდი! მე შენი მოკვლა ბევრად უფრო მეძნელებოდა!“ უზრუნველი სულისთვის ეს დისონანსი შეუმჩნეველი რჩება, რამეთუ მას ბრუტოსის ცხედართან წარმოთქმული ანტონიუსის გამოსათხოვარი სიტყვები ახშობს. აი, „პამლეტში“ ბრუტოსისეული, გარეგნულად მტკიცე სიტყვების ნასახიც ქრება და სასონარკვეთას სრული გასაქანი ეძლევა; „მეფე ლირის“ ფინალი საშინელ შეკითხვას წამოჭრის, ნუთუ ეს არის შეპირებული დასასრულით, ხოლო „მაკბეტის“ გმირი, ეს საზარელი გმირი, მორალის წინაშე გართხმული თავის თავზე ფიქრს რომ ვერც კი უნდა ბედავდეს, იბლის გამოწვევას ბედავს: „ამას ის არ სჯობს, რომ პირისპირ შევება ბედსა!“ შექსპირის უდიდესი თვინიერება, უდიდეს შემართებაში გადაიზარდა. ტრაგიკული განცდების აზრი ან ტრაგიკული მშვენიერების გასაღები აქ ხომ არ უნდა ვეძებოთ? ერთი კი ნათელია, „ანტონიუსის მოვალეობამ an sich“, რომელსაც შექსპირმა ცხოვრების უმძიმეს ნუთებში მიმართა, მას ვერაფრით უშველა და მანაც უარყო ის თანამედროვე ეთიკა, სუვერენული

¹ თავისთავად (გერმ.).

უფლებების პრეტენზია რომ პქონდა. ან უკან, პლუტარქეს ბავშური მრწამსისა და მითებისკენ უნდა დაბრუნდე ან წინ ნახვიდე – მაგრამ წინ საით? შექსპირის კვალდაკვალ – მაკბეტისაკენ?!

ეს ყოველივე მშვენივრად გამოკვეთს ბრუტოსის როლს ჩვენს მიერ განხილულ ტრაგედიაში. თავად კეისრის სახე კი, უნდა გამოვტყდეთ, რომ შექსპირს მაინცდამაინც ვერ გამოუვიდა. და რა უცნაურია, რომ ამის შემჩნევა კრიტიკოსებს დიდხანს არ სურდათ. რატომ? ზუსტად ვერაფერ იტყვის. უნდა ვივარაუდოთ, რომ შექსპირის ავტორიტეტი იმდენად ძლიერი იყო, ამ ბრწყინვალე პოეტის კალმის შექმნილი თუნდაც რაიმეს დასუნება ყველას უხერხულად მიაჩნდა. დღეს კი თვალაბმული აღარავინაა. ბრანდესი, ვთქვათ, თავს იმის უფლებასაც კი აძლევს, კეისრის თაობაზე შექსპირს გრძელი ნოტაცია ნაუკითხოვს. ეს, რა თქმა უნდა, სასაცილოა. თქმა არ უნდა, შექსპირისეული კეისარი უსიცოცხლო და კარიკატურულია, მაგრამ არა იმიტომ, რომ პოეტმა ამოცანას თავი ვერ გაართვა, როგორც ეს ბრანდესს მიაჩნია. იქნებ კეისარი ხუთი-ექვსი წლით ადრე რომ შეექმნა, სულ სხვაგვარი გამოსულიყო. მაგრამ ახლა ადამიანის საქციელის უზენაეს პრინციპად გადაქცევას „ავტონომიური მორალი“ და მოვალეობის იდეა ზეიმობდა და პოეტს კეისრის არც პიროვნულობა აინტერესებდა და არც ისტორიული მოღვაწეობა. მით უმეტეს, რომ ცოტა კომიკურად მას თავად პლუტარქეც კი აღწერს. ვთქვათ, იმ ცნობილ ეპიზოდს, სადაც მეკობრეების მიერ შეპყრობილი კეისარი ასე ამაყად და გამომწვევად იქცევა, პლუტარქე ასეთი ხალისიანი შენიშვნით ასრულებს: „... მეკობრეებს ეს ძალიან მოს-

წონდათ, რადგან მის გამოშხვევ საქციელს უვნებელ ხუმრობად თვლიდნენ“. პლუტარქეს მთელი მოთხრობა ასეთი ირონიული ხუმრობითაა სავსე და ესეც კი საკმარისი იქნებოდა შექსპირს კეისრის სიდიადე ეჭვის ქვეშ დაყენებინა. გარდა ამისა, ბუნებრივია, კეისარი სასაცილოდ მოჩვენებოდა კაცს, ვინც იძულებული იყო უკანასკნელი საყრდენი ბრუტოსში ეძებნა. კეისრის გამარჯვება ხომ ბრუტოსის დამარცხებაა.

ანტონიოსი შექსპირს, თუმცა რამდენიმე განსხვავებული თვალსაზრისით, მაინც არანაკლებ იდუმალი გამოუვიდა. მისი სახე არაჩვეულებრივად ჩამოქნილია, სიტყვები კი, თავიდან ბოლომდე, მხატვრული შემოქმედების მარგალიტებად გვევლინება. ყველაზე განსაცვიფრებელი კი ისაა, რომ შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს შექსპირს ანტონიოსის გამო დროდადრო თავისი ბრუტოსიც კი ავიწყდება. ანტონიუსი პოეტისთვის ძალიან ახლობელია, მისით უნებლიედ ტკბება და ყველაფერს, ბრუტოსთან მოღალატურ პოლიტიკასაც კი პატიობს. არადა, ანტონიოსი კეისარივით შორსა დგას ავტონომიური მორალისაგან, უფრო შორსაც კი... მისთვის არავითარი ნორმები არ არსებობს, ხელ-ფეხ შეკრული არაფრითაა და მხოლოდ ძალის ეშინია. ეს მამაცი, ლამაზი და ეშმაკი მტაცებლის შესანიშნავი ნიმუშია. სანამ ბრუტოსი ძლიერია, ანტონიოსი მის წინაშე მუხლს პირმოთენე იყრის, მაგრამ საკმარისია ბრუტოსი შებრუნდეს, სახიფათო მომენტმა ჩაიაროს და თავისუფლება იგრძნოს, რომ მტაცებელი მომთვინიერებელს თავს ერთი მოხერხებული და ლამაზი ნახტომით ესხმის. მოფარებული კუთხიდან, ბუჩქებიდან, ვერაგულად და მოტყუებით ესხმის და ანგარიშს არც კეთილშობი-

ლებას უნევს და არც სხვა ამაღლებულ გრძნობებსა თუ წესებს. ყველა მის მოქმედებაში თავსდამდობილი, დაუმორჩილებელი, სხვათა კანონთა უარყოფელი კაცის თვითყოფადი ცხოვრება გვაოცებს. შთაბეჭდილებას ისიც ამძაფრებს, რომ სულ ახლახან შექსპირთან ერთად ბნელ მინისქვეშეთში ვიყავით, სადაც თანამედროვე ინკვიზიცია, ავტონომიური მორალი, ბრუტოსს ასე ანამებდა და აღმოადებულ ნაკვერცხლებს აყლაპებდა... რა თქმა უნდა, ზუსტად ყოველთვის ვერც მტაცებელი ზომავეს და სადაც გამარჯვების იმედი აქვს, ხშირად დამარცხებულს გამოდის. მაგრამ თავისი უფლებებისთვის იბრძვის და სიკვდილი მისთვის ნაკლებ საშიშია, ვიდრე იმის აღიარება, რომ უფლებააყრილი არსება და დაქირავებული ძალაა, თუნდაც მორალის მიერ დაქირავებული...

ბრუტოსს ამისი არაფერი ესმის. იგი თავისთვის კი არა, იდეისთვის იბრძვის; იმ აჩრდილისთვის, ადამიანებმა ღმერთად რომ გადააქციეს. ბრუტოსი საშუალებაა და არა მიზანი, სამსხვერპლო ცხოველია და არა ქურუმი.

კასიოსის საკითხიც კი უფრო მძრტივია, ვიდრე ბრუტოსის, თუმცა თავისი საქმიანობით სიძულვილს, ხანდახან კი ზიზლსაც იწვევს. იგი კეისარს ვინრო, პირადი ინტერესების გამო კლავს, იმ პროვინციებს, რომელსაც მეომრებთან ერთად გაივლის, ძარცვავს, დაქვემდებარებული ოფიცრების შექრთამეობას თვალს არიდებს, ბრუტოსს ფულით არ ეხმარება და ა.შ.

კასიოსს ბრუტოსი რომ არ ფარავდეს, გზას მორალურ აღშფოთებას გავუხსნიდით. მაგრამ იმ ამოცანასთან შედარებით ბრუტოსმა რომ ნამოჭრა, კასიოსის ყველა დანაშაული უმნიშვნელოდ გვეჩვენება. ბრუტოსს სურს

თავის თავიცა და მთელი მსხვერპლად იდეას შესწიროს, ჩვენთვის კი სიტყვა „მსხვერპლი“ აუტანელი ხდება.

სამწუხაროა, ძალიან სამწუხაროა, საბრალო ბრუტოსის, საბრალო თანამეცხედრის, პორციას, დანახვა. გაუმაძღარმა მორალმა ეს სრულიად უდანაშაულო ქალიც კი გადაყლაპა. ერთდროულად ამაღლელებელიცაა და საზარელიც იმის გახსენება თუ როგორ დაიცა დანა თეძოში, რათა თავი შეემონებინა და დარწმუნებულიყო, რომ კატონის ღირსეული ქალიშვილი და ბრუტოსის ღირსეული ცოლია. პირველი გამოცდა კი გადაიტანა, მაგრამ შემდეგ უფრო და უფრო გაუჭირდა. როცა ბრუტოსი სენატში წაიდა, თავშეკავებამ თითქმის უღალატა და ცოტა დააკლდა კინალამ ქმრის მინდობილი საიდუმლო არ გასცა. და მაინც, თავს მოერია და მხოლოდ იმისთვის, რომ მოგვიანებით მტანჯველი სიკვდილით დაღუპულიყო. მის შესახებაც შეიძლება ვთქვათ „ცხოვრება მისი იყო ნმინდა“ და მაგალითადაც შეიძლება მივუთითოთ ყველას, ვისაც უზენაესი ზნეობის ნინამე სურს თავის გამოჩენა. ნაკვერჩხლები გადაყლაპეთ და ისტორია არ დაგივიწყებთ, ძეგლსაც დაგიდგამთ – ან ცალ-ცალკე, ან ყველას ერთად თუ ბევრნი მოგროვდებით, განა ეს ნუგეში არაა? განა ეს ავტონომიური მორალის მიერ მოთხოვნილი მსხვერპლის გამართლება არაა?

„იულიუს კეისარში“ კიდევ ერთ მრავალთავიან მოქმედ პირს ვხედავთ, ხალხს, უფრო სწორად „ბრბოს“. შექსპირმა ტყუილად როდი დაიმსახურა „რეალისტის“ წოდება. იგი ბრბოს არც უპირისპირდება და არც შაბლონური კეთილშობილებით ალამაზებს. მისი ბრბო ფუქსავატი, ცვალებადი, უმა-

დური და სასტიკია. დღეს პომპეუსის საომარ ეტლს მისდევს, ზვალ კეისრის საპატივცემულოდ „ვაშას“ გაპკივის, რამდენიმე დღის შემდეგ გულს მკვლელი ბრუტოსის სიტყვებით იჩუყებს, რათა შემდგომ ანტონიოსის გავლენის ქვეშ მოექცეს და იმავე ბრუტოსის თავი მოითხოვოს, ახლახან ასე რომ უყვარდა. ბრბოს მერყეობას ყოველთვის აღშფოთებით იხსენიებენ. სინამდვილეში კი აქ, როგორც ჩანს, სამართლიანობის უძველესი კანონი – სისხლი სისხლის წილ, კბილი კბილის წილ – იჩენს თავს. ბრბოს, არსებითად, არც პომპეუსები ენაღვლება, არც კეისრები და ანტონიოსები, ისევე, რო-

გორც მათ არ ედარდებათ ბრბო. დღეს კეისარი მძლავრობს – გაუმარჯოს! ზვალ ანტონიოსი – მასაც გაყვება. მხოლოდ პურს და სანახაობას ნუ მოაკლებ. მათი დამსახურება კი, აბა რად უნდა გაიხსენონ! თავად ხომ ეს უკეთ ახსოვთ და თავს ქეშმარიტი მეფური გულუხეობით აჯილდოვებენ. მართალია, პატივმოყვარეთა მჭიდრო რიგებში ხანდახან პატიოსანი და უანგარო ბრუტოსიც გაკრთება ხოლმე, მაგრამ ქვიშაში მარგალიტის ძებნის დრო, აბა ვისა აქვს. გმირებისთვის ბრბო საზარბაზნე ხორცია, ბრბო კი გმირებით ერთობა. სამართლიანობა ზეიმობს და ფარდაც შეიძლება დავუშვათ...

თარგმნა მანანა მიქელაძემ



სენ-ჟონ პერსი*

ერთი თავი ნიგნიდან „უნაპირო რეალიზმი“

კლოდელის ერთ-ერთი პერსონაჟი პოეზიის ასეთ განსაზღვრებას გვთავაზობს:

ო, შვილო ჩემო, როცა ვიყავი მე
კაცთა შორის
და პოეტად ვინოდებოდი,
გამოვიგონე ჩემი ლექსი,
მოკლებული რითმას და საზომს,
ამაჰიანთა სულის სიღრმეში
ამოვიკითხე
უმაღლესი დანიშნულება და
სწრაფვა მათი
მთელი სამყაროს საკუთარ თავში
მოქცევისა
და კვლავად გენის უბრალო
სიტყვით.

ამ განსაზღვრებაში კარგად ჩანს პრობლემა, რომელიც წამოჭრა სენ-ჟონ პერსმა: რა კავშირი უნდა იყოს პოეტის „შიგნით მოქცეულ სამყაროსა და იმ სიტყვას შორის“, რომლის მეშვეობითაც ეს შინაგანი ქვეყნიერება უნდა ამეტყველდეს?

სენ-ჟონ პერსის პოეზიის შესწავლა, უპირველეს ყოვლისა, ამ მეტამორფოზის კანონების შესწავლას ნიშნავს.

ეს ამოცანა ძნელი გადასანწყევტია, ვინაიდან იმ პოეტს ეხება, რომელიც

თვითონვე უარყოფდა კავშირს თავის საზოგადოებრივ მდგომარეობასა და პოეტურ შემოქმედებას შორის. ჩვენ რომ დაგვეჯერებინა მისთვის, მართლაც ვერავითარ შეხების წერტილს ვერ აღმოვაჩენდით ალექსის ლექსეს პოლიტიკურ მოღვაწეობასა (საფრანგეთის საგარეო პოლიტიკას ქმნიდა) და სენ-ჟონ პერსის პოემებს შორის. „მთავარია, როგორმე გამანთავისუფლონ იმ მიმოსვლისაგან, რომელიც ჩემი დიპლომატიური მუშაობის დროს მომიწევს. მე ტყუილად როდი ავირჩიე ლიტერატურული ფსევდონიმი და ყოველთვის მკაცრად ვეკიდებოდი პიროვნების გაორების პრინციპს. სენ-ჟონ პერსისა და ალექსის ლექსეს შორის რამენაირი კავშირის აღმოჩენა მკითხველის ხედვას ამაზინჯებს და ჩემი პოეზიის აღქმას აფერხებს“.

ჩვენ მაინც მოგვიწევს ამ მოთხოვნის უარყოფა, ამ ამკრძალავი მოსაზრების დარღვევა, რათა ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი პოეტის შემოქმედების გაგება ვცადოთ.

ის, რასაც უშუალოდ შემოქმედება მონშობს, ავტორის ნებაზე უფრო მთავარია და არსებითი. ნათელია და უტყუარი შემდეგი ვითარება: მთელი

* იხილეთ შემოკლებით.

ეკლესიის

სიტყვის ეტიმო-

მასალა, რომელსაც ეფუძნება სენ-ფონ პერსის პოეტური ქვეყნიერება (მე ვსაუბრობ მასალაზე და არა ამ მასალის აგების კანონებზე) ალექსის ლეფეს ცხოვრებისეული გამოცდილებიდან იღებს დასაბამს. სახეები და მათი გამომხატველი სიტყვები, თვითონ არჩევანის პრინციპი, მრავალფეროვანი შთაბეჭდილებები, მოგონებები და მისწრაფებები, რომლებიც ქმნიან პოემას „ანაბასისი“ უშუალოდ ცხოვრებიდან არის აკრფილი.

სენ-ფონ პერსის დრამა – პიროვნების გაორების დრამაა. ეს გაორება გარდუვალი იყო იმ სამყაროში, რომელშიც ის ცხოვრობდა. თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობა მან თავისივე პოეზიის საგნად ვერ აქცია, პოეზიას კი ცხოვრებისეულ სიბრტყეში ქმედითობა ვერ მიანიჭა. პერსის ცხოვრება მისივე მოღვაწეობის პოეტიზაცია არ არის და არც პოეზიაა მოქმედებად ქცევა...

სენ-ფონ პერსის შემოქმედებით სრულდება ის პოეტური ევოლუცია, რომელიც XIX საუკუნის გარიჟრაჟზე დაიწყო. მანამდე ხელოვნება ეჭვით არ ეკიდებოდა შინაგანი თუ გარეგანი სამყაროს გამომხატველ იმ ნიშნებს, რომელიც მოდელად ემსახურებოდა. ამ მოდელის რეალობა მას თავისი საშუალებებით უნდა გამოეხატა.

რომანტიზმს ეჭვი შეაქვს ამ აქსიომამში.

მხატვარი სულ უფრო და უფრო გულგრილი ხდება საგნის მიმართ. ის აღარ აქცევს ყურადღებას იმას, თუ როგორ განსაზღვრავს, როგორ აფიქსირებს საგანს ტრადიცია, საზოგადოება და მისივე ენა. ობიექტისადმი ეს მომეტებული განურჩევლობა ზრდის სუბიექტის მნიშვნელობას. შემოქმედების ამოცანაა არა თხრობა სამყაროს შესახებ, არამედ ახალი სამყაროს

შექმნა. პოეზია, ამ სიტყვის ეტიმოლოგიის თანახმად ნამდვილ შემოქმედებად იქცევა. ლირიკული ნარმოსახვა ღმერთისგან შექმნას სწავლობს.

ბუნება, რა თქმა უნდა, სთავაზობს მხატვარს საღებავებს, ფორმებს, საგანთა გარეგან ფორმას, მაგრამ მხოლოდ ნედლეულის სახით. მხატვარი იშორებს საგნის კოპირების ვალდებულებას, აღარ სურს მისი კვლავალდგენა, იგი რეალობის ელემენტებისგან სხვა სამყაროს აშენებს.

ლოტრეამონი „ანტიზეცას“ ნატრობდა, რემბომ „მკვლელთა დრო“ ამოიშანთა გულში. ისინი ეძებდნენ გამოსავალს რეალურ ცხოვრებასა და პოეზიას შორის. რემბოს საფრანგეთში არ დაედგომება, გადაიხვეწება და ავანტიურისტის ცხოვრებით ცხოვრობს. ნერვალმა შემლილობით და თვითმკვლელობით დაასრულა ყოფნა. ბოდლერი სხვა სამყაროებს ეძებდა, ამქვეყნად ცხოვრების ძალა არ შესწევდა თავისი ალბატროსის და მულარმეს მოწყენილი გედის მსგავსად...

და თუმცა განსხვავებულია ამ პოეტების ხელწერა და ნიჭიერება (რომანტიკოსებიდან სიურეალისტებამდე) ისინი მაინც ერთ ნაირსახეობას, ერთ გვარს ეკუთვნიან. მათთვის, რაც არსებობს, ყველაფერი ყოველდღიურობასთანაა დაკავშირებული. ამ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის სენ-ფონ პერსიც...

სენ-ფონ პერსის თვალთ დახახული სამყარო დარღვეულია და მთრთოლვარე. ეს მისი სამყაროა. პერსი არ ცდილობს აქედან რომელიმე ხელოვნურად შექმნილ სამყაროში გაქცევას.

ეს კაცი, რომელსაც ღმერთი არ სწამს, არ ცდილობს კლოდელისგან განსხვავებით სამყაროს საზრისი ამ სამყაროსევე გარეთ ეძებოს.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იგი ერთი ნუთითაც არ ჰკარგავს ცხოვრების იმედს და მომავლის რწმენას. კატასტროფის ტალღის წვერზეც კი ის ინარჩუნებს უმაღლეს ოპტიმიზმს, ადამიანის საბოლოო გამარჯვების, ცივილიზაციის შენარჩუნების სურვილს. მასთან ჩვენ ჯერ კიდევ ვხვდებით იმ წინასწარმეტყველურ ენთუზიზმს, რომელიც ზოგიერთ რომანტიკოსს 1848 წლის კვირამაღალზე გამოარჩევდა, ვხვდებით ედგარ კინის ჰუმანურ რწმენას მის „ალასფერში“ და უკვე აქეთ, ჩვენსკენ, ვერხპარნისა და უიტმენის შთამაგონებულ ადამიანის სიდიადის ეპიკურ გრძნობას.

ეს რწმენა იმ შორეულ დროშია განფესვილი, როცა ადამიანს თანხმობა ჰქონდა საგანთა სამყაროსთან, როცა არსებობდა დასაბამიერი ერთობა მატერიასთან, რომელმაც სათავე დაუდო ადამიანის დიდებას და რომელიც პერსმა საკუთარი ბავშვობის სამოთხეში ჰპოვა. „მშვენიერ სამშობლოს კელაეაც მოვიპოვეთ, მეფის მშვენიერ ქვეყნიერებას, მას რომ ბავშვობიდანვე არ უნახავს და მისი უკარებლობა ჩემს სიმღერაშია აღბეჭდილი“.

სენ-ჟონ პერსის პოეზია სიხარულის ამ ამოძახილიდან იწყება, სიცოცხლისადმი ეს სიყვარული ანიჭებს ძალას. პერსი რომ მორწმუნე ყოფილიყო, მისი შემოქმედება მადლიერების გამოხატველ ლოცვად ამოიფრქვეოდა. პერსის პირველ კრებულს „ქებანი“ ჰქვია. „ეს მშვენიერი სათაურია, სხვას არასდროს ვისურვებდი“ – წერდა პოეტი ანდრე ჟიდს.

სენ-ჟონ პერსის პოეტური შემოქმედება ერთი უზარმაზარი პოემაა, ადამიანზე შეთხზული მთლიანი ეპოპეა. ამ ეპოპეაში მთელმა ადამიანურ-

მა გამოცდილებამ, სიამაყის და სინარულის გრძნობამ მოიყარა თავი...

ზღვა – სენ-ჟონ პერსის შემოქმედების მთავარი თემაა, ის ისეთივე მომღერალია ზღვისა, როგორც იყო „ოდისეას“ ავტორი. ზღვა მონოდებაა და მოთხოვნილებაა, უსაზღვრობაა და უკიდევანობა... ზღვა სიყვარულის მსგავსი უსასრულობაა. არაგონი წერდა: „სიყვარულს, ეს იმას ნიშნავს, ვახვიდე საკუთარი თავის საზღვრებიდან“. სენ-ჟონ პერსი სიყვარულში ხედავს შუამავალს ადამიანსა და საგანთა სამყაროს შორის.

პერსთან ზღვის და სიყვარულის ხატი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ორივე უსასრულობის მაცნეა და მაუნყებელი...

სენ-ჟონ პერსს სურს, რომ მისმა პოემამ ახალი, იდეალური ცივილიზაციის სახე შექმნას, იმ ცივილიზაციისა, რომელიც ადამიანის მთელ ისტორიას აღბეჭდავს...

პერსის პოემა ადამიანს განადიდებს, ერთად უყრის თავს ყოველგვარ ადამიანურ სიბრძნეს და ხალხთა გამოცდილებას, მითებს და ნეს-ჩვეულებებს, ყოველნაირ მონაპოვარს და საგანძურს.

მუსიკისა და აზრის შერწყმა პერსის პოეზიაში თავისებურია – მკითხველის თანამონაწილეობას და მოძრაობას მოითხოვს. „ანაბასისის“ რიტმული ნაბაზი რთულია, მაგრამ მისი შეგრძნება თითქოს გარდუვალი მომხიბვლელობით გვიზიდავს, გვხიბლავს და გვაჯადოებს.

სენ-ჟონ პერსი არა მხოლოდ განუმეორებელი და ძვირფასია ჩვენთვის, არამედ ახლობელიც და რწმენისმომნიჭებელიც.

თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ

„გალაკტიონოლოგია“ — II

„გალაკტიონოლოგია“ — ეს არის გალაკტიონის (იგულისხმება არა მხოლოდ მისი შემოქმედება, არამედ პიროვნებაც) შემსწავლელი მეცნიერება. თუ რაოდენ მნიშვნელოვანია გალაკტიონის შემოქმედების შესწავლა, ნათელი გახდება, როცა ვაითვალისწინებთ, რომ გალაკტიონოლოგია, როგორც დისციპლინა, გულისხმობს რეტროსპექტივას (პერიოდს გალაკტიონიდან რუსთაველის გავლით, უფრო ადრეული ხანის ქართულ ლიტერატურამდე) და პერსპექტივასაც (პერიოდს გალაკტიონის შემდეგ), ვინაიდან გალაკტიონის შემოქმედება შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვარ ცენტრად, საფრედენ, ამოსავალ ნერტილად; ცენტრი იმდენად, რამდენადაც გალაკტიონის, როგორც საუკეთესო „მკითხველის“ შემოქმედებაში გააზრებულია ნარსუსის ლიტერატურული შემოქმედება და, იმავედროულად, გალაკტიონის პოეზია დღემდე პოეტური ხელოვნების ერთგვარი საზომია, ან როგორც „უცნობის“ ავტორი — ეახტანგ ჯავახიძე წერს, „გალაკტიონის პოეზია ამ თანდათან მოიპოვა მეტრის უფლება და ახლა უკვე მასთან სიახლოვე განსაზღვრავს ამა თუ იმ პოეტის ღირსებას“. ამასთან, გალაკტიონის პოეზია, როგორც ადგილობრივი, ისე დასავლური კულტურის ტექსტის მომცველია.

დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ გალაკტიონოლოგია, როგორც მეცნიერული დისციპლინა ითვალისწინებს არა მხოლოდ გალაკტიონის შემოქმედების, არამედ მისი პიროვნების შესწავლასაც (თუ შეიძლება ასე ვთქვათ). ამაზე მოუთხოვს თვით რუბრიკების სახელწოდებაც — „ცხოვრება, როგორც ტექსტი“, „ინტერპრეტაცია“, „კონტექსტი“ თუ „გალაკტიონი — პერსონაჟი“ — ნელინდელ „გალაკტიონოლოგიიდან“, რომლის ნელს უკვე II ნიგნი ლიტერატორებს და არა მხოლოდ მათ საჩუქრად ერგოთ „გალაკტიონის კვლევის ცენტრის“ და მისი ხელმძღვანელის

— თეიმურაზ დოიაშვილის ძალისხმევით და ლიტერატურის ინსტიტუტის მხარდაჭერით. ამავე დროს, ნელინდელის ერთ-ერთი ღირსება ისიცაა, რომ იგი გვთავაზობს ინტერპრეტაციათა შუუზღუდავ, ფართო სპექტრს, რომლებიც ხშირად, რომელიმე ნერტილი ერთმანეთს გადაკვეთს და ქმნის ერთ, მთლიან, ურთიერთშემავსებელ ტექსტს.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ „გალაკტიონოლოგიის“ მხატვრული გაფორმება. ნიგნი გაფორმებულია თვით გალაკტიონის ნახატებით, რომლებიც სტატიებთან მიმართებაში კონტექსტუალურად ისეა შერჩეული მხატვარ თენგიზ შირვაშვილის მიერ, რომ შთაბეჭდილება რჩება, თითქოს გალაკტიონმა თავად იზრუნა თითოეული სტატიის თემატიკის გაფორმებაზე. ამდენად, თვით გალაკტიონიც, ერთგვარად, ამ ნიგნის შექმნის თანამონაწილე ხდება. არის ალბათ გარკვეული ირონია იმაში, რომ გალაკტიონს ფურცლებზე ხშირად გამოჰყავდა ამ დისციპლინის სახელწოდება — გალაკტიონოლოგია, სხვადასხვა ფორმით.

გალაკტიონი ნელინდელში მონაწილეობს არა მხოლოდ ნახატებით, არამედ ლექსებითა და დღიურებითაც, რომლებსაც მკითხველი შეხედედა რუბრიკაში „არქივიდან“.

გალაკტიონს ხშირად საყვედურობენ საბჭოთა პერიოდში დაწერილი ლექსების გამო, რის გარკვეულ ახსნასაც მკითხველი შეხედედა ნელინდელის დასაწყისში, თეიმურაზ დოიაშვილის ნერილში, სადაც გალაკტიონის შემოქმედების ანალიზისას გამოთქმულ ერთ-ერთ საგულისხმო დაკვირვებასთან ერთად, საუბარია პოეტის კონიუნქტურულ ლექსებზეც: „გალაკტიონის კონიუნქტურული ლექსები დროს უფრო ახასიათებს, ვიდრე მის პიროვნებას და პოზიციას“. და მართლაც, თუ ამ ლექსებს გადავხედავთ, ძნელია არ დავთანხმდეთ ავტორს, ვინაიდან აქ ეკრ შეხედე-



ბით პიროვნულ პოზიციას და არსებითად აღწერილობითი ხასიათის ლექსები თუ პოემები შეგვარება ხელთ, რითაც გალაკტიონი პასორ გამთავალმწერელს მოვუგაგონებს. თუმცა „გულდასამით ნაკითხვის“ შედეგად, წერილის ავტორი გამოავლენს ირონიულ პასაჟებსა და ქარაგმულობას, როცა საუბრობს, ვთქვათ, შემდეგ სტრიქონებზე: „მოხევევ, გახედე იმიერ-ამერს,/ ეყუდენის თავის თავს?/ ცხადია, ეყუდენის!“ ავტორის თქმით, „მოხევის პასუხი სინამდვილესთან ისეთ კონტრასტს ქმნის, რომ რიფეს იხსნის სტრიქონებში განაბული ორხმოვანი ირონია“.

კრებულში მკითხველი შეხვდება თეიმურაზ დოიაშვილის კიდევ ერთ წერილს, სადაც ავტორი აანალიზებს გალაკტიონის, ალბათ, ერთ-ერთ ყველაზე პერმეტულ კრებულს „არტიტული ყვავილები“; უფრო ზუსტად, ზოდერისა და გოტიეს (რომელთა სტრიქონები ეპიგრამად აქვს წამქლავრებული გალაკტიონის ნიგნს) პოეტური კრებულების ფონზე, მკვლევარი ცდილობს ზოდერის „პაროტიტის ყვავილების“ ანალოგიით გალაკტიონის ნიგნში მიაკვლიოს ლექს-პროლოგს და ამ გზით მიდის გოტიეს კრებულამდე – „მინანქრები და კამეები“. გოტიეს ნინათქმა, თავის მხრივ, გოეთეს „პიჯრას“ (ლექსს მისი „დოიანიდან“) უკავშირდება და ამრიგად იკერება წრე: გალაკტიონი- გოტიე - გოეთე. გოტიეს ნინათქმისა და „არტიტული ყვავილების“ პირველი ლექსის – „შემოდგომა უმანკოდ ჩასახების“ მამათა საეანეში“ კონცეპტუალური სიახლოვის საფუძველზე ნათელი ხდება გალაკტიონის პოეტური კრებულის კრედო. გოეთესთვის აღმოსავლეთისკენ „პიჯრა“, გაქცევა, გაქრა იქცა პიროვნული და შემოქმედებითი ხსნის გზად, ხოლო გალაკტიონისთვის ასეთი იყო „პიჯრა“ დასავლეთისკენ (გოტიეს გზით), რომელზე მითითებასაც საკმაოდ ვხვდებით გამოკვეთვაში, თვით გალაკტიონის ჩანაწერებიდან დაწყებული – „არტიტული ყვავილების“ პირველი ლექსის შესაბამისი პასაჟების ანალიზით დამთავრებული.

ნიგნის მხატვრული გაფორმების გარდა, კრებულში თენგიზ შირვაშვილის გამოკვლევასაც ვხვდებით, სადაც იგი გალაკტიონის ერთ უთარალო ჩანაწერსა და ლექსს – „გოტიეს“ შორის პარალელს მოუღობს და ანალიზის საფუძველზე ცხადყოფს, რომ ლექსში ასახულია გალაკტიონისა და „ცისფერყანწელთა“ შორის დაპირისპირების საკითხი, ხოლო რაც შეეხება ფრანგულენოვანი სიტყ-

ვების გამოყენებას, ისინი ფრანგულენოვანი პოეტური მეტყველებიდან მომდინარეობს და ითვალისწინებს „ქართულ გარემოში სიმბოლისტური სივრცის შექმნას“. „ფრანგული პოეტური გარემოს რეაღიები არა პირდაპირ, არამედ მითოლოგიზებული სახით შემოიღის ჩვენს პოეზიაში“ – წერს ავტორი და აქ, უდავოდ, ქართულ პოეზიაში პიომოდანის სასახლის მითოლოგიზებული წარმოდგენის დამკვიდრებასაც გულისხმობს, სადაც ერთხანს გოტიე ცხოვრობდა და რაზეც ავტორი საყურადღებო შენიშვნას ვეთავაზობს: „პიომოდანი, რომელიც გალაკტიონის წარმოსახვით ახალი ხელოვნებისთვის მებრძოლთა გაერთიანების ციხადელია, მათ მიერვე სახელდებული, სინამდვილეში სულ სხვა ცხოვრებით ცხოვრობდა“. თუ რა ცხოვრებით ცხოვრობდნენ პიომოდანში, ამას მკითხველი თავად გაცენობა.

გუჩა კვარაცხელია თავის გამოკვლევაში ცდილობს გაარკვიოს, პოეზიის იდუმალება სიცრუე-თამაშია თუ უფრო ღრმა ქვეშეპირიგების ნედლოა და ლოგიკასა და გონებით სანდომში შორის ზღვარს ავლენს, რაც გალაკტიონთან თავს იჩენს პოეტური მეტყველების დონეზე. ავტორის თვალსაზრისით, ყოფიერების შემეცნება ზეგრძნობადი გზით – პოეზიაში ხორციელდება: „მხოლოდ სიზმრისა და ოცნების სტიქიაში იმსხვერვა ბორკილები, რითაც ყოფიერება ვგნობავს“. იქნებ, აქ საბჭოთა სინამდვილიდან გაქცევით „რეალობის ქვაკუთხედის შეცვლა“ იგულისხმება, მაგრამ არა გარეგანი, ზედაპირული, არამედ შინაგანი „რევილუცია“, რაზეც ერთ დროს „შემლილად“ შერაცხული ზელოვანი – არტო წერდა: „რა აზრი აქვს ნებისმიერ რევილუციას, თუკი შინაგან ტკივილსა და ტანჯვას არ გაფანტავს“. ერთი სიტყვით, ავტორი მიიწვევს, რომ გალაკტიონმა „მხატვრის ნათელმზილველობით შეცნიერება გაუსწრო და სინერგეტიკის წარმომომადმდე გახსნა და გამოხატა შემოქმედი სულის საიდუმლო“.

აქვე აღვნიშნავთ, რომ წარმოსახვა და ყოველდღიურობა ერთმანეთთანაა გადანუღლი ოთარ ჩხეიძის შთამბეჭდავ ჩანახატში „ცერიან ბალახზე“, სადაც ერთი მხრივ პოეტისა და „მასის“ დამოკიდებულების, ხოლო მეორე მხრივ, მომამბეზრებული გარემოსგან თავშეშავარის ძიების პროცესის მონმენი ვხვდებით.

ნელინდუელის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ინტერპრეტაციითა მრავალფეროვნება. მაგ., გალაკტიონის ლექ-

ნერკინულსი
გ. მ. გ. ლ. ი. მ. მ. მ. მ.

სის „ნმ. გიორგის“ ზურაბ კიკნაძისეული ანა-
ლიზისას ლექსში ერთი მხრივ, გართომული
და გაურითმავი პერიოდების, ხოლო მეორე
მხრივ, რეალური და ირეალური, ხილვითი
პლანის ფონზე, გამოყოფილია ოპოზიციური
წყვილი - „ნისქელი“ და „მწინდანი“, რო-
გორც განსხვავებული კულტურის გამოვლი-
ნებანი. ამ ოპოზიციას ხედავს. ასევე აღსანიშ-
ნათ ხიონურის, როგორც დიონისურისა და
ციურის, როგორც აპოლონურის დაპირისპი-
რება, რაც მინათმოქმედისა და მწყემსის, ან
ბარისა და მთის ოპოზიციასაც ჩანს. საბო-
ლოდ კი, ავტორი ამ ლექსში სულის მალა-
ლი სფეროებიდან მიჩიურ განსაკუთრებულ ჩა-
მოსვლის ალევგორიას ხედავს. ასევე აღსანიშ-
ნავია, რომ ავტორი მიზანშეწონილად მიიწ-
ნევს გალაკტიონის ნიგნის სათაური ითარგ-
მნოს, როგორც „ხელოვნების ყვავილები“ და
არა „არტისტული ყვავილები“, უნაიდან მათ
შორის კონცეპტუალური სხვაობაა.

ლექსი პრეგავი გალაკტიონთან პოსტმო-
დერნული ხერხის - სხვისი ტექსტის ციტი-
რების მაგალითებს მიაკვლევს. კრებულის I
ნომერში მან გალაკტიონის ლექსში „სადაც
კი...“ მიაკვლია გოეთეს „მიზიონის“ ნაკე-
ლევს, ხოლო ამჯერად 12-ტომეულის VI ტომ-
ში, რუბრიკაში „პოეტის არქივიდან“ მიავსო
ლექსს, სადაც ჩართულია გალაკტიონის მი-
ერვე თარგმნილი პიუჯოს ერთი უსათაურო
ლექსი.

მაგრამ იქნებ იმ დროისთვის ეს უჩვეუ-
ლო მოვლენა იმით აიხსნას, რასაც ვურამ ბე-
ნაშვილი ამ კრებულში შესულ ესთიში შემ-
დეგნაირად ახასიათებს: „ზოგჯერ იმისაც კი
ფიქრობ, რომ გალაკტიონი ანტიმოდერნის-
ტიკ კია... რადგან მის სულში განფენილი თა-
ნამედროვეობა - ამოუნურავი, უსაზღვრო
და ზედაპირულია... მისი პოეტური ქმნილე-
ბები... მიმართულია მხოლოდ მარაფისობის-
კენ... იმგვარი ქემმარტივი მარაფისობისკენ,
რომლის საკრალური ხატის ნინამეც ყოველი
ეპოქა თანამედროვეა“...

ეგზისტენციალისტური (თუ ექსისტენ-
ციალისტური) ფილოსოფიის კონტექსტში
განიხილავს სანდრო ბარამიძე გალაკტიონის
1915-1927 წლების შემოქმედებას. „ლურჯა
ცხენებში“ ავტორი პოეტის ეგზისტენციის
უშოძრაობასა და სამყაროს ცვალებადობას
შორის კონფლიქტს და ამით გამოწვეულ
ტრაგიკულ მსოფლალქმას ხედავს. ორგვარი
არჩევანი, რაზეც ავტორი საუბრობს: რწმე-
ნის გზით ყოფიერების ტრანსცენდენტურო-
ბის მიღწევა და აბსურდულობა, რომელსაც

ახასიათებს უიმედობა და სიკვდილთან შეგუ-
ება, მოგვაგონებს ეგზისტენციალისტის და-
ყოფას რელიგიურ და ათეისტურ ფრთად. ავ-
ტორის თქმით, გალაკტიონმა პირველი იარ-
ჩია, რის შედეგადაც გალაკტიონის პოეზია-
ში სიკვდილის ესთეტიზებამ იჩინა თავი (სიკ-
ვდილი - „ვარდისფერი გზა“). თუმცა ს. ბა-
რამიძე 1927 წლის შემდეგდროინდელ პოე-
ტის შემოქმედებას ახასიათებს, როგორც
დაღმასვლას, რის ერთ-ერთ მიზეზადაც მი-
აჩნია „ყოფიერებისა და დროის ეგზისტენცი-
ალური განცდის“, არსებობის ტრაგიზმის
უქონლობა, რაც ელინდება ასევე სემანტიკე-
რი ლექსების სიჭარბეში, ადრეული პერო-
დის ასემანტიკური ლექსებისგან განსხვავე-
ბით.

რუბრიკის სახელწოდება „ცხოვრება,
როგორც ტექსტი“ სრულიად შეესაბამება ემ-
ზარ კეიტაშვილის ნერილს, სადაც გალაკ-
ტიონის ტექსტების პარალელურად გაანაღ-
ზებულია თვით პოეტის ცხოვრების ტექსტაც
- დედისადმი გალაკტიონის სათუთი სიყვ-
არული და სინანული საკუთარი უყურადღე-
ბობის გამო. ამ ფონზე გალაკტიონის სტრო-
ქონებს („რისთვის გამზარდა დედამ, რის-
თვის შეტყოდა ნანას?“) დაძებნილი აქვს წა-
ნო ფოლკლორში, კერძოდ, ამირანის ეპოსში
ღრუბელთ ბატონის სიტყვები („რისთვის
გავზარდა დედამა, რისთვის გეტყოდა ნანა-
სა?“) და ვაჟა-ფშაველასთან („მიტო ვაჯე-
ზარდა დედამა, მისთვის გეტყოდა ნანა-
სა“...), მაგრამ სამივე შემთხვევაში განსხვ-
ავებულად დაბტვირთვა და ინტერპრეტაცია ვა-
რჩია: „გალაკტიონმა ღრუბელთ ბატონის პი-
რით ნათქვამი მრისხანე საყვედური თავისე-
ბურად შეაბრუნა, საკუთარი პიროვნებისკენ
მიმართა, რეამარცველიანი დაბალი შაირი
შეიდმარცველეთ შეცვალა, ზელმწიფისუ-
ლი შეუვალა, მკვებე ტონი თვითგვემის უ-
ლით შეარბილა, ყვედრებას სინანულის ელ-
ფერი მისცა“.

ინესა მერაბიშვილი მსოფლიო პოეზიაში
მერის სახესა და გალაკტიონის მერისთანმს
მიმართებაზე საუბრობს და საგულისხმო
დასკვნა გამოაქვს: „მსოფლიო პოეზიაში ას-
ხული მრავალი მერისგან განსხვავებით, იქ-
ნება ეს უფლის, პუშკინის, ლერმონტოვის
თუ ბლოკის მერი, გალაკტიონის მერი
ღვთისმშობლის კატეგორიაშია აყენილი“.

ირაკლი კენჭოშვილის ნერილში ნარმოდ-
გენილია ბლოკის „თორმეტნისა“ და გალაკ-
ტიონის „რამდენიმე დღე პეტროგრადში“ თ-
ტერტექსტობრივი მიმართების საკითხი. ავ-

ტორის დაკვირვებით, გალაკტიონის ლექსი ირონიული კონტრაცეივით უპირისპირდება ბლოკის რევოლუციურ ექსპრესიულობას და, ამდენად, ანტიეთეტურ დამოკიდებულებაშია ბლოკის „თორმეტნისთან“. გალაკტიონი ირონიით განაჩინალებს პეროიკას. ნერილის დასასრულს აეტორს ასეთი დასკვნა გამოაქვს: „რამდენიმე დღე პეტროგრადში“ უმოციური სიმძაფრით რომანტიკულ ლირიკას ენათესავება, მაგრამ მრავალ სხვა პოსტ-სიმბოლურ ლექსის მსგავსად, თავის ტექსტულურობაზე უურადლებს გამახვილებით, რომანტიკული მონოლოგიზმის არა აღსრულებით, არამედ გათამაშებით, თავისებური „თვატრალურობითა“ და რაიმე „იდეის“ შემოთავაზებაზე უარის თქმით, უფრო ახლოსა არა რომანტიზმთან, არამედ ბაროკოსთან“.

ბარათაშვილთან, ედგარ პოსთან, გოტიესთან, ბლოკსა და ბრიუსოვთან ასევე ინტერტექსტობრივი მიმართების კუთხით განიხილავს ზაზა შათირიშვილი გალაკტიონის პოეზიას. მაგ., ანთროპოლოგიაში ეკონომიკური დისკურსიდან შემოსული ტერმინების - „გაქვლითი“ და „კარგვითი“ ეკონომიკის საფუძველზეა განხილული გალაკტიონის („მამული“) და ბარათაშვილის („მერანი“) ტექსტთა ურთიერთდამოკიდებულების საკითხი და გამოვლენილია ორი ფენა: მამული, მშობლიური ლანდშაფტი/უცხო ლანდშაფტი, სხე; ნინამები/უცხო ხალხი. თუმცა, აეტორი კიდევ უფრო შორს მიდის და ბარათაშვილის მხატვრულ ტექსტთან ერთად, მის ბიოგრაფულ „ტექსტსაც“ „კარგვითი“ ეკონომიკის თვალსაზრისით აანალიზებს: „ამიტომაც გავრცელდა „კარგვითი“ ეკონომიკა ბარათაშვილის ბიოგრაფიულ „ტექსტზე“ - დანებებული რეალური „გადაკარგვით“ განჯამი, უცხო ტომოსში სიკვდილითა და არქივის უზეტესი ნაწილის დაკარგვით დამთარებულ... „კარგვითი ეკონომიკა“ დაგვირგვინდა ბარათაშვილის დაგვირგვინებული გამოსახულების საბოლოო დაკარგვით“. აღსანიშნავია აეტორის მიერ გალაკტიონის 12-ტომულში გამოვლენილი ორი კაზუსიც: VI ტომში „დაუმთარებელი ლექსების“ რუბრიკით დაბეჭდილი ლექსი („სახელწოდება პუშკინის სახლის...“) ბლოკის ლექსის *Пушкинскому дому* თარგმანია; ხოლო I ტომის ლექსის - „ახსნა“ D ვარიანტად დასახლებული ლექსი „შენს მარტობას ვერვის გაგებს“ სინამდვილეში ბრიუსოვის ლექსის *Демон самоубийства*-ს თარგმანია.

გალაკტიონის „ქებათა-ქება მკობრისადას“ ზოგიერთი სიტყვის დაზუსტებას გვთავაზობს ზურაბ სარჯველაძე. იმ მოტივით, რომ „გალაკტიონ ტაბიძე ძველი ქართული ენის ჩინებული მცოდნე იყო“, აეტორი განიხილავს სიტყვების - „დამკარგავი“, „მიმკარგ-მომკარგავს“ სემანტიკურ მნიშვნელობას მოცემულ კონტექსტში და ამ მიზნით აანალიზებს ფუძე „კარგ“-ის მნიშვნელობას. როგორც ირკვევა, ფუძე „კარგ“ - რიცხ, ნებს, კეთილ საქმეს, სამართალს ნიშნავს და გალაკტიონთანაც სწორედ ამ მნიშვნელობით ეხედობოთ: დამკარგავი - დამნუსებელი, შემამკობელი; მოკარგ-მოკარგავ - დაალაგა, დაამსკრიოვა.

ამის შემდეგ ნათელია, თუ რა მნიშვნელობა აქვს გალაკტიონის შემოქმედების კვლევას დღეს, რაღა შემდგომი გააადვილებს გაცილებით სრულყოფილი კომპლერებული და ტექსტოლოგიურად დაზუსტებული გამოცემის მომზადებას. და ვინაიდან კაზუსები ვახსენეთ, აქვე ორიოდ სიტყვით შევხებით ნელინდელის ტექსტოლოგიურ სტატიებსაც. ერთია ჯული გაბონის ნერილი „სახსოვართა ოქრის ფონდი“, სადაც გალაკტიონის ამავე სახელწოდების ლექსის (შემდგომში „ჩემი სიმღერის“ სახელით იბეჭდებოდა) სხვადასხვა აეტოგრაფს მოიხილავს, ამ ლექსის ოლია ოკუუავას ხსოვნას უკავშირებს და ასკვნის: „ლექსი 1934 წელს არ უნდა იყოს დაწერილი (სხვათა შორის, ეს იმ იშვიათ ნელთავანია, როცა გალაკტიონი და ოლია ერთად იყვნენ). პოეტმა ან ამ წლის სახსოვრად, ან სილამისეული შინაარსის მისაჩქმალად მიუთითა ეს თარიღი, რითაც ლექსის შექმნა ოლიას რეპრესირებადმდე რამდენიმე წლით ადრე დააფიქსირა“. ამ მისაზრებით აეტორი გვთავაზობს გადათარიღებას 1936-38 წლებით. ნელინდელის მეორე ტექსტოლოგიური ნერილი ეკუთვნის ნანა კობალაძეს, რომელიც იოსებ გრიშაშვილისადმი გალაკტიონის ბარათების დათარიღებას გვთავაზობს რეალური ფაქტების გათვალისწინებით.

ნელინდელის რუბრიკაში „გალაკტიონოლოგიის ისტორიიდან“ მკითხველი აშვერად შეხედება „თანაარყოფონდის“, კონსტანტინე კაპანელის ნერილს, სადაც გარკვეულწილად მარქსისტული მოდელის შემოთავაზებით („ქვეყნის შეცვლა“ შემოქმედის შეცვლასაც განაპირობებს), ორ ეტაპს გამოყოფს გალაკტიონის შემოქმედებაში: სინამდვილიდან გაქცევას და სინამდვილის მიღებას.

„რეცეფციის“ რუბრიკით წარმოდგენილია პაინც ფენრიხისა და გასტონ ბუაჩიძის ნურლილი, რომლებიც, არსებითად, უცხოენოვანი შკითხველისთვის ინფორმაციის მიწოდებას ითვალისწინებს და მნიშვნელოვანია თუნდაც იმის გამო, თუ უცხო თვალთროვორ ჩანს ქართული კულტურა. პაინც ფენრიხი გალაკტიონის პოეზიის ძირითად მხარედ მიიჩნევის რიტმზე დაფუძნებულ გამოცხადებლობასა და ქართული ენის აკუსტიკის ფლოპის გასაოცარ უნარს. გასტონ ბუაჩიძის ნურლილიდან განსაკუთრებით შთამბეჭდავია გალაკტიონის „თოვლის“ ანალიზი, სადაც, ერთი მხრივ, დაფინისა და თოვლის, ხოლო, მეორე მხრივ, თოვლისა და ქარის ინტერპრეტაციის ფონზე განიხილავს მარადიულობა/წარმავლობისა და ქალურ/მამაკაცური სანყისების ურთიერთმიმართების საკითხს.

პირობითად, ტრადიციის და ნოვატოროზის დამოკიდებულების კონტექსტში შეგვიძლია განვიხილოთ ქართველი მწერლების აქ წარმოდგენილი ესეები, სადაც საუბარია გალაკტიონის შემდგომი ხანის პოეზიაზე მისი გავლენის თუ ამ გავლენის დაძლევის მცდელობის საკითხები. იქ, სადაც გვი აღზაზიშვილი საუბრობს გალაკტიონის „ტყვეობიდან“ გასვლასა და ნოვატოროზის პრობლემაზე, შეიძლება პაროდდ ბლუმისეული „გავლენის შიშის“ თეორია მოგვაგონოს. ოთარ ქილაძე, რომელიც გალაკტიონის მიმართ თავის ცნობილ - „ბედნიერი ტანჯულის“ - მეტაფორას მიმართავს, წერს: „მე არ მეგულუბა ჩენს თანამედროებაში შეტნაკლები შესაძლებლობის, განათლებისა და გაქანების პოეტი, გალაკტიონის გავლენა რომ არ განეცადოს. გავლენა, კარგი გავებით, კეთილშობილურ აუცილებლობას, განვითარებასა და

წინსვლას გულისხმობს“. ტარიელ ქანტურია კი ტრადიციულ/ნოვატოროზის მიმართების საკითხთან დაკავშირებით საუბრისას სხვადასხვა შტამპით მოჭრილი მონეტების შედარებას მიმართავს.

„გალაკტიონოლოგიაში“ გვხვდება რამდენიმე რუბრიკა, რაც იქითკენაა მიმართული, რომ პოეტის შესახებ არაერთი ცნობა არ დაიკარგოს. აქ წარმოდგენილია საზოგადო მოღვაწეების, ხელოვნების, მეცნიერების თუ პოეტის ნაცნობ-მეგობრების მოგონებები. ასე, მაგ., რუბრიკაში „ახლობლები და მეგობრები“ მკითხველი გაცნობა კორნელი სანაძის, მიხეილ ვაძბოლსკის და ჯენეტო ქანტურაიას შესანიშნავ მოგონებებს, ხოლო რუბრიკაში „მუსიკა, გრძნობა და სილამაზე“ გია ყანჭელი და ბიძინა კვერნაძე გადმოგვცემენ თავიანთ შთაბეჭდილებებს გალაკტიონის ლექსებზე მუსიკის ნერის პროცესში.

ასევე, მკითხველი აქ გაცნობა, თუ ვინ ნახა პირველად გალაკტიონის ცრემლი, რაკაშირი აქვს ოპერის თეატრის ფარდის ირგვლივ ატეხილ სკანდალს გალაკტიონის დაკრძალვასთან და მრავალ სხვას. ერთი სიტყვით, „გალაკტიონოლოგია“ საკითხავი ნივთა ყველასთვის.

აღბათ, გალაკტიონი კმაყოფილი იქნებოდა, რომ „რუსთველოლოგიასთან“ ერთად, მისი შემოქმედების შესწავლაც ცალკე დისციპლინად იქცა, რასაც, თითქოს, კეთილი სურვილის სახით ნიგნის ბოლოს ლექსითაც ეხმაურება.

„ეაშა მას, ვისაც ცოდნისთვის
ძალა არ დაუზოგია,
გაბრწყინდეს მეცნიერება -
გალაკტიონოლოგია“.

გაგა ლომიძე

681/18

ფანი მრი ღარი



ქართული
ISSN 0132-999X
ი6032სი 76125